ზაირა ალსენიშვილი

# თვალავიდან თბილისამდე
## ეროვნული ეთნი გადარჩენა

თბილისი, 2010
„ეროვნული მწერლობა“

**საგამომცემლო საბჭო:**

ვაჟა ოთარაშვილი
დავით კახაბერი
ზაზა ქინქლაძე
ედუარდ უგულავა
ვერიკო ზამთარაძე

**გამოცემის რედაქტორი:** ვაჟა ოთარაშვილი

**რედაქტორები:** ედუარდ უგულავა
ზაზა ქინქლაძე

**დიზაინერები:** ლექსო ოთარაშვილი
სალომე ფორჩხიძე

ავტორი მადლობას უხდის თელავის ვისოლგაზის სადისტრიბუციო კომპანიას და პირადად ბატონ **გია ბენიძეს** წიგნის გამოცემაში გაწეული თანადგომისთვის

© ზაირა არსენიშვილი

ISBN 978-9941-0-2962-2

პროზაიკოსი, კინო-დრამატურგი, სახელმწიფო პრემიის სამგზის ლაურეატი.

განათლებით ფილოლოგი და მუსიკოსი, წლების განმავლობაში უკრავდა ოპერის თეატრის ორკესტრში ვიოლინოზე, ასევე მუშაობდა „ქართული ფილმის" დრამატურგთა გაერთიანებაში და მეორე შემოქმედებითი გაერთიანების რედაქტორად.

ავტორია მოთხრობებისა, სცენარებისა და რამდენიმე რომანისა.

# როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა...

(ქ-ნი თამარის სიზმარი და ცხადი)

„37 წელს, დიდი ტერორის დროს, თვალის დახუჭვას ვერ მოვასწრებდი, შემზარავი კოშმარები მაფხიზლებდა; სინამდვილეც კოშმარული იყო და ხშირად ერთმანეთში მერეოდა ცხადი და სიზმარი."

**დედაჩემის ბარათიდან**

ქალბატონი თამარი ბიბლიოთეკის კარტოთეკიან გრძელ მაგიდასთან იჯდა, გარს ლექსიკონები შემოეწყო, ვაჟა-ფშაველას საყმაწვილო მოთხრობები გადაეშალა და ფიქრად არ მოსდიოდა და გუმანითაც ვერ ხვდებოდა, ბედისწერა რა ხიფათს უმზადებდა. ხიფათის ძიებას კი არა, ახლა ის სავსე მთვარეს ალეწდა თავის საბრძოლო ისრებს. „ამოდის, ნათდება!" — საკვირველია, ერთი შეხედვით ასეთი უბრალო და სადა სიტყვათა წყვილი, ასეთი ჩვეულებრივი ორი სიტყვა როგორ ხატოვანსა და ექსპრესიულ მთელს ქმნიდა, როგორ იყო ზღვრამდე გაჯერებული ძირეული სათქმელით. უამრავი რუსული ვარიანტი დაახვავა და ვერცერთი ვერ შეარჩია, წვალობდა, თავს იმტვრევდა და ჯერ ვერაფერი გაეწყო... და რაც უფრო მეტად იმეორებდა ამ საოცარ სათაურს, რაც უფრო უღრმავდებოდა და უკვირდებოდა, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ეს იყო გენიოსის სიტყვა, სიტყა ქმნისა, ნათელი რომ ახლდა თან, ის ნათელი, რომელი იგი ბნელსა შინა ჩანდა და თამარს ძველებური ჟინი ეუფლებოდა, ძველებური სურვილი, მისწვდომოდა ამ ნათელს, და განა საკვირველია, რომ თავჩარგული ამ ძალისსმევაში ვერ ამჩნევდა ირგვლივ რა ხდებოდა. მარტო იყო, სრულიად მარტო, იანვრის მზით სავსე მყუდრო დარბაზში. მარო საოლიმპიადე რეპეტიციაზე იყო წასული და იმ გიგლა-ნიბლას შემდეგ შემოსვლითაც არავინ შემოსულა, არცერთი სტუდენტი, ოთარის მოლოდინიც

არ ჰქონდა, ის ახლა, გამოცდების მომთავრების შემდეგ, აღმა-დაღმა დაჰქროდა, თანაც საღამოს დაბადების დღეზე იყო დაპ-ატიჟებული და თამარი ფიქრობდა, გვიანობამდე დავრჩები და ვიმუშავებო. დღეს დილით, მოვიდნენ თუ არა, თამარმა და მა-რომ ჯერ საამკინძაოსთვის გამზადებული წიგნები შეკრეს და ჩაიტანეს. არდადეგები ახლოვდებოდა, ბიბლიოთეკაში ჩვეუ-ლებრივ ელოდნენ ინვენტარიზაციასა და შემოწმებას, ხმარე-ბისაგან შელახული წიგნებიდან ზოგს ასაკინძად არჩევდნენ, ზოგსაც, თითო-ოროლა ფურცელი თუ ჰქონდა ამოვარდნილი, თვითონვე უვლიდნენ და აწესრიგებდნენ. გარდა მოვალეობისა, მაროსაც და თამარსაც ძალიან უყვარდათ წიგნების მოვლა, წიგნებთან ლოლიაობა. საწყალი თამარი თავის გულში დაქად-ნებითაც კი ამბობდა: მოვიდნენ ერთი, შემამოწმონ და დარწ-მუნდნენ ხალხის მტრებსა და მავნებლებს, — ის თავის თავს თავისი დაუვიწყარი შალვასგან არასდროს გამოჰყოფდა, — წიგნების როგორი მოვლა და სიყვარული შეგვიძლიაო. ჰოდა, ამ დილით ბოლო ორი შეკრულა ჩაიტანეს საამკინძაოში; იქიდან-აც ბევრი აღარ იყო წამოსაღები, თამარიც თავისუფლად მო-ერეოდა, ამიტომ მარომ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შეუხვია ინვენტარიზაციის საქმეზე, მერე კი პირდაპირ გუნდის მეცა-დინეობაზე უნდა წასულიყო. თამარი კი, დაბრუნდა თუ არა და გაახლებული წიგნები დააბინავა, დარბაზისკენ არც გაუხედავს, თავის მაგიდას მიუჯდა და ვაჟას საყმაწვილო მოთხრობები გა-დაშალა, ერთი სული ჰქონდა მშიერი მგლებისა და სავსე მთვა-რის ამბავს შესდგომოდა. მუშაობის ხალისით იყო სავსე, ლამის ძველებურად სავსე. გიგლა ნიბლაძესთან ურთიერთობამ კიდევ უფრო მოა-წყურა ნამდ-ვილი მუშაობა, ხალას სიტყვასთან ურთიერთობა. მთელი ერთი კვირა იმ სისულელეში იყო ჩაფლული, აბა, „ვიდვიჟენეცსა“ და იდეოლოგიის მსახურს მეტი რა მოეთხოვებოდა?! „თანა-მედროვე მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა ყველაზე უფრო ავტორიტეტულია მთელ მსოფლიოში, ხოლო სოციალისტურ ქვეყნებში იგი წარმოადგენს კულტურის შენებისა და მასების ესთეტიკური აღზრდის რთული პროცესების თეორიულ საფუძველსო. იგი ეფუძნება დიალექტიკური და ისტორიული

მატერიალიზმის ფილოსოფიურ საძირკველსო და სოციალისტური რეალიზმის თეორიულ პლატფორმას წარმოადგენსო..." მიუხედავად ამ ტრაფარეტული სისულელისა, დასაწყისში მაინც კმაყოფილებას გრძნობდა, სიმყარეს და კმაყოფილებას, ერთგვარ ჩუმ სიამაყესაც კი, რომ ხალხის მტრის ცოლს შრომა ანდეს, ესე იგი საჭირო ადამიანად სცნეს და ზედმეტად არ ჩათვალეს მისი აქ ყოფნა. თანაც ვინა, მარქსისტული ესთეტიკის კაბინეტის გამგემ გიგლა ნიბლაძემ, გიგლა ნიბლაძემ, ანუ როგორც სტუდენტები ჩუმჩუმად და დაცინვით ეძახდნენ, გიგლა-ნიბლამ. სწორედ ერთი კვირის წინ, დღის ბოლოს, როცა დარბაზში არავინ იყო და თამარი ვაჟა-ფშაველას „ფესვებს" ამთავრებდა, გიგლა ნიბლაძემ შემოიხედა, დარბაზი მოათვალიერა, მერე ფრთხილად შემოვიდა, კარი ჩარაზა და თამარისკენ თავისებური კეკლუცი ყელყელაობით წამოვიდა, — იგი არასდროს ივიწყებდა, რომ მოსანონი მამაკაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი და უნდოდა პლასტიკაც შესაფერისი ჰქონოდა.

„ქალბატონო თამარ! თქვენ ხართ ადამიანი, ვისაც თავისი ყურით გაუგონია დიდი ლენინის დაუვიწყარი, ისტორიული შეძახილი „არის ასეთი პარტია!" პათეტიკური კილოთი წარმოთქვა გიგლამ და დატალღულ თმებზე ხელი მოხდენილად გადაისვა. თამარმა კი მხრები აიწურა და თვალები სწრაფად აახამხამა. „ამიტომ გამომცემლობაში ჩაბარებამდე მინდა ჩემი სადოქტორო შრომა „ლენინი ხელოვნების შესახებ" თქვენ წაგაკითხოთ, და თუ საჭიროება მოითხოვს, გენდოთ და გაგაჩარხინოთ". — და ისე მომხიბლავად გაიღიმა, ცხადია, ესმოდა თავისი წყალობის მნიშვნელობა.

შალვას შემდეგ თავში ჩარტყმულსა და დაშინებულ თამარს ფეხქვეშ თითქოს ნიადაგი გაუმყარდა, ესიამოვნა, ოჰ, როგორ ესიამოვნა; დიახ, დიახ, თავისი ყურით გაუგონია და თავისი თვალით უნახავს დიდი ლენინი... რა თქმა უნდა, გაუჩარხავს, თუკი ამისი საჭიროება არსებობს და თამარს ენდობიან... განა ახლა, ამ ვითარებაში სხვა რაიმეს მნიშვნელობა ჰქონდა? თუნდაც გიგლას უმეცრებას; ძალიან კარგად ხედავდა თამარი და ტარჭრელი კოვზები არ ჭირდებოდა იმის ამოცნობას, რომ გიგლას კეკლუცობა, „მოსანონი მამაკაცის" ამპლუა, სიმჩატე და

მომღიმარე სალმიანობა შესანიშნავად ერწყმოდა თუ უშუალოდ იყო ამოზრდილი მისი პრიმიტიული ვირეშმაკობისა და უტიფარი პატივმოყვარეობისაგან, არც მალავდა, პირიქით, თავმომწონედაც კი უყვებოდა თავის სტუდენტებს, როგორ შეჰფიცა სამშობლოს სიყვარულით გულანთებულმა მუშფაკელმა ბიჭმა, სწორედ მაშინ, გამოთხოვებისას, უნივერსიტეტში გამოგზავნის წინ, — ავიდა და შეჰფიცა ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს, რომ ქუთაისს მხოლოდ და მხოლოდ პროფესორად დაუბრუნდებოდა. თამარსაც, ერთ-ერთი შეხვედრისას თავისი ყველაზე საბუკვარი ოცნება გაანდო: დღეს-ხვალ საქართველოში მეცნიერებათა აკადემია უნდა გაიხსნას და თავი ცოცხალი არ მინდა, აკადემიკოსი რომ არ გავხდეო, ამიტომ ვასწორებ დღე-ღამეს და თუ თქვენ ამ დიდ, პატრიოტულ საქმეში წვლილს შეიტანთ, იცოდეთ, არ დაგივიწყებთ სიკეთესო.

დღე-ღამეს მართლა ასწორებდა, „შრომებიც" ბევრი ჰქონდა, იკვეხნიდა: ის ღამე ღამედ არ მიმაჩნია, ერთი ოციოდე გვერდი თუ არ დავწერეო, ჰოდა, წერდა და წერდა, ხშირად სხვებისაგანაც ინერდა, და ეს ყველამ იცოდა, მაგრამ ამ კონფუზს არასოდეს ჩირადაც არ აგდებდა, მაშინაც კი არ შეუხრია წარბი, მისი ერთ-ერთი შრომის განხილვისას აშკარა პლაგიატორობაში რომ ამხილეს. იმ წუთს და იმ მომენტში რას იზამდა, იყო კაკანათში გაბმული ჩიტივით, მაგრამ დამთავრდა თუ არა ის საზიზღარი განხილვა, მაშინვე ფრთები შეარხია, აშლილი ბუმბული დაიწმინდა და მოჰყვა ძველებურად ჭრიახს: დიდი რამეცო, კაცს აი, ამ მარჯვენით ორიათასი გვერდი მაქვს დაწერილი და ოციოდე გვერდი თუ გადავწერე, დიდი რამეცო, შურითა და ბოღმით ლამის გასკდნენო, ყოველგვარ ვითარებაში მას ყველაზე უტყუარ და უღალატო საყრდენად შეუპოვრობა მიაჩნდა და შეუპოვრობა კი იმდენი ჰქონდა, მთელ ბატალიონს ეყოფოდა, და გარდა ამისა, ეშინოდათ მისი ჭრიახის, ბევრს ძალიანაც ეშინოდა.

თამარს გაგონებით კი გაეგონა, მაგრამ არაფერი გიგლასი არასდროს წაეკითხა და სახტად დარჩა, ასეთ უბადრუკობას მაინც არ მოელოდა, უბრალოდ, უბადრუკობას კი არა, — აღვირახსნილ უმეცრებას. დისერტაცია სავსე იყო ფაქტობრივი შეცდომებით, პლაგიატით და უცხო სიტყვების უადგილო, ხშირ

შემთხვევაში ანეგდოტური გამოყენებით. სიყვარული ბრმაა და გიგლა სწორედ ბრმად იყო შეყვარებული უცხო სიტყვებზე და თამარის ფიქრით, ძველ ლექსიკონებში მოძიებულ ამ სიტყვებს იგი უფრო კეთილხმოვნების მიხედვით არჩევდა და იმდენად უადგილო ადგილას ხმარობდა, რომ საარაკოდ იხდიდა თავს. შეცდომებიც რაღაც უცნაური ჰქონდა, თამარი იმ დასკვნამდეც კი მიდიოდა, რომ გიგლას, ეტყობა, ტვინი წაღმა-უკუღმა აქვს მოწყობილი და წაკითხულის სწორი გაგებაც არ შეუძლიაო. ერთ ადგილას, მაგალითად. წერდა: ლენინი თვით სტრადივარის უსმენდა დიდი გატაცებითო და ასეთი ლასფუსები არც თუ იშვიათად შეგხვდებოდათ მის ნაშრომში. უბედურება კიდევ ის იყო, რომ გიგლა ფაქტის თავშეკავებული გადმოცემით არასდროს კმაყოფილდებოდა, — აქაოდა არ მინდა ჩემს ნაშრომებს მშრალი აკადემიზმის სუნი დაჰკრავდესო, — არამედ მიელტვოდა ხუჭუჭა ფერადოვნებას, რაიცა მას კიდევ უფრო საჩოთირო მდგომარეობაში აყენებდა, მით უმეტეს, როცა საქმე მცდარ ფაქტებს ეხებოდა. „სტრადივარის“ შემთხვევაშიც ასე იყო: ავტორი ემოციური აღტყინებით წვრილად აღწერდა, როგორი გატაცებითა და ჩაღრმავებით მოუსმენდა ბეთჰოვენის მუსიკაზე შეყვარებული ბელადი სტრადივარის, რადგან იგი თურმე სწორედ ბეთჰოვენის კვარტეტს უკრავდა, და ამ დიდებული დაკვრით შთაგონებული ბელადი, ადვილი წარმოსადგენია, რა ძალუმად მიეცემოდა ფიქრებს მსოფლიო პროლეტარიატის ბედიღბალზე... ხოლო დიდი სტრადივარი, თავისი ხანგრძლივი არტისტული მოღვაწეობის მანძილზე, ცხადია, ასეთ შთაგონებას ვერც ლენინამდე და ვერც ლენინის შემდეგ ვერ იგრძნობდა, მილიონობით აღფრთოვანებული მსმენელი ვერა, ვერა, ვერ გადაწონიდა დიდი ლენინის თავანკარა განცდას, ან კი როგორ! ან კი როგორო?! შეძახილებით ამთავრებდა პროლეტარიატის ბელადისა და სტრადივარის პასაჟს გიგლა.

თამარს შერცხვა, შერცხვა იმ კმაყოფილებისა და სიამოვნებისა, მაშინ გიგლას რომ შეეგება და მისი ნაშრომი გულში ჩაიკრა, შერცხვა თავისი უნებლიე მლიქვნელობისა. „მაპატიე, შალვა, მაპატიე“, მიმართავდა თავის დაკარგულ ქმარს, „ხედავ, როგორ დავგლახაკდი, მაგრამ რა მექნა, შალვა, ვინ

შეიძლება ყველაზე უკეთ გამოიყენონ, თუ არ რეპრესირებული და შეშინებული, თან განათლებული და წიგნიერი?!“ ჰოდა, წარმოიდგინეთ, გაბრაზდა თამარი და თავისდა გასაოცრად რევანში აიღო, შალვას დაპატიმრების შემდეგ, იმ უბედურების შემდეგ დღეს პირველად იგრძნო თავი ადამიანად, როცა მკაცრად და პირუთვნელად ყველაფერი მოახსენა გიგლას და არც აბუზულა, არც შემკრთალა, არც უკან დაუხევია. ჯერ პლაგიატზე მიუთითა, თან მაინცდამაინც რუსი დემოკრატებიდან ჰქონდა ჩიქორთული თარგმანით გადმოწერილი, -- სჯობს ახლავე გაითვალისწინოთ, თორემ შრომის განხილვისას შეიძლება უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდეთო. მაგრამ გიგლას ნარბიც არ შეუხრია, მეო, ქ-ნო თამარ, ჩემი შრომები რომ შევკრიბო, ორიათასი გვერდი გამოვა და ამხელა ნაწერში კიდევაც რომ იყოს ვიღაცის ორიოდე სიტყვა, ამას რა ისეთი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, წვრილმანობაა ეს და მეტი არაფერიო. მერე იყო და უცხო სიტყვების გამო შეეკამათა: „რა არის ეს ანტრაშა და „გრიუერი“, პატივცემულო გიორგი, ან ეს გრიფეა და ინგრედიენტი?“ აი, რა გინერიათ და გამაგებინეთ რა შუაშია, რომ „ლენინის ეს სტატია ხელოვნებაში პარტიულობის შესახებ ბრწყინვალე ანტრაშაა?“ მე ავდექი და ყველა ასეთი საჩოთირო ადგილები შეგიცვალეთ...“ „ძალიან ტყუილად, თამარ, ძალიან ტყუილად“, — თქვა გიგლამ გაყინული ხმით, — „ამ სიტყვებზე მე იმდენი მიფიქრია, იმდენი, და თქვენ ერთი ხელის მოსმით გადახაზეთ?! მე პრინციპული კაცი ვარ, ქ-ნო თამარ!“ „ან თუნდაც აი, ეს!“ განაგრძო ლამის ძელებური რიხით თამარმა, „ვერავითარ შემთხვევაში ლენინი სტარადივარიუსს ვერ მოუსმენდა, ამიტომ გადავხაზე ეს თქვენი შეცდომა! თანაც აქ რამდენიმე ლაფსუსია, ქართულად სტრადივარიუსი უნდა იყოს და არა სტრადივარი.“

„ვითომ რატომ ვერ მოუსმენდა!“ — ახლა უკვე აპილპილდა გიგლა, და თამარმა გაიფიქრა: გიგლა-ნიბლას უმეცრება განსაკუთრებით ხმის მიმოქცევაში მეღავნდებაო. მართლაც ყოყლოჩინა კილო და ყალბი ჩაცინება თითქოს გაჯერებული იყო მდაბიორის უმეცრებით, — „ლენინი, ვისაც გნებავთ, იმას მოუსმენდა, გაგების უნარი დაუშლიდა თუ პიროვნების მასშტა-

ბურობა?" გიგლამ ცალი წარბი წყრომით ატყორცნა და თამარს ყელმოღერებით გადმოხედა.

„ჯერ ერთი იმიტომ ვერ მოუსმენდა, რომ სტრადივარიუსი მუსიკოსი არ იყო..."

„ამას კი ვერ დაგითმობთ, თამარ!" — გაიცინა გახარებულმა გიგლამ და თამარს ფამილარულად მხარზე ხელი მოუთათუნა, „სახელგანთქმული სტრადივარიუსის (დამითმია თქვენთვის, დამითმია) მუსიკოსობა მსოფლიოს პირზე აკერია, ამას თქვენგან არ მოველოდი, რაც მართალია, მართალია!"

„ჩემგან თუ სტრადივარიუსისაგან?" -- იხუმრა თამარმა, იქამდეც კი მივიდა, რომ იხუმრა და გაიცინა კიდეც. ლამის ძველებურად ჩაიკისკისა, თუმცა მყისვე შეკრთა და გაჩერდა.

გიგლა წამოჭარხალდა, მუყაოს ფარხმალი კი არაფრით დაყარა: „მოგიტანთ წიგნს და გაჩვენებთ, სადაც ეს სწერია, სადაც სწერია, რომ ლენინი განსაკუთრებული აღმაფრენით უსმენდა თქვენს მიერ უარყოფილ სტრადივარიუსს!" — რაღაც უცნაური შეუვალობით წარმოთქვა გიორგიმ და თამარს ვითომ გოროზად თითი დაუქნია.

„აა, მივხვდი,!" — აღმოხდა შვებით თამარს , — „თქვენ შეგეძლოთ წაგეკითხათ, რომ ლენინი უსმენდა სტრადივარიუსის სახელობის კვარტეტს, და ალბათ, ამ კვარტეტის მოსმენა უყვარდა ლენინს."

„აი, ხომ ხედავთ!" — მართლაც გიჟური შეუპოვრობით წამოიძახა გიგლამ.

„რა თქმა უნდა, ვხედავ, გიორგი, სტრადივარიუსი მეჩვიდმეტე საუკუნეში გარდაიცვალა და მუსიკალური ინსტრუმენტების სახელგანთქმული ოსტატი იყო."

ახლა კი მართლა გაბრაზდა გიგლა-ნიბლა: „მეე, ქ-ნო თამარ, ზოგიერთებივით კაკაოებზე და გოგლიმოგლებზე კი არ ვარ გაზრდილი, მეე სამტრედია-ბათუმის მიმართულებით მატარებელში ტყემალს ვყიდდი და რომ მომაგონდება ის პატარა, ფეხშიშველა ბიჭი, ვამაყობ, რომ დღეს-ხვალ დოქტორი უნდა გავხდე, აბაა!!" და თავისი გულისწყრომა რომ შეერბილებინა, ცალყბად გაიცინა და საგანგებოდ ტალღებად დალაგებულ ქოჩორზეც ცერი და საჩვენებელი თითი მოხდენილად გადაისვა.

ოჰ, შე იდიოტო, შენო, თავის გუნებაში შესძახა თამარმა, თქმით კი შემრიგებლურად უთხრა: „ახლა, ალბათ, უმჯობესი იქნება, თქვენ თვითონ ჩაულრმავდეთ ჩასწორებულ გვერდებს და რაც ეჭვს აღგიძრავთ და არ დაგაკმაყოფილებთ, ჩაინიშნოთ და გადმომცეთ, კარგი?"

„ოო, აუცილებლად, აუცილებლად!!" შესძახა გიგლამ ხალისიანად და თამარიც გახალისდა, კარგ გუნებაზეც დადგა, პატიოსნად და პირნათლად მოიშორა ეს დისერტაცია და თავი ადამიანად იგრძნო. ნინა რიგების პატარა მაგიდიდან, სადაც ისინი ისხდნენ, მაღალ მოაჯირს იქით, გრძელ კარტოთეკიან მაგიდასთან გადაჯდა და მაშინვე ვაჟას საყმაწვილო მოთხრობები გადაშალა, გიგლა ნიბლაძესთან ურთიერთობამ კიდევ უფრო მოაწყურა ნამდვილი მუშაობა, რაკი იმ ჭაობიდან ამოვედი, ახლა ხელს აღარაფერი შემიშლისო.

დღევანდელი დღე მართლაც კარგად იწყებოდა. რაც მთავარია, წუხელ კარგად ეძინა, უებარი გამოდგა ლილის წვეთები, ამშვიდებდა კიდეც, კოშმარებიც მოუხსნა, უკვე რამდენი ხანია სვამდა და თანდათან გამოუკეთდა მდგომარეობა, გამოღვიძებაც აღარ აშინებდა, ის კი არა, ამ დილით, სანამ საბოლოოდ გამოფხიზლდებოდა, ძილ-ღვიძლში, თავის დაუვიწყარ შალვაზე სიზმრისეული ფიქრის დროს, მიხვდა, ვისიც უნდა ყოფილიყო ის გერმანული ლექსი, ორიოდ დღის წინ, ანტიკური პოეზიის ანთოლოგიაში რომ იპოვნა და წუხელ, ოთარის მოლოდინში, თარგმნა კიდეც. ეტყობა, საგანგებოდ ამოელოთ რომელიღაც კრებულიდან და მერე კი ანთოლოგიაში ჩარჩენოდათ. თვალი ჩაავლო და მაშინვე ხელმეორედ მიუბრუნდა. ბოლო დროს ასე არაფერი მოხვედრია გულზე. ეს პატარა ლექსი, — შემცირებული სონეტი (ოთხი, სამი და სამი), -- ზედმიწევნით გამოხატავდა აქაურ განწყობილებას, აქაურ განწირულებას, აი, სწორედ თამარის მიუსაფრობას. ჯერ სათაური რად ღირდა, „ველტენდე" ერქვა. ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს ერთ ბედში მყოფი შორეული მეგობარი უწვდიდა ხელს, და ეს უცნობი მეგობარი აუცილებლად ქალი უნდა ყოფილიყო... ეული ქალი... თამარივით ეული და უპატრონო... განსაკუთრებით ერთი ფრაზა, რომელსაც სწორედ „ქალურ ფრაზად" თვლიდა, ცრემლებამდე აღელ-

ვებდა: „უ! ნირ ნოლლენ უნს ტიეფ კუსსენ". ანტიკურ ანთოლოგიაში ჩასაკრავ თავფურცელს პაპიროსის ქაღალდს აწებებდა, თან ცალი თვალით ისევ ლექსის სტრიქონებს დაჰყურებდა და ერთი სული ჰქონდა ამ გულსაკლავი გერმანული სიტყვებისათვის ქართული შესატყვისი მოენახა. ეგონა, მაშინ კი მიხვდებოდა, ვინ იყო ეს გერმანელი პოეტი ქალი. გარდა ინტერესისა, ცოტა არ იყოს, თაკილობდა კიდეც, რას ჰქვია ვერ ვხვდებიო. ამ დილით კი, ძილ-ღვიძლში, შალვაზე ფიქრის დროს, მიხვდა ვინც უნდა ყოფილიყო ის ეული ქალი, ისევ წარსულის გახსენებამ, შალვაზე ფიქრმა ამოაცნობინა, უფრო სწორად, მოაგონა... ფეხშიშველა გარბოდა მცხეთის ბაქანზე... გული ამოვარდნაზე ჰქონდა... და უხაროდა... ეს არ იყო ის საშინელი სირბილი, კოშმარების დროს რომ დარბოდა ხოლმე და შალვას ეძებდა, არა, პირიქით, შალვას შესახვედრად გარბოდა... როგორ არ არწმუნებდნენ, რა სისულელეაო, რა გაგიჟებააო, ერთი საათის შემდეგ მატარებელი აქ იქნებაო, ამდენი ხანი მოგიცდია და ერთ საათს ველარ მოიცდიო?! ვერა, ვერა, ვერ მოიცდიდა ვერც ერთ წუთს, მარტო უნდა შეხვედროდა, ამდენი ხნის უნახაობის შემდეგ, ყველასაგან განცალკევებით უნდა შეხვედროდა! პატარა ოთარიც კი არ წამოიყვანა! მხოლოდ თვითონ უნდა ყოფილიყვნენ! არავის, არავის არ უნდა შეეშალა ხელი მათი შეხვედრისთვის! ახალი კაბა ჩაიცვა, უნაბისფერი აბრეშუმისა, საგანგებოდ შეკერილი, შალვას გერმანიიდან დაბრუნებისთვის, და ახალი ფეხსაცმელები. თითქოს სულ არ უჭერდა, ერთი-ორჯერ იქამდე უკვე ეცვა კიდეც. მაგრამ მატარებელმა ძალიან დაიგვიანა, მცხეთის სადგურზე მოსვლისას შორს გაჩერდა, გაჩერების ვადა სამჯერ შეამცირეს და თუ თავპირის მტვრევით არ გაიქცეოდა, არა თუ შალვას ველარ შეხვდებოდა, არამედ მეორე დილამდე აქ მოუხდებოდა ჩარჩენა. ჯერ ძლივს მიიკლაკნებოდა, იხტიბარს არ იტეხდა, მერე კი იძრო ფეხსაცმელები და მიუხედავად ფეხების ტკივილისა, ლამის თავქუდმოგლეჯით გაიქცა. მერე კი იდგნენ ვაგონის გასასვლელში, გადახვეულები და ერთმანეთს კოცნიდნენ... აი, ისე, ლექსში რომ იყო ნათქვამი.

კუპეში მაგიდაზე გერმანული ჟურნალი იდო, გადაშლილი, გერმანიიდან ჩამოყოლილი. გზაში კითხულობდა თურმე, რომ

იცოდეო, უთხრა, შესანიშნავი პოეტი ქალის ბალადებია ამ ჟურნალშიო. საკარნავალო კოსტიუმში გამონყობილი ახალგაზრდა ქალი სანოტო პულტთან იდგა და ფლეიტაზე უკრავდა, ფოტოს ქვეშ კი ორი ებრაული ბალადა იყო დაბეჭდილი. რა საოცარია, მას შემდეგ ის გერმანული ლიტერატურული ჟურნალი აღარ უნახავს, კუპეში დარჩათ, თუ გზაში დაკარგეს, არ ახსოვს, და აი, ამ ძილღვიძლში ამოუტივტივდა მაშინ წაკითხული ერთ-ერთი ბალადის სიტყვები: „ოტტ, სცჰლიეჭ დეინენ ანტელ ფესტ...“ ჩურჩულით იმეორებდა და დახუჭული თვალები ცრემლებით ევსებოდა, მაგრამ გაღვიძების მაინც აღარ ეშინოდა. სანამ წვეთები გამთავებია, ლილის რეცეპტი უნდა განვაახლებინოო, გაიფიქრა. არა, მარტო ლილის წვეთებში არ იყო საქმე, წყალნაღებულს და ხავსჩაჭიდებულს როგორც კი საშველად ჩამოანოდეს ხელი, როგორც მისცეს საშუალება სული მოეთქვა და იძულებით შეწყვეტილი საქმეც გაეგრძელებინა, — კვლავ ეკითხა და კვლავ ეწერა, კვლავ ეგრძნო თუ რა ბუნებრივია მისთვის მხატვრულ სიტყვასთან ურთიერთობა, — მაშინვე იმედიც დაუბრუნდა, ცხრა მთას იქით გადაკარგული, ტყვეობიდან გამოქცეული ძაღლივით, ყელზე შერჩენილ, გაგლეჯილ საბელს რომ მოათრევს. მანამდე კი, მთელი ნახევარი წელი ცხვირწინ უჯახუნებდნენ კარებს, მავნებლისა და ხალხის მტრის ცოლი ხარო! თურმე შალვა იყო მავნებელი, თითით საჩვენებელი მეცნიერი, რომელსაც ამ ეგრეთწოდებული მავნებლობისათვის თვითონ ხომ საკუთარი სიცოცხლით უნდა ეგო პასუხი და ოჯახის ნევრებსაც არ უნდა დადგომოდათ კარგი დღე.

ქმრის დაპატიმრების შემდეგ ჟურნალიდანაც დაითხოვეს და ნიგნიც ამოუგდეს. ბინიდან ხომ მაშინვე გამოასახლეს და თავის ჩვიდმეტი წლის ოთართან ერთად მთაწმინდის უბნის ბნელ ჯურღმულში შეასახლეს. მკვლელები! დავლაზე მოთარეშე შარაგზის ყაჩაღები! ლილი კიდევ სერიოზულად არწმუნებდა: უფალს მადლი უნდა შევწიროთ, რომ ჩვენც არ გვიკრეს თავი და ჩვენი შვილები სულ არ დააობლესო.

რატომ, რატომო!! რისთვის, რა დავაშავეთო!! ასჯერ, ათასჯერ, უთვალავჯერ იმეორებდა, გონებას უბურღავდა და სულს უხუთავდა ეს კითხვები.

გაუმწარდათ ცხოვრება, გაუჯახირდათ, ჯერ იყო და რაც შემორჩა ყველაფერს ყიდდა, ციხის ამანათებისთვის, ბიჭის სარჩენად. ეცოდებოდა შვილი, ზოგავდა ოთარს და თვითონ მთელ დღეებს რიგებში ატარებდა, უგრძეს, უხანგრძლივეს, ვარამითა და კვნესით სავსე რიგებში. მოდიოდნენ ლამის ქვეშაგებით და მზად იყვნენ სულის ამოხდომამდე ყოფილიყვნენ, ოღონდ კი ამანათი შეეგზავნათ, ოღონდ კი ამბავი გაეგოთ, ხან ზევით, დიდ, ყვითელ სახლთან, რომლის ბნელ თაღებქვეშ, ბნელ ჯურღმულებში, ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანი გმინავდა; ხან ქვევით, ორთაჭალის ციხესთან, რომლის მკვიდრად ნაგებ, სქელ კედლებზე ამბობდნენ: ალბათ, რეზინისაა, თორემ ამდენ პატიმარს როგორ დაიტევდაო; ხან კი აქოთებულ მაღაზიებთან იდგა ჩამოწყვეტამდე და ჯერ იმის გამო იხეთქავდა გულს, შემხვდება თუ არ შემხვდებაო, და მერე, თუ შეხვდებოდა, ცხრაჯერ უნდა აეწონ-დაეწონა და კაპიკები გულდასმით, ბეჯითად გადაეთვალა: ასი გრამით მეტი ეყიდა, თუ ასი გრამით ნაკლები. ქუჩაში სიარული ხომ შესჯავრდა და შესჯავრდა, ბევრს ისე ეჭირა თავი, ვითომ ვერ სცნობდნენ, ბევრიც აშკარად არიდებდა თვალს, ზოგს კი თვითონ თამარი ველარ იტანდა. იმ საშინელი ამბის შემდეგ კი, მირიან ლაღიძეს რომ შეხვდნენ, რუსთაველზე აღარ გაუვლია, ერთი გაჩერებით ადრე ჩამოდიოდა, გრიბოედოვის აღმართს აივლიდა, შუკებითა და კიბეებით ავიდოდა სასამართლოს ქუჩაზე და ისე გასწევდა თავის ახალი სადგომისაკენ. ოთარის გამო უფრო დაეტანჯა გული, ბიჭმა ადამიანის რწმენა მთლად არ დაკარგოსო. ვერ მიხვდა ოთარი, სრულიად ვერ მიხვდა, მისდევდა და ეძახდა, „ძია მირიან, ძია მირიან!“ მირიანი კი გარბოდა. ცნობილი პოეტი, შალვასი და თამარის ამხანაგი, ლილის დის, მარიკოს ქმარი — მირიან ლაღიძე, სადღეგრძელოს რომ ვერავინ იტყოდა ისე... ესთეტი... საგანგებოდ რომ იცვამდა და საგანგებო თმავარცხნილობას იყენებდა... გულსაკლავი იყო... აგვისტოს ბოლოს, ოთარი იმ დღეს დაბრუნდა კახეთიდან, ახმეტაში სახერხზე მუშაობდა მთელი თვე. სადგურიდან ბრუნდებოდნენ სწორედ. ცოტა ფეხით გავიაროთო, ისე მომენატრა რუსთაველზე გავლაო. ოპერის პირდაპირ სადალაქოდან გამოდიოდა, ახლადგაპარსული, კოხტად შეკვერცხილი თმით. „დედა,

ძია მირიანი! ძია მირიან! ძია მირიან!“ ძია მირიანი კი გარბოდა და ოთარს არ სჯეროდა, რომ მათ გაექცა. გაოცებული უყურებდა, როგორ გარბოდა... ყველაფერი აოცებს, ბავშვივით... „რა საოცარია, არა, დედა?, ჩემო მამულო, შენზე ვფიქრობ მე დღე და ღამე! როგორ ფიქრობ, დედა, ჩვენ არ შევდივართ მამულის ცნებაში?! თუ მხოლოდ სოფლის ფშა და შორეული სახე თამარ მეფისა?!“

ყველაზე საცოდაობა თითქოს მაინც ის იყო, რომ მთვარესავით გაბადრული სახე ჰქონდა, წმინდად გაპარსული მსუქანი ლოყები, თეთრყირმიზი და სალუქი, ხელში კი ახლად გაშლილი გრძელლეროიანი ვარდი ეჭირა, წითელი ხავერდის ვარდი, პიონერული პაწია ალამივით გმირულად მიარბენინა უშიშროების ზონამდე, სადაც ველარ მისწვდებოდა ოთარის ძახილი. ცნობილი პოეტი. ერთი პირლია ვინმე მაინც შეხედავდა აღტაცებით: როგორ უბრალოდ გამორბოდაო... ტრამვაის პატარა ბიჭივით შეახტაო... უბრალო ვიღაცასავითო... ახალგაზრდული სილაღით და სიხალისითო.

არ არსებობს უშიშარი ზონები, არა, არა!! ვერ უშველა სირბილმა, იმის შემდეგ შეიძლება სამიოდ გარბენაღა მოასწრო. თამარი კი იმის შემდეგ სულ თავჩაღუნული დაიარებოდა, ქუჩამ საბოლოოდ დაკარგა მისთვის მიმზიდველობა. განსაკუთრებით რუსთაველი... რა ანდამატი ჰქონდა... როგორ უყვარდათ თამარსა და შალვას რუსთაველზე გავლა... ოპერის შემდეგ დაპატიჟებდნენ ლილისა და ირაკლის ორიანტში და მერე აუცილებლად ფეხით გამოუყვებოდნენ სახლისკენ... რამდენი ნაცნობი ხვდებოდათ, რამდენი ახლობელი... ყოველ წუთს სალამ-ქალამი, შეჩერება, მოკითხვა, სიტყვის გაზიარება... ირაკლიმ ბორისი რომ იმღერა ისე დიდებულად. ტაში არადა არ წყდებოდა, ხუთჯერ გამოიყვანეს თავის დაკვრისთვის, ულოცავდნენ და ულოცავდნენ... ტანმომცრო ლილი ყვავილებში იყო ჩაძირული. ირაკლის საპირფარეშოში დატოვეს ყვავილები, წყლიან ვედროში, ხვალ წამოვიღებთო; ლილიმ ერთი თაიგული, დიდებული გიორგინებისა, თამარს გასდასცა, თვითონაც თავმომწონედ მიიხუტა გულზე ვარდების კონა და ვახშმად წავიდნენ. შალვა ეხუმრებოდა ირაკლის: ამოდენა ბორისის შემდეგ, ახლა შენ ერთი ინდაური

არ გეყოფაო. ინდაური არა, მაგრამ კიევურ კატლეტებზე კი უარს არ ვიტყოდიო და მართლაც, ორი პორცია შეჭამა, ლილის პროტესტის მიუხედავად. იმ ღამეს მაინც რამდენი ისეირნეს... ლილიმ მოითხოვა: ამხელა სპექტაკლისა და ასეთი ვახშმის შემდეგ აუცილებლად გზა უნდა გავიგრძელოთო და ორიენტიდან მოედანზე გავიდნენ და იქიდან მთელი რუსთაველი ფეხით გამოიარეს... რა შესანიშნავი იყო რუსთაველი... ისეთი მშობლიური... ისეთი ინტიმური... თითქოს ყველაფერი, ქუჩაც, სახლებიც, ხეებიც, ალერსიანად გელამუნებოდა... ახლა კი... ახლა... თვითონ დარბეულსა და აკლებულს, რუსთაველიც და მთელი ქვეყანაც გავერანებული და მიუსაფარი ეჩვენებოდა, სისხლის ცრემლებით მტირალი... სწორედ ასეც უთხრა მარიკომ, არა, კი არ უთხრა, შესტირა, უმწეოდ, სასონარკვეთით, ხელების მტვრევით: სისხლის ცრემლებით ტიროდა მირიანიო.

თამარს და ლილის კი არ დასცალდათ გულის მოოხება, მოირბინა ქეთინომ და ორივეს სიტყვა პირზე შეაშრა, დამცინავი, გასაბიაბრუებელი, სულის მოსათქმელი სიტყვები; გამტკნარებულები შეაჩერდნენ ერთმანეთს, მერე მოწყდნენ ადგილს და მარიკოსთან გაიქცნენ, ჩანთაში კი ვალერიანის შუშებს ჩხარაჩხური გაუდიოდა. „კარგად ყოფილა შენი საქმე, იმ კოშმარებისა და სიზმრების შემდეგ ვალერიანი თუ გშველისო", ლილიმ უთხრა, „მე გამოგიწერ შესანიშნავ შემადგენლობას, დაგაძინებს, დაგამშვიდებს და კოშმარებსაც მოგიხსნისო, მე თვითონ ამით მიდგეს სული, ბ-ნმა პეტრემ მასწავლაო". მართლაც ძალიან ჭირდებოდა ასეთი წამალი, თუნდაც იმისთვის, რომ ოთარი აღარ დაეფეთიანებინა თავისი განწირული ძახილით. წამოვარდებოდა მაშინვე შეშინებული ბიჭი, დაადგებოდა თავზე, დაალევინებდა ვალერიანის წვეთებს, ჩამოუჯდებოდა საწოლზე...

ლილი ნამდვილი გაჭირვების ტალკვესია. ის იყო აფთიაქიდან უნდა გამოსულიყო, ლილის მოჰკრა თვალი, პალმის ძირას სოკოსავით შეყუჟულიყო, აღარც მშვენიერი ქალის ყელმოღერება, აღარც კარგი პროფესიონალის დამოუკიდებლობა, აღარც ცნობილი მომღერლის ცოლის თავმოწონება, იდგა რაღაც საცოდავად აბუზული და აფთიაქის შემინულ კედელს მიშტერე-

ბოდა... ცხადია, ოპერისკენ ალმაცერად იყურებოდა, სამოთხიდან გამოდევნილი ევასავით, თამარს კი წინალამით ცუდი სიზმარი ენახა, მთელი დღე მოწამლული დაიარებოდა და ლილის მაშინვე ის უთხრა: რამე ხომ არ გაგიგია ჩვენი პატიმრებისო, სიზმარი ვნახე ცუდიო. ოჰ, შენა და შენი სიზმრებიო, სწორედ ოთარივით უთხრა ლილიმაც, იცოდე, თუ სიკვდილი ნახე ვინმესი, ეს ძალიან კარგია და შებრუნებით ასრულდებაო. გააჩნია სიკვდილსაო, ლამის ამოიკვნესა თამარმა და მაშინვე თავისი სიზმრის მოყოლას შეუდგა... ვითომ ცარიელი იყო რუსთაველის პროსპექტი, არც ტრამვაი, არც მანქანა, არც ეტლი... და ჩამავალი მზის შუქით განათებული, უცნაური, გაცრიატებული შუქით... ტროტუარებზე აქეთ-იქით ხალხი იყო ჩამწკრივებული, მაგრამ სიჩუმე იყო ჩამოწოლილი, არავინ ხმას არ იღებდა, გეგონებოდათ ძალად მოყვანილი ხალხიაო. არადა, ვითომ ვიღაც ცნობილ ჟონგლიორს დიდი ატრაქციონი უნდა გაემართა. თამარს კი ეშინოდა, ოჰ, როგორ ეშინოდა, ეხვეწებოდა შალვას, წავიდეთო, ლილისა და ირაკლისაც თხოვდა, არ გვინდა ეს ატრაქციონიო, არ გვინდაო, გული ცუდს მითქვამსო. „რა არის, თამარ", უკმაყოფილოდ ამბობს შალვა. „შენ ბოლო დროს გული სულ ცუდს გითქვამს". „მართლა, თამარ, თუ რამე საშიში იქნება და აი, ოპერა, შევალთ და ეგ იქნება." ამშვიდებს ირაკლიც. აგერ ჟონგლიორიცო, დაიძახა ლილიმ და მართლაც, შორს, შუა პროსპექტზე, თითქოს მიწიდან ამოიზარდაო, ისე აისვეტა შავ ფრაკში გამოწყობილი, შავ ცილინდრიანი ელეგანტური კაცი, მან ხელში ჯოხი აღმართა და შუა ხაზზე გამოსრიალდა... სხარტად მოსრიალებდა, მოცეკვავდა, პირუეტებს აკეთდება, ჯოხს ათამაშებდა... ანაზდად ჯოხი დაგრძელდებოდა, დაგრძელდებოდა, წითელ ბაფთად იქცეოდა, რკალებად გაიკლაკნებოდა ჰაერში, თვალწარმტაც ფიგურებს მოხაზავდა, მერე ისევ დაპატარავდებოდა, დამოკლდებოდა, ისევ ჯოხად გადაიქცეოდა... „ღმერთმანი, შალვა, ასე ჩაცმული რომ არ იყოს, ნამდვილად ქაჯი მეგონებოდა..." ამბობს თამარი. „ქაჯი რასაც გინდა, იმას ჩაიცვამს, თამარ." „რას ამბობ, შალვა, „ვეფხისტყაოსნის" ქაჯს შეიძლება ფრაკი სცმოდა?" „ოოჰ, რა შუაშია „ვეფხისტყაოსანი", როცა ეს ჩვენი, საბჭოთა ქაჯია..."

„წავიდეთ, შალვა, გეხვეწები წავიდეთ". „მთავარი ატრაქციონი ეხლა იწყება, თამარ".

„მთავარი ატრაქციონი! მთავარი ატრაქციონი!" ისმის ხალხში. ჟონგლიორი უკვე მოუახლოვდა ხალხს და ჯოხი შემართა. თამარი შალვას ეკვრის და თან თვალი ვერ მოუცილებია ჟონგლიორისთვის, რა საოცარია, მკაფიოდ, მკაფიოდ ხედავს ჯადოქრულად აელვარებულ ყვითელ თვალებს და ამ სიყვითლეში შავად ამოწვერილ გუგებს. ჟონგლიორი თვალებს აქეთ-იქით ატრიალებს და ხალხს ჩაციებით ათვალიერებს... ხალხი კი დგას გამტკნარებული და შეჰყურებს, რა მოხდება... აგერ ჯოხი ისევ დაგრძელდა და უსაშველოდ გრძელ ბუზების სახოცად იქცა. დატრიალდა ჟონგლიორი და ხან აქეთ გამოაშხუილა ბუზების სახოცი, ხან იქით, ხან აქეთ, ხან იქით, თან გახარებული თუ აღტყინებული მალაყებს გადადიოდა, ბუქნაში ამოდიოდა, მერე კი ისევ იწყებდა თავის წმინდა საქმეს. ვისაც მოხვდებოდა ბუზების სახოცი, ადგილზე შეშდებოდა და სულ მალე, რუსთაველზე მკვდრების ტყე აღიმართა, ფეხზე მდგომი მკვდრებისა. „მე ექიმი ვარ და დამიჯერე", ეუბნება ლილი ჩვეულებრივი კილოთი, ვითომც აქ არაფერიო, „მკვდრებს არაფერი ეშველებათ, ხომ ხედავ, შალვაც, ირაკლიც მკვდრები არიან..." „შალვა, შალვა, შალვა!" მაგრამ შალვა აღარც ხმას იღებს და შუშის თვალებითაც ველარაფერს ხედავს. „წავიდეთ, თამარ, წავიდეთ! ლილი ხელს ჰკიდებს თამარს, მკვდრებს გამოარიდებს, მერე კი ისევ ისეთი განურჩეველი კილოთი ამბობს: „ირაკლისაც თვალები ღია დარჩა, ანუ როგორც პოეტი იტყოდა: „მას გახელილი დარჩათ თვალები". „გაჩერდი, ლილი, გეხვეწები გაჩერდი..." გეუბნებოდი, ლილი, და ისე ვტიროდი, ისე ვტიროდი, ასე მეგონა გული გამისკდებოდა..." დაამთავრა თამარმა თავისი სიზმრის მოყოლა. „აი, ხომ გეუბნებოდი, თამარ, ძალიან კარგი სიზმარი გინახავს, ვისაც გინდა ჰკითხე, თუ სიზმარში სიკვდილი სიცოცხლეს და ბედნიერებას არ ნიშნავდეს, ის ჟონგლიორი კიდევ, ოპერის მეფისტოფელი გინახავს და ეგ არის, ირაკლის ხომ სწორედ მასე ეცვა, მეფისტოფელს რომ მღეროდა, ისე რომ გული შიგნით და თავი მაღლა!" „ლილი, ჩემო ლილი", გული მოიცა თამარმა, რა კარგია რომ სწორედ დღეს შევხვდით ერთმანეთს".

ლილი კი თურმე ქეთინოს უცდიდა. „მირიანს მე რომ დავენახე, ალბათ ფანჯრიდან გადახტებოდა და ქეთინო მაინც ბავშვია, რა ვქნა, აიჩემა ბელა მომენატრაო, ხომ იცი როგორ უყვარდათ ერთმანეთი, დებივით შეზრდილი არიან და წამოვიყვანე, იქ არის ახლა, მათთან... მარიკო გიჟდება, მაგრამ ვერაფერი გაუწყვია... ეუბნებოდა ლილი. „საწყალი კაცი“, დამცინავად გაიღიმა თამარმა, „ვერც გაამტყუნებ, გამსჭვალულია შეგნებით, რომ პოეტის სიცოცხლე ხალხს ეკუთვნის, ამიტომ მთელი არსებით ცდილობს ერსა და სამშობლოს როგორმე თავი გადაურჩინოს...“

ლილიც წამოყელყელავდა, თავი ადამიანად იგრძნო, ძველებურად დააკვესა მშვენიერი იისფერი თვალები: „მაგისი პოეტობა აქ აღარსად ეტევაო, თავის ლექსებიანად ირაკლის ფრჩხილად არ ღირსო და რაც ირაკლი დაიჭირეს, ერთხელ არ მოსულა ჩვენთან, ერთხელ არ ვუკითხავარო“... „მეც ახლა გამეხილა თვალებიო“, ბანი მისცა ლილის თამარმა, „თუმცა ყოველთვის ვიცოდი, რომ ხუთი თითიც მეტია მაგისი შედარებით ხეირიანი ლექსების ჩამოსათვლელადო, მაგრამ თვითგანდიდების ნამდვილი ოსტატია და პირღიებს კიდევ რა გამოლევს ქვეყანაზეო...“ ლილი ლამის ჩაკუჭკუჭდა: „მარიკოს თავისი ქმარი მეორე პეტრარკა ჰგონიაო, და სხვას რაღა უნდა მოვთხოვოო...“ პირი პირს ჩააბეს, გახალისდნენ, გული მოიოხეს, ერთმანეთი მოასულდგმულეს... მაგრამ არ დასცალდათ და არც შეერგოთ, შემინული ვიტრინიდან ქეთინო დაინახეს, თავქუდმოგლეჯილი მორბოდა, გაწეწილ თმებს მოაფრიალებდა, განვდილ ხელში კი ბაფთა ეჭირა... აფთიაქის კარს ჯახანი გაადენინა: ... „ძია მირიანი დაიჭირესო, დეიდა მარიკომ მე და ბელა ძია ილიკოსთან გაგვგზავნაო, შენთან დამაბარა, ჩქარა წამოდიო. ძია ილიკო სახლში არ დაგვხვდა და ნეტავ იმასაც ხო არ დაიჭერდნენო, იმიტომ, რომ არავინ არ იყო სახლშიო... დეიდა მარიკო კიდევ ტირის, ტირის, ტირისო“.

თამარი და ლილი ერთმანეთს შეაჩერდნენ... მერე კი მოსწყდნენ ადგილს და მარიკოსთან გაიქცნენ. აი, სწორედ მაშინ კი შესტირა მარიკომ: თქვენთან შეხვედრის შემდეგ გულის შეტევა დაემართა მირიანსო. ყველაზე მეტად რამ შეაძრწუნა თამარი და ლილიმ აიჩემა, ბარემ რეცეპტს გამოვწერო, ჩემს შემადგენლობას გამოგიწერო და მირიანის სანერ მაგიდაზე ბროლის

დიდი სამელნეც და პატარა სამელნეებიც დამშრალი იყო, სრულიად დამშრალი... მელნის ნასახი არ ამოჰყვა კალმის წვერს. იდგა და ენაჩავარდნილი დაჰყურებდა დამშრალ სამელნეებს... სხვა არაფერი გაჰკვირვებია... რა თქმა უნდა, აწენილი ბინა, გაჩხრეკილი და გაუპატიურებული, მძიმე დასანახი იყო, მაგრამ ეს ყველაფერი მომხვდურების ნამოქმედარი იყო, მომხვდურების აკლებული და ძირს დაცემული...

მარიკო გაუბრაზდა თავის დას: რა დროს რეცეპტის გამოწერაა, ვერ ხედავ, რა ხდებაო, მაგრამ ლილიც არ შეეპუა, აგერ თამარს კოშმარები სტანჯავს და თურმე ვალერიანის ანაბარად არისო. მარიკოს ისევ გადმოსკდა ცრემლები: ოთხი თვეა უბრალოდაც არ მიჰკარებია საწერ მაგიდასო, ერთი სიტყვა არ დაუწერიაო... ათი წლის ბელამ ამოათრია წიგნების ქვეშ მოყოლილი თავისი ჩანთა, ამოიღო მოქსოვილბუდიანი მოწაფის სამელნე და ლილიმ მაინც გამოუწერა თამარს ის თავის შემადგენლობა.

...ბოლოს მაინც გამოუწოდეს ხელი, აღარ მიუჯახუნეს კარები.

უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი თარგამაძემ ივაჟკაცა, არც სპეცგანყოფილების ფხიზელ თვალს მოერიდა, არც პარტიისა და კომკავშირის კომიტეტებს შეეპუა, გაისარჯა, გადადო თავი და უნუგეშოდ დარჩენილი მთარგმნელი ქალი, თავიანთი რეპრესირებული პროფესორის ცოლი, უნივერსიტეტში მიიღო სამუშაოდ. მართალია, გიორგი თამარისთვის უბრალოდ გოგი იყო, შალვას კარგი ახლობელი, ისინი ერთად იყვნენ მივლინებული გერმანიაში, უნივერსიტეტშიც ერთად მოღვაწეობდნენ, გოგიმ შესანიშნავად იცოდა შალვას ფასი და მის დაღუპვას აუნაზღაურებელ დანაკლისადაც თვლიდა ჩვენი მეცნიერებისათვისაც და უნივერსიტეტისთვისაც, მაგრამ ამ გაგანია რეპრესიების დროს, ამ ჟამიანობაში ნამდვილ გმირობას უდრიდა მავნებლისა და ხალხის მტრის ცოლის სამუშაოზე მიღება; თანაც სადა, იმავე დანესებულებაში, მომავალი თაობის ერთ-ერთ დიდ სამჭედლოში, სტუდენტთა ბიბლიოთეკა-სამკითხველოში.

თამარისათვის გაიღო სწორედ ის კარი, რომელიც შალვასთვის საბოლოოდ დაიხურა. ერთ დროს წარმატებული მეცნიერი

კინნისკვრით გამოდევნეს უნივერსიტეტიდან, და მაშინ გოგიმ ვერაფერი გააწყო. ვერც აბსურდული ბრალდებებისაგან დაიცვა, ვერც ლანძღვა-გინებისაგან დაიფარა. ახლანდელი თავგამოდებაცო, მწარედ ფიქრობდა თამარი, ალბათ სწორედ იმ ამბებმა განაპირობაო. და როგორი მძიმეც არ უნდა ყოფილიყო აქ მოსვლა, მაინც ნამდვილი ხსნა იყო მუშაობის დაწყება და დაკარგული სოციალური სტატუსის აღდგენა, ნაწილობრივ მაინც.

პირველად რომ შემოვიდა მზითა და სინათლით სავსე, რაც მთავარია, უამრავი წიგნით სავსე იმ დიდ დარბაზში, მღელვარებისაგან სული შეუგუბდა, შემკრთალი და აწურული გაჩერდა კარებთან... ყველაფერი ნაართვეს, მაგრამ ყველაზე მწარედ წიგნების წართმევას განიცდიდა. სხვა აღარაფერი ადარდებდა, სურათებიც კი აღარ, მხოლოდ წიგნებს მიამტკივნებდა გულს და ასე ეგონა, როგორც შალვას დაღუპვას ვერასდროს ვერ მოინელებდა, ისე თავიანთი ბიბლიოთეკის ნაგლეჯასაც ვერა და ვერ შეეგუებოდა. შეუპოვრები გამოდგნენ ის ბიჭები, ბინის დასალუქად რომ მოვიდნენ; სამნი იყვნენ, ახალგაზრდები და შნოიანები, ახალ ფორმებში გამოწკეპილები, თვითონაც ახალბედები ჩანდნენ, სოფლელი აქტიური კომკავშირლები, დარწმუნებულები, რომ მტრის ბუნაგში მოხვდნენ და განუხრელად უნდა შეასრულონ ყველა ულმობელი მითითება, თან ერთმანეთის წინაშეც თავი გამოიდონ. მიუხედავად თავისი გაჭირვებისა, თამარს მათ გამო მაინც დასწყდა გული, ორასი წლის წინ ოთარი და ეს ბიჭები ერთად წავიდოდნენ მტერთან საბრძოლველად, ახლა კი მათ შორის ენკავედეს გამთიშველი კედელი აღმართულაო... ოთარი ახალი მოსული იყო სკოლიდან, კვერცხებს თქვეფდა თამარი, ერბოკვერცხი უნდა გაეკეთებინა და იმ ერბოკვერცხის შეჭმაც არ დააცადეს ბიჭს, ისე აჩქარებდნენ, თქვენისთანებთან დღეს ბარემ თხუთმეტთან უნდა მივიდეთ და თუ ყველამ ერბოკვერცხების ჭამა დაიწყო, კარგი დახლიც დაგვიდგებაო.

პირველი რა გააკეთეს და მოსვლისთანავე დაკეტეს კედლებთან მიჯრით ჩამწკრივებული წიგნების კარადები და გასაღებები ჯიბეში ჩაიდეს. გადირია თამარი, ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ყოფილიყო უამწიგნებოდ, როგორ უნდა ემუშავა, როგორ

უნდა ეარსება... მაინც სამართლიანობას ეჭიდებოდა: შალვა იმ-დენად სპეტაკი და უდანაშაულოა, იმდენად საჭირო ადამიანია, აუცილებლად გაარკვევენ ყველაფერს და გამოუშვებენო, ამა-სობაში კი ჩვენი ბიბლიოთეკა რომ გაიფანტოს, შალვას წიგნე-ბი გაწეწ-გამოიწეწოს, რაღა ვქნა მერე და შალვას რა პასუხი გავცეო. იმ ფორმიან ყმაწვილებსაც ეს უთხრა, თან გულუბრყ-ვილოდ გააფრთხილა: იცოდეთ, მერე თქვენთვისვე უარესი არ იყოსო. სიცილადაც არ ეყოთ, მადლობა თქვით, რომ, როგორც მავნებლის ცოლი, ჯერ არ მიუბრძანებიხართო, თქვენისთანა მეტმეცნიერები არიან სწორედ კაპიტალიზმის დაქირავებული აგენტებიო.

თამარს ენა მუცელში ჩაუვარდა, აღარც არაფერი უთქვამს. უჩუმარი პირით შეუდგა პირადი ნივთების შეგროვებას... ამა-სობაში ოთარი სარდაფში ჩასულიყო მაფრაშების ამოსატანად...

ფორმიანი ბიჭები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს დედა-შვილს, არიქა, და ხელს ისეთი არაფერი გააყოლონ, რისი უფ-ლებაც არა აქვთო. კაცმა რომ თქვას, არც არაფრის უფლება არ ჰქონდათ, ლოგინისა და პირადი ნივთების გარდა, ჰოდა, ისი-ნიც, იატაკზე ჩაჩოქილები, მაფრაშაში ალაგებდნენ ქვეშაგებსა და საცვლებს...

თამარს ბოლმისაგან ხელები უჩერდებოდა, ყოველ წუთს მზად იყო ცრემლები წასკდომოდა... სასოწარკვეთილი გახედავ-და ხოლმე წიგნებს, შალვასი და თავისი ხელით კოხტად ჩარი-გებულს კაკლის ხის მოჩუქურთმებულ, ოქროსფერ კარადებში, ცხადია, ვილაცას ჰქონდა დადგმული თვალი ჩვენს ბიბლიოთე-კაზეო, გაიფიქრა და ერთბაშად ტყესავით შემოეჯარა ეს წიგნე-ბი... ყოველი მხრიდან... სხვა ველარაფერს ხედავდა და აღარაფე-რი უნდოდა ამ წიგნების მეტი... რომელი ერთი ეჩივლა, რომელი ერთი... ლექსიკონები და ენციკლოპედიები, მთელი ორი კარადა, ლამის ყოველდღიურად რომ სჭირდებოდა!? თუ შალვას ძვირ-ფასი ბიბლიოთეკა ეკონომიკასა და ფილოსოფიაში, პეტერ-ბურგიდანა და გერმანიიდან გამოგზავნილი და ჩამოტანილი!? და პოეზია და ბელეტრისტიკა? რა უნდა ექნა, რა წყალში გადა-ვარდნილიყო?! ისინი ხომ ადრე სიყმაწვილიდან წიგნების გაუ-თავებელ ჩუქებაში იყვნენ. გაფოთლილი, რომანტიკული წარნე-

რებით, ძახილის ნიშნებით და მრავალწერტილებით, სანუკვარი მოგონებების ქარაგმული მინიშნებითა და დაშიფრვით... თანდათან ეს წარწერები სადა, უბრალო და ლაკონური ხდებოდა და რაოდენ ბევრის მომცველი იყო, ბევრის კი არა, მთელი სიცოცხლის და მთელი მათი ურთიერთობის, სწორედ ეს ორი სიტყვა „ჩემს შალვას“ და „ჩემს თამროს“, ბოლოდროინდელ საჩუქრებს სახელდახელოდ რომ მიაწერდნენ ხოლმე...

ეს ყველაფერი უნდა დაეტოვებინა... რისთვის... ან ვისთვის...

ვის უნდა ეწერა მათი წიგნები, ვის... თურმე რა ამაოდ ფიქრობდნენ ორივენი, რომ მათი წიგნები, სწორედ წარწერებიანი წიგნები მათ შვილიშვილებს უნდა დარჩენოდათ, ანცი ღიმილით ჩაეყოლებინათ თვალი ამ გაფურჩქნული წარწერებისთვის, უყურე, პაპას და ბებიას როგორი აღმაფრენით ყვარებიათ ერთმანეთიო!? დაე, გაეცინათ, თუნდაც, გულიანად გასცინებოდათ, მათ შორის ვინმე მაინც აღმოჩნდებოდა იმისთანა (შალვას და თამარის გულისთქმა არ დაიკარგებოდა, არა), ვინც სხვაგვარი გულისყურით მოექცეოდა ამ წიგნებს, სხვაგვარი სასოებით, სხვაგვარი ჩაღრმავებით წაიკითხავდა! როგორც თვითონ თამარი ექცეოდა გამზრდელი მამიდა თამროსი და მისი ფინელი ქმრის, ძია კიმის წიგნებს, მოფენილს ირმებიანი ექსლიბრისებით, როგორც თამარი დაჰკანკალებდა პაპა ოთარის ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანს“, გამორჩეულად, საგანგებოდ დაჰკანკალებდა, აგერ, შუა კარადის თაროზე ცალკე ჰქონდა გამოფენილიო და მის წინ ვერცხლის პაწია, ჯვრებიანი სასანთლე ედგა. მაინც რა გარეწრები გამოდგნენ ის ბიჭები, რა ღვთის პირიდან გადავარდნილები, არაფრით არ დაანებეს. არაფრით ახლოს არ მიაკარეს... ოთარი გაბრაზდა, აენთო, იცით, ეს რა წიგნიაო, აღელვებული ეუბნებოდა ფორმიან ბიჭებს, ეს ჩვენი ოჯახის რელიქვიააო! თამარს შეეშინდა ხათაბალაში არ გავხვიო ბიჭიო, თვითონვე ეხვეწებოდა: ახლა, რაც არის არის და მერე ვიდაოთ და ვიზრუნოთ დაბრუნებისთვისო. „გაიგეთ და შეიტყეთ, წიგნებს თვენგნივ ხელი არ ეხლებაო“, იმ სამიდან ერთ-ერთმა უთხრა, ყველაზე ნორჩმა და ახალგაზრდამ, ვარდისფრად რომ უღუოდა ლოყები და ხელებგაშლილი აეყუდა კარადას. ეს ძველებური ფორმა „თვენგ-

ნივ“ ახლა უსიამოვნოდ გაეჩხირა ყურში, ალბათ, ახლომახლო სოფლიდან იქნებიანო, გაიფიქრა, რადგან სამივეს ერთ სახედ და ერთ არსებად აღიქვამდა. სამივე ერთ კილოზე იყო მომართული, ამათთან ლაპარაკსა და შეგონებას აზრი არ ჰქონდა, — და მუშტიკრივზე ხომ ვერ გადავიდოდნენ! ოჰ, როგორ ნანობდა, შარშან თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან რომ იყვნენ ჩამოსულები და ამ „ვეფხისტყაოსანს“ სთხოვდნენ, ვერ გაიმეტა, სანამ ცოცხალი ვარ, არ შემიძლია შეველიოო... ამ წიგნთან მთელი თავის არსებით იყო დაკავშირებული და შესისხლხორცებული. საუკუნენახევრის წინ თამარის შორეულ წინაპარს, კისისხეველ ზურაბა ქობულაშვილს ეთქვა თავისი თოთხმეტი წლის ვაჟისთვის, თელავის სემინარიის შეგირდისთვის: „ბიჭო ოთარო, შენს წერა-კითხვას მაშინ დავიჯერებ, „ვეფხისტყაოსანს“ თუ გადამიწერო, ჩვენი წიგნი, აგე, უკვე დაიხა და დაიფურცლა და „უვეფხისტყაოსნოდ“ ხომ ვერ ვიქნებითო? თანაცა, ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანზედა“ მააქვს გული შევარდნილიო; რაც იმ ცინგლიან თურქესტანიშვილთანა ვნახე, სულ ის წიგნი მიდგეს თვალწინო. ჰოდა, შენ კიდევა სთხოვე ბატონიშვილებსა, კარგა ჩაკვირვებითა ნახე, ნიმუშები აიღე ასოებისა და ყველაფერი იმისებურად გააწყეო“. ქაღალდისთვისაც კაი საღირალი გამოელო ზურაბას, კაი მსუქანი დეკეულის ნაფასური, და მშვენიერი ქაღალდიც შეეძინა. ყრმა ოთარიც შესდგომოდა წერას. ახლა ლექციებიც ხომ ჰქონდა იმ თავის ფილოსოფიურ სემინარიაში და წელიწადნახევარი მოსდომნოდა. ყოველივე ამის შესახებ ბოლო ფურცლის მინაწერში იყო ნათქვამი: „ათხუთმეტი თუე არცა ჩილიკას გამოვკიდებივარ, არცა ბურთსაო“... „არცა მიჯირითია, არცა მილახტავია და არცა სანადიროდ წავჰყოლივარ ბატონიშვილებსა და მამაჩემს ზურაბსაო“. აკი შალვა ხუმრობით ეუბნებოდა ხოლმე თამარს: „როცა ჩემი წინაპრები ხინკლის წვენსა ხვრეპდნენ და ხბორებს დასდევდნენ, შენი მამა-პაპა „ვეფხისტყაოსანს“ ასე დიდებულად იწერდა და ასე მუყაითად კითხულობდაო“. დიახაც რომ ასე იყო! იმ შორეული ყრმა ოთარის ბადიში, თამარის საყვარელი პაპა ოთარი წიგნს გვერდიდან არ იცილებდა. მთელი საუკუნის ხმარებით შელახული, ახალ, ძვირფას ყდაში ჩაესმევინებინა

ცნობილი თელაველი მეყდე ფირუზასათვის, ხბოს მოჭვრეთილი ტყავი ვერცხლით გაეწყო და სათაური კი წვრილი ფირუზით მოეკირნყლა. სწორედ ამ „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობდა აივნის ტახტზე მუთაქებზე დაყრდნობილი, მეზობელ მემამულეს, ესტატე ჩიჯავაძეს რომ ამოევლო და ორლობიდანვე შემოეძახა: „ოთაროო, კაცო, რას აკეთებ, რა ცუდუბრალოდ ირჯებიო!?“ ითაკილა თურმე პაპა ოთარმა, გადადგა აივანზე წიგნით ხელში. ცისფრად ააციმციმა ფირუზებით მოკირნყლული „ვეფხისტყაოსანი“. „ცუდუბრალოდ კი არ ვირჯები, აი, რასა ვკითხულობო“. „რა ამბავია, კაცო, ეგრე ხელიდან გაუგდებლივ წიგნის კითხვაო“. შემოსძახა თურმე გაგულისებულმა ჩიჯავაძემ, „აგე, თელავიდან მოვდივარ და ცუდი მახარობელი ვარო, უნდა გამოსცხადებულიყავ თურმე და რო არ გამოსცხადდი, გრძელი მინდვრის ვენახს გიყიდიან და მღვდელი შიუკოვი ყიდულობსო“.

არ დაიმჩნია თურმე აღელვება, თუმცა არხეინიც ძალიან იყო, და რაც მაშინ იმ ჩიჯავაძეს აივნიდამ ომახიანად გადმოსძახა, მერე კისისხევში ყველა იმეორებდა, — პაპა ოთარის ბედოვლათობისა და მწიგნობრობის აღასნიშნავად, თამრიკოსთვის კი სიყვარულით მოსაგონი იყო ის სიტყვები: „ვენახს თუ მიყიდიან, „ვეფხისტყაოსანი“ ხო მრჩება და მე ესეც მეყოფაო!“

თამარს, ცხადია, შინაურებმა ბავშვობიდანვე შეაყვარეს „ვეფხისტყაოსანი“, ჯერ იყო და სულ პაწიას პაპა ოთარი დაისვამდა ხოლმე ცალ მუხლზე და ხან ზღაპარივით უამბობდა, ხან აფორიზმებს ასწავლიდა, მერე კი, თავისი ობოლი ძმისწული მამიდა თამრომ პეტერბურგში რომ წაიყვანა, იქ „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა რიტუალის ხარისხში აჰყავდათ. საქართველოს გარეთ ცხოვრება და არაქართველი ქმარი მამიდა თამროს საქართველოს სიყვარულს უასკეცებდა და უკიდურესად, ლამის აგრესიულად უღვივებდა, იგი ყოველივე ქართულის გადაბრჯენილი და შეუპოვარი დამცველი იყო. ჯვარისწერის წინ ხნიერი საქმროსთვის, — მამიდა თამრო მთელი ათი წელი კისისხევის, გავაზისა და საცხენის სკოლებში მშობლიურ ენას ასწავლიდა და მასწავლებლობას თავის მოწოდებადაც თვლიდა. მით უმეტეს, უკვე ოცდაათს მიტანებული, გათხოვებაზე აღარც ფიქრობდა. მაგრამ ბედად, საცხენის სკოლის დირექტორს, ხნიერ გავრილა

ნიკიტიჩს, სტუმრად თავისი პეტერბურგელი მეგობარი ჩამოუვიდა, სამართლის პროფესორი, გარუსებული ფინელი, ქვრივი და მარტოხელა კიმ ბუმბერგი, -- გაგულისებითა და ძერასავით თვალების გაელვებით ეთქვა: „ქართულს თუ არ ისწავლით, ჩვენი ერთად ცხოვრება წყლის ნაყვა იქნებაო". ბუნებით რბილი და ინტერესებით სავსე საქმრო, თან საცოლეზე თხუტმეტი წლით უფროსი, ხნიერი კაცის გატაცებით დათანხმებოდა და, მართლაც, ქართულიც ესწავლა და საქართველოს კულტურითაც დაინტერესებულიყო.

„აბა, ჩემო გოგო", ეტყოდა მამიდა თამრო პატარა თამარს, „ხომ არ დაგავიწყდა დღეს რას ვაკეთებთო?" დავიწყებულიც რომ ჰქონოდა, კილოზე მაშინვე მიხვდებოდა, რაც უნდა გაეკეთებინათ, უნდა აენთოთ ორი ვერცხლის შანდალი წმინდა კელაპტრებით, პატარა თამარს ძირს, ხალიჩაზე ფეხი მოერთხა, სანდალოზის ხის ლამაზად დაჭრელებულ დაბალ დასადგარზე „ვეფხისტყაოსანი" გადაეშალა (სწორედ პაპა ოთარისეული, რომელიც მამიდა თამროს გათხოვების შემდეგ მამისაგან საჩუქრად მიეღო) და მკაფიო გამოთქმით და „გულითადი კილოთი" კითხვას შედგომოდა. მამიდა თამრო და ძია კიმი იქვე სავარძლებში ისხდნენ და სასოებით უსმენდნენ.

ერთ დღეს ძია კიმმა თავისი „უნიჭიერესი ქართველი სტუდენტი" მოიყვანა, თამარი მაშინ ცამეტი წლის იყო. მამიდა თამრომ თვალები ჭყიტა: ამ მშვენიერმა ყმაწვილმა, რომლის ონავრულსა თუ დამცინავ გამოხედვას ყალყზე შემდგარი, ნამჯისფერი ქოჩორი გზნებასა და მღელვარებას მატებდა, „პალტო გავიხადეო"-ს მაგივრად „პალტო ჩავიხადეო" — თქვა. თამარი აკისკისდა და ისე აკისკისდა, ვეღარ ჩერდებოდა. მამიდა თამრო კი გაწყრა, ტაში შემოჰკრა, ახალგაცნობილ ყმაწვილკაცს თავზე კაკალი ამტვრია, ეს რა ქართულით ლაპარაკობთო. თურმე კადეტთა კორპუსი ჰქონდა დამთავრებული და ნახევრად გადარუსებული იყო. მერე ოჯახში ვერ გასწავლესო!? წარბები შეყარა დაუცხრომელმა მასპინძელმა, ოჯახია მშობლიური ენის შემნახავი, როცა ჩვენი საცოდავი მამული ასეა დაკნინებული და დაბეჩავებულიო. საქმე ის არისო, თავი იმართლა რუსულად ძია კიმის „უნიჭიერესმა სტუდენტმა" შალვა ბექაურმა, მამაჩემი

პატარა ბიჭობაში თურმე არაჩვეულებრივად ცეკვავდაო, ხელმწიფე რომ ჩამობრძანდა საქართველოში და ხევზე ჩამოიარა, თურმე თოთხმეტი წლის მამაჩემიც წაიყვანეს, რომ შეხვედრის დროს ალექსანდრე მეორის წინ ეცეკვაო. ძალიან მოსწონებოდა ხელმწიფეს და სწორედ ამან განაპირობა მამას შემდგომი ბედიო, სულ ცოტა ხანში თბილისის კადეტთა კორპუსში გაამწესეს და ყოფილი მწყემსი ბიჭი სრულიად სხვა გარემოში აღმოჩნდაო...

აი, ხედავთო, გოროზად შესძახა მამიდა თამრომ, პეეტრბურგში ქართველები გვნახეთ და თქვენს ამბავს რუსულად გვიამბობთო, იმიტომ, რომ გაბმით ქართული ლაპარაკი არ შეგიძლიათო! ცხადია, თქვენ არც ილია გეცოდინებათ, არც მშობლიური ლიტერატურა, და დარწმუნებული ვარ, „ვეფხისტყაოსნის" ერთი სიტყვაც არ გექნებათ წაკითხულიო. შალვა, ბუნებრივია, მაშინვე დაეთანხმა. მამიდა თამრომ თვალთაგან ნაპერწკლები აფრქვია: ეს იმას ნიშნავს, რომ მშობლიური ენის გარეშე, სრულყოფილი არ იქნება თქვენი მოღვაწეობა. და ასე კი, საითაც ტალღა გაგტყორცნით, იქით გაიტყორცნებითო, კეთილი ინებეთ და იარეთ ჩვენთან „ვეფხისტყაოსნის" კითხვაზეო, თან შემდეგი მოსვლისათვის „ტყემ მოისხა ფოთოლი" ზეპირად უნდა ჩამაბაროთო. შალვა მაშინვე ღიმილით დაეთანხმა, თან დიდი მადლობაც გადაუხადა.

ცამეტი წლის თამარი კი კისკისებდა და კისკისებდა...

იატაკიდან ჭერამდე აღმართული თაროები და იქვე კარტოთეკებიანი გრძელი მაგიდა აბონენტთა იდაყვებით გაპრიალებული მაღალი მოაჯირით იყო გამოყოფილი დარბაზიდან, სადაც მწკრივებად ჩარიგებულ პატარა მაგიდებთან სტუდენტები მეცადინეობდნენ... წიგნებთან თავდახრილი, მშვიდი სახეების დანახვაზე ცოტა დაწყნარდა; დიდი ხანია ასეთი სახეები აღარ დაენახა, შინსახკომისა და ციხის რიგებში, მაღაზიებთან თავპირის მტვრევასა და გაძეძგილ ტრამვაიში სულ სხვა სახეებს ხედავდა... ახლა კი ისე უყურებდა ამ მშვიდ სახეებს, თითქოს ჩუმ მუსიკას ისმენსო... სტალინის უზარმაზარმა ქანდაკებამაც, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას, მაღალ, ვიწრო სარკმელებთან დაბალ დასადგამზე რომ იდგა, მის განწყობილებას ნირიც ვერ

შეუცვალა, პირიქით, დიდი ბელადის ჩაუანგული სახის დანახვაც ესიამოვნა, ლამის გაუხარდა კიდეც და მაშინვე მიხვდა, რატომაც: აქამდე თითქოს ეჭვი ეპარებოდა, თითქოს ბოლომდე არ სჯეროდა, რომ სამუშაოზე მართლა მიიღეს, და ამ უზარმაზარი ქანდაკების დანახვაზე, ფანჯარასთან აღმართული გლუ თვალებით რომ გამოჰყურებდა დარბაზს, რაღაც უცნაური სიმკვიდრე და სიმყარე იგრძნო, ასე ეგონა „ნაქანდაკარი ბელადის" უმაღლესი სანქცია ადასტურებდა ახალი თანამშრომლის მოსვლას ამ დარბაზში. და თამარმა დაიჯერა, რომ მართლა გამოუწოდეს ხელი, მართლა გაუღიმა ბედმა... ბედმაც და ბიბლიოთეკის თანამშრომელმა მარომაც, მწიგნობარმა და მომღერალმა, შალვას და თამარის ძველმა ნაცნობმა, რომელიც კარებთან ატუზული თამარის დანახვაზე მყისვე წამოდგა და ღიმილით მისკენ გამოემართა. მაროს წილიც ერია თამარის მიღებაში...

დიდებული ხმა ჰქონდა მაროს და საუკეთესო მცოდნეც იყო ხალხური სიმღერებისა, ჩვენს ოჯახში ქათამიც მღეროდაო, ასე ამბობდა ხოლმე ხან ამოოხვრით, ხანაც თავმომწონე ღიმილით.

თამარმა კარგად იცოდა მათი სიმღერის ამბავი. მამიდა თამროსთან, პეტერბურგში, განსაკუთრებით დღესასწაულებზე, ლამის მთელი ქართული სათვისტომო იყრიდა ხოლმე თავს. მამიდა თამრო გააწყობდა ქართულ სუფრას და ქართულად ილხენდნენ. მთავარი მომღერლები კი სწორედ მარო და მაროს ძმა გიორგი იყვნენ. მარო ბესტუჟევის კურსებზე სწავლობდა, გიორგი კი უნივერსიტეტში. მამიდა თამრო პურს არ გატეხავდა მათ გარეშე. ის სუფრა რა სუფრაა, სადაც მარო და გიორგი არ მღერიანო. მარო კი დანანებით იტყოდა: აფსუს, ჩვენი პატარა ძმა სიკო აქ რომ არა გვყავსო!? სიმღერა თქვენ მაშინ გენახათო. მარომ კურსებზე სიმღერის მოყვარულთა პატარა ქართული ქოროც კი შეადგინა.

მე ორი სიყვარული მაქვს ამ ქვეყნად, წიგნის და სიმღერისო — ამბობდა და მაროს ეს ნათქვამი ლიტონი განცხადება არ იყო. მართლაც, უნიგნოდ და უსიმღეროდ გაძლება არ შეეძლო. სიონის გუნდშიც გალობდა. ერთ დროს, თარხნიშვილებთანაც მღეროდა. მაგრამ მერე და მერე შეთავსება ვეღარ შესძლო თურმე და უდროობის გამო თავი გაენებებინა. შარშან თვითონ მარო

თარხნიშვილს ეთხოვა: დეკადისთვის გუნდის გასაძლიერებლად წაგვეხმარე და ჩვენთან იმღერეო. ჰოდა, მარო მათთან ერთად მოსკოვშიც იყო და დიპლომიც დაიმსახურა. სწორედ დეკადის შემდეგ მიანდეს რევოლუციის ოცი წლისთავის საიუბილეოდ სტუდენტთა გუნდის ხელმძღვანელობა, საზოგადოებრივ საწყისებზე. მარო გუნდს კვირაში სამჯერ, შუადღისას, პირველი წყების შემდეგ ამეცადინებდა. თურმე მაროსთან ერთად მომუშავე მოხუცი ბიბლიოთეკარი ქალი გარდაიცვალა. ბიბლიოთეკა-სამკითხველო კი, სტუდენტების ყოველდღიური მეცადინეობის ადგილი, კვირაში სამჯერ, შუადღისას ვერ დაიკეტებოდა. მწვავედ დადგა მეორე თანამშრომლის მიღების საკითხი. დაიწყო მარომ რექტორთან სირბილი... ასე და ამრიგად, მაროსი და გიორგი თარგამაძის თავგამოდების წყალობით, თამარი ბიბლიოთეკაში მოვიდა სამუშაოდ და მალე დამკვიდრდა კიდეც, თავის შვილსაც აქ დაუდო ბინა. უმამოდ დარჩენამ, დარბევამა და სიდუხჭირემ ისინი კიდევ უფრო დააკავშირა. ოთარმა შარშან სკოლაც კარგად დაამთავრა, ინდუსტრიულ ინსტიტუტშიც ჩაირიცხა საალმშენებლოზე, ზაფხულში მთელი თვენახევარი სახერხ ქარხანაშიც იმუშავა.

თამარი მოუთმენლად ელოდა ხოლმე ოთარს, შალვას შემდეგ დიდხანს ვერ სძლებდა უოთაროდ. ჯერ ისაუზმებდნენ, ბუფეტი იქვე, ბიბლიოთეკის გვერდით, მესამე სართულის ფართე დერეფანში იყო გამართული და შორს წასვლა არ სჭირდებოდათ. მერე, თუ სამეცადინო ჰქონდა ოთარს, დაჯდებოდა მზითა და სინათლით სავსე დარბაზში და დაიწყებდა მეცადინეობას. თამარს სახაზავი დაფაც აქ ჰქონდა ოთარისთვის შენახული, მაგიდასა და მოაჯირს შუა ჩაყუდებული; და მართლაც, ამაზე კარგ ადგილს სამეცადინოდაც, საკითხავადაც და დასახაზადაც სად იპოვიდა!? მთაწმინდის იმ ჯურღმულში შუქს თუ არ ჩართავდი, ისე ბნელოდა, თვალში თითს ვერ მიიტანდი. გათბობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, თუ ნავთი ჰქონდათ, ნავთქურით უნდა გაეთბოთ იქაურობა. ოთახი თან ნოტიო იყო, უკანა კედელი მინაში ჰქონდა და ნავთქურისაგან საშინელი სუნი დგებოდა, ორივეს თავი სტკივდებოდა. ეს კიდევ რა, საერთო დერეფნის მეზობლები, ოფიკა, ჟენიკა და აიდა, ერთი მხრივ, რომლებიც

მთელი დღე უზარმაზარ თუჯის ტაფაზე გასაყიდად მზესუმზირას ხალავდნენ, და ქურთი ფარამაზასი და სარნაზას ოჯახი მეორე მხრივ (სარნაზა მრეცხავი იყო, უამინდობის დროს ეზოში ცეცხლს ვერ ანთებდა და საერთო დერეფანში, პრიმუსზე ხარშავდა სარეცხს) თამარსა და ოთარს, დასაწყისში მაინც ლამის შარაგზის ყაჩაღებივით უყურებდნენ. მაგრამ, ყველაზე საშინელება მაინც საერთო საპირფარეშო იყო, რომელსაც თამარი დაუცხრომლად და თავდადებით წყლით რეცხავდა და ასუფთავებდა, რეცხავდა და ასუფთავებდა დაუსრულებლად...

ცხადია, სახლში წასასვლელად სულ ფეხს ითრევდნენ, იქ მათ არაფერი ეჩემებოდათ, თან ნავთი და სინათლე ეზოგებოდათ. მადლობა ღმერთს, ოთარსაც უყვარდა კითხვა, თამარი კი უმარჯვებდა და უმარჯვებდა წიგნებს... აქ მან ამხანაგიც ბევრი გაიჩინა, გულღია და კარგის დამნახავი იყო, ადამიანი აინტერესებდა და ადვილადაც გამონახავდა სოლმე საერთოს.

ქმრის დაპატიმრების შემდეგ შიშობდა თამარი, ბიჭი ხელიდან არ წასვლოდა, თავსდატეხილი უბედურება, რა იცი, სათუთად გაზრდილ, ჯერ წელგაუმაგრებელ, უმწიფარ ყმანვილს საით გატყორცნის და როგორ მირეგვ-მორეგვავს; გული საგულეს დაიდო, თავისი ოთარი დღენიადაგ თვალქვეშ ჰყავდა. და თუმცა დიდი ხნით ადრე აქ მოსვლამდე ძალიან კარგად იცოდა, რომ მშვიდობის კუნძული არ არსებობდა და არც შეიძლება არსებულიყო, და ამ დაწესებულებაშიც ისევე, როგორც ყველგან, ჯოჯოხეთის ცეცხლი ტრიალებდა, რომლის უწყალო მხურვალება საკუთარი კანით ჰქონდა ნაგრძობი და განცდილი; აქაც ისევე აბეზღებდნენ და ასმენდნენ ერთმანეთს, აქაც ისევე გმობდნენ, ლანძღავდნენ და ათრევდნენ თვალში ამოღებულებსა და რეპრესირებულებს, აქაც ისევე ამათრახებდნენ და ემიჯნებოდნენ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს, როგორც სხვაგან და როგორც ყველგან. და რექტორიც, გიორგი თარგამაძე, თამარის ქმაგი და ხელის გამომწვდელი, ისევე უბრალოდ ჩასვეს, როგორც შარშან შალვა, როგორც ვინ მოთვლის, რამდენი სხვა... მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად იმისა, რომ ახლა, ამ ახალგაზრდების დანახვაზე ხშირად შეშფოთება იპყრობდა, შიშით და სიბრალულით ეკუმშებოდა

გული, მაინც არაფერი გვრიდა ისეთ შვებას, როგორც მათი, წიგნზე თავდახრილი სახეების დანახვა; გაჰყურებდა ხოლმე დარბაზს მოაჯირის რიკულებს შორის და უნდოდა თავი დაერწმუნებინა, რომ აქ, სწორედ აქ, ამათში იყვნენ ისინი, ვინც ღვარძლისა და შალაფის მაგივრად ხორბალს დათესავდნენ და პურის მთხოვნელს გამოწვდილ ხელში ქვას არ ჩაუდებდნენ.

მგლები კი იკრიბებოდნენ „კურუმ გორაზე“ და თამარს მთელი ყურადღება ამ საყრდენი სიტყვისკენ ჰქონდა მიმართული... კურუმი... კურუმი... ადგილო კურუმ-კურუმო, ლელიან-ჩალიანაო... არცერთ ლექსიკონში არ იყო შეტანილი ეს ჩინებული სიტყვა, ხალხური ელფერით რომ გამოირჩეოდა და კონტექსტის მიხედვით და თამარის ფიქრით, „განმარტოებულს“, „მიუვალს“, „უდაბურს“, და „ჩაბნელებულს“ ნიშნავდა და სანუკვარი მოგონების მღელვარე განცდას აღუძრავდა...

იდგა ოსკარ ფრიდი ბორჯომის ბაღში და დირიჟორობდა მუსორგსკის „ღამეს ქაჩალ გორაზე“... შალვა და თამარი კი ისხდნენ და უსმენდნენ...

პირველ განყოფილებაში ირაკლი მღეროდა მუსორგსკის რომანსებს, ბორისის არიასა და სცენას, მეორე განყოფილებაში კი საორკესტრო ნაწარმოებებს უკრავდნენ, „ხოვანშჩინას“ უვერტიურას, „გამოფენის სურათებს“ და „ღამეს ქაჩალ გორაზე“.

რა ჰქვია... ნეტავ რა ჰქვია ამას? ჩუმი და მღელვარე თანხმობა? თუ ბედნიერება... რაღაც სხვაგვარი... სულ სხვაგვარი განცდა... უფრო ტაძრისეული... მუსიკის ერთად მოსმენა... ცხელ, მტანჯველ დღეს რომ აქარვებს... ვარსკვლავებიდან მონაბერი ნიავივით!

წყალი! წყალი! წყალი! იძახდნენ პატარა ბიჭები და ვაგონში სველ კოკებს დაარბენინებდნენ... თამარი კი გათანგული შეჰყურებდა შალვას, რომელსაც თურმე მხოლოდ იმიტომ კი არ წამოეყვანა სამიოდე დღით ბორჯომში, რომ მომქანცველი სახელმწიფო გამოცდების შემდეგ თავისუფლად ამოესუნთქათ და ირაკლის კონცერტს დასწრებოდნენ, არამედ იმისთვისაც, რომ გზაში გამოსტეხოდა: სპეცგანყოფილებამ უკვე რამდენჯერმე გამომიძახა და სრულიად აბსურდული ბრალდებები წამომიყენაო. ასე ეგონა, შალვას ერთბაშად სინათლის ძლიერი ნაკადი

მიაშუქეს და მკაფიოდ გაანათეს... თვალი რომ ვეღარ მოეცილებინა და ახალი ძალით, გულსაკლავად, მწვავედ ეგრძნო, რა ძვირფასი იყო მისთვის, და არა მარტო მისთვის, ყველასთვის, სტუდენტებისთვის, მეცნიერებისთვის, ჩვენი საზოგადოებისთვის, და იქნებ მთელი ქვეყნისთვისაც, თუ ეს ქვეყანა მიხვდებოდა, რომ ამ კაცს, ახლა შეწუხებული და დარცხვენილი, თავის აღელვებულ ცოლს რომ ამშვიდებდა, ალერსიანად ხელზე ხელს უჭერდა, აი, სწორედ ამ კაცს, უკვე სამიზნედ ქცეულს, ქვეყნის აყვავება შეეძლო. რა უნდა ექნათ... რა გზას დასდგომოდნენ... ვინ იყო მშველელი...

შალვას მიმტევებლობას ხომ საზღვარი არ ჰქონდა, არც ამტყუნებდა სპეცგანყოფილებას, მაგან რა ქნასო, ისეთი მოჯადოებული წრეა შეკრული, რაღა ამ წვრილფეხა კარიერისტს უნდა მოვთხოვო გმირთგმირობა და ეშმაკეული წრის გარღვევა, რაღა ასეთი უბირი კაცისაგან უნდა მოვითხოვდე ჩვენი დროის უკულმართობაში გარკვევასა და თავგანწირვას, როცა აგერ ჩვენ ვერაფერი გვიღონიაო, ვართ ასე დადამბლავებულები და დადუმებულებიო. მაგრამ თამარი სულ არ ეთანხმებოდა, სულ არა, იგი ქალური ამოჩემებით ხან ჰუმანისტებს მოუხმობდა, ხან ლათინურ აფორიზმებს იშველიებდა, ადამიანისაგან მხოლოდ ადამიანურს უნდა მოითხოვდეო, ხან თავიანთ მწარე გამოცდილებას მიმართავდა და გადაბრჯნით იმეორებდა: რაც გვჭირს, სწორედ ასეთი უბირებისაგან გვჭირსო... პირი გაუშრა... ენას ვეღარ ამოძრავებდა... ცხელოდა კიდეც... სუნთქვაც ჭირდა... თუნდ აფრიკაში წავიდოდა, ტროპიკებში... ქვეყნის დასასრულს...

წყალი! წყალი! წყალი! იძახდნენ პატარა ბიჭები.

სვენებ-სვენებით წრუპავდა წყალს და ეს ერთი ბეწვა ყლუპებიც ყელზე ადგებოდა... თქვენ! თქვენ! თქვენ! არ იცით, არა? რა არის უპატიებელი და მიუტევებელი... მეგობრის დავიწყებასაც შეგინდობთ უფალი და მგოსნის დაცინვასაც, და იმასაც, თუ უღრმესი გონი მცირე ნატამალად მიიჩნიეთ... მაგრამ შიშობდეთ, ო, შიშობდეთ, მოყვარულთა ერთობა არ დაარღვიოთ...

სადგურზე ირაკლი და ლილი შეხვდნენ და ერთბაშად სულ სხვა ატმოსფეროში აღმოჩნდნენ... კონცერტების... ვახშმების...

მეგობრების... ფიჭვის სურნელის... დრო კი ენურებოდათ... ულმობლად, დაუნდობლად ენურებოდათ... განშორების წინ რამდენიმე ამოსუნთქვაღა ჰქონდათ დარჩენილი... ის კონცერტიც ერთი ასეთი ამოსუნთქვა იყო... გრძელ სკამზე მჭიდროდ ისხდნენ, ერთმანეთთან მიკრულები, შალვას ჩვეულებრივ თამარის ხელი ეჭირა და ერთად ისმენდნენ, როგორ უსტვენდა ქაჩალ გორაზე ქარი და ბნელ ღამეში იკრიბებოდნენ ქაჯები, ჭინკები და კუდიანები... როგორც კურუმ გორაზე მშიერი მგლები... ქაჯებს მარულა უნდა გაემართათ, მშიერ მგლებს კი თავისი მოძმე ტოტია გაეგლიჯათ და ისე გადაესანსლათ, ბეწვიც აღარსად დაეტოვებინათ... კონცერტის შემდეგ შალვა ეუბნებოდა, „კიდევ რისთვის მიყვარს მუსორგსკი და მასშტაბურობით და ხალხის სულში წვდომის უნარით ვაჟა-ფშაველას მაგონებსო, დღევანდელი სიმფონიური სურათიც „დევების ქორწილის" მუსიკალური გარდასახვა მგონიაო"... ეს ერთი სიტყვა... ერთი სიტყვა... „კურუმის" ექვივალენტი, შალვას სახსოვრად უნდა ჩაეწერა... შალვას მოსაგონებლად... რაც შეეხება ტოტიას, ეს დიდებული სახელი, ნამდვილი მხატვრული მიგნება, სხარტი, მარჯვედ გამოსათქმელი, მგლური ხვაშიადის გამომხატველი, რუსულად არაფერსაც არ ნიშნავდა და არანაირადაც არ ჟღერდა, და ამას ვერაფერს უშველიდა სქოლიოში ჩამოტანა და „ტოტიას" განმარტება. ესე იგი საჭირო იყო სახელის გადარუსულება: როგორც არ უნდა სამწუხარო ყოფილიყო, სახელიც უნდა „თარგმნილიყო" და თამარმაც შესაძლო ვარიანტებს დაუწყო ძებნა. ოცი წელი იყო, რაც თარგმნიდა, მაგრამ ქართულიდან პირველად თარგმნიდა... გერონტი ქიქოძემ მოუხერხა ინკოგნიტოდ ეს მოთხრობები და ახლა, ამ უბედურებაში, განსაკუთრებით ეჭიდებოდა გულზე ვაჟას პროზის რუსულად თარგმნა. დიახაც, უნდოდა დაემტკიცებინა, როგორი გენიოსი ჰყავდათ ასე უმოწყალოდ დასჯილ ქართველ ხალხს და პირადად მას, თამარს, რომელიც ამ დასჯის მიუხედავად, თუ სწორედ ამ დასჯის გამო, თავს არ იზოგავდა, რომ ხმა სიკეთისა და სიმართლისა, დიდი პოეტის უზადო ხმა, სხვებისთვისაც მიეწვდინა, სხვა დასჯილებისთვის, ერთ ბედში მყოფი სხვა ტომის ხალხისთვის... ამასთანავე, ქართული ენის ღრმა წიაღი,

განდობის კილო, და გულიდან ამოხეთქილი ნრფელი აღსარება ვაჟას პროზის უთვალთმაქცო, გულუბრყვილო პერსონაჟებისა მხნეობას მატებდა და გზას უკვლევდა ფუჭსიტყვაობის კორიანტელში. სამუშაო ყოველთვის აღელვებდა, მაგრამ ასეთი დიდი ინტერვალის შემდეგ „საყმაწვილო მოთხრობები" რომ გადაშალა, სულ სხვაგვარად აღელდა და აშფოთდა... შალვა მის გვერდით აღარ იყო, და ვეღარაფერს ვეღარ გაუზიარებდა... ვეღარ ჰკითხავდა... ვეღარ შეამოწმებდა... ამიტომაც, დაიწყო თუ არა პირველი სათარგმნი მოთხრობის კითხვა („სვავი" იყო ეს მოთხრობა), და ჩაათავა თუ არა პირველი აბზაცი: „ფარფაშობდნენ უზარმაზარი სვავები, ყაჯირები, ორბები, ყვავ-ყორნები, დამაძღრები, ლეშით გათოშილები, იქვე ახლო-მახლო კლდეებზეც სხდებოდნენ ფეხებით, ფრთით თან მიჰქონდათ სისხლი და ასისხლიანებდნენ კლდის დეკას, ქუჩს, ურძნიანებს...", ცრემლები წასკდა... თან სიტყვა „გათოშილი" აფიქრებდა, რომელიც ფშაურ დიალექტში ეტყობა გამაძღარს, მეტისმეტად გამაძღარს ნიშნავდა და ალბათ, აჯობებდა „გალეშილის" ნიუანსით მეთარგმნაო; „სისხლით გალეშილები" „სისხლით გალეშილები" აკვიატებულად იმეორებდა გრძელ მაგიდასთან თავჩარგული, მაღალ მოაჯირს საგანგებოდ მოფარებული და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, წიგნის ფურცელს უსველებდა. შეეშინდა, ქვითინი არ წამსკდესო, ადგა სწრაფად, ვიწრო წიგნსაცავში გავიდა, თაროებს მიეყრდნო: „შალვა, შალვა, შალვა, სადა ხარ, კაცო... სადა ხარ, ადამიანო, სადა..." გულამოსკვნით ჩურჩულებდა. ისე იყო ქმართან შეთვისებული და გაერთსულებული, ნაბიჯი არ გადაუდგამს და ჩხირი არ გადაუბრუნებია უიმისოდ. ბიბლიოთეკაში რომ მიიღეს, მყისვე იმ ფიქრმა გაუელვა: გავიქცევი და შალვას ვახარებო, შალვა კი ამ დროს, სხვა დახვრეტილებთან ერთად, ნაუცბათევად გათხრილ ორმოში ეგდო სოღანლუღთან. სიტყვები და ფრაზები ცხრაჯერ უნდა მოესმენინებინა შალვასთვის, რომლის უტყუარ ალღოსა და გემოვნებას ყოველთვის ენდობოდა, და ამის გამოც იყო, რომ მათთვის, ორივესთვის თამარის სამუშაო მათი მეგობრობისა და სიყვარულის, მათი სათუთი ურთიერთობის სარბიელიც იყო: განა პირველი ლექსებიც, გერმანული და ფრანგული პოეზიიდან,

შალვას შთაგონებით არ თარგმნა? იმ ზაფხულს, იმ კურთხეულ ზაფხულს, როცა ყოველი წუთი, ყოველი წამი და ჩქამი სიხარულითა და დაძაბული მოლოდინით იყო სავსე, პირამდე სავსე... ყველანი პაპა ოთართან და ძალო ნინოსთან იყვნენ კისისხევში, ახლად დანიშნულები თამარი და შალვა, მამიდა თამრო და ძია კიმი. მალე შალვა გერმანიაში უნდა წასულიყო, ფრაიბურგში საპროფესოროდ მოსამზადებლად და შემდგომში ახლად გახსნილ ქართულ უნივერსიტეტში სამოღვაწეოდ. თამარს კი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე უნდა დაეწყო სწავლა...

ქართულ უნივერსიტეტში, ქართულ ენაზე!

დამოუკიდებელ საქართველოში!

კარგი ნიშანიაო, ამბობდა პაპა ოთარი, ჩემი თამარისა და შალვას ბედნიერება ჩვენი მამულის დამოუკიდებლობას დაემთხვაო...

შალვა მოგვიანებით ჩამოვიდა კისისხევში. წინანდლის სადგურზე დახვდნენ ყველანი, პაპა ოთარმაც კი მოინადინა წამოსვლა. მატარებელმა ჩვეულებრივ დააგვიანა... მთვარე კიდევაც ამოვიდა... ეტლში მამიდა თამრო, ძია კიმი და პაპა ოთარი ჩასხდნენ, შალვა, თამარი და პატარა ქრისტინე კი, რომელიც არასგზით არ გაჰყვა უფროსებს, ფეხით წამოვიდნენ... ის დღე იყო და ქრისტინე მათ ერთი ნაბიჯითაც აღარ მოსცილებია, ჯერ თავის უფროს ბიძაშვილს ქომაგობდა და ჩასაფრებული ადევნებდა თვალს მის დანიშნულს, ეჭვიანობდა და ყველგან კვიცივით უკან დასდევდა... სულ მალე ბავშვური გატაცებით შეუყვარდა შალვა და ახლა სულ აღარ მოსცილდა, უნდოდა სასიძოსთვის ყველაფერი ეჩვენებინა და მოეწონებინა, ეკლესიაც, ხევიც, რიყეც, ტყეცა და ველიც, უნდოდა მაყვალზეც ერთად წასულიყვნენ, რიყეში საბანაოდ წყალიც დაეგუბებინათ, წინანდალში ნათლიასთანაც გადასულიყვნენ და თან „უდელიც“ დაეთვალიერებინათ. ათი წლის ქრისტინემ მათ მოუსპო განმარტოების საშუალება. სახლში კი, პაპა ოთარი გვერდიდან არ იცილებდა შალვას და თავის ქალთანა და სიძესთან ერთად საქართველოს აწმყოსა და მომავალზე ჰქონდა დაუსრულებელი სჯა-ბაასი. სადილ-ვახშმობისას კი, სუფრასთან, ოჰოჰოჰო, რა სადღეგრძელოებს წარმოთქვამდა, რა გულმხურვალედ მოუწოდებ-

და გარშემომყოფთ განთავისუფლებული საქართველოსთვის გარჯილიყვნენ: „აჰაა და, დაჰკრა ჟამმა საუკუნოვანი მონობის ჭაობიდან თავი წამოვწიოთ, კირთების დახაშმულ საფლობს ტანჯვა-წვალებითა და ვაი-ვაგლახით თავი დავაღწიოთო, და დავადგეთ ძნელად სავალ გზასა, სულის ამოსასვლელ ციცაბო ბილიკსა, გასაკაფსა და ქვა-ღორღიანსა, თავისუფლების ბობოქარი სტიქიონისკენაო, მონობის შმორისა და ჭუჭყის ჩამოსარეცხადაო, მორჩილებით დამღიერებული, ჩამკვდარი სულის აღსადგენად და განსაწმენდადაო..."

პაპა ოთარი გადახედავდა თავის მეინახეებს, ყველას სათითაოდ თვალს თვალში გაუყრიდა, განსაკუთრებით კი შალვას ჩააშტერდებოდა, ვერცხლის პატარა თასს უფრო მაღლა შემართავდა, ჩაახველებდა და წყრომით, შეურიგებლად დაიძახებდა: „შევძლებთ კია!? გაგვწვდება კია საგზლად ძალღონე და მოთმინებაო!? ჩვენ, ბედშავებსა, და უბადრუკებს, გაუთავებელი თმენით დაკნინებულებსაო!? და ჩაგვრის ამპარტავნებით დარბეულ ჩვენს გულებში გაიხარებს კია ერთობისა და სიყვარულის დიადი ნერგიო!?"

თვრამეტი წლის თამარს კი მთელი თავისი არსებით სჯეროდა, რომ იმედის, სასოებისა და სიყვარულის ყველა ნერგი და ამონაყარი გაიხარებდა და კეთილ ნაყოფსაც გამოიღებდა... ისე იყო ირგვლივ ყველაფერი დამუხტული და გაჯერებული შეგუებული ვნებით, მოლოდინით, სიყვარულისა და თავისუფლების წყურვილით ცაც, მთაც, ველიც, მათ ეზოში აღმართული დიდებული კაკალიც, რომლის კენწეროდან მოლაღური ბიჭო-გოგიას მოსძახოდა... ფრანგული და გერმანული ლექსები პირველად მაშინ თარგმნა: პოეზიაზე გიჟდებოდნენ, მათ ცხოვრებაში პოეზიას უპირველესი ადგილი ეკავა, პოეზია იყო ის, რაც მათ ყოფას ნიადაგ თან ახლდა. იმ ზაფხულსაც შალვამ ჩამოუტანა ცნობილი პოეტების პანია რვეულებად გამოცემული ლექსები. ჯიბეებით თან დაჰქონდათ და ქრისტინესთან ერთად ტყე-ღრეში ხეტიალის დროს, თუ საღამოობით რიყისპირა ბექზე ჩამომსხდრები სულ ლექსებს კითხულობდნენ. პატარა ქრისტინე თვალდაცეცებული შეჰყურებდა ამ მოლექსე დანიშნულებს.

შალვას და ძია კიმს დიდ აივანზე ეძინათ, მამიდა თამროს და

თამარს კი სახლის მეორე მხარეს, პაპა ოთარის საწოლის გვერდით. თამარს თითქმის სულ არ ეძინა. გარიჟრაჟზე თუ ჩაეძინებოდა... მერე, როცა უკვე იქორწინეს, შალვას ხუმრობით ეუბნებოდა: მამიდა თამრო და პაპა ოთარი ისე თავგამოდებით იცავდნენ ჩემს ხელშეუხებლობას, რომ ძილგამკრთალს მეტი გზა არ მქონდა, მადანი უნდა მეძებნაო, და პაწია მადანს კიდევაც მივაკვლიეო. მამიდა რომ არ გაეღვიძებინა, ფეხაკრეფით გავიდოდა პატარა აივანზე და მთვარის შუქზე საგანგებოდ შერჩეულ ლექსებს თარგმნიდა, არაჩვეულებრივ შვებას გვრიდა სიტყვების ძიება და რიტმის ჩარხში გამოყვანა, თითქოს გუმანით გრძნობდა, რომ მის მომავალ საქმიანობას ედებოდა სათავე, თითქოს ესმოდა კიდეც, შორიდან, ჯერ ძალიან შორიდან, იმ მონანნკარე ნაკადულის ხმა, ქართული ენის წყალუხვ მდინარებას რომ უნდა შერთვოდა. ახლა აღარც ახსოვდა ის თარგმანები, გაუწაფავი და ნაუცბათევი, გარდა ვერლენის ერთი ლექსისა და ისიც იმიტომ კი არ ჩაახსომდა, რომ სხვებზე უკეთ გამოუვიდა, არამედ ვერლენის ტრიოლებით დაწერილი ის ლექსი, მონანიების სინრფელითა და რელიგიური სასოებით, გულში ღრმად ჩაეჭრა და ალბათ ამის გამო თავისი საქმიანობის დასაბამს სწორედ ამ ლექსს უკავშირებდა.

რიყე-რიყე მიდიოდნენ წინანდალში... ნიავი უბერავდა, მაგრამ მაინც ძალიან ცხელოდა, ჭავლს დაებურა ალაზნის ველი, და მკრთალი ცისფერი კავკასიონიც მირაჟივით ილანდებოდა... თაკარა მზე მისდგომოდა წინანდლის კლდეებს... ქრისტინემ თქვა, მე ბილიკი ვიცი და პირდაპირ კლდიდან ავიდეთ „უდელშიო“, ამიტომ მიდიოდნენ მზის გულზე რიყე-რიყე. ქრისტინე დაწინაურდა იმ ბილიკის მოსაძებნად და გასაკვალავად, შალვამ კი ჯიბიდან ვერლენის პაწია კრებული ამოიღო და რაზეც გადაიშლება იმას წავიკითხავო, თქვა. ვერლენის მონანიებაზე გადაიშალა. თამარს სცხელოდა, ის სიტყვებიც თითქოს რიყის ალმურში იყო გახვეული... ქვებს შორის პაწია კუნძულებივით დარჩენილ სველ, გალიპულ თიხაზე იგრილებდა ფეხის გულებს... და უსმენდა... დაძაბული და აღელვებული... ამ რიყეში, სადაც ბავშვობა და სიყმაწვილე გაეტარებინა, საიდანაც ვინ მოთვლის, ჟინჟღლიან ამინდში, შემოდგომაზე რამდენჯერ გაე-

გონა ჭინკების ჭყივილი და მოძახილი, ვინ მოთვლის რამდენჯერ დაენახა თუ წარმოედგინა გაზაფხულის აქოჩრილ ზვირთებზე ქევ-ქევ მიმავალი წმინდანები, უფლის მიერ სიყვარულით დაკოდილი ვერლენის ლოცვამ გულის სიღრმემდე შესძრა. მოუნდა იქვე ქართულად გაემეორებინა, შალვას ისევ და ისევ აკითხებდა ტრიოლეტებსა და თვითონ ლამის ფეხდაფეხ ქართულ შესატყვისებს აწყობდა... „შენ მე დამჭერი სიყვარულით, მაღალო ღმერთო, ჭრილობა მითრთის და მიცახცახებს... შენ მე დამჭერი სიყვარულით, მაღალო ღმერთო... აი, ხელები, გარჯას, შრომას გადაჩვეული, დე ამ ხელებში ნაკვერჩხლები ღვიოდეს და იკმეოდეს წმინდა საკმელი... აი, ხელები, გარჯას, შრომას გადაჩვეული... აი, თვალები, ცოდვის ცეცხლით მოგიზგიზენი, ცრემლმა ლოცვისამ დე ჩაშრიტოს ურცხვი ალმური... აი, თვალები, ცოდვის ცეცხლით მოგიზგიზენი...“

ქრისტინეს ძახილი გაისმა: ბილიკს მივაგენიო... „იცი, თამარ, უთხრა შალვამ, „ალბათ, მაინც ყველაზე სწორი იქნება, სერიოზულად მოჰკიდო ხელი თარგმნასო“. ხელი მოხვია და კლდის ბილიკისკენ გაემართნენ...

ორი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ და ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე წიგნი გამოსცა კიდეც, გერმანული რომანტიკული ზღაპრები, გოეთეს ადრეული ლირიკა, ფრანგი პოეტების კრებული... სხვათა შორის, დიდი შთაბეჭდილება დატოვა და ლიტერატურულ წრეებშიც მოწონება დაიმსახურა ლოტრეამონის „მალდორორის სიმღერების“ თარგმანმა. შალვას შემდეგ კი ყველაფერზე უარი ეთქვა, ესეების კრებულიც ამოუგდეს. მადლობა ღმერთს, გერონტი ქიქოძემ მოუხერხა ვაჟას თარგმანები, ჩუმად, ინკოგნიტოდ... თამარი ადრე ახალგაზრდობიდან ქმრის გვარს ატარებდა, ამ თარგმანებს კი ქალიშვილობის გვარს მოაწერდა, რომელიც არც არავინ იცოდა, ჰოდა, ვითომ სხვა იყო... ასე უთხრა გერონტიმ, ასე ურჩია... ოჰ, რა სიამოვნებით მუშაობდა, რა ხალისით თარგმნიდა, თუ ასე წავიდოდა საქმე და თამარი დარწმუნებული იყო, რომ წავიდოდა, დათქმულ დროზე ადრეც მოამთავრებდა სამუშაოს. დღევანდელი „ამოდის, ნათდება“ უკვე მეათე მოთხრობა იყო და დღის ბოლომდე იქნებ კიდევაც დაესრულებინა.

აი, მაგიდას მზეც მოადგა, გააშუქა გადაშლილი წიგნი, ფანქრით აჭრელებული ქაღალდები და მოაჯირის რიკულების ჩრდილებიც ირიბად ჩარიგდა თამარის წინ მაგიდაზე... მოშივდა კიდეც... ეკუთვნოდა ერთი ჭიქა ჩაის დალევა; გავიდოდა, შემოიტანდა ბუფეტიდან და აქვე ისაუზმებდა, ძირითადად ხომ ჩაი იყო მისი საკვები, შესატანებლად სამი კაკალიც ჰქონდა, ღმერთი უშველის ქრისტინეს, ჩამოვიდა კისისხევიდან, ჩამოუტანა საახალწლოდ კაკალიც, მთელი ლიტრა, ერბოც, კილოიანი თიხის ქილით, პურებიც, დედალიც, ტკბილეული... მართალია, დიდი ამაგი აქვთ ქრისტინეზე, შალვამ გაუკაფა გზა და სტუდენტობის დროსაც გვერდიდან არ მოუცილებიათ, მაგრამ ამ შავბნელ დროს, ბიძაშვილს კი არა, ლამის დას და ძმას ვერ მოსთხოვ ვერაფერს. აგერ, პოეტი არ იყო მირიან ლაღიძე, ცოლისდა რომ ვერ მიდიოდა მასთან სახლში?

ქრისტინე კი უღალატოა, „თქვენი ჭირიმეთო, თქვენ გენაცვალეთო, ვერ შევეგუები თქვენს ამ დღეში ჩაყრასაო, არა ნახოს კარგი და კეთილი თქვენმა დამღუპავმაო, არ გაუთენდეს მშვიდობის დილა და არ დაუღამდეს მშვიდობის ღამეო...“ მოთქვამდა ქრისტინე და თან დიდი კალათიდან სანოვაგეს იღებდა. მაგრამ თამარს არ ემეტება თავისთვის არაფერი, ეშინია, ოთარს არაფერი მოაკლდეს და ყველაფერს მას უზოგავს... ზოგჯერ აი, ასე სამ კაკალს თუ აიღებს ჩაისთან შესატანებლად. სამი კაკალი, რომ იცოდეთ, ექვსი ლებანია, გუნებაში ვიღაცას გამოეპასუხება, ვინც მცირე ულუფას დაუწუნებდა, ლილიმ უთხრა ორი-სამი კაკალიც კი შესანიშნავი საკვებია ტვინისთვისო, ჰოდა ლილი კიდევ საუცხოო ნევროპათოლოგია. თამარმა ჩანთიდან თავისი სამი კაკალი ამოიღო და სამივე ერთი ხელის მოჭერით გატეხა, თხელნაჭუჭა, მსხვილი, მშვენიერი კაკლები იყო, კისისხევის კაკლისა, გაასუფთავა და ექვსი ბროლივით ლებანი საგანგებოდ მომზადებულ ქაღალდზე დადო; ოთარზე ზრუნვა, თორემ შალვას შემდეგ მცირედით დაკმაყოფილებას თავისი სიამე და სიკეთე ახლდა თან, ხორცისთვის მცირე საზრდელი თითქოს სწორედ სულს ეჭირვებოდა და სულისთვის იყო გამიზნული. ნაჭუჭები მომინანქრებულ პატარა კათხაში ჩაყარა, გარეთ გადავყრი და ჩაისა და პურის ნაჭერსაც შემოვიტანო. უჯრიდან

ფაიფურის ფინჯანი და ჩაის კოლოფი ამოიღო; ფინჯანში ჩაყრიდა ცოტაოდენ ხმელ ჩაის (რას ვერ შეელია და კარგ ჩაის), ბუფეტიდან მოტანილ წყალ-წყალა ქერაცუა ჩაის ზედ დაასხამდა და იმას შეექცეოდა... ისევ დახედა თარგმანს, თვალი ჩააყოლა და განსაკუთრებით იმ ნაკვეთით დარჩა კმაყოფილი, მშიერი მგლები რომ თათბირობენ, სოფელს თავს როგორ დავესხათო. იმედი რომ უღვივით გულში, მაგრამ ბედი უმტყუნებს, ამოვა ბადრი მთვარე, გაანათებს ტყესა და ჯურღმულს და გაცრუებული მგლებიც წყევლა-კრულვით აიკლებენ მთვარეს... რუსულად მშვენივრად გამოუვიდა სასაუბრო, ხალხური ინტონაცია, ფრაზები მოქნილი ჰქონდა, ძალდაუტანებლად, ბუნებრივად ულერდა, სიტყვების რაოდენობის მხრივაც ტექსტი თითქმის ერთნაირი იყო...

ჰონორარით პირველ რიგში ოთარისთვის ფეხსაცმელები უნდა შეუკვეთოს, სწორედ ისეთი, შალვამ რომ შეაკერინა საპრიგინთან, თავისთვის კი მაროს უნდა გაატანოს მოსკოვში (დიდი იმედი აქვთ, რომ ოლიმპიადაზე გაიმარჯვებენ და მოსკოვში სტუდენტთა თვითშემოქმედების დათვალიერებაზეც გამოვლენ), ლარუსისა და დალის ლექსიკონები დაავალოს, იქნებ ბუკინისტებში უშოვოს და ჩამოუტანოს. თამარს გულში ნათელი ჩაუდგა... მადლიერების... ყველა იმათ მიმართ, ვინც ატანინებდა სიმძიმეს და სიდუხჭირეს, სიკეთე შეუვალიაო, გაიფიქრა, ვერავის ვერ ძალუძს სიკეთის ჩახშობაო, ვერავისო... დახვრიტე... მოკალი... დაასამარე... ჩაკალი... დათრგუნე... ფეხქვეშ გათელე... გულიდან ვერ მოიცილებ, მაინც წამოჰყოფს თავს სიკეთე, როგორც ბალახი და გადაჯეგილ, გადათქერილ, გაუდაბურებულ და გავერანებულ გულს მწვანით შემოსავს...

დაბადების დღე — ჰო, აი რა ახარებდა — ოთარი დღეს დაბადების დღეზე მიდიოდა. უხაროდა, ოჰოჰო, რამდენს იცეკვებდნენ... ამას ხედავდა, როგორ ცეკვავდა ოთარი. პატარა რომ იყო, შალვა ფეხებზე დაიყენებდა ხოლმე და ისე აცეკვებდა. შალვაც და განსაკუთრებით ოთარი შალვას მამას დაემსგავსნენ, ეტყობა. საბავშვო ბაღში ოთარს ჩოხა შეუკერეს, შვინდისფერი და თეთრი ბოხოხი... პატარა რომ იყო, ასე ცეკვავდა მთიულურს.

მომინანქრებული კათხა აიღო და წამოდგა. იქვე თაროზე მი-

ყუდებულ მაროს პატარა სარკეში თავის თავს მოჰკრა თვალი და გაუკვირდა და ესიამოვნა, თავის გამოსახულებას თვალი რომ არ აარიდა. შალვას შემდეგ შეჯავრდა სარკეში ყურება, ეუცხოვებოდა თავისი სახის დანახვა, არ სიამოვნებდა ... ეს სხვა ქალი იყო, ამ ქალს ძველებურად მხოლოდ ქარვაღა უბრწყინავდა გულზე, პაპა ოთარისეული შინდისფერი მსხვილი კრიალოსანი, ეს ერთადერთი, რასაც ვერ შეელია და ვერ გაყიდა... სარკიდან უყურებდა ხოლმე გაჭაღარავებული და სიგამხდრისაგან უსაშველოდ სახეჩამოგრძელებული ქალი... მთავარი მაინც სხვა იყო... მთავარი თვალები იყო, ამ თვალებს ვეღარ იტანდა, მათ შეურაცხმყოფელ გამომეტყველებას, დამარტოვებული, დაბეჩავებული ქალის თვალები. ასე ეგონა, უპეებიც ოხრად დარჩენილი ქალის მიუსაფრობით ჰქონდა ამოღამებული... იქნებ შალვამ არც დაიჯეროს, რომ სარკე ასე შემჯავრდაო. „გაიბზარა სარკე, თამარ!“ დაუძახებდა ხოლმე ხუმრობით... „გასკდა სარკე, ქალო!„ შესძახებდა უკვე მოთმინებადაკარგული, სადმე თუ აგვიანდებოდათ, თამარი კი სარკის წინ კოხტაობას ვერა და ვერ ეშვებოდა. შალვამ რომ იცოდეს, მხოლოდ აი, ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, აღარ მოარიდა თვალი თავის ჩამოღვარულ სახეს... ისიც იმიტომ, რომ დარწმუნებულიყო: ამ ვითარებაშიც შეიძლება ოდნავ მაინც შეინარჩუნოს გაუბედურებულმა ქალმა თავისი სახე და აღარ ჰქონდეს ყოვლად დამამცირებელი, ჩაწიხლული და თავში ჩარტყმული ადამიანის გამომეტყველება... გაიღიმა... ჯიბიდან სავარცხელი ამოიღო, სავარცხელს ის ლექსი ამოჰყვა, ჩაიკითხა ბოლო სტროფი, და სავარცხელი თავზე გადაისვა. ლერწამი გრიგალში... რა შესანიშნავი მეტაფორაა, მგონი, ფრანგული პოეზიიდან... ჰო, ჰო, სწორედ რომელიღაც თანამედროვე ფრანგი პოეტის მეტაფორა, გამძლეობის სიმბოლოდ ქცეული... ლერწამი, რომელიც უმკლავდება ქარიშხლებს... ისევ ის დილანდელი ძილღვიძილის სურათი დაუდგა თვალწინ: საკარნავალო კოსტიუმში გამოწყობილი ქალი ფლეიტაზე უკრავდა... სუსტი და ნაზი ქარიშხლების პირისპირ აღმართულიყო... ასე ეგონა: გაიხედავდა ფანჯრებისკენ, მაღალი, ვიწრო ფანჯრებისკენ, რომელთა გადაღმა, იანვრის მზესა და სუსხში ინვოდნენ პატარა ჭადრების გამხმარი, გარუჯული ფოთლები, გაიხედავდა

და დაინახავდა იმ ქალს, ლერწამივით თხელსა და ანონილს, და არათუ დაინახავდა, გაიგონებდა კიდეც მისი ფლეიტის ცალფა ხავერდოვან ხმასაც, და საკრავის მთრთოლვარე ხმა, როგორც ის ლექსი, კვლავ ჩაბერავდა სულის მხნეობას...

სავარცხელი ჯიბეში ჩაიდო, შემობრუნდა, მზით სავსე დარბაზს გახედა და ერთბაშად თვალი გაუშტერდა... სწორედ სტალინის ქანდაკება ეცა თვალში... ქანდაკება აღარ იყო გოროზად ჩაჟანგებული... ქანდაკებას რაღაც მოსვლოდა... რაღაც საშინელება დამართოდა... თვალი ხომ არ მატყუებსო, მზერა დაძაბა... არა, არ ატყუებდა თვალი... თავზარდაცემული მოსწყდა ადგილს, დარბაზისკენ გამოიქცა... მაგიდის რიგებს ჩაუქროლა... რაღაცას ფეხი წამოჰკრა, ნაიფორხილა, მყისვე გასწორდა და ქანდაკების წინ შეძრწუნებული გაშეშდა, გაქვავდა ადგილზე! ბელადისთვის თავი გაეჩეხათ.

ბელადისთვის გამეტებით და დაუნანებლად თავში რაღაც ჩაერტყათ! ერთხელ კი არა, შემთხვევით კი არა! ერთხელ და შემთხვევით ასეთ დღეში ვერ ჩააგდებდნენ! საგანგებოდ და ბოროტად გაანგარიშებული გამეტებით, რომ კი არ დაემსხვრიათ — სანიმუშოდ დაემახინჯებინათ! რომ ყველას დაენახა, როგორ იყარეს ჯავრი, იძიეს შური და მოიკლეს ბოღმა!

თამარმა თავი უმწეოდ გადააგდო, ხელები ყელზე მიიბჯინა, ცდილობდა, ნერწყვი გადაეყლაპა და ელდაზე ნერწყვიც გაშრობოდა.

ღრმა ნაპრალი ჩაჩეჩქვილი კეფიდან იწყებოდა, ირიბად სერავდა ბელადის ხშირი თმით დაფარულ თავს.

ღრმა ზიგზაგები მთელ სახეს კვეთავდა!

შუბლიცა და ცხვირიც შუაზე ჰქონდა გაპობილი!

ცალი ულვაში მთლიანად მომტვრეოდა!

სწორედ ბელადის ულვაშს წამოჰკრა ფეხი თამარმა.

ნიკაპიც მომსხვრეოდა! (რა ყოფილა ნიკაპი, განსაკუთრებით უნიკაპობა ამახინჯებდა, მთელ ძალმოსილებას აცლიდა...)

ჩიბუხს თავი მოვარდნოდა!

და ტარი ფანქარივით ჰქონდა პირში გაჩრილი!!

ბრინჯაოსფერ ხალათს საღებავი გადაფცქვნოდა და მკერდთან, საგანგებოდ ამოტეხილ და ამოღრუტნულ ფოსოში მოზ-

რდილი ქვა ჰქონდა ჩატენილი, ცხადია, იმის თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად, რომ პროლეტარიატის ბელადსა და ხალხთა მამას, სიყვარულით მოგიზგიზე გულის ნაცვლად მკერდში რიყის ქვა ედო! უხამსად შეეგინებინათ ბელადის მკერდი... უხამსოდ და უწმაწურად...

ალბათ, სწორედ ამ ქვით ჩაუჩეჩქეს თავი, მერე კი აიღეს და მკერდში ჩაუჩურთეს. ამ ქვას, ბოროტმოქმედების ამ ნივთიერ სამხილს, ჯერ გაოგნებული და დათრგუნული შეჰყურებდა თამარი, მერე კი გამოცნობის ჯიუტი და მტანჯველი წყურვილი დაეუფლა, ცოცხლად წარმოედგინა, ვისაც ეს ქვა ეჭირა ხელში. ვინც ბოლმითა და შურისძიებით ატანილი ვარაზის ხევის ბორცვიან ბილიკზე მირბოდა, იქნებ სწორედ იმის შემდეგ, რაც ციხიდან გადმოცემული მამის ფუთა მთელი გზა გულზე მიხუტებული მიჰქონდა სახლში, ტრამვაის უკანა ბაქანზე ფანჯარასთან აკრულს და აფორიაქებული იყნოსავდა რაღაც უცხო, სრულიად უცხო, ზინზლისა და ოფლის სუნში არეულ სუნს და მხოლოდ მაშინღა მიხვდა, რა სუნი იყო ეს სუნი, ასე რომ აშფოთებდა და აფორიაქებდა, მოხუცმა ბებიამ გასარეცხად რომ ჩაალბო შევიოტის შარვალ-ხალათი და წყალი წითლად შეიღება.

და მაინც უსინდისო იყო ის ვიღაცა! ბრიყვი და უსინდისო!

მართლაც ყველაფერი ასე რომ ყოფილიყო! და თუნდაც, ამაზე უარესად! არავისზე არ იფიქრა! ოღონდ კი შური ეძია! ოღონდ კი ბოღმა ამოენთხია! სხვა ყველა ფეხებზე დაიკიდა! სხვა არავინ არაფრად ჩააგდო! სხვას კისერიც უტეხია! სხვამ ჯიბეში იქნიოს მუშტები და იმან კი, ის ისეთი შურისმაძიებელია, ეს უნდა ჩაიდინოს, ეს სისაძაგლე, თავი გაუჩეხოს და მკერდში ქვა ჩაუტენოს! ცოცხალს ჩაუტენოს, ცოცხალს, ქანდაკებას რას ერჩის! თავის ამხანაგებს რას ერჩის! ბიბლიოთეკის ქალებს რას ერჩის!? გულს რომ მიამტკივნებენ მათ თითო ნიშანს და მათი ჭირითა და ლხინით საზრდოობენ!! უსინდისოები, მოღალატეები!! ხომ შეუძლებელია გაგონილი არ ჰქონდეთ, რა ბედი ეწია იმ პატარა ბიჭს, ეჟოვის სურათი რომ დახია! ხომ წარმოუდგენელია ყური მაინც არ ჰქონდეთ მოკრული, რა დღეში ჩააგდეს ის მასწავლებელი, მეოთხე კლასის გოგონამ დაფის თავზე ბერიას სურათი ყირამალა რომ შეატრიალა!! აქ კი ბელადი! თვითონ ბე-

ლადი! ხალხთა მამა და მასწავლებელი! ხალხის კერპი! კერპი! კერპი! კერპის მსხვრევა ყველგან, ყოველთვის იწვევდა საშინელ რეაქციას!! ყველგან ისჯებოდა სასტიკად! ერთბაშად გაახსენდა, რომ ბიბლიოთეკის კარი ღიაა... ადგილს მოსწყდა, სირბილით მიიჭრა კართან, გასაღებით ჩაკეტა და ერთი წუთით სულის მოსათქმელად კარს მიეყრდნო... რა უნდა ექნა და რა გზას დასდგომოდა?

ოთარი... სულ მარტო დარჩება ოთარი... აღარც მამა, აღარც დედა... აღარც დედა... შალვას დანაშაული არ ჰქონდა, არავითარი, არავითარი, შალვას აბსურდული ბრალდებები წამოუყენეს: საზღვარგარეთ ხარ დაბადებულიო, შალვას დაბადებისას ხომ ის ტერიტორია არ ეკუთვნოდა თურქეთს, არამედ იყო საქართველოს ტერიტორია, მამამისის პოლკი იქ იდგა, დედაც მამასთან იყო და აბა, შალვას რა უნდა ექნა? არ დაბადებულიყო? დედისთვის ამოეძახა მუცლიდან, წადი და შუაგულ თბილისში დამბადეო? ან, თუნდაც, რაღაც მზაკვრული მანქანებით, ჩვენი ისტორიული ტერიტორია, მართლაც საზღვარგარეთ ყოფილიყო, ამ თვალსაზრისით რა განსხვავება იყო მეფის იმპერიასა და საზღვარგარეთს შორის? მეფის იმპერია იყო იქაც და აქაც და საწყალი შალვა, ესე იგი, სულ არ უნდა დაბადებულიყო!? გაგიგონიათ ასეთი აბსურდი!? ჰოდა, შეადარეთ, შეადარეთ, შეადარეთ... სახალხო კერპის მსხვრევა! უბრალოდ მსხვრევა კი არა, შეგინება! ოთარი... (რატომღაც წარმოიდგინა, რომ მარტოდ დარჩენილი ოთარი ანთებს ნავთქურას და ვერ აუნთია, გაჰკრავს ასანთს და ან ასანთი უქრება, ან ნავთქურა ვერ გადაუხსნია!...) მეორე ბრალდება ხომ კიდევ უფრო ფანტასტიკური იყო! რადგან გერმანიაში იყავი, ფაშიზმის დაქირავებული აგენტი ხარო! შალვა! რომელიც უკანასკნელ დღემდე თავის ფუნდამენტურ შრომაზე მუშაობდა და ეს შრომა სნორედ ფაშიზმის ეკონომიკის ღრმა კრიტიკული ანალიზი გახლდათ! ის კაცი... ის საშინელი კაცი... ჯერ შალვას ამოჰხადა სული გამოძახებებით და ლანძღვა-გინების კამპანიებით და ახლა თამარს ამოხდის... აუცილებლად ამოხდის... ზის მწვანე მაუდიან უზარმაზარ მაგიდასთან ღრმად ჩაფიქრებული, შუბლშეჭმუხნული და მოღუშული, და მაგიდაზე დაზვინულ ქაღალდებს აშრიალებს... აშრია-

ლებს... როგორც გველი გამხმარი ფოთლების გროვას... ზუსტად უნდა ჩაიბეჭდოს თავში ყველა სისაძაგლე და საზიზღრობა, ხომ უთხრა მაშინ თამარს: იმათ დააბრალეთ, ვინც თქვენს ქმარს დღეში ათჯერ აბეზღებდაო, ჰოდა, კარგად უნდა ჩაიჭედოს მეხსიერებაში ყველა შეთითხნილი ცილისწამება, გულის ფიცარზე უნდა დაიწეროს ყველა უწმინდური მითითება... ყელამდე ქაღალდებში ჩაფლულმა თავდაუზოგავად, გულმოდგინედ უნდა შეისწავლოს, დაალაგოს, დაახარისხოს, საიმედოდ დააბინაოს ეს განძი... თან ჩაკვირვებით, ჩაღრმავებით აწონ-დაწონოს და გაიანგარიშოს ვის, სად, როდის ჩასცეს შხამიანი ნესტარი... ვინ იცის... ვინ იცის, უკვე იცის კიდეც ამ საშინელების შესახებ... ფეხაკრეფით ისევ ქანდაკებისკენ გაიქცა... არ შეიძლება ამისი ასე დატოვება... მაროს თუ ელოდა, ვინ იცის, მარო როდის მორჩება იმ თავის რეპეტიციას. როგორმე უნდა გააცუროს კუთხისკენ და თვალს მოაფაროს... ვინრო თაღიან წიგნთსაცავამდე შორია... მარტო ვერ შეძლებს... ღმერთო გადმოგვხედე... ლილი! ნეტავ, ლილი თუა სახლში!? არა, მარტო ვერაფერს გახდება... უნდა გადაირბინოს! რა უნდა ლილისთან გადარბენას!! აუცილებლად გადმოუვარდება და ნამსხვრევებად იქცევა, აი, შეახო თუ არა დასადგარს ხელი და ქანდაკება გატოკდა, მაშინვე მიხვდა, ... ნამსხვრევებად ქცეული ბელადი! ახიც იქნება, იმან აგოს პასუხი, იმ გმირმა, და ძაღლი ვინც მოკლა, იმანვე გადაათრიოს!! მაშინ უნდა წავიდეს და გააცხადოს, ბიბლიოთეკაში ასეთი საშინელება მოხდაო... უზნეობავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი... არა, ეს შეუძლებელია! წარმოუდგენელია. წავიდეს და განაცხადოს? არა! არა! ახალი ძალით შეძრწუნდა... არავითარ შემთხვევაში! თანაც ხომ მაინც თვითონ არიან პასუხისმგებლები! თამარი და მარო! ორივენი! არაფერს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს...

ტრიალ მინდორზე გზაკვალარეულივით იდგა, დაბნეული და დარეტიანებული... შუბლზე გაისვა ხელი... ცივი ოფლით ჰქონდა დანამული... იმ ხისთავიანმა ლამის ყველა სტუდენტი ცალ-ცალკე გამოიძახა და ყველას დამბეზღებლობა შესთავაზაო, ეუბნებოდა სოსიკო და იქვე, ექსპრომტად თხზავდა სახუმარო ტექსტს დაბეზღების სიკეთის შესახებ, „ბეზღობის ქებათა-ქებას“

და თამარის დატუქსვაზე: არავისთან არ გაბედო ასე თავისუფლად სპეცგანყოფილების დაცინვა, თორემ პირველ რიგში შენზე შეეპარებათ ეჭვიო, სოსიკომ არტისტულად გაშალა ხელები: „ო, საცოდავი საბჭოთა ადამიანი! დამიჯერეთ, ჩემი მეგობარი თაგვები გაცილებით უფრო მამაცნი არიან...“ ვაიმე, თუ ყველას ხელი სტაცეს, მაშინ მოიღერებენ კისერს! სწრაფად დაიხარა და ნამსხვრევების წამოკრეფა დაიწყო... ახლა მთავარია, მარო ჩქარა მოვიდეს... არსაით გადაუხვიოს... შემთხვევით არავინ წამოჰყვეს... უნდა წავიდეს და გააფრთხილოს... არა, მაგრამ გუნდს ხომ ვერ გაანებებს თავს... დღეს გენერალურიც აქვს... არა, აქ მაინც ვერ გაჩერდება... არ შეიძლება...

ფრთხილად, საგანგებო სიფრთხილით აიღებენ და უკანა ოთახში გაიტანენ, თან აქეთ-იქიდან მსუბუქად მიეყრდნობიან...

ცხადია, მაშინ ჩაიდინეს ეს ბოროტმოქმედება, როცა არც თამარი იყო დარბაზში და არც მარო... მაგრამ როდის იყო... არ უნდა, არ უნდა ამაზე იფიქროს, ვინ და როდის, არ უნდა ამისი კვლევა და რჩევა... ყველა ნაწილები აქ არის, ნიკაპი, ჩიბუხის თავი, აი ულვაშიც, მადლობა ღმერთს, წეღან ფეხი რომ წამოჰკრა, არ დაიფხვნა, მთელი ნატეხია... წმინდა ნაწილებივით შეჰხარის... ატკეჩილი წვრილ-წვრილი ნამტვრევებიც წამოკრიფა და ყველაფერი პოსტამენტზე დაალაგა... დააწებებენ... როგორმე დააწებებენ... როგორმე გაამთელებენ... მთავარია, ეს საშინელი ქვა როგორმე გამოუღონ მკერდიდან... ჩაჭედილია... დიდი სიფრთხილეა საჭირო, ერთი მათგანი მაგრად მოჰკიდებს ხელს მხარში, მეორე კი ნელ-ნელა დაატრიალებს... მერე თაბაშირით ამოუვსებენ. ლილი მოიტანს საავადმყოფოდან თაბაშირს... ბრონზეს საღებავსაც იშოვიან. წაუსვამენ ყველგან, ყველა ღრეჭოსა და ნაპრალს ამოავსებენ... აგერ ნიკაპი რა კარგად ჩაჯდა... ულვაშიც... თუ უკვე დასმენილები არ არიან, ყველაფერს ეშველება...

კარზე კაკუნი გაისმა... ჩემს წასაყვანად ხომ არ მოვიდნენო... გაითანგა... იქნებ მომეყურაო... კარზე აკაკუნებდნენ...

თუ მართლა ისინი არიან? მაშინ? გეფიცებით, მეც ახლა ვნახე... არაფერი... არაფერი, არაფერი არ შემინიშნავს... ჩემს ერთადერთ შვილს ... სასწრაფოდ გაიხადა სატინის ხალათი, სკა-

მზე შედგა, ქანდაკებას თავზე ჩამოაცვა, სკამი სწრაფად გამოსწია, ოჰ, რა წარმოუდგენელი სისულელეაო, თან ფიქრობდა... წელათრეული წავიდა კარისკენ... ისმის ჟღარუნი ჯაჭვის და რკინის, მე კი მივდივარ ჩასვრილი და წელათრეული... მართლა, ის ხომ თვითონ აპირებდა გასვლას, ჩაი უნდა დაელია, აი, კათხა სად დაუდგამს, მოაჯირზე... გთხოვთ, ჩაის დალევის უფლება მომცეთ... მაშინ ოთარმაც ვერ შეჭამა ერბოკვერცხი, გათქვეფილი კვერცხები ისევე დარჩა...

გასაღები ეჭედებოდა, ძლივს, ძლივს გადაატრიალა...

„წითელი მოსკოვის" სუნი იგრძნო...

ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი ასეთი... ასეთი... მგლისფერი...

როგორც იყო გამოაღო კარი...

სპეცგანყოფილების მდივანი მაყვალა შერჩა ხელში. იგი სანდომიანად ულიმოდა თამარს და ნაზი, ქალური წამღერებით (ამხელა ქალს თითქოს შიგნით პანია ჩიტი უზის და ის ჟღურტულებსო) ესალმებოდა: გამარჯობااااა... ქ-ნო თამარ... პავლემ გამომგზავნაااა"... მაყვალამ კისერი წამოიგრძელა: „არავინ არის დარბაზშიიი?"

თამარი კი გაშეშებული იდგა და ვერც ხმას იღებდა, ვერც ფეხს იცვლიდა...

„დღეს ბევრი სტუდენტი გყავდათ, ქ-ნო თამარ?"

თამარმა თავი გაიქნია: „დღეს არავინ არ ყოფილა..." — იგი პირქუში ჩაციებით მისჩერებოდა ქალის ფართე, გაშლილ სახეს, დიდ, მშვიდ თვალებს, სუფთა, ოდნავ ამობურცულ შუბლთან და საფეთქლებთან საგულდაგულოდ გადატკეცილ და მერე კი ოქროსფერ ტალღებად აზვირთებულ, დიდებულ თმას და შიგნით ყველაფერი ეფუტკნებოდა. სხვა დროსაც არ აინტერესებდა ამ ქალის სილამაზე, და მხოლოდ იმის გამო კი არა — იმ კაცის მდივანი რომ იყო და ამბობდნენ მხოლოდ მდივანი არ გეგონოთო; არც იმიტომ, რომ ქუჩაში, ტრამვაიში, ხალხმრავალ ჰოლში ეს ქალი ყოველთვის თვალს არიდებდა, თამარისთვის მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ამ ქალის მშვენიერ სახეს, ცოტათი საახალწლო ბასილას რომ აგონებდა, არ შეხებოდა და თითქოს ვერც ვერასოდეს შეეხებოდა დარდისა და ვარამის

საჭრეთელი; ამ ულმობელ და მკაცრ იარაღს არ გაემახა მისი მრგვალი, ღაბუა ნიკაპი, მკაცრად არ მოეკუმა მისი ამობურცული ტუჩები, არ შეემუსრა მისი ქალური მიმოხვრა. იყო რაღაც მეტისმეტად მიამიტი და საზეიმოდ შეუვალი მის სილამაზეში. ტრამვაიდან ბევრჯერ დაუნახავს (ეტყობა ზემელთან ცხოვრობდა და სწორედ ზემელის გაჩერებაზე დაუნახავს): თავისი სიდიდის მიუხედავად როგორ მსუბუქად ამოახტებოდა ხოლმე უკანა ვაგონს, მომხიბლავად შეარხევდა მხრებს და ქალური სისხარტით მოიკვლევდა გზას. თან ყველაფერს ირგვლივ დიდი, თაფლისფერი თვალების ნეტარ მზერას ავლებდა და თამარის ღრმა რწმენით, დაცქვეტილი, პატარა ყურებიც გარშემო მყოფთათვის და განსაკუთრებით კი სტუდენტებისთვის ბეჯითად მიეპყრო.

საწყალ თამარს კიდევ ის უწეწავდა ნერვებს, რომ მთელი თავისი არსებით გრძნობდა, ასე არ უნდა დაეჭირა თავი, ასე არ უნდა შეხვედროდა ამ ქალს, კისისხველი მეციხოვნის შეუპოვრობით არ უნდა ასვეტილიყო შემოსასვლელში და ამ მოჟღურტულე პაწია ჩიტისათვის ზარბაზანი არ უნდა დაემიზნებინა...

„პავლემ სია გამომატანა, ქალბატონო თამარ..." — დაიჟღურტულა ქალმა, გაიღიმა, დარბაზში შემოსასვლელად შეირხა, მაგრამ შემცბარმა უკან დაიხია და თამარს გაკეცილი ქაღალდი გამოუწოდა. „გასანადგურებელი წიგნების სიაა"!

„ჩვენ წიგნები უკვე გავანადგურეთ!" პირქუშად შესძახა თამარმა, გასაღები გამოიღო ჭრილიდან და აჩქარებული მობოდიშებით დაუმატა: „მაპატიე, მაყვალა, ეს არის უნდა გავსულიყავი, სიას კი მერე გადავხედავ!"

„გადახედავთ კი არა, ეს ახალი სიაა, ქალბატონო თამარ, როგორ მოასწრებდით განადგურებას, როცა გუშინ მოვიდაა? იმის შემდეგ, ვინ მოთვლის კიდევ რამდენი მავნებელი გამოავლინეს?!" თავმომწონედ, თითქოს გამომწვევადაც დაიჭიკჭიკა მაყვალამ. სინანულის ნატამალი, სინანულის ნასახი, იოტის ოდენა შეცოდება... არა, ნუ დაენანებოდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა დაფიქრებულიყო მაინც, ამოდენა ქალი, ხომ შეიძლებოდა ღრმად ამოესუნთქა... ხომ შეიძლებოდა ქალური სიკეკლუცით მაინც გაეღიმა... ღმერთო, ღმერთო, ისევ სია... სავლე, სავლე,

რატომ მდევნი მე...

თამარი დაჰყურებდა სიას და სული ყელში ებჯინებოდა:

მათ ხომ საშინელი დანაშაული ჩაიდინეს... მან და მარომ... წიგნები იმ ძველი სიიდან არ დაწვეს და არ გაანადგურეს! მაშინ პავლემ სპეციალურად დაიბარა, ამ ორი თვის წინათ და თამარის მორიდებულ შეკითხვაზე, „რა ვუყოთ მერე ამ წიგნებს, ქვევით, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდებში ხომ არ ჩაგვეტანაო", პავლემ გამძვინვარებით მოუწოდა „რა უნდა უყოთ და საკუთარი ხელით უნდა გაანადგუროთო, სამეცნიერო ბიბლიოთეკაში თავისი წიგნები ეყოფათო!!" რა უბედური იყო იმ კაბინეტში, იმ კაცთან, იმ სავლედ დარჩენილ პავლესთან... გაბრუებული და გასავათებული ფანჯრებს გადაღმა, ქვაფენილის კიდეზე მოქანავე ჭადრის ნერგებს გაჰყურებდა, ნოემბრის ქარით შევიწროებულ პატარა ნერგებს, ამ კაბინეტში მოხვედრილი საწყალი ქალის ერთადერთ ნუგეშს (მათ დარგვაში ხომ შალვამაც მიიღო მონაწილეობა თავის სტუდენტებთან ერთად, ოთარიც კი წამოიყვანა და მთელი დღის შრომის შემდეგ გახარებული და ნასიამოვნები დაბრუნდა შინ), და ბოღმითა და ტკივილით სავსე, იმ დროზე ფიქრობდა, ეს ნერგები უზარმაზარ თვალწარმტაც ჭადრებად რომ იქცეოდნენ, უნივერსიტეტის ჭადრებად, და უნივერსიტეტშიც, ამ კაბინეტშიც აღარავის უბრძანებდნენ წიგნების დაწვასა და განადგურებას, აღარავის მოუწოდებდნენ ლანძღვა-გინებაში მონაწილეობასა და კრებებზე დასწრებას. უნდოდა ეთქვა, გული მიხდება ცუდად და არ შემიძლია დასწრებაო, მაგრამ ისევ გაჩუმება არჩია. „ასე არ შეიძლება! არავითარ საზოგადო ღონისძიებას თქვენ არ ესწრებით... არცერთ კრებაზე მე თქვენ არ მინახავხართ!!" თამარი კი პატარა ჭადრებს უყურებდა. აი, სწორედ მაშინ, ჩამონოლილ სიჩუმეში გაისმა ისევ იმ კაცის ხმა, სწორედ მაშინ უთხრა ის საშინელი ფრაზა, ტკეპნით, დამარცვლით, ლამის ჩაჩიჩინებით, დაფასთან მოულოდნელი გამოძახებით დაბნეულ და დარეტიანებულ მოწაფეს გამოსაფხიზლებლად რომ ჩასძახებდნენ, აი, ასე: „იმათ დააბრალეთ, ვინც თქვენ ქმარს დღეში ათჯერ აბეზღებდაო... " კაცმა თავი აიღო, თითქოს მუდმივი სიფხიზლისაგან დაქაჩული, წყლისფერი თვალები მოაპყრო და ისევე ტკეპნით დაუმარცვლა: „სიტყ-

ვიერად და... წერილობითო."

სძულდა, სძულდა, სძულდა! ალბათ, ამ სიძულვილის ბრალიც იყო, რომ მიუხედავად შიშისა და კანკალისა, მიუხედავად ძილგამკრთალი ღამეებისა, ის წიგნები ვერც თამარმა და ვერც მარომ ვერ გადაყარეს და ვერ დაწვეს... და არა მხოლოდ მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობები და რომანები, არა მხოლოდ მეოცე საუკუნის რუსი ფილოსოფოსები, არა მხოლოდ მანდელშტამის „Камень" და ბაბელის მოთხრობები, არამედ მირიან ლაღიძის ლექსებიც კი... თან უხაროდა, უხაროდა, რომ ასე უხდიდა სამაგიეროს, მის საკმარისად დაბალ პოეტურსა და მხატვრულ პროდუქციას არ წვავდა და არ აგდებდა, არამედ, როგორც საუკეთესო წიგნებს, ყდებზე და თავფურცლებზე ქაღალდებსა და გადაყრილი ჟურნალების რბილ ყდებსა და თავფურცლებს აწებებდა... ნაწილი იმ წიგნებისა მარომ წაიღო თავისი სარდაფის ბნელ თახჩაში დასამალად, ნაწილი კი, მაროს თხოვნისა და რწმუნების მიუხედავად, თამარმა არ დაანება, აქაოდა უწიგნოდ ყოფნა არ შემიძლიაო, აქაოდა უწიგნო სახლზე ცარიელი, მოსაწყენი, უღიმღამო, აუტანელი და გაუსაძლისი კიდევ რა შეიძლება იყოსო, თითო-თითოდ გადაზიდა თავის ჯურღმულში და წალოში დამალა ლოგინისა და ფიცრების ქვეშ; და ამიერიდან ის ჯურღმულიც ისე საშინელი აღარ ეჩვენებოდა, იმ ჯურღმულსაც ჰქონდა თავისი საიდუმლო სიამე, რომლისთვისაც გარჯამა და საშიშროების დათრგუნვამ თამარს თავი ადამიანად აგრძნობინა. საოცარი გრძნობა იყო, შიშითა და ტანჯვით სავსე, მაგრამ იმედის გამღვივებელი, იმედის ჩამნერგავი... აი, ნახეთ, ანუგეშებდნენ ერთმანეთს თამარი და მარო, სამართლის ჟამიც დადგებაო და ჩვენც სიის მიხედვით უკლებლივ დავუბრუნებთ ამ წიგნებს ჩვენს ბიბლიოთეკა-სამკითხველოსო. მაგრამ სამართლის ჟამი, როგორც ჩანს, როდინობის კვირაში დადგებოდა...

ახალ სიაში ოცამდე ავტორი მაინც იყო შეტანილი...

დაჰქროდა ეს სიები ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში, ბიბლიოთეკიდან ბიბლიოთეკაში, სამკითხველოებში, სახელგამებში, სტამბებში, რედაქციებში, უწყებებში, დანესებულებებში... ყველგან... მთელ ქვეყანაზე...

ინვებოდა თხზულებები, ნადგურდებოდა შრომები, ცხრაკ-

ლიტულში იკეტებოდა აკრძალული წიგნები... და მაყვალა თავისი ნაზი ხმითა და გულითადი კილოთი თამარს შველას სთავაზობდა, თავზარდამცემ, ყოვლად წარმოუდგენელ შველასა და შემწეობას. „გამოაღეთ თუ არა კარი, მაშინვე მივხვდი, რომ ცუდად ხართ, ქ-ნო თამარ, სახეზე ფერი არ გედოთ, ჰოდა, მე გიშველით, რა კარგია, რომ მოვიფიქრე, აი, ახლავე, იმიტომ, რომ შეიძლება ვერც კი მოასწროთ, არდადეგები იწყება, შეგამოწმებენ და რაიმე წესრიგში რომ არ იყოს, ყველას მოხვდება...“ — მაყვალამ ხმას დაუწია: „მით უმეტეს თქვენ... მით უმეტეს თქვენს მდგომარეობაში —

„არა, არა, მაყვალა, არა!“ — შესძახა თამარმა მაყვალასთვის სრულიად გაუგებარი და უცნაური გზნებით, — „ჩვენ თვითონ ყველაფერს მოვასწრებთ, ჩვენ თვითონ!“ — ჩქარ-ჩქარა, სულმოუთქმელად ამბობდა და მაყვალამ ისღა იფიქრა, ჩვეული დელიკატურობა ნებას არ აძლევს, მე დამასაქმოსო, ამიტომ კიდევ უფრო გამოიდო თავი:

„კარგით, რაა, ქ-ნო თამარ, ჩემი გერიდებათ?! მარტო რომ არ იყოთ, კიდევ ჰო, და ქ-ნი მარო ვინ იცის, როდის დაბრუნდება რეპეტიციიდან! თანაც დღეს პირველი გენერალური რეპეტიციაა!“ და მაყვალამ ახლა უკვე მედგრად მიიწია შესასვლელად.

„არა, არა!“ უმწეო სასონარკვეთით აღმოხდა თამარს, მან ხელები გულზე იტაცა, თვალები კი ბოლმის ცრემლებით აევსო, „ხომ მაქვს უფლება, მეც დავესწრო რეპეტიციას, იცით, როგორ მაინტერესებს, რას აკეთებენ ჩვენი სტუდენტები, მით უმეტეს, გამოცდები უკვე დამთავრდა, არავინ შემოსულა გუშინ და დღეს“ და სწორედ ამ დროს ეტყობა, ისე მოქაჩა მძივი, რომ სანამ გაოგნებული მაყვალა ხმას გაიღებდა, ქარვის ბურთულები პარკეტზე გაიბნა და გაიშალა... თამარი იძულებული იყო უკან დაეხია.

მაყვალა სხარტად შემოვიდა დარბაზში, დაიხარა და ქარვის წამოკრეფას შეუდგა, „აბა, რა, ქ-ნო თამარ, აუცილებლად დაესწარით რეპეტიციას, მით უმეტეს არასდროს არ ესწრებით ლონისძიებებს, არადა, ვერ წარმოიდგენთ რა მონტაჟი აქვთ ჩვენებს, ან რას მღერიან.“ ულურტულებდა მაყვალა, თან ქარვის ბურთულებს მუჭში იგროვებდა, მერე კი თამარს ემალის კათხ-

აში უყრიდა. თამარი უსასოოდ, ბედსმინდობილივით მიეყრდნო მოაჯირს და მათხოვარივით გაინოდა კათხა. მაყვალას სახე გაეშალა, თითქოს კიდევ უფრო გაუფართოვდა, მე ასეთი ქარვა არ მინახავსო, თავისებური წამღერებით ამბობდა, არც ვიცოდი, თუ ამფერი ქარვა არსებობდაო, და შინდისფრად მოკიაფე ბურთულებს ხელის გულზე იჩერებდა და თვალებს უჟუჟუნებდა, თან სულ უფრო და უფრო ეძალებოდა აღტაცება... დიდი, თაფლისფერი თვალები ნაპერწკლებით აევსო, თმები კი მზეზე ოქროსფრად უბრწყინავდა, და ერთიანად თითქოს ნდომითა და სურვილით იყო გაბდღვიალებული...

სულ წამოკრიფა... სულ... გაფაციცებით მოავლო თვალი იატაკს... შორს გაგორებულიც მოიძია... თამარი, კათხით ხელგაწვდილი, გახევებული უყურებდა მაყვალას... არა, არა, ქარვის კრეფაში იყო ჩანთქმული, იქითკენ, იმ საშინელი ადგილისკენ არც მიუხედავს. გაითანგა, მაგრამ საბოლოოდ ორიოდ უკანასკნელი ბურთულა შეყოვნებითა და გულდაწყვეტით რომ მიაწოდა თამარს, ყელი თავმომწონედ მოიღერა, თაფლისფერი თვალების ნეტარი მზერა პირდაპირ ფანჯრებისკენ გატყორცნა და გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობით (ვითომ! ვითომ! ვითომ!) იკითხა:

— რა არის ის საფრთხობელასავით, ქ-ნო თამარ? — შეხედა და თვალები გაუჟუჟუნა. და თამარს მოეჩვენა, რომ მზაკვრულად გაუჟუჟუნა თვალები მაყვალამ. „მზეა, მაყვალა, მზე..." ასე ეგონა, სხვა ადამიანი, მის შიგნიდან, სულ სხვა ადამიანი პასუხობდა მაყვალას...

გაილიმა კიდეც... ჩვეულებრივ... სრულიად ბუნებრივად...

„როცა მზე ადგება, ჩვენ ჩამოვაფარებთ ხოლმე" — აღარ დააცადა მაყვალამ სიტყვის გაგრძელება, ერთბაშად ჩაიცინა, თავისებურად ჩაიჟღურტულა: „გეშინიათ, თავში სიცხე არ ჩაუვარდეს, ქ-ნო თამაარ?"

თამარმა მაყვალას თვალებში შეხედა და ყრუ, ჩავარდნილი ხმითა წარმოთქვა:

„დიახ, მაყვალა... გვეშინია"... — გაჩერდა და ისევ დაუმატა: „გვეშინია"...

მაყვალამ გაბუტული ბავშვივით გამობუშტა ტუჩები, ქვეში-

დან შემოხედა თამარს, თითქოს რაღაცას ვარაუდობსო, შეტრიალდა და კარისკენ წავიდა...

ყველაფერი მსხვილი და ამობურცული ჰქონდა: გვერდებიც... მხრებიც... ბეჭებიც...

თამარს თავისდა მოულოდნელად, სრულიად მოულოდნელად, ერთბაშად და მყისიერად, დაებადა აზრი, რომ უნდა დასდევნებოდა მაყვალას, უკანიდან ხელები შემოეხვია, და გულითადი, დედა-შვილურად დაშაქრული, ლამის ვედრების კილოთი ეთქვა: შენი იყოს ეს ქარვა, მაყვალა, ასე რომ მოგეწონა, სწორედ შენი უნდა იყოსო, ბოდიში, უცებ ვერ მოვიფიქრე, ხომ იცი, ჩვენ კახელები გვიანა ხალხი ვართო... გვიანაო!

მაყვალა გავიდა და კარი ფრთხილად გაიხურა... გაუხარდებოდა, ოჰ, როგორ გაუხარდებოდა ქარვაც, თამარის დამცირებაც, თამართან გატოლებაც... გაოგნებული გაჰყურებდა კარებს. მერე კი მოაჯირზე გადაიხარა, სია მაგიდაზე გადადო, კათხა ჩანთაში ჩაცალა და სწრაფი ნაბიჯით, ლამის სირბილით დაედევნა მაყვალას... სიჩქარეში კინაღამ კარი ღია დატოვა... ღია... ისევ გაეჭედა გასაღები... მაინც ორჯერ გადაატრიალა... მაყვალას უკვე ჩაეთავებინა კიბეები და მეორე სართულის ჰოლში დიდი, ლამაზი ხომალდივით მიირწეოდა... ნაბიჯების ხმაზე თავი მოატრიალა, თამარი კიბეებთან მოჩუხჩუხე ნიჟარას დაეწაფა, სული მოითქვა და მაყვალას რომ მიუახლოვდა, იგრძნო: დედაშვილური აფეთქება სრულიად გაქარწყლებოდა, ხომ გითხარი, არაჩვეულებრივად მაინტერესებს ჩვენი თვითმოქმედებაო, მიაძახა შებრუნებულ მაყვალას და სააქტო დარბაზისკენ გასწია... დიდ კიბეებთან უნივერსიტეტის ბობოლები იდგნენ, თვალში მოხვდა სპეცგანყოფილების ბრტყელი, ფერმკთალი სახე... ვერცხლის ნიღბიდან იმზირება ბოროტი სული... მცირე ნუგეში მაინც იგრძნო: დამინახონ, როგორ მივიჩქარი სააქტო დარბაზისკენო, მაშინ რომ მისაყვედურა, კრებებს და ღონისძიებებს არასოდეს არ ესწრებითო, აი, თუ არ ვესწრებიო? კაცები რაღაცას ლაპარაკობდნენ, მას კი გაშეშებული მზერა ჰოლისკენ მიეპყრო... ჰო, ჰო, მაყვალას უყურებდა... სინანულმა აიტანა, რა ვქენი ეს, რომ ქარვა არ ვაჩუქეო, რატომ ვარ ასეთი უკუდო ამპარტავანიო, ქვეყანა ინგრევა და მე ისევ ჩემ-

სას მივერეკებიო, ღმერთმანი, პაპა ოთარს რომ შესძლებოდა, საფლავიდან ამომძახებდა: არ დაიხიო უკან და მიეციო...

მაყვალას გატეხილი და შეგინებული ბიუსტი არ დაუნახავს, და თუ იმაში დაეჭვდება, თამარს სტალინი სძულს და მარტო დარჩენილმა სნორედ ამიტომ ჩამოაფარა ბიუსტს თავისი ხალათიო, და თუ ახალგაზრდა ქალს ისე ექნება შუბლის ძარღვი განყვეტილი, უადგილო ადგილას გაამხელს ამ ამბავს, მაშინ ბარემ ისიც თქვას, ბელადის ბიუსტზე გაქილიკებით რომ გაიცინა! გაიცინა! გაიცინა! ლამის ჩაკუჭკუჭდა, დიახაც რომ ასე იყო! თან რა სიტყვები თქვა! თავში სიცხეო... აი, ეს გაბედა, ეს გაბედა, ჰოდა, თქვას, თუ ერთს იტყვის... მეორეც თქვას, მართლა ასე ხომ არ არის საქმე...

სააქტო დარბაზის შესასვლელთან ჟრიამული იდგა, ჰოლი სავსე იყო საოლიმპიადე მონტაჟის მონაწილენით, ჩოხებსა და ჩაქურებში, ხევსურულ კოსტიუმებსა თუ ქართულ კაბებში გამოწყობილი გოგო-ბიჭებით... თამარს აქეთ-იქიდან გაღიმებული ესალმებოდნენ, ზოგიერთი მათგანი კი სიხარულით ეგებებოდა: რა კარგია, რომ ბოლოს და ბოლოს თქვენც დაგაინტერესეთ და გამოგიყვანეთ თქვენი ციხე-სიმაგრიდანო... თურმე შესვენებაზე გამოშლილიყვნენ, თურმე სადაცაა უნდა დაწყებულიყო გენერალური რეპეტიცია. თამარი გამტკნარებული ილიმებოდა, აშკარად სიამოვნებდა გულშემატკივრისა და კეთილმოსურნე ქომაგის როლში რომ აღმოჩნდა, თუმცა გულში მწარედ ფიქრობდა: ნუთუ ამათშია ის, ვინც ასეთი საშინელება ჩაიდინაო, ვინც ასე გაგვწირა და გაგვიმეტაო... ვითომ სასხვათაშორისოდ მარო იკითხა და გუნდს ამეცადინებსო, უპასუხეს, ფინალურ სიმღერას ამუშავებენო... დარბაზიდან მართლაც სიმღერის ხმა აღწევდა... დარბაზის კარი შეაღო და ფეხის შედგმისთანავე თვალში ეცა პლაკატებითა და ლოზუნგებით აჭრელებული კედლები... პლაკატებიდან მართლაც პლაკატურად მრისხანე ადამიანები საშინელ სიტყვებს წარმოთქვამდნენ: გულქვა, სასტიკ, ვულგარულ სიტყვებს, და ეს სიტყვები ნახევარმეტრიანი ასოებით იყო გამოყვანილი, რათა ყველას, ყველა შემომსვლელს, სათვალიანსაცა და უსათვალოსაც, ბრუციანსაცა და თვალხილულსაც მყისვე თვალში შესჩხიროდა ეს

ულმობელი მოწოდებები: „სიკვდილი ცოფიან ძაღლებს! მავნებლებს, ხალხის მტრებს! შხამიან გველებს! პირსისხლიან აგენტებს! ბურჟუაზიის დაქირავებულ მსახურებს! კაპიტალიზმის რესტავრატორებს... ჩვენი ულმობელი რისხვა, შერისხვა, ანათემას გადაცემა, გამათრახება..." ლოზუნგების ზევიდანვე, მოვარაყებული ჩარჩოებიდან ბელადების სურათები გადმოსცქეროდათ... ოჰ, რა საშინელი დარბაზი იყო... თხემის ადგილი... ლანძღვა-გინების ბუდედ გადაქცეული. უნივერსიტეტის ხალხს სახრით მოერეკებოდნენ, მერე მიცვივდებოდნენ კარებს და ჩაკეტავდნენ.

ისე ამოათავებდა კიბეებს, იქით არ გაიხედავდა... თუ მით უმეტეს, ჰოლში ხალხი ტრიალებდა, ასე ეგონა, ვიღაცას გმობდნენ და ათრევდნენ, ვიღაცას ჯვარზე აცვამდნენ... შალვაც რამდენი ლანძღეს... რამდენი ურტყეს... რამდენჯერ ჩაწიხლეს... იგი ერთხელ ეუბნებოდა (იმის შემდეგ სულ ცოტა ხანში დააპატიმრეს კიდეც), ისე გავხევდი, ველარც ვუგდებდი ყურს, რას მლანძღავდნენო, თავი ავწიე და სცენიდან ჭაღს გავყურებდი, ნათურებს ვითვლიდიო... ახლა კი სცენაზე გუნდი იდგა სამ სართულად და ბანების მოძახილი, ზედიზედ, მიყოლებით, მკაფიოდ გამეორებული მოძახილი: „შეე-ენი ხე-ელ-ით... შეენი ხეელით... შეე-ე-ნი ხე-ე-ლით" თითქოს მუქარასავით გაისმოდა ცარიელ დარბაზში და პირდაპირ და უშუალოდ კარებთან აბუზული თამარისკენ იყო მიმართული და დამიზნებული... იქვე კარებთან ნაპირა სკამზე ფრთხილად ჩამოჯდა... როგორც ჩიტი ნარზე... რომ მოგეკლათ, სკამებს შორის, გასასვლელში თავისუფლად ვერ გაატარებდით, კაბინეტებშიც ხომ, ვისიც არ უნდა ყოფილიყო, შეფერხებისა და შეკრთომის გარეშე აღარ შეეძლო შესვლა... შალვას შემდეგ ყველგან ასე იზაფრებოდა...

გუნდის წინ, სცენაზე, მარო იდგა, ისედაც მაღალი და თხელი კიდევ უფრო აწონილი ჩანდა, ხელებს ექსპრესიულად ამოძრავებდა, თავსაც შეურიგებლად გაიქნევდა ხოლმე და მკაცრად შესძახებდა „ნუ ადაბლებთ! ნუ ადაბლებთ!" თამარმა იცოდა მაროსაგან, რომ ბელადზე სამი ფინალური სიმღერა ჰქონდათ, მაგრამ აი, ეს სიმღერა „ჩვენო სტალინ, ჩვენო მკვიდრო..." რომელიც მაროს აზრით ყველას ჯობდა ხალხური ინტონაციით,

კეთილხმოვნებით, შემართული, გმირული სულით, დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს ცნობილ კომპოზიტორს შეექმნა, გუნდისთვისაც ახლახან გადაეცათ და ამიტომ იყო შესვენებაზედაც, გენერალური რეპეტიციის დაწყების წინაც, საგულდაგულოდ რომ ამუშავებდნენ, ჯერ ცალცალკე ხმები იმეორებდნენ ფრაზას, მერე კი ყველა ერთად, ხმაშეწყობილად მოსძახოდა: „გაიშალა�ა ის ნააყოფი... შეენ რომ შეენი ხელით დარგე... შეენი ხელით...“ სცენაზე, უკანა ფარდებს, ეგრეთწოდებულ, „ზადნიკებს“ ცვლიდნენ და სინათლეებს აყენებდნენ... გოგო-ბიჭების შერეული გუნდი ხან ერთბაშად გაკაშკაშდებოდა, ხან ისევ ჩაბნელდებოდა, ხან მეწამულ შუქში გაეხვეოდა, ხან ისევ გაცრიატდებოდა... ოჰ, რა მშვენიერი სახეები კრთებოდა... ჭაბუკური მღელვარებით აღსავსე... როგორი მონდომებით მღეროდნენ, რა თავგამოდებით. საკვირველიაო, ფიქრობდა თამარი, როგორ შეეძლო მაროს ეს სიმღერა მოსწონებოდა, უსიტყვო სიმღერა ხომ არ არის, რომ მხოლოდ ჰანგი მოგეწონოსო, და რადგან ეს საშინელი, ცრუ სიტყვები, მსჭვალავსჰანგს, კონკრეტული შინაარსით ავსებს, როგორღა შეიძლება, სიმღერა ამ სიტყვების გარეშე შეაფასოო? თამარი თვალს აყოლებდა მწკრივებს და ასე ეგონა, ყველას რაღაც უცნაურ ბადეში და ქსელში ხვევდა ეს სიტყვები. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ყველა, ყველა ზადითა და ბანგით იყო დამღადასმული... თუნდაც, აგერ ის, ნაპირას რომ დგას, პირველ რიგში, ლერნამივით გადაზნექილი ცისფერთვალა გოგონა, კოხტა თავზე აბრეშუმის შულოებივით ნაწნავები ჯიღასავით რომ დაუდევს, პირს შაშვის ბარტყივით აღებს და სახეზე გაოცება და სასოება აქვს აღბეჭდილი, კარგად ახსოვსთამარს, სემესტრის ბოლოს მთელი ერთი კვირა ხერხემლიანთა ზოოლოგიის სახელმძღვანელოს ამუშავებდა ბიბლიოთეკაში და ერთხელ, წიგნის გატანისას, გახარებული ეუბნებოდა თავის ამხანაგს: „ზუგდიდიდან ცნობა გამომიგზავნა მამამ და ახლა ჩავაბარე კომიტეტშიო“. თამარი მაშინვე მიხვდა, რა ცნობაზეც იყო ლაპარაკი, პირველად არ ესმოდა, რომ სტუდენტებს, რომელთაც ოჯახის წევრი კი არა, ახლო ნათესავი ჰყავდათ რეპრესირებული და ამის შესახებ კომკავშირში თუ სპეცგანყოფილებაში იქნენ დასმენილნი, ცნობებს სთხოვდნენ

საბინაო უბნებიდან, სახლმმართველობებიდანა და საბჭოებიდან იმის თაობაზე, რომ მავან და მავან ხალხის მტერთან მათ არასოდეს არავითარი ურთიერთობა არ ჰქონიათ.

თამარმა ვერ მოითმინა და შეეკითხა: რა ნათესავი იყო თქვენიო, გოგონამაც სხარტად უპასუხა: მამიდის ქმარიო. მერე მართლა არ გქონია არავითარი ურთიერთობაო? გოგონამ იმის ნიშნად, რომ ერთ ფაქტს მეორესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, გულუბრყვილოდ შეიცხადა: რას ბრძანებთო, ხუთი მამიდაშვილი მყავს, სულ ბიჭები და მე ქალიშვილივით ვყავდიო, სულ მუხლზე ვეჯექიო... გოგონა გულუბრყვილო იყო და მას არც არაფერს სთხოვდა თამარი, ან კი რა უნდა ეთხოვა, რა უფლებით, ეჭვი არ ეპარება, მაშინვე იმას უპასუხებდა: აბა, ამ ფარატინა ქაღალდის გამო არ დავეშვი სესიებზეო? გავერიცხე უნივერსიტეტიდანო? მაგრამ სხვებსაც, ვისაც აბსურდული და ყბადაღებული ცნობები კი არ უნდა წარმოედგინათ, არამედ ამ კლუბის დარბაზში გამოსულიყვნენ და სახალხოდ დაეგმოთ თავისი უახლოესი ადამიანები, იგივე შეეძლოთ ეთქვათ... და თუმცა „მავნებლებისა" და „ხალხის მტრების", „დივერსანტთა ხროვისა" და „ჩვენს რიგებში შემოპარული პირსისხლიანი აგენტების" საჯარო უარყოფა, გმობა, ლანძღვა-გინება და გამიჯვნა ოჯახის წევრებისაგანა და ნათესავ-მახლობლებისაგან საყოველთაო ხასიათს ატარებდა, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტი იყო, საზოგადოებრივი კამპანიის სახე ჰქონდა და როგორც ყოველივე იძულებით საზოგადოებრივი, ისევე ლანძღვა-გინებაც, ამ შავბნელი დროის სავალდებულო რიტუალს წარმოადგენდა, ესე იგი, ერთგვარად ფორმალურიც იყო და ხშირ შემთხვევაშიც, როგორც იმ გოგონას ცნობის დროს, აბსურდულობის ელფერიც დაჰკრავდა, თამარისთვის ლანძღვა-გინება, თუნდაც ტყუილუბრალოდ წარმოთქმული, უარყოფა, თუნდაც გულისგარეთ ნათქვამი, მაინც ლანძღვა-გინება და უარყოფა იყო, საქციელი თავისთავად ყოვლად უღირსი, უზნეო და სულის გამხრწნელი. მას ერჩია ხელგაწვდილს კარდაკარ ევლო, ოღონდ ოთარისთვის სინდისიერად ეპატრონა, და არა ისე, როგორც ბევრ დედას ჰგონია და ბევრი დედა პატრონობს: ოღონდ შვილი მაძღარი, ჩაცმულ-დახურული და მხიარული ჰყავდეს, თან

ცალი თვალით წიგნში იხედებოდეს და სხვას არაფერს დაგიდევენ... ახლა ოთარი აღარც მაძღარი იყო, აღარც ჩაცმული, რადგან ამ ხნის განმავლობაში, თითქოს განგებო, ტანიც აიყარა და პალტოს სახელოები ლამის იდაყვებამდე აუვიდა, ფეხიც მოულოდნელად გაეზარდა და მშვენიერი ყავისფერი შევროს ფეხსაცმელები, შალვამ ამ წელიწადნახევრის წინ საპრიგინთან რომ შეუკერინა, ჩვეული ხელგაშლილობით სოსიკოს აჩუქა, და თუმცა, წიგნში ორივე თვალით იყურებოდა, თამარისთვის მთავარი მაინც ის იყო, თავისი ერთადერთი შვილი, თავისი იმედი და ნუგეში, ვისთვისაც ცოცხლობდა და ვისაც წინამძღვრობდა, სულის შემძრავი შიშით და ძრწოლით როგორმე ისე გაეყვანა გარსშემორტყმულ წუმპესა და ტლაპოში, ერთი შხეფი არსად მოხვედროდა, და თუ მიუღწეველს ვერ მიაღწევდნენ და შეუძლებელს ვერ შეძლებდნენ, და თუ ვერა და ვერ გადაურჩებოდნენ დასვრას, ისე მაინც არ უნდა ამოლაფულიყვნენ, ერთმანეთის შეხედვისა შეშინებოდათ და შერცხვენოდათ. აგერ ის ბიჭები, სამნი, ბანებში რომ იდგნენ მაღლა და შუბლშეჭმუხნულები თავგამოდებით აგუგუნებდნენ მოძახილს, როგორ აწუხებდა მათი ბედი თამარს, ოჰ, როგორ სტკენდა გულს მათი ამბავი... სამივე გაემიჯნა... სამივემ დაგმო. სამივემ უარყო... ერთმა ძმასავით შეზრდილი მეგობარი... მეორემ (მარო განსაკუთრებით უქებდა მას ბანს), გამზრდელი ძმა, მესამემ კი... მესამემ... სოსიკომ... ოთარის ამხანაგმა, აქ ბიბლიოთეკაში გაცნობილმა (როგორც ადრე ახალგაზრდობაში ხდება ხოლმე, ერთბაშად რომ მოეწონებათ ერთმანეთი და უცებ დაახლოვდებიან) — დახვრეტილი მამა. სოსიკოს განსაკუთრებით მიამტკივნებდა გულს თამარი... რამდენი ხანი სოსიკო გარე-გარე უვლიდა ბიბლიოთეკას, სადაც ღამეს არ ათევდა, თორემ აღარაფერი აკლდა, ლამის გამოუსვლელად იქ იყო; იმ საშინელი გმობის შემდეგ კი დადიოდა დამდუღრულივით, ჩამკვდარი და ჩაფუფქული. ოთარი სთხოვდა დედას: „სოსიკოს თავისი გაჭირვებაც ეყოფა და როცა იქნება, შემოვა ბიბლიოთეკაში, არაფერი არ აგრძნობინოვო, არავითარ შემთხვევაშიო..." ისხდნენ ბუფეტში და ხმელ „კორჟიკებს" ჩაის ატანდნენ... წყალწყალა, გრილი ჩაი და ქვასავით მაგარი „კორჟიკები" კიდევ უფრო აუგემურებდა თამარს, „ვის რაღა

გვაქვს სათქმელიო", დუდუნებით ეუბნებოდა ოთარს, ტუჩებს ისე შეუმჩნევლად ამოძრავებდა, ოთარის გარდა ვერც ვერავინ მიხვდებოდა, რომ რაღაცას ამბობდა, "თორემ იცოცხლე, სწორედ სოსიკოა დასასჯელი და გასაკიცხიო... და შენც თუ დაგმობ... მამაშენს... ჩვენ თუ ეს საშინელება გველის..." თამარი აღელდა, ბოღმა მოებჯინა, ხმელი ნამცეცი გადასცდა, ხველა აუვარდა და ცრემლები წამოუვიდა. ოთარს ეგონა, განგებ ახველებს, რომ ტირილი არ დაიმჩნიოსო და თავგადაკვლით ეფიცებოდა: „არასოდეს ეგ არ იქნებაო... ინსტიტუტიდანაც რომ გამრიცხონო... წავალ და სახერხზე ვიმუშავებო... როგორც ზაფხულშიო... მამას კი არ დავგმობო... და იმიტომ კი არა, სოსიკოზე უკეთესი ვარ, შენ ხარ ჩემს გვერდითო... ის კი სულ მარტოა და ეტყობა ბოღმითა და შურისძიებით არის სავსეო"...

ყმაწვილი ქალივით ენდო მის სილაღესა და დამოუკიდებლობას, აქაოდა ახოვანი და მშვენიერი იყო, აქაოდა მოლექსის სახელი ჰქონდა დავარდნილი და დარბეულისა და შევიწროვებულის მოწამეობრივი გვირგვინი ედგა, და რაც მთავარია, რაც თამარს ასე ხიბლავდა და რამაც სწორედ შეცდომაში შეიყვანა, — თავის გაჭირვებას სულ დასცინოდა... გოგოები გიჟდებოდნენ, ქუჩაში არასოდეს ხუთ-ექვს გოგოზე ნაკლები არ მოსდევდა ამალად, მოდიოდნენ და კისკისითა და ჟრიამულით მოჰქონდათ ქუჩა: სოსიკო უდიდესი ხალისით, წარმტაცი სათავგადასავლო ეპოპეასავით უყვებოდა გოგოებს (იუმორით სავსე იმპროვოზაციებს) თავის კიბისქვეშა ხუხულაში, სადაც დედმამის დაპატიმრების შემდეგ შეასახლეს, თაგვებთან თავისი განუყრელი მეგობრობისა და ოთხსავ კუთხივ მქროლავი ქარების შესახებ. იზრუნესო, ჩემზე იზრუნესო, ამბობდა მჭმუნვარე ღიმილით, თან მოხდენილად აღმართავდა ხელს, ვითომ ზევიდან იზრუნესო, რომ არცერთი ნუთით მარტოობა არ მეგრძნოვო... მაგრამ, ცხადია, მის მარტოობას მხოლოდ თაგვები და ქარები არ იზიარებდნენ... და სოსიკოც ხუმრობით შესჩიოდა ხოლმე თამარს, რომელთანაც ძალიან უყვარდა ხვაშიადის გამხელა და შთაბეჭდილების გაზიარება: რაც მარტო დავრჩი, მარტოობა მენატრებაო.

თამარი დედასავით შეჰხაროდა სოსიკოს, მაგრამ მასთან

ურთიერთობისას ყოველთვის გრძნობდა, როგორ წამოჰყოფდა ხოლმე თავს მასში, მის შიგნით სამუდამოდ ჩაყუჟული გიმნაზიელი გოგონა და მორცხვი კდემამოსილებით იღიმებოდა... იმ კრების შემდეგ კი, იმ განდგომის შემდეგ, თავის ფიქრებში სულ საყვედურობდა, კიცხავდა და სამდურავს ეუბნებოდა, ასე რატომ უმტრე შენს თავს, ასე როგორ გაიმეტე, ყველა რომ სასოებით შემოგყურებდა, ყველა რომ შენგან სიკეთეს ელოდაო... სიმღერ-სიმღერით აფურთხე მამასა შენსა და დედასა შენსა. დგას ახლა სოსიკო და თავგამოდებით მღერის.

თამარს ყურებში ეჩხირება და გულზე ეკლად ესობა ეს სიტყვები: ჩვენო დიდო მოამაგე. არა, ეს უბრალოდ სიმღერა არ არის... უბრალოდ ცრუ სიტყვები არ არის, ჩვენო მკვიდრო... ჩვენო დიდო მოამაგე, მოკლეფეხებიანი ტყუილი არ არის, უბრალო ტყუილი, რომ შეუბერავ და საპნის ბუშტივით გასკდება შენს თვალწინ... ეს მანიპულაციაა — ოჩოფეხებზე შემდგარი... კერპმსახურების მანიპულაცია... ეს შელოცვაა გამოქვაბულის სიბნელეში... აგერ ჩამოუშვეს კიდეც შავი ფარდა და მართლა გამოქვაბულს დაემსგავსა სცენა... გუნდის უკან, სცენის სილრმეში საბოლოოდ ჩამოუშვეს შავი ფარდა, ზედ მიხატული ნაცრისფერი ჯაჭვებით და გველებივით დაკლაკნილი მათრახებით. ფარდა, ცხადია, შავბნელ წარსულს გამოხატავდა, თვითმპყრობელობას გულისხმობდა თავისი განუშორებელი ატრიბუტებით, ბორკილებითა და მათრახებით. ოჰოჰო, რა აღფრთოვანებული იყო სოსიკო მარკიზ დე-კიუსტინის „ნიკოლოზის რუსეთით“, რა სულმოუთქმელად უკითხავდა საგანგებოდ ამორჩეულ ციტატებს, მართლაც განსაცვიფრებელი სიცხადით რომ ეხმაურებოდა თანამედროვე ყოფას, რა აღტაცებით იმეორებდა „ათიანში მოხვედრილ“ ფორმულირებებს: „თიხისფეხებიანი კოლოსი... თიხისფეხებიანი კოლოსი...“ ლამის სული ეხუთებოდა აღტაცებისაგან. „მხოლოდ ფრანგულ გამჭრიახობასა და ფრაზის ძერწვის საუკუნოვან ტრადიციას უნდა ვუმადლოდეთ ასეთ ზუსტ განსაზღვრებასო...“

... სინათლეც დააყენეს. მკრთალი, მონაცრისფერო-მოლურჯო, შავბნელი წარსულის შესაფერი სინათლე... ჰო, გაახსენდა, ის ციტატა... გამოქვაბულის სიბნელეში სისხლისგან ჩუმად იწ-

რიტება დამონებული კაცობრიობა... ზეპირად იცის, რა იქნება ეს საოლიმპიადე წარმოდგენა-მონტაჟი, საბავშვო ბაღიდან მოყოლებული, სკოლისა და უმაღლესის ჩათვლით აჩრდილივით თან რომ დასდევს ახალგაზრდებს... ურომლისოდაც არც ერთი ოლიმპიადა არ ჩატარებულა და არც ჩატარდება. თვითმოქმედების სული და გული ხომ სწორედ ეს მონტაჟებია. ვის არ გასწვრილებია გული მათი სანუკვარი პროვინციულობით, მათი მაღალფარდოვანი ჩიჩინითა და აღზევებული ფუჭსიტყვაობით, კლასთა ბრძოლის ცრუ და ულმობელი სულისკვეთებით, შავბნელი წარსულის სურათებითა და სანეტარო და საამური აწმყოს გაუთავებელი ქება-დიდებით, ბოლოს კი ხალხთა მამისა და ბრძენი მასწავლებლის ქებათა ქებითა და ხოტბით. გუნდი მაროს ლოტბარობით სწორედ ამას მოსძახოდა: დღეეს, როდესაც ჩვენს ქვე-ყა-ნაას ზეიმი ააქვს უნააპირეეეო... ზეიმი აქვს უნაპირო" და ამ უნაპირო ზეიმის გამოსახატავად მარო ფართოდ შლიდა ხელებს, დიდი ამპლიტუდებით ლაღად, ხალვათად ამოძრავებდა, შთაგონების გასამძაფრებლად ზოგჯერ თვითონაც სიმღერით ჰყვებოდა გუნდს, ზოგჯერ კი მხედართმთავარივით სიტყვიერად მოუწოდებდა". „ასწიეთ თავები! თავები მაღლა! საზეიმო შემართება! აი, ასე, ყოჩაღ!"

სცენის გაცრიატებულ შუქში ახალგაზრდებს სანთლებივით უციმციმებდათ თვალები... კბილები... უჰ, რამდენი კბილები... თეთრად, თვალისმომჭრელად უქათქათებდათ... თამარი მოქურუხებული გაჰყურებდა სცენას, აგერ მარომ რაღაც უცნაური გზნებით გაისვა თმაზე ხელი, ჩამონენილი თმები არაჩვეულებრივი სისწრაფითა და გაგულისებით გადაიწია ყურებზე, და ამ წამიერმა მოძრაობამ კიდევ უფრო აგრძნობინა, რა თავგადაკვლით იყო ჩანთქმული თავის საქმიანობაში, რა თავგანწირვით ცდილობდა დაემკვიდრებინა უნაპირო ზეიმის განწყობილება... სხვა დროს ყოველთვის უფასებდა ნიჭსა და თავდადებას, სხვა დროს ყოველთვის შეჰხაროდა მის უნარსა და დაუცხრომელობას... განა როდისმე დაავიწყდება ის დღე, მაროსი და მაროს ძმების სიმღერა რომ გაიგონა?! ის შთაბეჭდილება ვერ წალეკა გარდასული დღეების მდინარებამ, იმ მოგონებას ვერ მოეკიდა დრო-ჟამის ბრკე და ობი და ის განცდაც თამარის

გულში უჭკნობად დარჩა. მაგრამ ახლა ასეთი მცდელობა, ცრუ და ყალბი სიტყვების ასეთი თავდადებით, ასეთი სუფთა ინტონაციით ცხრაჯერ გამეორება, ბელადის სადიდებლად ასეთი თავდაუზოგავი გარჯა აშფოთებდა და აბოროტებდა, ყოვლად უღირს ქვენა გრძნობებს უღვივებდა, მისი არსების ფსკერიდან დაძრული ლექი და დურდო მის სიწრფელესა და კეთილშობილებას ამღვრევდა და ბილწავდა... განა მარო იყო დამნაშავე იმაში, რომ თავგახლეჩილი ბიუსტი თამარმა აღმოაჩინა?! განა მაროს ბრალი იყო, რომ ამ ვითარებაში, ამ წუთს თავსდატეხილ უბედურებას ვერ უზიარებდა?! მაგრამ, რადგანაც ასე იყო ჩანთქმული სადიდებელ სიმღერაში, ანუ კერპმსახურებაში, იჭვებით შეპყრობილი თამარისათვის ეს უკვე განზე განდგომას ნიშნავდა, ეს ნიშნავდა იმას, რომ მხოლოდ თამარისთვის შეეჩეჩინათ პასუხისმგებლობა?! იქნებ ეთქვა კიდეც მაროს: მე მთელი დღეები ამ ბოლო დროს კლუბში ვარ და ჩემგან რა გინდა და რას მთხოვო!? დიახ, დიახაც რომ, მაროს ხელები უნდა ექნია, ბელადზე ნაირნაირი სიმღერები ემღერებინა ახალგაზრდებისათვის, თამარს კი მარტოდ მარტოს ეგო პასუხი... და ეგონა, მაროს ამ ხელების ქნევაში, გამოქვაბულის ამ მანიპულაციაში, ახალგაზრდების ამ წინამძღვრობაში, ამ შთაგონებულ კერპმსახურებაში, როგორც ფოკუსში, თავს იყრიდა ყველა მათი უბედურება... ლილისთან უნდა გაქცეულიყო! ლილისთან! ლილი გაიზიარებს, ლილი აუცილებლად გაიზიარებს, უშველის კიდეც... მარომ იქნიოს ხელები! ოცდაოთხში ძმები დაუხვრიტეს... მერე რა ბიჭები... გიორგი და სიკო... ჩემი წამებული ძმებიო... ღრმად ამოიოხრებს ხოლმე, გულს თან ამოატანს... თურმე რამდენი ხანი იყო მძიმე მდგომარეობაში, ასე ეგონა,. ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა და უფსკრულში უნდა ჩაჩეხილიყო... ოღონდაც! ძმები... ჩემი ძმების განათლებასო. ბუდე მოიშალა, ოჯახი ამოიძირკვა... ათასი წელი რომ იცოცხლოს, არ დაავიწყდება მათი სიმღერა... მაშინ, პეტერბურგში რომ მოვიდნენ, ბზობას, შალვამ რომ მოიყვანა ყველა ერთად. თოთხმეტი წლის სიკო თავიანთ მეზობელ მაჭავარიანს გამოჰყოლოდა, ყელისწევით შეჰხვეწნოდა მშობლებს: გამგზავნეთ პეტერბურგშიო, ცოტას გავაცდენ სწავლასა და სააღდგომო კანიკულებს და-ძმასთან გავატარებო, ნობათსაც

წავუღებ და პეტერბურგსაც ვნახავო. მაჭავარიანს ღვინოები მოჰქონებოდა და სიკო სიამოვნებითაც წამოეყვანა, გზაში მიშველისო.

აი, სწორედ მაშინ გაიგონა მათი სიმღერა. როგორ ენატრებოდა კახეთი, როგორ ენატრებოდა კისისხევი. ნიადაგ თავიანთი სოფელი ედგა თვალწინ. ვერავინ დაარწმუნებდა, რომ მათი ფანჯრების გადაღმა, ნევის მეორე ნაპირზე, პეტრე დიდისა და ისაკის ტაძრის იქით, მოედანი კი არ იყო, ზედ აღმართული ნიკოლოზ პირველის ძეგლით, — ვენახები... ვენახები... ვენახები ყვაოდა... ნეტავ თუ კიდევ რაიმე აფრქვევს ასეთ სურნელს, გაყვავილებული ვაზის ანდამატურ სურნელსო?! იმ ვენახების იქით კი, მთელ ჰორიზონტზე გადაჭიმულიყო ალაზნის ველი და კავკასიონი... თვალს თუ დახუჭავდა, მკაფიოდ ხედავდა, გაახელდა და, თუმც ფიზიკურად ველარ ხედავდა, გრძნობდა და ამ გრძნობას ვერავინ ჩაუხშობდა, ეს გრძნობა სულ თან დასდევდა...

მარტის მიწურული იყო, მზიანი, კაშკაშა დღე, ბზობა იყო იმ დღეს, რუსული ბზის ტოტები ეჭირათ ხელში მამიდა თამროსა და თამარს, იდგნენ სასახლის ხიდთან და ნევას გადაჰყურებდნენ... ყინული დაძრულიყო... ისმოდა აი, ის განუმეორებელი წკაპუნი, მდინარეზე ყინულის მტვრევისას რომ ისმის ხოლმე... თან რა წარმტაცი სანახავი იყო სხვადასხვა გეომეტრიულ ფორმებად და ფიგურებად დაბზარული ყინული, მზეზე ვერცხლისფრად რომ გაიბრწყინებდა ხოლმე... მაგრამ ვერცხლისფერი ხომ უამრავ ფერს შეიცავს, უთვალავს, ათასფერს, ჰოდა, ნევაც ათასფრად ბრწყინავდა... შუა მდინარეზე ყინული ჯერ კიდევ შებოჭილი იყო, ნელა, შეუმჩნევლად ტოკავდა და მოძრაობდა. იქვე გვერდით, განიერ ზოლად უფრო სწრაფად მოჰქონდა წყალს დიდი ნამსხვრევები, ნაპირთან კი, დაწმენდილ, კამკამა წყალში გუნდ-გუნდად ცურავდნენ იხვები, მომწვანო-რუხი, მსხვილი, ლამაზი მამლები და მომცრო, ნაცარა დედლები. ნაპირიც სავსე იყო იხვებით, ზოგი მზეზე თბებოდა, ზოგი ბავშვების გადაყრილ ნაფშხვენებს კენკავდა, ზოგიც ქვიშაში ბუდარაობდა... თავი აიღო, შორს სივრცეს გახედა... თვალი გაუშტერდა... ადიდებული რიყის მქუხარე ხმა გაიგონა... კისისხევის რიყე ხომ საგანგებო მქუხარებით გამოირჩეოდა...

ადიდებული, აზვირთებული, გადიდგულებული და გაფოფრილი, ზათქითა და გრიალით მოარღვევდა ნაპირებს და ყოველგვარ ხმას შთანთქავდა და აბათილებდა... რიყის პირას გამოფენილი ბალღები სათქმელს ხელებით ანიშნებდნენ ერთმენეთს... რაჭველი მეწისქვილეები, სამნი ძმანი, გამოვიდოდნენ თავიანთი წისქვილების წინ, გახედავდნენ თიხისფერ ზვირთებს, ახედავდნენ ცას და წვერულვაშის ცმაცუნით გადაისახავდნენ პირჯვარს... ქვევით კი, წყლით დაფარულ ბოგირზე, ვირზე გადამჯდარი ქრისტე მოდიოდა... მას შემდეგ, რაც ერთხელ, ადრეულ ბავშვობაში, პაპა ოთარმა უამბო ბზობის დღესასწაულის შესახებ, ყოველთვის ასე წარმოედგინა: მობრძანდებოდა მაცხოვარი, ჩამოჰყვებოდა ცივის კალთებს, ჩამოივლიდა წინანდლის კლდოვან ნაპირებს, გადმოივლიდა ბოგირს... მიეგებებოდნენ აყვავებული ტყემლის რტოებით... კისისხევის ასახვევთან, შარაზე, ცად ატყორცნილ ალვებს ახლად გაფოთლილ შტოებს ჩამოტეხდნენ, დაუფენდნენ გზაზე, და ისიც, სახენათელი და შარავანდით მოსილი, შემოუდგებოდა კისისხევის აღმართს... ტაძრისკენ... სადაც გალობდნენ დიდებას და აგუგუნებდნენ მრავალჟამიერს... თამარიც იმ მრევლისა იყო, თამარსაც იქ უნდოდა ყოფნა, ის გალობა-სიმღერა სწყუროდა. იქ უნდოდა ყოფნა, იქ, თავისი დიდგულა და დოღრიალა რიყის პირას, მიუხედავად მამიდა თამროს დედობრივი მზრუნველობისა... მიუხედავად შალვას სიყვარულისა... იმ ბოგირის... იმ ალვების ნახვა სურდა... იმ განცდის განახლება სწყუროდა...

მამიდა თამრომ გამოაფხიზლა, წავიდეთ, თორემ სტუმრები მოგვასწრებენო.

სუფრა თითქმის ხელუხლებელი დარჩა... სულ მღეროდნენ... ეტყობა თვითონაც მონატრებული იყვნენ ერთად სიმღერას და თავი მოიგიჟიანეს, სიკო პირველს ამბობდა, მარო მეორეს, გიორგი კი ბანს ეუბნებოდათ. როგორ არა, სხვებიც ჰყვებოდნენ, მაგრამ მთავარი სიმღერა იმათი იყო. საკვირველია, თოთხმეტი წლის სიკოს ასეთი უხინჯო, კრიალა ხმა როგორ ჰქონდა, თანაც ნამდვილი ჭაბუკური განწირულებით მღეროდა მრავალჟამიერს, „მიყვარხარ, ტკბილო კახეთო, დიდო ალაზნის ჭალაო..." თავაწვდილი მღეროდა და თალხი ხალათიდან ნაზი ღეროსავით

ამოწვდილი ყელი უთრთოდა... ამბად დარჩა სიკოს სიმღერა, გარიჟრაჟზე დასახვრეტად რომ მიჰყავდათ გიგოსგორისკენ, ნადიკვარის უბნელებმა გაიგონეს თურმე სიკოს სულისშემძრავი ოროველა, „აღზევანს წავალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო"... ვეღარც ვერაფერი მოიტანა და ვეღარც ვერავის გადაეხვია... პაპა ოთარი თავში ხელს იცემდა, ამაზე დიდი ცოდოობა რაღა უნდა იყოსო, მომღერალ კაცს კრიჭას რო გაუკრავენო...

მარო კიდევ დადგეს ახლა და იქნიოს ხელები, თან იმის ფიქრსა და ოცნებაში იყოს, გამარჯვებული როგორ წაუძღვება ამ ახალგაზრდებს მოსკოვისკენ, იქ კალოშებსა და მაკარონს იყიდის და მკვდარ ლენინსა ნახავს... ახალგაზრდები... საცოდავი ახალგაზრდები... ბოლო დროს, გაჭირვებასა და უბედურებაში კიდევ უფრო გაუმძაფრდა მშვენიერების წყურვილი, და ლამის ფიზიკური ტკივილი იგრძნო იმის გამო, რომ გოგო-ბიჭების სილამაზე, განსაკუთრებით კი სოსიკოს თვალწარმტაცი სიჭაბუკე, სცენის სივრცითა და სიშორით კიდევ უფრო მკაფიო და თვალში საცემი, ახლა ფუყე და ორჭოფული ეჩვენებოდა, ასე ეგონა, მათ ყველა სიკეთეს ჭია ხრავდა... სიცრუის... უარყოფის... და ჩაციებით ეკითხებოდა თავის თავს: ნუთუ ამ დაუცხრომელ ჭიას ვერავითარი ძალა ვერ მოაკვდინებსო...

კულისებში შავი ფარდები ჩამოუშვეს, სცენაზეც შუქი მთლიანად გაიცრიცა...

გამოქვაბულის სიბნელეში სისხლისგან... ჩუმად... იწრიტება... დამუნჯებული... კაცობრიობა... ტირილი მოსწყურდა... ხმით ტირილი... სოფელში გლეხის ქალები რომ ტირიან ხოლმე, აი, ისეთი ტირილი... რახილი რომ სტიროდა შვილთა თავისთა და არ უნდოდა ნუგეშინის ცემის, რამეთუ არა არნ, აი, ისეთი ტირილი... მაგრამ რახილის შვილებისაგან განსხვავებით, ესენი ცოცხლები იყვნენ, საღსალამათები, ჯანღონით სავსენი... არა, მხოლოდ ჯანღონით, არა, შურისძიებითაც... შურისძიებითაც... აგერ, ხომ გაუჩეხეს თავი და გულში ქვა ჩაუტენეს?! ხომ შებილწეს და შეაგინეს!! ხომ იყარეს ჯავრი!! ჰოდა, ძალიანაც კარგად!! თამარმა ბოლმით ახედა მაღლა კედელზე ჩამწკრივებულ პორტრეტებს... ყველანი აქ იყვნენ, ყველანი... ურჯულოები და

უმეცრები... გონიერებისა და სინდისის მოძულენი... ხომ შეიძლება ერთს, წამლად ერთს მაინც ჰქონოდა ნორმალური სახე... არა, არა, რაც შიგნით არის კაცი, ის არის გარეთაც! ადამიანის სისხლზე დაგეშილი აფთრები მაშ, როგორები შეიძლება იყვნენ, როგორები!! ეს მომღერალი გოგო-ბიჭები დაამსხვრევდნენ ყველა კერპსა და ქანდაკებას, ეს ახალგაზრდები ჩამოჰყრიდნენ კედლებიდან მათ პორტრეტებს. ესენი მოუღებდნენ ბოლოს უმეცრების პარპაშს! გგონიათ, სულ ასე უძრავად უნდა იდგნენ და ეს ცრუ სიმღერები იმღერონ?! გგონიათ მხოლოდ ფეხბურთზე უნდა იარონ და დაბადების დღეებზე დრო ატარონ?! ნურას უკაცრავად, ამოძრავდებიან, დიახაც რომ ამოძრავდებიან!! მაშ, როდის უნდა ამოძრავდეს ადამიანი, თუ არა მაშინ, როცა ხელფეხი შებორკილი აქვს! როდის უნდა აანთოს ლამპარი, თუ არა მაშინ, როცა წყვდიადი და უკუნეთია ჩამოწოლილი! აანთებენ! აანთებენ! ისეთი ცეცხლი გააჩაღონ, ალი ცას სწვდებოდეს!!

მაროს ხელების ქნევითა და გუნდის სიმღერით გახელებულმა თამარმა თავის გულში შესძახა და შესძახა მაგარ-მაგარი სიტყვები, წყევლა-კრულვა შეუთვალა რევოლუციის ბელადებს და ანათემას გადასცა თითოეული მათგანი. ცოცხლად, ძალზე ცოცხლად წარმოიდგინა დამსხვრეული ქანდაკებები, დაფხრეწილი პორტრეტები, უნივერსიტეტის ყველა ფანჯრიდან რომ ცვიოდა და შუა ეზოში გროვდებოდა, თანდათან დიდდებოდა, უზარმაზარი ზვინივით მაღლა-მაღლა მიიწევდა, თავს იბამდა... ვიღაც ნავთს ასხამდა, ვიღაც ასანთს ანთებდა და ცეცხლი გიზგიზებდა. გოგო-ბიჭების გუნდი ახლა უკვე ერთად, შეერთებული ძალით აგუგუნებდა სიმღერას, ექსტაზში შესული მარო გუნდის წინ ხელებგაშლილი იდგა.

ცეცხლი კი ცას სწვდებოდა... „მარო!“ აღმოხდა თამარს და ზარმაც გაინკრიალა. წამოდგა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა ჰოლში, ნიჟარასთან წყალს დაეწაფა და საშინელი აზრი დაებადა, შემძრწუნებელი და თავზარდამცემი: აგერ ის კაცი, ფერმკთალი, ნიღაბივით სახე და უმოძრაო, თითქოს მთვლემარე მზერა... და აგერ მაყვალაც, ჰოლში ხომალდივით რომ მოირწევა...

შეგინებული ღირსებისთვის შურისგება?! გაბითურებული რომანტიკოსია და მეტი არაფერი! ველარ დაიჯერებს თამარი

ამ გულუბრყვილობას! ვერავითარი სტუდენტები, თუნდაც ათასჯერ მეტად დამცირებულები და შეურაცხყოფილები, ვერასოდეს ვერ გაბედავენ სტალინისთვის თავი გაეხეთქათ, ვერასოდეს, და მით უმეტეს ახლა, ოლიმპიადისა და მოსკოვში განავარდების წინ... როდის უნდა გაეხეთქათ?! სად ექნებოდათ ამდენი დრო, ქვაც ასე მორგებულად ჩაეტენათ?! თამარი და მარო, მაშ, სულ გამოყრუებულან და ეგ არის! არა, არა, ახლა მას საშინელი, წარმოუდგენელი ფიქრები უტრიალებს თავში, ერთი შეხედვით წარმოუდგენელი, თორემ სინამდვილეში, თავისი მარტივი დამარწმუნებლობით უეჭვო და უტყუარი, ამას ჩაიდენდა ის, ვისზეც ვერავინ, ვერასოდეს ვერ იფიქრებდა თამარის მეტი, რომელიც მისნური გამჭრიახობით იყო აღჭურვილი. და ჩაიდენდა ის, ვისაც სასიცოცხლო ინტერესი უბიძგებდა და არა წვრილმანი შურისძიება! სწორედაც წვრილმანი, იმიტომ, რომ ათას ქანდაკებასაც რომ ჩაუჩეჩქვო თავი, ცოცხალს რა? ზის კრემლში, სვამს მუკუზანს, აბოლებს ჩიბუხს და თავისი საშინელი კილოთი და მზაკვრული სიდინჯით წარმოთქვამს საპროგრამოდ ქცეულ ფრთოსან აფორიზმს: „არის ადამიანი — არის პრობლემა, არ არის ადამიანი — არ არის პრობლემა!“ ჰოდა, ვისა აქვს სასიცოცხლო ინტერესი, ვისა, თუ არა პავლეს, ამ საზიზღარ კაცს, სანადიროდ ჩასაფრებული, თავმომძინარებული მტაცებელივით რომ უყურებს მაყვალას!? ვინ იცის, მაყვალას გულისთვის კაციც მოკლას, „სიყვარულის გულისთვის“ თავზე ხელი აიღოს!? ქანდაკებაც რამე?! საწყალი თამარის ჩაწიხლვაც რამე?! ამისთანა პროვოკატორისთვის?! ხომ ამბობენ, ცოლი სკანდალებს უმართავსო, ერთმანეთს სულ უთოებს უტრიალებენო, ჰოდა ჩააშოშმინებს, ადგება და მაყვალას თამარის ადგილზე მოაწყობს, ვინ არის ქომაგი და გამკითხავი? თან ერთად იქნებიან, ერთ შენობაში, თან ვითომ ცალ-ცალკე. მაგ იდიოტის აზრით, ბიბლიოთეკაში მუშაობას, აბა, რა ცოდნა უნდა? თუკი მდივნად მუშაობს და წერა-კითხვა იცის, ბიბლიოთეკა რაღაა, ვითომ?! „მუშაობდა“, გვიანობამდე „მუშაობდა“, თავს აკლავდა მუშაობას... აღარავინ ჭაჭანებდა უნივერსიტეტში მცველებისა და ორი მეხანძრის გარდა... ისინი ქვევით არიან... ქვევით... გასაღები? ყველა გასაღები ექნება,

ცხადია... ფიქრობდა რა ექნა და მოიფიქრა... შეადგინა ასეთი მზაკვრული გეგმა... ღმერთო, ოთარი! ოთარი... არ ჩაშხამდეს დაბადების დღე... ცეკვავს ოთარი, გიჟდება ცეკვისთვის... მთელი ღამე შეუძლია იცეკვოს... ფოქსტროტი და ვალს ბოსტონი... რუმბა და ტანგო... აურაცხელი ფიგურებით... თვითონაც იგონებს ფიგურებს... ნაირნაირს... და ცეკვავს დაუდგრომელი გზნებით... თვალს ვერ მოსწყვეტავ... გინდა უყურო და უყურო... და სწორედ ამ დროს მივლენ და ჩასჩურჩულებენ! აი, ჩერდება ოთარი! დგას შუა დარბაზში შეშფოთებული და დაბნეული...

მარო გაჩქარებული მოდიოდა, თამარი კი, იმის მაგივრად, დალოდებოდა, შეტრიალდა და კიბეებისკენ გაიქცა, თან ხელი დაუქნია, მომყეო. მარო მორჩილად გაეკიდა. თამარმა უმატა და უმატა ნაბიჯს და კიბეებზე ისე აჰქროდა, გეგონებათ აბრიალებული ნავთქურა დარჩა და ხანძრისა და ნიგნების დაწვისა ეშინიაო. „რა იყო, თამარ, რა მოგივიდა, ქალო!“ ასძახა გაოგნებულმა მარომ.

თამარი თავიანთი დარბაზის კარებს მიეყრდნო... მერე ძლივს გააღო კარი, მაროს შეუძღვა, კარი სწრაფად ჩაკეტა, პირდაპირ გაჩეხილი ქანდაკებისკენ გასწია და მყისვე ჩამოაშორა თავისი ხალათი. მაროს ნაკვთები თითქოს გაუქვავდაო, თვალს არ ახამხამებდა, წარბშეკრული და პირმოკუმული შეჰყურებდა შეგინებულ სტალინს და აღშფოთება და მრისხანება ეუფლებოდა... მომუშტული ხელიც კი შემართა, როგორც ჩანს, არც დაფიქრდებოდა, ისე გადასცემდა ანათემას ამ საშინელების ჩამდენს.

თამარს შალვას შემდეგ გული დაუშინდა; განრისხებული მაროს დანახვაზე, წეღანდელი ბოღმიანი ფიქრების საპირისპიროდ, დამნაშავედ იგრძნო თავი, თითქოს იმისი ბრალი ყოფილიყოს, იმისი დაუდევრობის ბრალი, იმისი უყურადღებობის ბრალი, მარო ასეთი საშინელების წინაშე რომ დააყენა... მარო, რომელიც ასე ანუგეშებდა, ასე მფარველობდა, ასე თანაუგრძნობდა... მარო, რომელმაც მოიყვანა ამ შესანიშნავ დარბაზში და თავშესაფარი აღმოუჩინა... მარო, რომელიც ამდენს მუშაობს და ამდენ სტუდენტობას მოსკოვში უნდა გაუძღვეს მხედართმთავარივით... გული ამოუჯდა თამარს, დანაშულმა აავსო: „არა, მარო, მე ერთი წუთით არ გავსულვარ, არ დამი-

ტოვებია დარბაზი... გეფიცები... არც ერთი სეკუნდით, მაგრამ გიგლა იყო, იქნებ დაინახა, არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, მაყვალაც იყო... ოთარს გეფიცები, დავაწებებთ, აი, უყურე ნიკაპი რა კარგად ჯდება, ხედავ, მთავარია ქვა როგორმე ამოვიღოთ... მე ვიტყვი, მარო, რომ შენ სულ გასული ხარ, რომ სულ რეპეტიციებზე ხარ, შალვას გეფიცები, შალვას სიცოცხლეს, ოღონდ ნუ გაწყრები, მარო, და ოთარს ნუ მიმიტოვებ, თუ მე... თუ მე..." და თამარმა უმწეო ბავშვივით ტირილი დაიწყო, ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები, თავი მიატრიალა, ფანჯარაში გაიხედა, გარეთ ქარი ამოვარდნილიყო, ჭადრის პატარა ნერგებს არყევდა და მათ დანახვაზე თამარს უფრო მეტად დაეუფლა განწირულება. ატირებული თამარის დანახვაზე მარო მყისვე შეიმართა, თავი მობოჭა, საწყალ თამარს მხარზე ხელი მოხვია და გამამხნევებლად გაუღიმა, რა სისულელეს ამბობ და რა თავს იმართლებ, თავში ფიქრად არ მომსვლია შენ დაგადანაშაულოვო.

მაროს თხელი, პერგამენტის სახე ჰქონდა, წვრილი ნაოჭებით დაფარული, და ამ მობერებულ სახეზე, სრულიად მოულოდნელად, ქათქათა, დრო-ჟამისაგან შეუმუსრავი ბროლივით კბილები უელვარებდა. შეჰყურებდა თამარი მაროს და თითქოს სწორედ ეს კრიალა, ჩამძივული კბილები აღუძრავდა იმედსა და ნუგეშს...

„ოო, ჩემო ერთგულო დობილო ჭიანჭველა..." აღმოხდა თამარს.

მარომ კი გაიფიქრა: „რას ნიშნავს, რომ მთელი სიცოცხლე შალვას მკერდს იყო მიყრდნობილი და სწორედ ამიტომ არის ასეთი უმწეო და ქალურიო".

მარო ენერგიული, აქტიური ადამიანი იყო, მარტოობით ნაწრთობი, თამარის დათრგუნვამ და სასოწარკვეთის ცრემლებმა, თამარის უმწეო ქალურობამ მხნეობა შემატა, სამოქმედოდ აღაგზნო და ხიფათთან შესაჭიდებლადაც კი გაალომგულა. მაროს სამოქმედოდ აღძვრას კიდევ უფრო აღვივებდა დროის სიმცირე და სიჩქარე, სადაცაა რაიკომის კომისია მოვიდოდა, გენერალური რეპეტიცია დაიწყებოდა, მაროს კი გეგმის დასახვა უნდა მოესწრო. ამიტომაც ომახიანად შესძახა თავის უმცროს მეგობარს: „რაღა წინასწარ ვიხეთქოთ გულები, თამარ, რაც

გასაკეთებელია, ის უნდა გავაკეთოთ, შენ მე მომყე, ნუ გეშინია!“ და მარომ სადავეები ხელში აიღო და თამარიც გაიყოლია. მან სასტიკად უარჰყო ქანდაკების შეკოწიწების იდეა, ჩვენ რომელი ოსტატები ვართო, თანაც ბელადია, განა კოკაარ, ეს ხომ ნამდვილი სიმახინჯე იქნებაო, და თუ სხვას ჩავრევთ ამ საქმეში, ესეც არ ივარგებსო, უნდა ავდგეთ და ბიუსტი გავანადგუროთ! და მარომ უცნაური და გასაშტერებელი რამ თქვა: კვალი რომ სულ წავშალოთ და საცნობი არაფერი დარჩეს, უნდა გავაცამტვეროთო, ანუ ქვასანაყებში უნდა დავნაყოთო!! ამიტომ ახლავე ლილისთან უნდა გადახვიდეო. როგორ, მარო... როგორ ქალო... კისერი გადააგდო თამარმა.

„როგორ და ისე, უნდა დავფხვნათ, უნდა დავნაყოთ!“ ლამის აღფრთოვანებით წარმოსთქვა მარომ და თვალები ონავრულად დააკვესა. ჩაქუჩის წამოღებაც არ დაგავიწყდესო. „ღმერთო ჩემო, მაროს მგონი სადისტური მიდრეკილებები ჰქონიაო!“ გაიფიქრა თამარმა და როგორღაც დაეჭვებით შეხედა თავის წინამძღოლს.

„დრო არ იცდის!“ შესძახა მარომ და წიგნთსაცავისკენ გაიქცა, იქაურობა მოათვალიერა, ადგილი შეარჩია, სად უნდა დაენაყათ... აი აქ, მყუდროდ, თაროებს შორის ნაბდურებზე დავსხდებითო, სოფელში რომ იციან ლობიოსა და სიმინდის რჩევის დროს და ხელად ჩამოვნაყავთო... კედლები სქელია, კარებს მივხურავთ, შემოსასვლელს ჩავკეტავთ, გასაღებს გამოვაძრობთო... ახლაც რომ გავიდეთ, ჩვენს სართულზე ვეღარავის ვერ ვნახავთო, კაბინეტები ტალანებს გადაღმაა, ჩვენ სრულიად გამოყოფილები ვართ, ნიბლაძეც, მადლობა ღმერთს, უკვე მოიშორეო... ახლა მთავარია ჩაქუჩი, ორი ფილი და დამლაგებელი ზოიას გაფრთხილება, რომ არამც და არამც არ მოვიდეს და საქმე არ ჩაგვიშალოსო.

რა ვუთხრა მერე, რატომ არ მოხვიდეო?! იკითხა თამარმა.

„ზოიას გაუხარდება კიდეც, ამოდენა ბიბლიოთეკის დალაგება რომ მოშორდება, რა ვიცი, ან ის უთხარი, რომ ზოგჯერ ჩვენთვისაც აუცილებელია ფიზიკური მუშაობა, ან ის, რომ საჭიროა ერთმანეთზე ვიზრუნოთ და ზოიას ტვირთი შევუმსუბუქოთ“. „მაშინ მე ჯერ ლილისთან გადავალ, მინდოდა კიდეც ლილის

ნახვა“.

„მაგრამ არ უნდა შეყოვნდე, ჩვენი მონტაჟის რეპეტიცია ოცი წუთი მიმდინარეობს, თუ დროზე მოვიდა რაიკომის კომისია, ახლავე დავიწყებთ, შენ კი ზოიას ნახვაც აუცილებლად უნდა მოასწრო, რა იცი, ვინ რითი სუნთქავს, ვიღაზე არ ამბობენ, დამსმენიაო და თურმე განსაკუთრებით დაბალ პერსონალს ეტანებიან და ამ კეთილშობილ საქმეში აბამენ... ჰოდა, ზოიას შემდეგ გამომივლი, თუ დამთავრებული არ იქნება რეპეტიცია, ცოტას მოისმენ, ვითომც აქ არაფერი, ვითომც შენც ჩართული ხარ უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საქმიანობაში, დავბრუნდებით ერთად და ხელად გავაცამტვერებთ!“

„მერე მარო... ინვენტარიზაცია რომ უნდა იყოს, რას იტყვიან, დარბაზი უსტალინოდო? ბელადის გარეშე? სტუდენტების სამეცადინო ადგილი?!“ ჩავარდნილი ხმით წარმოთქვა თამარმა. „ნავალთ და ვიყიდით ახალს!“ მხარზე ხელი მოხვია მარომ. „შენ სხვა რამე თქვი, თორემ ქანდაკებები და ბიუსტები ყველგან ოხრად ყრია, სამწუხაროა, თანხა უნდა გავიღოთ, მაგრამ რას ვიზამთ, ამ ზარალსაც როგორმე გავუძლებთ!“

თამარს გულზე მოეშვა... ამოისუნთქა... მარტო აღარ იყო, მარო მხარში ედგა და მყარი სამოქმედო გეგმა ჰქონდათ. ლილისთან მისვლის აუცილებლობაც სასიკეთოდ ენიშნა, აკი ამ დილით გაიფიქრა კიდეც, ლილის წვეთებს გამოვაწერინებო, წეღანაც ხომ სწორედ ლილი დაუდგა თვალწინ, ლილისთან უნდოდა გადარბენა და ამბის გაზიარება. უყვარდა ლილი, ყოველთვის უყვარდა, მაგრამ განსაკუთრებით ამ უბედურებაში დააფასა, სულ არ გაბოროტებულა ლილი, სიკეთე და სიმსუბუქე შეინარჩუნა; ისედაც მძიმეა ჩვენი ყოფა და ერთმანეთი ზედმეტად არ უნდა დავამძიმოთო... და მართლაც, არც ღიმილი დაუკარგავს, არც მახლობელთან შეხვედრის წრფელი სიხარული და არც ამ სიხარულის გამოხატვის სურვილი. დაგინახავდა და თავისი მშვენიერი, მოციმციმე იისფერი თვალები სიხარულის სხივით გაუბრწყინდებოდა. გაიფიქრა თამარმა: ყველაფერი კარგად დამთავრდება, თუ ლილი შინ დამხვდაო, და მართლაც დახვდა, მორიგეობის შემდეგ ტახტზე მიწოლილიყო და მიეძინა. ირაკლის დაპატიმრების შემდეგ ლილი თავისი ქეთ-

ინოთი დეიდა ელიჩკამ შეიკედლა და ახლა ისინი სწორედ უნივერსიტეტის მოპირდაპირედ ცხოვრობდნენ. დეიდა ელიჩკა ფეხაკრეფით შეუძღვა თამარს, მაგრამ გაიგონა თუ არა მათი ხმა, ლილიმ მაშინვე თვალები ჭყიტა. თამარმა სულმოუთქმელად უთხრა ლილის თავიანთი გასაჭირის ამბავი.

„ყოჩაღ, მარო! ყოჩაღო!" შესძახა ლილიმ, „მე როგორც ნერვოპათოლოგი, აღტაცებული ვარ მაროს მოსაზრებულობით, ნაყვის პროცესი დაძაბულობას მოგიხსნით და სტალინის მიმართ დაგროვილ ბოღმასაც ნაწილობრივ გაგიქარწყლებს, ღმერთმანი, მეც უნდა მივიღო მონაწილეობა, ცოცხალ ბელადს მე არავინ დამანაყინებს და ბიუსტის ულვაშებს, ტყუილია, მე თქვენ ვერ დაგანებებთ! მტვრად უნდა ვაქციო, წავიღო და საპირფარეშოში წყალს გავატანოთ!" ლილი მსუბუქად წამოფრინდა, დეიდა ელიჩკას ორი ფილი ჰქონდა თურმე, დიდი და პატარა, ორივე თავის საექიმო ტყავის კოხტა საკვოიაჟში ჩადო, ჩაქუჩიც მიაყოლა; გზადაგზა იცვამდა და თან თამარს მოძღვრავდა: მთავარი დამღუპველი ადამიანისთვის პანიკაა, ეს დაიხსომე კარგადო, არავითარ შემთხვევაში პანიკაში აღარ ჩავარდეო, რომ იცოდე, „ტიტანიკზე" იმდენი ხალხი არ დაიღუპებოდა, პანიკაში რომ არ ჩავარდნილყვნენო, და მე მჯერა, ჩვენი საქმეც სხვანაირად იქნებოდა, პანიკურ შიშს ასე რომ არ მოვეცვით და დავეთრგუნეთო, არც ისე დავდამბლავდებოდითო... თამარი ახლა უკვე ზოიას სანახავად უნდა წასულიყო და ლილის შესთავაზა, კლუბში შედი და იქ მომიცადეო, ცოტა გაერთობი კიდეც და მაროს ლოტბარობასაც ნახავო. მართლაც ასე მოიქცნენ, ლილიმ სააქტო დარბაზისკენ გაუხვია, თამარი კი ზოიას საძებნელად წავიდა... ზოიას სამოქმედო არე მთავარი კორპუსის მარჯვენა ფრთა იყო, მეორე და მესამე სართულები, ამიტომ ჯერ მეორე სართულის ტალანები შემოიარა, აუდიტორიებში შეიხედა, საპროფესოროშიც შევიდა... მერე ზევით ავიდა, იქაც ასევე შემოიარა მთელი სართული, მაგრამ ზოია ვერსად ნახა... ქვევით ჩავიდა, პირველ სართულზე... არც იქ იყო ზოია... მაროს შეგონების მიუხედავად თანდათან კვლავ მოუსვენრობა ეუფლებოდა... ზოია ამ დროს, პირველი ცვლის დამთავრების შემდეგ, ყოველთვის ტალანებში ან აუდიტორიებში

ტრიალებდა... და ალაგებდა, მაგრამ ახლა ლექციები არ ტარ-
დებოდა, არდადეგები იწყებოდა და შეიძლება სწორედ ბიბლი-
ოთეკიდან დაინყო დალაგებაო, გაიფიქრა და სირბილით ავა-
რდა ისევ მესამე სართულზე, კარი დაკეტილი დახვდა, გააღო,
შეიხედა, ყველაფერი ისევე იყო, როგორც დატოვა, ხალათიც
ისევე ჰქონდა ჩამოფრიალებული ბელადის ქანდაკებას. მყისვე
გამოიხურა კარი, ჩაკეტა და ისევ დაეშვა კიბეებზე... მოაგონ-
და... მოაგონდა... რომ ზოია ბაღის ყარაულთან მეგობრობდა,
შემოდგომის მზიან დღეებში რამდენჯერმე უნახავს, ბაღში
მაგიდასთან ისხდნენ ერთად და რაღაცას იცმუცნებოდნენ.
ეზოში ჩავიდა და პირდაპირ ყარაულის ჯიხურისკენ გაემარ-
თა, ბაღის სიღრმეში. მაგრამ არც იქ დახვდა. კარი ოდნავ იყო
შეღებული და შეაღო, შეიხედა, კაცი ტახტზე იყო გადაწოლილი
გარდიგარდმოდ და ეძინა. მაგიდაზე კი ცარიელი ბოთლი და
საუზმის ნარჩენები ეყარა... გაბრუნდა ისევ... ისევ ტალანებში
დაიწყო მისი ძებნა... რაც მეტად ეძებდა, რაც მეტად უჭირდა
პოვნა, მით უფრო იპყრობდა ეჭვი... ზოიას ხომ ყოველ წუთს,
აი, ახლაც, აი, ამ სეკუნდშიც შეეძლო დარბაზში შესვლა და იმ
საშინელების ნახვა... ვიღაზე არ ამბობდნენ დამბეზღელიაო,
ვიღას არ აკრავდნენ ამ სამარცხვინო იარლიყს და რაღა ზოია
უნდა ყოფილიყო ზნეობისა და სიმტკიცის ნიშანსვეტი?! ვითომ
ზოია რაღა ნითელი კოჭი ბრძანდებოდა?! ესეც რომ არა, ვინ
იცის, იქნებ მიუხედავად ყველაფრისა და ყველა უბედურებისა,
ბელადის სიყვარული ედო გულში და არ სჯეროდა, როგორც
ათასებსა და მილიონებს, რომ ხალხთა მამა, ავმუცელა სატურ-
ნივით საკუთარ შვილებს ნთქავდა... თვალწინ დაუდგა, როგორი
სასოებით წმენდდა ზოია ქანდაკებას, როგორ აცლიდა მტვერს,
და თამარს ბრაზი მოსდიოდა ზოიაზე და ზოიას სახით მთელ
რუსებზე. ყველა სიკეთესთან ერთად, ესეც მაგათგან გვჭირ-
სო, სწორედაც რუსებმა აღაზევეს ექსპროპრიატორი და კაცი-
ჭამიაო! იმის მაგივრად კინწისკვრით გამოედევნათ, ვინ ხარ და
ვის დაჰკარგვიხარო, იმის მაგივრად კუდით ქვა ესროლინები-
ნათ, საიდანაც მობრძანებულხარ, იქით მიბრძანდითო, კრემ-
ლის პალატებში დააბრძანეს, გუნდრუკი უკმიეს და ტაშითა და
ვაშას ძახილით გააყრუეს ქვეყანაო... ჰოდა, ზოიაც, აბა, როგორ

აიტანს ასეთ ხელყოფასო? ისევ და ისევ აემღვრა გუნება, მაროზე რომ ემღვრეოდა, ისევ ისე ჯიჯგნიდა ბოღმა და შხამი... მაგრამ რადგან ფიქრების ასეთი წყობა და ასეთი განცდა სრულიად ეწინააღმდეგებოდა საღ აზრს, ჩრდილს აყენებდა და აკნინებდა მას საკუთარ თვალში, ამიტომ კიდევ უფრო ემატებოდა ბრაზი და გაღიზიანება, კიდევ უფრო ემღვრეოდა გულმუცელი... მარომაც ხომ თქვა, სწორედ ასეთებს იყენებენო, ასეთებს უფრო ეტანებიანო, ვისაც ხალხმრავალ ადგილებში უხდებათ ყოფნაო... დამლაგებლებს... პარიკმახერებს... ფეხსაცმლის მწმენდავებს... ზიხარ სავარძელში სასიამოვნოდ და მოხერხებულად, თმაზე ისე გეხებიან, ისე გელოლიავებიან, ნეტარება გეუფლება, გგონია შენს ყოველ ბეწვს დაჰკანკალებენ... ჰოდა, ამ მშვენიერი ვარცხნილობით პირდაპირ გამომძიებელთან კი ამოგაყოფინებენ თავს ღამის პაემანზე... ან კიდევ ფეხსაცმლის მწმენდავი, გაგიპრიალებს, გაგილაპლაპებს ფეხსაცმელებს, რომ ციხეში კოხტად და ლამაზად მიგაბრძანოს... ჰოდა, ზოია ვითომ ვინღაააო?! დანახვისთანავე წავა და განაცხადებს!! ზოიას კი არ შეეშინდება, როგორც თვითონ თამარს შეეშინდა, არამედ აღშფოთდება აი, რა!

ბოლოს და ბოლოს მეორე სართულის საპირფარეშოში მიაგნო ზოიას. დაინახა და შეცბუნდა... კარებთან შედგა და უყურებდა... მძიმე სუნი იდგა, ამიაკის სუნს არყისა და პარფიუმერიის სუნი ერთვოდა... ეტყობოდა, ყარაულთან ისაუზმა და დალიაო, ჩვენ კი უბრალოდ გზაში ავცდით ერთმანეთსო, გაიფიქრა, ესე იგი ბიბლიოთეკაში ჯერ არ ყოფილაო.

ზოიას წინდები და ფეხსაცმელები (თუმც რა ფეხსაცმელები, უმარჯვენ-მარცხენო „სკოროხოდები" გაურკვეველი მასალისა) გაეხადა და ფანჯრის რაფაზე შემოეწყო, ჟაკეტი და თავშალიც იქვე დაელაგებინა, ქვედა კაბის კალთა აეწია, ხელები დაეკარწახებინა და ფეხშიშველა, ნაკუზული რეცხავდა საპირფარეშოს მარმარილოს იატაკს. ალბათ, ასე ნაკუზული მარგლავდა ხოლმე თავის ბოსტანსო, გაიფიქრა. შიშველი, დაჯირჯვებული კანჭები უჩანდა, დაბერილი ვენების მარყუჟებით ლურჯად მოქცეული, და მუხლებს ქვემოთ წინდების ზონრების განითლებული ნაჭდევები. უამბია თამარისთვის თავიანთი უბედურების ამ-

ბავი, შიმშილის, ოჯახის დამხობის, სოფლების განადგურების... მერე, მარტოდმარტო დარჩენილი როგორ მოდიოდა... მოდიოდა... სიქაგაცლილი დავარდებოდა... მოკუნტული, ბუჩქებში ჩაიყუჟებოდა... კურდღელივით თვალხილულს ჩასთელემდა... რომ არ მოეკლათ... არ შეეჭამათ... მოკვლა ისე არ აძრწუნებდა... მოკვლა არაფერი... ადამიანებს არ შეეჭამათ... მალე ისევ გასწორდებოდა და მოდიოდა... ჯერ „სკოროხოდებით“... მერე თოკები ამოაკრა „სკოროხოდებს“... მერე კი ფეხშიშველა... მაშინ გაიფუჭა ფეხები.

ზოიამ ქვევიდან გამოხედა კარებს, მოულოდნელობისაგან შეკრთა, შეიშმუშნა, თითქოს უნდა წამომართულიყო, ისე წამოინია, მაგრამ მაშინვე ჩარგო თავი და მუშაობა განაგრძო, მქისე და უუმური გამომეტყველება ჰქონდა და თამარმა გაიფიქრა: როგორც ჩანს, ძალიან ცოტა დალია, საღერღელი აეშალა და გუნება წაუხდაო. „რამდენი გეძებეთ, ზოია, მთელი სართულები შემოვიარე“, ხმის კილოში გამოყოლილი სიბრაზე იგრძნობოდა, „თქვენ კი აი, თურმე სადა ხართ...“

მაშინვე არ გასცა ხმა, მერე კი თითქოს ლაპარაკი ეზარებაო, თითქოს სულ არ აინტერესებს, რატომ ეძებდნენო, ისე სასხვათაშორისოდ იკითხა: „რა გინდოდათ...“ „არ მესმის, ზოია, ასე წაკუზული რატომ უნდა რეცხავდეთ იატაკს, აი, ჯოხი, აიღეთ და იმუშავეთ მოხერხებულად, ცოტას რომ მუშაობდეთ, კიდევ ჰო, და თქვენ ხომ...“ „ვისაც როგორ ემარჯვება, ისე მუშაობს...“ „თქვენთვის ვამბობ, ზოია, გენაცვა, აი, დღესაც საქმეები გამოგვიჩნდა მე და მაროს, გვიანობამდე უნდა დავრჩეთ... არ არის საჭირო თქვენი მოსვლა, ჩვენ თვითონვე მოვუვლით დარბაზს...“

„რატომ, რატომ“, წამოიძახა ზოიამ, თან ჭუჭყიანი ტილო ვედროში ჩაწურა და წამოდგა, „თქვენ არაფერს ხელი არ ახლოთ, ტამარა მერაბოვნა, არაფერს, არაფერს...“ ერთ-ერთი კაბინის კარი გამოაღო, წყალი ჩაასხა, მერე ონკანთან მივიდა და ტილოს რეცხვას შეუდგა: „თუ გინდათ, ჯერ თქვენთან წამოვალ და ჩუმად ჩემთვის ვიმუშავებ... ხელს არ შეგიშლით...“ მორჩილად შემოხედა თამარს. „ცუდი დღეებია, ძალიან ცუდი დღეებია... მაშინ ხომ მთელი წყალკურთხევა ჩაგვამწარეს...“ ჩაიზმუკუნა

დამცინავად, „ვითომ მარტო წყალკურთხევა..." ლაპარაკის დროს წინ გამოშვერილი ქვედა ტუჩი უშნოდ ეხსნებოდა, ფოლადის კბილები უჩანდა და თამარს სხვა დროსაც ყოველთვის ეგონა, რომ ზოიას პირში საშინელი მწკლარტე გემო უნდა ჰქონოდა, მოკალული ლითონის გემო.

„არა, ზოია, არ არის საჭირო თქვენი მოსვლა, სტუდენტებიც კი დღეს არ შემოსულან. კაცმა რომ თქვას, დასალაგებელიც არაფერია..."

ზოიამ თავი გვერდზე გადახარა და თამარს დაბნეულად შემოხედა... წინ მრგვალად ამოჭრილი, გაცრეცილი მიტკლის პერანგი ეცვა და პერანგის ზევიდან, ღილებზე შეკრული, რეცხვისაგან ხაოგაცლილი ბამბაზიის ლიფი. უყურებდა თამარი ამ ლიფში მიტყუპულ მკერდს, შიშველ, გამხდარ მკლავებს (გატყიურებულ კანიბალებს რომ გადაურჩნენ იმისათვის, რომ აქ საპირფარეშო ერეცხათ) შუბლზე ჩამოყრილ მტუტისფერ თმებს, გლეხის ქალის წამოჭარხლებულ, ყვრიმალებამომჯდარ სახეს და სულ უფრო და უფრო ერეოდა ის ნაცნობი განცდა, ის შეჩვეული შეგრძნება, შალვას შემდეგ რომ დასჩემდა და ყველაზე მეტად აწუხებდა, თითქოს ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი და მხოლოდ მუშაობის დროს უყუჩდებოდა, აი, ახლაც, ხელი რომ დარია, წუთის წინანდელი ბრაზი და შუღლი პირწმინდად შთანთქა და ზოიას დამბეზღებლობაც ცხრა მთას იქით გადატყორცნა. ეს უნიადაგობის განცდა იყო, მიუსაფრობის და უსახლკარობის... ოჰ, რა ეულები ვართო... ორი საცოდავი ქალი... მე თუ ვთარგმნი, ზოიას შესანიშნავი ბოსტანი ჰქონდაო, გრძელბენვა თხები ჰყავდაო, დიდ ოჯახს უვლიდაო, ბოლისფერ შალებს ქსოვდაო... „სამკურნალო წინდები დავავალოთ მაროს მოსკოვში, ზოია, ის იხმარეთ. ისეთ მდგომარეობაში გაქვთ ფეხები, აუცილებლად უნდა მიხედოთ", — უთხრა ზოიას, მერე კი დაამატა:

„თქვენ ბოსტანში გოგრაც გქონდათ, არა ზოია?! მახსოვს ერთხელ მეუბნებოდით..." მოულოდნელად ხელი გაიწოდა, რომ ზოიასთვის მხარზე დაედო, მაგრამ მოერიდა და როგორღაც უხერხულად ჰაერში გაუშეშდა. „თქვენ ისეთი გოგრა არ გიჭამიათ", ზოიამ ოდნავ გაიღიმა. „ჩემს ბავშვებს უყვარდათ გოგრის

ფაფა... იმდენო გოგრა მოგვდიოდა, მთა დგებოდა ხოლმე...“

კიდევ თქვეს ერთი-ორი სიტყვა და წამოვიდა.

ტალანში რომ მიდიოდა, უკან მოიხედა... ზოია საპირფარეშოს კართან გამოსულიყო და მას უყურებდა... თამარმა ხელი გაუქნია და ისევ სააქტო დარბაზისკენ გასწია... რეპეტიცია ჯერ არ გათავებულიყო. შეღებულ კარში სტუდენტები იდგნენ და მობრძანდით, მობრძანდითო, გზა უტიეს... ლილი იქვე კარებთან იჯდა და ინტერესით უყურებდა სცენას, სადაც სწორედ ამ დროს რევოლუცია ხდებოდა. თამარი კი აღარ დაჯდა, რეპეტიცია დასასრულს უახლოვდებოდა. სცენაზე ახლა წითელი ფარდა ჩამოეშვათ. კულისებთან მედოლეები ისხდნენ და დოლს უკრავდნენ... ქორეოგრაფს კი რევოლუცია ხორუმით გადაეწყვიტა. მოცეკვავეები თეთრ და წითელ გურულ ჩაქურებში იყვნენ გამოწყობილი, თეთრებს თეთრი ჩაბალახებით ჰქონდათ თავი ნაკრული, წითლებს წითელი ჩაბალახებით. მედოლეების გვერდით თამარმა თვალი ჰკიდა გამხდარ, ახალგაზრდა კაცს, რომელიც გაფაციცებული ადევნებდა თვალს მოცეკვავეებს, ეტყობოდა, ძალიან ღელავდა, ხან წაიხრებოდა, მუხლებზე დაიბჯენდა ხელს, და ისე უთვალთვალებდა თავის გუნდს, ხან ერთბაშად ისევ გაიმართებოდა... ერთხელ კი მუხლზე ჩაიჩოქა... გამხდარ, ნერვიულ სახეზე ყველა ნაკვთი უტოკავდა: შუბლზე ატყორცნილი წარბებიც, თხელი, დაბერილი ნესტოებიც, წინ გაშვერილი ტუჩებიცა და ულვაშებიც. თამარს თვალი გაუშტერდა, საიდანღაც ეცნობოდა ეს ახალგაზრდა კაცი და ვერ მოეგონა საიდან. ცხადია, მისი დაუცხრომლობით იყო, მოცეკვავეები ასე კარგად რომ ცეკვავდნენ. ხაზები ლარივით ჰქონდათ, ხელფეხს ზუსტად, დროულად, სხარტად იქნევდნენ, არც ცეცხლი აკლდათ, არც დახვეწილობა... მაგრამ თამარს არ მოსწონდა ცეკვების დამდგმელის ჩანაფიქრი, არ მოსწონდა გუნდის წითლებად და თეთრებად დაყოფა, თავიდანვე დაეჭვდა, თეთრები მარჯვნიდან რომ შემოცვივდნენ და წითლები მარცხნიდან. აი, რას ნიშნავსო, ფიქრობდა, რომ რევოლუცია თავისი არსით გამთიშველიაო, სწორედ ამიტომ წარმოიდგინა ამ ახალგაზრდა კაცმა, რომ საერთო სულისკვეთებით გამსჭვალული, შეკრული და შედუღაბებული, მონოლითური ხორუმი ძმათა ურთ-

იერთშერკინებად გადაექციაო. ყველა მოწამლულიაო, ვერავინ ასცდა ამ შხამსა და ბალღამსო... გაჰყურებდა ახალგაზრდა კაცს და უნდოდა გახსენებოდა, საიდან ეცნობოდა... დარწმუნებული იყო, მასთან რაღაც უსიამოვნო მოგონება აკავშირებდა... გული უგრძნობდა... ახალგაზრდამ სწრაფად ამოიღო ჯიბიდან ცხვირსახოცი, გაოფლილ შუბლზე გაისვა. მერე წაიხარა და ანთებული მზერა ისევ მოცეკვავეებს მიაპყრო... და თამარს მოაგონდა, სადაც ენახა და საიდანაც ეცნობოდა ეს კაცი. ორთაჭალისკენ მიმავალ ტრამვაიში შეხვდა გასულ ზაფხულს, ივლისის ერთ ცხელ დღეს. მაშინ თამარი ხშირად დადიოდა იმ გზაზე... იმ გზაზე ხალხი მლოცველივით მიედინებოდა, მაგრამ ძალიან მძიმე კი იყო ის გზა. სცნობდა თამარი იმ გზაზე მიმავალ ხალხს. ეს ხალხი არ დაგიდევდათ შეხლა-შემოხლასა და გაძეკილი ვაგონების შეხუთულ ჰაერს, ესენი ლოლიაობით არ გაჰყურებდნენ ორთაჭალის მზემიმდგარ კლდეებს და ამ კლდეებზე გადმომდგარ, ნაირფერად შეღებილ აივნებსა და შუშაბანდებს, მათ თვალს არ სტაცებდა რუხად მოლაპლაპე მტკვარი და მოშრიალე, მწვანე ალვები.

პატიმართა პატრონები იყვნენ ამ გზაზე მლოცველივით მიმავალი ადამიანები. თქვენ კი, თუ არ გაგართობდათ მშვენიერი მიდამოს ყურება, თუ თავს გაანებებდით თანამგზავრთან თავშესაქცევ ბაასს, მოწყდებოდით სანუკვარ ფიქრებს და გულისყურს მიაპყრობდით ამ ხალხს, მაშინვე გაიგონებდით მათ ჩუმ ოხვრას და ტრამვაის ბორბლების ხმაურიც ვერ დაფარავდა, ვერ ჩაახშობდა მათი სასოწარკვეთის განნირულ, ჩუმ ძახილს! სცნობდა თამარი ამ ხალხს, თვითონაც მათი დასისა იყო. იცოდა თამარმა, დარდი როგორ უბოდიშოდ ძერწავდა, როგორ ხაზებსა და ჩრდილებს ავლებდა ამ ადამიანთა სახეებს. ეს ახალგაზრდა კაციც, ახლა კულისებთან რომ დამდგარა, თვალებით ჩაფრენია თავის მოცეკვავეებს, გეგონებათ ულოცავსო, აქ ვერ იცნო ერთბაშად, — რევოლუციური ხორუმის დამდგმელის როლში, თორემ იმ გზაზე მიმავალი, იმ ტრამვაიში — მაშინვე იცნო. თამარის პირდაპირ განთავისუფლებულ ადგილზე დაჯდა. მანამდე იქ ქურთის ქალები ისხდნენ და ყაყანით აყრუებდნენ იქაურობას, ჭრელ აბანოსთან ჩავიდნენ და მათ

ადგილას სწორედ ეს ახალგაზრდა დაჯდა. ეტყობა ძალიან იყო დაღლილი და გასავათებული, ისე დაეშვა სკამზე. გეგონებათ მუხლებში ჩაიხვეწაო. არა, არ აინტერესებდა ეს კაცი თამარს. თუმცა, კი იცოდა ნამდვილად, რომ თანამგზავრები იყვნენ და ციხის კარზე ერთად უნდა მისულიყვნენ. იმ გზაზე თამარს არავინ არ უნდოდა და არავინ არ აინტერესებდა. სადმე კუთხეში თავისთვის მიიყუჟებოდა, თავს ჩაღუნავდა, მუხლებზე დადებულ ბოხჩას გამხდარ ხელებს შემოხვევდა და ოთარის თვალს მოშორებული, მეზობლებს მოშორებული, თავის სადარდებელში ჩაიძირებოდა. არა, არ უყვარდა ერთ ბედში მყოფ ხალხთან გამოლაპარაკება და უბედურების გაზიარება, ისიც კმაროდა, რომ ერთი გზით მიდიოდნენ და საათობით ერთად უნდა მდგარიყვნენ ციხის კედლებთან.

ზოგს საერთო უბედურება შვებას ჰგვრის: მარტო ჩემს თავს არ არის ეს ამბავიო... თავისას იტყვის, უარეს ამბავს სხვებისას მოისმენს: ჩემი თუ ქმარია, აგერ იმისი შვილი ყოფილა... ძმა ყოფილა... მამა... დედა... რომელიღაც ოჯახიდან კი ბავშვიც... ბავშვიც... ცამეტი წლის ბიჭუნაც გაუგდიათ წინ, ზვარაკივით...

თამარი ცდილობდა, თუმცა კი ყოველთვის ამაოდ, ამ ხალხისთვის თვალი აერიდებინა, რადგან მათ დანახვაზე, ისეც სასომიხდილს, განსაკუთრებული უმწეობა ეუფლებოდა და ეგონა, ქვეყანაზე აღარაფერი იყო ამ საერთო, უსაზღვრო, ფატალური უბედურების მეტი, რადგან მათ დანახვაზე მთელი ქვეყანა თვალუწვდენ, გადახრუკულ ტრამალად იქცეოდა... „წყალი!“ ყვიროდნენ ეს ადამიანები: „წყალი! „წყალი! „წყალი!“ და თამარს, ისეც ხახაგამშრალს, აღარ უნდოდა გაეგონა მათი ძახილი... მაგრამ ყოველთვის მაინც ესმოდა და მაინც ხედავდა...

ახალგაზრდა კაცს ცალ ხელში პატარა ფუთა ეჭირა, თამარისგან განსხვავებით, მეორეში კი — გაქონილ ქაღალდში გახვეული „პონჩიკები“. დაჯდა თუ არა, ფუთა მუხლებზე დაიდო, განთავისუფლებული ხელით ჯიბიდან ჭუჭყიანი ჩვარივით დასრესილი ცხვირსახოცი ამოიღო და გახვითქული თავპირი და კისერი მოიწმინდა. მერე ცხიმიანი ქაღალდი შემოაცალა „პონჩიკებს“, დაჭმუჭნა და ტრამვაის გაღებული ფანჯრიდან პირდაპირ ქუჩაში ისროლა. დამჭკნარ, გაციებულ „პონჩიკებს“ შაქრის პუ-

დრი გამლღვალი თოვლივით, ნაოჭებში აქა-იქ შემორჩენოდა, ხარბად ჭამდა ახალგაზრდა კაცი, პასტასავით შედედებული კრემით პირი ეთხუპნებოდა, ჭუჭყიანი ცხვირსახოცით იწმენდდა ტუჩებს. თამარს ეგონა, ჭუჭყს კი არ იწმენდს, პირიქით, პირზე იგლესავსო... გამლღვალი შაქრის ნამცეცები ფუთაზე ეყარა, ფუთა... რა უნდა ყოფილიყო ამ ფუთაში, ზეპირად იცოდა... პატარა ფუთა კი იმას ნიშნავდა, რომ სააქაოდ იყო გამიზნული, აი, თამარის ფუთა უზარმაზარი იყო, ძლივს მოათრია ტრამვაიმდე, — ოთარი ახმეტაში იყო სახერხზე წასული, შეკვრითაც თვითონვე შეკრა, მაგრამ არაფერს არ ჩიოდა, ოღონდ გადაეცა. შეკვრა და თრევა რას ქვია, ამ თბილების შოვნაზე რამდენი ირბინა და იჯახირა, მე თქვენ გეტყვით, მიხვალ და იყიდი, ფულიც რომ გქონდეთ. თამარს კი არც ფული ჰქონდა და მამიდა თამროსეული ზურმუხტის ბეჭედი გაუყიდეს ახალმა მეზობლებმა, აიდამა და ჟენიკამ. რის ვაივაგლახით იშოვა მწყემსების ტყაპუჭი, ბურტყლიანი ბენვის სარჩულით, ფართე და გრძელი, ძვრა არ ჰქონდა, ისეთი მძიმე იყო, დაბამბული შარვალ-ხალათიც უყიდა, ტყავებით გაწყობილი და სქელძირიანი ნაბდის ჩექმები და ბეწვის ყურებიანი ქუდი. დარჩენილი ფული, ოცდაათი თუმანი, ათი წითელი სამთუმნიანი, ტყაპუჭის სარჩულში ჩააკერა, ბარათში კი, მთელი ღამის თავის მტვრევის შემდეგ ასე მისწერა: „ხოშგელდი, შალვა, ჩვენ კარგადა ვართ...“ ვითომ „გელდი" მიახვედრებს, რასაც ვგულისხმობო. ამ ფუთის გამო იყო, ასე გვიან რომ მიდიოდა, ჩექმები და ქუდი მხოლოდ ამ დილით მოუტანეს, თორემ ვინ მიდიოდა ციხეში ათ საათზე?! გაუკვირდა კიდეც, ეს ახალგაზრდა კაცი თავის თანამგზავრად რომ იცნო. გული ენურებოდა თამარს, დღეს ღამიანადვე ლილი წავიდა რიგის დასაჭერად და არც ეს იყო მაინცდამაინც ადრე, იმიტომ, რომ ხალხი წინა ღამითვე იჭერდა რიგს, ლეიბ-საბნიანად მოდიოდნენ. სწორედ ლილიმ გაიგო თავისი პაციენტის საშუალებით, ორი-სამი თვის დაპატიმრებულებს შორეულ ჩრდილოეთში ასახლებენო, ივლისის ოცამდე ყველა უნდა გადაასახლონო. შალვას ბარათიდანაც ასე ინიშნა. „აიდა მომენატრაო, სწერდა და თუმცა მყისვე ვერ მიხვდა — შალვა ისეთი მელომანი და ოპერის მოყვარული იყო, მაგრამ დიდი თავისმტვრევა მაინც არ

დასჭირდა გამოეცნო, ამ შემთხვევაში რომელი აიდა იგულისხმებოდა. რაც შეეხება სანოვაგეს, ყველაფერი ციხის ამანათებისთვის უნდოდა. ოთარი აქ არ იყო და თავისი თავის დარდი სულ არ ჰქონდა. ერთი ეგ არის, კარგი თუთუნი და შებოლილი ძეხვი ვერ იშოვნა და სწორედ ის გაიფიქრა, ნეტავი, ამ ახალგაზრდამ თუ იშოვნაო, თუ გამომელაპარაკა, თუთუნზე აუცილებლად შევეკითხებიო.

ახალგაზრდა კაცმა სული რომ მოითქვა, თამარს შეხედა და მობოდიშებით ჩაილაპარაკა: „გუშინდელს აქეთ ნამცეცი არ ჩამიდვია პირში"...

„საბოდიშო არაფერია..."

„თქვენც ქვევით მიდიხართ?" იკითხა ახალგაზრდამ და პასუხისთვის არ დაუცდია, მაშინვე განაგრძო: „ჩამოვწყდი წინ და უკან სიარულით, წუხელ მთელი ღამე ზევით ვიყავი, მაგრამ გაიგებ რამეს?! რა არის, ეს მაინც რა არის, რომ არაფერს გაგებინებენ?!"

„მამაა?"

„მამაა. დედაჩემი ქვევით წავიდა რიგის დასაჭერად, მე — ზევით, უკვე თვეა ასე წინ და უკან დავრბივართ, მაგრამ სირბილი ჯანდაბას, გაუგებრობა გვკლავს..."

„შეიძლება, ჯერ არ გადაუყვანიათ".

„თქვან, ბატონო, თქვან!" ლამის შესძახა ახალგაზრდამ.

თამარს კი მწარედ გაეცინა, თქვან? მათი ვალია სული ამოგხადონ, ეს არის მათი ზეგარდმო... არა, არა, ზეგარდმო კი არა, ქვეგარდმო მისია, ჰოდა, თავის მისიას ასრულებენ.

„სახალინზე იყო გადასახლებული მეფის დროს... მთელი სიცოცხლე რევოლუციის იდეას შესწირა... საქმეა ახლა ეს, მითხარით ერთი, საქმეა?! გეკითხებით, რატომ?!"

თამარმა თავი ჩაღუნა და არაფერი უპასუხა, გაუგებრობით არის ქვეყანა სავსეო, უგონობითო, ყველა ცოდოა, ყველაო, თავის გუნებაში ეპაექრებოდა ახალგაზრდას, მაგრამ ვინც თვითონ მახვილით მოევლინა ამ ქვეყანას და მახვილითვე გაიგმირა, მან მაინც ასეთი აღშფოთებით არ უნდა შესძახოს „რატომ!" ცოტათი მაინც უნდა მიხვდეს რატომ და რისთვის ხდება ყველაფერიო! ხოლო ეს „რატომ" მე უფრო მეთქმისო! მე უფრო

მეთქმისო!! თუთუნის შესახებ კი არაფერსაც არ ვკითხავო!!

ახალგაზრდა გადმოიხარა, გაოფლილი, ჭუჭყიანი სახე მიუახლოვა თამარს და ძლივს გასაგონად, შეთქმულივით წაიდუდუნა: „არაფერი გაგიგიათ?"

თამარი სახეში მიაცივდა ახალგაზრდას... მხრები აიწურა...

ახალგაზრდა გამომცდელად, დაეჭვებით უყურებდა...

„მითხარით..." თქვა თამარმა, „ეტაპებზე ხომ არაფერი გაგიგიათ..." მუდარით ჰქონდა ხმა გამსჭვალული.

ახალგაზრდამ ხელი ჩაიქნია, „არა, არა..." ხმას კიდევ უფრო დაუწია და თამარმა იგრძნო, მარტო სიფრთხილის გამო კი არა, თავისთავადაც ეძნელებოდა თქმა: „იქ გავიგე... გუშინ დილით... გარიჟრაჟზე... სოღანლუღში..."

თამარი მოიბღუნძა... სოღანლუღი... სოღანლუღი... სოღანლუღი... ერთბაშად საშინელ, შემაძრწუნებელ სიტყვად იქცა... ახალგაზრდა ისევ ამოძრავებდა ტუჩებს... „ბევრი ხალხი... უამრავი ხალხი..." თამარმა უმწეოდ აიქნია ხელი, თავი ჩაჰკიდა და აღარც აუღია. თავისი წუხანდელი სიზმარი გაახსენდა. ვაითუ მართალია ეს ყველაფერიო, ვაითუ მართალია და ჩემი სიზმარი ამ საშინელებას ნიშნავდაო. არადა, მართლა ამ საშინელებას ნიშნავდა, თუმცა ლილიმ, რომელიც ციხესთან რიგში ელოდა, კვლავ გაუქარწყლა თამარს შემზარავი ეჭვები. ახლა კი თამარი იჯდა ტრამვაიში თავჩაქინდრული, მუხლებზე დადებული ბოღჩისთვის ხელები შემოეხვია და თავის საშინელ სიზმარზე ფიქრობდა. ვითომ შალვას ეძებდა, დარბოდა, სულმოუთქმელად დარბოდა და ეძახდა... არბოდა და ჩარბოდა კიბეებზე, შერბოდა დერეფნებში, აწყდებოდა ყრუ კედლებს, „შალვა... შალვა... შალვა..." განწირული ყვიროდა... და უცებ მოაგონდა: შალვა ხომ ორთაჭალაშიაო, და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა ორთაჭალისკენ... აი, დგას ჭიშკართან და ურახუნებს რკინის ჭიშკარს... რახუნზე ჭრიალით იღება ჭიშკარი და ღმერთო, რა სიხარულია, რა წარმოუდგენელი სიხარულია; შალვა! გამოდის ჭიშკრიდან, გაბრწყინებული და ბედნიერი, თან რა კოხტად ჩაცმული, გეგონებათ მეჯლისზე მიდისო, ხელში კი პრიალა პარკი უჭირავს; ალბათ ნობათი მოაქვს ჩემთვისო, გაიფიქრებს თამარი. „შალვა, ჩემო შალვა! რა ბედნიერებაა რომ გამოგიშვეს, თან

რა კარგად გამოიყურები, ადამიანო! ისევ ისეთი ხარ, შალვა, ისევ ძველებური შალვა ხარ!!" შალვა იღიმება... უღიმის თამარს... მერე კი მიბრუნდება და მიდის...

„ოთარი სახერხზე მუშაობს ახმეტაში, შალვა, სახლში არ დაგვხვდება, ახლავე, რომ გავალთ ფოსტისკენ, ახლავე შევატყობინებ, გაიხაროს იმანაც!"

„არ გინდა, თამარ, ნუ შეატყობინებ, მაინც ხომ ვერ მნახავს და..." ჩაილაპარაკებს შალვა თითქოს თავისთვის და თავს მიიბრუნებს.

„რატომ ვერ გნახავს, რატომ!" აღელდება თამარი.

„მე ხომ ჩემს გზაზე მივდივარ და..."

„არ გამაგიჟო, შალვა, რა გზაზე, რა გზაზე!" შესძახებს თამარი.

„დამშვიდდი, თამარ, გთხოვ", და შალვა ხელს მხარზე დაადებს თამარს, „გრძელ გზაზე, თამარ... მე ახლა გრძელ გზაზე მივდივარ, თუ არ გჯერა, აი, ეს პარკი, შენ რომ ნობათი გგონია, მუხუდოა... მუხუდო მიმაქვს თან..."

„კარგი რაა, შალვა, გეხვეწები, მითხარი, ხომ მართლა გაგანთავისუფლეს, მითხარი!!" შალვამ გაიცინა: „ასეთი თავისუფალი, თამარ სხვა დროს არასოდეს ვყოფილვარ..." „ოჰ, ღმერთო ჩემო, ვერაფერი გამიგია, რა სხვანაირად ლაპარაკობ, შალვა, შიში მიპყრობს, შიში... შიში..." სასოწარკვეთით აღმოხდა თამარს.

„რას ვიზამთ, თამარ, გაიყარა ჩვენი გზები... სამაგიეროდ მე აღარაფრის არ მეშინია... აღარაფრის... სრულიად აღარაფრის... აგერ იმ კაცისაც კი აღარ..." თქვა შალვამ, თავი აიღო და ქუჩას გახედა. ქვაფენილზე რკინადაჭედილი ჩექმების ხმა გაისმა და თამარმა სწორედ ის კაცი დაინახა, იმ ღამით შალვა რომ წაიყვანა: გაჭარხლებული, მკვრივი სახე, ღორის თვალებივით პატარა თვალები და ლურჯი ფორმა. თამარმა ლამის თვალებს არ დაუჯერა: შალვამ ონავრულად დააკვესა თვალები და კაცს ხელი დაუქნია. ფორმიანმა თავი მხრებში ჩარგო, ფრთხილი ნაბიჯით განზე წავიდა, მერე კი უცებ შემობრუნდა, პისტოლეტი ამოიღო და შალვას ესროლა. თამარმა სახეზე ხელები აიფარა. „ნუ გეშინია, თამარ", ამბობს სიცილით შალვა, „სიკვდი-

ლი ერთჯერადი აქტია, ამ სულელ კაცს კი ჰგონია, ორჯერ შეიძლება კაცი მოკვდეს... შენ, ეი, მოდი აქეთ, უნდა დაგაჭკვიანო!" დაუძახა შალვამ ფორმიანს. იდგა ფორმიანი მხრებაწურული და თავის ღორის თვალებს ხშირ-ხშირად ახამხამებდა. „გინდა მომკლა, არაა?! რაც იყო, იყო, ნუ მომკლავ, შვილებს ნუ დამიობლებ..." „შურისძიებაზე და დასჯაზე რომ მიდგება საქმე, მაშინ ვგრძნობ, როგორი არქაული და პრიმიტიულია ადამიანი, განა ასე არ არის, თამარ?!"

„გაანებე ამ კაცს თავი, შალვა, გეხვეწები, გაანებე და წავიდეთ!!"

„მაშ, არ მომკლავ? არაა!"

„მე თუ იმას ჩავიდენ, რასაც შენ სჩადიოდი, ეგ რაღა გამოვა?! ორივენი ჯოჯოხეთში ამოვყოფთ თავს. მაშინ მართალი იქნებიან ის ურწმუნონი, რომელნიც ფიქრობენ, რომ კაცი კაცია და კაცს ყველაფრის ჩადენა შეუძლია. და ისღა დაგვრჩება, რომ მე შენი ფორმა ჩავიცვა და შენ ჩემი... არა, მოდი, აქ, მომიახლოვდი!"

„არ მომკლავ და როგორც გინდა, ისე მიმსახურე". და ფორმიანი შალვას და თამარს წინ დაუდგა და მორჩილად თავი დახარა.

„ოჰ, შე საწყალო კაცო, შენა! მაგრამ კარგ იონს კი ვერ ასცდები..."

„რა ოინს!" სწრაფად იკითხა ფორმიანმა.

„რა ოინს და მწყრები უნდა დაგიფრინო, ჩემთან შეხვედრით ცოტა ჭკუა ხომ უნდა მოგემატოს!!" და შალვამ მთელი ძალით თავზე შეუბერა ფორმიანს. მყისვე წკაპუნი მოისმა, საფეთქლებთან თავის ქალა გაიხსნა, ნაპრალი გადიდდა და ფორმის ქუდიანად თავის ქალა აიხადა. მწყრებმა, უამრავმა მწყრებმა წამოსწიეს თავები, წამოიმართნენ, ფრთები შეაფრთხიალეს და გუნდ-გუნდად ამოუფრინდნენ თავიდან ფორმიანს. ქალაც მყისვე რახუნით დაიკეტა.

მაგრამ იმ ადგილას აღარც შალვა იყო და აღარც ფორმიანი.

და ამასობაში ორთაჭალის ციხესაც მიუახლოვდნენ.

რიგი, როგორც ყოველთვის, უზარმაზარი იყო და უსაშველო... თამარმა ლილი მონახა, ბედად ახალგაზრდასაც შორს არ

დასჭირდა წასვლა, დედამისსაც, ჩასუქებულ, ტანდაბალ ქერა ქალს (ალბათ სახალინზე შეირთოვო, გაიფიქრა თამარმა) იქვე, ლილისთან ახლოს ჰქონდა რიგი. მაგრამ მერე, თუმცა მთელი დღე იმ საშინელ რიგში იდგნენ, ერთმანეთს აღარ გამოლაპარაკებიან. ლილისთვისაც არ უთქვამს ახალგაზრდის ნათქვამი, არც უნდოდა გაემეორებინა... სიზმარი კი წვრილად მოუყვა; ცხადია იმ იმედით, რომ ლილი ყოველგვარ ეჭვს გაუქარწყლებდა, მართლაც, არ შემცდარა. არაჩვეულებრივი სიზმარი გინახავსო, შავბნელი ძალები დაუმარცხებია შალვას და ეგ არისო. ოჰ, შენ პირს შაქარი ლილიო, შვებით ამოისუნთქა თამარმა. ლილის რაღა არ წამოეღო ირაკლისთვის გადასაცემად და თავისი უცნაურობის წყალობით, კაკალიც კი წამოეღო, აქაოდა ნაჭუჭი კარგად ინახავს ნიგვზის ყველა საუკეთესო თვისებასო და სწორედ ის არის კარგი, გატეხო და მაშინვე შეჭამო, მით უმეტეს ზაფხულში, როცა ნიგოზი მალე მძაღდებაო. თამარს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ არ მიიღებდნენ. ამიტომ მთელი კაკალი დაამტვრიეს და ტომსიკაში დარჩეული ნიგოზი ჩაყარეს... გარდა ამისა, ლილის გუშინღამ კარგი თუთუნიც ეშოვნა, თამარსაც გაუნაწილა, თამარმა კი ქადა გაუყო, ისე, რომ ფუთების გახსნა და გადანაწილება მოუხდათ... საშინელებაა, ამბობდა ლილი, თავის სიცოცხლეში არ მოუწევია ირაკლის თუთუნი და ძალიან მეშინია, ხმა არ გაიფუჭოსო, თუმცა ჩემი სპეციალობა სხვაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სახმო სიმებზე თუთუნის ბოლი და ნიკოტინი კარგად არ იმოქმედებსო, არა და რა ვქნა, სულ თუთუნს მითვლისო...

ჭირდა... რიგში დგომა სულ უფრო და უფრო ჭირდა... დულდა იქაურობა... თან საპირფარეშოს ძებნა... თვალდაცეცებული ხეტიალი, რადგან ახლომახლო არსად არაფრის საშუალება არ არსებობდა... ამ შეჭირვებასთან ერთად დაძაბულობა სულ მატულობდა და მატულობდა... ბევრს თავისი ფუთებიანად უკან აბრუნებდნენ და თამარი შეძრწუნებული ფიქრობდა, მეც თუ ეს მელის, ალბათ გავგიჟდები და ეგ იქნებაო...

ახალგაზრდა კი, ლამის არავის არ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ გაგიჟდა, რადგან ყვირილი კი არა, უბრალო შეპასუხებაც... წარმოუდგენელი იყო და ამდენი აქ სიარულისა და დაუსრულე-

ბელი დგომის დროს, თამარს ამბადაც არ გაეგონა შეპასუხების თუნდაც ერთი შემთხვევა. ახალგაზრდა კი ყვიროდა, ხელებს იქნევდა, სარკმლიდან ფეხს არ იცვლიდა, სანამ მამაჩემის ამბავს არ მეტყვით, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო, 1903 წლიდან პარტიის წევრი იყო და არ გაქვთ უფლება, გაუგებრობაში გვამყოფოთო. აქ არ არის, იქ არ არის, იქ არ არის, აქ არ არის, მითხარით ჩქარა, რა უყავით მამაჩემსო, მოკალით თუ დაარჩინეთ, გაგვაგებინეთო, ცარიზმის დროს არ გვიმალავდნენ, თქვენ რა გახდით ამისთანა თავზეხელაღებულებიო!! სარკმლიდან მუშტებს უღერდნენ, ხალხი აქედან მიესია, რიგს ნუ აფერხებო, დედა ცალკე ამშვიდებდა და აშოშმინებდა... ბოლოს ორმა მილიციელმა გაიყვანა... დედა ტირილით მისდევდა, აპატიეთო, გემუდარებითო. ყველა უიმედოდ გაჰყურებდა მათ. არავის ჰქონდა იმედი, რომ აპატიებდნენ. ერთმა ქალმა ისიც კი თქვა, აბა, რა ეგონაო, წავიდეს ეხლა და უყაროს კაკალიო. სწორედ ამ დროს თამარისა და ლილის რიგიც მოვიდა...

„კი, მაგრამ..." თამარს ხმა ჩაუწყდა, „რას... ჰქვია... არ არიან..."

ორნი იყვნენ, მაგიდის აქეთ-იქით ისხდნენ... ისევ ჩახედეს სიებს... აქ აღარ არიანო... „უკვე გადაასახლეს?" იკითხა ლილიმ.

„გადაასახლეს, გადაასახლეს!!" დაიძახეს სარკმლიდან. „უკვე გადაასახლეს!!" „კი მაგრამ როდის გადაასახლეს, ეს მაინც გვითხარით!!" არ ცხრებოდა ლილი, „როდიდან აღარ არიან სიაში?!"

„შემდეგი! ცნობას მიიღებთ თქვენი მისამართით!"

„რომელი მისამართით? ჩვენ ხომ იქ აღარ ვცხოვრობთ..." საწყალი ხმით აღმოხდა ლილის, „ჩაინერეთ აბა, ჩვენი ახალი მისამართი"...

არავინ იყო სიცილის გუნებაზე, მაგრამ მაინც გაეცინათ...

თამარი კი საშინელმა განწირულებამ მოიცვა, გაგულისებულმა, გამწყრალმა, მრისხანე განწირულებამ... დაღლილობა კი არა, თითქოს ქარიშხალი ჩაუვარდა გულშიო, ფუთა მხარზე შემოიგდო, ლილი, წავიდეთო, მიაძახა ლილის და წამოვიდა... თავაღერილი, განარებული მოაპობდა გოგირდის სუნით გაჟღენთილ, დახაშმულ, ცხელ ჰაერს... ლილი ფართხაფურთხით მოსდევდა

უკან, მაგრამ ვერ ეწეოდა... მაღალი და გრძელფეხება ადლიანი ნაბიჯებით მოაბოტებდა და ტანმომცრო ლილის, რის ვაივაგლახით, ძლივს-ძლივს რომ წამოეწეოდა, ერთი გაქანებით ისევ უკან ჩამოიტოვებდა ხოლმე... ოჰ, შესაძლებელი რომ ყოფილიყო გამოჰკიდებოდა იმ ეტაპს... ერბინა სულის ამოხდომამდე... რომ დასწეოდა... თვალი მოეკრა... ფუთა გადაეცა... მთელი ბედიღბალი ხომ ამ ტყაპუჭზე... ამ ჩექმებზე... ამ პურზე, ამ ქადაზე იყო დამოკიდებული... მთელი ბედიღბალი! დიახ! სწორედაც ბედიღბალი!! აბა, როგორ უნდა გაეძლო გაზაფხულის პალტოთი შორეულ ჩრდილოეთში... შევროს ფეხსაცმელებით... შევიოტის კოსტიუმით შორეულ ჩრდილოეთში, — და არა აქ, ორ ნაბიჯზე, ამ შემზარავ ადგილას, დილას ტრამვაიში რომ ეუბნებოდა ის ახალგაზრდა... ამიტომ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უნდა გაქცეოდა შემაძრწუნებელ ეჭვს, დაგეშილი მდევარივით რომ მოსდევდა, მთელი ძალით ჩაფრენოდა ფუთას, ამ უიმედო იმედს და გაკერპებული თავგანწირვით ერბინა და ერბინა... კარგა ხანსაც ირბინა ასე და სიქა საბოლოოდ რომ გამოეცალა, გაჩერდა და ლილის დაუცადა... ლილი როდის-როდის მოფართხუნდა... იქვე მენაღის ჯიხურის წინ დაბალ სკამზე ჩამოსხდნენ, ფუთები წინ დაიდეს და იდაყვებით ჩამოეყრდნენ... ისხდნენ გაჩუმებულები, სულს ითქვამდნენ... მეწაღეს თავისი ჯიხური უკვე დაეკეტა, მარტონი იყვნენ და ვერ წარმოედგინათ, როგორ უნდა ამდგარიყვნენ აქედან და კვლავ გზას გასდგომოდნენ. ლილიმ ფუთაში ჩაყო ხელი, ააფათურა, მუჭით ნიგოზი ამოიღო, მერე ქადებიც ამოაყოლა. თამარი საშინლად უარობდა, პირში ვერაფერს ჩავიდებო, არაფერი არ მინდაო, მაგრამ ლილიმ ძალისძალით აიძულა და კარგიც ქნა, მთელი დღის მოშიებულებმა და განამებულებმა ცოტა მოისულდგმულეს... ლილი კი გამხნევდა კიდეც, ხვალვე ზევით უნდა წავიდეთო, მთელი ცნობები იქ მიდისო, თხოვნა უნდა შევიტანოთო, რადგან უკვე გადაასახლეს, შეგვატყობინონ რამდენი ხნით გადაასახლესო, და თბილები დანიშნულების ადგილზე გადაგვაგზავნინონო, საგანგებოდ მოვაქსოვინე ირაკლისთვის ძალიან სქელი მერინოსის კაშნე, ყელზე შემოსახვევადო, არაფრის არ მეშინია ისე, როგორც ირაკლის ხმისო, აბა, წარმოიდგინე, ირაკლი თავისი დიდებული ხმის გა-

რეშეო. თამარი ლილის თავს უქნევდა, თან თვალგაშტერებული გზას გაჰყურებდა, ტრამვაი ხომ არ მოდისო; ქვეევიდან, მართლაც, მოდიოდა ტრამვაი, მაგრამ გადაჭედილი და გადაძეძგილი, ასასვლელებს ბიჭები შესეოდნენ... ქალები არც განძრეულან, ზედმეტი იყო აქ ჩაჯდომაზე ლაპარაკი. უცებ თამარმა ის ახალგაზრდა დაინახა... სახელურზე ცალი ხელით ეკიდა ბიჭებით შეხორხლილი ასასვლელის კიდეში, ძლივს, ძლივს ეკიდა, კისერი აქეთკენ ჰქონდა მოღრეცილი და გადმოვარდნილი, მეორე ხელი და ფეხი ვაგონისთვის მიებჯინა და გეგონებოდათ ჰაერში ჰკიდიაო... არ ეგონა თამარს, თუ ახლა რაიმე გაახარებდა, ვერც წარმოიდგინა: „ლილი, შეხედე, ის ახალგაზრდა, გაუშვიათ მილიციელებს, ხედავ?!" „ჰო, ის არის..." დაუდასტურა ლილიმაც, „ჯვარცმულს გავს, არა?!" „მე მეგონა, აღარ გაუშვებდნენ, რა კარგია, რომ გაუშვიათ..." „ვინ იცის, რა პირობით გაუშვეს?! ან რის საფასურად?!" თქვა ლილიმ. თამარი გაღიზიანდა, მცირეოდენი სიხარულიც წაუხდინა ლილიმ, საბჭოთა ადამიანზე შავბნელი და პრიმიტიული, სტერეოტიპებით დაშტამპული, ალბათ, სხვა არავინ იქნება დედამიწის ზურგზეო, გაიფიქრა.

... დარბაზი ტაშს უკრავდა... ახალგაზრდა კულისებიდან დარბაზს გაჰყურებდა, უნივერსიტეტის ბობოლებს და რაიკომის ხალხს არ აცილებდა თვალს, და კმაყოფილი იღიმებოდა... ისინიც ტაშს უკრავდნენ... თეთრები დამარცხებულიყვნენ, თეთრ ჩაქურიანებს ცალ მუხლზე ჩაეჩოქათ, შერცხვენილი თავებიც ჩაეხარათ, წითლებს კი გაემარჯვათ, ორივე ხელი ზევით შეეტყორცნათ და გამარჯვების გამანადგურებელი ღიმილით დაჰყურებდნენ თეთრებს... ახლა მათ უკან, წითელი ფარდის წინ, სიუხვისა და ბედნიერი ცხოვრების ამსახველი პანო ჩამოდიოდა, შუაში მიხატული მზით, რომლის გულში მარქსიზმის კლასიკოსების პორტრეტები იყო ჩასმული, ხოლო ირგვლივ, მარაოსავით იშლებოდა ბრტყელი ყვითელი სხივები, სხივებს შორის ჩახატული იყო თავთავის კონები, ყურძნის აკიდოები, სიმინდის ტაროები, და ვინ მოთვლის კიდევ რა... პანოს კიდეებში ბრწყინავდა 1917-1937. მოცეკვავეებმა ხელი პანოსკენ გაიშვირეს, ვითომ აი, ამ სიუხვისა და ბედნიერებისთვის მოვაწყეთ რევოლუციაო, დარბაზს თავი დაუკრეს და მხედრული ნაბიჯით

კულისებისკენ გაემართნენ. მათი ადგილი კი მომღერალთა გუნდმა და მარომ დაიკავეს...

რეპეტიცია რომ დამთავრდა, უკვე არავის არ ეპარებოდა ეჭვი, რომ გაიმარჯვებდნენ და მოსკოვშიც აუცილებლად წავიდოდნენ, რაიკომის ხალხმაც სწორედ ეს თქვა, კულტურის განყოფილების გამგემ კი ხმამაღლა გამოაცხადა: ყველას თქვენ სჯობიხართო, თანაც ყველა მესვეურს და მათ შორის მაროსაც მაგრად ჩამოართვა ხელი.

„უჭირო ჭირი ამას ჰქვიაო", გაგულისებით ამბობდა მარო ბიბლიოთეკაში დაბრუნებისას. „როგორ იმღერა ჩემმა გუნდმა, რა კამკამა ხმებით?! ერთხელ არ დაუდაბლებიათ ბანებს, თან როგორ იყვნენ შემღერებული, გეგონება მთელი სიცოცხლე ერთად უმღერიათო, მე კიდევ სიხარულის მაგივრად მაინც თავში ლურსმანივით მქონდა ჩაჭედილი ამ ქანდაკების ამბავიო." მარომ კარი ჩაკეტა, გასაღები გამოიღო და ჯიბეში ჩაიდო.

„აღარ ღირს ახლა მაგისთვის გაუგემურება, მუშახელი მოგემატათ, საქმე აშკარად სასიამოვნოა და გულის მოსაოხებელი. მოდით, ახლა შევუდგეთ ჩვენს წმინდა საქმეს, მე ლამის ხელები მექავება", თქვა ლილიმ. მაგრამ მარომ ქანდაკებას ხალათი რომ მოაძრო, ლილიც კი შეკრთა გაჩეხილი ბელადის დანახვაზე და გულში ჩატენილ ქვას ისე მიაშტერდა, თითქოს უნდა ამოიცნოს, ვინ იყო ამისი ჩამდენიო. „ღმერთო ჩემო, შეუძლებელია დანაშაულის კვალს ხედავდე და დამნაშავეზე არ იფიქრო... ვინ უნდა ყოფილიყო... ვინ... ვის შეიძლება ეს ჩაედინა".

„შენ შემოგევლე, ლილი, დღეს ამაზე ფიქრით თავი გამისკდა, ჯანდაბას, ვინც იყო, იყო, ჩვენი ცოდვა იმას ჰქონდეს..." თქვა თამარმა.

„საქმე, ქალებო, საქმე!" მოუწოდა ქალებს მარომ, „მოდით, ასე მოვიქცეთ, ქანდაკება მკერდამდე გადავამტვრიოთ, აი, მაგ ქვამდე, წავიღოთ წიგნთსაცავში, დავფხვნათ და დავნაყოთ, ქვედა ნაწილს კი მანამდე ისევ ხალათი ჩამოვაფაროთ, ვინიცობაა ვინმე მოვიდა, ბელადის ცარიელი ფეხები არ შერჩეთ ხელში".

„დანაყვის დიდი მოხალისე ვარ", თქვა ლილიმ, „მაგრამ სახელდახელოდ რომ მოვრჩეთ ყველაფერს, მე მგონი თავის დანაყ-

ვით უნდა დავკმაყოფილდეთ, ტანი და ფეხები კი ქვითა და ჩაქუ-ჩით დავამტვრიოთ და ვარაზის ხევში გადავყაროთ". ვარაზის ხევის გაგონებაზე თამარი და მაროც კი ლამის გადაფიჩინდნენ, ირგვლივ სახლებია და ათასი მუდრეგიაო, აქვე, საპირფარეშო-ში უნდა ჩავყაროთ და საპირფარეშოში ნატეხებს ხომ ვერ ჩავყ-რითო, ამიტომ უნდა ვნაყოთ და ვნაყოთო.

„თავი, თავი უნდა დავნაყოთ სასნრაფოდ!" თქვა ლილიმ და ჩაქუჩი ჯერ მკერდში ჩაჩურთულ ქვას დაჰკრა და გადმოაგდო, მერე კი კისერში ჩაჰკრა და თავი ბურთივით დაეზღართებოდა, თამარს და მაროს ხელი რომ არ შეეშველებინათ.

მოდით, მართლა ჯერ თავი მოვიშოროთ და ტანსა და ფეხებს მერე მივხედოთო, თქვეს ქალებმა, იქვე ჩაიმუხლეს, ფილები წინ დაიდგეს, მესამე ფილად ძველი გაზეთები გამოიყენეს და თავის მტვრევასა და ნაყვას შეუდგნენ... თან ერთმანეთს ახ-ალისებდნენ, ხუმრობდნენ, ამას რას მოვესწარითო, სტალინს ვნაყავთო, მართალი ყოფილა ლილი, დაძაბულობა სულ მომეხ-სნაო... სახის ნაწილებს ერთმანეთს ეცილებოდნენ... ულვაშები ლილიმ არავის დაანება, მარომ კიდევ ცხვირს დაავლო ხელი, ცოცხალი თავით ცხვირს არავის დავანაყინებო, თამარიც გა-ლაღდა, დაძაბულობა კი არა, ქალებო, ლამის ნეტარებას გან-ვიცდი ბელადის შუბლის ნაყვითო...

მათი გიჟმაჟობა, ალბათ, კარგა ხანს გაგრძელდებოდა, საშინელება რომ არ მომხდარიყო და თავზე მეხი არ დასცემო-დათ: კარი გაიღო!! ბიბლიოთეკის შემოსასვლელში, მართალია მათგან მოშორებით, ზოია იდგა; ერთ წუთას შეჩერდა, მერე გამოხედა ქალებს და პირდაპირ მათკენ წამოვიდა, მოდიოდა, ხელებს შლიდა და თავს აქეთ-იქით იქნევდა... მოვიდა ასე თა-ვის ქნევით და შორიახლოს გაჩერდა. ხმას კი არ იღებდა, ენა-ჩავარდნილივით დაჰყურებდა დამტვრეულ ქანდაკებას, ქალე-ბიც ხმას არ იღებდნენ, თავში ჩაკრულებივით ამოჰყურებდნენ ზოიას და უცებ ლილი წამოდგა, ზოიასთან სულ ახლოს მივიდა, თვალებში ჩაციებით მიაშტერდა და ცივი ხმით უთხრა:

„ზოია, რატომ გატეხეთ ქანდაკება! რატომ ჩაუტენეთ გულში ქვა! რატომ არ იფიქრეთ ამ საწყალ ქალებზე! რატომ!"

ზოიამ თვალები აახამხამა, ხელები გულზე მიიჭდო და ძლივს

ამოილაპარაკა: „მეე... გავტეხე... მეე... რატომ... უნდა გამეტეხა? რატოომ...“

„რატოომ... რატომ?!“ შესძახა გულმოცემულმა ლილიმ, „განა ძნელი გასაგებია რატომ? იმიტომ, რომ შიმშილით სივდებოდით! იმიტომ, რომ შვილები ამოგიწყდათ! იმიტომ, რომ თქვენი მშობლიური სოფლიდან გამოგდევნეს! მოდიოდით... მოდიოდით... ეცემოდით და მაინც მოდიოდით... როგორმე თავი გადაგერჩინათ, ან ცხოველს არ შეეჭამეთ, ან გატყიურებულ ადამიანს... ჰოდა... ბოლმა მოგერიათ, შეიძლება გუშინდელი დღე თქვენი შვილების დაღუპვის დღეც იყო... საღამოს ალაგებდით ბიბლიოთეკას, თან სვამდით მოსაგონარს და შესანდობარს, ჰოდა, ბოლმა მოგერიათ, ნასვამს გული მოგეცათ, თქვენს გამაუბედურებელზე ჯავრი გეყარათ და შური გეძიათ, ჩასთხლიშეთ ქვა და იგივე ქვა გულშიაც ჩაუტენეთ!!“

ზოია მოწყვეტით მუხლებზე დაემხო, ხელები გაშალა და ასე ხელებგაშლილი, ტორტმანით მაროსა და თამარისკენ წამოვიდა: „მაპატიეთ, გეხვეწებით, მაპატიეთ... თითქოს წყალში იხედებოდაო, ისე მიხვდა... უწმინდურმა მაცდუნა... არაფერი არ გამეგებოდა... ჩემი შვილები... ჩემი ორი შვილი... სწორედ გუშინდელ დღეს...“ ზოია ცხვირს ასრუტუნებდა, თავშლის ბოლოთი იწმენდდა, ცოტა გვერდზე გადაქანდებოდა ხოლმე, მერე ისევ გაშლიდა ორივე ხელს და მლოცველივით მოდიოდა, „თქვენ რომ მოხვედით, ტამარა მერაბოვნა, მაშინ ბუნდოვნად რაღაც გამახსენდა, თანდათან აღვიდგინე... გეხვეწებით... მე მიყვარს იოსიფ ვისარიონოვიჩი... ისე მიყვარს... ისე მიყვარს... ეხლა ამ ქვით თავს უნდა ვიხეთქავდე, წმინდა მიკოლას გეფიცებით...“ „მადლობთ, ზოია...“ თქვა გაყინული ხმით თამარმა... „დიდი მადლობა“. „რაც მთავარია, ვინმე ხომ არ შემოგესწროთ, ან თქვენ თვითონ ხომ არ თქვით?“ ჩაეკითხა მარო, „ამ საშინელების შესახებ თუ იცის ვინმემ.“ „პავლუშას ხომ არ უთხარით, ბაღის ყარაულს?“ „ვფიცავ! ჩემი ბავშვების ხსოვნას გეფიცებით! სხვა დროს ერთად წავივახშმებთ ხოლმე... გუშინ კიდევ მარტო მინდოდა ვყოფილიყავი, მარტო მივცემოდი ჩემს ბოლმას. თან პავლუშა თავის სათბურში იყო წასული... დღეს კიდევ არ მახსოვს, სანამ თქვენ არ დაგინახეთ, ტამარა მერაბოვნა! მოსაკლავი

ვარ! არ მიყვარდეს მაინც, მაგრამ მიყვარს, აი, ნახეთ როგორ მიყვარს!“ ზოია იქვე ბოლო პატარა მაგიდას დაეჭიდა, წამოდგა, ხელები უთავო ქანდაკებისკენ გაიწოდა, რომ გულში ჩაეკრა და დაემტკიცებინა როგორ უყვარს, მაგრამ მარომ მკაცრად შესძახა: „კარგით, ზოია, ვიცით როგორც გიყვართ! ასე გვიცნობთ, ჩვენთან ასეთები გჭირდებოდეთ!“ „მე თვითონ გამოვასწორებ ჩემს დანაშაულს“, თქვა ზოიამ. „საიდანმე... აი, მაგალითად ვესტიბულიდან... როცა არავინ იქნება, ამოვიტან და დავდგამ აქვე... პავლუშა ისეთია, რო დაკლა, არ გაგვცემს, ჰოდა, თუ ვერ მოვერევი, პავლუშას ვიშველიებ“.

ქალებს ფერი ეცვალათ, სულ ხელები ასავსავეს, ახლა ამაზე აფიცეს ზოია, განა არ კმარა, რაც ჩაიდინეო, გინდა მეორე დანაშაული დაუმატო და ყველა დაგვღუპოვო?! ეტყობა ამოდენა უბედურებამ შენ ჭკუა ვერ გასწავლაო! შენ ახლა უნდა დაჯდე და აქაურობას მოუარო, რაც შეიძლება კარგად დაფხვნა და დანაყო, კვალი არსად არაფრისა დარჩეს, ჩვენ კი წავალთ და მაღაზიებში ქანდაკებას მოვძებნითო.

წესით, მე უნდა ვყიდულობდე, ქანდაკებას, მაგრამ შეამხანაგებით კი აუცილებლად შეგიამხანაგდებითო. ლილიმ კი სიცილით დაუმატა: ულვაშების ფული მე უნდა გადავიხადო, მე დავნაყე და კიდევაც მიღირსო, ამოიღო წითელი სამთუმნიანი და გააფრიალა, ფულს ბეჭდიანი ქაღალდიც ამოაყოლა რეცეპტისთვის, თამარს წვეთები გამოუწერა. ატმოსფერო განიმუხტა, ლამის თბილი განწყობილება ჩამოვარდა, თამარს თავისი ლებნები გაახსენდა, ამოიღო ჯიბიდან და ჩამოარიგა. საქმე კარგად აეწყო, ზოიამ ხელად მიჩეხ-მოჩეხა ბიუსტის ნარჩენები, მიალაგ-მოალაგა იქაურობა, ამას ყველაფერს ვარაზის ხევში გადავყრი და თქვენ ნურაფრის შეგეშინდებათო, ქალებს უთხრა, ქალებმა კი ლილი მხურვალედ გადაკოცნეს და ქალაქისკენ გაეშურნენ ქანდაკების საძებნელად.

მაგრამ დიდი ქანდაკების შოვნა ადვილი არ აღმოჩნდა, ის კი არა, რომ არ იყო, რომელ სახელგამში ან უნივერმაღში შეხვიდოდით, ადვილად ნაპოვნი ნატვრის თვალივით შემოგანათებდათ. მაგრამ რა გამოვიდა, ნაღდ ანგარიშზე კი არ ჰყიდდნენ და?! ნაღდ ანგარიშზე შეგეძლოთ გეყიდათ დიდი პორტრეტე-

ბი, საშუალო პორტრეტები, პატარა პორტრეტები. ნაღდ ანგარიშზე შეგეძლოთ გეყიდათ ბელადის გამოსახულებიანი სამკერდე ნიშნები. ნაღდ ანგარიშზე შეგეძლოთ გეყიდათ პატარა, კიდევ უფრო პატარა და სულ პაწია ბიუსტები, ვთქვათ ფორტეპიანოს თავზე შემოსადგმელად, ან სანერ მაგიდაზე დასადგმელად, ან თუნდაც დაბადების დღეზე, თუ სხვა სადღესასწაულო შემთხვევების დროს საჩუქრად მისართმევად. რაც შეეხება მოზრდილ ქანდაკებას, ისეთს როგორიც თამარსა და მაროს სჭირდებოდათ, თურმე განკუთვნილი იყო დაწესებულებებისთვის, კლუბებისთვის, კოლმეურნეობებისთვის, ქარხნებისთვის, სკოლებისთვის, უმაღლესი სასწავლებლებისთვის და კიდევ ვინ მოთვლის ვისთვის და რისთვის და ნაღდ ანგარიშზე არ იყიდებოდა. „გადარიცხვით“ — ეს სიტყვა ესმოდათ ყველა მაღაზიაში.

„კი მაგრამ, რა გაწუხებთ ქალბატონებო“, — ეუბნებოდნენ გამყიდველები. — „ასეთი ქანდაკება სახლისთვის ხომ არ გენდომებათ? და თუ დაწესებულებისთვის, მოიტანეთ მიმართვა, ფულს გადმორიცხავენ და ქანდაკებას თვითონვე წაიღებენ“. აბა, როგორ უნდა ეთქვათ, რაც აწუხებდათ? თამარი და მარო სწრაფად გაეცლებოდნენ იქაურობას და სხვა მაღაზიისკენ გაეშურებოდნენ, იქიდან კიდევ სხვაგან...

თამარი ჩვეულებრივ უიმედობასა და სასოწარკვეთილებას უნდა მისცემოდა, როცა მარომ თქვა: „ჩვენ ხომ კულტსაქონლის მაღაზიაში არ ვყოფილვართო, შეუძლებელია კულტსაქონლის მაღაზიაშიც ვერ ვიშოვნოთო, სწორედაც მე მთელ იმედს კულტსაქონლის მაღაზიაზე ვამყარებო, ქვევით, დახურულ ბაზართან, მოედანზე რომ არის, იმ მაღაზიაზეო, ბაზარში მიმავალს რამდენჯერ დამინახავს ვიტრინიდან სტალინის ბიუსტები და ქანდაკებებიო, რა ზომისაც გინდა, ისეთიო“.

ქალებმა მაშინვე გეზი იმ მაღაზიისკენ აიღეს, მაგრამ იქაც პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ, რადგან თურმე მთელი პარტია სტალინის ქანდაკებებისა სწორედ გუშინ გადაეგზავნათ კინო-თეატრებისა და ბაგა-ბაღებისთვის. თამარმა მაინც იკითხა, ნაღდ ანგარიშზე შეიძლებოდა შეძენა დიდი ქანდაკებებისა თუ არა, და გამყიდველმა დაბეჯითებით უპასუხა, „რა

თქმა უნდა. მაგრამ ამ კვარტლის გეგმა ჩვენ უკვე შევასრულეთ და ახლა აპრილის დასაწყისში მივიღებთო".

მეტისმეტად დაძმარდნენ ქალები... „რისი იმედი უნდა გქონდეს", ღრმა მწუხარებით აღმოხდა თამარს, „როცა ბელადის ქანდაკებასაც კი თავისუფლად ვერ იყიდიო". მარო კი ისე დაიძაბა, მაშინვე ახალი იდეა დაებადა, თანაც ბრწყინვალე იდეა: „ახლავე... აი, ახლავე სადგურის ქუჩაზე ავეჯის ქარხანაში უნდა გავქანდეთ, სადაც ჩვენი ბიბლიოთეკისთვის მაგიდები და სკამები გვაქვს შეკვეთილიო! ქარხნის დირექტორი კოტე სანებლიძე შესანიშნავი, გულითადი და სხვისი ჭირის გამზიარებელი კაციაო, ჩემი ბიძაშვილი ივლიტას თანაკლასელი და ბავშვობის ამხანაგიო, ჰოდა, სად ექნებათ ბელადის ქანდაკებები და ბიუსტები, თუ არ ქარხანაშიო?! ან კი როგორ შეიძლება ქარხანაში არ ჰქონდეთ ბელადის ქანდაკებები, თანაც ყველა ოთახსა და ცეხში, ყოველ კუთხე-კუნჭულში არ ედგათო?! გავუტყდები კოტესო, სულს ხელში ჩავბერავ ხვალვე მაგიდებთან და სკამებთან ერთად მოზრდილი ქანდაკებაც გამოგვიგზავნოსო, თავიანთთვის კი გადარიცხვით ახალი შეიძინონო, დირექტორისთვის ეს სულ უბრალო ამბავი იქნებაო, ჩვენ ფულსაც გადავრჩებით, ქანდაკების შემოტანის დავიდარაბასაცო, — კარგად შევაფუთინებ და ვინც დაინახავს, ერთმანეთზე გადაბმული სკამები ეგონებათო, ბიბლიოთეკაში კი გავხსნით და ლამაზ-კოხტად დავდგამთ თავის ადგილასო".

თამარმა შვებით ამოისუნთქა, მაროს ნამდვილად დაეჯერებოდა. მართლაც, თუკი სანდო იყო ის კოტე, ერთი სტალინის გამოგზავნას და ქალების გასაჭირიდან დახსნას რა დიდი ამბავი უნდოდა?! სამადლო საქმე იყო და მადლისთვის უკან როგორ დაიხევდა?! „ოჰ, მარო!" თქვა თამარმა და მაროს ხელი მოხვია. მაროც, ძალიან იყო გახარებული თავისი მოსაზრებულობით.

საწყალ ქალებს სხვა სიხარულიც ელოდათ: გამოვიდნენ თუ არა კულტსაქონლის მაღაზიიდან, ცოტა მოშორებით, მარცხნივ, ბაღის პირდაპირ უზარმაზარი რიგი შენიშნეს და ეს რიგი შებოლილი შაშხის აღმოჩნდა... სასურსათო მაღაზიაში შაშხს არიგებდნენ და, თუმცა, შიგნითაც და გარეთაც ზღვა ხალხი იყო, „ვიჩინის" ხელიდან გაშვება არამც და არამც არ შეიძლე-

ბოდა, არასდიდებით და არავითარ შემთხვევაში! ყველაფერი კარგად ეწყობოდა: სანამ მარო ფაბრიკაში წავიდოდა და მოვიდოდა, თამარი რიგში დარჩებოდა, ამასობაში რიგიც გავიდოდა და ქალები ორ კურდღელს დაიჭერდნენ! ასეც მოიქცნენ, რიგი დაიკავეს, მარო ცოტა ხანს დაელოდა რიგის გაგრძელებას, მერე ყველას სთხოვა, დაიხსომეთო, ჩემი მეგობარი რჩება რიგში და მეც მალე მოვალო და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა ავეჯის ქარხნისკენ.

თამარი, მთელი დღის ნანერვიულები, ერთი ლებნით ნასაუზმევი და მალაზიებში ამაოდ ნარბენი, „ვიჩინის" რიგში ჩადგომით ფიზიკურ სიამოვნებასაც კი განიცდიდა, წასულიყო ის დრო, როცა ჭირივით სძულდა რიგში დგომა, როცა ადამიანთა ჩამოხდომა და ჩამოქვეითება, დამაკნინებელი წეწვა-გლეჯა და დამამცირებელი შეხლა-შემოხლა ქედმაღლურ ზიზღსა და გაღიზიანებას აღუძრავდა. შალვას დროს ყოველთვის ცდილობდა რიგებისთვის თავი აერიდებინა. და საკვირველია, შალვას შემდეგ, როცა უმეტეს დროს რიგებში ატარებდა, ბევრად უფრო ნაკლებ უჭირდა... ალბათ, იმიტომ, რომ ჯერ ერთი, მისი შინაგანი ყოფა შალვათი იყო მოცული, შალვათი და შექმნილი მდგომარეობით, და დარჩებოდა თუ არა მარტო, და არსად ისეთ მარტოობას არ გრძნობდა, როგორც ხალხმრავალ ადგილებში, მაშინვე თავის საფიქრალს მიეცემოდა ხოლმე და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, ირგვლივ რა ხდებოდა, და მეორეც, ოთარი ენანებოდა, რაც ასეთ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ, თავის შვილს ველარ სცნობდა, ნებივრობასა და ხელშეწყობაში გაზრდილი ოთარი, სულ მინდა-არმინდას რომ გაიძახოდა და საჭმლის რჩევაში იყო, ახლა ვითომც არაფერიო, სიტყვის უთქმელად იტანდა გაჭირვებასა და უქონლობას. და მარტო კი არ ენანებოდა ოთარი, დანაშაულის გრძნობაც ანუხებდა, თითქოს მათი ბრალიც იყო, თავიანთი ერთადერთი შვილი ასეთ გაჭირვებაში რომ ჩააგდეს, თითქოს მათი ბრალიც იყო, რომ არაფერი შეეძლოთ ელონათ ჭკუის დარიგებისა და მითითებების გარდა, გაკოტრებული კაცის ყალბი თამასუქებივით.

მაროს წასვლის შემდეგ რაღაცნაირი სიმსუბუქეც კი დაეუფლა, თითქოს ძალაც მოემატა... მაშინვე თვალწინ ოთარი

დაუდგა, ცეკვავდა ოთარი და აღარავინ აჩერებდა, აღარავინ უჩურჩულებდა ყურში — გამომყეო, განამებული და გაოგნებული აღარ იდგა შუა დარბაზში, ფოქსტროტის რიტმიდან იძულებით ამოვარდნილი და ხელებჩამოყრილი. კიდევ რატომ უყვარდა ოთარის ცეკვა და ცეკვის დროს სრულიად არ ეპარებოდა ეჭვი მის სილამაზეში, მის უსაზღვრო მიმზიდველობაში. განა სხვა დროს არ მოსწონებია, მაგრამ მაინც ფიქრი გაჰკრავდა ხოლმე: ნეტავ სხვისი თვალით დამანახვა როგორიაო. ცეკვის დროს კი სრულიად უეჭვოდ მიაჩნდა ოთარის ჭაბუკური პლასტიკის ანდამატური მიმზიდველობა. ნეტავ, ჭამა მაინც მოასწროს სანამ პატეფონს ჩართავენო, გაიფიქრა, თორემ თუ ცეკვას დაიწყებს, აღარც ჭამა მოაგონდება, აღარც სმაო. ჰოდა, მოვა სახლში და შაშხი დახვდებაო. რა თქმა უნდა, გადასარევად მოეწყო საქმე, ქანდაკებაში ჩასათხლეში ფულით შაშხი უნდა ეყიდა, თანაც სტალინის ულვაშების მომიზეზებით ლილიმ ხელი გამოუწოდა. შაშხი, რომელიც უიშვიათესად გამოდის მაღაზიებში და ოთარს ასე უყვარს. თან, რაც მთავრია, სანამ თამარი რიგში იდგებოდა, მარო უსასყიდლოდ და უფასკაპიკოდ სტალინს მოიპოვებდა. ლამის იფიქრა, რომ შაშხისა და ქანდაკების ასე ბედნიერად ერთმანეთის შეწყვილებაში განგების ხელი ერია. ბედად ხელფასებიც სწორედ გუშინ მიიღეს დაგვიანებით და თავისი კაპიკებიდან მცირე რამ თან ჰქონდა წამოღებული და შავი ტყავის ჩანთით გულზე მიხუტებული, ფიქრობდა, რამდენსაც მომცემენ, იმდენს ვიყიდიო. ხალხში კარგი ხმები დადიოდა, ორ კილოგრამს იძლევიანო... მთელი ორი კილოგრამი შაშხი! ოთარს გამოუზოგავს, ხან ერბოკვერცხით გაუკეთებს, ხან კარტოფილთან ერთად შეუწვავს, დილითაც ჩაის მიატანს გემრიელ ბუტერბროდს... კარგა ხანს გავლენ იოლას...

შაშხის რიგი კი ძალიან ნელა მიიწევდა წინ, ისე ნელა, ზოგჯერ ეგონა ბაკში შეყრილი ცხვრის ფარასავით ერთ ადგილას დონდგოლებდნენ... ჯერ იყო და რამდენიმე პირად, ჯგროდ იდგნენ, მერე კიდევ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, რიგს განუწყვეტლივ ემატებოდა ნასული ხალხი, ყველა აქოშინებული გამორბოდა და გაფაციცებული ეძებდა თავის ადგილს, არიქა, რიგი ხომ არ დავკარგეთო, იყო წინ და უკან სირბილი, ჩაციებით

ერთმანეთის თვალიერება, ამოცნობა და ზოგჯერ ვერ ამოცნობა, და ამის გამო კიდევ უფრო აღელვება  და აღშფოთება... ზოგი მკაცრად მოითხოვდა, არავითარ შემთხვევაში არავის არ გაებედა რიგიდან გასვლა, რას ქვია აქეთ-იქით სიარული და მერე მზამზარეულზე მოსვლაო, სწორედაც ყველა უნდა იდგეს წაუსვლელად და არავინ არ გაბედოს, უკიდურესი საჭიროების შემთხვევაშიც კი, სადმე წასვლაო, თუ დგომაა, დგომა უნდა იყოსო, ყველასთვის ერთნაირადო...

აშკარა უტიფრებიც ბევრნი იყვნენ, ურიგოდ რომ ცდილობდნენ შეძრომას პირდაპირ მაღაზიაში, ვითომდა ჩვენმა რიგმა უკვე გაიარა და უფლება არა გაქვთ არ გაგვატაროთო. მაღაზიის კარებთან მდგომი მოხალისე გუშაგები კი მათ, ცხადია, არ ატარებდნენ და ნამდვილი ხელჩართული ომი იმართებოდა. იდგა ერთი ალიაქოთი და შეხლა-შემოხლა... თანაც, თითქოს განგებო, თითქოს ერთმანეთს შეატყობინესო, ან ფეხმძიმე ქალი მიდიოდა ურიგოდ, ან ბავშვიანი. თამარის წინ მდგომი მოხუცი ქალი, რომელიც მან მყისვე იცნო და გამოეცნაურა კიდეც (ლომბარდში ქურქს რომ აბარებდა, ეს მოხუცი ქალიც იქ იყო, მარილებისგან დაჯირჯვებულ ხელებში ბატისტის დაქარგული ნიფხვები ეჭირა და მაშინ პირველად გაიგო თამარმა, თურმე ნიფხვებსაც რომ აგირავებენ... თავის ქნევით ამბობდა: „ღმერთმა ყველა კეთილად მოამშობიაროს, მაგრამ უკვე მეცხრე დავთვალეო... მე კი მინდოდა ერთი ოთხასი გრამი მეყიდა შვილიშვილისთვის და ვინ იცის, რამდენი ხანი უნდა ვიდგეო...“

ყველა უკვე სიძულვილით უყურებდა ფეხმძიმეებსა და ბავშვიანებს.

ჯოხი მეთერთმეტე ფეხმძიმეზე გადატყდა... იგი ლახლახით გადმოდიოდა ტრამვაის ხაზზე და უზარმაზარ მუცელს მოაგორებდა, პალტო ძლივსძლივობით შეკრული, დაქაჩული ღილკილოები კი დაწყვეტაზე ჰქონდა. ის იყო ხალხს დრტვინვითა და კბილების კრაჭუნით განი უნდა მიეცა, რომ ერთი ბრგე ქალი ჯერ დააშტერდა ურიგოდ მიმავალ ფეხმძიმეს, მის უზარმაზარ მუცელს, მერე კი არც აცია, არც აცხელა, ერთი ხელის დაქნევით ჩააწყვიტა პალტოს ღილები და წიოკობისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, ხავერდის დიდი, მწვანე ბალიში გამოჰგლიჯა ხე-

ლიდან. ცრუ ფეხმძიმე ლამის კინწისკვრით გააგდეს, ბალიშიც აღარ უნდოდათ მიეცათ. ამ ინციდენტმა დიდი ჟრიამული გამოიწვია, ვინ იცინოდა, ვინ იგინებოდა, ვინ ხალხს აშოშმინებდა. ბრგე ქალი ხომ ლამის გმირად გრძნობდა თავს, მარტო იმას ნანობდა, ბალიში რად დავანებეო, უნდა მომექნია და პირდაპირ ხეზე ამეგდოვო, აჩაჩხულიყო და ჩამოეღო, მოუხდებოდაო. "თქვენი ჭირიმეთო" ამბობდა მოხუცი ქალი, „ღმერთმა ნუ ქნას ახლა ნამდვილი ფეხმძიმე მოვიდეს, თორემ ასე რომ ჩაჰკრან ხელი, მუცელს წაუხდენენ და ეგ იქნებაო". „როგორ, ბებიაო!" გაუბრაზდა მოხუცს ახალგაზრდა კაცი, „ხელი ჩაჰკრა კი არა, ერთი კარგა წიხლიც უნდა ამოერტყაო!" ახალგაზრდას მყისვე გამოუჩნდნენ თანამოაზრეები და მხარი აუბეს, ის თაღლითი, ისაო, ლანძღავდნენ ცრუ ფეხმძიმეს, იმისი გამოისობით ნამდვილ ფეხმძიმესაც აღარ გაატარებენო. არც უნდა გაატარონო, გაკაპასდა ერთი ქალი, აღარავინ არ უნდა გაატარონ ურიგოდ, თუნდაც აქვე ჩვენს თვალწინ ბავშვიც დაბადოსო. არაო, შეედავა სხვა ქალი, გაატარონ, მაგრამ კარგი გაჩსრეკისა და შემონმების შემდეგო, ყველა ასეთი ყეყეჩი კი არ იქნება, კაბის ზევიდან რომ დაედო იმხელა მწვანე ბალიშიო, სხვას ნიფხავში ექნება ჩატენილიო, ჰოდა კარგად უნდა გაჩხრიკონო. ერთი ჭარმაგი, ვითომ დარბაისელი შესახედაობის კაცი კი ამბობდა: მე ვფიქრობ, ის ქალი მავნებელი თუ არა, მავნებლის ოჯახის წევრი მაინც იქნებოდაო.

თამარს, განსაკუთრებით რიგებში დგომის დროს, შემოაწვებოდა ხოლმე უიმედო ფიქრები ადამიანთა უბადრუკობისა და ყველა სისაძაგლის მიმართ წარმოუდგენელი მზადყოფნის გამო. ჩაციებით ეკითხებოდა თავის თავს: ნეტავ სწორია ყველაფერს ბოლშევიკებს რომ ვაბრალებთო?! ჩვენი უბედურების თავსა და ბოლოს მხოლოდ ამ საშინელ წყობასა და სისტემაში ვეძებთო?! ბოლოს-ბოლოს ყველაფერი ხომ ჩვენს წიაღში იშვა და აღმოცენდაო. მთვარიდან ხომ არ ჩამოფრენილან, საიდანღაციდან ხომ არ მოგვლენიან, ზოგი ღორეშაში გაიზარდა და ზოგი გორშიო, ზოგი თბილისში და ზოგი ხონშიო, ჩვენი ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანიო, სწორედ ჩვენი ხელშეწყობითა და ტაშის კვრითო... რატომო, რატომ არის

ადამიანი ასე მოწყობილი, რომ წინასწარ განჭვრეტა არ ძალუძსო, ყოველ შემთხვევაში, ძალიან უჭირსო და თუ როგორმე ორ ნაბიჯს სწორად გადაადგამს, მესამეზე აუცილებლად უნდა წამოჰკრას ფეხი და ჩაიკეცოსო. „მზადყოფნა, მზადყოფნა, ეს საშინელი მზადყოფნა დაგვღუპავს..." განწირული ჩურჩულით ამბობდა ლილი, „ერთი სული აქვს ირაკლის, ვეღარ ითმენს, ჩაეყლაპინოს ამ ურჩხულს, მზად არის თვითონ ჩაუვარდეს ხახაში... მზად არის... მზად არის... გეხვეწებით, გარწმუნებთ, გავეცალოთ აქაურობას, სადაც არა სჯობსო, ხომ გაგიგონიათ, ჰოდა, დამიჯერეთ, დამიჯერეთ, ამაზე უარესი, რასაც აქ მოველით, არაფერი დაგვემართება..." ირაკლი შაშხს ჭრიდა თხელ ნაჭრებად, ტრანსში ჩავარდნილი ლილი კი ისევ თავიდან იწყებდა მათ რწმუნებას... იმ ღამეს... იმ საბედისწერო ღამეს, მოცარტის ღვთაებრივი მუსიკით რომ დაიწყო და კარზე ბრახუნით დამთავრდა... იმ ღამის გახსენებაზე თამარი მოიჟამა, ერთბაშად შეეცვალა გუნება, და მაშინვე საშინელი დაღლა და შიმშილი იგრძნო. მარო უნდა გამოჩენილიყო, მარო, დრო იყო უკვე... უნდა მოსულიყო და იმედიანად ხელი მოეხვია, შემოეცინა, თქმით ხომ არაფერს ეტყოდა და?!

სიცივემაც შემოუტია. შეიძლება შიმშილის ბრალიც არის ასე რომ შემცივდაო, აკანკალებული ფიქრობდა. მის გვერდით მოხუცი ქალიც მარილებიან, დაჯირჯვებულ ხელებს იორთქლებდა და დროჟამისაგან დაბეგვილი, ნაოჭებით დაქსელილი ლოყები საბერველივით ეფუყებოდა. ისედაც ჩაშრეტილი თვალები კი სულ ჩაჰკარგვოდა შეშუპებულ ქუთუთოებში. ტომრის ჩანთა ეკიდა მკლავზე, სულ ცარიელი. თვალი მოარიდა. არაფერი სტანჯავდა ისე, როგორც სიბრალული. მისთვის ყველაზე მეტად ყოველთვის სიბრალული იყო მტანჯველი და აუტანელი... ალბათ, ამიტომ ეგონა, რომ შალვა არასოდეს არ ჰყვარებოდა ისე, როგორც ბოლოს უყვარდა... როცა ეგონა, სიბრალული გულს გაუპობდა... როცა მათმა სიყვარულმა, ორნახევარი ათეული წლის მანძილზე ბევრჯერ ბეწვის ხიდზე გავლილმა, ბევრჯერ ჭირ-ნახულმაც, დიდი ხნის ურთიერთობით გავაკებულმა და დამშვიდებულმა, განშორების წინ ახალი ძალით იფეთქა. და თუმცა ნეტარი იყო მათი ჭაბუკური ვნება და ლტოლვა, ახლა

უკვე სხვა თავლით უყურებდა და სხვაგვარად აფასებდა, ახლა უკვე წრეს გადასული და გაზვიადებული ეჩვენებოდა, უსაფუძვლო ეჭვებით, რაღაც სრულიად გაუგებარი სიურჩითა და სიამაყით, ერთმანეთის კრიჭაში ჩადგომით, გაბუტვებითა და შერიგების აღტაცებით, და ურთიერთობის გაუთავებელი რკვევით... არა, არ შეადარებდა ახლანდელ სიყვარულს, ამ ხალას, დაწმენდილ განცდას, თანაგრძნობით გამსჭვალულ ამ სისადავეს, ამ უსაზღვრო ნდობასა და მეგობრობას... „ვერა, ვერა, ვერავის ვერ ვაპატიებ!“ გაგულისებით, გადაბრჯნით ამბობდა იმ ღამეს ლილი, „ვერც ირაკლის და ვერც სხვას!“ და სხვებში, რა თქმა უნდა შალვასა და თამარს გულისხმობდა, გაგუზგუზებულ ბუხართან რომ მიმსხდარიყვნენ გუგულებივით, შაშხის ბუტერბროდებს შეექცეოდნენ და ლილისა და ირაკლისაც მოუწოდებდნენ: ნუ გავიგიჟებთ წინასწარ თავს, რაც იქნება, იქნებაო. „ან განა საპატიებელია?! იმის მაგივრად, ჩვენი გულებიდან რისხვამ და წყრომამ ამოხეთქოს, იმის მაგივრად ჩვენი გულებიდან მრისხანების ცეცხლი ამოიფრქვეს და ბოროტება, უჟმურივით რომ დასწოლია ქვეყანას, დაწვას და დაშანთოს! თუნდაც საკუთარი სიყვარულის გადარჩენისთვის!!“ ქადაგად დაცემულმა ლილიმ, ქურუმი ქალივით ხელები შემართა „ჩვენ, აი, სწორედ ჩვენ, ყველა სისაძაგლის მიმართ... ყოველგვარი მძლავრობის, ფეხქვეშ გათელვის, გაუპატიურების, დამონების... ფანტასტიური მზადყოფნით გამსჭვალულებმა და სწორედ ამიტომ გახევებულებმა და დადამბლავებულებმა მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთის სიბრალულს შევაფარეთ თავი!! ჰოდა, ბარაქალა ჩვენ! ამ საცოდაობისთვის!! ბარაქალა ჩვენ! ამ სიყვარულისთვის!!“ „ნუ გაგიჟდი ქალო, ნუ გაგიჟდი...“ ამშვიდებდა შეცბუნებული ირაკლი, „მე ხომ გადამჭამე თავი და ამათ რას ერჩი, ამ მშვენიერი შაშხით რომ გვიმასპინძლდებიან, მადლობის მაგიერია?“ ვითომ იხუმრა, ვითომ გაიცინა კიდეც, მაგრამ მაშინვე დაძაბული მზერა ფანჯრებს მიაპყრო.

შორიდან ისმოდა მანქანის ხმა...

„ვერჩი, ვერჩი! მე ახლა ყველას ვერჩი!“ ლამის ხმამაღლა შესძახა ლილიმ, „შენ ასე წამხდარს რომ გხედავ!! ავიღებ თავს და სადაც გინდა წავალ, მზად ვარ ქვეყნის დასალიერამდე ვი-

არო!! რას ვკარგავთ, ნეტა, შიშისა და ძრნოლის მეტს?! მონობის მეტს, რას, გამაგებინეთ, რას?! ყველას თავი მხრებზე გვაბია...“

„მე მესმის ლილისა, ძალიან კარგად მესმის...“ — თქვა შალვამ და ჩაის ფინჯანი და ბუტერბროდიანი თეფში ბუხრის კალთაზე დაიდგა, „მე ფილოსოფიას ჰაიდეგერი მასწავლიდა და როცა თავისუფლებაზე გველაპარაკებოდა, მოგვიწოდებდა მოვქცეულიყავით ისე, როგორც თავისუფალ ადამიანს შეჰფერის...“

„ღმერთო, როგორ გავიფურჩქნებით ყველა?! თან რა უბედნიერესი სევდა დაგვეუფლება, სევდა, რომელსაც ნოსტალგია ჰქვია... ამ ნოსტალგიისთვის ღირს აქედან წასვლა, რომ კვლავ შევიყვაროთ ჩვენი ქვეყანა... რომ ჩვენი ქვეყანა კვლავ გაცისკროვნდეს ჩვენთვის და მონატრების ცრემლი ვღვაროთ... გესმით? რა ბედნიერები შეიძლება ვიყოთ?! ამ ლანძღვა-გინებისა... და ლანძღვა-გინებას ვინ ჩივის... უფსკრულში ჩაჩეხვის მაგივრად... საიდანაც ვერავინ... ვეღარავინ ვერ ამოგვიყვანს...“

თამარს ყოველთვის ხიბლავდა ლილის სიმსუბუქე. არა, ლილი არასოდეს ყოფილა ზერელე და თავქარიანი, მაგრამ რაღაცნაირი სიმსუბუქე კი ჰქონდა, რაც სწორედ მის შინაგან დამოუკიდებლობასა და სიმამაცეზე მიუთითებდა. მაგრამ ლილის სიმსუბუქემა და დინამიზმმა ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა, როცა მან სპექტაკლის შემდეგ თავისი თავზარდამცემი გეგმა გაანდო თამარსა და შალვას: საზღვარგარეთ უნდა გავიქცეთო, ბევრი ვიფიქრე და ხსნას მხოლოდ და მხოლოდ გაქცევაში ვხედავო... ნუ შემეკითხებით ვისი და რისი იმედით ვამბობ ამას, მაგრამ ჩვენ ყველამ ხვალვე შვებულება უნდა ავიღოთ, ბათუმში ჩავიდეთ და იქიდან აუცილებლად მოვახერხებთ თურქეთში გადასვლასო, თურქეთიდან კი საფრანგეთში ჩემს ძმასთან წავალთო. აქ ჩვენი საქმე ნამდვილად წასულიაო, შალვაა და ლანძღვა-გინებით აიკლესო, და შევხედოთ სინამდვილეს თვალებში, იცოდეთ, არ აკმარებენ ამასო, დღეს-თუ-ხვალ „იდეალიზმის ტყვეობაში მყოფსა და ადამ სმიტის სატელიტს“ კაცმა არ იცის რას დამართებენო, ირაკლი კიდევ მთელ ღამეებს ჩაცმული ატარებს საკარძელშიო, რაც მთავარი დირიჟორი დაიჭირეს, სულ დაპატიმრებას ელისო და მამაზეციერი ვერ გადაარწმუნებს, რომ ხელს არ ახლებენო, მე ხომ უკვე მომიდნო, მაგრამ

ჩემი თავი ჯანდაბას, სულ მალე, ალბათ, ერთ ბგერას ვეღარ ამოუშვებს პირიდანო, და მეო... მეო... ირაკლი თუ ხმას დაიღუპავს... თავი ცოცხალი აღარ მინდაო...“

და ლილიმ, აქამდე ქადაგად დაცემულივით სხაპასხუპივით რომ ჩურჩულებდა, ირაკლის ხმაზე რომ მიდგა საქმე, გული ამოუჯდა და ტირილი დაიწყო... ტანმომცრო და უსაზღვროდ სანდომიანი ბუხრის წინ დათვის ტყავზე მოკეცილი, პატარა გოგონას გავდა და პატარა გოგონასავით სლუკუნებდა, ირაკლი შაშხს ჭრიდა... თხლად... ძალიან თხლად... ათასჯერ ჰქონდა ნათქვამი, რომ იტალიაში არაფერი მოსწონებოდა ამაზე მეტად, საგანგებოდ თხლად ჭრიდნენ თურმე და ამის გამო სულ სხვა გემო ჰქონდა და სხვაგვარად სასიამოვნო საჭმელი იყოვო. იქვე თეატრთან ახლოს იყო თურმე პიცერია და სულ იქ დადიოდა, იაფადაც გამოდიოდა და სახმო სიმებსაც შესანიშნავად ჩაი პოხავდა ხოლმე. ახლა ატირებული ლილის დანახვაზე, დანიანი ხელი განზე გასწია, იდაყვით მიიხუტა გულზე და დაყვავება დაუწყო: ჩემი პატარა გოგო... ჩემი თავგადასავლების მაძიებელი გოგონაო. მთელ თავის იმედებს ყოველთვის ავადმყოფებზე რომ ამყარებს და იმათი მეშვეობით საზღვარიც კი უნდა გადალახოს და ჩვენც გადაგვალახვინოსო... ლილი კი ვერა და ვერ მშვიდდებოდა, ახალ-ახალ არგუმენტს იშველიებდა, რატომ უნდა წასულიყვნენ აქედან და გადახვეწილიყვნენ. „მეც არ დავფიქრდებოდი“, ამბობდა შალვა სერიოზულად, „არცერთი წუთით არ დავფიქრდებოდი... საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენთან არ არსებობს და მეცნიერება, რასაც მე ვემსახურები, ლამის ქვა ქვაზე არ დატოვონ... ჩემი სტუდენტები რომ არა... არ შემიძლია მათ ვუღალატო... მე... სულ მათ თვალებს ვხედავ... და მიუხედავად ყველა საშინელებისა, ვცდილობ არ გავაწბილო მათი მოლოდინი...“ შალვამ თავი აიღო და უხერხულად გაიღიმა.

„სად იქნებიან მერე შენი სტუდენტები, სად!“ შესძახა მოუთმენლად ლილიმ, „თან გამოგაყოლებენ?! ბურჟუაზიის გუნდრუკის მკმეველს?“

თამარი მზად იყო ლილი გაეგლიჯა, რატომ დასჩხაოდა ასე ყვავივით, რატომ?! ძლივს მოკონიწებულ საღამოს... ძლივს მოკონიწებულ განწყობილებას რატომ უფუშავდა!! იმის მა-

გივრად სპექტაკლზე ელაპარაკათ, თავისი წარმოუდგენელი პროუექტებითა და უადგილო მღელვარებით სულ გაუქარწყლა „დონ-ჟუანიდან“ გამოყოლილი განწყობილება. თვითონ თავიდანვე აიმრიზა, ლეპორელოს დიდ არიას, სადაც ის დონ-ჟუანის ქალების ამბავს ჰყვება, კრიჭაშეკრული და დაძაბული უსმენდა, ერთხელ უკმაყოფილოდ თავიც გადაიქნია... რას ერჩოდა? ირაკლი შესანიშნავად მღეროდა.

მერე ტაშმა და ყვავილებმა გამოუკეთა გუნება, სპექტაკლის შემდეგ შალვამ აიჩემა ვახშამზე კიდევ ჩვენ უნდა დაგპატიჟოთო, კარგი შაშხი გვაქვს და ჩაიც დავლიოთო. ერთმანეთის პირდაპირ ცხოვრობდნენ არაგვის ქუჩაზე და სიამოვნებითაც დათანხმდნენ. დიდი ხანია ასეთი სიმშვიდე  და სიმყუდროვე არ უგრძვნია თამარს. თვითონაც არ იცოდა, რატომ და რისთვის, ეგონა კი ვერავითარი უბედურება ვერ შემოაღწევდა ამ აგუზგუზებულ ბუხართან, წიგნებით, სურათებით, რბილი ავეჯით, ღადარში შემწვარი კარტოფილისა და ხახვის სურნელით სავსე დარბაზში, თავის უახლოეს მეზობლებთანა და მეგობრებთან, ვახშმის მოლოდინში...

მანქანის შორეული ხმა პირველად ირაკლიმ გაიგონა... მაგრამ არც ისე შორეული... ეტყობა, ქვევიდან ამოდიოდა და ბაქრაძის ქუჩაზე შემოუხვია... ირაკლის სწორედ ისე დაუმრგვალდა თვალები, როგორც ლეპორელოს სასაფლაოს სცენის დროს, „ო, სტატუა ჯენტლისსიმას“ რომ წარმოთქვამდა, და მისი დიდებული ტემბრის ხავერდოვანი ბანი შიშით და ძრწოლვით იყო გამსჭვალული...

მანქანა აქეთ არ წამოსულა... პარალელურ ვიწრო შესახვევში აუხვია...

ეს სწორედ „ის“ მანქანა იყო. აქ არავინ მანქანებით არ დადიოდა, ისიც ამ დროს, ამ შუაღამეს... ვის მოუვიდა თავში აზრად, რომ ღამით უნდა მოგიხტნენ, კარები გიმტვრიონ. წამოგაგდონ და კინწისკვრით წინ გაგიგდონ! ბნელ ღამეს ადევნებული მძარცველებისაგან და ავაზაკებისგან აიღეს მაგალითი, თავის თავს კი კომუნისტებს ეძახიან!!

მანქანის ხმა ერთბაშად მიწყდა... მაგრამ ლილის მომთავრებულიც არ ჰქონდა თავის პროუექტებზე ქადაგება, რომ მანქანის

ხმა ისევ გაისმა... ახლა უკვე ზევიდან... ირაკლი დამბლადაცემულივით მიაჩერდა ფანჯრებს, მერე კი გამტკნარებულივით მიუბრუნდა ლილის: წავიდეთ, ლილი... იქნებ ჩვენთან მოვიდნენ და... ხომ უნდა ვიყოთ შინ... ძებნას ხომ არ დაგვიწყებენ..." ჩავარდნილი ხმა ჰქონდა, უზარმაზარი სხეული ძლივს ნამოსწია სავარძლიდან. საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო ათ კაცს შეკრავდა... ლილის ხმა აღარ ამოუღია, ჩუმად ადგა და გაჰყვა... ის იყო კიბეებზე უნდა ჩასულიყვნენ, მობრუნდა ლილი, შალვას გადაეხვია, ცრემლებს ძლივს იკავებდა: „მაპატიე, შალვა... თამარ, შენც მაპატიე... არ შემიძლია შევეგუო ამ დამამცირებელ უმწეობას..."

მანქანამ არაგვის ქუჩაზე ჩამოუხვია...

შალვა ფეხაკრეფით გავიდა, მძინარე ოთარს დახედა... მერე მივიდა თამართან, ხელი გადახვია და სანამ მანქანა მათი სახლის წინ გაჩერდებოდა, წყნარი, აუღელვებელი ხმით უთხრა: „გთხოვ, არ დაეცე სულით, მობუზული და სასოწარკვეთილი ბიჭს ნუ დაენახვები... რაც ვიცხოვრეთ, ხომ კარგად ვიცხოვრეთ, ჩემო თამარ, და მთავარი ესაა..."

ბინდდებოდა... ყინვამ კიდევ უფრო მოუჭირა... ქრისტინეს დატოვებული ბაწრის შალი ჰქონდა შიგნიდან შემოხვეული, მაგრამ კოვერკოტის პალტო თხელი იყო და, რიგის სიმჭიდროვის მიუხედავად, უკვე იმათაც სციოდათ, ზამთრის პალტოები რომ ეცვათ. საშა მკერავის შეკერილი საშემოდგომო პალტო ახლა სრულიად შეუსაბამოდ და შეუფერებლად გამოიყურებოდა. მოხუცმა ქალმა ველარ გაუძლო რიგში დგომას, თითქოს ვილაცის წინაშე ბოდიშს იხდისო, ისე ჩაილაპარაკა: „რა ვქნა, აღარ შემიძლიაო..." და თამარის მოწოდების მიუხედავად, წადით ურიგოდო, თქვენ ნამდვილად გეკუთვნით ურიგოდ წასვლაო, არ მოინდომა დარჩენა... ახლა ის ლანდივით მიდიოდა ბინდბუნდში. ტრამვაის ხაზზე გადადიოდა... ახლაღა გაახსენდა, რომ კარგა ხანია ტრამვაის არ გაევლო... მაროსკენ გაუქანდა გული, სად არის ნეტავ აქამდეო. მოსულიყო ბარემ, მოსულიყო, შეეღწიათ მაღაზიაში, გათბებოდნენ მაინც... თუმცა კი მაღაზიიდან ყუმბარასავით გამოვარდნილი ხალხი ერთბაშად სულშეგუბებულივით ამოიქშენდა ხოლმე და ამბობდნენ კიდეც, შიგნით საშინელი

შეხუთულობა�აო, მაგრამ ახლა დარწმუნებული იყო, გაფიჩხებას ისევ „ვიჩინის“ სიახლოვეს სულის შეგუბება ერჩია.

ღრმითაღმო ვღაღადებ შენდამი უფალო... არა... ღრმითაღმო მეტისმეტად არქაულია... უფსკრულში ჩაჩეხილი... უფსკრულში ჩაჩეხილი... არა, შაშხის რიგში ჩაჩეხილი...

ყურები უშხუოდა... ხელებიც უბჟუოდა... რიგში დგომა უკვე გაუსაძლისად ეჩვენებოდა... სირბილი სჯობიაო, სირბილი, თუნდაც დაოსებამდე... სიციცვე მაინც აღარ შეაღონებდა... მაგრამ თანდათან ეჭვი და შიში მოეძალა, მაროს დაგვიანებასთან ერთად სულ უფრო და უფრო რომ იპყრობდა და მარნუხებში აქცევდა, და ეს იყო სწორედ სიციცვეზე და შიმშილზეც უფრო ძნელი ასატანი. ნეტარებით წარმოიდგინა თავისი (თავისი კი არა, კნეინა მანანასეული), დანჯღრეული, თოკებით ჩაბმული საწოლი... ოჰ, რა სიამოვნებით გაიშოტებოდა... მაგრამ საწოლამდე ჯერ შორს იყო... მარო უნდა დაბრუნებულიყო... ნანობდა, ძალიან ნანობდა, რატომ არ გავყევიო, რა დროს ორი კურდღლის დაჭერა იყოვო... ერთი სიკეთე ისაა, ოთარი დაბადების დღეზეა და ცეკვავსო... ალბათ თავდავიწყებით ცეკვავსო... როგორმე გაძლებდა ოთარიც უშაშხოდო... აგერ, ამდენ დაბადების დღეებში ხან შაშხი შეხვდება და ხან სხვა რამეო. ახლა რიგში კი მღელვარებამ იფეთქა: შაშხი ყველას არ ჰყოფნის და არა აქვთ უფლება, ორ-ორი კილოგრამი გასცენო! მამაკაცები ამბოხდნენ, ქალები განარდნენ, მედგრად გაიჭრნენ წინ უსამართლობის აღმოსაფხვრელად და მაღაზიის ვიტრინასა და კარს მთელი ძალით ეკვეთნენ... თამარი ამაოდ ეცადა რიგიდან გამოსულიყო, ხალხის ტალღამ აქეთ-იქით მიაწყვიტა და კარებსა და ვიტრინას შუა, კედელზე ააკრა... „წარმოგიდგენიათ?!“ ამ ჭედვაში ტირილის ხმაზე შემოსძახა თამარს ქალმა, რომელიც მის გვერდით ვიტრინის ძგიდეზე იყო მიჭყლეტილი და მაინც დაორთქლილ მინას ჩაციებით მიშტერებოდა, „ბარკლების იმედი აღარ გქონდეთ! ვხედავ! ვხედავ! აგერ, ნეკნებსღა იძლევიან! მჭლე ნეკნებს!“

„ნახევარ კილოგრამზე მეტი არ გასცენ!! ყვიროდა ვილაც ბოხი ხმით.

„ტყულია, ტყუილია, არის ვიჩინა და ყველას გვერგება! ბარ-

კლები გათავდა!!"

„მაშინ კილოგრამი მისცენ! უთხარით, ვინც ახლოს ხართ, უთხარით!!"

გამაყრუებელი გნიასი და ალიაქოთი იდგა, მაღაზიიდან გამოსულებს სიძულვილით და გაბოროტებით ეკითხებოდნენ, შიგ რა ხდებაო, თუ თავდება, რატომ იღებთ ორ-ორ კილოგრამსო, ჩვენზეც ხომ უნდა იფიქროთო, ასე ხომ არ შეიძლებაო!"

თამარს სული უგუბდებოდა, უნდოდა ეთქვა, გამატარეთო, როგორმე გამატარეთო, მაგრამ ვერაფერი თქვა, ვერცერთი სიტყვა, იგრძნო რომ ტუჩები დაბუჟებული ჰქონდა და ვერ ანძრევდა... შორიდან... შორიდან მოესმა, როგორ დაიძახა ვიღაცამ „გული შეუწუხდა! ქალს გული შეუწუხდაო!" მერე უკვე აღარაფერი გაუგია...

ხელში აყვანილი შეიყვანეს მაღაზიის საწყობში ჭიშკრის შესასვლელიდან. გამყიდველმა დაეჭვებით გააღო კარი, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ სიმულაციას არ ჰქონდა ადგილი, კარი მაშინვე ჩაკეტა და თვითონ სასწრაფოდ დახლს მიაშურა. მშველელმა, ბრგე კაცმა გულწასული თამარი სახელდახელოდ მიაწვინა ტომრებზე, მასაც ერთი სული ჰქონდა, რაკიღა აქ მოხვდა, უშაშხოდ არ წასულიყო. ამიტომ მყისვე მაღაზიაში სტკუცა თავი. საწყობის სიცივეში თამარი თანდათან მოსულიერდა, მაგრამ თვალი არც გაუღია, დასუსტებულს და მისავათებულს მაშინვე ჩაეძინა და უცნაური სიზმარიც ნახა. ვითომ პატარა იყო ოთარი და დათოვლილ ბაღში მტრედებს საკენკს უყრიდა. გაიხედა თამარმა და რას ხედავს: მიფრინავენ მტრედები და ოთარიც მიფრინავს მათთან ერთად. ჩამოირბინა კიბეები, გაიქცა, თან ეძახის, ოთარ, დაბრუნდიო. თვალს მიეფარნენ მტრედებიც და ოთარიც. შეძრწუნებული თამარი დარბის, დარბის, დარბის, უკაცრიელ ადგილას მოხვდა, თოვლით დაფარულ მინდორზე... მთვარე დანათის მინდორს, ლურჯი ფარჩასავით ბრწყინავს თოვლი. ცას ახედა თამარმა და საოცარი რამ დაინახა. ცა მტრედებით იყო სავსე, ლურჯი ხავერდის მოლზე ფრთებდაკეცილ მტრედებს ეძინათ, ფრთები აეწურათ, თავები მიედრიკათ, ფრთებში ჩაეყოთ, პატარა, წითელი ფეხები შეეკეცათ და მშვიდად ეძინათ. ძილში ზოგჯერ რომელიმე ფრთას

შეარხევდა... გაიკიაფებდა შერხეული ფრთები... ზოგს იისფრად უბრწყინავდა ბუმბული, ზოგს მტრედისფრად, ზოგი კი ოქროსფრად ციმციმებდა... საოცარი სანახავი იყო! საოცარი კიდევ ის იყო, რომ ამ თვალშეუდგამ სიმაღლეზე ყველაფერს მკაფიოდ ხედავდა: მიდრეკილ თავებს, აწურულ ფრთებს, ბუმბულში შეკეცილ პაწია ფეხებსაც კი. იდგა თამარი და მოხიბლულივით შეჰყურებდა მოციმციმე, გარინდებულ ცას... ერთბაშად შეკრთა! ტკივილი და სიხარული ელდასავით ეკვეთა! თვალები ბუდეებში ჩაეყინა, ხელები ცისკენ გატყორცნა და

ოთარ!

ოთააარ!!!

პატარა მემტრედე ბიჭს თეთრი ღრუბლის ფაფუკ ბალიშზე დაედო თავი და მშვიდად ეძინა. პერანგის გადაღეღილი საყელოდან, ნაზი, ღეროსავით ამოწვდილი კისერი და დაუბუმბლავი მკერდი მოუჩანდა...

ფეხის წვერებზე შედგა თამარი, აიწია, აიწია, ის იყო უნდა აფრენილიყო, რომ ყმუილი და ჭრიალი შემოესმა. შიშმა ცივად დაუარა მთელ სხეულში... გამოციებული თვალებით გახედა მინდორს... მთვარით განათებულ ლურჯ მინდორზე ბრინჯაოს უზარმაზარი ქანდაკება მოაბიჯებდა... ბრინჯაოს სახსრებს ჭრიალი გაჰქონდა... ჩაჟანგული სახე კი ცისკენ მიეპყრო. ხედავს, როგორ მოაბიჯებს ბრინჯაოს უზარმაზარი კაცი და კერპის გახევებული მზერით ცას შეჰყურებს, მოდის და უკან მშიერი მგლების ხროვა მოსდევს. ძუნძულით მოჰყვებიან მგლები, შეჰყმუიან ბრინჯაოს კაცს, ბრინჯაოს ფარაჯაზე, ბრინჯაოს ჩექმებზე ეტანებიან. ალმასივით კბილებს რაწკუნი გააქვს. მთვარის შუქზე შავად უბზინავთ ბენვი, წითელი ენები გადმოუყრიათ, დორბლი და ნერწყვი სდით დაღებული ლაშებიდან. ყველანი აქ არიან: აგერ, ბებერი ტოტია, განაპირას მოძუნძულებს, მუცელი ფერდებზე მილასტვია, მუხლი აღარ ერჩის, ხშირად დაყუნტდება, მშიერ თვალებს მთვარეს მიაპყრობს და სიბერისგან დაბოხებული ხმით შეჰყეფს ცას... ძუ მგლებს ლეკვები მოუდით. მშიერი ლეკვები ნკმუტუნით მოსდევენ დედებს, ჩამოშრეტილ ძუძუებზე ეტანებიან...

აი, ბრინჯაოს კაცმა გადმოიგდო მხრიდან თოფი და ცას

მიუშვირა. თოფის გრიალი ცას ეკვეთა... აფართხალდნენ ცაში მტრედები...

სისხლის წვეთი დაეცა თამარს... ერთი... ორი... სამი...

გრიალებდა თოფი, იმსხვრეოდა ცა, ფრთებდალეწილი, მკვდარი მტრედები მოცვიოდნენ ციდან.

სისხლი აწვიმდა ლურჯ მინდორს...

სისხლი აწვიმდა ბრინჯაოს კაცს...

სისხლი აწვიმდა მგლების ხროვას...

სისხლი აწვიმდა თამარს...

აი, შეესივნენ ლაშდაღრენილი, შავი მგლები აფართხალებულ მტრედებით სავსე მინდორს...

ცაზე ახლა მთვარეღა დარჩა... მთვარე? თამარმა დაინახა პატარა ბიჭის დამფრთხალი სახე...

„მე მომკალით! მე მომკალით!" ყვირის თამარი და ბრინჯაოს ქანდაკებისკენ გარბის, „აქა ვარ, აქა ვარ! აი, აქა ვარ!" ყვირილით ლამის ხმა ჩაუწყდეს. მაგრამ მისი ყვირილი არავის ესმის.

მგელი ტოტია დაყუნცულა, მშიერი თვალებით ცას შეჰყურებს და ყმუის... აგერ ქანდაკებამ კვლავ თოფი შემართა ცისკენ. „ოთარ... ოთარ!"

„თამარ, თვალები გაახილე, თამარ!" იძახდა მარო და მარილის ტომრებზე მისვენებულ თამარს მაჯებს უზელდა, „ოთარო, ყვიროდი, სიზმარი ნახე?"

„ღმერთო, რა კარგია, რომ სიზმარი იყო", ამოიოხრა თამარმა.

„მეც მაშინვე მოვედი, თამარ, მაგრამ კარი ჩაკეტილი დამხვდა და რის ვაივაგლახით გამოვიკვლიე გზა მაღაზიიდან, კინაღამ გავგიჟდი, რო მითხრეს გული შეუწუხდაო".

„დარეტიანებულივითა ვარ... ერთბაშად გამომეცალა ღონე..."

„ჩანთა კი მტკიცედ გქონდა მიხუტებული, არც ბერეტი გადაგვარდნოდა".

„რაღაც საშინელი კოშმარი ვნახე... ღმერთმანი გაიოზს უნდა მოველაპარაკო, კარგად მშველოდა ლილის წვეთები, მაგრამ თუ ისევ დამეწყო კოშმარები".

„ისე კვნესოდი, ისე კვნესოდი, ჩაგძახოდი და არაფერი გესმოდა".

„მარო, მარო!" უცებ სრულიად გამოფხიზლდა თამარი, „შენ

რა ქენი, ქალო, რაო, კოტე სანებლიძემ?"

„ეჰ, თამარ, კოტემ ციხიდან მოკითხვა შემოგითვალა, მე არაფერი ვიცოდი და თურმე ერთი კვირაც არის, რაც დაუჭერიათ, გამოვბრუნდი თოფნაკრავივით მაგრამ, ვერა და ვერ ავედი ტრამვაიში, ისეთ ცუდ დროს მოვხვდი, ისე იყო დახუნძლული, პატარა ბიჭებიც კი ცვიოდნენ... მერე რის ვაივაგლახით შევეჩხირე და სინათლეც ჩაქრა, მთელი ნახევარი საათი ვიდექით გზაში... მაგრამ შენ რომ ამ დღეში დაგინახე, აღარაფერს აღარ ვჩიოდი!

„ჯანდაბას, ჩემი თავი და ტანი..." ამოიოხრა თამარმა.

შაშხი მისცეს... ორ-ორი კილო... ბარკლისა... გამყიდველმა იქვე გამოუტანა, უკანა ოთახში და აქედანვე გაატარა. წამოვიდნენ  უჩუმარი პირით. არცერთი აღარ იღებდა ხმას. ერთ მხარეს მიდიოდნენ, მარო გზად ცხოვრობდა, სასამართლოს ქუჩაზე და არაფრით არ გაუშვა თამარი, ოთარი მაინც ჯერ არ იქნება მოსული და ბარემ ერთად ვივახშმოთო. მაროს მეორე სართულზე თორმეტმეტრიანი ოთახი ჰქონდა, პატარა შესასვლელითა და პაწაწინა სათავსებით, მეზობლებს დაენაწილებინათ დიდი ჰოლი და დიდი სათავსები და ყველას თავთავისთვის საკუთარი გაეკეთებინა. მარო ამბობდა „ბონბონერივით" ბინა მაქვსო. ოთახში კედლებზე ოცდაოთხში დახვრეტილი ძმების სურათები ჰქონდა გაკრული, ოცი წლის სიკოსი, და ოცდარვა წლის გიორგისა, გარდაცვლილი მშობლებისა და აგრეთვე საკუთარი, ადრე სიყმაწვილის დროინდელი ფერწერული მცდელობები. უყვარდა თამარს გზად მაროსთან შექაქანება, მით უმეტეს ახლა, დღევანდელი თავსდამტყდარი უბედურების შემდეგ, და თუმცა ჯერ უარზე იყო, ორივენი მიქცევაზეღა ვართო, მაგრამ მარომ რომ დაუჟინა, მერე სიამოვნებითაც დათანხმდა; უყვარდა მაროს ძმებისა და მშობლების მშვენიერი სახეების დანახვაც და ყმაწვილი ქალის გაუწაფავი ხელითა და გულუბრყვილო გზნებით დახატული დიდი ჭადარი, ვახვახიშვილების აყვავებული ფერდობისა და პაწია კარის ეკლესიის ფონზე.

მარომ მაშინვე აანთო ნავთქურა, შაშხს მოზრდილი ნაჭერი ჩამოჭრა, თამარს არასგზით არ გაახსნევინა თავისი ჩანთა, თხლად დაჭრილი ნაჭრები ტაფაზე მოფინა, კარგად ააშიშხინა და

კვერცხები დაახალა, მშვენიერი ცხრააბაზიანი პურიც ჰქონდა, მჟავე კომბოსტოცა და ალუბლის ნაყენიც. სუფრაც ლამაზად გააწყო, ძველებური ფაიფურის თეფშებით, ვენზელებიანი ვერცხლის დანა-ჩანგლით და ვერცხლისავე დიდებული სურითა და სირჩებით, არც ბროლის პაწია დასადგარები დაივინყა დანა-ჩანგლისთვის და არც ხელსაწმენდების რგოლი; ეჰ, მტრის ჯიბრზე ლამაზი ჭურჭლიდან მაინც ვჭამოთო, ჩვენი მამულებიდან და ოჯახიდან ესღა დამრჩაო, თან დააყოლა.

დასხდნენ, გემრიელად შეექცნენ და თანდათან მოსულიერდნენ კიდეც, ალუბლის ნაყენმაც გაახალისათ, ერთი ეგ არის, მეტისმეტად დაღლილებსა და მომშეულებს მაშინვე მოეკიდათ სასმელი. მარომ პირველივე სირჩაზე ის თქვა, „ღმერთმა გადმოგვხედოს და ხელი მოგვიმართოსო“, მეორეზე უკვე წინაპრების მოსახსენებელი დალია უფრო ვრცლად, ხოლო მესამეზე თამარიც აჰყვა, მეტისმეტად კი აღელდა, გული ამოუჯდა და სადღეგრძელო კიდევ უფრო განავრცო: „მოდი, მარო, ჩვენი სახით ყველა დამცირებულს გაუმარჯოსო...“ ეს რომ თქვა, ღრმად ამოიოხრა, ხელსაწმენდით პირი მოიწმინდა, თან ჩაახველა, ყელიც ჩაიწმინდა და „სასაცილოა დამცირებულზე გამარჯვების თქმა, მაგრამ, ხომ იცი, შაირი არ გამრუდდება და სადღეგრძელოც ასე ითქმის. საუბედუროდ ისეა მოწყობილი ეს ქვეყანა, ყოველ ნაბიჯზე დამცირებას უნდა განვიცდიდეთ... ამ ქვეყნის ნისქვილი სხვაგვარად არა ფქვავს, მარო, და თუ სხვაგვარად დაფქვავს, მაშინვე გაჩერდება და დაიშლებაო... ვის ხელში ვართ ჩავარდნილი, მარო, ვის ხელში!? ვისაც არ ესმის, რომ ყველა წყალში არ უნდა ჩააფურთხოს და ყველა ჭაში არ უნდა ჩააფსას!! მაშინ რომელიღა წყალი უნდა დალიოს მითხარი, რომელიღა, ან თვითონ და ან ჩვენ!! ჩაფურთხებული და ჩაფსმული...“

თამარმა მუქარით შემართა ალუბლის ნაყენიანი ვერცხლის სირჩა. მარომ კი, ცოტა არ იყოს დაბნეულად გადაიქნია თავი; „დიახ, დიახ“, მაშინვე განაგრძო ნიშნის მოგებით, „იმიტომ, რომ საბჭოთა ადამიანი მუდმივად ჩაგრული და შეურაცხყოფილი უნდა იყოს! და რომ იცოდე, როგორ მეცოდებიან ყველანი, ვინც ამ ქვეყანაში ცხოვრობს, ყველანი, ყველანი, გარეშენიც და შინ-

აურებიც, მეცოდებიან, მარო, მეცოდებიან, ბებიაჩემი იტყოდა, ხორცები მადნება საცოდაობითო და მეც ხორცები მადნება, ამ ქვეყანაში ცხოვრებას ხომ ფეტვის დაჩხვლეტა სჯობია, მარო, რა ვქნათ, რა ვქნათ, რომ სანეხვეზე ვსხედვართ დ იმ ჩიტივით ისლა დაგვრჩენია, ბოლო მაინც როგორმე მოვარიდოთ, რაც უნდა სასაცილონი ვიყვნეთ, ერთი დაუსვრელი ადგილი მაინც შევინარჩუნოთ და ისე ნუ შეეჩვევით და შეეგუებით დამცირებას, სირცხვილი აღარ გვწვავდეს, მარო, სირცხვილის ცეცხლი ჩაუქრობლად უნდა გიზგიზებდეს ჩვენს გულებში. გვდაგავდეს და გვნაცრავდეს! მაშ დაე...“ თამარს სიტყვა პირზე შეაშრა... მარო სულ არ უსმენდა, ადრეც იგრძნო, რომ მან თავისი ფიქრებისკენ გადაუხვია, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა, ამასთანავე მოწოლილ გულისთქმასაც წინ ვერ აღუდგა, ახლა კი მაროს აშკარად გაუშტერდა თვალი და გატრიზავებულმა თამარმაც სადღეგრძელო ჩააფუჩეჩა, სირჩა ყლუპით დალია და მაგიდაზე ჯერ არც დაედგა, რომ მარომ სიხარულით შესძახა: „თამარ, თამარ! დამცირებულებს გაგვიმარჯოსო თქვი თუ არა, შესანიშნავი აზრი დამებადა, რაც ძალი და ღონე გვაქვს თავი უნდა დავიმციროთ გოგიელა ნიბლაძის წინაშე! აი, ჩვენ რა გვიხსნის! აი, რა გვიშველის!! მაშ, შენს წარმოთქმულ სადაღეგრძელოს გაუმარჯოს, თამარ“, დაამატა და სირჩა ერთბაშად გადაჰკრა.

„მე ერთხელ უკვე დავიმცირე, მარო, ხომ გითხარი კიდეც და რაც ის აბდაუბდა ვითომ გავუსწორე, უბრალოდ, მეზიზღება მაგასთან ურთიერთობაც კი, არამც თუ თავის დამცირება.“

„ცუდად არის შენი საქმე, თამარ!“ შესძახა წყრომით მარომ, „რა დროს ეხლა ზიზღია, როცა ასეთი მშვენიერი აზრი დამებადა და გოგიელა კი ნამდვილად არ არის ბოროტი კაცი, უბრალოდ იდიოტია, კოხტაპრუნა იდიოტი, ცხადია, თუ დაჭირდა, ყველაფერს იკისრებს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში არაფერი საშიში არ არის, მხოლოდ უნდა გავუტყდეთ და შევღაღადოთ“. „შენ იმას ამბობ, რასაც ზოია ამბობდა, მივხვდი“, — შესძახა თამარმა.

„რა შუაშია ზოია და ვესტიბული? ის ხომ ნამდვილი მოპარვა იქნებოდა, აქ კიდევ ვიცით ვისთანაცა გვაქვს საქმე!“ და მარომ ისე ცოცხლად, ისე დამაჯერებლად, წარმტაცადაც კი დაუხატა

თამარს, როგორ გამოაცუხცუხებდნენ ბელადის ქანდაკებას მარქსისტული ესთეტიკის კაბინეტიდან და იქვე, ბიბლიოთეკაში შეაცუხცუხებდნენ, რა თქმა უნდა, იმ დროს, როცა ტალანში არავინ იქნებოდა, და ახლა სწორედ, სესიების დამთავრებისას, მესამე სართულის ტალანები სულ ცარიელი იყო. ასე გადარჩებოდნენ ინვენტარიზაციას. მარქსისტული ესთეტიკის კაბინეტი ისედაც მოფენილი იყო მარქსიზმის კლასიკოსების ქანდაკებებით და იცოდა მარომ, გიგლა ნიბლაძეს სახლშიც ჰქონდა ბელადის დიდი ბიუსტი. გიგლა თამარისაგან დავალებული იყო, შემდგომშიც, ვინ იცის, რამდენი შრომა უნდა ესწორებინა, გიგლას მეცნიერული ნაყოფიერების ამბავი ვინ აღარ იცოდა, ამიტომ საჭირო იყო მხოლოდ და მხოლოდ თხოვნა და პირმოთნეობა. „ოჰ, თამარ", ამბობდა შეჭიკჭიკებული მარო, „ეჭვი არ მეპარება, გიგლა-ნიბლასაგან მადანი ნამდვილად გამოდნება, ისე, რომ ჩვენ შეგვიძლია მშვიდად დავიძინოთ!" და მარო, თავისი მოსაზრებულობით ფრთაშესხმული, იცინოდა, ბროლივით კბილებს აელვარებდა და ახალი სადღეგრძელოსთვის სირჩებს ავსებდა. ვინ არ დაუჯერებდა მაროს, მით უმეტეს თამარი, რომელმაც მთელი გულით ირწმუნა, რომ ეს ყველაზე უფრო გონივრული გზა იყო, თანაც უმოკლესი! რა ბედნიერებაა, რომ მარო იყო მის გვერდით, ასეთი გამჭრიახი და პრაქტიკული, და თამარმა განსაკუთრებული გრძნობით დალია მაროს სადღეგრძელო. საგანგებოდ შეაქო მისი მოსაზრებულობა და მიხვედრილობა.

მარომ გიტარა ჩამოიღო, სიმებს ჩამოჰკრა და თავისი კრიალა, ხალასი ხმით „შორი გზიდან სარტრფოს ველი" წამოიწყო, თამარიც აჰყვა, მეორეს ეუბნებოდა და მშვენიერი სიმღერა გამოაცხეს. მერე ხომ მთლად ეშხში შევიდნენ და დიდი განცდითა და გულთა ძგერით „თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი" იმღერეს. სიმღერამ ორივე იმედითა და სიცოცხლის წყურვილით აავსო... მეთორმეტე საათზე წამოვიდა მაროსაგან და მთაწმინდის ცუდად განათებულსა და უკაცრიელ ქუჩებში მხნედ და ხალისიანად მოაბიჯებდა, ცივ ჰაერზე კიდევ უფრო იგრძნო ალუბლის ნაყენის ძალა და თითქოს რაღაც სასიამოვნო ბურუსში გაეხვიაო... მაგრამ გზადაგზა ბურუსიც გაეფანტა და ალუბლის ნაყენიც გამონელდა... ჯერ იყო და შეუხვია თუ არა

ბესიკის ქუჩაზე, ძაღლი დაინახა, დაღმართზე პირდაპირ თამარისკენ მოძუნძულებდა. არაფრით არ უნდოდა ძაღლთან შეხვედრა, მათი უბედურების შემდეგ უპატრონო ცხოველი ლამის ადამიანებზე მეტად ებრალებოდა, მეტისმეტად უმძაფრებდა მიუსაფრობის განცდას, სადაც ერთი უპატრონო ძაღლია, მე რომ არ შემეფეთოს, არ შეიძლებაო, უსიამოვნოდ გაიფიქრა და ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა, მაგრამ ძაღლმაც მაშინვე გადმოჭრა ქუჩა და პირდაპირ თამართან მივიდა. გერმანული ნაგაზი იყო, გამხდარი, გაძვალტყავებული, მილასტული ფერდებით, თან მაღალი, დიდი და თითქოს ამის გამო კიდევ უფრო საცოდავი და გულსაკლავი, როგორ არა, ამ ძაღლს კარგად იცნობდა თამარი და ეჭვი არ ეპარებოდა, პატრონები დაპატიმრებული ჰყავდა და მშიერ-მწყურვალი ეულად დაეხეტებოდა. თამარს ფეხები დაუყნოსა, გვერდზე გაექცასუნა, ახედა და თვალი გაუშტერა. ქუჩის მბჟუტავ სინათლეში მშიერი თვალები მოწითალოდ უციაფებდა „შე საწყალო, შენა... ჩვენ ყველანი საწყლები ვართ... უპატრონოები...“ ძაღლი ადგილიდან არ იძროდა, შესჩერებოდა თამარს მშიერი თვალებით და ჰაერს ყნოსავდა. „გამომყე, მე აქვე ვცხოვრობ, ცოტას ჩამოგიჭრი ვიჩინას“. დაყვავებით ეუბნებოდა თამარი და ადევნებულ ძაღლს მიუძღოდა სახლისკენ. ჭიშკართან რომ მივიდნენ, აქ მომიცადე და მე ახლავე გამოვალო, უთხრა თამარმა. ძაღლი დაყუნცდა ჭიშკრის წინ, თამარმა კი ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა სანაგვე ყუთებს, ჭიშკრის შესასვლელი გაიარა და ეზოში გავიდა. სადღაც ერთგან იყო განათებული, მათ კუთხეში კი ბნელოდა. რკინის ათიოდე საფეხური ჰქონდა ასავლელი და კატასავით ფრთხილად ადგამდა ნაბიჯებს. მათ დერეფანში ყველას ეძინა. თამარმა შაშხს მოგრძო ნაჭერი ჩამოაჭრა, პურს დაადო, და ფრთხილი, მაგრამ ჩქარი ნაბიჯებით უკან დაბრუნდა. მაგრამ ძაღლი ჭიშკართან აღარ დახვდა. მიიხედ-მოიხედა... ქვევით გახედა ქუჩას, ზევით ახედა, ძაღლი არ ჩანდა. რატომღაც წარმოიდგინა, რომ ძაღლს „რექსი“ ერქმეოდა, დაუძახა: „რექს!“ ნელი ნაბიჯით წამოვიდა ქვევითკენ, თან აქეთ-იქით იყურებოდა და ძაღლს ეძახდა ხმადაბლა, გული ეკუმშებოდა, არ დამიჯერა, რომ გამოვუტანდიო, რომ დავაპურებდიო, იმედი არ ჰქონდაო, ადამიანებმა მოუსპეს იმე-

დიო... სულ უფრო და უფრო იშფოთებდა გულს, „რექს, რექს, რექს!“ იძახდა, მაგრამ ძაღლი არ ჩანდა. მოპირდაპირე მხარეს გადავიდა და ბუტერბროდი სკვერის პარაპეტზე დადო. გამობრუნდა, ისევ შეუდგა აღმართს, ის იყო კოტე მესხის ქუჩაზე უნდა შეეხვია, რომ მანქანის ხმა გაიგონა. ისე არაფერი აფორიაქებდა, როგორც ღამით მანქანის ხმა. ნაბიჯს აუჩქარა, მანქანის ხმა კი ახლოვდებოდა. კიდევ უფრო აუჩქარა ნაბიჯს, გული ყელში ებჯინებოდა, მაგრამ მანქანა თითქოს მას მისდევდაო, სწორედ მისკენ შემოუხვია და წამოეწია... შუქის ნაკადმა გაანათა ქვაფენილი. მანქანა გაჩერდა. „თქვეენ! თქვეენ!“ დაიძახა ვიღაცამ მანქანიდან. თამარი გაჩერდა და მანქანას მოხედა. ფურგონიანი შავი პიკაპი იყო. შუქი უშლიდა და მხოლოდ ფანჯრიდან გადმოყოფილ შოფრის თავს ხედავდა. „ჩაბალის შესახვევი აქ საით არის?“ ეკითხებოდნენ მანქანიდან.

„არ ვიცი, მე დიდი ხანი არ არის, რაც ამ უბანში ვცხოვრობ“.

იცოდა, ქუჩა და შუკა არ იყო ქალაქის შუა ნანილში, არ სცოდნოდა, მით უმეტეს ჩაბალის შესახვევი, სადაც ერთ დროს შალვას დეიდა ანა ცხოვრობდა. შოფერმა მინა ასწია, მანქანა ქშენა-ქშენით შეუდგა აღმართს. ჯერ ძაღლთან, მერე ამ მანქანასთან შეხვედრამ თამარს გაუქარწყლა მაროსგან გამოყოლილი განწყობილება: წამიერი აღმოჩნდა ის სიხალისე. ქვეყანა საპატიმროა და ჩვენ პატიმრები, ნეტავ რამ გამახალისაო, ვინ იცის, სპეცგანყოფილებამ უკვე დარეკა „სადაც ჯერ არს“ და იმ მანქანამ ჩაბალის შესახვევის შემდეგ ჩემსკენაც გამოიაროსო, გამიყარონ აქეთ-იქიდან ხელი და უფრო ვიწრო ციხეში ჩამაგდონო. მაროს მთელი გეგმები უნიადაგო პროუექტებად მოეჩვენა. სისულელე იყო და თანაც როგორი უზნეობა, შალვას შრომები იღუპებოდეს და მე კი იდიოტ გიგლას ცრუ თხზულებებს ვუსწორებდეო?!

და როგორც კი მაროს გეგმებს წყალი შეუდგა და საეჭვო გახდა, თამარი მაშინვე ისევ მოუსვენრობამ შეიპყრო. სტალინის ქანდაკების დანაყვა, ღამის სიბნელესა და სიჩუმეში (მანქანის შორეული გუგუნით სავსე სიჩუმეში), საზარელ ბოროტმოქმედებად გამჟღავნდა... სადაც სამი კაცია, — თან მის მიერ ჩათრეული ლილი, — იქ შეიძლება ხუთიც იყოს, ხუთჯერ ხუთიც

იყო... კიდევ მეტიც იყოს... უფრო მეტიც, მთელი შეთქმულება, მთელი ორგანიზაცია!

ლამის სირბილით გამოიარა ჭიშკრის შესასვლელი, გამოირბინა ეზო, ჩქარ-ჩქარა აიარა კიბეები და თავიანთ ჯურღმულში შერგო თავი.

ასე ეგონა, საუკუნეა ოთარი არ მინახავსო... მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, ოთარი სადაც იყო, ტირილის გუნებაზე დადგა; ბრაზი მოუვიდა თავის თავზე, რა მტირალად გადავიქეციო... კიდევ უფრო იგრძნო, როგორი დაღლილ-დაწყვეტილი და გასავათებული იყო... ოთარს ვიწრო, პატარა ტახტზე ლოგინი გაუშალა, თვითონ კი გაუხდელად მიწვა თავის დანჯღრეულ, თოკებით ჩაბმულ საწოლზე... ეს საწოლი ასე დახვდა, ეს ტახტიც, ეს მაგიდაც, პატარა კომოდიც... ამ საწოლში, ბაღლინჯოებით გამოძეკილ და თოკებით ჩაბმულ საწოლში, მათ გადმოსვლამდე ცოტა ხნით ადრე მოხუცი კნეინა მანანა გარდაცვლილიყო, ყოფილი სახლის პატრონი, რომელიც ყველაზე ბნელ და პატარა ოთახში შემოესახლებიათ, სახლის ჩამორთმევის შემდეგ. მარტოხელა მოხუცს აღარც არაფერი ებადა და აღარც არავინ ჰყავდა, ეზოს დაესაფლავებინა და ყველაფერი ხელუხლებლად დაეტოვებინათ, ბიბლიოთეკიდან გამოტანილი სელმა ლაგერლიოფის რომანიც კი არავის წაეღო, იდო თავისთვის კომოდზე, დასადგმელი სარკის გვერდით; მხოლოდ მატყლის ქვეშაგები და ბალიში გაეტანა სარნაზას. თამარმაც არაფერს ახლო ხელი, თავისებს დაადგამდა თუ რა?! კედელზე გაკრული რამდენიმე ფოტოც კი სრულიად უცხო და გარდასული ადამიანებისა, მათ შორის ერთ ჩარჩოში ჩასმული ფანქრით ნახატი პორტრეტები მშვენიერი ახალგაზრდა ქალისა და კეთილშობილი მოხუცისა, როგორც სარნაზამ უთხრა, კნეინა მანანასი, არ ჩამოუხსნია, დატოვა, როგორც იყო, ზოგჯერ კიდევაც გაესაუბრებოდა ხოლმე. ასეო და ისეო, თქვენს საწოლზე ვწევარ და თქვენზე ვფიქრობ ხოლმეო... ახლაც სწორედ ამ კნეინა მანანასეულ საწოლზე მიწოლილიყო და მწარე ფიქრებს მისცემოდა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ხელს სტაცებდნენ და მოსალოდნელი იყო სწორედ ამაღამ ეტაცათ ხელი... ოთარი კი არ ჩანდა, არ ჩანდა, მთელი დღე არ ენახა ბიჭი და ასე ეგონა, საუკუნეა არ მინახ-

ავსო... მაგრამ ყველაზე საშინელება ის იქნებოდა, თუ ველარასოდეს ველარ ნახავდა. მაშინაც წასული იყო, კისისხევში ქრისტინესთან; მარტის არდადეგებზე და თითქოს გულმა უგრძნოვო, სწორედ მეორე დილით ჩამოვიდა. არც იცოდა, ვინ უფრო უკლავდა გულს, უმამოდ დარჩენილი ოთარი თუ შალვა... ასე ეგონა ოთარი დაპატარავდა, დაპატარავდა, სულ ერთი ბეწვა გახდა, უმწეო და მიუსაფარი... მართლაც აი, ახლა, სულ ცოტა ხანში რომ მოაკითხოს იმ მანქანამ და ოთარი ველარ ნახოს, ველარ მოუსწროს... ველარაფერი ვერ უთხრას... ვერცერთი სიტყვა, „ვერცერთი სიტყვა“, ისეთი სასოწარკვეთით წარმოთქვა, თითქოს იმ უკანასკნელ სიტყვას, მათი გამოთხოვებისას ნათქვამს... არა, ნათქვამს კი არა, აღმომხდარ სიტყვას უნდა მიეცა დასაბამი მათი შემდგომი, უერთმანეთოდ დარჩენილი არსებობისათვის. თითქოს ამ უკანასკნელ სიტყვას, განშორება რომ ათქმევინებდა და განშორება აუცილებლად ათქმევინებდა იმ მთავარ სიტყვას, ოთარს უდედმამობას აატანინებდა, მარტოობაში არ ჩაძირავდა, შინაგანად არ გატეხდა; მთლიანობას შეუნარჩუნებდა, რამდენადაც ამ ვითარებაში, რამდენადაც ამ საშინელ ვითარებაში იყო შესაძლებელი მთლიანობის შენარჩუნება და ადამიანად დარჩენა.

თამარს შინაგანი მზერა ჩაციებით მიეპყრო ოთარისათვის და არაფერი არაფრად აღარ ეჩვენებოდა, აღარც შიმშილი, აღარც სიცივე, აღარც უსახლკარობა... ყველაფერი ამაო იყო... იმასთან შედარებით, თუ ოთარს ველარ ნახავდა. აქ უნდოდა ყოფნა თამარს, აქ, ამ ჯურღმულში, ამ ჭუჭყიანი, ბინძური საერთო საპირფარეშოს რეცხვა უნდოდა, თუნდ დღეში სამჯერ, თუნდ დაუსრულებლად, ყველას მაგივრად! აქ უნდოდა ყოფნა, ამ ჩამოფხავებულ, გამჭვარტლულ კედლებში, ნავთქურებითა და პრიმუსით ახრჩოლებულ, გაორთქლილ დერეფანში... აქ უნდოდა წოლა, გარდაცვლილი კნეინა მანანას დანჯღრეულ, თოკებით ჩაბმულ საწოლზე... ოღონდ ოთართან ერთად, ოთარის გვერდით... ოთართან... ოთართან... ოთართან...

შემაძრწუნებელი სიცხადით ხედავდა სქელტანიანი საქაღალდეებით გამოჭედილ შინსახკომის კარადებს და რამდენიმე ასეულ, ათასეულ, მილიონ გვერდზე ნაბეჭდ საქმეებს... უთვალა-

ვს... აურაცხელს... მათი საქმეც იქ არის, ალბათ... უკვე იქ არის... ეგენი ხომ ქაჯებივით არიან... ყოველთა კაცთა მავნენი, თვითონ ვერვისგან ვნებულნი... ყოველთა კაცთა... ყოველთა კაცთა... თვალწინ დაუდგა გრძელი, გრძელზე გრძელი... უგრძელესი... გაუთავებელი და დაუბოლოვებელი მწკრივი ნიათგამოცლილი, გასავათებული, შეშინებული და დამფრთხალი ადამიანებისა... მწკრივი ციხეებთან... მწკრივი შინსახკომებთან... მწკრივი მაღაზიებთან და უცნაური ის იყო, რომ ამ მწკრივებში ჩამდგარი ხალხის მიმართ, ისევე, როგორც თავისი თავის მიმართ მტრული გრძნობა დაეუფლა, თითქოს ყველანი საშინელი დამნაშავენი ყოფილიყვნენ, რომ არ ყვიროდნენ, არ ანგრევდნენ ქვეყანას, არ იქნევდნენ ხელ-ფეხს, ახია, ყველაფერი ახია, ვინა ვართ და რის მაქნისები ვართო! ჭიანჭველები ვართ და ჭიანჭველებივით უნდა გაგვსრისონო! გვსრესენ კიდეც და ახიაო!

მიდი და თარგმნე ვაჟაო... ეგეც შენ! ეგეც შენო!! მტრულად, ბოლმიანად მიმართავდა თავის თავს, თითქოს ადანაშაულებდა: როგორ გაბედე და წარმოიდგინე, რომ სადმე, მთელ ამოდენა ქვეყანაზე, სადმე ერთი კუთხე და კუნჭული მოიძევება, სადაც შეიძლება კაცმა თავი მიჰყუდოს, წეროს და იკითხოსო. და ვაჟაც, პოეზიაც, თარგმანებიც — რასაც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა და ურომლისოდაც ვერ წარმოედგინა არსებობა — ყველაფერი ეს, ოთართან განშორების მოლოდინში, დასაღუპავად განწირული მოეჩვენა... ოთარი კი არა და არ ჩანდა...

ღამის სიჩუმეში, კედლის იქიდან, ზოგჯერ ჟენიკას ხროტინივით ხვრინვა გაისმოდა ხოლმე...

წიგნები გაახსენდა! წიგნები! დამალული ვითომ გადასარჩენად... წალო გამოაღო... ნაფტალინის სუნი გამოვარდა: შალვასთვის გასაგზავნი ტყაპუჭი... ჩექმები... თბილი საცვლები... მოქსოვილი ჯემპრი... ქუდი... ხელთათმანები... ქვევით კი... მათ ქვევით... ფიცრებს ქვევითაც... ტომრებში ამოკერილი ელაგა წიგნები. ჯერ მარტო ამისთვის აგებინებენ პასუხს... იდგა და თავალგაშტერებული უყურებდა გამოხსნილ წალოს.

„დედა, დედიკო, ნახე რა მოგიტანე?!“ შემოღებულ კარებში ოთარი იდგა, გამოწვდილ ხელის გულზე დიდი ფორთოხალი

დაედო და დედას უწვდიდა, თან ულიმოდა, თაფლისფერი თვალები უუუჟუნებდა, კეპი უკან გადაეწია და ხუჭუჭა თმა შუბლზე ჩამოშლოდა. „ოთარ, ჩემო ბიჭო, ოთარ, მადლობთ, მაგრამ, იცოდე, ეგ შენვე უნდა შეჭამო!“ „კარგი, რაა, დედა, ისეთი ამბით მომქონდა და გახსოვს, მამამ ერთი ჩემოდანი ფორთოხალი, ლიმონი და მანდარინი რომ ჩამოგვიტანა ბათუმიდან და თვითონ არ ჭამდა, მე იქ ბევრი ვჭამე და ეს თქვენიაო“. ოთარი იცინოდა, დიდ, თეთრ კბილებს აჩენდა, „ჰოდა, ეს შენია, გესმიის?!“ პალტო გაიხადა, საწოლზე ჩამოჯდა. „გენაცვალოს დედა, კარგი დრო გაატარეთ? ხომ ბევრი იცეკვეთ?“ თამარი გვერდით მიუჯდა ოთარს და ხელი მოხვია, ოთარი აქ იყო, ოთარი აქ იყო, მის გვერდით, მხიარული და კმაყოფილი, ლამაზი და მშვენიერი.

„დედა, გაგიჟდები როგორი ანეგდოტი უნდა გიამბო, გურამმა მომიყვა, მე მაშინვე მერიმე გამახსენდა, ანეგდოტები ყველაზე უკეთ გამოხატავს ეპოქის სულსო, ჰოდა, კრებაა, გესმის? გამოდის თავმჯდომარე და ამბობს: ხალხო, დღის წესრიგში ერთადერთი საკითხიაო, თქვენი ჩამოხრჩობის საკითხიო, ხვალ თქვენ ყველა უნდა ჩამოგახრჩოთო. დარბაზში სიჩუმეა, არავინ ხმას არ იღებს, ბუზის გაფრენას გაიგებ. თავმჯდომარეც კი შეცბა ასეთი სიჩუმით: ხალხო, ნუთუ სიკვდილის წინ სათქმელი არაფერი გაქვთო. ისევ სიჩუმე. ბოლოს ერთმა აინია ხელი, წამოდგა და საქმიანად კითხულობს: თოკები ჩვენ წამოვიღოთ თუ თქვენ გექნებათო? რა გადასარევია, არა, დედაა?!“ იცინის ოთარი. თამარმა შეძრწუნებით ხელი ხელს შემოჰკრა: „ოთარ, შენი ჭირიმე, არ დამღუპო, გენაცვალოს დედა, დაივიწყე, დაივიწყე ეს ანეგდოტი, არ გაიმეორო არავისთან, არავითარ შემთხვევაში, გესმის, გესმის, შემომფიცე, იცოდე, მერი ჩხიკვაძე, ლილის მეზობელი, არ იცი, რომ ანეგდოტისთვის დაიჭირეს, ღმერთო, რა თავქარიანობაა გურამის მხრიდან, ვინ იყვნენ იქ, ვინა, მითხარი“ და თამარი აჩემებულად, აკვიატებულად აფრთხილებდა ოთარს და თან ისე უთრთოდა ხმა, ისე ებჯინებოდა გული ყელში და ვეღარ ითქვამდა სულს, გეგონებათ, სადაცაა ისტერიაში ჩავარდებაო. ოთარი შემცბარი შეჰყურებდა თავის დედას. თამარი უპირველესი მეგობარი იყო თავისი შვილის, ოთარს არ შეეძლო ყველაზე უფრო სანუკვარი ფიქრები და შთაბეჭდილებები

დედისთვის არ გაეზიარებინა... ახლაც, სახლში რომ ბრუნდებოდა, ერთი სული ჰქონდა, ყველაფერი, ყველაფერი ეთქვა დედისთვის, დედა კი ცხრაკეცი ფიცით აფიცებდა: ყურები დაიხშე და გაცინებითაც კი არ გაიცინო ანეგდოტზეო. „რა იყო, დედა, რა მოგივიდა?!" დაიძახა ბოლოს გაბეზრებულმა ოთარმა. თამარს გული ამოუჯდა და უთხრა რაც დაემართა, მთელი დღის დარდი და ვარამი გაუზიარა. უთხრა, როგორ შემოიარეს მთელი ქალაქი და სტალინის ქანდაკება კი ვერ იშოვეს, უთხრა ბიბლიოთეკის პირდაღებული სიცარიელის შესახებ, უთხრა, რომ კომისიამ უნდა შეამოწმოს წიგნები და ინვენტარი და მათ კი მთავარი და უპირველესი ინვენტარი აღარა აქვთ. ერთი სიტყვით, ყველაფერი უთხრა. ოთარი ყურს უგდებდა დედას და თან გაციებულ ხელებს უთბობდა. მერე კი თვალებში შეხედა და ცუღლუტად გაიცინა... უყურებდა და იცინოდა, იცინოდა... „რა იყო, ბიჭო!" წარბი შეიკრა თამარმა, „რა გვაქვს სასაცილო, რაა!!" „მე გავაკეთებ სტალინს, დედა! მართლა, მართლა! ისე გავაკეთო, ისე, რომ შენცა და დეიდა მაროც კმაყოფილები დარჩებით! ესეც რამე? ესეც რამე? აი, ნახავ, თუ არ გავაკეთებ, ნახავ!" და ოთარი ონავრულად აკვესებდა თვალებს. „რას ქვია, გააკეთებ, ბიჭო! მაინც როგორ და რანაირად, ფაფის ჭამა ხომ არ არის!!" შესძახა მკაცრად თამარმა. „მთავარი თიხაა, დედა, თიხა და მოწადინება იყოს, თორემ, ვისაც გინდა იმას გამოგიძერწავ, დაგავიწყდა, რა კარგად ვძერწავდი? ჰოდა, მოვალ თქვენთან ბიბლიოთეკაში, მოვიტან თიხას და უკანა ოთახში გამოვძერწავ. ერთი ეგ არის, ვერ გამოვწვავ, მაგრამ მერე რა, კომისიის მოსვლამდე არაფერი მოუვა, მერე თუ დაიშაშრა და დასკდა, ახალს გამოვძერწავ!!" ისეთი ხალისით ამბობდა ოთარი, თითქოს თავისი დღე და მოსწრება ამ მომენტს ელოდა და ახლა აუცხადდა დიდი ხნის სურვილიო, „გეფიცები,. დედა, ლამის ხელები მექავება ერთი კარგად გამოვძერწო!!" „მერე მიამსგავსებ? მთავარია, ჰგავდეს და ეჭვი არავის ეპარებოდეს, რომ სტალინია!" დაეჭვებით თქვა თამარმა. „აი, ახლავე ავდგები და დაგიხატავ! თუ გინდა, თვალდახუჭული დაგიხატავ, მაშინ ხომ დაიჯერებ?!" „მართალია ბავშვობაში კი ხატავდი და ძერწავდი, მაგრამ მერე რამდენმა წყალმა ჩაიარა..."

„თუ სიმართლე გინდა, დედა, ბავშვობაში სწორედ მხატვრობაზე ვოცნებობდი, გახსოვს კისისხევის ეკლესია და სასაფლაო რომ დავხატე, მამას როგორ მოეწონა, საბავშვო გამოფენაზეც წაიღო, მერე კიდევ კოკააკიდებული გოგო რომ გამოვძერწე, გახსოვს, რა კარგად გამომივიდა, ჰოდა, დაწექი ახლა და მშვიდად დაიძინე“. „გენაცვალოს დედა, ჩემო ბიჭო, თითქოს დავიჯერეო...“ თამარი მოეხვია ოთარს, თოკებით ჩაბმული საწოლის თავები გადმოიწია და კინაღამ შიგ მოჰყვნენ „ახლავე, დედა, ახლავე კარგად ჩავაბამ თოკებს“, ამბობდა ოთარი და თან საწოლის თავებს ასწორებდა, „რა საოცარია, არა, დედა, ადამიანს საწოლი წაართვა, გაუგონარი ამბავია, არა დედაა?!“ „შემოგევლოს დედა, არავისთან არაფერი არ გაიოცო, სინანულიც არავისთან გამოთქვა, თუ გინდა, მშვიდად ვიყო“.

ოთარმა დანჯღრეული საწოლი გაასწორა, სინათლე ჩააქრეს და დაწვნენ.

„ოთარ, ჩემო ბიჭო, თუ უკვე არ იძინებ, ერთი პატარა ლექსი მინდა გითხრა, გუშინ ნაუცბათევად ვთარგმნე და...“ „გისმენ, დედა.“ მაშინვე გამოეხმაურა დედას ოთარი და თამარმაც წყნარი ხმით დაიწყო:

„ქვითინებს, გოდებს ქვეყნიერება,
გარდაცვლილიყოს თითქოს ღმერთი უსაყვარლესი,
სამარის ლოდად დამხობია მთელ დედამიწას
ტყვიის ჩრდილები ბნელთუბნელესი.
მოდი, ო, მოდი, დავიმალოთ,
ძრწოლით და შიშით შეიძრა სული,
ჩასვენებულა ვით კუბოში,
ყოველის გულში, სიცოცხლე ჩუმი.
შენ! ისევ შენ! ჩვენ კოცნა გვსურს, ალერსი გვწყურის...
სურვილმა ლამის შემოლეწოს ქვეყნის კარიბჭე,
სადაც ჩვენ უნდა ამოგვხდეს სული“.

გაათავა თუ არა კითხვა, მაშინვე უნდოდა ეთქვა, რა ვერ გამოუვიდა, უნდოდა მაშინვე განემარტა ოთარისთვის ზოგიერთი ადგილები, მაგრამ ოთარს უკვე დასძინებოდა. თამარს კი არა და არ დაეძინა, თუმცა ოთარის დაპირებამ თითქოს დაამშვიდა, საშინლად იყო დაღლილი და გასავათებული, თანაც ოთარ-

თან ლაპარაკში დაავიწყდა ლილის ნვეთების დალევა, ახლა კი არ უნდოდა ადგომა, ოთარი არ გავაღვიძოვო, იტრიალა და იტრიალა აქეთ-იქით, ძილი ვერა და ვერ მოიკიდა. გათენების პირი იყო, რომ ჩაეძინა. ჩაეძინა და საოცარი სიზმარიც ნახა. ხალხი... ხალხი... ხალხი... უნივერსიტეტის ეზო ხალხით იყო სავსე, ბელადს ელოდებოდნენ, სპეცგანყოფილება და მარქსისტული ესთეტიკის კაბინეტის გამგე გიორგი ნიბლაძე ბელადთან შესახვედრად ხეებს აფორმებდნენ, ტოტებზე შაშხის ბარკლებს კიდებდნენ. გიგლა ხეებისკენ თავაღერილ ხალხს ეკითხებოდა: ხომ კარგად არის ხეები გაფორმებულიო? და ხალხის აღფრთოვანებულ შეძახილზე: გასაგიუებელიაო! თავმომწონედ იღიმებოდა, აბა, რა გგონიათ, მარქსისტული ესთეტიკის საფუძვლებზე დაყრდნობით ვაფორმებთო". „მერე ვის უნდა დაურიგოთო", მღელვარედ ასძახა ხალხმა. „თქვენს შორის ღირსეულებს, მაგრამ თუ ვინ არის ღირსეული, ამას დიდი ბელადი გადაწყვეტსო!"

შაშხის მძაფრი სუნით იყო იქაურობა გაჟღენთილი... სწორედ თამარის მაღლა, ხის ტოტიდან შებოლილ ბარკალს ქონი მოსწვეთავდა და თამარს ხან მხარზე ეცემოდა, ხან თავზე... ასევე ეცემოდათ სხვებსაც... ირაკლის, მაგალითად, ერთი დიდი წვეთი ცხვირზედაც დაეცა, მაგრამ არავინ არ იმჩნევდა, ვითომ ისე იყვნენ დიდი ბელადის შეხვედრით აღტყინებული, რომ სხვას ვერაფერს ვერ ამჩნევდნენ. თამარიც ასევე, ვაიმე ბერეტიო, ვაიმე პლაშჩიო, ფიქრობდა, მაგრამ ისიც სხვებივით გაცისკროვნებული და ბედნიერებით ატივტივებული შორს, სივრცეს გაჰყურებდა, საიდანაც ვითომ უნდა გამოჩენილიყო დიდი ბელადი.

ერთბაშად საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ყველას ენა მუცელში ჩაუვარდაო, მხოლოდ შაშვების გალობა ისმოდა... გალობდნენ, გალობდნენ, თავგადაკვლით გალობდნენ შაშვები... მოდისო! მოდისო! შეხედეთ! ვარაზის ხევიდან ამოდისო... გაისმა ხალხში, ყველამ ვარაზის ხევისკენ დაიწყო ყურება, პავლემ მირიან ლაღიძეს ანიშნა, შეხვედრისთვის მოემზადეო...

ხალხი სულგანაბული იდგა და უყურებდა, როგორ ამოდიოდა ვარაზის ხევიდან ბრინჯაოს უზარმაზარი ქანდაკება, ამოდიო-

და და თანდათან უფრო და უფრო დიდდებოდა, ისმოდა ბრინ-ჯაოს სახსრების ჭრიალი და ბრინჯაოს ჩექმების გრუხუნი... ხალხი ნელნელა უკან იხევდა... ამოვიდა, ვარაზის ხევის კიდეზე კოლოსივით აღიმართა... ჩაჟანგებული სახე და გლუ თვალები გოროზად მიაპყრო ხალხს... დაძაბულ სიჩუმეში მკაფიოდ გა-ისმა გიგლასი და პავლეს შეწყობილი ხმა: „ჩიბუხი ჩაგქრობიათ, დიდო ბელადო... ნება მოგვეცით მოგიკიდოთ!“ კოლოსმა ოდნავ დაიქნია თავი, გიგლა და პავლე მაშინვე გაიჭრნენ წინ, გიგლა მხრებზე შეადგა პავლეს, ასანთს გაჰკრა, ხელები სასოებით აღმართა და ჩიბუხს მოუკიდა. ხალხი თვალს არ ახამხამებდა, აბა, მოეკიდება თუ არაო, და ყველას გასაოცრად ბრინჯაოს ქანდაკებამ ღრმა ნაფაზი დაჰკრა და ბოლი ბოლქვ-ბოლქვად ამოუშვა ოდნავ გახსნილი ბრინჯაოს პირიდან, მკერდიც სულ აუდ-ჩაუდიოდა... ერთი-ორი ნაფაზის შემდეგ, თითქოს ღორო-ტოტოს ჩაჰბერესო, აი, ისეთი ხმით დაილაპარაკა: „გაუმარჯოს ბედნიერ საბჭოთა ხალხს!“

იგრიალა ტაშმა და ვაშამ... მირიან ლაღიძე კისრისტეხით გამოიჭრა მოედანზე. „პოეტი... პოეტი... სიჩუმე, ხალხო!“ და-იძახეს აქეთ-იქიდან და სიჩუმე რომ ჩამოვარდა, მირიანმა ქან-დაკებისკენ ხელი გაიწოდა და გულში ჩამწვდომი ხმით ლექსის თქმა დაიწყო:

„ნება მომეცი, გიმღერო და გადიდო მეცა,
ჩემი ანკარა... ჩემი წრფელი...
განსაცვიფრებლად წმინდა ხმა ჩემი
მოეფინოს მიწას და ზეცას!“

და სანამ ცნობილი პოეტი ყველას ატყობინებდა, რომ მიწაში ჭარხალიც ბრინჯაოს ბელადის ნებით წითლდებოდა და ცაზე ვარსკვლავებიც ბრინჯაოს ბელადის ნებით ინთებოდნენ, და ატყობინებდა არა მოკლედ და ლაკონურად, არამედ პოეტური ტროპების ვულკანური ამოფრქვევითა და საკუთარი ხმის მრა-ვალფეროვანი მიმოქცევით, აღელვებული და გახარებული ლილი თამარს სულმოუთქმელად ეჩურჩულებოდა და მართლაც შესანიშნავ რამეს ეუბნებოდა: „გვეშველა, თამარ, ნამდვილად გვეშველა, ვახშმად უნდა დავპატიჟოთ, ირაკლი უნდა გავიდეს და დაპატიჟოს, ჩვენ რაღაც უცებ მოვახლაფორთოთ ბიბლიო-

თეკის დარბაზში, და ვახშმად რომ მოვა, პირდაპირ ფანჯრებთ-ან დავაყენოთ... ბოლოს-ბოლოს მისთვის სულერთი არ არის სად იდგება? ხომ კარგად მოვიფიქრე, თამარ?!"

თამარი იცინის, უხარია, სხვამ არავინ დაგვასწროსო, ახლავე უნდა გავარდეს ირაკლი და დაპატიჟოსო... და აგერ ირაკლი უკვე სიმღერით მიემართება ბრინჯაოს ქანდაკებისკენ: „ოო, სტატუა ჯენტილისსიმაა... ოოო, სტატუაა ჯენტილისსიმაა..." მთელი ხმით აგუგუნდა ირაკლი. „ქართულად! ქართულად დაპ-ატიჟე! მოეშვი ამ იტალიურს!" დაუძახა ლილიმ. „როგორ, კაცო! სიტყვები ხომ უნდა შევუწყო სიმღერას!" აღშფოთდა ირაკლი. „ბელადს ყველაფერი ესმის, იტალიცურს ვერ გაიგებს?" ამბობს შალვა და ირაკლი ისევ აგუგუნებს: „ოო, სტატუა ჯენტილისსი-მაა!" „გეყოფა კაცო, ეს ჯენტილისსიმა" ეძახის ლილი, „ჩამოუთ-ვალე რაზე ეპატიჟები, ხაჭაპური, მწვადები, მუკუზანი არ და-გავიწყდეს, მუკუზანი უყვარს, თურმე, ჩურჩხელები, ქადები, ჩურჩხელები, ქადები..." ლილი ვეღარ ჩერდებოდა, მოშლილი პატეფონივით იმეორებდა და იმეორებდა ერთსა და იგივეს... ირაკლი თავის „ჯენტილისსიმას" მოსძახოდა, ლილი კი ისევ და ისევ თვლიდა კერძებს...

„ვაიმე, ვაიმე, ვაიმე, ნამდვილად დაცინვა ეგონებაო!" გულ-ზე იტაცა ხელი თამარმა, მოწყდა ადგილს, გავარდა წინ, ქან-დაკების წინ მუხლებზე დაემხო, ფეხებზე ხელები შემოხვია და შეღაღადა: „მაპატიეთ, დიდო ბელადო, გვაპატიეთ, რომ დაგ-ნაყეთ, გვაპატიეთ, წამობრძანდით და დადექით ისევ თქვენს ადგილას, გემუდარებით, გეხვეწებით, უთქვენოთ შეუძლე-ბელია ბიბლიოთეკა-სამკითხველოს არსებობა. ჩვენ ამას ვერ შევეგუებით, ვერა, ვერა, ვერა..." და საწყალი თამარიც ვეღარ ჩერდებოდა ირაკლისა და ლილისავით და ალბათ, ვერც გაჩ-ერდებოდა, ქანდაკებას ხელი რომ არ ჩამოეწოდებინა... გასა-ვათებული, ძალაგამოცლილი ხელზე დაეჭიდა ქანდაკებას და წამოდგა. „აპატია... აპატია... აპატია..." ისმოდა აქეთ-იქიდან, მოგვილოცავს თამარ!!" თამარმა მადლიერებითა და აღტაცე-ბით სავსე მზერით ახედა ბელადის გლუვ თვალებს და ახლა თვითონ ააწოდა ხელი. და ყველამ დაინახა: გლუ თვალები ქან-დაკებას ნათურებივით როგორ აენთო, მაშინვე მხარზე ჩასჭიდა

ხელი თამარს, მასთან ერთად წამოვიდა... ხალხმა გზა უტია...

მოდიოდნენ თამარი და ბელადის ქანდაკება... თამარი მხარზე გრძნობდა ბრინჯაოს მძიმე ხელს და სიხარულთან ერთად შიში იპყრობდა...

ხალხი სულგანაბული მისჩერებოდა მათ მსვლელობას უნივერსიტეტის დიდი კარისკენ და ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანი ივსებოდა შურით, თუ ყველაც არა.

კიბეებთან რომ მივიდნენ, თამარმა მოიხედა და განწირული ხმით დაიძახა: „შალვა, შალვა, რა ვქნა, შალვა?"

და შალვას ხმაც მკაფიოდ გაისმა: „რასაც ბელადი მოგთხოვს, თამარ!"

და საწყალმა თამარმა მწარედ გაიფიქრა: „ოღონდ დადგეს ჩვენს დარბაზში და სხვას არაფერს უკვე მნიშვნელობა აღარა აქვსო..."

მაგრამ საშინლად ეტკინა მხარი და სწორედ ამ ტკივილმა გამოაღვიძა.

საწოლის თავი ისე იყო გადმოხრილი, ნაპირის ძგიდე მხარზე ხვდებოდა. გაოგნებულმა და ამასთანავე გახარებულმა მიიხედ-მოიხედა. თითქოს, რაღაც ძალიან უნდა გამიხარდესო, გაიფიქრა და ტახტს გახედა. ოთარს ეძინა თავის ტახტზე და წუხანდელი ნაქეიფარი ჯერ არც გაიღვიძებდა. თამარს კი ეჩქარებოდა, ძალიან ეჩქარებოდა, უნდოდა ჩქარა, ჩქარა წასულიყო უნივერსიტეტში, თითქოს რაღაცას ელოდა, რაღაც სასიხარულოს.

ოთარს წერილი დაუტოვა მაგიდაზე: „ისაუზმე კარგად, გენაცვალე, შაშხი მიატანე ჩაის და როცა მოიცლი, მაშინვე წამოდი უნივერსიტეტში, ისეთი სიზმარი ვნახე, გენაცვალოს დედა, გული მითქვამს, რაღაც კარგი უნდა მოხდეს..."

ფათხაფუთხით ჩაიცვა, ორიოდე ლუკმა გაღეჭა და ლამის კისრისტეხით გაიქცა... უნივერსიტეტში რომ მივიდა, სულმოუთქმელად აირბინა კიბეები, გააღო თავიანთი დარბაზის კარი და... საოცრება... ბელადის ქანდაკება, საღსალამათი... შეუბღალავი... გამთლიანებული... ისევ ისე, ძველებურად იდგა თავის ადგილას.

თამარმა სასოებით მიიჭდო ხელები გულზე, ფრთხილი ნაბიჯით წავიდა ფანჯრებისკენ, მიუახლოვდა ქანდაკებას და გე-

გონებათ თვალებს არ უჯერებსო, ისე შესცქეროდა. „ღმერთო ჩემო, რა ბედნიერებაა“, აღმოხდა თამარს, „ახლა ხომ დავჯდები მშვიდად და ვიმუშავებ... საღამომდე დავამთავრებ კიდეც ვაჟას მოთხრობას...“

და უკვე მხნე ნაბიჯით გადმოჭრა დარბაზი, რიკულებს გადაღმა, კარტოთეკიან გრძელ მაგიდასთან დაჯდა, თავის ჩვეულ ადგილას, ვაჟას საყმაწვილო მოთხრობები აიღო, სიამოვნებით, ლამის ნეტარებით გადაუსვა ყდას ხელი და დანიშნულ ადგილას გადაშალა.

1967-1974

# ქმნა მართლისა სამართლისა

ეს "მართალი სამართალი" ამ ოთხმოცი წლის წინ, 1928 წელს გაარიგა კაცმა ჭარმაგმა, პატიოსანმა და გაბედულმა, სახელად შავ-გიორგიმ, როცა იყალთოში ის საშინელი მკვლელობა მოხდა. მაგრამ ასევე საშინელი იყო ამ სამართლის ბოლოც.

ლამის საუკუნის მანძილზე რა არ დაიფარება დრო-ჟამის ნაცრით, რა არ ჩაინავლება და გაიბნევა დავიწყების ამაოებაში, ის ადამიანები რომ არა, ვისაც ხსოვნაც ფხიზელი აქვს და სათქმელად გულიც ერჩის.

სწორედ ასეთები იყვნენ საბედო და ბაბუცა, ჩემთვის დაუვიწყარი იყალთოელი ქალები, უთქმელს რომ არაფერს მნიშვნელოვანს არ დატოვებდნენ, და სიტყვაც, ოჰ, როგორ უჭრიდათ. მიყვარდა, ძალიან მიყვარდა მათთან ურთიერთობა, მათი მოსმენა, ისინი ხომ საუცხოო მთხრობელები იყვნენ, ამბების შემნახავები. სათქმელად გული უძგერდათ, ამბობდნენ კიდეც: გულისა პირმა უნდა ამოთქვასო. და ამოთქვამდნენ, თუმცა კახური კილოთი, მაგრამ სრულიად არა-ტეტიურად და არა გაგრიულად, მშვენიერი ქართულით, რადგან ერთი რომ ბაბუცას შვიდწლედი და საბედოს კი საშუალო სკოლაც გათავებული ჰქონდა, და მეორეც, იმის გამო, რომ იყალთო თავად მაყაშვილთა სამკვიდრო იყო, გლეხების გვერდით სახლობდნენ ისინი, განსაკუთრებით ზემო სოფელში, სამლულა წყლის უბანში, ჩუმათხევის აყოლებაზე მარჯვნივ და მარცხნივ, ვისთვისაც შეიძლება მიებაძათ, თუ მეტყველებით, თუ ქცევით. ამას მე განსაკუთრებით ვგრძნობდი ჩემი კარგი ბებიისა და ამ ქალების მაგალითზე, რა თქმა უნდა, მათი ბუნებრივი ნიჭის გათვალისწინებითაც.

"ჩემო გოგო," მეუბნებოდა ერთხელ საბედო, "შემომეხვეწებიან ხოლმე ჩვენი უბნის კაცები, ღანძილზე მივდივართ და წამოგვყევიო, — აბა ღანძილი ხო მთა ადგილას მოდის, არ არის ადვილი ღანძილის მოპოვება, ჯერ სიარული თქვი და მერე კიდევ ხშირად ისედაც დაუმდნარ თოვლში უნდა თხარო და ჩიჩქნო, — ჰოდა, ოღონდ წამოდი, რა გინდა, დაგაბრძანებთ ქალბატონად და შენი ტკბილი ქართულით შენებური ამბები გვითხარიო, ხო იცი, ტკბილი სიტყვით მთას ირემი მოიწველაო და ჩვენც გაგ-

ვიიოლდება საქმე, ხალისიანად შევაგროვებთ ღანძილს შენთვისაცა და ჩვენთვისაცო."

თანაც საბედოს, წიგნიც ძალიან უყვარდა და წიგნებიდან ამოკითხულ ამბებსაც უამბობდა იმ მეღანძილე კაცებს.

მე განსაკუთრებით ვგრძნობდი ხოლმე მათ მონატრებას, როცა დიდი ხნით ვიყავი წასული ან გასტროლებზე, ან სამოგზაუროდ და ირგვლივ ქართული არ მესმოდა. სწორედ ისინი დამიდგებოდნენ ხოლმე თვალწინ, ბებიაჩემის მეზობელი ბაბუცა და პაპაჩემის ნათლული საბედო, თითქოს გავიგონებდი კიდეც მათ წამღერებულ კახურ კილოს გაგრძელებული ხმოვნებით, თითქოს მესმოდა მათი მდიდარი, ხატოვანი მეტყველება ... ისინი ისე იყვნენ შესისხლხორცებული, შერწყმული ჩვენი ენის წიაღთან, ამოზრდილი ამ წიაღიდან, ასე მეგონა, მათ ირგვლივ ყველაფერს, მათ სახლ-კარს, მათ საციქველს, მათ პირუტყვს, მათ ვენახებსა და ველ-მინდვრებს მათი ქართულის მადლი ეფინა. და უცებ, განგების ძალით ენა რომ ამოედგათ და ამეტყველებულიყვნენ, სწორედ ქართულად იმეტყველებდნენ.

თუ ზაფხულში იყალთოში ვიყავი, ან თუ ზამთარში ბებია თბილისში იყო და ქალები ჩამოვიდოდნენ, მათთან შეხვედრა ყოველთვის სიხარულით მავსებდა. ჩამოვიდოდნენ ერთი-ორი დღით, საყიდლებზე, ან საბედო თავისი სტუდენტი ბიჭის დასახედად სტუდქალაქში და უთუოდ ჩვენთან გაჩერდებოდნენ. ბაბუცას ჯვარი ვერ დავწერე, ბაბუცა ბევრად უფროსი იყო საბედოზე და სულ იმას მეუბნებოდა რაღადროს ჩემი თეატრებში სიარულიო, საბედო კი ყოველთვის დამყავდა ოპერაში, "დაისზეც" წავიყვანე, "აბესალომზეც", "ტრუბადურზეც" ... წინასწარ მოვუყვებოდი შინაარსს, მაგრამ მაინც იმას მეუბნებოდა, "გენაცვალოს საბედო, სიმღერით რო ლაპარაკობენ, მაინცდამაინც ვერ მეყურებაო ..." პირველად რომ წავიყვანე, ყველას ორკესტრში ჩემზე ანიშნებდა, ჩემი ნათლიის შვილიშვილიაო, და წარმომიდგენია, როგორ ეცინებოდათ ჩემს კარგ საბედოზე და როგორ აინტერესებდათ მათ სცენის მაგივრად ორკესტრში ჩაკარგული გოგოს დანახვა. საბედოს განსაკუთრებით ბალეტი მოსწონდა და "გედების ტბა" — ნამეტნავად. "ვიჰ, ვიჰ, რა ლამაზად კივკივებენ, რა კოხტად ჰპლაკვავენ ფეხებს, თან სადამ-

დე?! ხელებსაც მათრახებივით რო იქნევენ, თქვენი ქეთიასავით, თან რა საყვარლად, ბატკნებივით ბაკიბუკი გაუდით ... მიკვირს, ნათლია ივლიტ, რო არ მისდევ გოგოს ოპერაში, ნახე ერთი რა ციბრუტივითა ტრიალებენ, გაგიკვირდებათ, თავბრუ როგორ არ ესხმით? ახლა რა ირაოსა ჰკრავენ ჰაერში? იტყვი: თვალები მომცა და მაყურებინაო."

"ჰოდა, ჩემო საბედო, ეგეთ პატივს რო გცემს ჩემი გოგო და აღარ იცის რა ქნას, თეატრებსა და მუზეუმებში რო დაჰყავხარ, შენც უნდა დააფასო, შენებურად უამბო ჩვენი იყალთოს ამბები."

"გენაცვათ!" შესძახებს საბედო, "დამრჩაღაა რამე უამბობელიი? თუ არადა, ნათლია ივლიტ, თქვენისთანა სიტყვა ვისა აქვს? დამავიწყდებაა განა როდისმე, საშა რო ჩამოვიდა იყალთოში, მაყაშვილი, და ნეიმანი ჩამოიყვანა, თურმე დიდად საჭირო ლექსიკონის შემდგენელი, ვიჰ, როგორ შემოგციცინებდათ ის ბეხრეკი კაცი, გეგონებათ, მარგალიტები გცვიოდათ პირიდანა და ერთი მარცვალი არ უნდა დაჰკარგვოდა. აკი დროდარო იწერდა კიდეც თქვენს ნათქვამებს?! ჩვენც რო შეგვკრიბა საშამა და გვალაპარაკა და გვალაპარაკა. მერე კიდევა, საშასაც სადღეგრძელოში რა სიტყვა უთხარით?! იმოდენა კაცსა თვალი მოუწყლიანდა, განა დამვიწყნია?!"

საშა მაყაშვილი, ცნობილი ბოტანიკოსი, ბოტანიკური ლექსიკონის შემდგენელი, მომხიბლავი პიროვნება და ჩვენი მახლობელი, თვითონ შესანიშნავი მოქართულე, ქართული სიტყვის დამფასებელი, ... ბებიას მართლა სუფრა გაეწყო, მიეპატიჟა საშა და ნეიმანი და საშასთვის ეთქვა: "მე მაყაშვილების დაწიოკებას მთელი სიცოცხლე გულს მივამტკივნებ, და ამ ტკივილს, ჩემო საშა საფლავში წავიღებო. შენი გამოჩენა იყალთოს არემარეზე მახარებს, გულის კარს მიხსნის და იმედით მავსებს, ნასეტყვ ვენახს საღი კუფხალი რო გადაურჩება, აი, ასე შემოგყურებო."

დიდი ხანია აღარავინ ცოცხალი აღარ არის, აღარც ბებია, მერე, 80-იანი წლების დასაწყისში ბაბუცა გაუდგა გზას გრძელი ქვეყნისაკენ, ბოლოს 2000-ს წელს, 88 წლის საბედომაც დატოვა ეს წუთისოფელი. ახლა, როცა თელავიდან გადავდივარ ხოლმე იყალთოში და ზევით, სასაფლაოსკენ ავივლი, ჩემთვის

ჩუმად ვდუდუნებ: სადა ხართ, ჩემო კარგო ქალებო, სად დაჰ-ქრის თქვენი დაუდეგარი სული, ო, რა სიამოვნებით გავიგონებდი თქვენს ქართულს, რა სიხარულით მოგისმენდით ... რომ იცოდეთ, როგორ მსურს ღმერთმა გადმომხედოს, რომ არ დავკარგო თქვენი მონათხრობი, რომ კვლავაც იცოცხლოთ ჩემთან ერთად ...

მაშინ კი, ილას დასაფლავების შემდეგ, ბიძაჩემი მოდიოდა თურმე თბილისში საქმეზე თავისი მანქანით და ბებიას საბედოც გამოჰყოლოდა, ბიჭს დავხედავ და ქალებსაცა ვნახავო. თანაც კაცებისათვის ეთხოვნა, კალაურში ერთი ნუთით გამაჩერეთო, ჩემ ტასოსთან შევირბენ, ბურვაკები ჰყავთ, უთუოდ დაჰკლავდნენ და ნედლ ხორცს ბიჭსაც წამოვუღებ და ქალებსაცო. საბედოს უფროსი ქალი, რომელმაც თელავში საბუღალტრო კურსები დაამთავრა და კარგი, მარჯვე გოგო იყო, კალაურში გათხოვდა და კოლმეურნეობაში ბუღალტრადაცა მუშაობდა, ისე, რომ საბედო ძალიან ნობათით ჩამოგვივიდა, თავის ჩურჩხელებთან, ჩირთანა და ტყლაპებთან ერთად მშვენიერი სამნვადეც ჩამოგვიტანა. ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, და მნვადიც დიდად გემრიელია, მაგრამ რა თქმა უნდა, გაცვლაზე რომ იყოს, მშიერიც კი, არავითარ მნვადს საინტერესო ამბავს არ ვამჯობინებ, არასოდეს. და ეს ამბავიც იმ ჩამოსვლაზე მიამბო საბედომ, ოღონდ ბებიას სთხოვა: "ნათლია ივლიტ, დროდადრო თქვენც უნდა წამომაშველოთ სიტყვა, იმიტომ, რომა იმ არსაქნელი ბიჭის ამბავიც და სოფია გუკასოვნასაც თქვენ ჩემზე უკედაც მოგეხსენებათ, კარგიით?"

"დასტური მომიცია, ჩემო საბედო," დაეთანხმა ბებია, "ვიინ, ვინა და ჩემმა გოგომ უნდა იცოდეს სოფია გუკასოვნას სამნუხარო ამბავი ..."

"მიკვირს, ნათლია ივლიტ, ღმერთმანი, მიკვირს, ან აქამდე როგორ არ უამბეთ?!"

"ბოლო რო ისეთი ურიგო და უდიერი აქვს, ალბათ იმიტომ ... ჯერ პატარა იყო და ენა არ მიბრუნდებოდა ... მერე კიდევ რა ვიცი, ასე მოხდა, არადა, სოფია გუკასოვნა დასავიწყი ადამიანი არ არის, ნამდვილად გვმართებს იმისი მოგონება."

"მაშ, მაშ, რა მადლიანი ქალი იყო, რა კეთილი და გონიერი,

პატარა იყო, მოცქნაფული, ხელ-ფეხიც ძალზე პატარა ჰქონდა, ლამაზიც არ ეთქმოდა, პირიქით, მაგრამ თვალები ჰქონდა სიკეთით სავსე, სიკეთის შუქით განათებული, ყველას ხელის გამმართავი იყო, ყველას ჭირის გულთან ახლოს მიმტანი, არავის ახსოვს ან წამლისათვის, ან რჩევისათვის, ან სხვა რამ დახმარებისთვის მისული, მას უარით გამოესტუმრებინოს. ღარიბი და უპოვარი ვინც იყო იმ უბანში, სოფი გუკასოვნათი ედგათ სული. კოკურით ხელში წამოვიდოდა საღამო ხანზე ჩვენსკენ, სამლულა წყაროსკენ, უფრო ქალებთან შესახვედრად და რჩევის მისაცემად. ჯიბე სავსე ჰქონდა სხვადასხვა მალამოებითა და ფხვნილებით. დამწვრისა ისეთი მალამო იცოდა, უებარი, სუფთად არჩენდა, უნიშნოდ, როგორი დამწვარიც გინდა ყოფილიყო. მე რო სურავანდისაგან სახეზე მუწუკები დამაყარა, შინიდან ვერ გამოვდიოდი, იგეთი სანახავი ვიყავი, სოფია გუკასოვნამ თავისი ხელით წამისვა ის უებარი მალამო და ორ-სამ წასმაზე კენჭებივით დამცვივდა, აბა, შემომხედეთ, სადმე დამრჩა ამ მუწუკების ანაბეჭდი? მთლად მომიკრიალა სახე. ან კიდევა, მე რო შემიძლიან რუსულად გაქცეული კაცი მოვაბრუნო, სოფია გუკასოვნას წყალობით, დამსვამდა და მასწავლიდა რუსულს, და განა მარტო მეე?! ჰოდა სამლულა წყაროსთან დაიბარებდა ქალებს და იქ დაურიგებდა, ვის რა სჭირდებოდა, მუნისა იქნებოდა, თავის ტკივილისა, ყურისა, წყლულებისა, თუ ... სახელი მავიწყდება იმისი, ძნელი მოსარჩენია, გზ... გზ... ჰო, ეგზემა ... იმის წამალს კარაქზე ამზადებდა და გგონიათ ვინმეს რამეს ართმევდა? ოჰ, რა მადლობას უხდიდნენ, როგორ ლოცავდნენ, რა ბედნიერებაა ჩვენთან რო დარჩი და არ დაბრუნდი თელავშიო. იმის მზესა ფიცულობდნენ და ცდილობდნენ თვითონაც პატივი ეცათ, ვისაც რით შეეძლო. "ნუ იკლებთ, ქალებო, ნუ იკლებთ, ხო იცით, მე არაფერი მიჭირს, ერთ ადამიანს განა რამდენი უნდა? მიხედეთ თქვენ თავსაო ..." ეგეთ სიტყვას ეუბნებოდა და ისინი კი "სოფლის იმედს" ეძახდნენ. აკი შერჩა კიდეც ეს სახლი. თურმე ბავშვობიდან იყო ადამიანების შემბრალი, ბავშვობიდან აინტერესებდა ხალხის დახმარება, მცენარეები და წამლები, და მამას საუკეთესო სასწავლებელში გაემწესებინა თბილისში და სწავლის შემდეგ საუკეთესო აფთიაქარისთვისაც

მიებარებინა. მამა იმისი ხო თურმე ყველაზე მდიდარი კაცი იყო თელავში, დიდძალი ქონების პატრონი, რო იტყვიან, მამალიც კვერცხს უდებდათო. ნათლია ივლიტ, თქვენ იცით, როგორი ვაჭარიი?" მიუბრუნდა საბედო ბებიას. ორივენი ჩვენს განიერ ტახტზე იყვნენ კოხტად ფეხმორთხმულები და მეც, იქვე სავარძელში ვიჯექი, მათ წინ, სმენადქცეული.

"მართლაც ცნობილი იყო იმისი სიმდიდრე, პირველი გილდიის ვაჭარი იყო, ღუკას სოლროევი. მერე იმათ ჩამორთმეულ დიდ, ფართე, ორსართულიან სახლში დაწესებულებები გამართეს. და არ, ვიცი, გენაცვალოს ბებია," გადმომხედა ბებიამ, "გახსოვს თუ არა, შენი მონაფეობის დროს იყო, თუ არ ვცდები, 47-ში, მე სწორედ თელავში ვიყავი, ჩემი ლიდა, დედაშენი, შეწუხებული და აღშფოთებული რო დაბრუნდა სამუშაოდან და აღარ იკითხავთ, რათა და რისთვის? სოფია გუკასოვნას ძმამა და რძალმა და სოფია გუკასოვნამაც, — უკვე ოცი წელი რო საფლავში იწვა (აბა, დედ-მამაც კარგა ხნის გარდაცვლილები ჰყავდათ), სასტიკად გაღატაკებულებმა, ამერიკიდან, ადრევე წასული ძმისაგან, რომლის ასავალ-დასავალი არც იცოდნენ და რომელიც თურმე უშვილო იყო, დიდი მემკვიდრეობა მიიღეს, ანდერძით ორ მილიონს უტოვებდა ოქროთი თავის და-ძმას. გამოიძახეს თურმე საწყალი კაცი შინსახკომში, იმ საზიზღარ სახლში, ხელი მოაწერინეს ქაღალდზე, რომ ვითომ მიიღო ეს ორი მილიონი და თავის ცოლთან ერთად ციმბირში გადაასახლეს. იქიდან აღარც დაბრუნებულან. ცოლი იმ დროს ავად იყო თურმე და ლიდასთან იწვა, შინსახკომელები რომ მივიდნენ, გაგიჟდა თურმე ლიდა, ავადმყოფია, სიცხიანია, საოპერაციოა. ასეთ მდგომარეობაში როგორ შეიძლება ადგილიდან დაძვრა და მითუმეტეს დაპატიმრებაო, მაგრამ მოგეხსენებათ მაგათი რიგი და წესი ... ლიდა კი ისე იყო გაბოღმავებული, ველარც კი ისადილა ... ეხლა შენ განაგრძე, ჩემო საბედო, სოფია გუკასოვნას ამბავი, სიტყვას ნუღარ შევშლით ..."

"კი მაგრამ, საიდან მოხვდა იყალთოში ეს სომეხი ქალი?, აფთიაქარად გამოგზავნეს?" ვიკითხე მე.

"აი, სწორედ მაგის თქმას ვაპირებდი," დაიწყო საბედომ, "საიდანა და სოფია გუკასოვნა გაბროიანთ რძალი იყო,

გაბრიელ მაყაშვილისა, რევაზის ცოლი. გაბროიანი ხო თქვენს პირდაპირ ცხოვრობდნენ, რიყის გადაღმა, ზევით, კლდის თავზე, გადაჰყურებდნენ ქვეყანას თავისი მშვენიერი პარმაღიდანა ... გაბრიელს დიდ მნიგნობარს ამბობდნენ, მთელი დღეები ძველ წიგნებს ჩაჰყურებდაო, ხელიდან გაუგდებლივ ეჭირა სიგელ-გუჯრები და ეტრატებიო, იყალთოს ეკლესიებისა და ძეგლების ისტორიას წერდა თურმე, და უნდოდა თავისი ვაჟიშვილი რევაზიც თავის გზაზე დაეყენებინა, თავისი საქმის გამგრძელებლად ადრევე გაეგზავნა სასწავლებლად მოსკოვში, მაგრამ სამიოდე წლის შემდეგ დაბრუნდა თურმე, აეცრუებინა სწავლაზე გული და ამბობდა ჩვენებური გოგრა მომენატრაო, თონეში შემწვარიო. ქართულსაც იგრერიგად ვეღარა ლაპარაკობდა. მაგრამ ისეთი სანიმუშო შესახედი იყო, ისეთი ახოვანი და მიბნედილ-თვალებიანი, ქეიფსა და ლხინსაც მაშინვე გემო გაუგო, კარგ ჩაცმა-დახურვასა და ცხენის ჭენებას, ყველა შეჰხაროდა იმის გამოჩენას, მაგრამ საწყალ გაბრიელს კი, რამდენი რევაზი ქეიფიდან დაბრუნებული ცხენს შემოაჭენებდა, თავისი ემართებოდა. ყოველი დილა გაბრიელის დარიგებით იწყებოდა: "რევაზ შვილო, მამის თვალო, ხო არ იქნება სუ იმათი მაყარი იყო, საცა ბანი მაღალია?! საქმეს უნდა ეწიო, შვილო, საქმესაა! მერე კიდევა, გეყურებაა როგორა ჰლაპარაკობ, ჩვენი კარგი ქართულით ვეღარც კი რო აწყობ აზრსა ... ეგრე თავაღერილი სიარული, ცხენის ჭენება და ყანწების ტრიალი კარგს არაფერს გამოგიყრის, ჩემო ვაჟო, ... ჰოო და ამას გეუბნები, დაეწაფე "ვეფხის ტყაოსანსა" და "ვარდბულბულიანსა", ხო უნდა აღიდგინო ჩვენი ტკბილი ენა? ხო უნდა ჰფლობდე ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობასა, ხო უნდა ჰკითხულობდე ჩვენი მამულისათვის ტანჯულ კალმოსნებსა, ჩვენს სიქადულებსა?!"

კითხვით კი თურმე კითხულობდა, მაგრამა სამსახური არ ინდომა. ხან სად მოაწყო მამამა, ხან სადა, მაგრამ თურმე ვერსად გული ვერ დაუდო, სამაგიეროდ თელავში, კლუბში რო გამოჩნდებოდა, იმისი გამოჩენა ერთ რამედა ღირდაო. ახოვანი, კალმით ნახატი, ან რა მიხრამოხრა, ან რა დგომა, ან რა ჯდომა, ან რა მოლხენა და ცეკვა-თამაში. შევარდენივით რო გაშლიდა ხელებსა და ჩამოუვლიდა ლეკურსა, ერთ კაცად მარტო ეს ჩა-

მოვლა ღირდაო. ახლა უცხო ცეკვები? თურმე სანიმუშო რაღაცა იყო, ყველა პირდაღებული შეჰყურებდა ... ქალები ხო აქეთიქითა ცვიოდნენ მოწონებითა და სურვილითა, ნეტა იმ ქალს, გაბროიანთ რევაზი ვისაც თვალს დაადგამსო. ბევრი ამბობდა თურმე. ან რევაზი, ან არავინაო. ამას ყველაფერს თვითონ სოფია გუკასოვნა მიამბობდა ხოლმე. იცოდა მიყვარდა თვითონ ისიცა და ამბების გაგებაცა. ფხიზელი გონებისა ხარო და ხელი მინდა დაგატანოვო და კვირაში ორჯერ-სამჯერ რუსულზე დავდიოდი ხოლმე, ხშირად ვიყავი იმასთან. ჰოდა, სწორედ კლუბში გაეცნო, თელავში, რევაზს სოფია გუკასოვნა. აბა, ის ვის არ მოეწონებოდაო, ამბობდა, მაგრამ როგორ გავბედავდი იმაზე გაფიქრებასაც კიო, ის ატყორცნილი ტანკენარი, და მე კიდევ მინას ძლივს ვაჩნდიო, და ისე საყვარლად ჩაკუჭკუჭდებოდა ხოლმე. მაგრამ თვითონ ამ ახოვან რევაზს ეფიქრა მოცქნაფულ და არც თუ ლამაზ სოფიოზე.

მამამ რომ გაიგო, გაბრიელმა. ქოში უკულმა ჰყარა, გაწყრა თურმე და რა გაწყრა, როგორთუო შენც იმ ყბადაღებულ კნიაზებში ჩაეწერეო, მდიდარი სომხის ქალებს რო ირთავენო, სწორედაც მე არა მსურს იმ ყბადაღებულებში მოვყვეო, არა გვშია და არა გვწყურიაო. გულს მიკლავს ჩვენების ბედოვლათობა, თავიანთი მამულები აგრე რო გაანიავეს და სომხებს გადაუბოძესო, გიჟი ჰყრის, ჭკვიანი ჰკრეფავსო, და მე სწორედაც არ მინდა ამ გიჟებში მოვხვდეო!! გაფრთხილებ, ჩემო ვაჟო, ეგეთი ქართული მეორედ აღარ გამაგონოვო."

"ბატონო მამავ, ბატონო მამავ," შესძახა თურმე რევაზმა, "აბა ეხლა ერთიც მე მათქმევინეო! ვახვახიშვილებისა, აბელიშვილებისა, ჯანდიერებისა და ჯორჯაძეების მამულების დიდი ნაწილები სოფიოს მამა ღუკასმა მობოჭაო, ცხენით ერთ კვირასაც ვერ შემოუვლიო, ფართლეულისა და მაუდის მაღაზიები, საბაყლოები და სამიკიტნოები, სხვაგან და სხვაგან, ცალკე სათქმელიაო და ახლა ოქროები და თვალმარგალიტი კიდევ სხვააო. ბატონიშვილმა დავითმა, ერეკლეს შვილიშვილმა თუ შეირთო სომხის ქალი, აბი მელიქის ქალი ხამფერვან, მერე ელენედ მოინათლა და მაინც თურმე მდაბიურ კილოზე ლაპარაკობდა, სრულიადაც არა მეფის ოჯახის საკადრისად, ჩვენ ვითომ ვინა ვარ-

თო? და რო ვიყოთ კიდეც, მეფეზე და ბატონიშვილზე მაღლა ხო აღარა ვართო?!"

"ვაი ჩვენს მოსწრებასაო", წაიშინა თურმე თავში ხელი გაბრიელმა, მაგრამ რევაზმა არამც და არამც უკან არ დაიხია, მშვენიერ ქალთა გუნდი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა და ერთ მშვენიერ დღესაც სოფიო გასაცნობად რო გადმოიყვანა იყალთოში, იმის დანახვაზე კნეინა თურმე დაბარბაცდა და კედელს რო არ მიჰყუდებოდა, გული შეუღონდებოდა, გაბრიელმა კი, შეცბუნებულმა, ხელები გაყარა და ხმამაღლა შესძახა: "მუმლო, ფასკუნჯის ალაგი საფრენად რისთვის გწადიან!!" სოფიომ შეანათა თურმე თავისი სიკეთითა და გონიერებით სავსე თვალები და წყნარი, მაგრამ ღირსებით სავსე კილოთი უთხრა: "მესმის თქვენი, ჩემო ბატონო, ნამდვილად გეკუთვნოდათ მზეთუნახავი პატარძალი, მაგრამ გთხოვთ, ბრალში მე ნუ გამხვევთ, რევაზმა ასე ინება, მინდა დაგარწმუნოთ, არც ისეთი ჩალაში გასახვევი ვარ და როგორც მოგეხსენებათ ჩიტი ცაში არ დაიკარგებაო."

უყურე შენ, როგორ ქართულს მეუბნება ეს სომხის ქალიო? ეს ბაციკუკიო? თქვა გაბრიელმა და უფრო გოროზად შეყარა წარბი. მართლაც, სოფია გუკასოვნამ უებრო ქართული იცოდა. მაგრამ მარტო ქართულში არ იყო საქმე, და თუ თავიდან თავადი გაბრიელი ამბობდა: ასეთი ასოტანისას გვერდშიაც არ გავუვლიდიო, თანდათან, რომ გაიცნეს იმისი ზნეკეთილობა და გონიერება, ზრდილობა და სიბეჯითე, ისე შეიყვარეს, იმასაც კი ამბობდნენ თურმე: ჩვენი სოფიო ათია და ჩვენი რევაზი ერთიც არ არისო.

რევაზმა კი კვნიტა და კვნიტა ცოლის მზითევი, ერთი ხანობა გულიც დაჰყარა სოფიოს, ჩემი პაწაწინა თოჯა-კუკიო, ჩემი ალმასის ანასხლეტიო, ჩემი მარგალიტის მარცვალიო, ჩემი იავარდიო, თურმე სუ ამ საალერსო სიტყვებს დასძახოდა, მერე დასტაცებდა ხელსა და ააფრენდა ჰაერში ... ერთი თალია მამულებშიაც დატრიალდა ... მაგრამ ყოფილა განა, კაცმა სამუდამოდ შეიცვალოს თავისი ზნე? მითუმეტეს შვილიც არ ეყოლათ, თელაველ ექიმს ეთქვა სოფიოზე, ჩიტის საშვილო აქვს, ისეთი პაწაწინა, რა ნაყოფი გაიხარებსო. დაემშვიდებინა გაბრიელს, რა ვუყოთ, გულს ნუ შემოიყრი, უპატრონო ბალღებს რა და-

ლევს, აიყვანეთ და გაზარდეთ, უფრო დიდი მადლიაო. მაგრამ რევაზს არ ექნა, სწორედაც ჩემი სისხლი და ხორცი მინდაო, და მეტად კი უკვე თავისუფლება სწყუროდა, ჰოდა აიშვა და აიშვა, თუ საყვარლები და თუ ცოლები, იცვლიდა და იცვლიდა ...

სოფიო კი გამოეთხოვა თავის დედამთილ-მამამთილს, დიდი ცრემლის ღვრითა და გულდანყვეტით, მაგრამო, უთხრა, მე თქვენ არასოდეს მიგატოვებთო, როცა მარტო იქნებით, მოვალ ხოლმე, განახავთო, მოგხედავთო, შეგიძლიათ ჩემი იმედი ყოველთვის იქონიოთო.

მართლაც, ყოველთვის თურმე დიდი ყურადღებით იყო, ხოლო ოცდაოთხში, უკვე ღრმად მოხუცი გაბრიელი რო დახვრიტეს სხვა მაყაშვილებთან ერთად, ქაქუცას ამბებთან დაკავშირებით, და ის საშინელი სისხლის ღვარი დააყენეს, სოფია გუკასოვნამ, აბა, რამდენი ხნის წამოსული იყო იმათი ოჯახიდან და გაბრიელს პანაშვიდი გადაუხადა მგალობლებით და ჭირის სუფრაც გაუწყო. საშიში არ იყოსო, აფრთხილებდნენ, მაგრამ არაფერსაც არ შეეპუა ის პატარა ქალი.

რევაზის შემდეგ არ მოისურვა იყალთოს დატოვება, უყვარდა აქაურობა, დაახლოებული იყო მაყაშვილებთანაც, უბნელებთანაც, ძმის ოჯახსაც ძალიან მოსწონდა იყალთოში სტუმრობა, ამიტომაც მშვენიერი პატარა სახლი აიშენა განაპირას, ბოლო გზა რო ჩადის შარისკენ, იმ გზის შემდეგ ველ-მინდორია და მერე ტყე ინყება, კარგი ვენახიცა ჰქონდა თავისი სათიბით და ხეხილის ბაღით, თელავიც ხო ორ ნაბიჯზეა, მიდიოდა, მოდიოდა, ზამთრობით იქ უფრო მეტ ხანს რჩებოდა, თავისიანებიც ხშირად გადმოდიოდნენ იყალთოში, და როგორც ადრეცა ვთქვი, ნამდვილი ხალხის მსახური იყო, თუ ნამლებით, თუ ხელის განვდით, თუ ბალღების უსასყიდლოდ მომზადებით, წერაკითხვა იქნებოდა, რუსული თუ არითმეტიკა ... თანაცა, ნათლია ივლიტ", მიუბრუნდა საბედო ბებიას, "მე აგრე მგონია, რევაზი ბოლომდე უყვარდა და იმისი ახალ მთვარესავით გამოჩენა სოფელში, — თანაც თურმე უთუოდ ნახავდა ხოლმე სოფია გუკასოვნას, — იმისთვის ბევრსა ნიშნავდა."

"მეც ასე ვფიქრობ," დაუდასტურა ბებიამ, "გახსოვს, ჩემო საბედო, ძვირფასი მედალიონი რო ჰქონდა ოქროსი, ირგვლივ

ალმასებითა და საფირონებით მოოჭვილი, განუშორებლივ მკერდზე ეკიდა, იმ მედალიონში რევაზის სურათი ჰქონდა ჩასმული, გახსნიდა და დახედავდა ... ერთხელ ვუთხარი, მიკვირს -მეთქი, სოფია გუკასოვნა, ისეთი ტკივილი მოგაყენათ რევაზმა და თქვენ კი იმის სურათს გულიდან არ იცილებთ-მეთქი, ... ჩემო ივლიტაო, მითხრა, ეს იმ დროის სურათია, როცა რევაზსაც მე ვუყვარდიო, და ესეც რო არა, რატომ უნდა დამესაკუთრებინა მხოლოდ მეო, ის ხომ იმისთვის იყო დაბადებული, რომ არავის გამოჰკერებოდა კაბის კალთაზეო," ბებიამ ხელი გაიწოდა საბედოსკენ, ვითომ ახლა შენ განაგრძეო.

"ოჰ, ღმერთო, რა გამოლევს ქვეყანაზე ოხერსა და მუდრეგს, თვალგამოჭყეტილს სხვის ქონებაზე, და სოფია გუკასოვნასაც ცუდი სამსახური გაუწია იმ მედალიონმა და არა მარტო იმან ... დაიწვას და დაიდაგოს სიხარბის მომგონი! მაშინ მე მეთვრამეტეში ვიყავი, ივლისი იყო, კალოობა, ჩემი ოთია დაბრუნდა კალოდანა, გაოფლილი ცხენები გაატარ-გამოატარა, დაასვენა, თვითონაც დაისვენა და მოსალამოებულზე წყალზე ჩაიყვანა, დავარწყულებ და წყალსაც გადავავლებო. ეფრემას ბიჭი გრუზა დახვედროდა იქა, შარვლის ტოტები აეკრიფნა და აუზში ფეხებს იბანდა თურმე. სწორედ ამ დროს, მოპირდაპირედ, რიყის იქითა დაღმართზე სოფია გუკასოვნა ჩამოდიოდა კოკურით ხელში. ჩამავალ მზეზე იმ მედალიონს სუ ციმციმი გაჰქონდა ... გახედა თურმე გრუზამა და თვალი არ მოაცილა; თავისთვის ბოღმიანად ჩაილაპარაკა: "უყურე, უყურე შენ იმ მაიმახს, რა ოქროებს მოაბრჭყვიალებსო?!" გაეგონა ოთიასა და შეჰპასუხებოდა: " ვინ არი, ბიჭო მაიმახი! აი, იმ მადლიან ქალზე ამბობოო?" "მადლიანი არა ისა!" და გადააფურთხა თურმე, "ბურჟუაზიის გადმონაშთია, აი, ვინ არი!!" "აბა, რა უნდა გელაპარაკოვო ..." ოთიას ეთქვა და ცხენებს მიჰბრუნებოდა. ოთიამ არ იცოდა, თორემ ხმას გასცემდაა? მე რო ერთხელ ორღობეში ჩამისაფრდა და ხელები მიგრიხა, ღმერთო, რა შიში ვჭამე მაშინა, როგორ ვიბრძოლე, როგორ ვიომე და მაინც დავუსხლტი ხელიდანა, მაგრამ ოთიას როგორ ვეტყოდი, არ შეებას და რაიმე არ აუტეხოსმეთქი. ნათლია ივლიტ, თქვენც რო შეჰბმოდით იმ საზიზღარს, მერე მთელი სოფელი ლაპარაკობდა, არავინ მოელოდა თქვენ-

გან ეგეთ გალომებასა, ვერ წარმოგვედგინაო ...“ “როგორ ბები, შენ გალომდი?“ ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ბებია, რომელიც ჭიანჭველას ფეხს არ დააგამდა და ისეთი ხავერდოვანი ხმა ჰქონდა, რამდენჯერ მიფიქრია, რომ დაჭირდეს, ვერ დაიყვირებს-მეთქი, აკი შვილებიც ამბობდნენ, ისე გაგვზარდა, ჩვენთვის ხმამაღალი სიტყვა არ უთქვამს, არ შეეძლო და იმიტომო. “ “ჰო, გენაცვალოს ბებია, ერთხელ კოჭლიც წინაო, ... მაგრამ უნდა გითხრათ, ასე მგონია, ის მე კი არა, ვიღაც სხვა იყო, იმიტომ რო მე სულაც არა ვარ გულადი და გაბედული, პირიქით, რიღასი არ მეშინია, ... წინასწარ რომ ეთქვათ, ალბათ, შევძრწუნდებოდი, მაშინ კი, აი, ეს უცნაური ამბავი შემემთხვა, 24-ში მაყაშვილები რომ დაარბიეს, მაშინ, ... ეხლა კი აიღე ფანქარი და სუფთა ფურცელი, უნდა ჩაგაწერინო, ვინ სადა ცხოვრობდა, ... რამდენი ხანია ამას ვაპირებ ...“

მე მაშინვე გამოვიღე სეკრეტერიდან სუფთა თაბახი და ფანქარი, და ბებია კარნახს მოჰყვა: “ვლადიმერიანი, ანუ გენერლიანი, გენერალი კვინიტაძის სიმამრ-სიდედრის მშვენიერი სახლი თავისი დიდი ბაღით, — ამბულატორია და აფთიაქი გახსნეს. ვლადიმერის ქალები რო გამოიშლებოდნენ, იმათ დანახვას არაფერი სჯობდა. ტიტიკოიანი — ოჰ, ეს ტიტიკო, რა მოამაგე იყო სოფლისა, რა დიდებული პიროვნება, იმისი ამბავი ცალკე საამბობელია ... ღვინის ქარხანა გახსნეს იმის დიდ სახლში

რამანიანი-რამუშკასი და სანდრიკასი, რაფიელ ერისთავის შვილიშვილების ოჯახი. რამუშკა რა საყვარელი ბიჭი იყო და როგორ ძერწავდა, ვერ წარმოიდგენ. კლუბი გახსნეს იმათ სახლში ...“

“ბები, ბები,“ მოუთმენლად გავაწყვეტინე ბებიას, “მაპატიე რაა, ვიცი რომ ჩვიდმეტი ოჯახი იყო მაყაშვილებისა, ვინ სად ცხოვრობდა და სად ვინ შეასახლეს მერე დაწვრილებით მითხარი, ახლა კი ის მაინტერესებს, როგორ შეები იმ საზიზღარ ბიჭს ...“ “კარგი,“ ცოტა არ იყოს წყენით თქვა ბებიამ, “რაკი ასეთი სულსწრაფი ხარ და ვერ ითმენ, გეტყვი, მაგრამ იცოდე, ისე არ წავალ ამ ქვეყნიდან, რომ დაწვრილებით არ ჩაგაწერინო ვინ სად ცხოვრობდა და ვინ ვინ იყო, და რა საშინელება მოხდა, რომ ისინი განდევნეს იყალთოდან და გამოშიგნეს იქაურობა, და რამდე-

ნი კიდევ დახვრიტეს ისე უსამართლოდა და უწყალოდ ...“ ბებია იქვე, ტახტის თავთან მიდგმულ ტუმბოზე გრაფინს გადაწვდა, წყალი ჩამოისხა ჭიქაში და დალია.

“ალბათ, სახეზეც ეტყობოდა იმ გრუზას, რომ გარეწარი იყო, არა ბები?“

მაინტერესებდა კიდეც და თან მინდოდა ბებია თავისი გალომებისკენ დამებრუნებინა. მცირე პაუზის შემდეგ დამნებდა და მშვენიერი კილოთი, როგორც სჩვეოდა, დაიწყო იმ ბიჭის ამბავი: “უმსგავსი ბიჭი იყო, ამბობდნენ გაღმაუბნელები, მეზობლები, ფუძე მოითხოვსო, ბოროტი ოჯახიაო, ყველასი ყველაფერი შურთო და აბოღმავებთო, თავპირზე შხამი გადასდითო. იმ ბიჭსაც ისეთი დაბალი შუბლი ჰქონდა, ატეხილი ტყესავით თმა თითქოსდა პირდაპირ წარბებიდან ეწყებაო, ამიტომაც ერქვა “გრუზა“, ნამდვილი სახელი არც ვიცი, თან ისეთი ვიწრო თვალები ჰქონდა, გეგონებათ განზრახა აქვს მოჭუტულიო, დიდი თავიც ძალზე მოკლე კისერზე უტარო გოგრასავით ედო ... ჩასკვნილი და კუნთმაგარი კი იყო, თავადიშვილების დარბევისას ამბობდნენ თუნდ სახლს წამოიკიდებს და წელში არ გაიდრიკებაო, აკი მეც უზარმაზარი მაფრაშა დავაგდებინე კნეინა მანანასი, ამას მერე ვიტყვი, ჯერ სხვა უნდა ვთქვა, — აგორებული ქვასავით იყო, ხან ვისთან მიგორდა, ხან ვისთან, ჯერ იყოდა იყალთოში ცნობილ ყაჩაღებს, სანდრიას და რამანას ეტორღიალებოდა, მოკლე ბილიკები იცოდა ნავთლულის ბაზრამდე და მეზობელი სოფლებიდან დაყაჩაღებული ცხვარ-ძროხის გადარეკვაში შველოდა ... მერე კი ახალი დროების კაცებს მიეკედლა და მაყაშვილების დარბევა-დაწიოკებაში მილიციასთან, თბილისიდან ჩამოყვანილ ვითომ მუშებთანა და იყალთოს ბოგანოებთან ერთად მოწინავეთა რიგებში იყო და წილს არავის უდებდა. მეც სწორედ მაშინ შევეტაკე, ჩემი კნეინა მანანას სახლკარის დარბევის დროს ...“ ბებიამ გოროზად გადმომხედა, “ეხლა იცოდე, წელანდელივით სიტყვა არ ჩამომართვა, უნდა გულით მოვიგონო ჩემი კნეინა მანანა, ქალობაში ჭავჭავაძე, დიდი ილიას ბიძაშვილი, ... მათ რამაზიანთ ეძახდნენ, გიომ კარგა ხნის წინ სწორედ მათგან იყიდა მიწა და ჩვენ იქ დავსახლდით, მათ მეზობლად, დიდი ჭკუაც გამოიჩინა, ჩემთვის დაუვიწყარი

და დაუფასებელია კნეინა მანანას გავლენა და მათთან მეზობლობა. ქმარი — თავადი ზაქარია, პოლკოვნიკი, შედარებით ადრე გარდაეცვალა. ხუთი ქალი ჰყავდა, ერთი ვაჟი და ყველას სწავლა რუსეთში მიაღებინა, მაგრამ ვაჟი, ვახტანგი, ვის მზესაც ფიცულობდა, ჭლექით გაუხდა ავად და მოუკვდა. დიდი მწუხარე და მგლოვიარე იყო, ვახტანგის გადიდებულ სურათზე თეთრი აბრეშუმის მანდილი ჰქონდა ჩამოფარებული და თუ რაღაც მიზეზით აფრიალდებოდა ეს მანდილი, გადაიწეოდა და ვახტანგის სახე გამოჩნდებოდა, კნეინა მანანას საშინელი მოთქმა აუტყდებოდა და გულიც მისდიოდა. ვაიმე, კნეინა მანანამ ვახტანგი დაინახა-მეთქი, მაშინვე გავიქცეოდი და დამშვიდებას დავუწყებდი, წყალი იყო, ტკბილი სიტყვა იყო, ხელების დაჭერა იყო, თუ ვახტანგის მოგონება ... მე თავიდანვე შევეთვისე, კნეინა მანანაც ამბობდა ივლიტასნაირად ვერავინ დამამშვიდებს ხოლმეო, რატომღაც იმასაც ვუყვარდი. რო დააწიოკეს, რიჟრაჟზე, სახლში მე და უმცროსი შვილები ვიყავით, ანეტა და ლადო. გიო და ლონგო სწორედ წინა დღეს თეთრწყლებში წავიდნენ და ღვინო წაიღეს ქერზე გადასაცვლელად ცხენებისათვის, ვანო კიდევ უნივერსიტეტიდან პრაქტიკაზე იყო სიღნაღში. ძილში ჩამესმა საშინელი წიოკი, მაშინვე წამოვხტი, გადავიცვი, თურმე უკულმა გადამიცვამს კაბა, გავიქეცი და რა ვნახე, რა ნახა ჩემმა თვალებმა, რა რბევა და უბედურება, ეზო სავსე კეტებით შეიარაღებული ხალხითა და ტყავისტუჟურკიანი და მაუზერიანი კაცებით, ფანჯრები, კარებები დაღებული, ხალხი შერბის და გამორბის, ვიღაცა გადმომდგარა აივანზე და განვდევნეთ ექსპლოატატორებიო, გაიხარეთ ხალხო, გაიხარეთო და რაღაცას ქადაგებს ზევიდან ... მე გაფოთებული გავიქეცი რიყისკენ, შორს, ჩვენს წყაროს ბაღთან მოვკარი თვალი, როგორ გარბოდნენ დარბეულები. ირგვლივ, ახლომახლო, მაყაშვილების სახლებიდან, ვასოაანთიდან, ეხლა რო სკოლაა, კიკოიანთიდან, მთავარანგელოზთან ცხოვრობდნენ, მიტოიანიდან, წმინდა გიორგის გზაზე როა ზევით, ჩაჩია შეასახლეს მერე, იქიდანაც, თავქუდმოგლეჯით გამორბოდნენ დარბეულები, მე გავიქეცი ზევით, კნეინა მანანას დავწეოდი, მაშინ იყალთოში იყვნენ მასთან ქალები, ელენე და ნინა, შვილიშვილი კოტიკა და პატარა

ალიკა, ვახტანგის ბიჭი. ღვთეების გზაზე დავეწიე, ვაიმე ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს-მეთქი, ხელში არაფერი ეჭირათ, ელენესა ჰქონდა კოტიკას ზაფხულის პალტო გადაკიდებული, კნეინა მანანა, ყოველთვის მოვლილი და ლაზათიანად ჩაცმულ-დახურული, ღმერთო, რა შნოთი იყო, თმებგაწეწილი, საშინაო ჩითის ხალათით, რაღაცა საშინაო ჩუსტებით, ღვთეების წყაროს რო მივუახლოვდით სხვა დარბეულები შემოგვიერთდნენ, გავიხედე და რასა ვხედავ, ანეტა ხო ბავშვობიდან მაჭატა იყო, თან დაუდეგარი და გულიანი, მოუკიდნია ლადოსთვის ხელი და რიყეში მორბიან ... დარბეულები წმინდა შიოზე აპირებდნენ ასვლას და იქედან მოკლეებზე შუამთისკენა და თელავისკენ წასვლას ... წადი, ივლიტ, წადი გენაცვალე, ნუღარ მოგვდევო, მეხვეწებოდა კნეინა მანანა. მეც ძველი ფეხსამოსები მეცვა, მაგრამ უფრო მაგარი ჩუსტებზე, სულ ძალისძალად ჩავაცვი, ღორღზე ნაკლებად გეტკინებათ ფეხები-მეთქი. წმინდა შიომდე ვდიეთ ყველას, მეშინოდა, ხნიერი იყო კნეინა მანანა, თან დაქასქასებული სირბილისაგან და გზაში არ წაიქცეს-მეთქი ... აღარავინ მოგვდევს, შეგიძლიათ ნაბიჯი შეანელოთ-მეთქი, ცოტა მაინც შეისვენოთ ... ისინი ეხლა დავლას იყოფენ-მეთქი, ... და როგორც კი ეს წარმოვიდგინე, მაშინვე გადავწყვიტე გამობრუნება, გავიქცევი ახლა, იქნებ რამე გადაგირჩინოთ-მეთქი, ჩავავლე ხელი ანეტასა და ლადოს, ანეტა ცამეტისა იყო, ლადო ათისა, მომეხმარებიან-მეთქი. არ ვიცი, ეხლაც არ ვიცი, რამ ჩამბერა ასეთი ძალღონე, ასეთი გაბედულება და უშიშრობა, ... რა ყოფილა თურმე, რა ყოფილა რო არაფრისა გეშინია, ერთი აზრითა ხარ ატაცებული და ნიავქარივით მიჰქრიხარ ... ხო გახსოვთ "ვეფხისტყაოსნიდან" "შიგან ასრე გავერიე გნოლის ჯოგსა ვითა ქორიო," ისინი სულ არ იყვნენ გნოლები, მაგრამ მე კი სწორედ ქორად ვიქეცი, წინ დავიყენე ანეტა და ლადო და ისეთი ხმით დავიძახე, მევე ვეღარ ვიცანი ჩემი ხმა: "აბა გაგვატარეთ-მეთქი, ჩვენ მეზობლები ვართ და დიდი დავლა სწორედაც ჩვენ გვეკუთვნის-მეთქი!!" მაშინ ვიგრძენი რო მეზობლობა რაღაცას ნიშნავდა თვით მედავლეებისათვისაც ... გზაა, გზაარ, ვიღაცა იძახდა ხაფი ხმითა და უზარმაზარი მაფრაშა-ნამოკიდებული გრუზა მოტორტმანობდა, გულისჯი-

ბიდან, თვალი მოვკარი, თეთრი მანდილი მოუჩანდა, მაშინათ-ვე ვიცანი ვახტანგის სურათიდან მოგლეჯილი მანდილი, ვწვდი ამოჩეჩილ მანდილს, ამოვგლიჯე გულისჯიბიდან და ეხლავე დააგდე ეგ მაფრაშა-მეთქი, შენ აქ რა გინდა, გასწი შენ უბანში-მეთქი, ეს ყველაფერი ჩვენი უბნისაა-მეთქი!! არ ვიცი, არ ვიცი, ალბათ, ღმერთმა შთამბერა ის შეუპოვრობა, იმ ერთადერთხელ ... დავაგდებინე მაფრაშა, ... ბავშვები ვიშველიე, გამოვალაგეთ ქვეყნის მურაბები და ჩირები, ვახტანგის სურათი ეგდო დაბლა, ავიღე, რა თქმა უნდა, ... ჟურნალ "ნივის" სურათებიანი დამატე-ბა ჰქონდათ რამდენიმე წლისა ერთად აკინძული, იმაში ჩავდე ვახტანგის სურათი. წარმოიდგინეთ, ორი მილიციელი ვიშვე-ლიეთ და ყველაფერი ჩვენთან გადავიტანეთ. მეორე დღეს დაბ-რუნდნენ გიო და ლონგო, გზაშივე გაეგოთ ეს ამბავი და ძალიან იყვნენ მოშხამულები. გიომ ყველაფერი დაალაგა ურემზე, ჯერ მარტო მაფრაშამ დაიჭირა იმოდენა ადგილი, გაძეკილი იყო თე-თრეულით, ტანსაცმლით, კარგი ჭურჭლით ... ან კი როგორ მო-ასწრო იმ ცუდმა ბიჭმა ამოდენა რამის უცებ მოხელვა, ... სხვა ყველაფერი, ყველაფერი ძლივს-ძლივს მჭიდროდ დავალაგეთ, თოკებით დავამაგრეთ და გიომ თელავში წამოუღო კნეინა მა-ნანას, ვიცოდით, რომ თავის ქალთან, ქეთოსთან იქნებოდა. მა-გრამ "ნივის" სურათებიანი დამატება ჩემთვის უკან გამოეტა-ნებინა გიოსთვის, ივლიტას უყვარდა ამ სურათების თვალიერე-ბა და ჩემ სახსოვრადა ჰქონდესო. აკი გვქონდა კიდეც მთელი რამდენიმე ხანი და ამასწინად გიამ სადღაც გააქანა."

"როგორი ამაღელვებელი ამბავია, ბები, რა საუცხოოდ მო-ქცეულხარ ..." ბებიას მიმართ სიყვარულით ვიყავი სავსე. ბები-ამ გაიცინა: "ის ქალი რადგან მე არ მეჩემება, ის თითქოს სხვა იყო, ამიტომ მეც მომწონს იმისი საქციელი. ახლა კი, სანამ სა-ბედო შავ-გიორგიზე გადავიდოდეს, მაინც რაც არ უნდა იყოს, სტუმარია ჩვენი და იქნებ გვესადილა?!"

საბედომ სასტიკად იუარა: "არა, ნათლია ივლიტ, სადილშემ-დეგ იქნებ ამბობის სურვილი დამიბრუნდეს, ბარემ გავიდეთ ბო-ლომდე, ამასობაში ანეტაც მოვა და ყველა ერთად შემოვუსხდე-ბით სუფრას, თან ბიჭიც აპირებს შემოვლას და ვაითუ ამბავი ჩა-გვეფუშოს და დაგვრჩეს ჩვენი ქალი უამბოდ, არ იქნება, არაა ..."

მადლობის ნიშნად საბედოს თავისივე ჩამოტანილი ბადაგი წყალში გავუზავე და მივანოდე, ყელი ჩაიწმინდე და ისე შეუდექი შენებურად-მეთქი ... მართლაც ასე გააკეთა, დალია, პირი გაიწმინდა და მეუბნება: "ეხლა კი, ჩემო კარგო ქალო, მივადექით შავ-გიორგის, დეკანოზიანთ გიორგის, სოფელში მართალი და პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა, იმასა ჭკუას ეკითხებოდნენ, ხშირად მეზობლობაში საქმის გამრიგებლობასაცა სთხოვდნენ, მიუკერძოებელი იყო და სამართლიანი, პირნათელ კაცსა კუნაპეტი შავი წვერ-ულვაშისა და ძალიან შავი, დიდი თვალების გამო შეარქვეს თურმე შავ-გიორგი. თანაცა უკვე ჭარმაგი იყო და ერთი თეთრი არ ერია. გრუზას მამა ეფრემა გარე ბიძაშვილად ერგებოდა. ჰოდა, ეს შავ-გიორგი ვენახიდანა ბრუნდებოდა თურმე მოსაღამოებულზე ... მერე თვითონაცა ჰკვირვობდა, რაღა იქით ამოვიარეო, ყოველთვის მეორე გზითა ვბრუნდებოდი ხოლმე შინა და გუმანი იყო თუ რა იყო, არ ვიციო ... ოთიას რო ენახნა ის გრუზა წყაროზე, იმის შემდეგ მოხდა ეს ამბავი, კალოები რო დამთავრდა, ივლისის ბოლოს ... ჰოდა, შავ-გიორგი მოდის თურმე იმ გზაზე და სოფია გუკასოვნას კარმიდამოს რო გაუსწორდა, რაღაცა არ ეჭაშნიკა, ეზოს პატარა კარი გაფრიალებული იყო, იქვე ეგდო სპილენძის ლეკური თუნგი, ... სახლს გახედა, — სოფია გუკასოვნას სახლი ცოტა ღრმად იდგა, — სახლის კარიც გაღებული იყო და იქიდან თითქოს კვნესის თუ ხრიალის მიმქრალი ხმა შემოესმა ... გაჩქარებული გაეშურა სახლისკენ, აათავა რამდენიმე საფეხური და შუა დიდ ოთახში საშინელი სურათი დახვდა, სოფია გუკასოვნა ეგდო სისხლის გუბეში და ხრიალებდა ... მერე ამბობდა თურმე შავ-გიორგი, შევრძნუნდიო, ამ პატარა ქალს ამოდენა სისხლი სადა ჰქონდაო ... მივარდა თურმე, დაინახა რომ კვდებოდა და პირველი ის ჩასძახა: "სოფია გუკასოვნა, სოფია გუკასოვნა, ვინ მოგკლათ ... ვინა?.." ძლივს გაახილა თურმე თვალი, ახედა თითქოს უგონოდ ... შავ-გიორგი კი უმეორებდა და უმეორებდა"უნდა თქვაათ, თქვენი ჭირიმეთ, სოფია გუკასოვნა, ვინ ჩაიდინა ესა ... ვინა ... ვინა ... ვინ იყო ის გარეწარი ... თქვიით როგორმე ... თქვენი ჭირიმე თქვიით ..." და ბოლოს, ძლივს გასაგონად ამოიხრიალა მომაკვდავმა: "ეფრემას ... გრუზამ ... მომკლა ..." გამოვარდა შავ-გიორგი, მოშორე-

ბით მეზობლის ქალებს დაუძახა: მოდით, ვიღაცას მოუკლავს სოფია გუკასოვნა, მოხედეთ და მეც მალე მოვალო!“ აქეთ-იქედან გამორბოდნენ შეძრწუნებული უბნელები ... თვითონ კი ადლიანი ნაბიჯებით გავარდა სახლში, ერთი დიდი ჭრელტარა მათრახი ჰქონდა, იმას დაავლო ხელი და გაჩქარებით ეფრემას სახლს მიაშურა. ეფრემას ცოლი ტრიალებდა გარეთ საჩეხეში და გრუზა სად არიო, ჰკითხა, ქვევით პურსა სჭამსო. შევიდა თურმე დაბლა ოთახში, ზიის გრუზა მაგიდასთან, ჩაუბუჟბუ-ჟებია წვენში პური და ხარბად შეექცევა, ეფრემაც იქვე თავის ვაჟთან ერთადა ვახშმობს. მათრახის ტარი აუკრა მათლაფას, გადმოუგდო, ჰაიტ, შე მკვლელო შენაო, დასძახა და გადაუჭირა და გადაუჭირა მათრახი, ამოიტრიალე ეხლავე ჯიბეები გავიგო რისთვის გამოასალმე წუთისოფელს ის კარგი ქალიო, შე უნამუ-სო, ეხლავე უნდა წახვიდე თელავში და ჩაბარდე მილიციაში, თუ არ გინდა მთელი სოფელი თავს დაგცეო ... მივარდნენ თურმე ეფრემა და თებრო, უმცროსი ბიჭები შინ არა ჩანდნენ, ტყეში ყო-ფილიყვნენ ღორებთან, გრუზა კიდევ აყვირდა, რას მაბრალებ, რას მაბრალებ, მე არ მომიკლავსო და არასგზით არ ანებებდა ჯიბეების გაჩხრეკას ... ისეთი ამბავი გაიმართა თურმე და მაინც ამოატრიალებინა ჯიბეები, პირველი ის მედალიონი გადმოვარ-და თურმე, მერე მოჰყვა და მოჰყვა სხვადასხვა ოქროული, იქვე მაგიდის ფეხთან კიდევ ვერცხლის სინი იყო მიყუდებული, და გაბზრიალდა ბუხრისკენ. ჩვენია ეს სინი, ჩვენიაო, ეფრემა ყვი-როდა თურმე. როდის იყო რომა თქვენ ვერცხლის სინები გქონ-დათო, თუნგი იქვე დაგივარდა არაოოო? მე არაფერი არ ვიცი, ეხლავე წახვალ, აი, ამ წუთში და მილიციას ჩაბარდები, აღიარებ დანაშაულს და სასჯელს მოიხდიო!! თუ არა, იცოდე, ჩემს მეტი მტერი არ გინდაო!!

ჩაუვარდნენ თურმე ფეხებში ეფრემა და თებრო, ეს ერთი აპა-ტიეო, ციხეს ვისთვის გამოუყრია კარგი რო ამას გამოუყაროსო, ჩვენ ხო შენიანები ვართო, ხო არ იქნება სხვა არჩიო შენიანსო, ეხვეწებოდნენ, ეღმერთებოდნენ, თებრო იმდუღრებოდა, შავ-გიორგი კი გრგვინავდა თურმე: “არა ხართ ჩემიანებიო, არაო, არაო, თქვე მკვლელის გამზრდელებოვო, სწორედაც ის ქალი იყო ჩემიანიო, სწორედაც იმის მოკვლას მე კი არა, სოფელი არ

აპატიებს ამ სოფლის თავკბილასაო, ჩვენ შემარცხვენელსო, ჰოდა, წავალ ეხლა მე, მკვდარს პატრონობა უნდა, ეს კი ეხლავე წავიდეს, იცოდეთ, გამიფრთხილებიხართ, სანამ ის კარგი ქალი დაიმარხება, ამისი განაგისი აქ აღარ უნდა იყოსო!"

ის უმაქნისი ბიჭი ვითომ შერცხვენილი და გაწბილებული, კუთხეში მიმჯდარიყო და იქიდან ქეშად გამოჰყურებდა თავისი მოჭუტული თვალებით შავ-გიორგის, მაგრამ გაიგულა თუ არა, დურთა თავი და მილიციაში კი არა, გაიქცა სახლიდან და წმინდა შიოს მიდამოებს შეაფარა თავი. მაგრამ შავ-გიორგი ის კაცი არ იყო ხელი ჩაექნია, და სამართლის ხმალი ქარქაშში ჩაეგო. გაიგო მაშინვე, რო არც წავიდა მილიციაში და არც აპირებდა წასვლას. ხმა კი მაშინვე გავარდა მკვლელობის შესახებ, ქვეყნის ხალხმა მოიყარა თავი, ყველა გაგიჟებული იყო, რამდენჯერ ჩაეკითხნენ კიდეც შავ-გიორგის, მაშ ვერ მოასწრო თქმაო, ვინ იყო ის გარეწარიო? ის ღამე თეთრად გაათენა შავ-გიორგიმ. ერთი რომ შემოალაჯებდნენ ეფრემა და იმისი ცოლი თებრო და ხვეწნით რო არაფერი გამოსდიოდათ, მუქარაზე გადადიოდნენ, უბანს თუ გააგებინებ, სოფელი თუ გაიგებს, იცოდე, შენი საქმე ცუდად წავაო, ჩემი ბიჭები არ შეგარჩენენო, ტყუილია შურს იძიებენო და რად გინდა ჩვენც დაგვლუპო და თავიც დაიღუპოვო. დაფიქრდი, კაცო, ცოლ-შვილის პატრონი ხარო ... ცალკე კიდევ ცოლი ეხვეწებოდა, იმ საწყალ ქალს აღარაფერი ეშველება და ჩვენ კი დავიღუპებითო, ბიჭებს რო რამე აუტეხონ, ის არის კიდეცო ... შავ-გიორგი თავზე შემოიწყობდა თურმე ხელებს, ფიქრობდა, ფიქრობდა, მერე წამოდგებოდა, ბოლთის ცემას მოჰყვებოდა, ცოლს დაუტევდა, თავი გამანებე, ქალოვო, მე ვიცი ჩემი საქმისაო, და ისევ თავის გულს ასკდებოდა: "როგორო! მაშ ვინღა ვიქნებით და რა გვერქმევა ეგეთ ბოროტებას რო თვალი მოვუხუჭოთო! თანაც სომეხი იყო ეს კარგი ქალი, მართლა სოფლის თვალი და არ იტყვიაან, სომეხი რო იყო, იმიტომ არაფრად ჩააგდეს იმისი ეგეთი მოკვლაოო?! განა ეს საპატიებელი იქნებაოო?! სადღა გამოგვეყოფა თავიო, სადღაო!!"

გათენებისას გააღვიძა თავისი ბიჭები, წადით უბანში, ბიჭებს მოუყარეთ თავი, ის შორს არსად იქნება გაქცეული, იპოვნეთ და თელავში მილიციაში ჩააბარეთო. მართლაც დიდი ძებნა არ

დასჭირვებიათ, წმინდა შიოს მიდამოებში ნახეს, ინვა გაშხლართული ნანგრევებში და ეძინა. წამოაგდეს. სამწუხაროდ ვიღაცას ეთქვა, სად უნდა ვატაროთ ამსიშორეს თელავში, სოფელმა უნდა ნახოს ამისი დასჯაო. რო დაიძახეს მოჰყავთ, მოჰყავთო, ყველა გარეთ გამოეფინა, ... ღავლავით მოსდევდნენ ბიჭები ... რიყისკენ მიჰყავთ, რიყისკენ, უნდა ჩაქოლონო ... მე კლდისკენ გავიქეცი და სწორედ თქვენ დაგინახეთ, ნათლია ივლიტ, რიყის პირას, თქვენ ღობესთან იდექით ...“

“ოჰ, რა მძიმე დასანახი იყო ...“ ხელები აღაპყრო ბებიამ, “გიომ ხო კუჭის ტკივილი იცოდა, გამოვედი, ღობის ძირას ჟოლო მწიფდა და კისელს გავუკეთებ-მეთქი, იმ ჟოლოსა ვკრეფავდი ... ურავჟღუვის ხმა რო შემომესმა გაღმიდან, გავიხედე და კი არ მოჰყავდათ ის ბიჭი, დაღმართზე მოათრევდნენ ... ის კი არ უძალიანდებოდა, ეტყობა ნიათი ჰქონდა მთლად გამოცლილი შიშისაგან, მჩვრად იყო ქცეული ... ღმერთო, ან ისე როგორ დაპატარავდა, ვიღაცა უკანიდან ხან თავში უჩაჩქუნებდა, ხან თავზე მტვერსა და მიწას აყრიდა ... გიო გამოვიდა ბალკონზე, დამიძახა, მოდი, მანდ რას უდგეხარო ...“ “მე კიდევ ზევიდან კლდის პირიდან ვუყურებდი, რიყეში რო დააგდეს, თავზე ნაიფარა ხელები და წამოვიდა ყოველი მხრიდან ქვა და ღორღი, და სულ მალე ღორღმა დაფარა ჩაქოლილის გვამი. ... ოჰ, რა მძიმე რამ იყო ... აბა, როგორ მიყვარდა სოფია გუკასოვნა და რა დაახლოებული ვიყავი, იმ ცუდმა ბიჭმა კიდევ ხო ხელები მიგრიხა, მაგრამ არც ერთხელ არ დამცდენია, ახი იყო-მეთქი ... საზარელი რამ ყოფილა კაცის ჩაქოლვა ...“ მწუხარე თავის ქნევით ამბობდა საბედო, “მაგრამ აღარ იკითხავ, ჩემო ქალო, რა დაემართა შავ გიორგის? მთელმა სოფელმა დაიტირა სოფია გუკასოვნა, და იმ ღამითვე, გვიან, მივიდნენ შავ გიორგის სახლთან და ქვები დაუშინეს ... მერე ყოველ ღამე მიდიოდნენ იმ ბიჭის ძმები, პარკებით ქვა მიჰქონდათ და უშენდნენ და უშენდნენ ... ჩაულენეს მთელი კრამიტი, ფანჯრები, ყველაფერი რისი გატეხვა და ქვით გაფუჭება შეიძლებოდა, ... ჯერ ძირს ჩავიდნენ საცხოვრებლად, მაგრამ ერთხელ უფროსი ბიჭიც კინაღამ რო მოუკლეს — ისე დასცეს ქვა, შავ-გიორგის ცოლმა ეფემიამ თავი გადაიკლა, ჩვენ აქ აღარ დაგვედგომებაო. ეფემია ქვევით სოფლიდან იყო, შა-

შიანიდან, იქ წავიდნენ და იქ დასახლდნენ, მოშორდნენ იყალ-თოს. ოღონდ შავ-გიორგის ის თავისი კუნაპეტი თმა-წვერი იმ დღეებში მთლიანად გაუთეთრდა, ისე რომ ქვემოთ სოფელში აღარავინ ეძახდა შავ-გიორგის."

[მე საბედოს გადავეხვიე მადლობის ნიშნად, მერე კი სუფრის გაშლას შევუდექი].

# ბაბუცას ნაამბობი

მაშ, ვილას ვეტყვი ჩემი გულის ჯავრსა, ვილასთან ამოვყრი გულის ბუხარსა, თუ თქვენთანაც არა, თქვენი ჭირიმეთ. იქ მარუა იყო ჩემი გულის მეპასუხე და აქ თქვენა ხართ. ეეჰ, მოუკვდეს იმას ჩემი თავი და თქვენი ცუდი კი ღმერთმა ნუ გამაგონოს. ერთი ეს ხურჯინი ამომაცლევინეთ, ყველაფერი მივაბინავ-მოვაბინაოთ... ბევრი კი ვერაფერი წამოგიღეთ. რა ვქნა, აღარა გყევართ ძველი ბაბუცა. გული მერჩის, თორემა სადღაა ძველებური ჯანი და ღონე. მთელ ქალაქს იგრე შემოვივლიდი, გულს ქარს არ ამოვაღებინებდი, სოფელს ხომ არცა ვთვლიდი და არცა. ეხლა ეს თქვენი კიბეები ძლივს ქასქასით ამოვათავე. ვაი, ჩვენი ბრალიცა! ე, ხურჯინიც ელდარმა ამომიტანა და თვითონ გაიქცა. სახურჯინე კი არა იყო რა, პატარა კალათასაც ძლივს გაავსებდა, მაგრამ ხო ვიცი ქალაქელების ამბავი, სოფლურად ჩამოსვლა გიყვართ, ე, ძველი ხურჯინიც თქვენი ხათრით ავკიდე ელდარსა... რას იტყვიან ქალაქელებიო, — სულ იმას მაყვედრიდა, კარგა ვერ გაგივსია ხურჯინიო... ცოტაოდენი პური გამოგიცხეთ, ერთი-ორი ნაზუქიც მიგიკარით, აი, ეს დედალი და ესეც ორი აცმულა ჩირი, ჩემო გოგო, ვითომ ბებიაშენს გამოუგზავნია.

აღარ იტყვით, ამ კრუხ-წიწილობასა და ბაღ-ბოსტნობის დროს რამ წამომიყვანა? (მერე პიოც მიზის ერთ თორმეტიოდე კვერცხზე, ზეგ უნდა დაჩეკოს, თუ დაჩეკა). რამ წამომიყვანა და თქვენმა სურვილმა. თქვენ ხომ მთლად ხელი აგვიქნიეთ და ქვაც მოგვაგორეთ... ისე გადაბრუნდება წელიწადი, ჩვენსკენ პირს არ იზამთ, ზაფხულშიც ან ჩამოხვალთ, ან არა, ისიც ერთი-ორი დღით. ჰოდა, არც თქვენა, არც ჩვენა — არ ივარგებს! მაღალმა არ დაიწიაო, დაბალმა არ აიწიაო და ვერ აკოცეს ერთმანეთსაო! განა აქამდისინაც არ ჩამოვიდოდი, მაგრამა მარუას შემდეგ მიჭირს წასვლა-წამოსვლა. მე და ის ერთად მივდი-მოვდიოდით შეწყობილად. ეხლა ვენაცვალე ტელევიზორის გამომგონებელსა, რაც ჩვენს სოფელში დოშანას ბიჭმა და წინტიკურმა ჩამოიტანეს, ჩემმა ესმამ ძილი და მოსვენება დაკარგა, თქვენს მტერსა და ავად მახსენებელს დაეკარგოს ძილიცა და ღვიძილიც. სულ

ის იძახა: სანამ ჩვენ ზალაშიაც ტელევიზორს არ დავინახავ, ვერ მოვისვენებო. ელდარსაც ჭკუაში დაუჯდა, წამოვიდა და მეც წამომიყვანა: ქალაქელებს რო სჩივი, იმათაცა ნახავ და გული-გულიო რო იძახი, კარგ ექიმსაც გაგასინჯებო. მოვდიოდი და მომიხაროდა, ვნახავ-მეთქი ჩემს ქალებს, ვუამბობ-მეთქი ჩვენს ამბავს, ისინიც ან ავს მეტყვიან, ან კარგსა, გავიგებთ ერთმანეთისას-მეთქი!!

მარუას შემდეგ მაინც ძალიან დავმარტოვდი. მივდგები თუ მოვდგები სულ ის მიდგა თვალწინ. აღარაფრის გული და თავი არა მაქვს, კიდევ ბალღები მაძლიერებენ, თორემა მეც, ალბათ, გავუდგებოდი გრძელი ქვეყნისკენ. ექვს წყვილ ცოლ-ქმარში მე და ჩემი მაზლიღა დავრჩით. ყველანი გაიკრიფნენ. კოტიამ აკი მეც მითხრა: ძალო, ეხლა შენ ჩადექი რიგში, შენც მალე გაგაფრიალებთო. თითქოს გუშინ იყოვო, წყალზე რომ გამოვიშლებოდით ექვსივე რძალი, მღვდლის ცოლი იტყოდა, სოფიო: ნეტავი, ქალებო, დათოიანთ ქალსაო (ვითომ ჩემ დედამთილს) აგეთი რძლების ხელშიო. სადღა არიან, სადა, წავიდნენ, წახურხურდნენ. მარუა და მეღა შევრჩით ერთმანეთსა და ისიც წავიდა, გადაიქცა ხესავით. ამაღლების სწორზე ჩავაბინავეთ. უნანური და უყვედური იყოს, რაც იმას ცრემლი დაეცა. მაგრამ მაინც დოშანაანთ ნინომ რო იცის ტირილი — ტყუილია, იმან დაიკვეხოს. თვითონაც იტირა და ხალხიც აქვითქვითა. „ვაიმე, მარუავ, მშურს შენი ბედიო, თვალიღა მრჩება ეგრე რო გხედავო. ნეტავი და მე მივდიოდე ჩემ ბიჭებთანა და შენ აქ დარჩენილიყავ შენს ეზო-ყურეშიო. ვაიმე, ჩემო ბიჭებო, ჩემო შვილებო! რო შეგეგებებიან, მარუავ, გზას რომ გადმოგიჭრის ჩემი ვალიკო, უთხარი შემიცოდონ, წამომიყვანონ." ლაზათი დაადევნეს ჩემ მარუას, ვენაცვალე იმის სულსა, გააპატიოსნეს. მართლა რომ ცრემლიანი მიცვალებული იყო!!

ამაღლების მესამე დღეს დილაადრიანად ჩვენებიანთ ნაზომ მოირბინა, სახეზე ფერი აღარ ადევს, გული ხელით უჭირავს და ჩქარა, ძალუა მარუა ცუდად გახდაო. თქვენმა მტერმა და დუშმანმა ნახოს, რაც ჩემმა თვალებმა ნახა. გადაეტრიალებინა მარუას თვალები და გეგონებათ სტვირს უკრავსო, იგრე სუნთქავდა. ეგრე სტვირივით ამოუვიდა სული.

ეჰ, სიკვდილი გადაწყვეტილი საქმეა და ისე ვერ დამჩაგრავდა, ჩემ მაზლს რომა თავზე ხელი არ აეღო და ამ სიბერეში თოხარიკობა არ დაეწყო. ციხე შიგნიდან გატყდებაო და სწორედ ნიკუამ კი არ ჩაჰკრა მარუას საფლავში ფეხი და იმის მონაგარზე სხვები გაახარა. ვინა მერე, ვინა, გენაცვალეთ, აღარ იკითხავთ მარუას კვალში ვინ ჩააყენა? ვინა და ის დედალი პრისტავი რუსი დაშა. იქ მარუას დაუყენა თვალი და აქ თავისთავს! გული მიდუღს, გული! დაგანახვათ ერთი მარუას ეზო-ყურეში როგორა პარპაშებს რუსი დაშა, გეგონებათ იქ დაბადებულა და გაზრდილაო, როგორ დააბორტებს თავის ადლიან ფეხებსა და როგორა სთელავს და სჯეგავს მარუას ჯეჯილივით მნვანესა.

სულ ის იყო ჩემი სათქმელი: ეგრე ფეხჩაუკრეფავად რო მუშაობ, გაუფრთხილდი თავსა, შვილი შენ არა გყავს და ძირი, რა თავს იკლავ, შე კარგო ადამიანო-მეთქი!? ისე არაფერი გააბრაზებდა იმ თვალდამდგარს, როგორც უშვილობის ხსენება. როგორ არა მყავსო, მაშ ჩემი ძმისშვილები ვინ არიანო, ენაცვალოს იმათ თავიანთი მამიდაო. მაინც სულ ისინი ეკერა პირზე, იმათთვის იყო მდნარი და მკვდარი. შარშან სამაისოდ ელოდებოდა ორივეს, იმის შემდეგ ორი კვირა აღარ უცოცხლია, ჩევედი და რასა ვხედავ: აუვსია ვარცლი და ცომსა ზელავს, აბა, იმას ცომის თავილა ჰქონდა?! დაგენახათ იმისი დანის პირივით გალეული სახე, დაკარნახებული, ყვავის კლანჭებივით ხელები! მაგრამ შეუპოვარი იყო და კრიჭაში ედგა თავის თავსა. ვეუბნებოდი: დედაკაცო, რა თავი გადაგიდვია, ის მაინც არ გაგიგია, ერთი პური მეტი მიეცი და პური ხაბაზს გამოაცხობინეო. ეს რომ გაიგო, ფიცხლავ აიღო თავი და შემომაკვესა თვალები: რაებს ამბობ, ჩემო რძალოვო. (როცა გაბრაზდებოდა, სახელს აღარ მეტყოდა) — შემომიტია, რაებს ამბობო? არ შევაჭმევინებ ჩემ ჯანსა და ღონეს მიწასაო, არ შევაჭმევინებო, მივუყრი ცარიელა ძვლებს და ხრას რამდენიც უნდაო. მაინც ეგრე მოხდა. ისე დაილია, რომ სასახლეში მთლად ჩაიკარგა. მერე ისევ ჩვენებიანთ მელანამ მოიფიქრა: მოდით, ქალებო, ჩავაცვათ კიდევ რამდენიმე კაბაო და რაც კი რამა ჰქონდა, სულ თან გავატანეთ. საწყალს ორი ნამზითვი ქიშმირის შალები ჰქონდა და ისინიც მოვახვიეთ. კიდეც კარგი, ამ დედალ პრისტავს ხელი არაფერში

არ გავაყრევინეთ. ეჰ, მეც ვამბობ რაა, ტანსაცმელი რასა ჰქვია, ყველაფერს არ დაეპატრონა და ქვეშ არ მოიდო?! ვაი, ჩვენს მოსწრებას! ჩემი მარუას მოკოწიწებულ ოჯახს ვინ გადააჯდა!!

ეგ დაშა და კლუბის დარაჯი რაია ერთად ჩამოიხინცნენ რუსეთიდანა. ომი დიდი ხნის გათავებული არ იყო და ვითომაო იმ წლებში დიდი მოუსავლიანობა იყოვო, თან ეს ნაომარი ქვეყანა და არაფერი გვქონდა სასულდგმულოდო. სწორედ მაღაზიაში ვიყავ ჩასული, მზე ჩასვლაზე იყო, დავიხედოთ და ორნი მოდიან. ერთსა რაღაცა ძველისძველი ჯღანები თასმებით გადაება და მხარზე გადაეკიდნა, ხელში კიდევ პატარა ბოღჩა ეჭირა, ეს იყო და ესა მაგისი ავლადიდება. ფეხები მუგუზალივითღა ჰქონდა მოქცეული, თავზე კი ქათქათა ხილაბანდივით თავშალი გადაეფრიალებინა. ეს ხილაბანდი და მთლად გამორეცხილ-გამოხეხილი თვალები მეცა თვალში. აცეცებდა აქეთ-იქით მშიერი მელასავით. ეს დაშა გახლდათ, როგორც მერე შევიტყე. გვერდზე კიდევ ის ბრეტელა მოსდევდა. გაწვრილებულ კისერზე მუშტივითღა მოჰქცეოდა თმებგადალოკილი თავი. ბევრი სიარულით ქანცგაწყვეტილი სწორედ აქლემივით ადგამდა ფეხებს. მუხლებში თითქოს სახსრები ეხსნებაო, აიღებდა ფეხსა და მოწყვეტით დასდგამდა. სახეზე ხომ ნიშანწყალი ჰქონდა წაშლილი. კიდევ რაღაც სიცოცხლის ნიშანს ის ბრეტელა თვალები აძლევდა იმის სახესა, თორემა მკვდარიც მკვდარია და ისიც მკვდარი გეგონებოდათ, მოსიარულე მკვდარი.

ჰოდა, დასდგომოდნენ გზასა ეგრე ცალთვალა ძაღლებივით და მოდიოდნენ კაი დაბარებულებივით. შემოდგომა იყო და მაშინვე ჩვენს მეურნეობაში აიყვანეს მკრეფავებად. ორიოდ კვირის შემდეგ ჩვენი ვენახის ორლობეში შემომხვდნენ ორივენი ერთად. თვალებიღა დავაჭყიტე: დაშა ხაშით გაფუებულს დამსგავსებოდა და ის წისქვილის ქვაზე დასაფქვავი რაიაც კარგა მოჭენჭიანებულიყო. სადღა წავიდოდნენ? გიჟი ქორწილში შევიდა — ჩემ სახლს ესა სჯობიაო. რაღა გავაწვრილო — დარჩნენ — დარჩნენ. რაია მალე კლუბის დარაჯად დადგა. დაშამ კიდევა ღვინის სარდაფში, ჩვენ მეურნეობაშივე დაიწყო მუშაობა. ღვინო იგრე შეიტკბო და შეითვისა ჭიქებს ჭიქებზე სცლის ეხლაცა. ვინ იცის რამდენჯერ შევსწრებივარ, როგორ გამოსკდებოდა და

გამოთვრებოდა, მიწვებოდა სადმე ღობის ძირას და სლოკინით გულს ვეღარ იოხებდა. ესაო ვანკა მიგონებსო, ესაო მარუსკამ მახსენაო... მერე საცა მოხვდებოდა წამოგორდებოდა და ამ სლოკინ-სლოკინში კიდევაც ჩაეძინებოდა. გასულ შემოდგომაზე ჩაველ მეურნეობაში ყურძნის ფულის ასაღებადა. დაშა მარნის წინა ტრიალებდა. მე კანტორაში შევედი. ხალხით იყო სავსე. ვიფიქრე გარედ დავიცდი-მეთქი. როგორც ჩამოვცდი კიბეებს, მარნის ფარდულთან დაშა კი არა ზის? გაუშლია ხილაბანდი, დაუდგამს ცალყურით მაჭარი, ერთ-ორი კუტი დაუგდია, ნედლი ხახვის კონა და იმას არჩევდა. დამინახა თუ არა, ყელისწევით თხოვნა დამიწყო — მოდიო. მეჩქარება-მეთქი, მცოდნოდა მაშინ ჩემი მაზლის ამბავი, ეგრე წყნარად თუ გავცემდი პასუხს!? წამოდგა, მოვიდა ჩემთან და შემომანჩქრია ღვინის სუნი: „შენი ჩირიმე, ერთი ჩიქა მაჩარი დავლიოთო.“ ეტყობოდა სათქმელი რაღაცა ჰქონდა. იმას უკვე კარგად ეყლაპა სასმელი, სულ ოხშივარი ასდიოდა. სახე წამოჭარხლებოდა და სწორედ მთვრალ ბატსა ჰგავდა, მაინც ბატს უგავს ის თვალები. ძალის-ძალად მიმიყვანა და დამსვა. მიჰყვა-მოჰყვა ცისასა და ბარისას, ხან ესა თქვა, ხან ისა, თან ჭიქებს ჭიქებზე სცლიდა. მალე სლოკინი აუტყდა. სათქმელშიც სწორედ სლოკინმა უშველა. ერთი ამოასლოკინა და შემომაშტერა კიდევ ბატის თვალები. მერე კალთაზე ხელი დამკრა და კრეჭით მეუბნება: შენი მაზლი მახსენებსო. თითქოს სახრე გადამიჭირესო, იგრე დამემართა. კოპები გამოვიკარ და წამოვდექი. ჩემი მაზლი რა შუაშია, ცოტანი გეყოლებიან იმოდენა რუსეთში მომგონებლები-მეთქი! ბევრი ბევრია და მთავარი ერთიაო. ქვანაკრავივით გამოვტრიალდი და წამოვედი. განა არა, წინადაც რაღაცას მისთქვამ-მოსთქვამდნენ, მაგრამ ჩემი შვილების მზემ, ყური არავისთვის მითხოვებია. ეხლა კი ყველაფერი მენიშნა. განსაკუთრებით ერთი ამბავი მომაგონდა. მაშინაც შემოდგომა იყო, ამ რამდენიმე წლის წინა. მარუამ მთხოვა კაკლის მტვრევა მიშველეო. ბუხრის აქეთ-იქიდან გავიშალეთ ფარდაგის ნაჭრები, ჩავიდგით წნელის კალათა და კაკლის მტვრევა დავიწყეთ. მარუა გუნებაზე ვერა ჩანდა, ძალიან იყო ამრეზილი და დარუშხული. პირგაკერილი ამტვრევდა კაკალსა, თან წამიწუთას კარისკენ გაიყურებოდა. ვერ მოვითმინე

და ვუთხარი:

— რა პირი გაგიკერია, მარუავ, ან ავი თქვი, ან კარგი, კაცი თქმით არის.

— იჰ, ჩემო რძალო! — გაიქნია თავი და გაიკერა ისევ პირი.

— რა იყო, დედაკაცო, ვის გაუბრაზებიხარ?

— ვინ გამაბრაზებდა, ვინა, აგე ის კაცი, მზე რო გადაიწვერა, წავიდა, ვენახს შემოვივლიო და ჯერაც არსადა ჩანს. აქ კიდევა გიგლა ბარე ორჯერაც მოვიდა: შემომითვალა ქვევრების გარეცხვაო და რა ვქნაო.

— მერე მაგაზე იკრავ შუბლს და იღონებ გულსა? ხო იცი, მარუავ, ჩემი მაზლი საქმეს არ გაიმრუდებს, შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვს.

— იჰ, ჩემო რძალო. — ნამოავლო ნაჭუჭებით სავსე ბადიას ხელი, ბუხარში ჩაცალა, ქეთლი შემოიტანა და ზედადგარზე შემოდგა. მერე ისევ მოირთხა ფეხი და გაგულისებით დაიწყო კაკლის რჩევა. ქეთლმა შიშინი რო დაიწყო, ისევ წამოდგა, განჯინა გამოაღო, ჭოღი გაეკეთებინა, — ის გამოიღო, ყველი, პურები დაალაგა და ისევ კაკალს მოუჯდა, რა მარჯვე იყო საწყალი საქმეში! შევხედოთ და ამის შემდეგ არ გაუვლია დიდ ხანს, ქვევით კარმა გაიჭრიალა და ჩემი მაზლის ჩახველებაც ვიცანი. მარუამ უფრო გაახურა მუშაობა, თავიც არ აუღია. აქამდისინ სუ კარს გაჰყურებდა და ეხლა თავიც არ აუღია.

— ოჰ, ჩემს რძალს ვახლავარ! — და ჩემი მაზლი ძალზე გაიბადრა მე რომ დამინახა.

— საღამო მშვიდობისა, ჩემო მაზლო.

— მუშაობთ, მუშაობთ, ჰა, კაკალს არჩევთ! თავი აიღე დედაკაცო, რას ჩაგირგავს. „თავი აიღეო“ — გაიგონა მარუამა, ფიცხლავ აჰკრა ნიკაპსა და შეაკვესა ჩემ მაზლსა თავისი შავი თვალები. სიბრაზისაგან თითქო უფრო გაშავებოდა. ჯერ გამომძიებელივით მიაშტერდა, მერე იგრე გადახარა თავი, იგრე გაიწოდა თავისი ყვავის კლანჭივით ხელი, რომ მივხვდი, რალაცა არ ეჭაშნიკა.

— დაიცა, დაიცა, მიდექ ერთი გვერდზე, მიდექ! აი, ეგრე! ეხლა შემობრუნდი! ჰოო, სად აიკარ მაგოდენა ბირკა მაგ წინდებზედა, ან უკან შარვალზედა?

— ბირკაა? — გააგრძელა ჩემმა მაზლმა და თან ფეხებზე დაიხედა. მართლაცდა ყელიანი წინდები და შარვლის ტოტები ბირკისაგან მწვანედა და ნითლადა ჰქონდა მოქცეული. მაინც რა თვალი ჰქონდა მარუას, როგორ მაშინვე შენიშნა.

— დიახ, ბირკა, ბირკა! სად აიკარ-მეთქი, კაცო!

— სადა და სადაც ვიყავი, ჩვენ ვენახში.

— ოიი, ისემც გატიალდება და გაოხრდება ის ვენახი, სადაც შენ იყავი, რაც ჩვენმა ვენახმა ბირკა არ იცოდეს!!

მართლაც მარუას ისე ჰქონდა ვენახი მოვლილი, სათიბში ბირკას კი არა, მგონი გვირილასაც არ აჭაჭანებდა.

აქ კი აირია ჩემი მაზლი.

— რა ვიცი, ან ორლობეში მომედებოდა, ან...

— ორლობეშია, კაცო, ორლობეში? რეებს ამბობ!

— შენ ბირკას კი ნუ კითხულობ, ე დედაკაცი რო დაგისვია და ამუშავებ, მოდი ერთი ლუკმა გავტეხოთ.

„ლუკმა გავტეხოთო“, იგეთი ხელმოჭერილი იყო, მუჭიდან წყალი არ გაუვიდოდა და რატო მაშინვე არ ვიფიქრე: მართლა სადღაც ისეთ ადგილას იყო, ეგრე არხეინად რო ამბობს ლუკმის გატეხას-მეთქი. საწყალმა მარუამ აღარაფერი თქვა, მაგრამ ეტყობოდა კი გული საგულეს აღარა ჰქონდა. ჯერ იგრედაც რა ფეროვანი ის იყო და სულ ბოღმის ფერი გადაჰკრავდა. ეხლაღა ვფიქრობ, რომა ხალხის მითქმა-მოთქმა მართალი იყო და მაგ ლოთ ბატთან წინათვე ჰქონდა ჩემ მაზლს კარავი გაშლილი. იმიტომაც გაბედა იმ დაშამა ჩემი მაზლის ჩემთან ხსენება.

იმ მეურნეობაში ნახვის შემდეგ არ გაუვლია ორ-სამ დღესა და შევხედოთ წამოუცვია მკლავზე წნული კალათა და ზევითკენ კი არ მოაბოტებს?! ვითომა და ტყეში მიდის ნაბლზე! მაგრამ ვის აუბლესავდა თვალებს? იგეთი გულამოთხლეშილი კაბა ჩაეცო, ძუძუები ჰა და ჰა უჩანდა კიდეცა. მაშინვე ვიფიქრე აქ სხვანაირად არის საქმე-მეთქი და მეც ჩვენი საბძლისკენ წავედი, საბძლის უკან ჩრდილში დავდექი და ზევით გავიხედე. რასა ვხედავ, რის ტყე, რა ტყე, გაუსწორდა თუ არა ჩვენ ორლობეს და ნაბიჯს უკლო. მერე ვითომც აქ არაფერიაო, შემოუხვია და შემოუდგა აღმართს. ჩემი მაზლი მარანში ჩასულიყო და ქვევრებს უვლიდა. მინდოდა გადამეძახა: ჩემო მაზლო, საპატარძ-

ლო მოგდის-მეთქი, მაგრამ ენას კბილი დავაჭირე. ცოტა ხნის შემდეგ დაშამ შეალაჯა მარანში და კარიც მოკეტეს. რაკი ერთი და ერთი გაიტეხინა, მერე მოუხშირა ჩვენკენ სიარულს. ამოივლიდა ამოთხლეშილი კაბითა და ტიტველა მკლავზე სამთხოვრო კალათა წამოცმული, მიიკეტავდნენ მარნის კარებსა, მიუსხდებოდნენ ქვევრსა და ლოთობდნენ ერთად, მერე კი მოჰყვებოდნენ გორაობასა. ამოგანგლულებილა გამოდიოდნენ მარნიდან.

ერთხელ ჩემი მაზლიდან წამოსულსა, დაშას თავის ბუნაგამდის ველარ ჩაელწივნა და ეკლესია როა ნათლისმცემლისა, იმის კართან გადაქცეულიყო. სწორედ გორასავით იდო. მოლორთხილი კაბა წამოხდოდა და უნიფხო, შიშველა კურტუმი დაირასავით უჩანდა, დაკვრაღა უნდოდა. ცალი ხელი თავქვეშ ამოედო, მეორე კიდევა სამთხოვრო კალათისთვის ჩამოედო, დახეთ მძინარე ლოთსაც არ დავიწყნოდა კალათა! შემოვეხვიენით ქალები. ჩემ სიავკაცეს ვამბობ, პირდაპირ კურტუმზე გავკარი ფეხი. ადე, აეხირე, შე დედაკაცების თავის მომჭრელო-მეთქი. ბაიბურში არ იყო. კალათაში ჩავიხედეთ, ერთი ტუჩნატეხილი, სიმინდის ქუჩეჩით თავდაცული ხელადა ჩაედგა, დამტვრეული პურები ჩაეყარა, კომბოსტოს ფოთოლში გამოხვეული მწნილი კიტრისა და ერთი პეშვიც ნიგოზი. ეტყობა რაც დარჩათ, მოეხვეტნა და მოჰქონდა. ჩემი შვილების სიცოცხლემ, კურტუმზე ფეხი გავკარი — ვერაფერიც ვერა გაიგო რა, კალათას ნავუვლე ხელი და მაშინათვე გულისხმაში ჩავარდა, დახეთ თავის მათხოვრობასა. კისერი მოიბრუნა და შემომაჭყიტა თავისი ბატივით თვალები.

— შტო ხოჩიშო? — და ერთი ისეთი ამოასლოკინა, გულმუცელი ამოაყოლა, თან ამოანჩქრია ღვინის სული.

აბა, „შტოვო" გავიგონეე? — ადე, აეხირე, შე დედაკაცების თავის მომჭრელო-მეთქი. რო გადაჰკიდებიხარ იმ ბებერ კაცსა, გინდა განა ქონება და ცხოვრება ხელში ჩაიგდო! აი, შე უნამუსო, ღობეებზე გადასვლა-გადმოსვლას რო ვერ ასწრებდი და რუსის ბარაბანს არ მოხვედრია იმდენი, რაც შენს გვერდებსა-მეთქი. მაგ საქოთე მუცლისთვინა მთელ ქვეყანას უნიფხო და ფეხშველა შემოივლი და დაითავხელე განა ეხლა ბებერი კაცი, დაგიდგა განა დარი-მეთქი!!

ადგა, აიჩეჩა, მოლორთხილი კაბა მოიბრუნა და ხელი ჩა-

მოისვა, ტიტველა მკლავზე წამოიცვა სამთხოვრო კალათა და სლოკინ-სლოკინით დაუყვა გზასა. ჩასცდა ცოტა, მობრუნდა და ამომძახა: — რამდენიც გინდა გავარი, სერავნოაო, კაცს უკვარ-ვარო. იმის პირიდან ეგეთი ქართული რო გავიგონე, რეტი და-მესხა, „უკვარვარო". დედაკაცებმა დამიჭირეს, თორემა უნდა დავდევნებოდი და კარგისები მომეხსენებინა. მაგრამ იჩხუბე — არ იჩხუბე, რა ბედენაა.

ძალიან მიჭირდა, ძალიან ჩემ მაზლთან ლაპარაკი, მაგრამ ყე-ლამდე რო მოვიყარე ბოღმით, თავზე ხელი ავიღე. ერთხელაც გადავედი. საჩეხის ჩრდილში იჯდა და ჭიგოსა სჩეკავდა. რო და-ვინახე იმისი ყბებგადგმული, წამოჭარხლებული პირისახე, წარ-ბებამდე ჩამოჩეჩილი მტუტისფერი თმა (დრო და ჟამი თმებზე კი არ ეტყობა, ცუდად ნაჩეჩ მატყლს უგავს. ადრე გათეთრდა, თორემა ბეწვიც არ გავარდნია თავიდან) ბრაზი უფრო მომაწვა, მიხვეულ-მოხვეულებს არ გავყე-გამოვყე, პირდაპირ დავიწყე: — ჩემო მაზლო, კი არ გეკადრება ჩემგანა, მაგრამ რა ვქნა, რო-გორ დავმუწო ეს გასახმობი პირი!? ვინ უნდა ათარეშ-აბოგინო საწყალი მარუას მონაგარზე, რატო კარგად არ გააჭრევინებ მაგ თვალებსა...

— სწორედ კარგად რო გავაჭრევინე, იმიტომაც ისა... იმიტო-მაც შემვარდა გული მაგ დედაკაცზედა.

— შეგვარდა რა სათქმელია, ნიკუავ, რომელი შეღერებული ყმაწვილი შენა ხარ!?

— შენ ეგრე ილაპარაკე და ჩემი გული არავის ეკვრის მაგის მეტსა.

— ჩემო მაზლო, რაღა დროს შენი გულის ხსენებაა, წადი, აბა, თუ სარკის ნატეხი არა გაქვს, წყალში ჩაიხედე.

— როგორ თუ გული არ ვახსენო!! სწორედაც რო წლები რა შუაა, ჩემო რძალო! გული იყოს, გული, თორემა აგე, ეშხი გიუა ახალგაზრდაა და თანაცა ეშხიანი, მაგრამ კისერს ძლივს იჭერს, არც ქალის თავი აქვს და არც კაცისა.

— ეჰ, ჩემო მაზლო, ყველამ თავისი იჩივლოს, ეშხი გიუა რა სახსენებელია. გული გერჩის — გერჩის, ზოგი ჯანსა და ღონესა ჰკითხე და! ღმერთმა ნუ ქნას ბებრის ბუქნაო, არ გაგიგია?

— მე ეგეც გამიგია და სხვაც ბევრიცა.

— ჰოდა, თუ გაგიგია, ეგ ღენდრეცა, ეგ ჯინგოდორა, ეგ დედალი პრისტავი უნდა ჩააყენო მარუას კვალშიი!!

— ჩემო რძალო, ჩემო რძალო-მეთქი! ურიგო არა მათქმევინო რა, მოდი თავი გამანებე.

— არა, ჩემო მაზლო, ვერ გაგანებებ თავსა, განა გუშინ და დღეს მიცვნიხარ!? ჩვიდმეტი წლისა ვიყავი თქვენი რძალი რო გავხდი, შენ კიდევა მაშინ ხუთმეტი წლის ბიჭი იყავ, ბევრით კი არ ჩამომრჩები. ცხვარი გვყავს ორივეს ფეხზე გამობმული.

წამოდგა ჩემი მაზლი, დაჩეკილი სარები მარნის პირას მიაქუჩა, მერე ეზოში გავიდა და ჭიგოს დაუწყო რჩევა. მეც ცოცხი ავიღე, ეზო მოვრწყე და ჭიგოს ნაჩეკს გვა დავუწყე.

— რას გეტყვი იცი, ჩემო რძალო, მაგ დედაკაცს მე... ეგ დედაკაცი... ერთი სიტყვით მე ვუყვარვარ...

ეგრე მეგონა ჩემ გასაბრაზებლად ამბობს ამისთანა რამესა-მეთქი, წამომანათა პირდაპირ: — ერთი სიტყვით, ჩემო მაზლო, მაგისი ღამით-საფიქრებელი შენა ხარ! გაგწურავს მხლის გუნდასავით და მერე ტურასავით გაჰყმუვლებს თავის რუსებსა. ჩამორეკავს, ჩაათესლებს შენს ადგილმამულზედა.

ეს სიტყვა გაიგონა თუ არა, თითქოს ბეჭებზე სახრე გადაუჭირესო, მაშინვე გასწორდა. მარცხენაში ჭიგო ეჭირა, მარჯვენაში წალდი, დაიქნია და დაიქნია წალდი, სარიც მიაგდო, ზედ ნალდიც მიაყოლა, გამოვიდა საჩეხიდან, მოვიდა და წინ დამიდგა: — აბა, ერთი გაანებე მაგ ცოცხს თავი! რას გეტყვი იცი, ჩემო რძალო, მთელი სიცოცხლე ბარვასა და თესვას ვერ ავუვედი. ის საწყალი დედაკაცი იყო და გამეტებით პურსაც არ გასტეხავდა, ჩემ ძმისწულებს, ჩემ ძმისწულებსო, ყველაფერი იმათთვის უნდოდა. მერედა, ვინ არის ეხლა ჩემი მომხედავი? აგე, ისე დავმარხე დედაკაცი, და ორმოციც ისე გადავიხადეთ, ქალი კი ჩამოვიდა ქმრითა და ალექსა კი თვალითაც არ გამიცდია. მოსკოვში გამოიძახეს საქმეზედაო. ანიკომაც, რასაც თვალი დაადგა, ყველაფერი მოფოთლა, გაუდგა გზასა და წავიდა. ძიავ, შენ უნდა ქალაქში წაგიყვანოთო, ერთი კი მითხრა და ის იყო. რა მინდა ქალაქში! ერთი-ორი დღე დამრჩენია და როგორც ჩემი გუნებაა იგრე უნდა გავატარო, ეხლა!?

მაშინ კი გული, ყელამდე მოვიყარე, ისევ ქალაქელებისა რო

თქვა და ჩვენ კიდევა კარს უკანა და ბანს უკან.

— ვაიმე, ვაიმე, ჩემო მაზლოო, მამის სული რო გაგიშვია და პაპისასა ჰფიცულობ! ქალაქელები დაგიკერებია პირზედა და ჩვენ აქ ვითომ დავხოცილვართ და ამოვფხვრილვართ, ჰაა?!

— აი, დედაკაცის ჭკვა რო მოკლეა ეგ არის და! შენზე ჭკვიანს ამბობენ და როგორ აგრე-იგრე ლაპარაკობ, შენი ვერა გამიგია რა. გაიხედ-გამოიხედე რა ხდება ქვეყანაზედა ვერა ხედავ, ყოველწლიურად გვაჭრიან და გვაჭრიან მიწებსა. ერთი დედაკაცი ჰკენტიხარ, მეტი ხო არა. კაი რამ, პატარა ბიჭი ჩაგიწერეს და იმაზე გადაიტანე შენი ვენახი და სახლი. მერე? სხვისას კი ნუ უყურებ, შენი იჩივლე, შენი, დედაკაცო, თორე მიწა... მიწა... მიწა და სოფლის კაცი ერთია, ერთიი... აბა, რა ვქნა, როგორ წამოვიკიდო და როგორ წავიღო საიქიოს ეს ოხერი მიწა, ჰაა! როგორ! როგორ! — დასწვდა წალდსა, ერთი პირს დახედა და იგეთი გამალებით დაუწყო ჩეკვა ჭიგოს, გული შემიტოკდა.

— მიწაზე კი გულს ნუ დაიწყვეტავ, ჩემო მაზლო, საიქიოს მიწის მეტი კი არაფერი გვექნება.

— შენ თავსაც უთხარი, დედაკაცო, შენ თავსაც!!

.....

ამის შემდეგ ერთი-ორჯერ კიდევ შევლაპარაკდით და მივანებე თავი. წლის გასვლას აღარ დაუცადა ჩემმა მაზლმა. ესაო რაკი შემოდგომაა და სარჩო ავიღე, ბარემაც მარუას ხარჯს გადავუხდიო. კარგი ხარჯი გადაუხადა, ცოდოს ვერ დავიდებ, და მეორე დღესვე მოიყვანა და დაისვა.

წუხელ მე და ელდარი ადრევე ჩამოვედით სადგურზე. ჩვენებურებიც იყვნენ, ჩვენი ნიკუას ნათლული ქალი ქმრითა და ჩვენებიანთ თინია. ხო იცით სოფლელების ამბავი, ადრევე გვიყვარს დაწინაურება.

მატარებელი მოსული არ იყო, ჩვენ გადაკრეჭილ ბუჩქებთან სკამზე ვისხედით და ვუცდიდით მატარებლის მოსვლას. შუა ლაპარაკის დროს ჩემმა ელდარმა გაიხედა გზისკენ და, ერთი გახედე, დედი, ეგე, ძია ნიკუა მოდისო, მართლაც, ამოუჩრია თავისი პატარძალი და მოდის ჩვენი ახალნანეფარი ნიკუა. გადაკრეჭილი ბუჩქები გვფარავდა. იმათ ვერ დაგვინახეს და პირდაპირ კი წამოგვადგნენ თავზე. ეხლა კი აშკარად დავინახეთ ნი-

კუას ყბებგადგმული, წამოჭარხლებული თავპირი, წარბებამდე ჩამოჩეჩილი მტუტისფერი თმა. (ადრე გათეთრდა, თორემა ბეწვიც არ გავარდნია თავიდან).

ჩემი მაზლი ვერა ჩანდა გუნებაზე. ახალგაზრდობიდანვე, როცა თავის ქეიფზე ვერ იყო, დაიწყებდა ტუჩების კვნეტას. ეხლა ერთი-ორი კბილიღა შემორჩა სიმინდის მარცვლებივითა. წამდაუწუმ აცმაცუნებდა პირსა და სიმინდის მარცვლებს ტუჩის ხან ერთ კუთხეს მოახვედრებდა, ხან მეორეს. ჩვენი დანახვა არ ეპიტნავა, მაგრამ რაღას იზამდა, სალამს ხო ვეღარ დაგვიჭერდა.

— საღამო მშვიდობისათ!

— ღმერთმა მშვიდობის საღამო ნუ მოგიშალოს!

— გამარჯობა, ძია ნიკო!

— საით, ნათლი, საით გაგიწევიათ?

— ქალაქს მიბრძანდები, ჩემო მაზლო?

— არაა! — და პირი მიიბრუნა და წასვლა დააპირა.

— ცეცხლი ხო არა ვთქვი პირი დაგწვოდა, რა პირს იბრუნებ, ჩემო მაზლო.

— მაშ, რა გინდა სადგურზედა, ძიავ?

— მინდა, ალბათ, აქ რო ვარ! — და აღარა თქვა რა. მერე თავისი ნათლული მოიკითხა და ჩვენთან აღარ გაჩერებულა, მივიდა თავის პატარძალთანა.

არ გაუვლია დიდხანს, მატარებელი მოვიდა. ხალხი აირია სადგურზედა. მეშინოდა, ისინი თვალს არ მიეფარნენ, ერთი გავიგო ვისა ხვდებიან-მეთქი.

მატარებლის მოსვლა რო გამოაცხადეს, ორივენი წინ წავიდნენ. დაშა ეგეთი ჯერ არ მენახნა. იდგა გულხელდაკრეფილი, თითქოს შეულოცნიათო, სწორედ შელოცვილივით გაშტერებული შეჰყურებდა ვაგონებს.

ელდარი მომიბრუნდა: დედი, მანამ ხალხი ჩამოიცლება, როგორმე ავალ და ბარგი ამომაწოდეო. მე ბარგს მივუბრუნდი. ჩვენებურებიც დაფაცურდნენ, ბარგს დაუწყეს ზიდილი. ამ ფაციფუცში ვართ და გულამოსკვნილი ტირილი შემომესმა. ხმაზე ვიცანი. მივიხედე და დაშა კი არ იყო?!

ახალგაზრდა, ოციოდეწლის ბიჭს ნიკაპით დაბჯენოდა მხრისთავ-

ზე, ორივე ხელი ბეჭებზე შემოეხვია და ველარც ვერავისა ხედავდა, აღარც არაფერი ესმოდა, ტიროდა, სახეზე ღვიარება ჩამოსდიოდა. ეტყობა, ბიჭიც ტიროდა. ჩემსკენ ზურგით იდგა. გახუნებული, გაცრეცილი ლურჯი სატინის ხალათი ეცვა. ვხედავდი, როგორ აუდ-ჩაუდიოდა ამოყრილი ბეჭის თავები, ბიჭიც ტიროდა. იქვე ახალგაზრდა ქალი იდგა ხელში თოთო ბალღით. ჩვრებში გამოკრული ბალღისთვის ნკირებივით ხელები ამოეყოფინებინათ, პრანჭავდა ხელებს, იგეთი პატარა იყო, თაგვის წრუწუნასავით, პირიდან წამოვარდნილსა ჰგავდა.

ჩვენი ნიკუა განზე იდგა გამტყუნებული სახით, გვერდით ხის სკივრივით ჩემოდანი მოედგა, (კარგა მოზრდილი კლიტე ედო იმ სკივრსა) და გზისკენ გაიყურებოდა.

— დედი, დედი!! რა ვქნაა, სადა ხარ ამდენი ხანი, ადგილები დაკავებულია!!

— ჩემი ელდარი მეძახდა.

ავედი ვაგონში. ჩვენი კუპე მეორე მხარეს იყურებოდა. ბარე ორჯერაც გამოვიხედე, იგრე იყო გასასვლელი ხალხით გაძეკილი, ვერაფერი დავინახე. როცა ყველანი მილაგ-მოლაგდნენ, გამოვიხედე ისევა, მაგრამ სადგურზე აღარავინ იყო.

**1963 წ. ერევანი**

# სიყვარულო ძალსა შენსა

## (ბებიაჩემის მამამთილის მოგონებისათვის)

"თქვენი მამამთილისა ვთქვათ, ნათლია ივლიტ, ჩვენ თუ არ ვიტყვით, სხვა ვინ ეტყვის თქვენ შვილიშვილს? არადა, ხო უნდა იცოდეს თავისი დიდი პაპის ამბავი?"

ბებია თავს მიატრიალებს საბედოსაკენ და ოდნავ, ძლივს შესამჩნევად გაარაცრაცებს, ვითომ არ არის საჭირო ყოველგვარი ამბავი გაიგოსო.

"რა ვქნაა ..." შეიცხადებს საბედო, "მაშ, არა ვთქვაათ, როგორი მომღერალი იყო? რა ზარივით ხმა ჰქონდა? რო დასჭექავდა მრავალჟამიერსა და შაშვი-კაკაბსა, საიდან სად ისმოდა იმისი უზადო სიმღერა!? კაცი ყურს ვერ მოაშორებდა ..."

"იცის, იცის, სიმღერისა როგორ არ იცის," ამბობს ბებია, "ვინა მღეროდა იყალთოში იმისნაირად? მაშინ არავინ და ეხლა კი სანდრო მღერის, ჩემი უფროსი მაზლი, და ჩემი შვილები, სწორედ რო ჩემმა მამამთილმა იმსგავსა ესენი. თან, რაც მართალია მართალია, ძალიან შვენოდა სიმღერა, თვალებს აფოფინებდა ლამაზად, ხანაც ნაბავდა. გიო რომ მოვიდა ახმეტაში ჩემ წამოსაყვანად, მთელი ახმეტა ლაპარაკობდა ჩემი მამამთილისა და სანდროს სიმღერაზე."

"ნათლია, გიოც რა კარგად მღეროდა?!"

"მღეროდა, როგორ არა მღეროდა, მაგრამ ჩემ მამამთილს მეტად დაწმენდილი ხმა ჰქონდა, ღვინო რო დაიწმინდება, დაიწმინდება, ტუჩს საამოდ ეკიდება და სხვანაირად გაბრუებს ... დიდი ჯანღონის პატრონიც იყო, ყოჩაღი და მედგარი, ბიჭობაში თურმე იმაზე შორს ქვას ვერავინ გაისროდა და მკაში კიდევ ხუთი კაცისასა მკიდა, თან ულოსაც თვითონა გრეხავდა და ძნასაც თვითონ ჰკრავდა. ახლა ჰოპუნას აღარ იტყვით? ისეთ ჰოპუნას დასძახოდა, კაცები ამბობდნენ სოლომონის ჰოპუნაზე ძალა გვიორმაგდებაო, ... მაყაანი ხო გვერდიდან არ იშორებდნენ, ის სუფრა რა სუფრაა, სადაც სოლომონის სიმღერა არ ისმისაო. ჩვენი საწყალი ქვეყანა ჩვენმა ღვინომა და ჩვენმა სიმღერამ გადაარჩინაო — ამბობდა ხოლმე. მე აბა, ამდენს ვისმენ

რადიოსა და იმისთანა ხმა არცა მსმენია, არც გამიგონია, ... ამ დროში რო ყოფილიყო, ღმერთმანი, რაღაცას მიეწეოდა, ქვეყანა გაიგებდა იმის სიმღერას, ვინ იცის, საიდან სადამდე ... აჰაა, ხო ვთქვიით ჩემი მამამთილის ამბავი, ღმერთმა აცხონოს და ნათელში ამყოფოს"

"ეს სიმღერისა იყო და სხვაც არა ვთქვაათ? როგორ არა, სხვაც ხო სათქმელია? სიმღერაზე არანაკლები, იმიტომ, რო დიდი გულისთქმის კაცი იყო, ნათლია ივლიტ, და ნამდვილად სათქმელია, როგორ, მე თუ მაამბობინეთ ჩემი გულისთქმისა!?"

"ოოჰ, გულისთქმა, გულისთქმა ..." და ბებიამ უკმაყოფილოდ გაიქნია თავი, "მაგ გულისთქმით ჩემი დედამთილი მთელი სიცოცხლე გაუგემურებული იყო და ღმერთმა აცხონოს ჩემი მამამთილი, მაგრამ ჩვენს გვარსა და შთამომავლობასაც რამოდენა ლაქა დაადო?!"

"რა ლაქა ბები, რა ლაქა?" ერთბაშად ავინთე მე, "ან აქამდე როგორ არ მიამბე, ხომ უნდა ვიცოდე, რა ლაქა მადევს?" ვეცადე არ გამცინებოდა.

"კარგით ერთი თქვენცა, ნათლია ივლიტ, ლაქა არა ისა, მაგ ამბავში ძნელია გაარჩიო მტყუან-მართალი, სიყვარული ფაფის ჭამა ხომ არ არის?"

"ოჰ, ბები, ესე იგი შენი მამამთილის სასიყვარულო ამბებმა დაგვადო ლაქა?" გავიცინე მე, "ხო იცი, როგორ მაინტერესებს სასიყვარულო თავგადასავლები და ახლავე დაწვრილებით უნდა მიამბო, რა იყო და როგორ იყო, ჰოდა, მერე განვსაჯოთ, გვადევს ლაქა თუ არა!"

"რა იყოდა, კახიანთ ქალი ჰყვარებოდა ადრიდანვე, ნუშო ... ხო ამბობენ შვიდ წელიწადში ერთხელ ცა გაიხსნებაო და რასაც შესთხოვ მაშინ და შესძახებ ღმერთსა, უთუოდ აგისრულდებაო, ჰოდა, დგაას თურმე სოლომონი ეზოში და კუნძებსა ხეთქავს დიდი ნაჯახით ... ამ დროს დაეძახნათ: ცა გაიხსნა, ხალხნო, ცა გაიხსნაო! დააგდო თურმე იმ წამსვე ნაჯახი სოლომონმა, ასტყორცნა ხელები ზეცისკენა და ღმერთო, ნუშო მომეციო, ღმერთო, ნუშო მომეციო, შეჰღაღადა. მამა ჰყავდა თურმე ნუშოს ძალიან მკაცრი, ერთი რო პატარაა ჯერა და არ ვათხოვებო, თოთხმეტისა იყო თურმე, სოლომონი თვრამეტისა, და მეორეც,

სოლომონს ვერ გავაყოლებო, იმიტომა რომა შეძლებული არ არის და რა დროს მაგის ქორწილიაო, მცირე გასადევარი აქვთ და პატარა ვენახიო, გავიდეს, გამოვიდეს, იშოვოს ქონება და მერე ვილაპარაკოთო.

ნუშო და სოლომონი ერთმანეთს თურმე წერილებსა წერდნენ და რიყეში, ნაპირას, ერთი ამოჩემებული დიდი ქვა ჰქონოდათ, იმის ქვეშ სდებდნენ. ერთხელაც მიეწერნა სოლომონს, ჩემი მამიდაშვილის ნათლიის შვილი ქისტაურიდან მიდის რუსეთში, ღვინოები მიაქვსო, მშველელი სჭირდება, იქ თურმე ღვინის სარდაფი ჰქონიათ, მეუბნება შენც მიდგებ-მოდგები, იმუშავებ სარდაფში, ფულს იშოვიო, გადავწყვიტე წავიდე, ამასობაში შენც თექვსმეტი შეგისრულდება, მეც ხელცარიელი არ დავბრუნდები და მამაშენიც გულს მოილბობსო. ეხლა კი ამასა გთხოვ, გამოდი თქვენი ბაღის ბოლოს, ჩვენს ადგილზე, ორღობეში, გამოვეთხოვოთ ერთმანეთსაო.

დიდი ფიცითა და ცრემლთაღვრით გამოეთხოვნენ ერთმანეთს. გაჰყვა იმ ქისტაურელ კაცს რუსეთში. მართლა ჰქონოდათ მოსკოვში სარდაფი და იქ დაეწყო მუშაობა. ერთხელაც თურმე სხედან, პურსა სჭამენ და სოლომონი თავისებურადა მღერის. არ ვიცი როგორ მოხდა, ის კაცი იქ შეესწრო, თუ ქუჩიდან გაიგონა სიმღერის ხმა. ციგნების გუნდი ყოფილა თურმე და ის კაცი ხელმძღვანელი იყო იმ გუნდისა. ძალიან ეთხოვნა, ერთი კარგი მომღერალი გარდაგვეცვალა და მოდი ჩვენ გუნდში, კარგად გადაგიხდითო. სოლომონი ჯერ თურმე უკან იხევდა, ციგნების გუნდში რა მინდაო. იმ კაცს ეთქვა, ღმერთს შენთვის ხმა მოუცია და ჭკუა კი არაო. ბოლოს დათანხმებოდა. ჩააცვეს თურმე იმათებურად, დაქარგული ჯუბა, ფუშფუშა სახელოებიანი ატლასის ხალათი, წვერი გაპარსეს, დიდი ულვაშები დაუყენეს, თმებიც ჩამოეზარდა თურმე და ხუჭუჭი დალალ-კავები ეყარა თავზე. მთლად ციგანს დავემსგავსეო, ამბობდა. სიმღერებიც კარგად ესწავლა, მღეროდა თურმე და რასა მღეროდა, გადადიოდა და გადადიოდა ოქროს უზალთუნები. კარგა ფულიც შეეგროვებინა, ყველაფერს იკლებდა, კაპიკს კაპიკზე ადებდა, ჩავალ, სახლს კარგად გავმართავ, ვენახსაც გავუმატებ და ნუშოს შევირთავო. ერთ ციგნის ქალს შეჰყვარებოდა, ეხვეწებოდა

თურმე დარჩიო, ისე გამდიდრდები, თავს დანატროდეო, თანაც მთელ ქვეყანასაც ნახავო, სულ აქეთ-იქით ვივლითო, ბედნიერად ვიცხოვრებთო. სოლომონს მტკიცე უარი ეთქვა, რა ვქნაო, ჩემი გული არავის ეკვრის ნუშოს მეტსაო, მე ჩემ სოფელს და ჩემ ნუშოს ვერა, ვერა, ვერ ვუღალატებო. ხელმძღვანელი ცალკე სთხოვდა, ნუ დაგეტოვებო, სად შენი სოფელი, სად ამოდენა ქვეყანაო. მაგრამ ვერ გადაიბირეს, დაადო თავი და ნამოვიდა: მაგრამ ვერ მოუვიდა საქმე კარგად, ძაუგში რო ჩამოვიდა, გლეხთა სახლში მივიდა ღამის გასათევად, იქაურობა კი თურმე ყაჩაღებით იყო სავსე, საწყალი კაცი უწყალოდ გაძარცვეს, მაგრად სცემეს და შიშველ-ტიტველი და მშიერ-მწყურვალი გამოუშვეს. სანახევროდ ფეხით ევლო, თუ ვინმე არ დასვამდა სამადლოდ ურემზე, მოდიოდა ფეხითა და მოდიოდა, გადატყაული, დაწყლულებული ფეხებით დაბრუნდა, მაგრამ სხვა დიდი სიმწარე ელოდა, ნუშო გათხოვილი დახვდა და თანაც ვისზე, საკუთარ ბიძაშვილზე, გარსევანზე. ეს გარსო დიდი ქვეებუდანი გამოდგა: ზოგჯერ წერილებს რო გზავნიდა სახლში, გარსო ხმებს უყრიდა, სოლომონი იქ ციგნის ქალებში დროს ატარებსო და ან დაბრუნდება, ან არაო. თურმე შურის გუდა იყო და თავიდანვე თვალი უდგებოდა სოლომონის ახოვანებაზეც, იმის დიდებულ სიმღერაზეც და ნუშიაზეც. და გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ნუშია შეერთო. სოლომონი კიდევ ჩამოსვლისთანავე, იმ თავისი დაწყლულებული და დაბუხული ფეხებით ძლივს ახანხალდა ჩვენს ღვთაებაში, სანთლები დაანთო და შეჰღაღადა ღვთაება პირი ღვთისას, მადლობთ რო მაინც დავბრუნდი და ყაჩაღებმა არ მომკლეს, მაგრამ ერთი ის მანიშნე, რისთვის ვისჯები ეგრეო, ჩემ სიცოცხლეში არა დამიშავებია რა, ცუდი არავისთვის მდომნია, სიავე და ბოროტება ჩემგან შორს არისო და მაშ, რა არის ჩემი ეგეთი ტანჯვაო ... იმათ კი ხაზი გადაუსვა, ნუშოსკენ აღარც გაუხედავს და გარსო ხო მთლად ამოიფხვნა გულიდან. კაი რამ, შორსა ცხოვრობდნენ, ნარუსლიანთ უბანში და სხვა გზა-კვალი ჰქონდათ. ერთხანს კრიჭაგაკრული დაიარებოდა თურმე და პირზე ღიმი არ მოსდიოდა, რამდენი ხანი თურმე აღარცა მღეროდა ... შემოდგომაზე, ალავერდობას, მშობლებს სუ ძალისძალად ნაეყვანათ დღეობაზე, გახალისდეს

და გული გადააყოლოსო. იქ გაეცნო დალაქიანთ ქალი კეკელა, კურდღელაურელი, კაი ძლიერი ოჯახის შვილი, მომავალში ჩემი დედამთილი. ნუშოსაგან განსხვავებით, რომელიც თხელი იყო და შავტუხა, თვალებს კი ვარსკვლავებივით აციმციმებდა, კეკელა მაღალი იყო, ტანსრული, თეთრი და ლამაზი. დღეობაზე გაიმხსნილა თურმე სოლომონმა და მღეროდა განსაკუთრებით გულშიჩამწვდომად, ყელმოღერებული კეკელას მაშინვე გულში ჩავარდნოდა. გაეკითხნათ, გამოეკითხნათ, საერთო ნაცნობიც გამოსჩენოდათ, გულგულელი კაცი და იმას ჩაეგდო სიტყვა და მალეც იქორწინეს. ჩემ დედამთილს კარგი მზითევი და კარგი ქრთამიც მოჰყვა, ისე რომ სახლიც გამართეს და შვილებიც დააჩინეს. ოცდათორმეტი წლისას ჩემ მამამთილს უკვე ექვსი შვილი ჰყავდა, ხუთი ვაჟი და ერთი ქალი, ბოლო ორნი ტყუპები იყვნენ, თედო და მართა. აი, იმ ხანებში, ამდენი წლების შემდეგ, ენახნათ ერთმანეთი სოლომონსა და ნუშოს. ცხენი ჰყოლოდა ჩაყვანილი წყაროზე და გრძელ აუზთან საურავითა სწმენდავდა. ოჰოჰოჰო, რაც იმას ცხენები უყვარდა და დიდ პატივშიცა ჰყავდა. იმ მაშინდელ ცხენს მე არ მოვსწრებივარ, თეთრონი ერქვა თურმე და ისე დაბანდა და გაასპეტაკებდა, ერთ ბუზანკალს არ დაუტოვებდა. ნუშო კიდევ კოკებითა ყოფილიყო წყალზე წამოსული. მერე, ჭარმაგობაში, თვითონ ჩემმა მამამთილმა მიამბო ამ შეხვედრის ამბავი. უყვარდა ჩემთან სიტყვის გაზიარება, თავისი ახალგაზრდობის მოგონება, ნუშოს ხსენება, ჩემ შვილებს არ ვეტყვი და შენ კი გეტყვიო, მეუბნებოდა. ჰოდა, თურმე გამოუბრჭყვიალა ნუშომ თავისი მოელვარე თვალები და „გამარჯობა სოლოვო," უთხრა. "გამარჯობა კია არა, ერთი გული მეუბნება, ეგ კოკები თავზე გადაგალეწოვო, შე ფიცის გამტეხო, შენაო!" და მიუბრუნდა ისევ ცხენსა.

"მე ვაარ, სოლო ფიცის გამტეხი, მე ვაარ? თუ შენა ხარო, რო ნახვედი და ციგნის გოგოებში ატარებდი დროსა. ორი წელიც გავიდა, სამიცა და არა სჩანდი ... მე კიდე უნდა მეცადნა არაა? მამაჩემმა მითხრა შენ მაგისი ცდა არ გამოგადგებაო, შენ მიწაზე დანდობილი კაცი გჭირდებაო."

"მე რაღაზე ვიყავი დანდობილი, შე უპიროვ, შენა, რო ჰკარი თავი და გათხოვდი, თანაც ვიზედა? ჩემთვის რო კარგად შეგერ-

ჭოთ გულში ეკალი ...“

“ვაიმე, სოლო, კარი და ბანი არ დამიგდო და რა მექნა! შენი დაბრუნების იმედი აღარა მქონდა და იმისიანს მაინც გავყვე, იმისფერულა იქნება-მეთქი, თორემა რუისპირელი ბიჭიცა მთხოულობდა, არ მინდოდა, აქედან წასვლა, არა, ისევ შენკენა მქონდა ფიქრი მე უგუნურსა ...“

“გამოჩნდა საითკენაც გქონია ფიქრი ... რა მრჯიდა, რას მოვეხირებოდი, ცუდ ბაგაზე ვიყავი დაბმული თუ რაა? ჭამა მე არ მაკლდა და სმაა, ჩაცმა-დახურვა და გავლა-გამოვლა! ვმღეროდი და ფული წვიმა-წყალივით მომდიოდა, მომიხაროდა მე ბრიყვსა, თან რა გზა იყო, წვალებისა და ტანჯვისა, რო აქ შენც ჩემი ბიძაშვილის კლანჭებში დამხვედროდი არაა? თავი ვინ მომჭრა და ჩემმა ძმამაო, მაგაზეა ზედგამოჭრილი ...“

“რა გინდა, რას მემართლები, აგე, რა ქალი შეირთე, ბედაურივით, გემს გააჩერებს, იგეთია ... მე კიდევა სულაც არ მიყვარს ეგ შენი ბიძაშვილი, არა და არა ...“

“დროც არი, ოთხი შვილი რო გააჩინე ...“

“შენც ხო გყავს ექვსი, სოლო, ღმერთმა გიცოცხლოს და გაგიზარდოს ...“

“შენცა, ნუშო, შენცა ... მოიტა, კოკებს წამოგიღებ ჩვენი ვენახის ჩასაბრუნამდე.“

“ვიჰ, როგორ გააბზინე ცხენი ... შენი ხმა სუ ყურებში მედგა, სოლო ... ის დიდი ქვა ისევაც ისე გდია რიყის ნაპირას, წერილებს რო ამოვდებდით ერთმანეთთან ... მივდიოდი ხოლმე და ჩამოვჯდებოდი ...“

“მე კიდევა, ნუშო, შენ რომ გნახავდი სიზმარში, იმ დღით ჩემთვის, მზე წითლად ამოდიოდა“

“ცოდოობა იყო ჩვენი დაშორება, სოლო, ცოდოობა ...“

“ცოდოობა და ეგეთიი?“ დაუდასტურა სოლომაც.

“ეეჰ, რა ვქნა, სოლო, თავის ბედს კაცი ვერ შემოუვლის ...“

“ესეც ბედია, ნუშო, ეხლა ერთმანეთს რო შევხვდით ...“

“რაღა დროსია, სოლო, ოცდაცამეტისა შენა ხარ და ოცდაცხრისა მეე ...

“ვითომ რა უდროობაა? მე რო მკითხო, სწორედაც ძალიან კარგი დროა ... და თუ კატა მკვირცხლია, არც თაგვია დონდლო,

ჩემო ნუშო, არა, არა-მეთქი ...“

ნუშომ ჩაიკისკისა. მიდიოდნენ და ... მივდიოდით და მეგონა მივიმღეროდითო, ჩემი მამამთილი მეუბნებოდა.

ის იყო და ისა, აღარც მოსცილებიან ერთმანეთსა. ჯერ კარგახანს მალულადა ხვდებოდნენ მიუვალ ადგილებშია და არავინ არაფერი იცოდა. ჩემ დედამთილს ხო ქმარი აღარ და აღარ მიჰკარებია. ხან რასა მიზეზობდა თურმე, ხან რასა, ესა მუშაობით სიქა გამძვრაო, ესა შეუძლოდა ვარო, ესაო რაღაც სურავანდი შემეყარაო. ჩემი დედამთილი რო ეუბნებოდა ვეღარ მიცვნიხარო, თავს მოიკატუნებდა თურმე, სიძაბუნე შემეპარა და რა ვქნაო, პირიქით, შენ ხელი უნდა შემიწყოვო! და საწყალი ჩემი დედამთილი, არ აღელდეს და არ დაიტანჯოსო, წადი და მარნის სხვენში დაწექიო ეტყოდა. მერე ისა თქვა თურმე სოლომონმა, როდემდე უნდა ვიყო გამწყრალი ჩემ ბიძაშვილთანაო, სხვაც არა იყოს რა, ერთ სოფელში ვცხოვრობთო და დიდის ამბით შეურიგდა. ის გარსევანა კიდევ ღვინის ბურნა იყო. მერე ხო, დიდი ხნის შემდეგ, სამოცს მიტანებული, სიმამრის ქელეხში ისე დათვრა, მრელაანთ ფლატეზე გადაიჩეხა რიყეში და მოკვდა. ჰოდა, ერთად დასხდებოდნენ, სოლომონი კარგად გამოათრობდა, თვითონ კი არც როდის იმდენს არ დალევდა, რო დამთვრალიყო, ეგ რა კაცის საქმეა დათრობა და გატყრომაო. ჰოდა, გარსო ხვრინავდა, ისინი კიდევ ლაღობდნენ ... აი, სად არის ლაქა, გენაცვალოს ბებია,“ მომიბრუნდა მე ბებია, “თანაც დიდი ლაქა.“

“ოოჰ, ის ხო კარგი იყო, ცილს რო სწამებდა და ჭორებს უგონებდა ...“ შევიცხადე მე. მერე ბები, მერე, ამბავი თქვი, გაიგო თუ არა კეკელამ?“

“გაიგო თურმე, შუბი ხალთაში არ დაიმალება და ისე გამწარდა, მთელი სიცოცხლე ისინი ერთად იყვნენ და მთელი სიცოცხლე კეკელამ ვერ მოინელა იმათი ერთობა. ჩვენ უკვე  რძლები ვიყავით, შვილები გვყავდა, ჩემი მამამთილი და ნუშო ისევ ერთად იყვნენ, ჩემი დედამთილი კი დადგებოდა სარკესთანა, თავშლის ბოლოებს კეფაზე აიკრეფავდა, გაფითქინებულ ყელ-ყურს გამოიჩენდა, გაშლიდა ხელებს და მწყრალად შესძახებდა:

“აფსუს, ქალო! ბამბის ქულავ! ვისზე გცვლიან, ვისზე, იმ ბურნუთის ხვრეპიაზეე? ციკნის ფეშხვაზეე? გამოსძვრეს თვა-

ლი, გამოსძვრეს სოლომონსა! ნეტავი კი გამაგებინა, რა ასვა და რა აჭამა, მთელი სიცოცხლე რო ვერა და ვერ მოისურვილა, ვერ მოიმწვანილა! ვიცოდე მაინცა რა აქვს ისეთი, რაც მე არა მაქვს, იმ მუგუზალივით ქალშავას!" ქოთქოთებდა კეკელა. შეჰ-კრეფავდა თავის შვილებს და მოუწოდებდა: "ალაგმეთ მამათ-ქვენიო, მთელ ქვეყანაზე რო თავსა გვჭრისო, ოჯახის პატრონი, ცოლშვილის პატრონი ბიძაშვილის ცოლთან, თავის რძალ-თან ბუქნაში ამოდისო, უკულმართ გზაზე მავალი სწორედაც სწორე გზაზე უნდა შემოატრიალოთო! რას გასჩუმებულხართ, ამოიღეთ ხმა, პასუხი მომეციოთო!!" თან განარებული ჯოხს დაჰ-კრავდა იატაკს. მაგრამ ვერასდროს ვერ დაიყაბულა შვილები მამისთვის რაიმე გაებედათ და სიტყვა შეებრუნებინათ.

"ჩვენგან მამას უდიერი სიტყვა არ ეკადრება, დედიო." გიო ეუბნებოდა ...

"ცოლქმრის საქმეში სხვისი ჩარევა არ იქნება, დედი, არაო." სანდრო ამას ამბობდა.

"ვერა დედი, უნდა გვაპატიოოვო," ლამაზმა და ჭკვიანმა შიო-მაც, "ერთი რო არ ეკადრება ჩვენგანა და მეორეც, თავზე ხელი რო ავილოთ, ვუთხრათ და მოვთხოვოთ, განა დაგვიჯერებსოო? რა მოხდა, ნუ მიაქცევ ყურადღებასო."

თედომა და მიხამაც იუარეს და ასე გასინჯეთ, მართამაც: "ნეტავი კი, დედი, რად გინდოდა ისეთი ქმარი, არავისა ჰყვა-რებოდა და არავის მოსწონებოდა? შეეგუე ამ ამბავს, რაც არი, არი, მამაჩვენი არც პირველია და არც უკანასკნელი იქნებაო."

"ოიი, ოიიი, თქვენც იტყვით დედა გვიყვარსო, დედის პატი-ვისცემა გვაქვსო! არაფრადა სთვლით იმ ამბავსა, რო მამათქვე-ნის გული ქვეყანას იტევს, დედათქვენის მეტსა, ვინც რო პირ-ველ ადგილზე უნდა ჰყავდეს!!"

"ჰყევხარ კიდეც, დედი, უბატონოდ ხმას არა გცემს და რამე რო ნამოგტკივა, ადგილს ვერა ჰპოულობს, ჩემი კეკელა შეუძ-ლოდ არისო, ჩემი კეკელა და ჩემი კეკელაო, სუ პირზე აკერი-ხარ, შენც ხო იცი არაა?! თუ არადა, ექვსი დაოჯახებული შვი-ლი გყავს, რალადროს თქვენი ცოლქმრობაა? გაიხაროს სად-აც გაუხარია, ღმერთმა შეარგოს ..." მაგრამ ჩემი დედამთილი ადვილად ვერ დაცხრებოდა: "ის თქვენი გარსევანა, ბიძად რო

გეკუთვნით, ის უნდა ჩააგდოთ გულისხმაში ისა, იმას უნდა აუ-ხილოთ თვალები, იმისი ის ბურნუთიხვრეპია (ვილაცას ეთქვა კეკელასთვის ნუშო ცხვირში ბურნუთს იყრისო და იმის შემდეგ ეგრე მოიხსენიებდა ხოლმე) რის მომქმედი ჰყავს, ეგ ბენტერა ეგა, რო დაუკრეფია გულხელი, დაუდგამს თავზე ორტოტად რქები. დაიარება ყინჩად! სხვა მაგის ადგილას ნიხლქვეშ გაიგ-დებდა იმ ციკნის ფეშხვას!"

აქ უკვე შვილები ხმას აუწევდნენ: "არა, დედი, არა, არა, ეგეთი უგვანო საქციელი არც შენ გეკადრება და არც ჩვენა! დაცხ-რი, ადამიანო, დაცხრი, რა ვუყოთ, მოხდა ეგრე, მაგათ ადრევე ჰყვარებიათ ერთმანეთი! თქვენ კიდევა როგორც გიწირნიათ, იგრე უნდა სწიროთ, ეს არის ჩვენი სიტყვაო!!" სულ ეგეთ სიტყ-ვებს ეუბნებოდნენ თავის დედას, ძალიან უყვარდათ მამა, რაც მართალია, მართალია, მეტად კარგი მამაც იყო, მოსიყვარულე, გამგები, მუხლჩაუხრელი მშრომელი, და ქეიფი და სიმღერა ხო იმისი მოგონილი იყო. შვილები ამ მხრივ ისე განწირთნა, იმათ მოსმენას არაფერი სჯობდა, ხო რამდენჯერ მითქვამს კიდეცა. ჩემი დედამთილი შვილებთან იყო გულადი, თორემ თავის ქმარს ასერიგად ვერაფერს გაუბედავდა, რაიმე თუ არ ეჭაშნიკებოდა სოლომონს, ისე აჭიმავდა წარბსა, კეკელა მაშინვე ჩაუწევდა ლამფას. თავიდან თურმე; როცა გაიგო, იშიშვლა ხმალი, მაგრამ სოლომონს ეთქვა, შენ თუ ესეთები დაიწყე, ჩემ განაგისს ამ არემარეზე ველარა ნახავო.

ჩემი მამამთილის შემყურეს ხშირად მიფიქრია, რომ უცნაური და ამოუცნობია კაცის გულისთქმა. არავინ იყო ერთხელ სახლ-ში და ჩემ მამამთილს, — ვენახში მუშაობდა, — ჯერი წავუღე, მაწვნის შეჭამანდი, კარტოფილის თავლაფიანი და ჩარექით ღვინო. ბევრი ემუშავნა, ვაზების მწკრივი წალმით იყო მოფენი-ლი. ალბათ, ქოხში ისვენებს და ჯერს უცდის-მეთქი, ვიფიქრე. ქოხს რო მივუახლოვდი, რაღაც ხმა შემომესმა, ჩემ მამამთილს დიდად მჟღერი და ომახიანი ხმა ჰქონდა, ეხლა კი ძალიან ხმა-დაბლა, თითქოს ჟღურტულებსო, ისე ღიღინებდა: "იყალთოელ ალექსასაააა ერთი კარგი ქალი ჰყავსაააა, საჩოხეს და საპერანგე-ეს სულ ერთ ღამეს დამირთავსაა..." ღრიჭოდან დავინახე ჩემი მამამთილი, ტახტზე იჯდა, მუთაქაზე იდაყვდაყრდნობილი და

ნეტა რა სათუთი ღიმილით შეჰყურებდა ნუშოს, რომელიც ტაბლასა შლიდა. შევდექი მცირე ხნით, არ ვიცოდი გამოვბრუნებულიყავი, თუ მომეევლო და შევსულიყავი ქოხში.

"საჩოხე არა, ჩემო სოლო, მაგრამ სასუსნავი კი მოგართვიი, ხო იცი რო ყელში არ გადამივა, გემრიელი რამე შენც თუ არ შეგახვედრე ..." ეუბნებოდა ნუშო.

"რა მომართვა მერე ჩემმა გოგუცუნამ, რაა ..." ჩაიჟღურტულა ისევ ჩემმა მამამთილმა. უნებურად გამეცინა, თვითონაც და ეს გოგუცუნაც უკვე ოთხმოცს გადაცილებულები იყვნენ. ჩავახველე, შემოვუარე ქოხსა და მივედი შესასვლელთან, თავი დავუკარი, ჯერი მოგართვით-მეთქი. წამოდგა მაშინვე ჩემი მამამთილი, შემომეგება, კალათა ჩამომართვა. კარგი საქციელის კაცი იყო, „მადლობასა" და „ბოდიშს" ვერავინ დაასწრებდა. "ოჰ, ჩემი კარგი რძალი მობრძანდაო, მადლობთ, მადლობთ. რო ეგრე შეწუხებულხარო." "მობრძანდი, გენაცვალე, მობრძანდიო." ნუშომაც მითხრა. არც ერთსა და არც მეორეს არც მორიდებიათ და არცა, თითქოს მათ ერთად ყოფნაზე ბუნებრივი და ბეჭედდასმული არაფერი ყოფილიყოს.

"მინდოდა დილიდანვე მეშველნა და ცოტა სახლში შევყოვნდიო." ისე მეუბნებოდა ნუშო, გეგონებათ ბოდიშობსო. "ეხლა ვისადილებთ და მერე წმინდად მოვფოცხავთ ნალამს." მიმიპატიჟეს, მაგრამ სახლში ბევრი საქმე მქონდა და მაშინვე გამოვტრიალდი. შინ რო მოვედი, ჩემმა დედამთილმა იმ ნამსვე ისა მკითხა, ის ბურნუთის ხვრეპიაც იქა ჰყავდა, თუ არაო. არა, არა-მეთქი, გადაბრჯნით ვიუარე. "იჰ, თავშიაც ქვა უხლიათო, გამიმწარეს ქალობა და ჯანდაბას მაგისი თავი, ზედაც დაჰკვდომიაო." "როგორ სიტყვასა ბრძანებთ, დედამთილო," შევბედე მორიდებით," რაღა დროს მაგათი ეგეთებია."

"გეგონოს!" და გაბრაზებით გაიქნია თავი, "ოხრები არიან, ოხრები, უმსგავსოებაზედა აქვთ თვალები გამოჭყეტილი!"

აი, როდის იყო ჩემი დედამთილი კმაყოფილი და როცა თავისიანებში მიდიოდა კურდღელაურში კვირაცხოვლობას, კავთობას (კვირაცხოვლობა ხო კურდღელაურის დღესასწაულია) ან ძმისშვილების ქორწილი იქნებოდა თუ ნათლობა. კავთობას არამც და არამც არ გამოუშვებდა, ძმა ჰყოლოდა, თევდორე,

ოცი წლისა მოეკლათ სწორედ კავთობას და იმის მოგონებასაც აღნიშნავდნენ. კარგი მოსაკითხით აავსებდნენ ხურჯინს, ერთ თვალში თხელნაჭუჭა კაკალს ჩააჩხრიალებდნენ, იმათ უყვარდათ ჩვენი კაკალი, ორი თითის მოჭერითა ტყდებოდა, წყაროს ბაღი რო ჩამოგვართვეს, ხუთ კაკალში ეს ერთი იყო თხელნაჭუჭა და რამდენჯერაც წაიღო კირკიტამ, ჩემი დედამთილის ძმამ, ბაყილო, ვერა და ვერ ახარა ... მეორე თვალს ჩვენი თეთრეულით გაავსებდნენ, ვითომ თქვენთან კარგი საძოვრებიაო და თეთრეულიც: რძე, მაწონი, ხაჭო თუ კარაქი, მეტად გემრიელიაო, ერთ კარგ ყვერულსაც დაჰკლავდნენ და გაუდგებოდნენ გზას კურდღელაურისკენ. ურმის კოფოზე რო დაბრძანდებოდნენ, სოლომონი და კეკელა, მორთულ-მოკაზმულები, ძალიანაც შვენოდნენ ერთმანეთს, აი, მაშინ გაიბადრებოდა ხოლმე ჩემი დედამთილი, ის ორი დღე დასაკუთრებული ჰყავდა სოლომონი და თან სადა, თავისიანებში, სადაც, თუ იმისი სიმღერით, ლხინითა და სიტყვა-პასუხით თავი უნდა მოეწონებინა.

იმ ზამთარს, 29 წელს, დიდი თოვლი მოვიდა. იანვრის ბოლო დღეები იყო. სოლომონი და გიო რუისპირში ნათლობაზე იყვნენ დაპატიჟებული, ნათლიები უნდა ყოფილიყვნენ და ძალიან ეთხოვნათ, აბა, ხომ იცით, ნათლიობაზე უარის თქმა არ იქნება. ამბობდნენ კიდეც, უსოლომონოდ ნათლობა ნათლობა არ არის და დღეობა დღეობაო.

სწორედ იმ დღეს კურდღელაურიდან კაცი მოვიდა, ძმასავით შეზრდილი ბიძაშვილი მოჰკვდომოდათ და კეკელამ თავი გადაიკლა მე უთუოდ ეხლავე უნდა წავიდეო და თქვენ დასაფლავებისთვის ჩამოდითო, ასეც გააკეთეს, ჩემი დედამთილი კურდღელაურში გაისტუმრეს სანდროსთან ერთად და სოლომონი და გიო რუისპირში ნათლობაზე წავიდნენ. 88 წლისა იყო სოლომონი. ახლგაზრდობაში, მოსკოვში რო იყო, მოხუც ციგნის დედაკაცს ემკითხავა, იმ ხელმძღვანელის დედას. მე დიდად არა მწამს მკითხაობისა, მაგრამ ის მკითხაობა კი მართლა საკვირველი გამოდგა. ეთქვა: შენაო 88 წლამდე ფრჩხილი არ წამოგტიკივდებაო, 88 წლისას ხიფათი შეგემთხვევაო, თუ იმ ხიფათს გადაურჩი, მერე ას წლამდე აღარაფერი გიჭირსო. მართლა ისეთი ჯანსაღი იყო, სურდო რა არის, სურდო არ იცოდა. იმ ნათ-

ლობიდან გვიან დაბრუნდნენ, დიდი თოვლი ეტოპათ და გიო ამ-ბობდა მამაჩემმა მაჯობაო, ისე მოდიოდა, არსად შეგვისვენიაო, სიმღერითაც იქაურობა დაამშვენაო. იმის ხმასაც არავითარი ბზარი არ გასჩენია. რო მოვიდნენ რუისპირიდან, ტყაპუჭები დაიფერთხეს, შემოვიდა ჯერ სოლომონი, ბუხრისკენ წავიდა, კედელზე საათს შეხედა და უჰ, გაჩერებულაო და სანამ გიო შე-მოვიდოდა, სწრაფი იყო და უცებ მაგიდა მიადგა კედელს, ავი-და საათის გასასწორებლად, მაგიდა შეირყა, ვინტები ჰქონოდა მოშვებული, გადმოვარდა ჩემი მამამთილი, დაჰკრა თავი და გო-ნება დაკარგა. მეორე დღესღა მოვიდა გრძნობაზე, მაგრამ ცუ-დად იყო. გიოს უთხრა ნუშო მომიყვანეთო, სიტყვა მაქვს სათქ-მელიო. მოვიდა ნუშო, ტახტის ბოლოს დადგა გულხელდაკრე-ფილი, „ვაიმე, სოლო, რა მოგვიდა, კაცო, ვინ შენა და უქეიფოდ ყოფნაო.“ უკვე სიტყვა ებორკებოდა სოლომონს და გამიკვირდა მაინც რო იძალა და თავისი სათქმელი უთხრა: “ნუშო ... თუ გა-მოვრჩი ... ხო რა კარგი ... თუ არა ... სიტყვა უნდა ... დაგიტოვო ...“

“რა სიტყვა, სოლო, შენი ჭირიმე, წასვლას ნუ ამბობ, თუ ხა-თრი გაქვს, უნდა გამორჩე, კაცო, უნდა გამორჩე.“ ხელებს ასავ-სავებდა ნუშო.

“ეს ... ამოდენა ... წლებია ... ერთადა ... ვართ ... და ვერ გავძეხი ... შენი სიყვარულით ... ნუშო.“

წავიდა ნუშო, ჩემ დედამთილს დაენახნა ჩვენი სახლიდან რო გავიდა, ჩვენ მაშინვე შევატყობინეთ და აბა, კულდღელაური-დან ამოსვლას რა დიდი დრო უნდოდა, მაშინვე წამოსულიყო. მოუხედავად იმისა, რომ ჩემი მამათილი რამდენიმე საათში გარდაიცვალა, ისე განარდა, ისე განარდა, ისე განარდა, მარტო რომ დარჩა მიცვალებულთან, ერთი მაგრად ეჩხუბა: “არა, არა, არა, არ დაგიტირებო ... სანამ ცოცხალი იყავი, მე მაშინ გამო-გიტირეო, ეხლა კი ნურას უკაცრავადო, ჩემი ცრემლი შენ არ დაგეცემაო, იყავი ეგრე ჩემგნივ უმტირალიო, და ვინც მე გამამ-ტყუნებს, აეგრე მოლოკილი რო ვზივარ, თვალებგამშრალი და პირდამუწული შეცხადებისთვისაო, და ვინც მე გამამტყუნებს, ვიღაცა გაუგებელი იქნება, და ჯანდაბას იმისი თავი, თვალიც გამოსძრომიაო!!“

ჩემი მამამთილი პირველი გლეხი იყო, რომელიც ღვთაების ეზოში დაასაფლავეს, მანამდე იქ მხოლოდ მაყაშვილებს ასაფლავებდნენ, სოლომონზე კი თქვეს, ნამდვილად ეკუთვნოდაო, ისეთი კაცი იყოვო. როცა ავასვენეთ, გიოს მოეკრა თვალი, ღვთაების სვეტს ეფარებოდა ნუშო, უფროსი ქალი გამოჰყოლოდა დედას (მერე თქვეს, ადრიდანვე მოვიდაო), და თავშლის ბოლოებით ცრემლებს იწმენდავდა. მიუბრუნდა გიო თავის დედას და: დედი, ადამიანობაც ხომ არის ქვეყანაზეო, იცოდე, ხმა არ უნდა ამოიღო და არ გაბრაზდეო. მივიდა ნუშოსთან: "დეიდა ნუშო, თქვენ გეკუთვნით უპირველესადო და თუ გნებავთ, გამოეთხოვეთ მამაჩვენს, მობრძანდით და გამოეთხოვეთო." კეკელამ გაუჭირა კბილებსა და გადგა განზე. ნუშო მუხლებზე დაემხო კუბოს წინ: "სოლო, ჩემო სოლო, ჩვენ ერთად უნდა წავსულიყავითო, ჩვენი გამყრელი ძეხორციელი არ იყო სიკვდილის მეტიო, დაინვას და დაიდაგოს სიკვდილის მომგონი, არ იცოდა განაო, რო ერთად უნდა წავეყვანეთო, ერთადო ... ვაიმე, რა ცოდოობაა ჩვენი გაყრაო ..." თან სოლომონის გაციებულ ხელებს გულში იკრავდა.

მერე გიოს ბევრი ამტყუნებდა, ეს როგორაო, საყვარელს დააატირებინა მამაო, მაგრამ გიო ამბობდა, გაუგებარ ხალხს მე ვერაფერს შევასმენო, რა ვუყოთ, ხდება ასეთი რამ, და რაკი ხდება, ჩვენ ხომ ადამიანები ვართო, მამაჩვენსა და ნუშოს ჩვენს დაბადებამდე ჰყვარებიათ ერთმანეთიო და განა მაგათი ბრალია რო ეგრე მოხდაო ..."

# არა კაც ჰკლა?

ყველა მაღაზია დაკეტილი იყო. შიგ აღარაფერი იყო და იმიტომ. მხოლოდ პურის მაღაზიები გაიხსნებოდა ხოლმე პურის მოტანის დროს. და როცა პურისათვის გამართული უზარმაზარი რიგი დაიწრიტებოდა, მაღაზიაც იკეტებოდა. მაგრამ ყველა მაღაზიის ვიტრინაში გაკრული იყო ერთი და იგივე პლაკატი: ხიშტმომარჯვებული წითელარმიელი ჰკლავს მის ფერხთით დაცემულ სვასტიკიან, რაღაც საშინლად დაღრეჯილ გერმანელს, მთელი პლაკატი მოფენილია წითელი ლაქებით, ანუ გერმანელის სისხლით, ხოლო ქვევით, დიდი წითელი ასოებით წარწერაა ქართულად და რუსულად: "მოკალი თუ არა ერთი გერმანელი მაინც? Убил ли ты хоть одного немца?" და ათი წლის ბიჭუნა, ბადრი იმედაშვილი, პურის რიგში დგომის დროს, რამდენი ამ პლაკატს თვალს მოჰკრავდა, მაშინვე თვლას იწყებდა, რამდენი გერმანელი შეიძლებოდა მოეკლა ომში წასულ მამას ... თვლით დროც გაჰყავდა და გულსაც იოხებდა. აბა, მტრის მოკვლაზე ღირსეული და ამიტომ აუცილებელი და ადვილი რა იყო. ხომ თავისი თვალით ნახა, როგორ დახვრიტეს ნადიკვარის ქვევით, პანია, ნათლისმცემლის ეკლესიასთან შუამთის ტყეში დაჭერილი კაცი? შემოპარული შპიონი იყოვო. მთელი ხალხი ნადიკვრის გადასახედიდან გადაჰყურებდა ამ სანახაობას. ერთი ეგ არის, ძალიან იყო ის კაცი გაფითრებული, მიტკალივით სახე ჰქონდა, მიაბრუნეს და პირდაპირ კეფაში ესროლეს, სამმა წითელარმიელმა. რა იოლი ყოფილა კაცის მოკვლაო, მერე სულ ამასა ფიქრობდა. ჰოდა, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, მამა დღეში ათზე ნაკლებს ხომ არ მოჰკლავსო? ათ დღეში, ესე იგი ათს ნოლი უნდა მივაწეროთ, ეგეც შენი ასიო, ოც დღეში ასი და ასი ორასი, ერთ თვეში სამასიო ... ზოგჯერ ათი ეცოტავებოდა და თხუთმეტზე ავიდოდა და თვლას ახლიდან იწყებდა, და თან ჯერ თორმეტ თვეზე ხომ უნდა გადაემრავლებინა, მერე კიდევ თორმეტზე, მამა უკვე ორი წელია ომში იყო, ჰოდა, ეთვალა და ეთვალა მოკლული გერმანელები. ნამდვილად გავიმარჯვებთო, ნამდვილადო, სიამოვნებით გაიფიქრებდა, მერე მამაზე დაიწყებდა ფიქრს, უნდოდა წარმოედგინა, როგორ ჰკლავდა

გერმანელებს, ალბათ, დასძახებდა "ფაშისტებო, ჩაძაღლდით!! ფაშისტებო, რა გინდათ ჩვენგან! წაეთრიეთ თქვენ სახლებშიო!" სულ არა, სულ არ უშლიდა ხელს ყაყანი ფიქრსა და ოცნებაში ... ამასობაში პურიც მოვიდოდა, ბურთივით შევარდებოდა მაღაზიაში, ვერავინ მოასწრებდა წიგნაკების გადაცემასა და პურის აღებას. აბა, როგორ, როცა ეცალა, ხომ უნდა შეშველებოდა ბებიას, დედა ხომ რამდენს მუშაობდა, სად ჰქონდა დრო რიგებში დასადგომად ... და განა მარტო პური?! შეშასაც როგორ დაუხეჩავდა ბებიას?! ცეცხლსაც როგორ აუნთებდა?! გაკვეთილებსაც როგორ უცებ ისწავლიდა და წიგნის კითხვაც როგორ უყვარდა?! ყველგან და ყველაფერში პირველობა უნდოდა, მოწინავეობა, შინაც და გარეთაც, სწავლაშიც და ბიჭებთან თამაშსა თუ ჩხუბში. ასე ეგონა, ვიღაც ზევიდან ჩამოსძახოდა: არა გაქვს უფლება ყოჩაღი არ იყოვო, ისიც გეყოს, უნლოვანი რო ხარ, თოფი არ გიჭირავს ხელში და მამაშენის გვერდით არ იბრძვიო. ოლონდაც! ეს ხომ უბრალო ომი არ იყო, ეს "დიდი სამამულო ომი" იყო, დიდი ბელადის წინამძღოლობით!

არადა, როგორ უნდოდა უკვე დიდი ყოფილიყო, შესძლებოდა ომში წასვლა და თავგანწირვით ბრძოლა ... როგორ შურდა იმ გმირებისა, სტალინის სახელით ტანკს რომ უვარდებოდნენ და აფეთქებდნენ, ან არადა, ზოია კოსმოდემიანსკაიასავით სახრჩობელაზე ადიოდნენ უდიდესი ბელადის ხსენებით. ოდნავაც არ ეპარებოდა ეჭვი, თვითონაც არასდროს არ დაიხევდა უკან, ტანკსაც ჩაუვარდებოდა და სახრჩობელაზეც ავიდოდა და თვალის დაუხამხამებლად, "სამშობლოსათვის," "სტალინისათვის." შეუპოვრად იბრძოლებდა და "ძირს ფაშისტების" ძახილით მტერს მუსრს გაავლებდა.

ახლა კი მათი კლასის კედელზე ორი მოწოდება იყო გაკრული, ძია ლენინის და ძია ლავრენტი ბერიასი, "სწავლა, სწავლა, სწავლა. თქვა ლენინმა." და "მონაფეთა გმირობა და სიმამაცე ეს არის სწავლა ფრიადზე. ლავრენტი ბერია." ფხიზელი გონებისა იყო, ცნობისმოყვარე, ათასი რამ აინტერესებდა და სწავლით ისე სწავლობდა, ხელის აწევას ვერავინ მოასწრებდა. მამა იქ იბრძვის და ჩემი გმირობა კიდევ ეს არის, როგორც ძია ლავრენტი გვეუბნებაო, ვისწავლო კარგად, რომ მამას პირნათელი შევეგებოვო.

მაშინ რვა წლისა იყო, ომი რომ დაიწყო და მამა პირველი დღეებიდანვე წაიყვანეს. სადგურზე აცილებდნენ, უკვე წითელარმიელის ფორმა ეცვა და თვალს ვერ აშორებდა, ელაპარაკებოდა, ელაპარაკებოდა, არავისთვის უნდოდა მამა დაეთმო, ცრემლები ერეოდა, რატომ დიდი არა ვარ, მეც გავყოლოდიო, სულ ერთად ვყოფილიყავითო. "როგორა გგონია, მამა, ლეღვებს ჩამოუსწრებ?" "იცი, მამა, თუ ყურძნის მოწევამდე ომი არ დამთავრდება, ტყუილია, ხეივანს არავის არ დავაკრეფინებ, შენ შეგინახავთ, შევაბავთ პარკებს და შეგინახავთ." "მამა, რასა გთხოვ ძალიან და აუცილებლად ჩამომიტანე თოფი რაა, კარგიი?" "ხო დაბრუნდები, მამა, ხო აუცილებლად დაბრუნდები!" "მამა, მამა, ხო ბევრ გერმანელებს დახოცავ, მამა?" ტკიპივით მიეკრა, ხელები წელზე შემოხვია. მამა, მამა, მამა, მამა!! ასე ეგონა გული საგულედან ამოუფრინდებოდა. ვერ წარმოედგინა, ვერა, რომ მამა აღარ ენახა ... "კარგი, ბიჭო, ჩვენც სიტყვა გვათქმევინე!" ამბობდა დედა, მშვენიერი ახალგაზრდა ქალი, ფაიფურივით თეთრი სახითა და მსხვილი, წითელი ნაწნავით კეფის გარშემო, "ვერ წარმომიდგენია შენი იქ ყოფნა, ღმერთო ჩემო, შენ ხომ ქათამიც არ დაგიკლავს." მწუხარედ ამბობდა. იდგნენ და თვალებში უყურებდნენ ერთმანეთს, ბაქანზე ბებია მორბოდა, არ წამოიყვანეს, სად უნდა იარო, აქვე გამოეთხოვეო და მაინც წამოსულიყო, თან ფეხით, დაქასქასებული იყო სანყალი, დასცხომოდა, თავშლის ბოლოები უკან გამოეკრა და თეთრ კავებს მოაკანკურებდა, ხელშიც რაღაც ეჭირა, თურმე ქადები, რომელიც სახლში დარჩენოდათ. წითელარმიელთა შენაერთი კი მღეროდა „Если завтра война"-ს. ძალიან უყვარდა წითელარმიელთა სიმღერებიცა და სამხედრო მარშებიც, ჯერ კიდევ ომამდე შორიდან რომ გაიგონებდა მათ სიმღერას და ქვაფენილზე მწყობრი ნაბიჯების ხმას, მაშინვე ფანჯარას ეცემოდა და ვიდრე მიეფარებოდნენ, თვალს ვერ მოაცილებდა. მერე ხომ სულ ზეპირად იცოდა ომზე შექმნილი სიმღერები, „Тёмная ночь", „Прощай любимый город", ხოლო ის არაჩვეულებრივი სიმღერა, ამაღელვებელიც, დიადიც, ჰიმნივით, „Идёт война народная", გაიგონებდა და გაითანგებოდა, თვალზე ცრემლიც კი მოადგებოდა, ნეტავ მამაც თუ უსმენს ამ სიმღერასო, გაიფიქრებ-

და. გამსჭვალული იყო მამაზე ფიქრით და მამის მოგონებით. ეხლა მამა რო მიყურებდესო, გუდურას რო მოიკიდებდა ტყეში, — თავი გადაიკლა, უბნის კაცებს გაჰყვა და გაკვირვებულები იყვნენ კაცები, წალდს ისე ხმარობსო, გეგონებათ ჭიგოს მოჭრის მეტი არაფერი უკეთებიაო, — ვიწრო მხარზე თავის ძველ ჯემპრს დაიფენდა წნელებით კოხტად გამოკრული გუდურის მსხვილ ბოლოს დაიყრდნობდა, სახელურად გამობმულ წნელს ხელს ჩასჭიდებდა და დაეშვებოდა სახლისკენ. სულ არ იყო ადვილი, სულ არა, მაგრამ არ იმჩნევდა, ასე ეგონა მამა შორიდან ხედავდა და ყოჩაღ, ჩემო ბიჭო, ყოჩაღო, უთვლიდა. ან კიდევ ლექსს რო კითხულობდა ... ძალიან უყვარდა ლექსების თქმა, კარგადაც კითხულობდა, გამოთქმით, ომახიანად, განცდით და სკოლის საღამოებზე, ზეიმების დროს, ყოველთვის ათქმევინებდნენ ხოლმე. თან ყველას მოსწონდა, ეს რა ფერადოვანი ბიჭუნააო, მოკლედ შეკრეჭილი წითელი თმები ყალყზე ედგა და გზნებას მატებდა, დიდ ლურჯ თვალებს შეუპოვრად აკვესებდა, და წარმოიდგინეთ, თავის დედასავით ფაიფურივით თეთრ სახეზე აქა-იქ ჭორფლებიც ძალიან შვენოდა. ბოლო დროს ისე წაიკითხა თეატრში, შვიდი ნოემბრის საზეიმო საღამოზე ვაჟას "ბაკური", ყველა ტაშს უკრავდა. ის კი თავის დაკვრის დროსაც ფიქრობდა, ეხლა მამა რომ მიყურებდესო, მამას რომ გაეგონა როგორ ვთქვი ვაჟას ლექსიო. და იქვე გადაწყვიტა: როცა დაბრუნდება მამა, ერთი კარგი ლექსი უნდა ვისწავლო და ვუთხრაო.

გულის კანკალით ელოდებოდა სამკუთხა ბარათებს, ფრონტიდან გამოგზავნილს. ძალიან მოკლე, დეპეშასავით ბარათები იყო. "როგორ ხართ, მე კარგად ვარ, გაუფრთხილდით ერთმანეთს, ბადრი, გაუგონე დედას და ბებიას, კარგად ისწავლე, დედა, მათიკო, ჩემზე არ იდარდოთ, გკოცნით, თქვენი ლუკა."

თვითონ კი არაფერი ისე არ უყვარდა, როგორც მამასთან გრძელი წერილების წერა, განსაკუთრებით ძილის წინ, როცა ყველაფერი მომზადებული და გაკეთებული ჰქონდა და მოცლით იყო ... უნდოდა ყველაფერი დაწვრილებით მიეწერა, რა ნიშნები მიიღო მეოთხედში, რა თქმა უნდა, ფრიადები, სულ ფრიადები, როგორ შველოდა ბებიას პურისა და ნავთის აღებაში, უბნის ბი-

ჭები რკინის რგოლების გორებით სადგურამდე რო წავიდნენ და ყველას აჯობა, პირველი მივიდა სადგურზე, და იქიდან ლინ-ეიკის საბარგულში ჩაეკვეხნენ და ისე წამოვიდნენ მამიყიანთ აღმართამდე. მამა, გაგიუდებიო, ერთ წერილში სნერდა, მთელი ჩვენი კლასი სპორტსკოლაში დავდივართო და მე ბაგირზე ისე ვცოცავ, ისე ვცოცავ, კატასავითო, და მე და გაგალო, მარტო მე და გაგალო, ბურჯზე ავცოცდითო კედელზე, ქვების მოჭი-დებითო, ბიჭები გვიყურებდნენ შიშით ხმაგაკმენდილებიო და საბოლოოდ რო ავცოცდით, ყიჟინა დაგვცესო. დედას გეფიცე-ბი, მართლა ასე იყოვო ... დედა კიდევ ძალიან ბევრს მუშაობს და ჩვენ ქლიავებს, სამივეს, ღორქლიავასაც, ჭანჭურსაც, და-მასხისაც ისე ესხა, ისე ესხა, ბებიამ არაჩვეულებრივი ტყლაპე-ბი გააკეთა, ძალიან გემრიელი, პატარ-პატარა ნაჭრებად დაჭრა და კამფეტივით მომცემს ხოლმე, და რა კარგი იქნებოდა შენ-ცა გქონდესო, წავიკითხე ჟიულ ვერნის "საიდუმლო კუნძული," "ოთხმოცი ათასი კილომეტრი წყალქვეშ" და ისე მომინდა მეც იმათთან ვყოფილიყავიო, მაგრამ ყველაზე ძალიან, სუ ყველა-ზე ძალიან "აივენგო" მომეწონაო და აივენგოდ, მამიკო, სულ შენ წარმოგიდგინეო, ლედი როენად კიდევ დედაო. მე უკვე მეთერთმეტე წელში გადავდექი და ბებიამ მჭადის ფქვილის ნაზუქი გამომიცხოვო. მე სულ ვუსმენ რადიოს, გაზეთებსაც ვკითხულობ და სულ ჩვენს გვარს ვეძებ ხოლმეო, არ მინდა გა-მომეპაროს შენი გმირობის ამბავი, თუ დაწერენო. მამიკო, მე კიდევ ტყიდან გუდურაც ჩამოვიტანეო, დედა და ბებია გაგიუდ-ნენ, სულ გულში მიკრავდნენო და მე მიხაროდაო ... მამა, მამა, მომილოცე, მომილოცე, ჩვენ პიონერებში მიგვიღეს და პატარა სამკერდე ნიშნები დაგვირიგეს ძია სტალინის პანია სურათით და მე არასდროს ამ სამკერდე ნიშანს არ მოვიხსნი, ხალათზე მაქვს გაკეთებული, იმიტომ, რომ ყველაზე ძალიან მიყვარს ძია სტალინი, შენ, დედა, ბებია და ჩვენი ძაღლი წაბლა, იმიტომ, რომ ისეთი ჭკვიანია, ვერ წარმოიდგენო ... და ყველა წერილში მოუ-წოდებდა: მუსრი გაავლე ფაშისტებსო, არ დაინდო სისხლისმს-მელებიო ... და თუმცა ვერც ერთხელ მამის სახელსა და გვარს ვერ მიაკვლია გაზეთებში და ვერც რადიოდან მოისმინა, მერე რაო, ფიქრობდა, ომში ყველა გმირიაო, ვინც იბრძვის და გერმა-

ნელებს ხოცავსო, ძია სტალინი მთელ ხალხს უწოდებს "გმირი საბჭოთა ხალხიო" და მამა კი არა, ჩვენც კი ყველანი გმირებად გამოვდივართო. გამოთხოვებისას მამამ ის სიტყვა რომ უთხრა, არაჩვეულებრივი სიტყვა, ოჰოჰოჰო, რა ზვიადად ჟღერს, "ვიკინგი", ლექსიკონში ნახა და გაიგო ვინც იყვნენ, რა მეომრები და თავდამსხმელები, მთელ ევროპას შიშის ზარსა სცემდნენ. "ჩემი ბიჭი ... ჩემი წითელთავა ბიჭი ..." ამბობდა ალერსით მამა, დაიხრებოდა და თავზე ჰკოცნიდა. "მამა, მამა, შეიძლება მაუზერიც მოგცენ და ძერე მე ჩამომიტანო?" "ჩემი მებრძოლი ბიჭი," თქვა მამამ და დედას მიუბრუნდა, "თქვენ ნამდვილად ვიკინგების შთამომავლები ხართ, მათიკო, წითელთმიანები და ლურჯთვალებიანებიო" და გაიცინა. უნდა ეკითხა ვინ იყვნენო და ბებიამ სწორედ ამ დროს თხოვნა დაუწყო, ყოველდღე გვწერე წერილებიო ... ჰოდა, მერე ლექსიკონში ნახა და სიამაყით აივსო.

მაგრამ წერილები ორი წლის შემდეგ შეწყდა. აღარცერთი არ მიუღიათ. შეკითხვა გაგზავნეს, არც ცოცხლებში იყო, არც მკვდრებში. დედა და ბებია ამბობდნენ "ღმერთმა დაიფაროს, ცოცხალი რომ არ იყოს, აუცილებლად შეგვატყობინებდნენო." რას ნიშნავს ცოცხალი რომ არ იყოსო? უსწორებდა ბიჭი, როგორ უბრალოდ ამბობთო, გმირულად რომ დაცემულიყოვო, რადგან ომში სიკვდილი გმირული სიკვდილიაო, მაგრამ არა, მას თავისი ვერსია ჰქონდა მამის შესახებ, არავითარი სიკვდილი და არავითარი გმირულად დაცემა, მამა ნამდვილად მტრის ზურგში გაგზავნეს ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის, რომ მტერს ზურგიდან დაუგოს მახე, აი, რა, ნამდვილად ასე იქნება! აკი სიზმარიც ნახა საოცარი, მამას გაშიშვლებული ხმალი ეჭირა და თვით ჰიტლერისთვის თავი უნდა მოეკვეთა, ის კიდევ ფეხებში უვარდებოდა, როგორც მაღაზიების პლაკატზე სვასტიკიანი გერმანელი — საბჭოთა წითელარმიელს, და ჰიტლერსაც ზუსტად ისეთი სახე ჰქონდა საშინლად დაღრეჯილი და საზიზღარი. დედამაც დაუდასტურა, ნამდვილად ასეა, შენ მართალი ხარ, მამა ცოცხალია და მტერს ზურგში უგებს მახესო.

მერე და მერე მათ ნაცნობებს ამანათები მოსდიოდათ ავსტრიიდან, გერმანიიდან, ძალიან ლამაზი ტანსაცმელი, სულ ჭრელა-ჭრულაში გამოწყობილები დადიოდნენ ამანათის პა-

ტრონები, ბიჭუნას კლასელმა კი ამაყად თქვა, მამამ კონტეინერი გამოგვიგზავნაო, მაშინ პირველად გაიგო ეს სიტყვა, თურმე კონტეინერით ავეჯს გზავნიდნენ, და მიიღეს კიდეც უძვირფასესი რამეები, სურათებიც, დიდი კარადაც, სულ სადაფებით მოჭედილი, ლამაზი სავარძელიც. მათ კი არასდროს არაფერი მიუღიათ. ერთი პატარა ამანათიც კი არა. დედას ჰკითხა გულდანყვეტილმა: "ვიცი, რომ მამა ცოცხალია და რატომ ჩვენ არაფერს გვიგზავნისო, რატომო, ბიძოსა და ვახოს ისეთი ლამაზი ხალათები აცვიათო."

"არა, გენაცვალე", უთხრა დედამ, "მამაშენი არასოდეს ნადავლს ხელს არ მოჰკიდებს, მის წინ ოქროები რომ ეყაროსო. ოღონდ დაბრუნდეს, ოღონდ დაბრუნდეს და ჩვენ არავისი არაფერი გვინდაო, ღმერთმა ყველას თავისი მოახმაროსო."

ვერა და ვერ გაიგო, ნადავლი ხო გამარჯვების მანიშნებელი იყო, რატომ არ უნდა გამოეგზავნა მამას, რატომ?" როცა ბიძოს და ვახოს რაღა არ ჰქონდათ, იქაური ველოსიპედებიც კი. მას კი სახელოებდამოკლებული ტუჟურკა უნდა სცმოდა საცოდავად.

მაგრამ აღარაფერი აღარაფრად ჩააგდო, აღარც იმათი ხალათები და ველოსიპედები, აღარც ნაირნაირი ჩასაცმელები, აღარც გაჭირვება, სიცივე და შიმშილი, მტერი თავის ბუნაგში ჩაკლეს, ჩვენ გავიმარჯვეთ, გავიმარჯვეთ დიდი სტალინის სარდლობით, ჯერ ომი დამთავრდა, და მერე, სამი თვის შემდეგ, მამისაგანაც დეპეშა მოვიდა, აგვისტოს ამადაამ რიცხვში თბილისში ვიქნები, მატარებლის ნომერი ესა და ესო.

დედამ უთხრა, შენც წაგიყვან თბილისში და ერთად შევხვდეთ მამასო. ორი დღე იყო დარჩენილი, და სიხარულითა და მღელვარებით ადგილს ვერ პოულობდა. უნდოდა ყველაფერში მონაწილეობა მიეღო, სახლი ძირისძირობამდე დაალაგეს და დააკრიალეს, ეზო მოფოცხეს და მოასუფთავეს, დედამ სასწრაფოდ გაყიდა უკანასკნელი ალმასის ბეჭედი შესახვედრად და მერე მცირე სუფრის გასაშლელად, ბიჭმა კი გადაწყვიტა კარგი ლექსით შეგებებოდა მამას და თავიდანვე ვაჟა-ფშაველაზე შეჩერდა, უკვე ნასწავლიცა ჰქონდათ "შვლის ნუკრიც", "ხმელი წიფელიც", "სათაგურიც", ლექსებიც, ძალიან მოსწონდა ვაჟა, სათქმელადაც რა სახალისო იყო?! ჰოდა, "კაი ყმა" ამოარჩია, მაშინ-

ვე ისწავლა კიდეც. თავისი არჩევანი ახარებდა, აბა, ვინ უნდა იყოს კაი ყმა, თუ არა ოთხი წლის შემდეგ ომიდან დაბრუნებული მეომარიო? ვიინო? ვიინო? თან როგორ წარმოედგინა? ამდენი ხანი არ ენახა მამა და დროთა განმავლობაში მისი გაცრეცილი ხატის ნაცვლად ძლევამოსილი გამარჯვებით გაცისკროვნებულ კაცს ხედავდა, ამაყად თავაწეულს, მტერზე აღზევებული, გალაღებული მეომრის უქრობი ღიმილი რომ დასთამაშებს სახეზე. ცხადია, ლექსს მაშინვე არ მიახლიდა, სუფრა რო გაიშლებოდა, ნათესავები რო მოვიდოდნენ, ყველას რომ ენახა და გაეგონა რამოდენა ლექსი დაახვედრა მამას, თან რომელი ლექსიც ასე შეჰფერის. ისიც ცოცხლად წარმოიდგინა, მამა დაქადნებითა და გამოჯავრებით ერთხელ მაინც ომახიანად რომ შესძახებდა: "ააა, ხომ მიიღეს, რისი ღირსნიც იყვნენო! აბა, რა ეგონათ, რო მოდიოდნენ, სად მოდიოდნენო! არ იცოდნენ ვისთანა ჰქონდათ საქმეო? ვის ებრძოდნენ რო ებრძოდნენო. ჩვენ? ჩვეენ? ჩვეეენოო?! სულ ჟუჟა რომ გავადინეთ! ჯერ მარტო პირადად მე რამდენი ფაშისტი მივაწვინეო! რამდენ გერმანელს მოვუსწრაფე სიცოცხლეო!!" მაინც რამდენი მამა, რამდენი გერმანელი მოკალიო, შეეკითხებოდა. ვინ დაითვლის, ჩემო ბიჭო, ვინ დაითვლისო! — ეტყოდა. ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავებიო. ოჰოჰო, რა მამა ჰყავდა, რა მამა!! მერე კიდევ, ოჰ, რა სანუკვარი რამ წარმოედგინა?! ახლა მაინც, საბოლოო დაბრუნებისას მამას ხელში ეჭირებოდა ტყავის ლამაზი ჩემოდანი, თან ძალიან დიდი, სწორედ ისეთი, ბოძოსა და ვახოს მამამ, ძია შალიკომ რომ ჩამოიტანა დაბრუნებისასაც, იქამდე ხომ რამდენი რამ გზავნა და გზავნა. ჰოდა, ამ ჩემოდნის გახსნისას ისიც მათთან შეესწრო და ძია შალიკოს სიხარულის ყიჟინით ამოჰქონდა და ამოჰქონდა იმ ჩემოდნიდან ნაირნაირი ტანსაცმელი ... სულ აქეთ-იქით ისროდა, ხან ცოლისკენ, ხან ბიჭებისკენ, ხან დედისკენ. მერე ამოიღო, არა, კი არ ამოიღო, ამოიტაცა ჩემოდნიდან ულამაზესი ქურქი, ბიჭების დედას, დეიდა მანიას ესროლა ლამის ჭიხვინით, ნახე ერთი, ნახე, მუჭაში დაიჭერო, მგონი ბებიაშენსაც ამისთანები ეცვა აიო?!

აკი ბადრისაც აჩუქეს მოკლესახელოებიანი, ზოლიანი ხალათი.

ჰოდა, მამაც ჩამოიტანდა საჩუქრებით სავსე ჩემოდანს და

ბადრიც თავის მხრივ დაასაჩუქრებდა თავის ამხანაგებს, ვინ იცის, კანფეტებით ყოფილიყო სავსე, გახსნიდა ჩემოდანს და ისეთი სურნელი ამოვარდებოდა, ნუგაა, ირისიი, სიოს კანფეტიი, შოკოლადიი ... რა გინდა სულო და გულო ... და ბადრიც სულ მუჭებით არიგებს და არიგებს, აი, რა გაუხარდებათ ყველაზე ძალიან ბიჭებს, რამდენი ხანია თვალით არ უნახავთ ტკბილეული, ყველა გიჟდება კანფეტებისთვის, ერთხელ რო დაარიგეს ნამჯიანი და აზელილი ბალიშა კანფეტები, ისე დააცხრნენ, ერთ წუთში აღარ იყო.

... მაგრამ, წითელთავა ბიჭუნას, ბადრი იმედაშვილს სასტიკი იმედგაცრუება ელოდა ... ბოლოს, როგორც იყო მოვიდა 226 შემადგენლობა. ჯერ ოთხი საათით იგვიანებდა, მერე ორი საათით, მერე მთელი ერთი საათი ახლო სემაფორზე იყო გაჩერებული ... დედამ არ მოინდომა მამიდასთან წასვლა, მერე ყველანი ერთად მივიდეთო, გასვლა-გამოსვლად არ ღირსო, თანაც ტრამვაიში ისეთი ჭყლეტაა ყოველთვისო. სადგურის ბუფეტში შევჭამოთ რამე და ამასობაში დროც გავაო. ახლომახლო მიდიმოდიოდნენ, გარს უვლიდნენ რკინიგზის სადგურს.

ჩამოიცალა, ჩამოიცალა, ჩამოიცალა ის უგრძესი შემადგენლობა ბიჭუნა თვალდაცეცებული უყურებდა მგზავრებს "ღმერთო ჩემო, ნუთუ არ ჩამოვიდა ..." ჩაილაპარაკებდა თავისთვის დედა. "არა, არა, შეუძლებელია არ ჩამოსულიყო ... მაშინ შეგვატყობინებდა," ჯიუტად ამბობდა ბიჭი, "აგერ ჯერ ისევ ჩამოდიან მგზავრები ..."

ბაქანზე გადიოდნენ და გამოდიოდნენ, ვაგონების ფანჯრებს შეჰყურებდნენ ... შორს, გრძელი შემადგენლობის ბოლოს დაინახეს კაცი, რომელიც ძალიან ნელა მოდიოდა, უფრო სწორად, მოხანხალებდა, დედა აღელდა, მყისვე იქით გაეშურა, კაცს სახე სრულიად გაშავებული ჰქონდა, ისიც მათკენ მოდიოდა და, ამოთეთრებულ თვალებს აცეცებდა ... ძველმანებში იყო გამოხვეული და ხელშიც არაფერი ეჭირა.

"ლუკა?" შესძახა მათიკომ, "ლუკა! ლუკა!"

"მათიკო ... ჩემო მათიკო ... ბიჭიი? ... ბადრიი?"

ნუთუ ეს იყო მამა! ეს ხომ უცხო კაცი იყო! სრულიად უცხო! კიდევ კარგი, უკან გადაიწია, ხელები გაასავსავა და თვითონ-

ვე თქვა: "არ მომეკაროთ ... საშინელი ჭუჭყიანი ვარ ..." გაშტერებული უყურებდა მათიკოსა და ბადრის, "დედა როგორ არის, დედა", რაღაცნაირად ლაპარაკობდა, თითქოს ხმა უწყდებოდა.

" ლუკა, ჩემო ლუკა, ღმერთო, როგორი დაღლილი ხარ, დედა კარგად არის, ყველანი კარგად არიან, მოდი დავსხდეთ, შენ ძლივს დგახარ ფეხზე, რა დაგემართა, ავად ხომ არა ხარ?" "რამდენი დღეა მოვდივართ ... თითქმის მთელი გზა ვიდექი ... ტამბურში ... ისეთი ამბავი იყო ... ზედახორა ... თან ეს ჭვარტლი, ორთქლმავლისა ... დაბანა სულ არ შეიძლებოდა ... არ გაცლიდნენ ..."

"არა უშავს, არა უშავს, მთავარია დაბრუნდი ... აქა ხარ ჩვენთან ... ყველაფერი კარგად იქნება, დედაც კარგად არის, ბადრი კიდევ, რომ იცოდე, უბნის ატამანია, დიდი ბიჭებიც კი მეგობრობენ ... ღმერთო ჩემო, რა დღეში ხარ, ალბათ გშია კიდეც ..." ამ უცხო კაცმა ვითომ დამცინავად ჩაიცინა, ალბათ, თავის თავს დასცინა, გამჭვარტლული, გამხდარი სახე მთლად დაეპრანჭა.

ნელა მიდიოდნენ სადგურის შენობისკენ ...

"როგორ ველოდი თქვენთან შეხვედრას ... სული მელეოდა ... ხალხი რომ შეთხელდა, ჩემოვჯექი და ჩამეძინა ... მაპატიეთ ... მაპატიეთ ..."

სადგურის დარბაზში რომ შევიდნენ და გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ, საზურგეზე გადაესვენა და გული შეუწუხდა. მათიკო თავქაჯშეყრილი დარბოდა წყლისთვის ... ხალათი ჩაუხსნა, საფეთქლებს უზელდა, პირზე წყალი ასხურა ... როდის, როდის გაახილა თვალი, აღმოჩნდა, რომ მშიერი იყო ... ვინ იცის რამდენი ხნის ... და ასევე დიდიხნის უძილო. აღმოჩნდა, რომ ომში წაყვანიდან ორი წლის შემდეგ ტყვედ ჩავარდა და გერმანიის სიღრმეში, ფერმერთან ბატრაკად მუშაობდა. ამერიკელების შემოსვლის შემდეგ, ტყვეები საბჭოთა კავშირს რომ გადასცეს, რამდენიმე თვე ტყვეთა ბანაკში გაატარა და ახლა, განთავისუფლებული, იქიდან მოდიოდა, უჭმელ-უსმელი, ტანჩაუცმელი და გასავათებული. მათიკოს უნდოდა იმავე დღეს, ღამის მატარებლით დაბრუნებულიყვნენ თელავში, მანამდე მამიდა ვნახოთო, შენ დაიბან, გასუფთავდები და გვიან წამოვალთ სადგურზეო. მაგრამ ლუკამ არ ინდომა, მე აუცილებლად პატრიარქს უნდა

როგორმე შევხვდე და დღეს ვეღარ მოვასწრებო, ამიტომ ხვალ-ღამ წავიდეთო. გაუკვირდა მათიკოს, პატრირქთან რა გინდაო? წმინდა ადამიანია, რჩევა მინდა ვკითხო, ჩემს შესახებ მოველაპარაკოვო, მერე გეტყვი ყველაფერსო და სხვა აღარაფერი უთქვამს.

მამიდასთან წავიდნენ, მათ მშვენიერი სახლი ჰქონდათ საბურთალოზე, შავ ბაზართან ახლოს. მათიკომ მეორე დილითვე ქმარს შავ ბაზარზე შარვალ-ხალათი უყიდა. დაბანილი, გასპეტაკებული, ახალი შარვალ-ხალათით ლუკა ადამიანს დაემსგავსა და, სიგამხდრის მიუხედავად, სანდომიანად გამოიყურებოდა. ბადრი კი პაპიდის შვილიშვილებმა, მასზე ცოტა უფროსმა ბიჭებმა, ლისის ტბაზე წაიყვანეს და ძალიან ნასიამოვნები დაბრუნდა. მაგრამ ღამით, მატარებელში გაგონილმა ამბავმა, ჯერ უცხო მამასთან შეხვედრაც რომ არ განელებოდა, ყველაფერი ჩააშხამა. რბილი ვაგონით ბრუნდებოდნენ, ბიჭი მაღლა თაროზე იწვა, დედა და მამა, სანამ მოისვენებდნენ, დაბლა, მის მოპირდაპირედ დასხდნენ, მამას დედის ხელი ეჭირა, დაიხრებოდა ხოლმე და ჰკოცნიდა და თან დღევანდელ ამბავს უამბობდა, ბიჭისთვის სრულიად მიუღებელ ამბავს.

დღეს ძალიან კარგ ფეხზე ვიარეო, სანამ საპატრიარქოში ჩავიდოდი, ქაშუეთში სანთლის დასანთებად შევედიო (ეს სულ არ გაჰკვირვებია ბიჭს, თვითონაც ბევრჯერ დაუნთია სანთელი თელავის ღვთაებაში და სწორედ წმინდა გიორგის შევედრებია მამის დაბრუნებას). ქაშუეთში ხარაჩოზე მხატვარი იდგა და ზევით, გუმბათთან ღვთისმშობელს ხატავდაო ... და აი, პატრიარქი თავისი ამალით სწორედ ჩემი იქ ყოფნის დროს მობრძანდა მხატვრისა და ფრესკის სანახავადო ... ღმერთო, რა დიდებული პიროვნებაა ჩვენი პატრიარქი, მათიკო, მე სულ არ გამჭირვებია მას ვხლებოდი და ჩემი ამბავი მეთქვაო, რომ თავის დროზე სასულიერო სასწავლებელი და სემინარია მაქვს დამთავრებული, მერე კი უნივერსიტეტი, და ახლა, ამდენი წვალებისა და ხეტიალის შემდეგ, მსურს ღვთის მსახური გავხდე, ყველაფერს გავიმეორებ კარგად, საღვთისმეტყველო ლიტერატურა, სახარება ვრცელი კომენტარებით, წმინდა მამების ქადაგებანი, ყველაფერი შენახული მაქვს-მეთქი და დროს როგორც თქვენ და-

მიწესებთ, ისე ჩაგაბარებთ გამოცდას-მეთქი, და თუ ღირსად მცნობთ, სადაც გამამწესებთ, იქ წავალ და იქ ვემსახურებვი ღმერთსა და ხალხსა-მეთქი. და დედამ, დედამ, იმის მაგივრად, ეთქვა: შენ ჟამგადასული მოხუცი ხომ არა ხარ, ანაფორა აიფლარტო, სად უნდა გამოყოს ბიჭმა თავი, სადაო, ალერსიანი კილოთი დაუდასტურა: ჩემო ლუკა, ჩემო კარგო, შენ როგორც მოისურვებ, შენ როგორც გადაწყვეტ, ისე უნდა იყოს ყველაფერიო.

მღვდელი! ესე იგი მამას მღვდლობა უნდა! მღვდლობა სურს! რომ ანაფორა ეცვას! როგორც ასი წლის მოხუცს! გრძელი წვერი ჰქონდეს! ვითომ მოხუცია! მღვდლები ხომ ძალიან მოხუცები არიან! გურამისა და გიშერის პაპა, პაპა პეტრე, ან ალიკოს პაპა, მღვდელი ალბუთაშვილი, უუჰ, ორასი წლისები არიან, ძველი დროიდან არიან მღვდლები, არცერთ მის ამხანაგს მღვდელი მამა არა ჰყავს! განა ეს წარმოსადგენია? მამა ხომ ორმოცდაერთი წლისაა! ჯერ ხომ ახალგაზრდაა, ღმერთო ჩემო, ანაფორის ფრიალით უნდა იაროს და დასცინონ? სად მეომარი, სად მღვდელი ... გაუკრთა ძილი, გაუკრთა, როგორი ლექსი მოამზადა, "კაი ყმა", უნდა უთხრას, მთელი ხალხის წინაშე, ხო აპირებდა კიდეც, ხო ამისთვის ისწავლა, ახლა მითუმეტეს აუცილებლად ეტყვის, ვინ არის კაი ყმა, რო გაიგოს და შეიგნოს კიდეც!

სახლში რომ ჩავიდნენ, მამას ორი დღედაღამე გაბმით ეძინა. ზოგჯერ მცირე ხნით გაიღვიძებდა, მცირე საზრდელს მიიღებდა, წყალს დალევდა და ისევ ძილს მიეცემოდა. ყველაფრიდან ჩანდა, როგორი ტანჯვის გზა ჰქონდა გამოვლილი. ბადრის კი, ოჰ, რა გული სწყდებოდა, რომ მამა ამ შნოთი დაბრუნდა და თან რა განზრახვა აქვს გულში ჩადებული!? უნდოდა შესცოდებოდა და ისეთ უცხოობას გრძნობდა, იმდენად არ ეჩემებოდა, რომ შეცოდებაც ასერიგად ვერ ეკარებოდა მის გულს, ჯერ მამასაც კი ვერ ეძახდა. ბებიამაც ძალიან აუბა მხარი თავის ვაჟს, თუ ვინმეს შეჰფერის ჩვენს დროში მოძღვარი გახდეს, რა თქმა უნდა, ჩემს შვილსო. "იცი, დედა, ჩვენმა პატრიარქმა გულთან ახლოს მიიტანა ჩემი თხოვნა. მართლა მამაშვილურად მიმიღო და ერთი თვის შემდეგ დამიბარა." ეუბნებოდა დედას ლუკა. ბიჭს კი გული უტიროდა. არ მინდა მღვდლის შვილი ვიყო, არ მინდა და

რა ვქნაო!!

ბებიამაც და დედამაც თავი გადაიკლეს, არ შეიძლება სუფრა არ გავშალოთ და ახლობლები არ მოვიწვიოთო. რაღაც უცნაურად ეჭირა თავი, სუფრა და ქეიფი რა საჭიროა. როგორ, ჩვენ შევუთქვით, შენი დაბრუნება რიგითა და წესით უნდა აღვნიშნოთო! და მართლაც, დიდებული სუფრა გაშალეს, მოიწვიეს ნათესავები და ახლობლები. გაჭრიალდა სიმღერები, ერთმანეთს მიეწყო სადღეგრძელოები, და აი, ბადრის სადღეგრძელო რომ დალიეს, ბიჭი აქეს და ადიდეს, მაშინ გადაწყვიტა სამადლობელი ვაჟას ლექსით გამოეხატა, ოღონდ იფიქრა "კაი ყმა" ძალიან დიდი ლექსია და სუფრას ალბათ, "მხედართა ძველი სიმღერა" უფრო მოუხდებაო. მამის მოპირდაპირედ იჯდა, სუფრის ბოლოში, წამოდგა, თავი ასწია და ლექსის თქმა დაიწყო. ან რა გამოთქმით, ან რა ხმის მიმოქცევით, ან რა ხელის მოძრაობითა და თავისი ლამაზი, ლურჯი თვალების ფოფინით ... "ხვალ გვინდა ცემა მტრისადა, ხმლის ქნევა, ფარის ფარება, შავის შავხალის ხანჯრისა, მტრისად გულღვიძლში ტარება, იხაროს მინამ მშობელმა, გული გვაქვს პაპათეული, სისხლი გვიფუის ძარღვებში, სისხლი ლაშქრობას ჩვეული! სამშობლოს არვის ნავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება, თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება ..." ლექსის თქმის დროს სულ მამას უყურებდა და დამთავრებისა და ტაშის შემდეგ პირველად დაუძახა "მამა".

"მამა, მამა, რამდენი გერმანელი მოკალი?" ლამის გამარჯვების ყიჟინით გასძახა, თითქოს ისევ ლექსის ტაეპს ამბობსო და მამამ საოცარი, საშინელი რაღაც თქვა, ისეთი რამ, ბიჭს უნდოდა მიწა გახეთქოდა და შიგ ჩავარდნილიყო, თანაც ყველას წინ, სტუმრების წინ, არც მორიდებია მამას, არა, არ მორიდებია, თვალი თვალში გაუყარა, ხომ არ ხუმრობსო, მართალს ამბობს თუ არაო. მაგრამ მამა ყოვლად სერიოზულად ამბობდა:

"არცერთი, ჩემო ბიჭო, მე არცერთი გერმანელი არ მომიკლავს."

"როგორ არცერთი, როგორ!!" დაიძახა ბიჭმა.

"მართლა, ჩემო ბიჭო, მართლა, ეტყობა ძვალსა და რბილში მქონდა გამჯდარი მოსეს ერთერთი მთავარი მცნება — არა კაც

კლა," სტუმრებს გადახედა, და განაგრძო: "ყოველგვარი ომი ბოროტებაა, თუნდაც ამას სამამულო ერქვას, რა თქმა უნდა, სამამულო ნაკლები, მაგრამ მაინც, რადგან სრულიად ბუნებრივად შეიძლება ბოლოს დაპყრობით ომში გადაიზარდოს და სამართლის სახელით ისეთივე მხეცობა, ძარცვა-გლეჯა და არამზადობა ჩაიდინონ, როგორც დამპყრობლური ომის დროსო ... ყოველ შემთხვევაში, მე ერთი სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ, იმ გერმანელისა, დავარქვათ თუნდაც მოარული სახელი ფრიცი, რომელმაც მე არ მომკლა, ამბავი კი ასე იყო, ჩვენ დაახლოებით ორმოცდაათ მეტრში აღმოვჩნდით ერთმანეთის მოპირდაპირედ, მე თოფი ჩამოვიღე, არ გესვრი-მეთქი, ვანიშნე, მაგრამ მან დამიმიზნა, მე მაშინალურად შევბრუნდი, მან მესროლა, მაგრამ დუნდულაში, სქელი შინელი მეცვა, დაბამბული შარვალი, რა თქმა უნდა, ტყვიამ გაიარა, ახლაც დუნდულაში მაქვს, იმ გერმანელის სახსოვრად, მივიხედე, იცინოდა და ხელს მიქნევდა, რომ იცოდეთ, რამდენჯერ მიფიქრია, მე იმას სად ვნახავ, ვინ იცის, ცოცხალიც აღარ არის, მაგრამ შესაძლებელი რომ ყოფილიყო ერთად დავმსხდარიყავით, დაგველია და გვეთქვა ორივეს ერთად, რა საზარელი ბოროტებაა ომი, მე მჯერა, ის არ იყო ფაშისტი, ისევე, როგორც მე არა ვარ ბოლშევიკი, ... მაშ მოდით იმ ჩემს გერმანელს გაუმარჯოს, თუ ცოცხალია და თუ მოკლეს, ღმერთმა აცხონოს." და დალია. ყველამ მხარი აუბა, გაუმარჯოს, გაუმარჯოსო, შენ კი ყოველთვის ასეთი უცნაური იყავიო. ბიჭი წამოწითლდა, თავი ჩაღუნა, უცნაური კი არა, ლაჩარი, ლაჩარი, დასცინა იმ გერმანელმა, სიკვდილის ღირსადაც არ ჩააგდო და აგერ სად უსვრია ... დარწმუნებული იყო მამის სილაჩრეს ვერასდროს ვერ შეეგუებოდა, ვერა, ვერა ... სულ ... სულ ჩაშხამდა ყველაფერი ... ყველაფერი ... სუფრიდან წამოდგა, გარეთ გავიდა, ბაღის ბოლოს მსხლის ქვეშ ჩამოჯდა და ბოლმის ცრემლებმა აუვსო თვალები.

ვინა თქვა, ვინა, რომ მტერი არ უნდა მოკლა, ვინ ქვეშაფსიამ, ვინ მშიშარამ ... არ ვაპატიებ, არა, არა, არასოდეს, წახვიდე ომში და თოფი ან დაბლა ისროლო, ან მაღლა, რომ საზიზღარი ფაშისტი არ გააგორო ... ყველასთან მაინც არ ეთქვა ეს საშინელება, თავი არ მოეჭრა, როგორ უნდა შეეგუოს ასეთ მამას, როგორ!!

და იმის შემდეგ სულ გარეგარე იწევდა, სახლში გული აღარ უდგებოდა ... განსაკუთრებით მაშინ ერეოდა ბოღმა და შეურაცხყოფა, დედა და მამა რომ შეიეკეტებოდნენ თავიანთ ოთახში და ერთად ყოფნით ვერ ძღებოდნენ, მიყურადებული იყო და თუმცა სიტყვები არ ესმოდა, ძალიან ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, მაგრამ კილო, კილო, ის აუტანელი ალერსიანი კილო, ის სიყვარულით სავსე ღულუნი აგიჟებდა. უნდოდა სიბრაზით ეყვირა, ასე ეგონა დედას უთმობს ულირსსა და ლაჩარს, ვისაც უფლება არა აქვს, არა, არა, არა, არავითარი უფლება, მის დედას, მშვენიერს, უმშვენიერეს ახალგაზრდა ქალს, მასავით წითელთმიანს და რძისფერსახიანს დაეპატრონოს. ერთხელ, შეღებულ კარებში დაინახა, როგორ მოხვია დედამ თავისი გრძელი, თეთრი მკლავები, როგორ ჩაეხუტნენ ერთმანეთს და კოცნა დაუწყეს ... გაიქცა ისევ გარეთ, ბაღის ბოლოს მსხლის ქვეშ ძლივს მოიოხა გული, განა შეიძლებოდა ჯაბანი კაცის სიყვარული, შეიძლებოდა? არა! არა! არა! არ შეიძლებოდა! თან ეს ჯაბანი კაცი დიდ ბელადს როგორ აგინებდა, რაებს ამბობდა? არავითარი განსხვავება არ არის ჰიტლერსა და სტალინს შორისო. ტირანსა და ურჩხულს უწოდებდა კაცს, ვის წინაშეც გამარჯვების ზეიმის დროს სვასტიკიანი დროშები დაყარეს, ქრონიკაში ხო ნახეს ბავშვებმა; უყურებდა თვალებადქცეული, ისეთი თაყვანისცემით, აღტაცებითა და სიყვარულით მოცული, ეგონა გული საგულედან ამოუფრთხიალდებოდა.

ვის? ვის ჰქონდა უფლება გადაბრუნებული სიტყვა ეთქვა ბელადზე? ამ კაცს? ერთი გერმანელი რომ არ მოუკლავს და ახლა ცდილობს თავის შვილს საშინელი აზრები შთააგონოს!

და ერთ დღესაც ბიჭები დღის სეანსზე წავიდნენ კინოში, კვირა დღე იყო. სადილად ელოდნენ და არ მოვიდა, ალბათ, ბიჭებთან ხელს გადაჰყვაო, იფიქრეს, მაგრამ არც საღამოს გამოჩენილა. აქეთ-იქით ეცნენ, არსად არ იყო, არც ბიჭებთან, არც ნათესავებთან, არსად. ატეხეს განგაში, დაიწყეს ძებნა, სულ შემოიარეს ქალაქის შემოგარენი და ვერსად ვერ ნახეს. ვერც მეორე დღეს. იმ ღამით ძლიერი წვიმაც მოვიდა, გადარეულები იყვნენ, აღარ იცოდნენ სად ეძებნათ. ოქტომბერი იყო, ღამღამობით გრილოდა. მესამე დღეს მთელი კლასი წავიდა საძებნელად, გადაწყვი-

ტეს ტყე შუამთამდე დაევარცხნათ, სამად გაიყვნენ და დაადგ-ნენ გზას, ერთი ჯგუფი ყრუ ხევისკენ წავიდა, მეორე ჯვარპა-ტიოსნისკენ, და მესამეც შალაურის ტყისკენ. იპოვეს. უკვე მზე ჩადიოდა, თელავის ტყის სიღრმეში, მაღლა, დიდი წიფლის კენწეროზე, ფოთლებს შორის, წითლად რაღაც შენიშნეს, ბიჭუ-ნას წითელი თმები. დაუძახეს და პასუხი არ გასცა. შეეშინდათ, მკვდარი ეგონათ. მაგრამ კიდევ კარგი, რომ ჩამოხსნეს, ძლივს სუნთქავდა, გრძნობაზეც არ იყო. ცხადია, მაშინვე წაიყვანეს საავადმყოფოში, ფილტვების ანთება ჰქონდა ორმხრივი, მაღა-ლი სიცხე და ძალიან მძიმედ იყო. ყველა ღონეს ვიხმართო, ექიმ-მა უთხრა მშობლებსა და ბებიას, მადლობა ღმერთს, არის ახლა კარგი წამალი, სულფიდინი, ამის იმედად ვართ, როგორმე გა-მოვიყვანთ მდგომარეობიდანო. და ექიმმა მშობლებს კონვერტი გადასცა, ეს თქვენი ბიჭუნას გულის ჯიბეში იდოვო. კონვერტი დაბეჭდილი იყო, მისამართი ეწერა: "მოსკოვი. კრემლი. დიდ ბე-ლადს, გენერალსიმუს სტალინს." წერილში კი აი, რას წერდა: "დიდო ბელადო, ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორო, ხალხ-თა მამავ, ძია სტალინ! მე გწერთ იმიტომ, რომ თქვენ ყველაზე ჭკვიანი ხართ, თქვენ ხართ ბრძენი ბელადი, მსოფლიო პროლე-ტარიატის იმედი და ნუგეში. მე ძალიან გამიჭირდა და სულ ცუდ გუნებაზე ვარ, იმიტომ რომ მამა დაბრუნდა ომიდან და არცერ-თი გერმანელი არ მოუკლავს. არ ვიცი შემდგომში როგორ ვიყო, მე მასთან ცხოვრება ძალიან მიჭირს, დედასა და ბებოს კიდევ უყვართ. მე ვერავის ვერ ვეუბნები ჩემ ამბავს. და რასაც თქვენ მომწერთ, ისე მოვიქცევი და იმას გავაკეთებ, გაძლევთ პიონე-რულ სიტყვას: გწერთ ბადრი იმედაშვილი, I ვაჟთა სკოლის მე-ხუთე კლასის ფრიადოსანი მოწაფე, შარშან მამასახლისადაც ამირჩიეს."

.შ. კიდევ კარგი, გადაარჩინეს ბიჭუნა. ის თანდათან დაწყნარ-და, დამშვიდდა, მამის შეგონებების შედეგად, დედისა და ბებიის მუყაითი მოვლითა და ალერსით აღუდგათ მამასა და შვილს ურ-თიერთობა. შემდგომმა ცხოვრებამ დაარწმუნა, რომ მამა არც ჯაბანი ყოფილა და არც მშიშარა, რომ ეს მისი რწმენის შედე-გი იყო. მაგრამ სტალინს კი ძვრა ვერ უყვეს, ბელადის თაყვა-ნისცემასა და სიყვარულს ვერა და ვერ სთმობდა. მაგრამ ერთ

მშვენიერ დღეს, ასე ითქმის, თორემ ის დღე, 1951 წლის 25 დეკემბერი, სულ არ იყო მშვენიერი, პირიქით, ბადრის ხსოვნაში ის დღე ბნელ დღედ დარჩა. როცა ერთ ღამეში წამოყარეს ოჯახებიანად ყოფილი ტყვედ ნამყოფები, საზღვარგარეთიდან თავისდასავალალოდ დაბრუნებული ემიგრანტები, საბჭოთა სასტიკი კანონების საფუძველზე ვითომ ეჭვმიტანილი პირები, უნივერსიტეტის მერხიდან ააყენეს მეორე კურის სტუდენტი ბადრი იმედაშვილი, შეუერთეს დედას, მამას და ბებიას ნავთლულში ჩამომდგარ გისოსებიან მატარებელში, სხვა დაპატიმრებულებთან ერთად და გაუყენეს ყაზახეთის ტრამალებისკენ. და აი, ყაზახეთის მიწურში, სადაც ბებია ჩასვლისთანავე გარდაიცვალა, ყაზახეთის ხორშაკ ქარებში ტანჯვის გზებზე ხეტიალმა საბოლოოდ განკურნა ის ბელადის თაყვანისცემისაგან. ხშირად ხომ სწორედ ტანჯვაა საუკეთესო მკურნალი.

# „მოგონება შორისა“

(1947 წელი)

ერთსართულიანი სახლის მოზრდილი სასადილო ოთახი, წინ აივანი, და იქვე, ეზოში აყვავებული ვარდნარი. ნატო, ასე 43 წლის ქალი, ბაღის ხელთათმანებითა და ბაღის მაკრატლით ხელში, ვარდებს შორის მიდი-მოდის, ზოგს შეუმჭკნარ ფოთლებსა და დაფურცლულ ვარდებს აცლის, ზოგს შემხმარ შტოს, ... ბუტონებსა და გაშლილ ვარდებს სიამით ავლებს თვალს, წამიერად ყოველ მათგანთან ჩერდება და ილიმის, მერე იღებს თუნუქის სარწყავს და იწყებს ვარდების რწყვას... სახლის რომელილაც ოთახიდან ისმის ვიოლინოს მკვეთრი ხმა, ეტყობა მეცადინეობენ, ზოგჯერ პასაჟი რამდენჯერმე მეორდება... ბაღის სიღრმეში სამეზობლო კარი გარახუნდება, ბილიკზე გაჩქარებით მოდის ბაბო, ასე 73 წლის თმაშევერცხლილი, სიმპათიური, ჯოხზე დაყრდნობილი მანდილოსანი, მას საშინაო ხალათი აცვია ჩითისა; აშკარად ეტყობა, რომ შეშფოთებულია, მოუსვენრად იყურება აქეთ-იქით და ერთხელაც ისე ჩაციებით აკვირდება ბაღის სიღრმეში რომელილაც ხეს, თითქოს ვილაც უნდა დაინახოს ... ნატო თვალს გააყოლებს ბაბოს და წამიერად შეიკრავს შუბლს, მერე კი გაიღიმებს და ხალისიანად დაუძახებს:

ნატო: მობრძანდით, ბაბო, მობრძანდით, უკვე გაისტუმრეთ პაციენტები?

ბაბო: (ცდილობს არ შეიმჩნიოს შეშფოთება, ვითომ გულის გარეთ) მე შენთან საქმე არა მაქვს, ქალო, მე რუსუდანთან შევალ...

ნატო: სახლში არ არის, დეიდა ელიჩკასთან გადავიდა, სამურაბე ვარდის ფურცელი გადაუტანა, აი, ეს არის, ახლა წავიდა, თქვენ რა ქენით, მოხარშეთ მურაბა?

ბაბო: არა, არა, ჯერ არ მომიხარშავს, მაგრამ აუცილებლად მოვხარშავ! (როგორღაც მტკიცედ, ჯიუტად დაამატებს) აუცილებლად!

ნატო: დედას ძალიან კარგი გამოუვიდა.

ბაბო: მაშ არა და?! მეც ვიცი, მეც ვიცი კარგი მურაბის მოხარშვა...

ნატო: შეხედეთ, ბაბო, რა დღეშია ჩვენი ვარდები!?

ბაბო: ოოჰ, შენა და შენი ვარდები... (არც უყურებს ვარდებს, სახეს უსიამოვნოდ შეიჭმუხნის) რუსიკო უკრავს და უკრავს?

ნატო: უკრავს, უკრავს, ჩვენ კი დავლიოთ ჩაი ვარდის მურაბით, ხომ იცით, გულისთვისაც სარგოა.

ბაბო: რაღაც ძალიან აგრესიულს უკრავს...

ნატო: გამოცდისთვის ემზადება, ღია კონცერტზე უნდა დაუკრას... (თან ისევ რწყავს) უყვართ ვარდებს წყალი,... და თურმე მოფერება და დაყვავებაც ჰყვარებიათ...

ბაბო: ოჰოჰოჰო, რა შეუპოვრად უკრავს...

ნატო: არა, ბაბო, რას ამბობთ, უბრალოდ ენერგიული ნაწარმოებია, პუნიანი-კრეისლერის ინტროდუქცია და ალეგრო.

ბაბო: ვის როგორ ... ვის როგორ ... მახსოვს, შენც არ გინდოდა ვიოლინოზე შეგეყვანა.

ნატო: ჰო, მე ფორტეპიანოზე ვფიქრობდი... ახლა კი მიხარია... ვანოს საჩუქრად დარჩა... (გულდაწყვეტით) მაშინ სულ უბრალო, რიდინგის კონცერტს უკრავდა და ახლა ასეთ რთულ ნაწარმოებს ამზადებს...

ბაბო: მაგრამ მეტად შემტევი რაღაცაა, ნუთუ მუშაობაში ხელს არ გიშლის?

ნატო: არა, რას ამბობთ, მე ისე ვარ მიჩვეული რუსიკოს მეცადინეობას, მეწისქვილესავით, სიჩუმე უფრო შემიშლიდა ხელს, (დადგამს სარწყავს, მოაჯირთან მიდის და იძახის) რუსიკო, გადი ფანჩატურში და იქ იმეცადინე! (ვიოლინოს ხმა წყდება, ნატო ისევ სარწყავს დაავლებს ხელს, ბაბო თავის ქნევით გააყოლებს თვალს ნატოს... ახლა უკვე სიღრმიდან მოისმის ვიოლინოს შედარებით ხმადაბალი დაკვრის ხმა).

ბაბო: (ვითომ ხუმრობით) ამდენი რწყვაც რა ამბავია?! ნუ გადაჰყე ეს ახალგაზრდა ქალი ამ ვარდებს... (მიბრუნდება და განზე წავა, სამეზობლო კარისკენ, გაფაციცებით იყურება იქითკენ... მერე ისევ ბრუნდება ნატოსთან და ხათრიანად, თითქოს საწყლად ამბობს) იქნებ ოთახში შევსულიყავით...

ნატო: ახლავე, ბაბო, ახლავე, ცოტაოდენი წყალიც დამრჩა... ახლახანს გამოვედი, ვიჯექი, ვმუშაობდი და... (შეხედავს ბაბოს, რომელიც თავანვდილი სადღაც გაიყურება) საით იყურებით,

ბაბო, ნახეთ აქ რა ხდება, შეხედეთ, (უთითებს ერთ-ერთ ვარდზე) მართლა ნამდვილი პრეზიდენტია, ტყუილად კი არ ჰქვია ეს სახელი... ახლა კი ამას შეხედეთ, ეს ჩემი სიამაყეა, გლორია! დაყნოსეთ, თუ ხათრი გაქვთ, რაღაც არაჩვეულებრივი, მქრქალი სურნელი, ჯოკონდას ღიმილივით, (ნატო ცდილობს გაუფანტოს ბაბოს შეშფოთება და გაართოს ვარდებით) ან იმას, იმას, ვარდისფრად რომაა აფეთქებული, ელიზაბეთს... (ბაბო უნდომლად, მაშინალურად ატრიალებს თავს აქეთ-იქეთ, ცდილობს აჰყვეს ნატოს, მერე უსიამოვნოდ გაიქნევს თავს და ლამის წყრომით ამბობს:

ბაბო: ოოჰ, აწყურში ჩვენი სახლი ხვიარა ვარდების გირლიანდებით იყო მოფენილი, ლამის სახურავამდე უწევდა, თან რა სურნელი, რა სურნელი, დაიბნიდებოდა კაცი, ასე კი არა, ამ შენს ვარდებს არავითარი სურნელი არ გააჩნიათ...

ნატო: (წყენით) რას ამბობთ, ბაბო, მართალია, გლორიასა და ელიზაბეთს ნაზი სურნელი აქვთ, მაგრამ ნახეთ ეს წითელი მოსკოვი რა სურნელს აფრქვევს!

ბაბო: (შეხედავს წითელი ვარდის აწვდილ ბუტონებს, უსიამოვნოდ შეიჭმუხნის შუბლს) უჰ, როგორ თავხედურად აუწვდიათ ბუტონები ამ წითელ ვარდებს!

ნატო: თავხედურად კი არა, თავმომწონედ, გთხოვთ ჩემი თვალით შეხედოთ და დატკბეთ! შარშან კისლოვოდსკიდან რომ ჩამოვიტანე, ნახეთ, როგორ აიყარა ტანი, და თან ისეთი მძაფრი სურნელი აქვს, ხვიარა ვარდებს არც მოელანდებათ...

ბაბო: (მწყრალად) ბედნიერი ადამიანი ხარ, ბედნიერი, ასე შეჰხარი ამ სიწითლეს!

ნატო: აბა, აბა, ჩემი ბედნიერება აღარსად ეტევა, (იცინის) თქვენ კიდევ ნუ ურევთ წითელ ვარდს წითელ დროშასთან, ყვავილებისნაირ სინაზეს ხომ არაფერი არ აღძრავს... Как не любить мне вас, цветы, я с вами выпил бы на ты...

ბაბო: (მოულოდნელად დაინტერესდება) ეგ ვისი სიტყვებია?

ნატო: ესენინის ... ვანოს ხომ ძალიან უყვარდა პოეზია, და ამ ლექსსაც ამბობდა ხოლმე, Шуми левкой и резеда, С моей душой стряслась беда, Стряслась беда с моей душой, Шуми левкой и резеда... (ერთბაშად სიტყვას გადაიტანს, თითქოს იმისათვის,

რომ მოგონება ჩაახშოს) თანაც რომ იცოდეთ, ყვავილები რამდენი რამის სიმბოლოს გამოხატავენ?! (დადგამს სარწყავს, ხელთათმანებს წაიძრობს, მაკრატელს ხალათის ჯიბეში ჩაიდებს) დრო რომ მქონდეს საკმარისი, დავჯდებოდი და დავაკვირდებოდი, როგორ იშლება ვარდები...

ბაბო: მე კი წითელი ვარდებიც კი მაფორიაქებს, მაფორიაქებს და რა ვქნა!? (ჯერ წყრომით, მაშინვე კი შეიცვლის კილოს, უმწეოდ აღმოხდება) ოჰ, ღმერთო, არსად წასასვლელი აღარა ვარ... არსად... და რა ვქნა?

ნატო: კარგით რაა, ბაბო, ჩვენი და თქვენი სახლი რამ გაყო? ჩვენა ვართ სხვაა, ჩვენაა? (ხელს მოჰკიდებს, აივნისაკენ მიჰყავს) განსაკუთრებით ბავშვობაში ხომ თქვენს კაბინეტში ყოფნას არაფერი მერჩია, ჩამოვჯდებოდი და გატაცებით შემოგყურებდით, და ასე მეგონა რაღაც ჯადოსნურ ილეთებში იყავით ჩართული, როგორ გქონდათ ხელები გაწვდილი, როგორ ატრიალებდით ბორმანქანას, როგორ სცვლიდით ბურღებს, როგორ უდებდით კბილში პაციენტს ბჟენს... და თან ისეთი სერიოზული, ჩაღრმავებული და ლამაზი იყავით, რაღაც გაფურჩქნული, თვალს ვერ გაშორებდით...

ბაბო: (დამცინავად) გაფურჩქნული ვარდივით? ჰოო, სიმბოლოებიო? ვითომ რა სიმბოლოებია, რაო?

ნატო: ქრისტიანულ სიმბოლოებში წითელი ვარდი ქრისტეს გოლგოთაზე დანთხეულ სისხლს გამოხატავს.

ბაბო: აი, ხედავ? ტყუილად არ მაფორიაქებს ესე იგი...

ნატო: (სიცილით) ოოჰ, თქვენთან არაფრის თქმა არ შეიძლება, დამშვიდდით, სხვაგან კიდევ სიყვარულს გამოხატავს, და საერთოდ, ვარდების ბაღი სამოთხის სიმბოლოა, ახლა რაღას იტყვით?

ბაბო: რა კარგია, რომ თქვენს ბაღს ქუჩასთან არავითარი კავშირი არა აქვს, ჩემი ეზო ხომ ქუჩის გასწვრივ არის, ჩემი ოთახებიც ქუჩაზე გადადის, მაინცადამაინც მათ გასწვრივ და მათ პირდაპირ, და მე ვასოს შემდეგ სულ აღარ ჩავდივარ ბაღჩაში, სულ აღარ.

ნატო: ჰო, გუშინ გადმოვიხედე და ვიფიქრე კიდეც, ყაზარა ხომ არ გავუგზავნო-მეთქი, ცოტა მოხედოს იქაურობას, ძია ვა-

სოს ოლეანდრები მთლად ჩამომჭკნარია, ფოთლებზეც ჟანგი აქვს მოდებული.

ბაბო: თუ ღმერთი გწამს, ნუ მისაყვედურებ, რაც ასე გადამეკიდნენ, აღარაფრის ხალისი არა მაქვს! იყო სახლი, მშვენიერი სახლი, მშვენიერი ხალხით დასახლებული... სადღაა, სადა...

ნატო: მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი, ბაბო, ჩვენ აქ დავიბადეთ და აქ ვცხოვრობთ, ამას არაფერი ეშველება... (შედიან ოთახში, ნატო ფანჯარასთან სავარძელზე მიუთითებს ბაბოს, თვითონ სამზარეულოში გადის და სანამ შემოვა, ბაბო სწრაფად კეტავს ფანჯარას, მიდის დარბაზში გამავალ კართან, გაფაციცებით გაიხედავს და დარბაზის კარსაც მიკეტავს, მერე სწრაფად ჯდება სავარძელში, გახედავს ნატოს, რომელსაც სამზარეულოდან სამოვარი გამოაქვს, ბუხარში დგამს).

ნატო: მართლა, თქვენ ნასადილევი ხართ? (სამოვარში წყალს ასხამს ტოლჩიდან და ბუხრიდან ნახშირს ყრის.)

ბაბო: რუსუდანს შვინდის შეჭამანდი და ისპანახი გამოეტანებინა რუსიკოსთვის. ხომ იცი, შვინდის შეჭამანდი გულს მაპოვნინებს ხოლმე... თან ჩაისაც დავლევთ და...

ნატო: რა თქმა უნდა, ცოტა გვიან დუღდება ჩვენი სამოვარი, მაგრამ არაფერია, ჰოდა, ერთი კარგად ვიჩაიოთ. (ნატო მაგიდასთან მიდის, სადაც წიგნია გადაშლილი, ცალი თვალით ჩახედავს და დახურავს წიგნს, დგას და თითქოს არ იცის რა გააკეთოს).

ბაბო: (უცებ, აშკარა სასოწარკვეთით) მე რომ არა, შენ ახლა იმუშავებდი, რა საშინელებაა, იყო სახლი, მშვენიერი ხალხით დასახლებული... რა თქმა უნდა, იმუშავებდი.

ნატო: ხვალ ოპერაცია მაქვს, ვიფიქრე ჩავიხედავ წიგნშიმეთქი, მაგრამ არაფერია, წელანაც ვკითხულობდი, მოგვიანებითაც გადავხედავ, მართლა, მართლა, ბაბო, არაფერია...

ბაბო: როდემდე, როდემდე, გეკითხები, როდემდე?! რას გადამეკიდნენ, ნატო, რა უნდათ ჩემგან.

ნატო: (მკაცრად) თქვენგან პირველ რიგში თქვენს პაციენტებს უნდათ, ბაბო, თქვენს პაციენტებს, მთელი სიცოცხლე ბუზივით რომ გეხვეოდნენ!

ბაბო: მერე ასეთი ძნელი პროფესია მაინც არა მქონდეს, ძნელი და რთული, (ხუმრობით) შენსავით ჭრა-კერვა კი არ არის.

ნატო: რა თქმა უნდა, ქირურგობა ჭრა-კერვაა და კბილები კიდევ ძნელზე ძნელია. (გულიანად იცინის).

ბაბო: იცინე, იცინე და ორმოცდაათი წელია აი, ასე მიჭირავს ხელები, (ნინ გაინვდის ხელებს) ისე დამღლია, ისე, ღამე სად ნამეღო აღარ ვიცოდი ხოლმე, და ორმოცდაათი წელი პირის ღრუში ყურება, როგორია?" მერე ფესვები? თუ მითუმეტეს გამრუდებული ფესვებია და ნერვები? სხვათა შორის, самое чувтсвительное место в человеческом организме – это зубная пульпа! აბაა! და კარონკების მორგება? და რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო?! ზოგს მაინც ისეთი პირის ღრუ აქვს, ბუხრის მწმენდავთან უნდა მიდიოდეს, და არა ჩემთან ... და შეიძლებაა ჩემი აფორიაქება და აღშფოთება, გეკითხები, ნატო, შეიძლებაა?!

ნატო: დამიჯერეთ, სულ ტყუილუბრალოდ იშფოთებთ თავს, ძალიან გთხოვთ, იფიქრეთ თქვენს პაციენტებზე, თავის საქმეზე ფიქრი, საკუთარ საქმეებში ჩართვა ყოველთვის აწყნარებს ადამიანს.

ბაბო: კარგი ერთი დაა! ჩავედი მაღაზიაში სულ ცოტა ხნით, დავბრუნდი და ყველაფერი არეულ-დარეული დამხვდა, ლოგინი აშლილი, შიფონერის კარი გამოფრიალებული, ვასოსეული ის დიდი ფინჯანი გარდნერისა იარაღების კარადის თავზე შემოდებული ... რა არის ესა, გეკითხები, რაა, რაა!!

ნატო: ბაბო, ბაბო, მაღაზია ხომ აქვეა, და წასვლა-წამოსვლაშიც დაინახავდით თქვენთან ვინმე რომ შესულიყო.

ბაბო: ვერ დავინახავდი, ვერაფრით ვერ დავინახავდი! უკანუკან ხო არ დავიწყებდი ყურებას, კისერი მომელრიჯაა?

ნატო: განა არა, კლავა ძალიან წუხდა, მორიგეობა მქონდა დამატებითი და ბაბილინა მერაბოვნასთან დღესაც ვერ მივდივარო, ხვალ კი ყოველ მიზეზ გარეშე მივალ და დავუწკრიალებ იქაურობასო.

ბაბო: ვიცი, ვიცი, იყო და გამაფრთხილა, მაგრამ რაა, კლავა დაალაგებს, ისინი ისევ მოვლენ და ყველაფერს აურდაურევენ, გაგონილა ამოდენა ჩხრეკა., გაგონილაა!!

ნატო: ნულარ მიაქცევთ ყურადღებას, მოვა ხვალ კლავა და ძირისძირობამდე დაგილაგებთ სახლს, უთხარით ბაღჩასაც

მიხედოს, ცოდოა ოლეანდრები...

ბაბო: (მწყრალად) შენ მგონი ადამიანზე მეტად ყვავილები გეცოდება! ვეღარაფრისთვის გემო რო ვეღარ ჩამიტანებია, მიდი და ნუ მიაქცევ ყურადღებას...

ნატო: მტრების ჯიბრზე, ვარდისმურაბიან ჩაის კარგად უნდა ჩაატანოთ გემო, ვიცი კიდეც რომ ძალიან გიყვართ!

ბაბო: კარგი ერთი შენცაა! მოვლენ, სახლს ძირს დასცემენ და შენს ნიფხვებში იქექებიან, ეს არის საქმე?

ნატო: (მოუსვენრად) ვის რად უნდა თქვენი ნიფხვები, ბაბო, გეხვეწებით, დაფიქრდით. (წამოდგება, სამოვართან მიდის, სამზარეულოდან ფაიფურის ჩაიდანი გამოაქვს და ჩაის კოლოფი.)

ბაბო: მე არ ვამბობ ნიფხვები უნდათ-მეთქი, თუმცა მე ძვირფასი ნიფხვები მაქვს, წმინდა ბატისტისა, ბრიუსელის მაქმანებიანი.

ნატო: ვიცი, ვიცი, რომ თქვენი სუსტი ადგილი ნიფხვები იყო. (იცინის)

ბაბო: (ომახიანად) სუსტი კი არა, ძლიერი, ქალო, ძლიერი. (ერთბაშად ისევ სასონარკვეთით) მაგრამ ახლა აღარც ფლავია და აღარც ფსტანი.

ნატო: ჰო, ძლიერი, ეს ერთი და იგივეა. ფსტანი კი ის არის, ბაბო, რომ კლავა ვერ მოვიდა, სახლი დასალაგებელია, თქვენ პაციენტი გყავდათ, წყალი მოგწყურდათ, ძია ვასოსეულ გარდნერის ფინჯანს არასდროს არ იშორებთ, დალიეთ წყალი და კარადაზე შემოდგით იქვე, დამიჯერეთ, ეს არის და ესა, ამიტომ დამშვიდდით, გთხოვთ, (ცდილობს როგორმე დაარწმუნოს, მიდის მასთან, ხელს გაუწვდის, ლამის ძალად აიღებს ბაბოს ხელს და მაგრად ართმევს) გეფიცებით რაც მეფიცება, ხომ იცით, მე ტყუილად არ გეტყვით.

ბაბო: (ძალად გამოართმევს ხელს და გაიქნევს) ბევრიც რომ მეფიცო, ვერ დაგიჯერებ, პირველად ხომ არ მჩხრეკენ, შენ დაგიჯერო და საკუთარ თავს არაა!?

ნატო: (ძლივს იკავებს გაღიზიანებას) ბოლოს-ბოლოს ადექით და ჩაიქნიეთ ხელი, გჩხრიკონ და გჩხრიკონ, თქვენ ხომ არაფერი მოგინაკლისებიათ, არაა? რას ნახავენ? პლომბების ფხვნილს? დარიშხანს? მიხაკის ზეთს? სპირტს? ნახონ და ნახონ, ისედაც

ეცოდინებათ თქვენი ავლადიდების შესახებ,... პროკლამაციებს ვერ ნახავენ და თოფ-იარაღს! დარწმუნებული ვარ, დენთის საწყობიც, შინსახკომს აფეთქებას რომ უპირებთ, მიუკვლეველ ადგილას გექნებათ გადამალული, ჰოდა, დამშვიდდით!

ბაბო: შენი მიკვირს და გამკვირვებია, თქვენ გქონდათ პროკლამაციები და დენთის საწყობი, სახლი რომ ძირს დასცეს და ის მშვენიერი კაცი ნაიყვანეს, თან მთელი ყუთი ობლიგაციებისა გააყოლეს და მამაშენის ხმალი და ხანჯალიც...

ნატო: მაშინ 37 წელი იყო, ბაბო, (მოუსვენრად მიდის სამოვართან), რა არის, არც კი შიშინებს...

ბაბო: ვიცოდი, ვიცოდი, რომ ამას მეტყოდი! გავიწყდება, რომ ჩვენ მუდმივ ტერორში ვართ, ეგრეთნოდებულ პერმანენტულ ტერორში, იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ყაჩაღების ხელში და ყაჩაღი ხან მეტად იყაჩაღებს, ხან ნაკლებად, მაგრამ შეუძლებელია არ იყაჩაღოს! შე-უძ-ლე-ბე-ლი!!

ნატო: (განამებული აქეთ-იქით იყურება. აღარ იცის რა იღონოს) ბაბო, ეგ იგივეა, სტიქიურ უბედურებაზე წინანარ გავიხეთქოთ გული, აი, ვიცით, რომ კავკასიონი ახალი მთებია, და ჩვენ სეისმურ ზონაში ვიმყოფებით, მიწისძვრაზე ხომ არ ვიხეთქვთ გულს, არაა?! იაპონიაშიც კი, მიწისძვრების ქვეყანაში ხალხი მუშაობას აკლავს თავს, თქვენ კიდევ პაციენტებს უშვებთ, უშვებთ უწამლებლად, გთხოვთ, გეხვეწებით, ამოიღეთ თავიდან ეს ჩხრეკა, ამოიღეთ და მოისვენეთ, დაწყნარდით...

ბაბო: ჰო, ჰო, ვუშვებ, ვუშვებ და რა ვქნაა, რა წყალში გადავარდე?!

ნატო: (ვითომ გახარებული) ბაბო, ბაბო, კინაღამ დამავიწყდა, გუშინ ჩვენთან გადამყიდველმა კაბა მოიტანა, რუსიკოსთვის წამოვიღე, მაგრამ პატარა მოუვიდა, მაშინვე ის თქვა რუსიკომ, ეს დეიდა ბაბოს ექნება შესანიშნავადო.

ბაბო: (გამოცოცხლდება) რა კაბაა?

ნატო: ახლავე, ახლავე (მირბის მეორე ოთახში და გამოიტანს ძალიან ლამაზ, ჭრელი აბრეშუმის კაბას, რომელიც გაშლით უჭირავს ორივე ხელში).

ბაბო:(გაოგნებული უყურებს კაბას, ხელებს გაშლის) ღმერთო დიდებულო, (წამოდგება, გეგონებათ ადამიანს ეგებებაო)

ვარშავაში რომ ვსწავლობდი... ასეთი, ზუსტად ასე მოჩითული,... ფერები, ყველაფერი... თანაც წმინდა აბრეშუმი... რა დამთხვევაა... პოლონელი კავალერი მყავდა, ჰენრიკ ხრჟანოვსკი, გიჟდებოდა, ისე მოვწონდი ამ კაბაში, ირგვლივ დაკეცილი იყო, სახელოებიც დაპლესილი ჰქონდა!!

ნატო: (მიადებს ბაბოს კაბას) ზუსტად მოგივათ, მოდით ჩაიცვით, ვნახოთ ერთი!

ბაბო: (იხდის ხალათს, ახალ კაბას გადაიცვამს, ნატო შველის, თურმე უკან ღილი გასახსნელი იყო და თავი არ ჩამოსდის) აფსუს, ვიწროა, ვიწრო!!

ნატო: არა, არა, გასახსნელი ყოფილა, ნუ ღელავთ, აბა, ახლა ნახეთ!

ბაბო: (ჩაიცვამს, ხელს ისვამს, ისწორებს, ილიმება) გეგონებათ ჩემზე შეუკერიათო, (ხელებს ასწევს-დასწევს) სახელოებიც მშვენივრად მაქვს, არსად არ მაჭერს, ჩემო ნატო, ჩემთვის მოგიტანია და ეგ არის, აბა, შემომხედე უკან როგორ მადგას, ძალიან ხომ არა ვარ გამოკვალთული? (ტრიალებს)

ნატო: ვერ წარმოიდგენთ რა კოხტად გაქვთ, უკანიდან სულ შეღერებულ ახალგაზრდას გავხართ, ისეთი ტანი გაქვთ...

ბაბო: ჰო, ჰო, უკანიდან პიონერი, ნინიდან პენსიონერი. (იცინის)

ნატო: ჰოო, მახსოვს მე ეს ჰენრიკი, თქვენ ხომ სურათი გაქვთ, რამდენჯერ გიჩვენებიათ ჩემთვის, რაღაც ისეთ კოსტიუმშია გამოწყობილი, და ფუნჯიანი მაღალი ქუდი ახურავს.

ბაბო: რა თქმა უნდა, მეჯლისზე ვიყავით და იმის შემდგ არის გადაღებული, არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ და იმდენი ვიცეკვეთ, იმდენი...

ნატო: ვიცი, ვიცი, კრაკოვიაკს ცეკვავდით, ყოველთვის ისე მაინტერესებდა როგორი ცეკვაა, მე და ვანო ხომ გატაცებული ვიყავით ცეკვით და რამდენს ვცეკვავდით, ტანგოს,... ფოქსტროტს,... ვალსს,... რუმბას, და ასე განსაჯეთ, პოლკასაც კი, კრაკოვიაკი კი არადროს გვიცეკვია, არც ვიცოდით, არადა ფირფიტა გვაქვს, გინდათ დავქოქო პატეფონი?

ბაბო: ოო, კრაკოვიაკი დიდებული ცეკვაა, როგორც პოლონელები ამბობენ "ტანეც ვიელკი", ესე იგი დიდი ცეკვა,... ოჰ, რა

მშვენიერი ბიჭი იყო ეს ჰენრიკი!?

ნატო: (მიირბენს კუთხეში პატარა მრგვალ მაგიდასთან, რომელზეც პატეფონი დგას, გვერდით დახვავებული ფირფიტებით) ეხლავე, ეხლავე ვიპოვი ფირფიტას, გეხვენებით, ბაბო, მაჩვენეთ როგორი ცეკვაა, ისე მაინტერესებს...

ბაბო: სულ არ არის ძნელი, ორ თვლაზეა, აი, უყურე... (იწყებს ცეკვას, თანდათანობით ეშხში შედის, მერე ხელს მოჰკიდებს ნატოს, ჯერ ნელა აჰყვება ნატო, მერე კი მართლა გაახურებენ ცეკვას) ყოჩაღ, ყოჩაღ, ტყუილად ამბობდი არ ვიციო... აი, ასე... აი, ასე...

ნატო: (ცეკვა-ცეკვით მიდის ბუხრისკენ) აი, ჩვენი სამოვარიც შიშინებს...

ბაბო: (გაჩერდება შუა ოთახში, ხელებს გაშლის) ოჰ, ღმერთო, წარსული ყოველთვის დამუხტულია... ნატო, გენაცვა, წავალ, ჩემს დიდ სარკეში ჩავიხედავ და ფულსაც გამოგიტან, რამდენად ჰყიდიან?

ნატო: ორმოც მანეთად, მაგრამ სულ არ არის საჩქარო, ხვალაც ამ თვისაა...

ბაბო: არა, არა, დოლგ პლატეჟომ კრასენ, ახლავე გავალ და გამოვალ... (ჯოხს კი დაიჭერს, მაგრამ ჩქარჩქარა, ხუსხუსით მიდის.)

ნატო: (მარტოდ დარჩენილი უსასოოდ გააყოლებს თვალს ბაბოს) როდემდე... როდემდე... (თავისი ჩანთიდან, რომელიც ფანჯრის რაფაზე იდო, კოლოფს ამოიღებს, ეტყობა წამალია, ფხვნილს კაპსულაში ჰყრის, თან უსიამოვნოდ დასცქერის, წყალს ჩამოიხამს და დალევს, ისევ ინახავს ნამლიან კოლოფს., მერე სასწრაფოდ გადაშლის წიგნს და კითხულობს, თავს აიღებს, შორიდან ისმის ვიოლინოს ხმა, ყურს მიუგდებს) რა სასოებით მომიტანეს, რუსიკოსთვის აიღეო... კიდევ კარგი, ვერ მოვასწარი მეჩვენებინა... ამ უშოვნელობაში... მაგრამ რაკი ბაბოს მოეხსნა ეს შიში, აღარაფერს ვჩივი... ჯანდაბას... თუმცა რატომ ჯანდაბას, როგორ მოუხდებოდა რუსიკოს...

ბაბო: (ისმის ჯოხის კაკუნი, შემოდის ბაბო, წარბშეკრული და ლამის განრისხებული) ნეტავი კი ვიცოდე რა მეკაბება! სად არის ჩემი ხალათი, ჩავიცვა და ჩავიოხრო! ახლავე უნდა გადა-

ვიცვა, ახლავე, დავბერდი და გამოვტვინდი, იმ დროს როცა ის მშვენიერი სახლი... რა სახლი... ჯორჯაძეებისა, ჩვენიანებისა... მაინცდამაინც უნდა ჩამოერთმიათ და ეგენი ჩასახლებულიყვნენ, ეგ საშინელი დაწესებულება, გავედი, თუ არა, შემომემჭვიტა თვალებში... ქვეყანას რომ თავზარს სცემენ (თან იხდის კაბას და ვერ გაუხდია) ნატო, მიშველე ქალო, ნეტა რა მეკაბებოდა, რაა, რაა!!

ნატო: (ბრაზობს და წვალობს, უცებ ვერ ხდის კაბას, ბაბომ ლამის მოიგლიჯოს, მთელი ძალით ეჯაჯგურება) დაიცადეთ გავხსნა ღილები, (როგორც იყო გახდის კაბას, მიაწვდის ხალათს) თქვენზე ნაკლებად ჩვენ არ ვწუხდით, ლიტა და გიუნა ჩვენი მეგობრები იყვნენ, ერთად შეზრდილები ვიყავით, ერთადაც დახვრიტეს გიგი და გიუნა... რა გადავიტანეთ ჩვენ მაშინ, არ მინდა გახსენება, არა, თქვენ კიდევ აგიჩემებიათ სახლი და სახლი...

ბაბო: ოჰ, ღმერთო, სარკეში ჩახედვაც ვერ მოვასწარი, ... პაციენტი მიცდიდა, ისიც გავისტუმრე, მაშ რა უნდა მექნა, რაა...

ნატო: (აღშფოთებით) ოოჰ, თქვენ მე გამაგიჟებთ! აჰა, ჩაიხედეთ სარკეში და თმა გაისწორეთ... როგორ გაისტუმრეთ პაციენტი, როგორ, რა უფლება გაქვთ? ვანოს შემდეგ, ხომ გახსოვთ, მაგათი უფროსი რომ ჩაგვისახლეს თავისი ცოლ-შვილით, და მე ხელები უნდა ჩამომეშვა და თავზე ნაცარი ნამეყარა?! ჩირად არ ვთვლიდი და ზედაც არ ვუყურებდი, ისიც ხომ გახსოვთ, ფული რომ მთხოვა აქედან წასვლისას, მამაჩემის აშენებულ სახლში... არც შეეეპუე და კაპიკიც არ მივეცი! მართლაც და მართლაც, პროტესტიც ხომ არსებობს, აღშფოთებაც ხომ შეგიპყრობს და შიშს დაგავიწყებს?!

ბაბო: (დაცინვით ჩაიქირქლებს) ოჰოჰოჰო, რა გმირთაგმირი ხარ, და არ ეპუები მათ შიდასამოქმედო კანონებს, თოთო ბავშვიდან დაწყებული მიხრწნილ მოხუცამდე ყველა რომ შეუძლიათ შარში გახვიონ და დაადანაშაულონ... დარწმუნებული ვარ ფიქრობენ, რომ ჩვენ გულში გველი გვიზის, არადა სწორედაც გველი მიზის და ოჰ, რა სიამოვნებით გავაცურებდი მაგათკენ, რომ ერთი კარგად დაეკბინა და დაეგესლა ყველანი.

ნატო: კოლასი და მიტროს გამოკლებით... თქვენ ხომ იცით ჩემი დამოკიდებულება მაგ დაწესებულების მიმართ, მაგრამ

ათასჯერაც შინსახკომელები რომ იყვნენ, მაინც მეზობლები არიან და სულ იციან ჩვენთან ვინ მოდის, ვინ მიდის, რა მოაქვთ, რა მიაქვთ... მიტრო და კოლა კიდევ ისე გყავთ გაშინაურებული, განა თქვენ არ გაუკეთეთ ერთსაც და მეორესაც კბილები, ლამის უფასოდ?! გაგეგზავნებიან ხოლმე ხან პურზე, ხან აფთიაქში. იმ დღეს კოლა დაზურგული მოდიოდა, ეტყობა ბაზრიდან, და სწორედ თქვენთან შემოვიდა... კრამიტების გასწორება იყო და, ყაზარას წელკავი რომ ჰქონდა, ავიდა მიტრო და გაგისწორათ კრამიტები, და არაერთხელაც!...

ბაბო: (დაცინვით და თავის ქნევით) ნატო, უბრალოდ გულუბრყვილო ხარ და თავსდატეხილმა ამდენმა უსამართლობამა და უბედურებამ ჭკუა ვერ გასწავლა! მთელი ჭკუა შენს ავადმყოფებში და ოპერაციებში გაქვს წასული.

ნატო: (აწყვეტინებს სიტყვას) ძალიანაც კარგი, ადამიანს ჭკუა თავის საქმეში უნდა ჰქონდეს წასული, და არა... და არა...

ბაბო: მათქმევინე, ქალო! თუ ის ეშმაკის ეგზეკუტორი უბრძანებს, კოლა საკუთარ შვილს, დილოს, არ დაინდობს, ასეთია მაგათი კანონები. ჰოდა, თუ დილოსაც არ დაინდობს, მე ვინა ვარ და ვისი ტიკი-ტომარა?!

ნატო: ჰო, ჰო, მე გულუბრყვილო ვარ, მაშინ ასე შევთანხმდეთ, როცა ეშმაკის ეგზეკუტორი უბრძანებს და მიტრო და კოლა თავს დაგვესხმიან, გაგვბაწრავენ, უბედურებას დაგვატეხენ თავს, ჩვენც მაშინ ვივაგლახოთ, მაშინ ჩავცვივდეთ სასონარკვეთაში, მაშინ არ გვეყოფა!? რომ წინასწარვე გული არ გავიხეთქოთ და თავი არ დავიდაბლაოთ?! ჰოდა, ახლა თქვენი განგაში და შიში ყოვლად უსაფუძვლოა, ამაში მინდა დაგარწმუნოთ!

ბაბო: შენ ამბობ ამას, შენაა? ჩვენს ქვეყანაში შიში თუ უსაფუძვლოა, რაღაა მაშინ საფუძვლიანი? იმ დროს, როცა ქვეყანა შიშზე დგას და ყველაზე საფუძვლიანი სნორედ შიშია! შიში, შიში, და ისევ და ისევ შიში! და ძრწოლაც, სხვათა შორის!

ნატო: მაპატიეთ, ბაბო, და კიდევ კარგი მომაგონეთ, თორემ არ ვიცოდი?! მე სხვა რამეს გეუბნებით და თქვენ სხვა რამეს ამბობთ...

ბაბო: და თუ იცი, რაღატომ მამშვიდებ? რაღატომ გინდა და-

მარწმუნო, რომ არ უნდა მეშინოდეს? რატომ? როცა ვხედავ ჩემი ორი თვალით, როგორ მითვალთვალებს, რომ იცოდე, ეს გაბაწვრაზე უარესია, საშინელებაა, საშინელება., იცი, როგორ მითვალთვალებს ის ეშმაკის ეგზეკუტორი? თვალს არ მაცილებს, წელანაც ისე ჩაშტერებით მითვალთვალებდა, აკი გეუბნები, სარკეში ჩახედვაც ვერ მოვასწარი და პაციენტიც გავისტუმრე, და იმავ წამს გამოვიქეცი.

ნატო: შეაქცევდით ზურგს იმ ფანჯრებს, დაუწყებდით მკურნალობას და მაშინვე ჩაერთობოდით საქმეში, თქვენთვისაც კარგი იყო და პაციენტისთვისაც!

ბაბო: კარგი ერთი დაა, რა უნდა მექნა. როცა თვალებით მბურღავდა... ჩემისთანა სტომატოლოგს ეპატიება განა ღრძილში ატაკოს პაციენტს ბორმანქანა და ღრძილი გადაუსეროს, ეპატიება? შენ არ იცი, რა საზიზღარი მზერა აქვს!

ნატო: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, მოსკოვიდან გითვალთვალებდათ? თქვენ ამბობთ, რომ მოსკოვიდან აქ, თელავში გითვალთვალებდათ?

ბაბო: აი, სწორედ მოსკოვიდან მითვალთვალებს, და არ მესმის, ნატო, რა არის ამაში საკვირველი?!

ნატო: და მაინცდამაინც თქვენ ამოგიჩემათ? რომ იქედან აქ გითვალთვალოთ!

ბაბო: ოოჰ, როგორ არ მიყვარს ულოგიკო მსჯელობა! ამომიჩემა, ამომიჩემა! მთელი ქვეყანა ჰყავს ამოჩემებული და მე რაა, ამ ქვეყანას არ ვეკუთვნი? და ახლა გაიგე, რომ ეს ქვეყანა თვალთვალისა და დასმენის ქვეყანაა?

ნატო: და აქ გხედავთ? თანაც პენსნეთი! პენსნე მაინც არ ეკეთოს?!

ბაბო: აი, სწორედ პენსნეთი! რა გულუბრყვილო ხარ, ნატო, შენ გგონია პენსნე იმიტომ უკეთია, რომ თვალთ აკლია, ან ბეცია? სრულებითაც არა! მე მივხვდი, ეს ერთგვარი ჭოგრიტია, რაღაც უჩვეულო ჭოგრიტი, მთელ ქვეყანაზე უნდა დაინახოს სად რა ხდება, ვინ რითი სუნთქავს!

ნატო: (ლამის გადაფიჩინდეს) და ზის თავის კაბინეტში, ლუბიანკაზე და იქიდან გითვალთვალებთ?

ბაბო: (უპირატესობის ღიმილით) რა თქმა უნდა, ნატო, ლუ-

ბიანკაზე კი არა, მთვარეზე რომ იჯდეს, ისეთი მანქანა აქვს, იქიდანაც დაგვინახავს! ჩემი ორი თვალით მაინც არ ვხედავდე იმ საზიზღარ პენსნეს.

ნატო: (გაბეზრებული ნამოხტება და შესძახებს) ჯანდაბას იმისი თავი და ტანი, გვითვალთვალოს! რამდენიც უნდა და საიდანაც უნდა! (ბუფეტიდან თასი და კვერცხები გამოაქვს, სამზარეულოდან სათქვეფი მოაქვს) დაინახავს, რომ მე აი, ალადებისათვის კვერცხებს ვთქვეფავ! (კვერცხებს სულ ლაწალუწს აუყენებს) ჩვენ ვემზადებით სურნელოვანი ჩაის დასალევად, ებრაელის ანდერძის მიხედვით! (ხმაურით თქვეფავს კვერცხებს) გვითვალთვალოს! ბოლოს-ბოლოს ის კაცი ამ საქმეს დაადგა! (თქვეფავს, მაწონს ამატებს და რაც ძალი და ღონე აქვს თქვეფავს) აი, თქვენ შესანიშნავი სტომატოლოგი ხართ!

ბაბო: ნუ გაწუნე, ქალო, აქაურობა! (შხეფებს იმშრალებს).

ნატო: (გაგულისებით) ჩვენ ყველა ჩვენს საქმეს ვადგავართ, ის კაცი კიდევ მოთვალთვალეა! ჩვენ ხომ ვერ ჩამოვაშორებთ ამ დიად საქმეს! ჩვენ რა ძალგვიძს, რა შეგვიძლია! ორი აგურიც რომ დავიჭიროთ და აქეთ-იქიდან თავში ვიცეთ, ჩვენ იმას თვალთვალს ვერ მოვაშლევინებთ, ვერა, ვერა!! (ამატებს ფქვილს და ისევ თქვეფავს) ჩვენ კი არა, მთელმა ქვეყანამ რომ შეჰღაღადოს!

ბაბო: (ნატოს გაგულისება ჩააცხრობს, ლამის ამოიკვნესებს) ოჰ, ღმერთო, ადამიანი ვერსად ვერ მიჰყუდებს თავს... არ გიფიქრია, ჩემო ნატო, რომ პავიანის სახე აქვს?

ნატო: მე უფრო შიმპანზეს მაგონებს, თავისი ახლო-ახლოს ჩამჯდარი თვალებით... აი, ასე, ვლანძღოთ, რაც ძალი და ღონე გვაქვს, მადლობა ღმერთს, ერთმანეთს ვენდობით, ჩვენს სახლს სქელი კედლები აქვს, თან რუსიკოც უკრავს, იმან კიდევ, სანამ არ მოსწყინდება, გითვალთვალოთ და გაკვირვებას იყოს, ეს რა მშვენიერი ხნიერი მანდილოსანიაო, ეს რა დიდებული ვინმეაო...

ბაბო: (ერთბაშად გაიკისკისებს, კომპლიმენტი ესიამოვნება) როგორ გამაცინე, ჩემო ნატო, (იცინის ისევ) რაც მე კომპლიმენტები მომისმენია, და არა მხოლოდ კომპლიმენტები, ფქვილს ნულარ დააყრი, ალადებისათვის საკმარისია, უფრო ფუმფულა გამოვა.

ნატო: (აიღებს ფქვილის პარკს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ალადების კეთებაცა და ცხობაც პანტომიმით უნდა მიმდინარეობდეს) მაშ, არადა?! თქვენ რომ იყავით, ტყუილია, (უხარია, რომ ბაბოს განწყობილება ისევ გამოუსწორა) ყველამ იცის თქვენი წარმტაცი გიჟმაჟობის ამბები! ალაზნის პირად პიკნიკები და ლხინები... იმ პავიანს კიდევ, ამბობენ, ქალები ძალიან უყვარსო... მეტისმეტადო...

ბაბო: (დაქადნებით) დავბერდი თორეემ, თუ მომეწონებოდა, მე ვიცი, როგორც მოვუგრეხდი კისერს, მაგრამ არ მომეწონებოდა, არავითარ შემთხვევაში, მე ვინც მომწონდნენ, ყველა ლამაზი და მშვენიერი იყო, ყველა ისინი **герои романа**, თავბრუს რომ დაგახვევდნენ, აგაფეთქებდნენ, ცაში აგაფრენდნენ... ღმერთო ჩემო, სად მიმოიფანტნენ, სად წავიდა ის სიგიჟმაჟე...

ნატო: რას ვიზამთ, ბაბო, მუდმივი და უცვლელი არაფერია ამ ცისქვეშ...

ბაბო: (დანანებით) **да, да мужчины или умирают, или уходят...** (და ისევ მოიღრუბლება და გაღიზიანდება) ნუ გადაჰყე, ქალო, მაგ თქვეფას, დაამატე სოდა, დაგავიწყდა მარტო ფქვილი რო დააყარე?!

ნატო: ახლავე, ბაბო, ახლავე, მაგრამ თქვენთან პაექრობაში გადავყრუვდი, სოდა სულ დამავიწყდა.

ბაბო: (მწყრალად) ჰო და, დაამატე ეხლა და მორჩი! ის პავიანი კიდევ, იმას კი არ იფიქრებს ეს რა მშვენიერი მანდილოსანიაო, რა შუშპარა იყოვო, ხელებს რომ გაშლიდა და ლეკურს ჩამოუვლიდა, ყველა მის ფერხთით ეცემოდაო, პირველ რიგში იმას გაიხსენებს თავადაზნაურობას რომ ვეკუთვნოდი, ჩემი ბიძაშვილი საშა, ქაქუცას უახლოესი შეფიცული, ქაქუცასვე გაჰყვა საზღვარგარეთ! და სხვათა შორის, ეხლაც ცოცხალია! (ისე გოროზად შესძახებს, თითქოს საშას სიცოცხლეც უბედურების ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყოს), და იმასაც, ჩემი დედ-მამა ისე უსინდისოდ, ისე თვითნებურად და სასტიკად რომ გამოდევნეს ანყურიდან, ჩვენი მშვენიერი სახლ-კარიდან, ჩვენი შესანიშნავი კარ-მიდამოდან, და ჩემი ძმა დათა, ჩემი ბიძაშვილის ვაჟი ვახტანგი, წინააღმდეგობის გაწევისათვის რაზმელებმა შეიპყრეს და როგორც მერე გამოირკვა, მეტეხში გადაგზავნეს... და შენ იცი,

რა ბედიც ეწიათ... გადადგი ეხლა ეგ ცომი ალადებისა, ცოტა გაფუვდეს და სამოვარი დუღილს რო დაიწყებს, მაშინ გამოაცხე, ვერ ვიტან გალელეჩებულ ალადებს.

ნატო: (ხუმრობით) ოჰ, რა ხართ, ვინც არ გიცნობთ!? (გადადგამს თასს) საშინელება მოხდა... და მე რომ მკითხოთ, არანაკლებ გლეხობისთვის... თავადაზნაურობის გვერდით გლეხობაც სხვანაირი იყო, ადამიანი ხომ კარგი მაგალითით იზრდება და სხვა სიდარბაისლე, სხვა სიტყვა-პასუხი, სხვა ზრდილობა ჰქონდა ჩვენს გლეხობას, შორს რომ არ წავიდე, ჩემი დედამთილი, თქვენ რომ ასე მოგწონთ, ინგლისის დედოფალთან რომ მიიყვანოთ, არც სიტყვა შეეშლება, არც დაიბნევა, როგორი ღირსებითაც არის სავსე, ასეთივე დარჩება... და მთელი სიცოცხლე ის იყალთოდან მაყაშვილების განდევნას მისტირის.

ბაბო: რა უცნაურად არის მოწყობილი ადამიანი, თავის დამკარგავი ხშირად თმას რომ დასტირის; ნიფხავ-პერანგიანები რომ მოგვადგნენ ჩვენები აქ, მე და ჩემს და ლიზას, პირველ რიგში დედამ ის შემოგვტირა: ტყლაპები, ჩირები, მურაბები სულ ისე გაშლილი დაგვრჩაო,... დაუკრეფავი ვენახისა და სახლკარის დამკარგავმა... მაშინ დათასი და ვახტანგის ამბავი ჯერ გარკვეული არ იყო.

ნატო: ჰო, ტყლაპები და მურაბები, დაუკრეფავი ვენახები და საერთოდ ყველაფერი... რომ დაესაჯათ ჩვენი თავადაზნაურობა ვითომ აჯანყების თანადგომისათვის, და ჩვენ ხომ ვიცით, რომ არავითარი აჯანყება არ ყოფილა და ვერც იქნებოდა. ეს ფაფხური და ქაქუცას ქეიფები ხომ ჩვენს თვალწინ იყო... ჩვენს სახლებში და ჩვენს უბნებში... უდანაშაულოთა დახვრეტა გიგოსგორაზე, მეტეხში და სხვაგან და სხვაგან... და ჩვენი განადგურებული ოჯახები.

ბაბო: ოჰ, ჩემო ნატო, არ ღირს ჩავუღრმავდეთ გმირად შერაცხულთა ზნესა და საქციელს, კაცმა არ იცის ხელთ რა შეგრჩება... მე ისევ ჩვენს გამოდევნას მინდა მივუბრუნდე და ჩვენი ვოიაჟის ამბავი გითხრა...

ნატო: (გაბრწყინებული, რომ ბაბოს საბოლოოდ მოუხსნა შიშისა და თვალთვალის შეტევა) როგორ მაინტერესებს, რომელ ვოიაჟს გულისხმობთ.

ბაბო: რომელსა და ამასწინად ნინული რომ იყო, ჩემი ბიძაშვილის ლადოს შვილი, ცამეტი წლის ნანათი, მომენატრაო, მომენატრაო აწყურიო... სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარო... ოცდასამი წელია ჩვენი გამოდევნიდან, არ მინახავს იქაურობა და იქით მიხედვაც არ შემეძლოო, ეხლა კი მომენატრაო... ნანასაც მინდა ვაჩვენო, ხომ უნდა იცოდეს საიდანა ვართო... აქაც შემოვიდნენ, დეიდა რუსუდანის უნახავი არ წავალო, ნინულიმა თქვა.

ნატო: რას მელაპარაკებით, პირველად მესმის, მე რატომ ვერ ვნახე?

ბაბო: ოჰ, ნატო, ოჰ, ნატო, რა მოსაკლავი ხარ, რომ წახვედი თბილისში ოპერაციის გასაკეთებლად და ჩვენ არაფერი ვიცოდით, გვეგონა სემინარზე იყავი წასული...

ნატო: დედამ ახლაც არ იცის და თუ ხათრი გაქვთ, არ წამოგცდეთ, არც რუსიკომ იცის... არ მინდა გაიგონ... (ბუფეტიდან ჩაის ჭურჭელი გამოაქვს).

ბაბო: რა არის ასე მალვა და ჩქმალვა, ქალო, ვინ აღარ იკეთებს ოპერაციას?! მთავარია რომ დროულად გაიკეთე, მორჩა და გათავდა!

ნატო: (ნამიერად მოიღუშება, მერე კი ისევ ხალისიანად) მეც ასე მინდა ვიფიქრო (ისევ ჩვეული ინტერესით) მერე, მერე, რაო ნინულიმ? ისევ სწერს მშვენიერ ლექსებს ბედკრულ სამშობლოზე?

სინათლე ქრება, ერთი სხივით არის შუა სცენა განათებული, ახლოს რამპასთან დგას ნინული, მას ვუალიანი შლიაპა ხურავს, აჟურული ხელთათმანები აცვია, გრძელფოჩებიანი კრემისფერი აბრეშუმის შარფი აქვს მხრებზე მოგდებული, როგორც წინათ ამბობდნენ, პატეს ჟურნალიდან გადმოსულს ჰგავს, მას გულზე აქვს მიჭდობილი აჟურულხელთათმანებიანი ხელები და მღელვარედ კითხულობს თავის საკუთარ ლექსს:

„ჩემო სამშობლო, ჩემო მამულო,
შენი კენჭიც კი ჩემთვის განძია,
შენს სადიდებლად მე მოვილოცე
წმინდა გარეჯი, წმინდა ვარძია.
მე ვევედრები ჭაღარა ტაძრებს,

ასე ნაგვემი და ნაწვალები,
გამოგარიდონ ხარბი მტრის კლანჭებს,
და მჯერა, მჯერა, რომ აყვავდები.
დაგიბრუნდება ძველი სილაღე,
დაგიბრუნდება ძველი დიდება,
შენი ვარსკვლავი, ბევრჯერ ჩამქრალი,
ახალი ძალით ამობრწყინდება."

ბაბო და გოგონა ნანა ტაშს უკრავენ, ნინული, როგორც შეჰ-ფერის კდემამოსილ ქალბატონს, ნაზად ხრის თავს, მერე კი ყელს მოიღერებს, ხელებს გაშლის და ომახიანად მოუწოდებს ქალებს...

ნინული: ახლა კი გავწიოთ მშობლიური აწყურისაკენ, სადაც ბავშვობა, სიყმაწვილე გადავიმღერე.

(ისმის ზანზალაკების ხმა, სამივე მიჰქრის, ვითომ ეტლით, გალოპის მსგავსი სტილიზებული ნაბიჯებით... სცენა ტრი-ალებს...)

გოგონა ნანა: თუმც არ მინახავს, ასე მგონია თვალდახუჭული მივაგნებდი იქაურობას.

ნინული: (აღტაცებით) აქ ყველაფერი მშობლიურია, ალაზნის ველი, კავკასიონი, და ჩვენი თურდო, რომელსაც ახსოვს შემოს-ეული ლეკების ურდო.

ბაბო: აგერ იყალთო, განდევნილი მაყაშვილების კოხტა სოფელი.

ნინული: ო, როგორც წერდა ჩვენი პოეტი! გვითხარი ნანა, გე-ნაცვალოს შენი დეიდა.

ნანა: საქართველო აივსო მაყაშვილთა გოდებით.

ნინული: აწყურს არ ჰყავდა ასეთი პოეტი, თორემ... ჩვენი გო-დებაც კარგი რამ იყო... ოჰ, ღმერთო, არ მახსოვს, თეთრგიორ-გიში მიმავალი მლოცველები არ გაჩერებულიყვნენ ჩვენს აყვა-ვებულ კარმიდამოსთან და არ ეკითხათ: ვისიაო... არა მინდა რა, ჩვენს მობიბინე მწვანეზე გამატარა...

ნანა: წალკოტი იყო, წალკოტი, ჩვენების ეზო-ყურე.

ბაბო: აი, ჩვენი ასახვევიც... დათა და ვახტანგი დოღში რომ მონაწილეობდნენ... ვახტანგი პირველი მოვიდა...

ნანა: სულ თქარა-თქურით ამოათავეს ეს აღმართი.

ნინული: ფრთიანს ეძახდნენ ჩემს ძმა ვახტანგს.

ნანა: მე და ლელა სულ ძია ვახტანგის ხსოვნას ვფიცავთ.

ბაბო და ნინული: (სიხარულით შესძახებენ) აგერ ჩვენი თეთრი გიორგიც.

უშუალოდ მათ წინ კი გამოჩნდება მაღალი და გრძელი ძეძვის ღობე. ბაბო და ნინული დაბნეული აქეთ-იქით იყურებიან, მიდიმოდიან, რომ თავისი ოდინდელი სახლები და ეზო-ყურე იპოვონ, მაგრამ ამაოდ... ისმის ღობის იქიდან კრუხ-წინილის კრიახი, ღორების ღრუტუნი, ძროხების ზმუილი, თხების კიკინი, ცხვრების ბღავილი, ... ქალები კისრებს წაიგრძელებენ, ხედავენ ლამის მიჯრით მინყობილ სახლებს.

ბაბო: რა დაგიტოვებია, რას ეძებ? (ამბობს მწუხარე სახით).

ნინული: (დაღონებული და განბილებული) ნუთუ ეს ჩვენი ადგილია? ვერაფერი  მიცვნია... სად გაქრა ის ყველაფერი... რას დაუმსგავსებიათ აქაურობა...

ღობეში დატანებული პატარა კარიდან გამოდის ოციოდე წლის ჯანმაგარი, სქელკისერა ბიჭი, უყურებს ქალებს ჭაკატგამოკრული, უტიფარი მზერით და ხმას არ იღებს, ... მერე კი როყიოდ კითხულობს:

მუტრუკი: რაო, რა გინდათ?

ნინული: (ენის ბორძიკით) გამარჯობა ყმაწვილო,... ჩვენ... იცით... აქ ვცხოვრობდით... (აჟურულხელთათმანიან ხელს ლამაზად მოატარებს) ეს ადგილები... აქაურობა... ჩვენი იყო... ჩვენ ძალიან...

მუტრუკი: (გააწყვეტინებს, როყიოდ) როდის იყოო? როდინობის კვირაშიი? ჩვენა დიდი ხანია გავდევნეთ სოფლიდან მჩაგვრელები და სისხლის მწოვლები... (გოროზად ხელის ქნევით) ექსპლუატატორები! სოფლის წურბელები! (მუტრუკი მხრების ქანაობით აუვლ-ჩაუვლის ქალებს და მალაყზე გადავა).

ნინული: (მიკნავებული ხმით) ჩვენა ვართ... წურბელები? რა საინტერესოა...

ნანა: (შეშინებული) წავიდეთ, წავიდეთ, გეხვეწებით...

ბაბო: (წყრომით) უჰ, შე უზრდელო, შენა!! მადლობის მაგიერიაა, დაეპატრონეთ ჩვენს ავლადიდებას და კიდევ აქეთ გვიტევთ!!

მუტრუკი: (მუქარით) ჰოდა, აუსვით ეხლა აქედანა და აღარ წამოაორთქლოთ ჩვენი იყოო!! (შეხტება ისევ და მალაყზე გადავა).

ბაბო: ბიჭო, მუტრუკო, სახლში რო შებრუნდები, დედაშენს ერთი სილა გაულაწუნე, ეგეთი მუტრუკის გაჩენისა და გაზრდისათვის!

ქალები გაჩქარებული გალოპით მოჰქრიან... ნინული შეჩერდება, წინ წამოვა

ნინული: საღამო ხანი იყო, რომ შემოგვიცვიდნენ და დაგვაწიოკეს... ვენახში გავიქეცით, შეეშინდა დედას, ვაითუ ღამით გზაში ხიფათს გადავეყაროთო, თან მამაც ახალი გარდაცვლილი იყო, ვახტანგი და დათა წაყვანილები. არადა, აწყურში გაუპატიურების შემთხვევას ჰქონდა ადგილი, და დედას ძალიან ეშინოდა, ჩემ გოგოებს არავინ შეურაცხყოფა არ მიაყენოსო, ჰოდა მთელი ღამე ვაზების კვლებში ჩაწოლილებმა გავატარეთ, რიჟრაჟამდე... და ერთი კუფხალი, წამლად ერთი კუფხალი არ შეგვიწყვეტია მტევნისათვის და არ შეგვიჭამია... წარმოგიდგენიათ?

ნანა: არადა, ბუდეშური კი, თურმე უკვე მწიფდა...

ქალები კვლავ მოჰქრიან...

ნინული: (კვნესით) ოო, რა უზრდელობა დამკვიდრდა... რა საყოველთაო უზრდელობა. წუხელაც, მატარებელში, ისე უხამსად ჩხუბობდნენ, რაღას არ ეუბნებოდნენ ერთმანეთს, ერთმა მეორეს ის სიტყვაც კი წამოაძახა „გ"-ზე რომ იწყება... თან ისეთი რიხით!

ბაბო: (ჩაიქირქლებს) ჩემო ნინული, რა სიტყვაა ასეთი გამოუთქმელი, „გავნოო?"

ნინული: (ხელებს გაასავსავებს) უი, რას ამბობ, ბაბო, ეგ რა თქვი, ქალო!

ბაბო: (გამომწვევად) მაშ რაა, „გოთვერანო?"

ნინული: (მწყრალად გაიქნევს თავს) ეს რა ცუდი სიტყვების თქმა გისწავლია, ბაბო! ნანა, გენაცვალოს დეიდა, ჩასჩურჩულე, ჩასჩურჩულე ყურში, რაკი ასე აინტერესებს.

ნანა და ბაბო სცენიდან გადიან, ნინული კი ისევ წინ წამოდგება, ხელს გაიწვდის და შთაგონებით ამბობს:

ნინული: აგერ, ჩვენი სალოცავი თეთრი გიორგი...
გემუდარები, ყოვლისშემძლეო, შთაგვბერე ძალა,
გადააფარე საქართველოს წყალობის კალთა,
ავივსოთ რწმენით, ათი მცნება გავითავისოთ,
განვიწმინდოთ და ზრდილობით,
სიკეთით და გონიერებით
კვლავაც აღვივსოთ (სინათლე ქრება).

ისევ ნატოს სასადილო ოთახი, ნატო ალადებს ალაგებს თეფშებზე, სამოვარი მოაქვს, მაგიდაზე დგამს...

ნატო: და ჩაგჩურჩულა ნანამ ის ცუდი სიტყვა?

ბაბო: (გაიცინებს) ჩამჩურჩულა, ჩამჩურჩულა... და ეს სიტყვა იყო „გათახსირებული" (აღელდება) გათახსირებული, გათახსირებული, და მე ვიცი, ვინც არის გათახსირებულიც და იმაზე მეტიც, (აიღებს ალადს და შეჭამს) კარგი გამოგსვლია, ფუმფულაა (წამოდგება, ფრთხილად მიუახლოვდება დარბაზში გამავალ კარს, გაიხედავს და მაშინვე მიხურავს კარს).

ნატო: (არ შეიმჩნევს ბაბოს აღელვებას, ჩაის ასხამს (მობრძანდით, ბაბო, ნახეთ რა სურნელოვანი ჩაი დავაყენე, აი, ეს ვარდის მურაბაც, ალადებს როგორ მოუხდება...

ბაბო: აშკარად გავიგონე ნაბიჯების ხმა (აყურადებს), ნუთუ შენ არ გაგიგონია?

ნატო: ვერავინ შემოვიდოდა, ბაბო, ვერავინ, სადარბაზოს კარი დაკეტილია, დედა ეზოდან მოვა. ახლა კი მაგიდასთან მობრძანდით, ნახეთ, რა სურნელოვანი მურაბაა (ვითომ ვერ ამჩნევს ბაბოს ამრეზილ სახეს), აბა, მიირთვით, ხომ იცით, ჩაი ხშირად მაგიურად მოქმედებს, სტრესის მოხსნის საუკეთესო საშუალებაა... ნახეთ, როგორ გესიამოვნებათ!? მართლა მშვენიერი გამოუვიდა დედას ვარდის მურაბა...

ბაბო: (აყურადებს, თანდათან შეშფოთება ემატება) რა არის ეს, ნატო, რა არის, წამიწუთს მეცვლება გუნება, ერთბაშად მომიცავს აფორიაქება, ნინულის მოგონებამ თითქოს გამომიკეთა განწყობილება და ახლა ისევ... ისევ... წელან სახლში რო გავედი, მეგონა ერთ-ორ პაციენტს მაინც რაღაცას გავუკეთებდი და აბაა!? (ცოტას მოსვამს და იქვე ცივად დადგამს).

ნატო: (შეწუხებით, დაყვავებით) ბაბო, იცით მე რა მოვიფიქ-

რე, პაციენტების მიღების დროს, თუ მე მეცლება, მე გადმოვალ თქვენთან, თუ არადა დედაჩემს ვუთხრათ, გადმოვა და თქვენთან იქნება, მარტო რო არ იყოთ...

ბაბო: (შეშინებული) ესე იგი, მე არ მოვიდე თქვენთან? აღარ მოვიდე? აღარ?

ნატო: როგორ არ უნდა მოხვიდეთ, მე ვამბობ მიღების დროს, პაციენტები რომ არ დაკარგოთ... თქვენისთანა ექიმმა! ყველაზე უარესი ხომ ეს არის, კაცი მოწყდეს თავის საქმეს...

ბაბო: (ამაყად) ჩემი ფასი ყველამ იცის, ჩემო ნატო, მე არავის დავკარგავ!

ნატო: ძალიან კარგი, მეც ეგ მინდა, მაგრამ ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და აბა, რას იზამენ? მე თქვენ გეტყვით, ცოტა სტომატოლოგია ამ ჩვენს ქალაქში?! კენჭი რომ გადააგდოთ, სტომატოლოგს მოხვდება... თქვენ კიდევ გუშინაც გაუშვით, იმდღესაც გაუშვით... გინდათ დისკვალიფიკაცია განიცადოთ, ეს გინდათ? ყველაზე უარესი, რაც შეიძლება კაცს დაემართოს!

ბაბო: (დამდუღრულივით წამოხტება, შემთხვევით ფინჯანს კრავს ხელს და გადააბრუნებს) მე განვიცადო დისკვალიფიკაცია, მეე, მეეე?! ვარშავაში საუკეთესო პროფესორებთან მაქვს ნასწავლი! ვინ არის აქ ჩემისთანა, ვინა! (ნატოს მიუახლოვდება, ხელს წაავლებს) გააღე პირი! გეუბნები, გააღე პირი! (ნატო თავს გადასწევს, უნდა მოიგერიოს ბაბო, მაგრამ ამაოდ, ნატო ნიკაპში ჩააფრინდება და ძალად აღებინებს პირს) ჩავიხედო შენი პირის ღრუში, შევამოწმო ჩემი გაკეთებული ხიდები და პლომბები! ოჰოჰოჰო, საყურებლად ღირს! აი, უყურე, სტუდენტი იყავი, მეექვსე კბილი რომ დაგიმუშავე და ოქრო გადაგაკარი, ან ამ მეოთხე, მეხუთე კბილების ბჟენებს შეხედე, ქვა და კლდე! იცი, რა ძნელი კბილებია, რა წმინდა, ნემსივით არხები აქვს... ან ეს ხიდი, ზედა ყბაზე! რამდენი წლის წინ! მე უნდა განვიცადო დისკვალიფიკაცია? მეე? მეე? კაცს გაუხარდება შენს პირის ღრუში ჩახედვა, ნამდვილი ინტელიგენტის პირის ღრუ, და თურმე უნდა განვიცადო!

ნატო: (როგორც იყო მოიშორებს ბაბოს ჩაფრენილ ხელს, აიღებს ფინჯანს, ტილოთი წმენდავს მაგიდას) კარგით, ბაბო, გეხვენებით, დამშვიდდით! (უმწეოდ) არ უნდა განიცადოთ,

თქვენ ეგ არ გემუქრებათ... მე... ისე გითხარით... რომ გულისხმაში ჩამეგდეთ... თქვენ... უბრალოდ პაციენტები... არ უნდა... გაუშვათ... ჯერ დღე და ღამეს ვასწორებთ და რა გვაქვს, რა გვაბადია, და თუ ვერ ვიმუშავებთ, მაშინ გამოგვიცხვება კვერია... (მოსვამს ჩაის, სულს მოითქვამს) ხომ არ გინდათ, არაა, თქვენს ძმისშვილ ლიას დააწვეთ, როცა ასეთი ოქროს ხელები გაქვთ... (არ უნდა შეიმჩნიოს, რომ ფინჯანის გაბზარვა ეწყინა).

ბაბო: უჰ, კრიჭა შემეკვრება ხოლმე... ღმერთო, რა სკრუპულოზურად ვიცი საქმის კეთება! მარადი? ან ის ვირკამეჩა შალიკო!? ან თუნდაც ის ნაქები ვარია... არხებში არ ჩადიან, არა! მიაფიშფიშებენ და ეგ არის იმათი მკურნალობა! რამდენი იმათი გაფუჭებული საქმე გამომისწორებია, მაშინვე ჩემთან გამორბიან... და ბავშვები? პირს რომ არავის ულებენ, სხედან მომუწული პირით, კრიჭაგაკრულები, მე ერთი გადავუსვამ თავზე ხელს, ერთს გავაცინებ, მაშინვე მიღებენ პირს, მაშინვე! უბრალო ამოკვნესაც კი ჩემს კაბინეტში არავის გაუგია, განა თავმდაბალი ადამიანი რომა ვარ, ჩემი ფასი არ ვიცი?! ნურას უკაცრავად!

ნატო: თქვენი ფასი ყველამ იცის... თან მიირთვით, ბაბო, ჩაის ნუ გააციებთ, თქვენ ხომ ქაფქაფა გიყვართ...

ბაბო: (შეძრწუნებით ხელებს გადააჯვარედინებს) ვიღაც გვიახლოვდება... ვიღაც კი არა, ის კაცი... ის... (სწრაფად აიღებს ალადს და უცებ შეჭამს).

ნატო. (უკიდურესად შეწუხებული) ბაბო, რას გეტყვით, იცით, მე ონკოცენტრში მითხრეს, ერთი ათი დღე მაინც აუცილებლად უნდა დაისვენოთო, იქნებ წავსულიყავით სადმე, ან ბორჯომში, ან ზღვაზე, пока пройдет эта полоса, დარწმუნებული ვარ, გადაგივლით ეს აფორიაქება, არადა, ერთად გავუმკლავდებით ცრუსა და მავნეს, ვინც თქვენ გაფორიაქებთ! აი, ნახავთ თუ არა!

ბაბო: რას იტყვი, ნატო, რომელი ყარამან ყანთელი შენა ხარ! (გაბრაზებით) ცრუ მამაცი ხარ და მეტი არაფერი, სინამდვილეში კი შიშისაგან ქვეშ იფსამ, ჩვენ ყველა ჩაფსმულები ვართ და...

ნატო: გეხვეწებით არ განაგრძოთ, ვერ ვიტანან უხეშობას!

ბაბო: (დაცინვით) ოჰ, მეორე ნინული, პამპლაუქობ და მეტი არაფერი!

ნატო: (განწბილებით) ეს შეურაცხყოფა რაღაა ვითომ...

ბაბო: იმიტომ, რომ შენისთანა მშიშარა მეორე არც კი ვიცი!

ნატო: (უმწეოდ) მართალია, მე მშიშარა ვარ, მაგრამ არც ერთი დღე არ დამიკრეფია გულხელი, არცერთი! вопреки и наперекор! მხოლოდ შრომით შეიძლება შეეჭიდო შიშს, აი, ეს არის ჩემი დევიზი!

ბაბო: (ნიშნის მოგებით) აქამდე ვერ მიპატიებია შენთვის! ამდენი ხანი გავიდა და ვერ მიპატიებია!

ნატო: (შემცბარი) რას გულისხმობთ, ბაბო, რას, გამაგებინეთ ერთი...

ბაბო: (ხელს აღმართავს და მკაცრად შესძახებს) მიტრო! მე რომ მიკიჟინებ მიტრო მეზობელიაო! მაშინ არ იყო მეზობელი? საწყალმა ვანომ ციხიდან თავისი ქურქი რომ გამოგიგზავნათ მიტროს ხელით, დამიკერეთო, და არაფერი დასაკერებელიც არ იყო, და ვანო, ცხადია, ფულის დაკერებას გილისხმობდა! და შენ! შეგეშინდა! ასეთი შესაძლებლობა ხელიდან გაუშვი! რომ არ გიცნობდე, ჩემს ხელში და ჩემს თვალწინა ხარ გაზრდილი, მეგონებოდა ფული დაგენანა ციხეში გამომწყვდეული საკუთარი ქმრისთვის! შენ კი შეგეშინდა, და შიშმა გამოუსწორებელი შეცდომა ჩაგადენინა, აი, თუ სიმართლე გინდა, ეს არის, ვინ იცის, ის ფული წაადგებოდა საწყალ კაცს...

ნატო: (შეცბუნებული, თანდათან ემატება სასონარკვეთა, ბოლოს კი ცრემლები ახრჩობს) რატომ მომაგონეთ, ბაბო, რატომ... მე ისედაც ვერ ვპატიობ ჩემს თავს... რომ წარმოვიდგენ გაშალა თავისი ქურქი და არც ჯიბეებში, არც სარჩულზე ვერაფერი ნახა, ვიტანჯები... არ შემიძლია ამისი მოგონება... მართალია, მაინც ვერ ვენდე მიტროს, რომ გაიგონ-მეთქი, მეც ხელი მტაცონ, დარჩნენ დედა და რუსიკო უჩემოდ, უნუგეშოდ, მე შემომყურებენ, მე... მაგრამ ვანოს თბილისშიც ვერაფერი შევუგზავნეთ, ეს მიკლავდა გულს... მთელი ღამე ზინგერს ატრიალებდა დეიდა მარუსა, ნინუცა კიდევ უხვევდა, თბილ საცვლებს უკერავდნენ ვანოს შესაგზავნად... მარუსა და ნინუცა, მაყაშვილები, სტუდენტობისას ვანო ხომ მათთან ცხოვრობდა ვერაზე და ძალიან უყვარდათ... ჩვენ კიდევ, მე, ანეტა და ლადო რიგში ვიდექით ორთაჭალაში. ერთმანეთს ვენაცვლებოდით, მაგრამ გავიფიჩხეთ, საშინლად ჰყინავდა... და დილით... ვერაფერი შე-

ვუგზავნეთ... არ მიიღეს... ჩვენ მაშინ არ ვიცოდით... არა... რომ (სიტყვა უწყდება, ცრემლები ახრჩობს) ოპერაციის წინა ღამეს არ მეძინა... გათენებისას ერთი წუთით ჩავთვლიმე და ვანო ვნახე... ისე ცოცხლად... ისეთი ლამაზი იყო... ნუ გეშინიაო, ყველაფერი კარგად იქნებაო... (ცდილობს გაიღიმოს).

ბაბო: (უნდა გააქარწყლოს, ასეთი ტკივილი რომ მიაყენა ნატოს) ჩემი პატარა გოგო, არა, არა, ეს წარმოუდგენელია, ჩვენ რომ დაგვიმალე და არაფერი გვითხარი, ხომ ჩამოვიდოდით, აუცილებლად ჩამოვიდოდით და თავზეც დაგადგებოდით... დიდი გულდახურული ვინმე ხარ, ვინც არ გიცნობს...

ნატო: არა, ყურადღება არ მომკლებია, ყველაზე მეტად კი ჩემი დედამთილის ყოფნა მსიამოვნებდა, ვეუბნებოდი კიდეც: თქვენ მოწოდებით მოწყალების და ხართ-მეთქი... თქვენ რაღატომ უნდა შემეწუხებინეთ...

ბაბო: (აღელვებით) ოჰ, ნატო, ნეტავ, მე ვინც მაწუხებს, ის არ მაწუხებდეს, რა უნდათ ჩემგან, რაა... (ერთბაშად თითქოს პროსტრაციაში ჩავარდა) მე ვიცი რაც უნდა... საითაც მიბიძგებს... ოოო, ის მზაკვარი ისა... იმას უნდა გამოვაღო ჩემი წამლების კარადა... ავიღო...

ნატო: (შეშინებული გააწყვეტინებს ბაბოს, სულ დაავიწყდება თავისი ამბავი) ბაბო, თქვენ დღესვე უნდა წახვიდეთ გაიოზთან! მე მზად ვარ გამოგყვეთ! აუცილებლად და ყოველ მიზეზ გარეშე! არ უნდა გადავდოთ! ან აქამდეც სად ვიყავით და რატომ არ წავედით?! ხომ ხედავთ, მე ველარაფერი გამიწყვია, ჩემი სიტყვისა აღარ გჯერათ.

ბაბო: (შემკრთალი და შეურაცხყოფილი) რა მინდა, ქალო, გაიოზთან! რა შუაშია გაიოზი! გამაგებინე! შენ გგონია მე არაადექვატურად ვამბობ რაიმეს, ან არაადექვატურად ვიქცევი!?

ნატო: (წყენით) როგორ, სამარცხვინოდ მიგაჩნიათ გაიოზთან წასვლა?! ექიმი მაინც არ იყოთ, მიკვირს სწორედაც თქვენგან!

ბაბო: (გოროზად შესძახებს) შენ წადი, შენ წადი, თუ კარგია!

ნატო; მე როცა გამიჭირდა, წავედი კიდეც! და სხვათა შორის არაერთხელაც! მაშინ... მაშინ... აკვიატებულად უდაბურ მინდორს ვხედავდი... და სულ სროლის ხმა მესმოდა... როგორც ოცდაოთხში, გიგი რომ დახვრიტეს, გიგოსგორიდან რომ ისმო-

და გარიჟრაჟზე სროლის ხმა... (ისმის სროლის ხმა...) ღმერთო ჩემო, არც ვიცი, გაიოზი რომ არ ყოფილიყო, რა მეშველებოდა, სწორედ იმის შემდეგ ვერ წარმომიდგენია, გამიჭირდეს რამე და გაიოზს არ მივმართო... ეს უნდა გწყენოდათ? კულტურულ ადამიანს, ესა? თანაც ისეთი პიროვნება, როგორიც გაიოზია!

ბაბო: არავითარი გაიოზი მე არ მჭირდება! ჩემი წარმოდგენები უფრო ადექვატურია ვიდრე ჩემი მეზობლებისა და ნაცნობებისა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ შიშს დესპოტურ სახელმწიფოში საფუძველი არა აქვს!

ნატო: საბოლოოდ ვრწმუნდები, რომ თქვენ დემაგოგი ხართ.

ბაბო: მე ვარ თუ შენ, გიჟების ექიმთან რომ მაგზავნი!

ნატო: არ გეკადრებათ, ბაბო, არ გეკადრებათ, სულით ავადმყოფს „გიჟი" უწოდოთ, ისე კი ჩვენ ყველა, ვინ ამდენად, ვინ იმდენად, სწორედაც გიჟები ვართ, შეუძლებელია ათეული წლობით თრგუნვამა და პრესის ქვეშ ყოფნამ არ გამოიწვიოს ფსიქიკის დეფორმაცია, ტვინი რკინისა კი არ არის! ისე რომ ყოველი საბჭოთა ადამიანი დროდადრო სწორედაც უნდა დადიოდეს გაიოზთან!

ბაბო: (გაბრწყინებული შესცქერის ნატოს) მივხვდი, მივხვდი, здравствуйте, я ваша тетя! შენ გატაცებული ხარ გაიოზით, იქნებ რომანიცა გაქვს და გინდა ავადმყოფები მოუმრავლო, მითუმეტეს, ჩემისთანა შეძლებული ავადმყოფები! ეხლა ყველაფერი გასაგებია, და არც გამტყუნებ!

ნატო: (გამტკნარებული, მშრალად) მადლობთ, ბაბო, დიდი მადლობა...

ბაბო: ვითომ რას იტკიცე? ვარდებს უნდა შესტრფოდე და კაცებს არა?! ნარმოუდგენელია განა ახალგაზრდა, მშვენიერ ქალს რომანი ჰქონდეს? დაუშვებელი სწორედ ის არის, რომ არა ჰქონდეს!!

ნატო: კარგით რაა, ბაბო, არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი!

ბაბო: ხომ ვთქვი კიდეც, შენ ყოველთვის გულდახურული იყავი! და თუ იმასა ფიქრობ, რომ ლილი შენი მეგობარია, რა მნიშვნელობა აქვს ამას? რაა მერე...

ნატო: (ძლივს იკავებს აღშფოთებას) იცით თქვენ ძალიან კარგად, რომ ჩემთვის ეს გამორიცხულია! ჯერ საერთოდ და

მითუმეტეს, ჩემი მეგობრების ქმრებთან!

ბაბო: (თითის ქნევით და ანცი ღიმილით) თუ ეს ასეა, ძალიანაც ვწუხვარ! რატომ უნდა იყო მარტო, რატომ უნდა გაანიორწყლოშენი ახალგაზრდობა?!

ნატო: (ცივად) ეგ იმათ ჰკითხეთ, ვინც ვანო წაიყვანა ისე უსამართლოდ, ტყუილუბრალოდ... უსინდისო მკვლელები...

ბაბო: ხომ იცი, როგორ მიყვარდა ვანო, რა შესანიშნავი პიროვნება იყო, მაგრამ ათი წელი გავიდა... ათი წელი... მაშინ ამიხსენი, როგორ ძლებ, გენაცვა, უსიყვარულოდ? როგორ?

ნატო: ვინ გითხრათ, რომ უსიყვარულოდ! თქვენ სიყვარული ფლობის გარეშე ვერ წარმოგიდგენიათ... ჩემი ცხოვრება კი ასე აეწყო... ვანო ხომ გიგის მეგობარი იყო და გიგის დახვრეტის შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო შეევთვისეთ ერთმანეთს, გამსჭვალული ვიყავით გიგის ხსოვნით და არც ერთი წუთი არ შეგვეძლო გაძლება უერთმანეთოდ, მაშინ სტუდენტები ვიყავით და დრო თუ გვქონდა, ერთმანეთის ლექციებსაც ვესწრებოიდით... ვანო ხომ მაღალი იყო და ხუმრობით მეუბნებოდა ხოლმე, ასეთი ტანმომცრო რომ ხარ, კიდევ მეტად მიყვარხარო, და სიცილით დაამატებდა, არასდროს დაბერდებიო, маленькая собачка всегда щенок-ო. მე არც ერთი დღე არ ვყოფილვარ უსიყვარულოდ, ბაბო, მთელი სიცოცხლე საგზლად გამყვება ეს სიყვარული.

ბაბო: კი, ბატონო, სიყვარული, სიყვარული, მაგრამ როგორ დავიჯერო, რომ კაცი არ გენატრება. ეს ხომ წარმოუდგენელია! (ლამის აღშფოთდება).

ნატო: კაცი? რას ქვია კაცი? მე, მე ჩემი ქმარი მენატრება... ძალიან მენატრება... ცოცხალი რომ ყოფილიყო... უფლება რომ მოეცათ... ქვეყნის დასალიერამდე ვივლიდი, ოღონდ კი მენახა... ოღონდ კი ერთად ვყოფილიყავით...

ბაბო: ოჰ, ნატო, ოჰ, ნატო, გამოდის, რომ მთელი სიცოცხლე შენ ერთმანეთში ურევდი სიყვარულსა და სექსს... და ძალიანც სცდები...

ნატო: (იცინის) მე ვურევდი, თუ თქვენ ურევდით, ჩემთვის სული და ხორცი განუყოფელია. ამას ჰქვია с больной головы на здоровую... მოდით, ნუ ვიკამათებთ, ჩვენი შეხედულებები სიყვარულზე და ერთგულებაზე გამორკვეულია.

ბაბო: და რა თქმა უნდა, გულში მძრახავ და მამტყუნებ ჩემი შეხედულებებისა და ჩემი გავლილი ცხოვრების გამო... ეჭვი არ მეპარება, რომ მამტყუნებ!

ნატო: არავითარ შემთხვევაში! ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, მე თქვენ ძალიან მიყვარხართ, თვალი რომ გავახილე, თქვენ დაგინახეთ და თქვენს წინ ვარ გაზრდილი.

ბაბო: არა, არა, შენ ვასო გიყვარდა, ვასო იყო შენი ნათლია, და რა თქმა უნდა, მიგაჩნდა, რომ მე ვასოს ვღალატობდი, არადა, ვასო მთელი სიცოცხლე, ბოლომდე მიყვარდა, და მე ვასოსთვის არ მიღალატია, რადგან გატაცებები მე ღალატად არ მიმაჩნია! და საერთოდ, რა არის ღალატი? რა შუაშია ღალატი?

ნატო: (სიცილი აუტყდება, უნდა რაღაც თქვას და ვერ უთქვამს, ახველებს განგებ, ვითომ კულიჩის ნამცეცი გადასცდა) ჰოდა... ნუ ვიკამათებთ...

ბაბო: (იქედნურად) რა დასანანია, რომ შენისთანა ნიჭიერი ადამიანი, ასე არასწორად აზროვნებ, მეოცე საუკუნეში განა წარმოსადგენია ასეთი დახავსებული, ასეთი პროვინციული შეხედულებები გქონდეს? და რუსიკოსაც ასეთი შეხედულებებით ზრდიდე! ანუ ფარისეელურად!

ნატო: გთხოვთ, ბაბო, ნუ გაღიზიანდებით,მე „ვეფხისტყაოსნის" კულტურაზე ვარ გაზრდილი და არცა ვნანობ, თქვენ კიდევ ევროპაში გაქვთ სწავლა მიღებული და სთვლით, რომ კაცობრიობა თავისუფალი სიყვარულისკენა და ლოგინიდან ლოგინში ხტომისკენ მიაბიჯებს ადლიანი ნაბიჯებით.

ბაბო: და ძალიანაც კარგი! ვასოც კი, რომელიც რამდენჯერ შენზე უფროსი იყო, და თანაც კაცი, — და კაცები ხომ საერთოდ რეტროგრადები არიან, — თანამედროვე შეხედულებებით იყო გამსჭვალული... როგორი ფართე ჰორიზონტი ჰქონდა! აფსუს, აფსუს, არ გამომცლოდა ხელიდან?!

ნატო: თქვენი ჩიჩინით, ბაბო, მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ჩიჩინით და ისიც თეორიულად... პრაქტიკულად კი, მეცოდებით, მაგრამ უნდა გითხრათ, ნეტავ გენახათ, თქვენ რომ ვინმე გულის ვარდი მოგივიდოდათ, ვითომ პაციენტად, ძია ვასო გამოვიდოდა ჩვენთან, ჩემს ნათლულთან ნარდი მომენატრაო... თქვენ იცით, მე ვერ ვიტან ნარდს, და ვერც კარტს, მე ვერ ვიტან

ასეთ გართობას, მაგრამ ისე წავიდა ძია ვასო, არასდროს მიგრძნობინებია, რომ არ მინდოდა ნარდის თამაში, ... ისეთი შეცბუნებული იყო, ისეთი გამტკნარებული, ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ თქვენ მორიგი განცდების მორევში იყავით ჩაძირული, და რა ვქნა, მთელი ჩემი არსებით ვუთანაგრძნობდი ძია ვასოს...

ბაბო: ტყუილი, ტყუილი, ტყუილი, ვასო ისე შემომციცინებდა, ისეთი ბედნიერი იყო ჩემს გვერდით, ასე შენი შეხედულებების გამო გეჩვენებოდა! და საერთოდ, ქალისა და კაცის ურთიერთობიდან სიტყვა „ღალატი" ამოსაღები და გასაუქმებელი სიტყვაა, ხან ერთს შემოაწყდება საფანელი, ხან მეორეს, განა ეს ღალატია? და ვიდრე ეგრეთწოდებულ პატიოსან ქალებს შურდეთ სხვისი ვნებებისა, სჯობს ამოძვრნენ დახავსებული ნაჭუჭიდან და ბედს ეწიონ! მე ეჭვი მეპარება, ნატო, რომ შენმა არაადექვატურმა შეხედულებებმა მიგიყვანა მაგ ოპერაციამდე, თუ სიმართლე გინდა ეს არის!

ნატო: თქვენა, ბაბო, თქვენ რამ მიგიყვანათ?

ბაბო: (აღელვებული მიაშტერდება ნატოს) ნუთუ არ გესმის? ხან აქედან ისმის, ხან იქიდან... დაყრუვდი, ნატო?

ნატო: ეხლა თითქოს მეც გავიგონე...

ნაბიჯები ახლა უკვე მკაფიოდ ისმის...

ბაბო: (ფანჯარაში გაიხედავს და სიცილი აუტყდება, იცინის, იცინის, ხელს ფანჯრისკენ იშვერს, ვარდნარისკენ და ლამის ისტერიულად იცინის) აგერ, აგერ!

ნატოც გაიხედავს ფანჯრისკენ და გაშეშდება: ვარდნარში, თითქოს მინიდან ამოიზარდაო, პენსნეიანი კაცი. მას შავი, ვიწრო პალტო თუ პლაშჩი აცვია, შავი შლაპა ხურავს, მაღალია და ელეგანტური, ბალეტის მოცეკვავესავით, და სწორედ მოცეკვავესავით, ილეთებით მოძრაობს ვარდებს შორის, ხელებით თითქოს პასები გამოჰყავს... მზეზე პენსნე ელვარებს... კაცი მონუსხულივით ჩერდება ხან ერთ ვარდთან, ხან მეორესთან, ხან მესამესთან. მოხიბლული დაჰყურებს, თითქოს ესიყვარულება და ყნოსავს... ხშირად სახეზე რაღაც უცნაური ღიმილი დასთამაშებს...

ნატო და ბაბო ერთმანეთისკენ მიდიან, ხელებს ჩასჭიდებენ ერთმანეთს, უტყვად მისჩერებიან პენსნეიანს... ბაბო ნიშნის

მოგებით გადახედავს ნატოს, აი, თუ არაადექვატური წარმოდგენები მქონდაო.

ნატო: (ლამის ჩურჩულით) წარმოიდგენდით რომ ასე ჰყვარებია ვარდები? უყურეთ, უყურეთ, ცისფერ ვარდთან რამდენი ხანი გაჩერდა! ეს ხომ მიუწვდომლობის სიმბოლოა...

ბაბო: Как многогранен человек, მე ეგენი ყველაზე პრიმიტიულები მეგონნენ.

ნატო: (შეფიქრიანებული) რა ვქნათ, ბაბო, ჩაიზე ხომ არ მოგვეწვია?

ბაბო: უყურე, უყურე, როგორ მოსწონს თეთრი ვარდი... თავი დაუკრა... ჰკოცნის...

ნატო: უცოდველობის სიმბოლოა თეთრი ვარდი...

პენსნეიანი კაცი მართლაც ნაზად და სათუთად ჰკოცნის თეთრ ვარდს და იქვე, სახეზე სარკასტული სიცილი გადაეფინება, სახელდახელოდ, ელეგანტური მოძრაობით იხსნის შავ პალტოს, იხსნის შარვალს, ისეთ მოძრაობას აკეთებს, რომ იღებს ასოს და იწყებს ვარდებზე გადაფსმას... აღტყინებული იცინის, პენსნეს აელვარებს და ვარდებს ცეკვა-ცეკვით აფსავს. მთელ ვარდნარს თავისი შარდით რწყავს...

ნატო: (სასოწარკვეთილი) ღმერთო ჩემო; რა საშინელებაა... (თვალებზე ხელს აიფარებს).

პენსნეიანი კაცი კი კამარას შეჰკრავს, ჰაერში შეითამაშებს, დატრიალდება და ქრება. ქალები ერთ წუთს გაშეშებულები დგანან, მერე ნატო თავში შემოიკრავს.

ნატო: ახლავე, ახლავე უნდა წყლით გავბანო ჩემი ვარდები!

ბაბო: (გაოგნებული) მეც წავალ... მეც წავალ...

ნატო: მაპატიეთ, ბაბო, არ შეიძლება ვარდების ასე დატოვება, მეშინია საზიზღარი სუნი არ გაუჯდეს (გადის გარეთ, მას ბაბო მისდევს).

ბაბო: (ალერსიანად, თან სევდიანად) ნატო, გენაცვალე, თავს გაუფრთხილდი...(ისე უყურებს, თითქოს ეთხოვებაო) გთხოვ, თავს გაუფრთხილდი...

ნატო: (კატეგორიულად) არა, არა, არცერთ ვარდს არ გავუშვებ, რომ არ გავბანო!

ბაბო ერთხანს ნატოს უყურებს, რომელმაც ეს არის დასტაცა

ხელი სარწყავს, მერე მიბრუნდება, სამეზობლო კარისკენ მიდის, ცოტას გაივლის, ხალათის ჯიბიდან პატარა შუშას ამოიღებს, ხელის გულზე გადმოიყრის ფხვნილს და ის არის, პირში უნდა ჩაიყაროს, ნატო თვალს შეასწრებს, გამოიქცევა, ხელს აუკრავს და დააბნევინებს.

ბაბო: არ მინდა სიცოცხლე, არა. სწორედაც უნდა მოვკვდე! (ისევ იღებს ჯიბიდან შუშას, ძიძგილაობენ ქალები, ნატო გამოგლეჯს დარიშხანიან შუშას).

ნატო: (უყვირის) მართლაც და მართლაც გეყოთ თავს გასვლა! ახლავე მიშველი ვარდების გაბანვას. ახლავე! ვალდებული ხართ. იმდენი ქენით, სანამ ის ეშმაკი არ გამოიხმეთ! სანამ ჩემი ვარდები არ შეაბილწინეთ! თან, სხვათა შორის კუზნეცოვის ფინჯანიც გადააგდეთ და გაბზარეთ! ახლა კიდევ უნდა დაგიტიროთ არაა! არავითარ შემთხვევაში! გამომართვით ეს სარწყავი!

ბაბო: (მხრებს ჩამოყრის, ნატოს ყვირილზე მოიბღუნძება, დაემორჩილება, გამოართმევს სარწყავს, დაყვავებით ეუბნება) ჰოო... კარგი... კარგი... ნუ ნერვიულობ... შენთვის ნერვიულობა არ შეიძლება противопоказанно...

ნატო: მადლობთ ზრუნვისათვის... (თვითონ მეორე სარწყავს აიღებს).

ბაბო: (ჯერ აბუზული ამოუდგება მხარში ნატოს, თანდათან გაიმართება წელში) ოჰ, ნატო, ოჰ, ნატო, რა აუტანელი ხარ...

ნატო: (სიცილით) თქვენა? ბლის კუნწულა! (განზე გავა და ეძახის თავის შვილს) რუსიკოო, რუსიკოო, ცოტა ხნით მეცადინეობას მოეშვი და ბრამსის მეხუთე ცეკვა დაგვიკარი მე და ბაბოს, გესმიის, გთხოვთ!

ახლა უკვე ხმამაღლა ისმის ვიოლინოს ხმა და ბრამსის უნგრული ცეკვა... და სწორედ ამ რიტმზე ქალები იქნევენ სარწყავებს.

# "მოგონებანი გარდასულ დღეთა"

## მთავრობის გამო ნათქვამი

ზამთრის პირის მოქუფრული, მოქურუხებული დღეა.

ბებია ფანჯარასთან მიმდგარა, დარაბის კიდესთან მიყრდნობილი, ჩაჩუმებული და დაღვრემილი გარეთ გაიყურება ...

თოვლის ციცქნა ფიფქები აქა-იქ ჰაერში ტრიალებს, თითქოს ჰაერშივე რჩება, მიწამდე ვერ აღწევს, როგორც ბებია იტყოდა, "იქერცლება."

ჩვენი დიდი ეზოდან ჩამი-ჩუმი არ ისმის, ბავშვებს შეუბუდიათ.

მე ისე შემოვედი ოთახში, ფრთხილად და უხმოდ, ბებიამ ვერ გაიგო, ფიქრებშია ჩაძირული ... მეც ჩქამი არ გავიღე და უცებ გავიგონე, როგორ ჩაილაპარაკა, თავისთვის, ხმადაბლა და მწუხარედ: "... მთელი სოფელი წასულა ..."

"რა იყო, ბები, მოხდა რამე?"

"მოხვედი? ილა მომკვდარა, ჩემი მამიდაშვილი, დეპეშა მოვიდა."

"რა მოსვლია?"

"წამოსვლისას ვნახე, ლიმონიევით იყო გაყვითლებული."

"ტატანომ გაიგო?"

"გაიგო და მე ეხლა სამუშაოს გაცდენა არ შემიძლიაო."

"ჰო და ჰო, რა აუცილებელია წასვლა, მით უმეტეს შენ ახლახანს ჩამოხვედი ..."

საყვედურით შემომხედა და თავი გაიქნია: "მამაჩემის მხრიდან, ჩვენი თაობისა, მარტო მე და ილაღა შემოვრჩით ... და აი, ისიც წავიდა, იმისმა სიკვდილმა პირდაპირ გულში გამიარა, — როგორ იქნება, უკანასკნელ გზაზე არ გავაცილო!?"

"დეპეშას გავგზავნით, მერე ძალო ელოს ტელეფონით დაელაპარაკე და მიუსამძიმრე."

"მე როგორღა მომისამძიმრონ?"

"ოოჰ, კარგი რაა, ბები, სად უნდა იარო ამოდენა გზაზე?!"

"საპყარი კი არა ვარ, ჩემს გიასა ვთხოვ," — ვითომ არ გეგონოს შენ შეგანუხო, რაკი ასეთ სიტყვას მეუბნებიო, — "ხვალ დი-

ლით გამაცილებს სადგურზე, ჩამსვამს მატარებელში და წავალ ... იქნებ გზას ვერ გავიგნებ?"

"გიას ხვალ დილით ლექციები აქვს, ვერ გააცდენს."

"დაიცადე  დაიცადე ... (ვითომ ახლაღა გაახსენდა) ხვალ ხომ ორშაბათია და თქვენ ისვენებთ?" და მე რომ სიტყვის უთქმელად შევხედე, მოკატუნებით თავი გვერდზე გადახარა, "თუ არადა, არავისი გაცილებაც არ მინდა, მე თვითონ წავალ ... გამაგებინე, მაშ, ნათესაობა და მახლობლობა რაღაა?!" წავიდა, ტახტზე დაჯდა, ჯვარედინად მოირთხა ფეხი, როგორც სჩვეოდა, იდაყვებით მუთაქას დაეყრდნო და გაჩუმდა, სიტყვა აღარ უთქვამს, იცოდა უნუგეშოდ არ დავტოვებდი. მეორე დილით, აქვე, ზემელზე ჩავედით აეროვაგზლის სალაროებთან, გავიგე, რომ თვითმფრინავი იქნებოდა, სამი რეისიც, ისე, რომ მე წასვლა-წამოსვლას თავისუფლად მოვასწრებდი. მე და ბებია ასეც შევთანხმდით: მე ჩავიყვანდი, მივიდოდით სამძიმარზე, მე ბოლო რეისით გამოვტრიალდებოდი, ბებია კი დასაფლავებაზეც დარჩებოდა, და იქიდან აუცილებლად იქნებოდა თბილისიდან დაკრძალვაზე ჩამომსვლელთა მანქანები და ან ისინი წამოიყვანდნენ, ან ბიძაჩემი გამოისტუმრებდა.

თელავში, აეროპორტის ავტობუსიდან რომ ჩამოვედით, ჯერ ბაზარში შევიარეთ ყვავილებისათვის, მერე კი არსად აღარ გაგვიხვევია, ნელი ნაბიჯით პირდაპირ ღვთაების აღმართისკენ წავედით, სადაც ისინი ცხოვრობდნენ.

აივანზე ხალხი ირეოდა, ჩვენ სწორედ იმ დროს მივუახლოვდით დარბაზის კარს, და ის იყო, უნდა შევსულიყავით, რომ ღრმად დათალხულმა ძალო ელომ, — მას ზევიდანვე ჩამოფრიალებული ჰქონდა შავი აბრეშუმის მანდილი, — აჰკრა ხელი მანდილის კიდეს, გამოაჩინა თეთრად პირი და გულამოსკვნით შესძახა:

"ილავ! მთავრობისაგან გამოლეულო, ილაავ!!"

ბებიაჩემის დანახვაზე ძალო ელომ ხელები გამოიწოდა და შემოსტირა:

"მოხვედით, ივლიტ, მოგიყვანათ ილაამ! შენ ხომ მაინც იცი, როგორ დაანელა მთავრობამ ჩვენი ოჯახი, რა დღეში ჩააგდო ჩემი ილაა!!"

"მაშ ვინღა იცის, ჩემო ელოო, მაშ ვინღა იციის ..." ტირილის ხმაზე გაეპასუხა ბებიაჩემიც, და ისინი გადაეხვივნენ ერთმანეთს.

საქმე ის არის, რომ ერთ დროს შეძლებულებს, მქონებლებსა და დოვლათიანებს, ილასა და სანდალას, მთელ ჩვენს მხარეში ცნობილ ძმებს, შრომის უნარით, ხელგამომავლობით, გონიერებით და სიდარბაისლით, პირწმინდად ყველაფერი ჩამოართვეს, კოლექტივიზაციამდეც, კოლექტივიზაციის დროს ხომ ნამეტნავად, და იმის შემდეგაც, ვენახები და სახლები, საძოვრები და ხეხილის ბაღები, ხვასტაგი და რა ვიცი, რა აღარ. ჩვენები განსაკუთრებით დაახლოვებულები იყვნენ სანდალასთან, "ძია სანდალასთან", დედაჩემი სიყვარულით იგონებდა ხოლმე "ძია სანდალას", რომელსაც ყველაფერი რომ წაართვეს, და ცხადია, აღარც მოსამსახურეები და მოჯამაგირეები ჰყავდა, რიყის პირას, ხელსახოცისოდენა მიწის ნაგლეჯზე პატარა ქოხი ჩადგა და ის ერთი ციცქნა მიწა წალკოტად აქციაო, ასე მეგონაო, დედა ამბობდა, ძია სანდალას მიწის ხმა ესმოდაო, სად რა უნდა ეხარებინა და რისთვის როგორ მოევლოვო. ილასი და სანდალას დედა, ბებიაჩემის მამიდა თამრო, ანუ "პაპიდა", როგორც ყველა ჩვენები ეძახდნენ, და რა თქმა უნდა, მეც, მითუმეტეს, პატარაობას პაპიდა თამრო მე მგადიობდა და მერეც ჩვენთან დაახლოვებული იყო, ლუპით ხელში რომანებს კითხულობდა და მახსოვს, დიდად მიამტკივნებდა გულს "იმ შეცდენილ, საწყალ გოგოს," კატიუშა მასლოვას, და მწყრალად შესძახებდა ხოლმე" "ნეხლიუდოვი! ის ნეხვდასადები!!" უცებ მოსხლეტით გაჩერდებოდა, რადგან "ნეხვის" ხსენება ერთბაშად ლანძღვის გუნებაზე დააყენებდა, აღაპყრობდა ხელებს და ნყევლა-კრულვას მოჰყვებოდა: "ღმერთო, დაამხე ეს ყაჩაღები, ღმერთო, არ გაახარო ეს ნეხვდასადები მთავრობაა, ... ვაიმეე, ღმერთოო, ჩვენი მამულებიი, ჩვენი ვენახებიი, ჩვენი ეტაჟიანი სახლებიი, ჩვენი ტურის ციხეე, ჩვენიი ხოდააბუნეებიი ... დასაჯე, ღმერთო, დასაჯე, ჩვენი ამომგდებლები, გესმიის, ღმერთო, გეყურებაააა!!"

სამძიმრისა და მოკითხვ-მიკითხვის შემდეგ, ძალო ელომ გვითხრა: მეც დილიდან პირში არაფერი ჩამსვლია, თქვენც ნამგზავრები ხართ, პანაშვიდამდე ჯერ დროა და მოდით, ნავი-

ხემსოთო. ჩვენი შორეული ნათესავი იყო მოსული ვარდისუბნიდან, წითელლოყება, სანდომიანი ბებია ელისაბედი, შავი აბრეშუმის ბაღდადიდან წვრილი, წვრილი ნაწნავების კუდი მოუჩანდა, და ჩვენ ოთხნი მივუსხედით სუფრას გვერდით ოთახში. მე თუმცა ეკლებზე ვიჯექი და საათისკენაც გავაპარე ერთხელ თვალი, მათთან ტრაპეზის გაზიარება ძალიანაც მსიამოვნებდა და მეხალისებოდა. მე რომ მკითხოთ, რა მშვენიერია ჩვენებური სოფლის ხნიერი ქალი, ჭირ-ნახული და ჭირ-გამოვლილი, სახედაღარული, დაკოჟრილ-ხელებიანი, ფეხჩაუხრელი შრომით ნაჯაფი, ოჯახისათვის, შვილებისათვის მდნარი და მკვდარი.

"აბა, ჩემო ქალებო," მოგვმართა ძალო ელომ, "თითო ჭიქა უნდა დავლიოთ, ჩემი ილას შესანდობარი ვთქვაათ, ... გადაიღეთ ლობიო და კოტრანაც, მეზობლებმა შემოგვიტანეს."

ღვინო პურზე დავაწვეთეთ, შესანდობარი დავლიეთ. ქალებმა ლობიოც გადაიღეს ... მერე კი ბებიამა და ბებია ელისაბედმა ილასი და ძალო ელოს ქორწილიც მოიგონეს:

"ჩემო ელო, ყველა იმას ამბობდა, ეგეთი ლამაზი ნეფე-პატარძალი იშვიათიაო."

"მაშ, მაშ, ილას წმინდა მაუდის თეთრი ჩოხა ეცვა, შიგნიდან ლურჯი ატლასის ახალუხი და ნეტა როგორ შვენოდა ყველაფერი იმ ჩამოქნილ სახეზე, შავ-შავ თვალებსა და კოკობ ულვაშებზე ... და ელო ხო იყო და იყო! "ლამის აღტაცებით მოიგონა ბებია ელისაბედმა.

"მამიდაჩემი თამრო ხო, მოგეხსენებათ, თავისებური ქალი იყო," მოჰყვა ბებია, "თავისი ვაუებისათვის საცოლეებს რომ შესთავაზებდნენ, პირველ რიგში ცხვირს იკითხავდა, როგორი ცხვირი აქვსო, ან გრძელი ხო არა აქვს, ან გაბუშტულიო, ან წამომართულიო, ან უშნოდ კეხიანიო, ჩემი გიოც ცხვირით მოეწონა, აი მესმის, სტვირივით ცხვირი ჰქონიაო. სულ იმას ამბობდა, რომ იცოდეთო, თვალები თითქმის ყველას კარგი აქვსო, და საქმე ცხვირიაო, განსაკუთრებით ქალისთვისაო. ჰოდა, ელო რომ ენახნა, სიამოვნებით გაეშალა ხელები, აი, ქალი, აი, ცხვირიო, შესძახა თურმე."

"ეჰ, ქალებო," ამოიოხრა ძალო ელომ, "ბოლო კი ჩემი ილასი რა მწარე იყო, რო იცოდეთ ... გონება ებუნდებოდა და ჯოხი ით-

ხოვა, სასთუმალთან მიმიყუდეო, დროდადრო გადასწვდებოდა ჯოხსა და დაჰკრავდა ძირს, გასწით აქედან თქვე ავაზაკებოვო ... თქვე მტაცებლებოვო ... ცხენიი ... ცხენს უშვით ხელიო ... აბა, რამდენი ხანი გავიდა ჩვენი დარბევიდანა და თურმე ბოლომდე მიჰყვება ადამიანს გულს დაჭდეული სიმწარე ... საკვირველია, იმოდენა ქონება და ცხოვრება წაგვართვეს და მაინცდამაინც ყველაზე ხშირად იმ ცხენს იგონებდა, იმას მიამტკივნებდა გულსა, გეგონებათ, იმ ცხენში გაერთიანდა მთელი ჩვენი ავლადიდება."

"ოჰოჰოჰო, რა ცხენები! სანდალამ რო ჩამოიყვანა თურქმენისტანიდან. საჯდომი ცხენები თავისთვისა და ილასთვის, ორი ჩალისფერი ზერდაგი, თეთრი, წმინდა აბრეშუმის შულოებივით ფაფრებითა და თეთრი ფუშფუშა კუდებით ... სანახავად მოდიოდნენ ... რა ოქროებიც მიეცა თურმე სანდალას!? გიო ამბობდა, სიზმარშიაც  არ მინახავს ცხენის ეგეთი სილამაზეო ..." ჰყვებოდა ბებია.

"ჰოდა, სწორედ ეს ცხენი მოუკლეს ილას, გამოერეკნათ სხვა ცხენებთან ერთად და მაგ ჩემ ზერდაგს ვერ დაგანებებთ, ვერაო, შეება განარებული იმ მრბეველებს, შენც ამ ცხენს დაგაკლავთო, გავეშდა თურმე ის მთავარი ავაზაკი ... მოეკითხებათო, სუ ამას ამბობდა ჩემი ილა, ცხვირში ძმრად წაუვათო ... მოეკითხაათ? ისევ ჩვენს თავს არის ყველაფერი ... თან მიირთვით, ქალებო, — რა ვქნაა, როგორ იკიკნებით, მშივრები არ დარჩეთ." და ძალო ელომ ღვინო ჩამოასხა.

ქალები ფაქიზად, პატარ-პატარა ლუკმებით შეექცეოდნენ ლობიოს. მე კი პური და ჩვენებური ყველი ვარჩიე, პურიც გემრიელი იყო და ყველიც შესანიშნავი.

"ჩემო ქალო, მობრძანებისთვის მადლობა მომიხსენებია", მომიბრუნდა ძალო ელო, "რო ჩამოხვედი და ჩემი ივლიტა ჩამომიყვანე."

"აბა, მაშ, როგორ, ჩემო ელო, ეგეთი ახლობლები ვართ და, სხვანაირად როგორ იქნება ..." თავი გამოიდო ბებიამ.

"მოდი, გენაცვალე, ერთი სადღეგრძელო შენც შემოგვაწიე." მომმართა ძალო ელომ.

"დიდი სიამოვნებითაც, მე შემოგთავაზებთ ჩვენი წასულების

შესანდობარს, ბებია ელისაბედ, ძალო ელო, თქვენი, ჩვენი, ყველასი, გთხოვთ პაპიდა თამროც მოვიგონოთ, ჩემი გადია იყო და მეკუთვნის."

"აი, ვინ ამბობდა, მიეზღვებათ მაგ ყაჩაღებს, მიეზღვებათო და ჩემი დედამთილი, ... ნათელს იყვნენ წასულები, ნათელს იყვნენ." და ძალო ელომ მოსვა ღვინო.

"ჩემი საწყალი ბესო, ჩემიანებიც ყველა, იმათ სულს ვენაცვალე, ღმერთმა ყველა გამინათლოს, სულ იმას არ ამბობდნეენ? არ იქნება ამოდენა ცოდვამ მაგ ყაჩაღებს ისე ჩაუაროსო."

"ჩვენიანებთან ნუ ვახსენებთ მაგ ავაზაკებს ... " თქვა ბებიამ, თავისთვის ჩუმად ჩაიჩურჩულა წასულების შესანდობარი და ღვინო მოსვა.

"მართლა რო ავაზაკები!" მრისხანედ აღმართა ხელი ბებია ელისაბედმა, "სხვისა რძით გამაძღარნი, და სხვისა მატყლით შემოსილნი!"

"მაშ, არადა?!" აღმოხდა ძალო ელოს, "რამდენი ათრიეს ჩემი ილა ჩეკასა და შინსახკომშიი, ხო ჩასვეს კიდეეც, ოქროები გაქვს და გამოაჩინეო, ოქროებიც თქვენ ნაიღეთ და ვერცხლებიცო, და ცარიელი კაცი კიდევ ქვაზე მაგარიაო!"

"ვაიმე, ვაიმე, ატყოობთ, ქალებო, როგორ ჩალით დაიხურა ქვეყანა?!" თავი გადაიქნია ბებია ელისაბედმა, "აღარავინ არი გამკითხავი, აღარავინ ... ვიჰ, რა კაპლივით ღვინოა, ძალზე მესიამოვნა, გუნება ჩამიწმინდა."

"აკურულია, ილასთვის ამომიტანეს." თქვა ელო ძალომ.

"რა მიკვირს და გამკვირვებია?!" ხელები გაშალა ბებიამ, "ყველანი ესე ერთ თარგზე როგორ არიან გამოჭრილები? ერთს რო არ აუტოკდება შუბლის ძარღვი!!"

"მაშ, მაშ, ივლიტ, ერთ ყაჩაღურ თარგზე!! შუბლგარეცხილები! თან რო ბრძნად მოაქვთ თავი და ბრტყელ-ბრტყელებს დაგვძახიან მაღლიდან!!"

"ეიჰ, ელო, ბრტყელ-ბრტყელებს?! არ იცი განა, რო მამლის ყივილი მაღლიდან მცნებად არ მიიჩნევაო?!"

მთავრობის ლანძღვამ ისე წამოაყელყელავა ქალები, ისე გააგულისა, გაჰქონდათ და გამოჰქონდათ, ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ.

"ერთი ეს გამაგებინეთ, თქვენი ჭირიმეთ, "წამოიწყო ბებია ელისაბედმა, "რად უნდა ვეჯავრებოდეთ მთავრობას ეგრე უდიერად? რად უნდა ეჯავრებოდეს ხალხი, ქალებო, რად უნდა სძულდეს ეგეთი პიტალო სიძულვილით, რო არც ეყურებოდეს ხალხისა და ვერა ხედავდეს ხალხის საჭიროებას? რა ღვთის წყრომაა, არ ვიცი?!"

"იჰ, ელისაბედ," ხელი გაიქნია ძალო ელომ, "არც ჩვენ გვეხატებიან გულზე, იგეთი სიძულვილი მიდგას გულში გუბედ, როო, მოსკდომა რო შეეძლოს, მაგათ ერთიანად წალეკავდა! აი, ეგრე!" ისე ძლევამოსილად წარმოთქვა ბოლო სიტყვები ძალო ელომ, თითქოს ის სიძულვილის გუბე მართლაც მომსკდარიყო...

" მე კი რას გეტყვით, იციით," თქვა ბებიამ, "ჩვენი მთავრობის წესი ეგეთია, ჩანიხლე ნაქცეულიო, ჰოდა, უნდა წაგაქციონ და მერე ერთი კარგად ჩაგწიხლონ!!"

"ოიი, ნახავთ თუ ამათ კუდს არ ამოაძუებინებენ, ერთი დრო ვის შერჩენია, რო ამათ შერჩეთ, მოვლენ სხვები და ისეთ დღეს დააყრიან, ვაი დედას აძახებენ!!"

"უი, უი, უი, ელო, გგონია სხვები უკეთესები იქნებიან? სხვებს იქნებ ისეთი მგლის მადა და მგლის კბილები ჰქონდეთ, მთლად გაიკლონ ქვეყანა!" დაბეჯითებითა თქვა ბებია ელისაბედმა და ჭიქა ასწია; "თვალიც გამოსძრომიათ, მოდით, ქალებო, ჭირისუფლისა დავლიოთ, ელო, გენაცვალე, შენ იყავი კარგად, არ დაგვიწყებოდეს ილა, ხო იცი, ეგრე ითქმება."

"მეც მაგასა ვჩივი, ელისაბედ," თქვა ბებიამ და ჭიქა აიღო, "ელო, აბა, შენ იცი, როგორ გაუძღვები შენს გლოვას, მხნედ იყავი, როგორც ილას გაუხარდებოდა." დალია და ისევ თავის სიტყვას მიუბრუნდა: "მადა და რა მადა! დანთქავენ ქვეყანას, იმიტომ რომა, იმ მაღალი სკამების ძირი და ფესვი შხამიანია და ვინც იქ დაჯდება, მორჩა იმისი კაი კაცობაცა და კაი ქალობაც..."

„როგორ! მაშ სამართალმა პური ვერ უნდა ჭამოს ვერც როდისაა?" აღშფოთდა ძალო ელო.

"ვერა, ვერა, ვერა, ელო, ვერ უნდა ჭამოს! ჭკვიანი ქალი ხარ და ვარაუდი ვერ გასწიეე, რომ ყველაზე მეტად მთავრობას სამართალი სძულს!" და ბებიამ მწყრალად გაიქნია თავი.

"ვაიმეე, რაც ამათ ხალხი ჟუჟეს უსამართლოდა და უწყალოდაა!! სად ჩაყარა ძვლები ჩემმა ბესომ, სადაა, ჩემო ივლიიტ, თუ ვინმეს ეთქმის, შენც გეთქმის სიტყვაა ..." და ბებია ელისაბედმა ტკივილით სავსე მზერა მიაპყრო ბებიას.

"დაიცადეთ, დაიცადეთ, ქალებო, თქვენი ჭირიმეთ," დაიძახა ძალო ელომ, "ეხლა ხალხის ჟუჟვაზე რომ მოვყვეთ, მთელი დღე არ გვეყოფა ჩამოთვლა და ვაი-ვიში ... ჩემი ილა გვყავს დასატირებელიიი," უკვე შეცხადების კილოზე გადავიდა ძალო ელო, "მთავრობისაგან გამოლეულიი ..."

ბებიამ დაბრუნებისას თქვა, თურმე პანაშვიდებზეც დროდადრო ამას დასძახოდა თავის ილას ძალო ელო და ჩასვენების დროსაც ეს სიტყვა გააყოლა, "მთავრობისაგან გამოლეულოვო."

# ნუციას სიხარული

"რა ვქნა, ჩემო გოგოვ და თვალო, გიამბობდი საწყალი ნუციას სიხარულისას, მაგრამაა" ... საბედო გაჩერდება და თავს გადაიქნევს, "ბოლოში ერთი ცუდი სიტყვა გამოერევა, ... და რა მოვუხერხო ამ სიტყვას არ ვიცი, ვერასდიდებით ვერ შემოვუვლი, არადა უამსიტყვოდ არ იქნება, საწყალმა ნუციამ სწორედ ეს სიტყვა უთხრა თავის ბიჭს, თორმეტი წლის სოსიას, ... და შენც ხო იცი, ზოგიერთი სიტყვა რა ჯიუტია, გაიბოძიძგებს ფეხსა, დაერჭობა საყესავით და ძვრას ვერ უზამ ... ჰოდა, ეგრეა ეს ცუდი სიტყვაცა ... ვყოყმანობ, გავბედოო?"

არადა ერთი სული აქვს მიამბოს, საბედო ხომ ხსოვნით აღძრული ადამიანია.

"ოოჰ, ერთი შენცა," დაუტევს ბებია, "იქიდან აქ ჩამოსულხარ, გოგო გთხოვს მიამბეო და ცუდი სიტყვა რა სათქმელია?! მეც არ მიყვარს უწმაწური სიტყვების თქმა, მაგრამ ზოგჯერ შემთხვევაა იმისთანა და იტყვი, თვითონ სიტყვა მოითხოვს თქმასა."

"კარგი მაშ, ნათლია ივლიტ, რაკი შენც დასტური მომეცი, გიამბობ, რა ვქნა, თანაც ეს ხომ კარგა ხნის ამბავია, ეხლა საწყალი ნუციას ძვლებიც აღარ იქნება. მაშინ კი, გაგანია ომის დროს, რა უდიერად იტანჯებოდა ... რა უბედურადა კვდებოდა, მომაგონდება და გული მომეწურება."

"ოჰ, საწყალი ნუცია," — ჩაურთავს ბებია, — მე მაშინ თბილისში ვიყავი შვილებთან, გამიჭირდა ზამთარში მარტო ყოფნა, არც შეშა მქონდა, არც ფქვილი ... ნუციას სიკვდილიც დაბრუნებისას გავიგე, ვერ დავაღწევნე ლაზათი საწყალ ნუციას ..." გულდაწყვეტით დაამთავრებს ბებია."

ქვა აღმართში დაეწია საწყალ ნუციას," განაგრძო საბედომ. "გაწეწილ-გამოწეწილი იყო დარდითა და ჯავრით, თუ ქმრისა, თუ შვილებისა, თუ თავისი უბედური თავისა გამო. აღარაფერი დარჩა იმისი თვალმახარა ტუჩპირისაგან, იმისი უებრო ტანისაგან. დაილია, დაილია, ლოგინში ჩაიკარგა, მარტო თვალები, ვაებით სავსე და ამ ავადმყოფობისაგან ამობნელებულ თვალებს გადაატრიალებდა, გადმოატრიალებდა ... არადა რა ბედ-

ნიერი იყო, თავს დაჰხაროდა ... ქმარი, ჩასპანდი ბიჭი, ნოშრე, მილიციელი თელავის მილიციისა, ჭიხვინით ამოათავებდა რიყისპირა ბილიკს, ჩაეგებებოდნენ ბალღები, სოსიას უკან შემოისვამდა, თამრიას წინ დაისკუპებდა და ისე შემოაგელვებდა ეზოში თავის ვაშლას. მართლა რო ყურებადა ღირდა, მომცრო ხურჯინი კიდევ გაძეკილი ჰქონდა რიღათი აღარ. ერთხელ იმათას მეც შევესწარი, ჩაყო ხურჯინში ხელი ნოშრემ, მუჭით რაღაცა ამოიღო და ნუციას ცხვირწინ კი აუფრიალა ჟიკჟიკა აბრეშუმის საკაბე, დღესვე წაიღე და ფეფოს შეაკერინეო. მერე ხო ის კაბა ჩავაცვით და იმითი დაიმარხა.

ფრონტიდან დალუპვის ქაღალდი არ მოსვლია ნოშრესი, მაგრამ უგზოუკვლოდ დაკარგვისა კი მოუვიდა.

ღონიერ ოჯახებსაც გაუჭირდათ და საწყალი ქალი როგორღა აუვიდოდა ორ-ორ ბალღს, სიცივესა და უპოვრობას. პური საშოვარი, შეშა საშოვარი, ფეხსამოსი საშოვარი, საიდანა და როგორა?! დადიოდა კოლექტივში, როგორ არ დადიოდა, ტყეშიც დადიოდნენ ისა და სოსია გუდურებზე, თელავშიაც გადათხლაშუნდებოდა კვირაობით, გადანახული და მოკონწიწებული თუ რამ ჰქონდა, ჰყიდდა, ხან სანოვაგეზე სცვლიდა, მოგეხსენებათ, მოზარდისა საყელოცა სჭამსო და სოსიასაცა და თამრიასაც ნიადაგ შიოდათ, ვერა და ვერა, ძღომას ვერ იგებდნენ, ... მოუკვდეთ ამათ დედაო, იტყოდა ნუცია გულამოგლეჯით, როდის იქნება, ისე დავაძღობ, რო აღარ შემომტირებენ, დედი გვშიაო. თან გადასახადები, გადასახადები, გადასახადები, რიღასი არა, ... აკი ვიღაცას ქილიკითა და დაცინვით, თუ ბოღმითაც, საბჭოს წინ, სარზე მკვდარი ქათამი ჩამოეცვა, ზედ მიკრული დიდი ასოებით დაწერილი წერილით, ყველას რომ დაენახა და წაკითხვა არ გასჭირვებოდათ: "ხალხნო, მაპატიეთ, თავს ვიკლავო, ველარ გავუძელი ამოდენა კვერცხის გადასახადსო, დავდნი, დავილიე და ეგეთ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნიაო; როგორ მერიდება, რომა ამ გაჭირვებაში ველარც შემწვავთ, ველარც მომხრაკავთო, მაგრამაო მე მინდა ამნაირად შემოგწიროთ თავი, დავრჩე სარზე ყველას დასანახად, იქნებ გულისხმაში ჩავარდნენო, რო ეგრე მოჭერაც არ შეიძლებაო ..." აი, ამისთანები ეწერა იმ წერილში. მაგრამ სცდებოდა საწყალი ქათამი, რო სწერდა ვერც შემწვავთ,

ვერც მომხრაკავთო. დაღამებულზე წავიდა ნუცია და ის არის იმ წუთს ქვევით უბნელი ქალიც მიქასქასდა. დაენახა ნუცია და სუ კისრისტეხით წამოსულიყო. ორივემ ერთად მიატანა ხელი სარზე ჩამოცმულ ქათამს, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გადასძალა და გადაწყვიტეს გაეყოთ. ქვევითუბნელს დანაც თანა ჰქონდა, მაგრამ გაჭრაში მთლიანად კუჭნაწლავი იმას წაეღო, ღვიძლი მაინც დამანებეო, შეხვეწნოდა ნუცია, მაგრამ თავი გადაეკლა და არც ღვიძლი დაენებებინა. იმ ნახევარ ქათამს, ზედ მიკრული ბუმბული ტყავიანად გადააძრო ნუციამ, ძმრიან წყალში კარგად გარეცხა და ბალღებს მოუხრაკა, ... უცებ გაადინეს ყლაპანი. ნუცია კი ამბობდა: მაინც კარგია, ენაცვალოთ დედა, კბილს ჩიჩია მოახვედრესო. ერთხელაც გაუხერხა თავის შვილებს კაი ბურვაკის ხორცი. ერთი უხეირო კაცი ჰყავდა გადაკიდებული, ზედმეტსახელად ბლარცი, უმაქნისი ქურდბაცაცა, დახვდებოდა სადმე, ან ორღობეში, ან წყაროზე და სულ ერთსა და იგივეს ეუბნებოდა ურცხვად, მომეცი, მომეციო. ლანძღვა-გინებით აიკლებდა ნუცია, როგორ მიბედავო, ჩემი ნოშრეს შემდეგ შენ ქოჩორსაც არ დაგანახვებო, შე კაცის ანაფხეკო, შენაო ... ერთხელ ქვასაც დასწვდა თურმე, გაგიხეთქავ მაგ გაბრტყელებულ თავსაო, მაგრამ აბაა, შუბლგარეცხილი იყო ბლარცი, არ მოეშვა, არ მოეშვა. ჩაუსაფრდებოდა და ისევ ისე უტიფრად თავსა სთხოვდა ... წყალი რო გადაინურა, მაშინღა ეთქვა: შენი შვილები მაინც არ გეცოდებაოო, ყბა ყბაში რო აქვთ გაცმულიო, არ გაგიგია მაიინც, შიმშილმა ლეკებში გადამიყვანაო და იგრე ხალასტოიზე კი არა გთხოვ ჩემთან ყოფნასა, ერთი კარგი ბურვაკის ფეშხო ჩემზე იყოსო. იქ თურმე არაფერი უთხრა ნუციამ, გამოტრიალდა ქვანაკრავივით და გაჩქარებული შინ წამოვიდა. მაგრამ ეს ბურვაკის ფეშხო კი გუნებაში ჩაუჯდა. და მოიფიქრა, რაც უნდა ექნა. შეხვდა და უთხრა კარგიო, ვიკისრებ ჩემი შვილებისთვის ამ უკეთურ საქმესაო, სადაც არი ენყება სოსიას არდადეგებიო, მოიტანე ეგ ბურვაკის ფეშხოვო, ერთი-ორი ბოთლი ღვინოც მოაყოლეო, ხო იცი, გული არ მიფუვდება შენთან ყოფნითა და ცოტა ეშხზე მოვიდე, იქნებ კაცად მომეჩვენოვო ... მაგრამაო, მე ჩემ შვილებს ჩემ უკეთურობას და ფრონტზე წასული მამის ღალატს ვერ ვაყურებინებო, ერთი-ორი დღე კარგად

გამოვსიკნი ამ ბურვაკითაო, მერე არდადეგებზე ხორხელში გავგზავნი დედაჩემთანაო, და მთელი ათი დღე, რაც ბალღები შინ არ იქნებიან, ღამღამობით იარე ჩემთანაო, სუ ავანაზღაურებ მაგ შენ ფეშხოსაო, ამაზე კარგი სიტყვა რა გინდაო. ისე იყო აღერღილი ბლარცი, სიხარულით აღარ იცოდა რა ექნა, თურმე ცალ ფეხზე ხტოდა, ფეშხო რასა ჰქვიანო, შენ ოღონდ იმ ათი დღის შემდეგაც ჩემთან იყავი და ოქროებში ჩაგსვამო. ვნახოთ, ვნახოთ, თავს როგორ გამოიჩენო, ნუციას ეთქვა. არ დაახანა ბლარცმა, მეორე დღესვე მოუტანა ჩვენებური ბურვაკის, — მერე რა გემრიელია, — ფეშხო და რა ფეშხო, ღორობაში შესული დიდი ბურვაკისა, გაახილე თვალები და ნახე, ისეთია, უმად იჭმებაო, ეთქვა, პარკით ხახვიც გამოეყოლებინა, ბალღები ხო ორ-სამ დღეში ვერ მოერევიან, მე ხახვში ჩახრაკული მიყვარს და ის დამახვედრეო. ღვინოც არ დავიწყებოდა, ხელადა წითელი ღვინით გაევსო, ბურვაკზე წითელი ღვინო კარგად წავაო ...

უწვა და აჭამა ნუციამ ის ორი-სამი დღე თავის ბალღებს ნედლი ბურვაკის ხორცი. მერე ხორხელში კი არ გააგზავნა. ან როგორ გაგზავნიდა იმ სიშორეზე, თანაც დედასა და რძალსაც ნუციას ომში წასული ძმის სამ-სამი ბალღი ეჯდათ სახლში, იმათაც უჭირდათ და თავის ორსაც როგორ მიუმატებდა. იქვე რუისპირში წაიყვანა თავის დეიდაშვილთანა, ბურვაკის ხორციც ჩამოუჭრა კარგად და სთხოვა ერთ-ორ დღეს შემინახე ბალღებიო. დაბრუნდა მაშინათვე და ბეღანაანთ ბესოსთან გადავიდა: ძია ბესო, თქვენი ჭირიმეთო, მობინდებულზე, გთხოვთ და გევედრებით, გიგილაანი, ძია ალექსა და ძია ვანიაც ჩემთან გადმოხვიდეთ, ეგრე და ეგრეა ჩემი საქმეო, ერთი უგვანი კაცი მყავს გადაკიდებული და მინდა იფრინოთო, ისე იფრინოთ, აქეთ გამოხედვა ვეღარ გაბედოსო. ბესო კარგა ხნიერი იყო და თანაც კოჭლი, მაგრამ იგეთი ჯანის პატრონი, მეტი რო არ შეიძლება, გიგილაანთაც არა უშავდათ რა. სამაგიეროთო, კარგ ვახშამს დაგახვედრებთო, ბურვაკის ჩახრაკული თავისი წითელი ღვინითაო, ოღონდ პური თუ არა გქონდეთ, მჭადპურა მაინც გამოაყოლეთო. მეტიც არ უნდოდა ბესოს, ისე შეღერდა, ისე აიქოჩრა მებრძოლი მამალივით, უყურე შენ მაგ გაფუჭებულსაო, იგეთი დღე დავაყაროთ, კარი კედელი ეგონოს და ვირი მჭედელიო,

შენ წადი და ხორცი კარგად ჩახრაკე, ბლომა ხახვშიო ... ნუციამ მე და ბაბუცასაცა გვთხოვა, თქვენც მოდით აუცილებლადაო. ცირკი უნდა გაჩვენოთო. შებინდებულზე ყველანი მივედით, მთელ ეზოყურეში შემწვარ-მოხრაკულის საამური სუნი ტრიალებდა. ნუცია კარების ჩაკეტვა უნდოდა, მაგრამ კაცებმა არ ჩააკეტინეს, მოვიდეს, შემობედოს და ვაჩვენებთ ქალაქი საითაც არისო. მართლაც, ის იყო შემოვუსხედით სუფრას და ხმაც შემოგვესმა ბალკონიდან ნაბიჯებისა, ფანჯრებზე ფარდები იყო გაფარებული, ვერ დაგვინახავდა და პირდაპირ შემოალაჯა. შემოალაჯა და გატრიზავებული გაშეშდა კარებთან, თვალებს კი ავად ატრიალებდა აქეთ-იქით.

"რაო, ბლარცო, არ მოგწონვაართ?" დაიძახა ბესომ.

"რალაცა ფინთად იყურება!" აჰყვა ბესოს ალექსა, "ღვინის დაყენება კი გცოდნია, ბლარცო, თუ შენი დაყენებულია და ვინმეს მარანში არ შეიპარე!"

ბლარცი გაჭარხლდა, სახე მოექცა, ცოფიან ძაღლს დაემსგავსა, ბოღმიანად ამოხეთქა: "ცხონდეეს ბაბე სხვის პურ-ღვინოზეოო?!"

"ბაბე ცხონდეს და შენ კი აქედან აუსვი!" დაიძახა ძია ვანიამ, "რო გადაეკიდე ამ პატიოსან ქალსა, გასწი სანამ გვერდები მთელი გაქვს, არ გაბედო ნუციას სახელის ხსენება, თორეე, ჩვენზე მეტი მტერი არ გინდა, შე უგვანო, შენა, ქალი რო შეაღონეო!"

"უნამუსოოო ... უნამუსოოო ..." დაიღრიალა ბლარცმა და დახეთ მაგის გაბედვას, ხელებგაშლილი წამოვიდა, მაგიდა გადაეყირავებინა. კაცებმა ჯოხებს დასტაცეს ხელი, წამოვხტით ყველანი და სუ კინწისკვრით გავაგდეთ, იდგა ეზოში და დასაკლავი ღორივითა ჭყიოდა: "თუ არ უნდა მოგეცაა, ბურვაკს რა მემართებოდიოოო ..."

ნუციამაც ბალკონიდან დასჭყივლა: "ქურდის ქურდი ცხონებულია, შეერგოთ ჩემ ბალღებსა, შიოდათ და გავაძღეო!!"

"შენ არ შეგერგებაო!" ჭყიოდა, "ჩემი მოღორებისთვისაო აი, ნახე თუ შეგერგებაო!!" და ჭყივილ-ჭყივილით მიძუნძულებდა ორღობეში.

ის ბურვაკი თელავის ბაზარზე მოეპარნა, მერე მაგასა და მაგის ამქრებს სანყობიც გაეტეხნათ და ქვეყნის რამე წაეღოთ,

ეძებდნენ და იპოვეს კიდეც და ჩააყუდეს. მაგრამ ჩვენი ნუციას საქმეც ვერ წავიდა კარგად. წინებზედაც იტკიებდა მუცელს და მერე, არ ვიცი, ამ ბურვაკის ხორცის ბრალი იყო, თუ იმ საზიზღარი ბლარცის სიტყვისა, არ შეგერგება, არ შეგერგებაო, უმატა და უმატა ტკივილსა და მუცელი ქვა და კლდესავით გაუხდა. მე გავყევი თელავში და ექიმმა, კაკო ჯაფარიძემ, სუ თავი იქნია, მე შევბრუნდი, ვითომ რეცეპტისათვისა და ცუდად არის ამ ქალის საქმეო, მითხრა, მეტი-მეტი სამი თვე გასძლოსო, კი მაგრამ რა სჭირს ამისთანა-მეთქი და სარკომაო. იქამდე მე არც გამეგონა ის საშინელი სიტყვა, რაც მე ვნახე საშინელზე უარესია.

სუ ის მედგა თვალწინ, ნოშრემ რომ მოიყვანა ხორხლიდან და ჩემი ოთიაც მაყრებში იყო ... რა მაშხალები. რა ქორწილი, რა ცხენების ჯირითი ... თეთრებში გამოწყობილი ნუცია კიდევ, თეთრქალაღაია გადაფრიალებული, თოვლში ამოჩენილ ენძელასა ჰგავდა ... ვიჰ, რა მშვენიერი სანახავი იყო ... ეხლა კიდევ, სუ ცოტა ხანში მოსპო და დაანელა ამ საზიზღარმა ავადობამ. ტკივილები, ტკივილები ... ულმობელი და უწყალო. ყმუის, ყმუის ეს ავადობა რო შემჭამოს და შემხრასო. ბალღებს ეტყოდა: თქვენ შემოგევლეთ, გადით იქითა ოთახში, კარი მოხურეთ, რადიო ჩართეთ, ცოტა გულს მოვიოხებო და ისეთ გმინვა-კვნესას მოჰყვებოდა და შიგადაშიგ ყვირილსაც, იმისი უბედურება ცასა სწვდებოდა. ტკივილი ტკივილად  და დარდიანი იყო, ერთი რო შვილებისა, ვაიმე, რა ეშველებათო, ვაიმე როგორა ვღალატობო ... მეორე კიდევ, არ ვიცი ტვინი მიებუნდა თუ რაა, სულ იმასა ჩიოდა ჩემ შესანდობარს ვინ იტყვისო, დიდ ქელეხს კი არ ვამბობ, მაგრამ პატარა სუფრა მაინც ხო უნდა გაშლილიყოვო, ხორბალი მოხარშულიყოვო, ჭიქა აწეულიყოვო ... იგრე უპატიოდ როგორ უნდა წავიდეო, რა მაცხონებს მე უბედურს, რა მაცხონებსო ... როგორც შეგვეძლო ვანუგეშებდით ... მე თელავიდან გამაყუჩებელი ნემსებიც მოვუტანე, ულაპარაკოდ მომცეს და ჩვენი ექთანი ჟუჟუნა უკეთებდა ... ცოტა ხნით მაინც ჩაწყნარდებოდა ხოლმე და ისევ იმას იტყოდა, ამ გაჭირვებაში ან კუბოს ვინ შემიკრავსო, ან ჩემი სოსია, თორმეტი წლის ბიჭი რას გაახერხრებს და რას გამიკეთებსო, ... ბალღები იკრუნჩხებოდნენ დედის საცოდაობით, ჩამოუსხდებოდნენ საწოლზე, დედი, გენაცვალე,

ნუ გეშინია, შენ იყავი კარგად და ყველას ყველაფერი ეშველებაო. ვაიმე, ჩემო დედამკვდარო შვილებოვო, ისე ამოიგმინებდა, გულს ამოატანდა, ჩემო სოსიავ, ჩემო ბიჭო, დაიხსომე, ხორბალი მაინც უნდა მოხარშოვო, ერთი ჭიქა ღვინით შენდობა უნდა მითხრაო ...

მარტი რო დადგა და ამინდი აირია, სუ უფრო-უფრო დამძიმდა, ის კოხტა ტუჩები, ეხლა მთლად გალეული, კბილებზე გადაეკრა ... დღედადღე ველოდით სულის ამოსვლას ...

ჰოდა გავიხედოთ და სოსიამ კარი შემოგლიჯა გახარებულმა: "დედი, შენი ჭირიმე, რა კარგი ამბავი უნდა გითხრა, დედი, როგორ უნდა გაგახარო!!"

კაი რამ ნემსი ახალი გაკეთებული ჰქონდა და ცოტა ჩაწყნარებული იყო, არა ბორგავდა. გადმოატრიალა სოსიასკენ თვალები და გაშეშებული შეაჩერდა. მივარდა სოსია გახარებული, ლოგინზე ჩამოუჯდა, ხელებს გადასწვდა, გულზე მიიხუტა: "გავბედე, დედი, წავედი კანტორაში თავმჯდომარესთან, კიდევ კარგი, სადღაც მიდიოდა და ქვევითვე შემხვდა, ძია კოტიავ-მეთქი, ვუთხარი, ეგრე და ეგრეა ჩვენი საქმე-მეთქი, დედა მიკვდება-მეთქი, რა ვქნა და რა წყალში გადავვარდე-მეთქი ... მხარზე დამადო ხელი, ვიცი, ვიცი თქვენი ამბავი და ნურაფრისა ნუ გეშინიანო, კუბოსაც შევუკრავთო, ლობიოსაც მოგცემთო, ფქვილსაცაო, საწანდილედ ხორბალსაცაო, ღვინოსაცაო, ცხვარსაც გაგიხერხებთო, როგორაო. ნოშრეს ცოლსაო იგრე უპატიოდ გავისტუმრებთო?! დედი, დედი, ეგეთი კარგი სიტყვა მითხრა ძია კოტიამ, ეხლა ხო დამშვიდდები, დედი ..."

ნუციას კი დალეული სახე გაეხსნა, თვალებში სასოება ჩაუდგა, გახარებულს ჩავარდნილი ხმაც თითქოს ძველებურად გაუმკვეთრდა: "თქვენც როგორ გამოიპროჭებით, ჩემო შვილებო, რა გავიხარეე ... გენაცვალოთ დედაა ..."

"ჰოო, დედი, ჰოო, ჩვენი დარდი ნუ გექნება, დედი, პატარა ხო აღარა ვარ, თორმეტისა ვარ, თამრიასაც მივხედავ, სახლსაც მივხედავ, ჩვენ დარდს ნუ გაიყოლებ, დედი, შენი ჭირიმე" ...გეგონება წლები მოემატაო, ისე ანუგეშებდა საწყალ ნუციას, მხოლოდ ბოლოსღა გაებზარა ხმა.

"არა, გენაცვალოს დედა, არა, ნუ აღელდები, ერთი-ორი

ცრემლი დამაგდე და ეგ იქნება, ეხლა კი წადი და ვანკა მღვდელი მომიყვანე ...“

“კარგი რაა, ნუციავ,“ კინალამ დაუტია ბაბუცამ, "ვანკა მღვდელს ჩვენ ვერ მოვიყვანთ?!“

მე მაშინათვე წამოვდექი და გავიქეცი ვანკა მღვდლის მოსაყვანად, თან გზაში იმასა ვფიქრობდი, მონანური გული აქვს ვანკა მღვდელს და ზიარებაში და წესის აგებაში არაფერს გამოგვართმევს-მეთქი."

საბედომ თვალები აახამხამა და თავი გადახარა, თან მორჩილად და მორიდებით მითხრა:

“ჩემო ქალო, ძალიან ხო არ გეხამუშა ის სიტყვა?“

“რას ამბობ, საბედო, მე ცრემლებს ძლივს ვიკავებდი, “რა მეხამუშაასეთი გამომსახველი სიტყვა, იმის მაგივრად დარდიანსა და მომაკვდავს რამდენიმე სიტყვა ეთქვა: თქვენც იმდენს შეჭამთ, კარგად გამოძღებითო, ის ერთი სიტყვა უთხრა. იცოდე, საბედო, თუ სხვა სიტყვაც იცი, ასეთი ხატოვანი, ისიც უნდა მითხრა.“

“ვიცი, მაშ," გული მოიცა საბედომ," ისეთი სიტყვა ვიცი, მაგრამ ძალიან ცუდი ..."

“სიტყვის დაკარგვა არ შეიძლება, საბედო, არავითარ შემთხვევაში.“

“თუ გავბედეე იმისი თქმაა, სხვა დროისათვის იყოს, კარგიი?!“

# არ სიძვისა დასადარი

"ჩემო საბედო," უთხრა ბებიამ მეორე დღეს, "ის მწუხარე ამბები რო ვუამბეთ ჩემ გოგოს, მოდი ეხლა კიდევ სახალისო თქვი, შენი და ოთიასი, როგორ შეაცდინე ის კარგი ბიჭი ..." და ვითომ გაკიცხვის ნიშნად საბედოს თითი დაუქნია.

"თქვენი ჭირიმეთ!" სიცილით შესძახა საბედომ, "საიდან მოგაგონდათ, ნათლია ივლიტ, ვიჰ, რამოდენა წყალმა ჩაიარა იმის შემდეგ ... ჩემი ოთია ... ჩემი გულუბრყვილო, გულქართლი ოთია ... რა სხვანაირი ბიჭი იყო..."

საბედო იმ ჩამოსვლაზე მთელი სამი დღე დარჩა. დილიდან სტუდქალაქში მიდიოდა ... გავანებივრე ჩემი ბიჭიო, ამბობდა, დავურეცხე, დავუკერე, დავუმარმარე იქაურობა, გემრიელი სოუზიც გავუკეთე, ლობიოც ამოვუზილე, — უყვარს ჩემი შენელებული ლობიოს შეჭამანდი, და აი, სუ ძალისძალად ოპერისთვისაც წამოვიყვანეო.

არ მოგვდევდა მინდია, რა ჩემი საქმეა ოპერა და ბალეტიო, ძლივს დავითანხმეთ, საბედომ შეარცხვინა, მე როგორ უნდა გაჯობო ოცი წლის ბიჭსაო, განა შეიძლებაოო? აღარ იცის ხალხმა ოპერისთვის რა ქნას და შენ კიდევა ბაიბურში არ უნდა იყოვო? იმ კვირა დღეს „ამაო სიფრთხილე" იყო, მოკლე ბალეტი და მინდიას ისე მოეწონა, თვალებდაჭყეტილი უყურებდა სცენას, და მერე ისიც კი მკითხა: ხო შეიძლება ვიარო ხოლმეო. მე ვუთხარი, რას ქვია შეიძლება, თეატრი სწორედ ყველასთვის არის-მეთქი, ჰოდა, იქიდან რო დავბრუნდით, მინდია თავის ბიჭებთან წავიდა, კვირაა და გავივლითო, ჩვენ კი დავრჩით სახლში და ბებიამ სწორედ მაშინ მოუწოდა საბედოს ოთიას შეცდენის ამბავი ეთქვა.

"ეეჰ, მე ხო ძაალიან, ძაალიან გვიანა შვილი ვარ," დაინყო საბედომ. "არა რჩებოდა დედაჩემს, არაა, ან თავიდანვე უფუჭდებოდა მუცელი, ან არადა მიაღწევდა ბოლომდე როგორც იქნებოდა, დაწვებოდა და მკვდარსა შობდა. ოჰ, როგორ დარდობდა, თურმე რა მწუხარე იყო, ზოგსა პანტაპუნტით უჩნდება და არ უნდაო და რა იქნებოდა ერთი მეც შემრჩენოდაო, ვაიმე, ვინ უნდა წეწოს და გლიჯოს ჩვენი ცხოვრებაო. ბოლოს კუდზეღა

სტაცეს ბედს ხელი. მიესნავლებინათ ყარაჯალაში, ერთი თა-
თრის ქალია და კარგი წამალიც იცის და წელის შეკვრაცაო. უკვე
ხნიერები იყვნენ, დედაჩემი ორმოცს მიტანებული, მამაჩემი
ორმოცდაათს, მე რომ გავჩენილვარ. ამიტომაც ჩემი ყველაფე-
რი ეჩქარებოდათ, გაზრდაც, სწავლაც, დაოჯახებაც, სკოლაში
ექვსისა შემიყვანეს, არადა მაშინ რვა წლამდე არ შეჰყავდათ და
თერთმეტი წლისა კიდევ დამნიშნეს, და აღარ იტყვი, ჩემო ქალო,
ვისზე?" საბედოს ღიმილით გაებადრა სახე. "ვისზე და ოთიაზე,
მამაჩემმა თავის მოჯამაგირეზე დამნიშნა. მაგრამაა ჩემი ოთია
ხო უბრალო მოჯამაგირე არ იყო ... ჭამასაცა და ძილსაც წიგნის
კითხვა ერჩივნა ... ოთხი კლასი რო დაამთავრა თურმე წარჩინე-
ბითა, მამა მოჰკვდომოდა, ტყეში ხე დასცემოდა და იმას მოეკ-
ლა. ოთია უფროსი იყო შვილებში და შეება თურმე ეს თორმეტი
წლის ბიჭი ოჯახის გაძღოლაში, ჭაპან-წყვეტაში ... ჯერ თუშებ-
თან ემუშავნა მწყემსის დამხმარედ მთელი ორი წელიწადი ...
მძიმე იყო ცხვრის მოვლა და მთაში ყოფნა, მაგრამა კითხვის
დროცა მრჩებოდაო ... სუ ზეპირად ესწავლა "ვეფხისტყაოსანი-
ცა" და ვაჟას პოემებიც ... ჩვენ ბიჭებს ხო იმიტომაც დაარქვა
ლუხუმი და მინდია ... ჰოდა, მამაჩემის ბიძაშვილის მული ქვემო
ხოდაშენში იყო გათხოვილი სწორედ ოთიაანთ მეზობლად და
მთიდან რო ჩამოსულიყო, ოთიასთვის ეთქვა, მთებში ხეტიალს
არ გირჩევნია გამომყვე იყალთოში და ჩვენ ნათესავებს მოჯამა-
გირედ დაუდგეო, ღონიერი ოჯახია, კარგი, გაგებული ხალხია,
თან არც შორია და ჩემიანებში რო წავალ იყალთოში, შენც გა-
მომყევიო. თოთხმეტისა იყო მაშინ ოთია, მე კიდევა ათისა. მე
ხო ეხლაც ტანმორჩილი ვარ და მაშინ მთლად პატარა ვიყავი და
ეგრევე დამარქვა "პატარა ქალი".

"მამაჩემს თავიდანვე მოეწონა ჯერ შეხედულად და მერე საქ-
მით, ... ოჰ რა გამრჯე და დაუზარელი იყო, რაღას არ აკეთებდა,
თუ სახლში, თუ გარეთ, ან როგორ მისცემდა სარწყავს გეზსა,
ან როგორ გაასწორებდა კრამიტებს, ტყიდან რა საჭიგოესა და
ლატანს ჩამოიტანდა, პირუტყვს მოუვლიდა, რა ვიცი, რომელი
ერთი ვთქვა. თან ისეთი ყურადღებიანი, ისეთი ყურადღებიანი,
ჩემთან ხელცარიელი არასდროს არ მოვიდოდა, ხან ფრთამო-
ტეხილ ჩიტს მომიყვანდა, მოუარე და გამოარჩინეო, ხან მაყ-

ვალს დამიკრეფავდა, ზღმარტლსა და კუნელს ... მერე ისეთი ქალმების ამოსხმა იცოდა, ერთი რაღაცა გაფხოკილი და უშნო კი არ იყო, კოხტა, კოხტა, მეტი რო არ შეიძლება, თელავში წაიღო ტყავი, დაბაღს დაამუშავებინა, შეაღებინა კიდეც ლურჯად და წითლად, ... მერე ყველა იმას მეუბნებოდა, ალბათ ქალაქიდან ჩამოგიტანესო. საქმეებისაგან რო მოიცლიდა, საღამოობით კიდევ მეთამაშებოდა, ბევრი ლექსები იცოდა და ზოგჯერ ნარმოდგენასავით დავდგავდით ხოლმე. ეეტყოდი: მოდი, ყვავისა ვითამაშოთ-მეთქი. ხო კარგად გახსოვს როგორც გასწავლეო, მახსოვს-მეთქი. აბა, მაშ, დაიწყეო ... ოთია ტახტზე ჩამოჯდებოდა, მხრებს ჩამოჰყრიდა, გულხელს დაიკრეფავდა და ვითომ მწუხარედ თავს ჩაჰკიდებდა. მე კიდევ არ უნდა შემემჩნია მისი მწუხარება და ნამღერებით მეთქვა: "ნეტარ შენ ყვავოო, დარდი არა გააქვს!"

ოთია გადმოატრიალებდა თავის დიდ თვალებს, გეგონებოდათ მართლა ყვავიაო და მოთქმით ყრანტალის ხმაზე მოჰყვებოდა:

"როგორ არა მააქვს?! თავი მელამაზებაა,
ცოლი მეჩირქინებაა, გვერდით რო მომიჯდებაა
გული ამომიჯდებაა, სიცოცხლე მიმწარდებაა ..."

მეც შენუხებული, თავის ქნევით წავუმღერებდი: "მაშ, რას იზაამ, ეგეთი დარდიანიოოო." ოთია მხრებს გაშლიდა, ხელებს ფრთებივით აიქნევდა და ხალისიანად მეტყოდა:

"ისევ გავფრინდები, მოვივლი ქვეყანასაო,
ღრუბელს გადავიყრი გულიდანაო ...
პატარა ქალს კაკაკუკას მოვუტანოო,
გავახარებ დაა გავალაღებოო ..."

ხელებს გაშლიდა და ბალკონიდან პირდაპირ ძირს გადაეშვებოდა ... მე კიდევ დავადევნებდი: "ყვავოო, რო მიფრინაავ, ცოლს რას უზამოო ..."

"ყვა, ყვა, ყვაააა, ეგეთ ცოლს თვალიც გამოსძრომიაოო ..." ამომძახებდა სიცილით. მერე როგორა შვენოდა სიცილი, რომ იცოდეთ ... ჩემ დედ-მამასაც უხაროდათ ჩვენი თამაში. უყურა მამაჩემმა, უყურა ერთი წელიწადი, სუ თავს იქნევდა, ეს რა კარგი ბიჭი შემოგვივიდა სახლშიო, შეხედავ — გაგიხარდება, თან

რა მარჯვე და ბეჯითიო, რა ხელგამომავალი და წიგნის მოყვარულიო. ღამე იგრე არ შეეძლო დაწოლა, ჭრაქის ან სანთლის შუქზე წიგნს თუ არ წაიკითხავდა. კარგი წიგნიო უბრალო რამე კი არ არისო, გეზს გაძლევს ცხოვრებაშიო, იტყოდა ხოლმე და შოთას აფორიზმები ხო სუ პირზე ეკერა. არა, არაო, მამაჩემმა უთხრა დედაჩემს, ეს ბიჭი ხელიდან გასაშვები არ არისო. ვერაფერში წუნს ვერ უპოვიო და გადაწყვიტა ჩვენი დანიშვნა. მაშინ მე თერთმეტისა ვიყავი, ის თხუთმეტისა. ოთიას ეთქვა, თქვენი სიტყვა ჩემთვის კანონიაო, პატარა გოგუცუნაც ძალიან მომწონს, მაგრამ პატარაააო, ვაითუ რო გაიზრდება აღარ მინდომოსო. მამაჩემმა კიდევ: ნეტავი შენზე კარგი ვინღა უნდა ინდომოსო, აი, გოგო სწავლობს, გაათავებს სკოლასა, მიიხედ-მოიხედავს და თუ მზად იქნება საქორწილოდ, ჯვარსაც დაგწერთო. პატარა ნიშნობაც გადაგვიხადა და ნათლია გიოც იყო თამადა. მე კიდევ მიხაროდა, მიხაროდა, მიხაროდა, გავიზარდე-მეთქი, უკვე დიდი ვარ, რო დამნიშნეს-მეთქი ... მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ იქამდე როგორც ვიყავით, იგრეევე ვიყავით, ვიყავით და ვიყავით. იყალთოში ხო მარტო შვიდწლედი იყო და მერე აწყურის ათწლედში გადავედი და ის ათწლედი დავამთავრე. ოთიას კიდევ, აქაოდა პატარა დამნიშნა, სულ პატარა და უწლოვანი ვეგონე, ქალივით კი არ მექცეოდა, ვითომ ისევ გოგუცუნა ვიყავი. ასეც მეძახდა: აბა, პატარა გოგუცუნაო, დღეს რა ნიშანი მიიღეო, აი, პატარა ქალს რა მოვუტანე დღეს ტყიდანაო, აბა, პატარა ქალო, ბურთი ხო არ გვეთამაშაო? ბაიბურში არ იყო, რო ჩემ გულს ვასკდებოდი. დატევით დავუწყე ლაპარაკი, მინდოდა გულისხმაში ჩამეგდო, ის კიდევ: "პატარა ქალო, ხო იცი, რო ტკბილი სიტყვა რკინის კარს გააღებსო." "კარი დიდი ხანია ღიაა", უკმეხად ვუთხარი, "მაგრამ დანახვა უნდა-მეთქი." "აბა უყურე, აბა უყურეო, პატარა ქალს თავი რო ედიდებაო ..." დაიღიღინა.

მინდოდა დამეყვირა: ჩემზე დიდი აღარ ვარგა და ჩემზე პატარა-მეთქი, უკვე მეჩვიდმეტეში გადავდექი-მეთქი და ვიხაფრებოდი, პირდაპირ ვერ ვეუბნებოდი რაც მინდოდა, გამოვიკრავდი ჭაკატსა და ხმას აღარ ამოვიღებდი, შიგნით კი ვიღაცა იძახდა: აღარა ხარ, პატარა, აღარაოოო!! სურვილი მეძალებოდა, აღარ ვიცოდი რა მექნა, და ერთხელაც აგვისტო იყო, სწორედ

ის ნელი, სკოლა რო გავათავე, ოთია თავისი ოთახის წინ, ბალკონზე იწვა, ჩვენ კიდევ შიგნითა ოთახებში. მთვარიანი ღამეა, არ მეძინება, არ მეძინება, სუ იმაზე ვფიქრობ, როგორ ჩავაგდო ოთია გულისხმაში-მეთქი. ავდექი, გამოვედი გარეთ და ფრთხილად დავუძახე: „ოთია, ბიჭო ოთაროოო ...“დაფეთებულმა წამოყო თავი: “რა იყო, რამე მოხდაო!!“ “როგორ არ მოხდა, კაცო, ბაკიდან კამეჩები გავიდნენ, გავიგონე, მამა არ მინდოდა გამეღვიძებინა დაა ...“ “რას ამბობო!“ დაიძახა, წამოხტა და მაშინვე ბაკისკენ გაქანდა უკანა ეზოში. მე კიდევ ვდურთე თავი და იმის ლოგინში ჩავწექი. ცოტა ხანში დაბრუნდა, მოდის და მოლაპარაკობს: “კამეჩები ბაკში არიანო, არსადაც არ წასულანო ...“ მოვიდა და მე კი დავხვდი ლოგინში, დგაას საყესავით და თავის ქნევით დამცქერის: “შენ აქ რა გინდა, პატარა ქალოვო?!“ “აღარა ვარ პატარა, აღარაოო!!“ გულამოსკვნით შევძახე. “მაშ, მე რად მეპატარავები, რადაო?“ და დგაას და არ იძვრის. “გკითხოს კაცმაო,“ დატევით ვუთხარი, “თვალები უნდა გაახილო და ყურები გამოიფხიკოვო!“ კიდევ უფრო გავბრაზდი.

“რა ვქნაა, მაშ არ გინდა ადგე და ჩემი ადგილი დამითმოო?“

“თუ არ იცი, რა უნდა ჰქნა, მაშინ შენ შენთვისა და მე ჩემთვისა, ვეტყვი დედ-მამასა და ხვალვე გამათხოვებენ, გაიგეე?“ და განარებული წამოვხტი ლოგინიდან. ხელზე წამავლო ხელი, შეშინებულმა დაიბუხუნა: “როგორ, მე უარს მეტყვიი, როგორ რანაირად! ამდენი ხნის დანიშნულსა!“

“მთელი სიცოცხლე დანიშნულები ხო არ ვიქნებით? აღარ მინდა დანიშნული მერქვას, აღარ, აღარ, აღარااا!!!“ მთელი ხმით დავიყვირე.

“მაშ, უქორწილოდ დავწვეთ ერთაად! ძია თედოს ამას როგორ გავუკეთებ, ეგეთ მოამაგე ადამიანსა?! სიყვარული ხო სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი, დაგავინყდაა?“

“ჰოდა მომწყდი თავიდან, მომწყდი თავიდან, ჩემი ეგეთი განბილებისთვის, და რო მეხვეწო, რო მელმერთო, შენთან აღარ დავწვები, აღარااა!!“ სიბრაზის ცრემლები ჩამომდიოდა ლაპაღუპით, ხელი გავაშვებინე და გაქცევა მინდოდა, გადამიდგა, არ გამიშვა: “მაპატიე, მაპატიე, მაპატიე!!“ შემომძახოდა, “მაგრამაა არც თავი მაძლევს ნებას, არც ტანი, ჯვარდაუწერლად

დავწვე შენთანა, პატარა ქალთან!!"

მე კიდევ ავდექი და ერთი მაგარი სილა ვაჭამე ... და სწორედ ამ დროს მამაჩემი გამოვიდა ბალკონზე, ჩვენ ხმაურზე: "რა მოგივიდათ, შვილებო, რასა ბჭობთ ამდენსაო?" "ძია თედო, ძია თედო!" ტირილის ხმაზე ეუბნება ოთია, "ქმრობასა მთხოვსო და ჩვენ კიდევ ჯვარი არ დაგვიწერიაო ..." თან ნასილაქარზე ხელს ისვამს.

მამაჩემმა გულიანად გაიცინა: "აბა, შენა ყოფილხარო! ექმრე მერე თუ გთხოვსო, რაო, აღარ გედროვებათო?" იცინის მამაჩემი, კვდება სიცილით.

"თუ გვედროვება, მაშინ დაგვლოცეთო ..." და ოთია მუხლებზე დაემხო მამაჩემის წინ. მე კიდევ ჯიბრით გავიქეცი ჩემ ოთახში, ჩავწექი ლოგინში და თავზე ზეწარი წავიფარე, გულს ბაგაბუგი გააქვს, აბა, მოვა თუ არა ოთია, მოვა თუ არა-მეთქი. თან იმაზე მისკდებოდა გული, ვაითუ უძლურია და არაფერი ძალუძს-მეთქი. მოვიდა ფეხაკრეფით, ახლა ჩემი ლოგინის წინ დაიჩოქა, მაპატიე რო გაგაბრაზეო, მე ბრიყვმაო, მაგრამ, შენც ხო სილა მაწანი და ბარიბარში ვართო ..."

ისეთი ბედნიერები ვიყავით, თავს დავნატროდით, მხოლოდ ძალიან გულუბრყვილო კი იყო ჩემი ოთია, იმ დროიდან გრუზამ რო მიმიმწყვდია ორლობეში და ხელები მიტრიალა, მერე ძალიან დიდხანს საშინელი სიზმარი თუ მოლანდება ამყვა, ვითომ უდაბურ ადგილას, საშინელი მაჯლაჯუნა მომდევდა, მივრბოდი ნიავქარივით, მაგრამ სულ ახლოს და ახლოს ვგრძნობდი ძაგაძუგს, და როგორც კი ხელი უნდა ეტაცა, შეშინებულს მეღვიძებოდა. ოთია მაშინვე მომეხვეოდა, გულზე მიმიკრავდა, რა მიკვირსო და აქვე ვწევარ, შენ გვერდით და იმ მაჯლაჯუნას ჩემი როგორ არ ეშინიანო?! მართალი გულითა ჰკვირვობდა. მაშინვე გადამივლიდა შიში ... ჩემი ოთია ... ქვეყანა დაგვნატროდა, თოთხმეტი წელი გაგრძელდა ჩვენი ცოლქმრობა და ჩვენ ერთმანეთისთვის ზურგი არ შეგვიქცევია ... დაიწვას და დაიდაგოს ომის მომგონი, შეიძლებოდაა ამისთანა სანთელივით კაცის ომის ქარცეცხლში ჩაგდება და ჩაწვა ... ვაიმე, ვაიმე ... კურსკთან, კურსკის რკალს რო ეძახიან, იქ თურმე სტალინგრადზე ცხარე ბრძოლა ყოფილა. გადმოცემა იყო რადიოში, ვუსმენდი

და ვიმდუღრებოდი ... რაც იმ ბრძოლაში ხალხი ჩაიხოცაო, რაც იმ ბრძოლაში საბჭოთა ხალხი გაწყდაო, ინგლისსა და ამერიკას მთელი ომის განმავლობაში ამდენი ადამიანი არ დაღუპვიათო. მაგრამ მოგეხსენებათ, სტალინს ხალხის დარდი არა ჰქონდა, და მითუმეტეს, ქართველებისა."

ასე დაამთავრა ჩემმა საბედომ თავისი და თავისი ოთიას ამბავი.

# ცოლმა ქმარი დაიტირა

მაყვაალ, მაყვაალ, ალოო, ... ჰოო, ჰოო, მე ვაარ მე უბედური ... გესმიისა მე თვალდამდგარი ... ნუ ქოთქოთებ, ქალო, დაშოშმინდი ... მე უნდა დავიტირო ჩემი ქმარი, მეე ... გულზე დაადე მობილური ვალიკოსა, მაყვაალ, დაკრეფილ ხელებთანაა ... ისმიის კარგად ... მთელ ოთახში ისმიის? ... ეხლა ქალებოო, ჭირისუფლებოო, ხმა გაიკმინდეეთ, ბანიც არ მომცეთ მანდედანაა, ჩემ ვალიკოოს ჩემი ვაივიში უნდა გავაგონოო ... ვაიმეე, ვაიმეე, ეს რა გაუგონარი გავიგე, ეს რა დღეში ჩამაგდე, კაცოო, რა მეხი და მედგარი დამატეხეე, შენ რო ეგეთი შეუბრალებელი არც როდის არა ჰყოფილხარ? შენ რო მოღალატე და ორგული არა ჰყოფილხარ? მაშ, რად მადრიკე ზურგი, ვალიკო, რად მიეცი უპირატესობა შავ მინასა, რადა, მე კიდევ რად ჩამაგდე ცხელ ღადარში ვალიკო, დამწვარზე მდულარე რად დამასხი, კაცო, რად მომეკიდე მტრადა, რა დაგიშავე, რაა! ქალებოო, ვარაავ, ეთეროო, მალუუც, შემიბრალეთ მე ქვრივოხერიი, შემიბრალეთ თქვენ მაინცა, ვალიკომ რო არ შემიბრალა, შავი მიწა არჩია ჩვენთან ყოფნასაა, ვიწვი, ვინვი, ქალებო, ხორცები მადნებაა ... კაცოო, მე ხაზი გადამისვი — გადამისვი, შვილებს რა პასუხს აძლევდიი, შენ ანაბარად რო იყვნენ დატოვებულებიი, უპირველესად ხო შენ უნდა მიგეხედნა, რო მარწმუნებდი ცივ ნიავს არ მივაკარებო, ეს იყოო შენი სიტყვა, ესაა ... ხო იცოდი ვალითა და ვახშითა ვარ წამოსული და ჩემი დაბრუნება არ იქნებოდა, სუ რო სახლ-კარი თავზე დაგვქცეოდა და აგეე, დაგვექცა კიდეცა და ვერ მოვდივარ, ვერა, არა მაქვს უფლება, ვალიკო, არა, ... ვიღამ გადაიხადოს ვალი, ვიღამ მოხედოს ჩემ ბალღებსა, ჩემ ობლებსა, ... შვილებოო, ჩემო შოთიკოო, ლელავ, გოგოო, მოგიკვდეთ დედათქვენი, მოგიკვდეთ და გაგითავდეთ, მანდ რო არა ვარ, თქვენთან რო არა ვარ და ვერ გიხუტებთ გულში და დიდხანსაც ვერ ვიქნები, მარტონი რო ჭირისუფლობთ მამათქვენსა დაიწვას ჩვენი ბედის მწერალიი, დაიწვას და დაიდაგოოს, ეგრე რო გავღატაკდიით, სულს ძლივს ვიბრუნებდიით, ცხრა მთას იქით რო წამოვედიი ლუკმა-პურის საძებნელაად ... თორეემ მე არ უნდა დამეკრიფნაა ჩემი ვალიკოსთვის

ხელები, მე არ უნდა გამესპეტაკებინაა, მე არ უნდა გამეპატიოსნებინაა ... რათა, კაცო, რად მოიქეცი ეგრე უგნურად, რად მიქციე მადლი მატლაად, მაშ, არ უნდა გაფრთხილებოდიი თავსა, რა გეგონა, კოკა წყალს სუ მოიტანდაა, არ გატყდებოდაა, არ დაიმსხვრეოდაა ... აგეე, ვაი ჩვენ მოსწრებას, დაიმსხვრა კიდეცა, დაიფშვნა კიდეცაა, წევხარ მანდ გაუნძრევლადა, დადუმებული და დამუნჯებულიი ... ვინ შენა და ეგრე უნძრევლად წოლაა, ვინ შენა და ეგრე პირის დამუწვაა ... ვაიმეე რო ველარ გავიგონებ შენს ბუხუნა ხმასაა, ველარ დაგინახავ გაღიმებულსაა, იგრე რო გშვენოდაა, შემოგხედავდი და ვიტყოდი— ვიჰ, რა გულმისავალია ჩემი ვალიკო-მეთქიი ... შენც რო დამინახავდი და მაშინთვე სახე გაგეხსნებოდაა, შემომცინებდიი, შემომანათებდი შენს ფრიალა თვალებსაა ... მოგიკვდეს ჩემი თავი, რო მეხვეწებოდი და მელმერთებოდი ნუ წახვალ, ნუო, სადაც არ იყოს, ცოტა კმარიყოსო, პურს გაჭმევთ, ბალახს ხო არ გაძოვებთო ... მარტო პურიაა, ჩემო ვალიკო, მე ხო ჩემთვის არ ნამოვსულვარ, მე ხო თქვენთვის ნამოვედი, ოჯახისთვის გადავდე თავი, თორეემ მანდაც ხო ვმუშაობდი თავდადებითა და პატიოსნად, მაგრაამ არც შენი მუშაობითა და არც ჩემი ექთნობითა არაფერი გამოგვდიოდაა, სულს ძლივს, ვაინაჩრობით ვიბრუნებდიით, ჩვენში ხო შრომა არა ფასობს, ვალიკო, არა, არა, თორეემ, გიჟი ვიყავიი ჩემი შვილებისათვის თავი დამენებებინა, სამი ათასი დოლარი გვესესხნა და პაოლას მოსავლელად დავდგომოდი გზასაა, აბუეტი და გონნაკლი ხო არ ვიყავი, კაცოო, დოვლათში მინდოდა მყოლოდით, დოვლათშიი, ბალღები რო ველურებად არ გაგვეზარდნაა, შენ რო ტყეში მუშაობით ფერდები არ ჩაგეწყვიტნაა, სახლისთვის მიგვეხედნა ... ვაიმეე, შოთიკოს ხველა გავიგონე, მოუკვდეს მაგას დედა, მამის ამბავში გაცივდა, ალბათ, დედიი, დედიი, ამაღამვე მოუხარშე ძეძვი და ასვი, გესმიის დედი, დაბლა ოთახშია გამხმარი კონები მცენარეებისა ... კარგი, დედი, კარგიი, რო მამუნათებდი და სუ თითის ქნევით მაფრთხილებდიი, ნუ ამოიკვეთე, გოგო გულში იტალიაო, ჯანღონით სავსე კაცსა უშენოდ ნუ სტოვებო, ზოგი იგეთი ოხერია, კაცს რო დაიმარტოხელებს, არამც და არამც უკან არ დაიხევს, არ დაიხვალიებსოო ... არა, დედავ, არაა, მე და ვალიკოს ვერავინ

გაგვყრიდა სიკვდილის მეტიი ... ნეტა, როგორც ქალები მე მახეს ვერ დამიგებდნეენ, იგრე თვითონ ვალიკოს არ დაეგო მახე თავისი თავისთვისაა და არ მისძალებოდა სმასაა, არ იწვებოდი ეხლა მაგრე გაშოტილი, ვალიკოო, არა! რო მეხვეწებოდი ვერ გავძლებ უშენოდაო, მაშ, როგორლა უნდა გასძლო, აგე რა ქენი, ხელი რო მიჰყავი სმასა, მანქანაც დაამსხვრიე და შენ თავსაც წირვა გამოუყვანეე. განა არაა, ბოლო დროოს რამდენი დავრეკეე, სუ არა-ჰოთი მპასუხობდა ჩემო შოთიკოო, არ უნდოდა ეთქვა, არაა, რო იჯდა მამა ბიჭებთანა და სვამდაა, დაღლილია და სძინავსო, დაღლილია და დაწვაო, ჰოდაა, აგე როგორ დაწვაა, სამუდამოდა და სამარადჟამოდ ... ეგ გინდოდაა, ვალიკო, ეგ გინდოდაა, ჩემი ხვეწნა ძირს რად დაუშვი, ვალიკოო, ერიდე სასმელსა-მეთქიი, გულში ჩაიკენჭე ჩემი მუდარა-მეთქიი, ზოგი ხარივითა სვაამს და არაფერი, შენ კიდევ ვერ იტან ღვინოსა და რას ეძალებოდი, კაცო, დაივიწყეე რო ფათერაკი წყლის ფერია ... რად გააქარწყლე შენი ფიცილიი, გულზე მკიდიხარ, გულზე მკიდიხარო, ეს არიი შენი სიყვარული, ეგრე გეკიდეე გულზე, ეგრეე? ეშმაკის წინ მალაყს ვინ იზამს, ვალიკო, ვინა!! ჰოდა, აგეე, საცა წვრილი იყო, იქ გაწყდაა!! მესმიის, მესმიის, იგეთი გაუგებელი კი არა ვაარ, როო დარდიანი იყავიი, ჯავრიანი იყავი, გაიწენ-გამოიწენა ჩვენი ოჯახიოო, სჩიოდიი, წიო-წიოდ დაიარებიან ბალღებიო, დაღუღულებიო, ლელა კიდევ წარამარა ტირისოო, მოუკვდეს მაგას დედაა, მაგრაამ ხო იცი, რო მეტი გზა ჩვენ არა გვქონდა, არაა, არც ამოდენა ქალებსა ჰქონდათ მეტი გზაა, აქ რო არიაან, ჩვენ ხო გამონაკლისები არა ვართ, ჩემო ვალიკოო ... დაიმშაა ქვეყანაა, დაიმშაა, შემიბრალეთ ქალებოო, შემიბრალეეთ, ვარა

ჰქონდეთ, აქ კი არა, თუნდ სადაც გინდა წავლენ-მეთქი, თავით ნიორს დანაყავენ-მეთქიი, ვინ გაიგონა ჩვენში კაცების უქნარობა-მეთქიი, ვინაა ... ვერ ვაჯერებ, ვერაა, ეს თქვენა ხართ კარგებიო, მეო არც მინახავს თქვენისთანა ქალებიო, ეგეთი თავდადებულებიო, ეგეთი მსახურებიო თავისი ოჯახისაო, მეო ჩემ სიცოცხლეში ჩემი ქმრისათვის არც არაფერი გამირეცხავს, არც არაფერი მომიმზადებიაო, მოსამსახურე და მზარეული კი არ ვიყავიო, საყვარელი და პატივსაცემი ცოლი ვიყავიო, შვილების დედაო, აი, ეგეთებს მეუბნება, სუ უცხო-უცხო სიტყვებს, მიდი და ელაპარაკე ... გინდა თუ არა, რამ გაგაღარიბათ ეგრეო, სამხრეთის ქვეყანაააო, ღვინის ქვეყანაო, თუ მართლა გამრჯე ხალხიაო, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გიჭირდეთო ... აბა, რა უნდა ვუთხრა? უკვირს, უკვირს, აი, რა ტკბილად მიკეთებ ნემსსაო, თურმე ექთანი ყოფილხარ, შენი ქმარიც ტექნიკოსიო და ეგრე რად უნდა გაგჭირვებოდათო, გესმიის ვალიკო, რატომაო, ამოდენა გზაზე ნამოსულიყავი და ჩემთვის ნემსები გეკეთებინა და პამპერსები გეცვალაოო ჩვენებური საჭმელიც როგორ უყვაარს ... შენი ჭირიმე ვალიკოო, შენ შემოგევლეე, შენც როგორ გიყვარდა ჩემი გაკეთებული ჩახოხბილი კვერცხიით, პაოლასაც გავუკეთე და სუ გადაირიაა, ყოველ დღე რო ვჭამო, არ მომწყინდებაოო, მაშ, სინკალზე რაღას იტყვიიის, სუ გაგიუდებაა ... მაპატიე, ვალიკოო, ქალებოო, თქვენც მაპატიეეთ, სიტყვამ სად წამიყვანაა, როცა ჩემი ვალიკო აღარა მყაავს, როცა ჩემ ვალიკოოს ვეღარც მოვუხარშავ და ვეღარც მოვუხრაკაავ მეუბნებოდი ვალიკოო, რო დაბრუნდები, ცხვარი უნდა დავკლაოო, ალავერდის წმინდა გიორგის შევუთქვიოო, ვაიმეე, ვაი ჩემ თავს, თურმე შენთვის უნდა დაიკლას, ჩემო ვალიკოო, ცხვარიცა და მოზვერიიც ... ქალებოო, ჩემ ბიძაშვილ ანზორას უთხარიით მსუქანი ჭედილა და კარგი ერთი წლის მოზვერიი დაუკლას ჩემ ვალიკოოს, იცოდეეთ, არაფერი არ უნდა დააკლოთ, არც მწარე და არც ტკბილიი, ღვინოც კაპლივით უნდა იყოოს, საუცხოო და სანიმუშოო. ერთი რაღაცა პიტიო და გაკეთებული ნარცხი არ დადგათ სუფრაზედაა, ყველაფერი რიგითა და წესით უნდა აღუსრულოთ ჩემ ვალიკოსაა, სალაპარაკოდ უნდა გახდეს ჩემი ვალიკოს ჭირის სუფრაა

ცოცხაალს არაფერი დავაკელი და მკვდრისთვის დავიშურეებ? ... არც დამიშურებია და არც დავიშურეებ, აქაც გიხდი პანაშვიდსა, ჩემო ვალიკოო, ძვირფას ეკლესიაშიი, ნიკოლოზის ეკლესიაშიი, ვითომაო წმინდა ნიკოლოზის ნაწილია აქაო, რა დიდებული ეკლესიაა ვერ წარმოიდგეენ, მერე კიდევა აქაურ კაფეშიი, ტრატორიას ეძახიაან, ჩვენი ქალები შემოვუსხდებით სუფრაას, მე შენ გეტყვი ცოტანი არიაან, ბევრნი ვაართ, ბევრნიი, შემოვუსხდებით და, ვაი ჩემს მოსწრებას, შენ შესანდობარს დავლეევთ, აქ ლამარა არის ერთიი, ქვემო სოფლელი, ჩვენი ბელადია და ის იქნება თამადაა ... იგეთია, იგეთია, ხისა და ქვის დამდნობიი, სუ ეს ლამარა გვამხნევებს, სუ ის შემოგვძახებს ხოლმეე, კვირაობით რო შევიკრიბებით, ასწით თავები, რას ჩაგიქინდრიათო? იციით ჩვენ რამოდენას ვარგებთ ჩვენ ქვეყანასაო, ჩვენი გაგზავნილი ფულითაო? თვითონ უკვე ამ პამპერსების ცვლითაა თავის შვილებს სამი ბინა გაუხერხაა, სწორედაცაო თბილისში უნდა იცხოვრონ ჩემმა შვილებმაო და ჩვენც სუ იმას დაგვძახის: ამოდენა ქონება რო შედის ჩვენ ქვეყანაში ჩვენგანაო, აპაპაპაოო, აქედან არავინ უნდა ნახვიდეთ ისე, ბინა თუ არა, სამაღაზიე ფართი მაინც დაიგულოთოო ... ჰოდაა, მე ბეჩავიც მაღაზიის ფართზე ვოცნებობდიიი, ჩემი ვალიკო როგორ გაიხარებს-მეთქი, რო დატრიალდება და ყველაფერს მარიფათიანად გააწყობს-მეთქიიი ... რათა, რათა, რათა, რათა, რათ წახვედი, კაცო, მაგრე უგნურად, რას მერჩოდი, რასა, ან მეე, ან ბალღებსა, რასა ჰფიქრობდი, რასა აზრობდი? მაღაზიაში ტრიალი არ გერჩივნაა, შავი მინის ყურებასა, არ გერჩივნაა? სუ იმას რო სჩიოდი დაიცალა აქაურობაო, ვაიმე, რა გვეშველებაო, აქაურობა ჩინელებითა და თურქებით გაივსო და თქვენ კიდე მიდიხართ და მიდიხართო ... მაშ, რა გვექნა, ვალიკო, უყველაფროდ გასძლებს ადამიანი და უპუროდ კი ვერა, ვერა, ვერა, ყველას ყველაფერი ეშველება და შენ კი ვეღარა!! შენ — პანაშვიდები და ქელეხები, აი, რა აზირ თუშებისა ვთქვაათ, ნეტავ ალვნებში თუ კიდევ დარჩნენ თუშის ქალები, შვიდასნი ვაართ წამოსულებიო, თუში თამარა ამბობს, აქაო, საბერძნეთში და ამერიკაშიო ... გარმონები აქვთ წამოღებული, ნიკონიკოები და გასწევენ ხოლმე ... ჰოდა, მინდა, ვალიკოო, რო დავსხდებით შენ მოსა-

გონებლად, ამ თამარას სამწუხარო დავაკვრევინო და ვამღერო თუშური, აი, ისაა, დართლოში მიმავალ ქალსაა შვილები რო დახრჩობოდა ალაზანშიი, დამჯდარიყო ბექზეე, გაენივნა გარმონი და გულამოსკვნით ემღერნაა ... ვიშ, რამოდენას ვიქვითქვითებთ, ნაცრემლ დაგადევნებენ ქალებიც ... რაზე მიკვდება გული ვალიკოო, რაზედა და რო ვერ დავითალხები, უნდა მაპატიო, შენ გენაცვალე, გაგებით უნდა მოეკიდო ამ ამბავს ... ერთი რო შავი არაფერი მაქვს და გამოდის უნდა ვიყიდო და ზედმეტი ხარჯი გავნიო ჩემთვისა, მაგრამ ჯანაბას ევროები, ვიყიდიდი, ვიყიდიდი და დავითალხებოდი, რა ვქნა, პაოლას არ უყვარს თალხები, მეო ცხოვრებაც ხაჩხაჩა მიყვარდა და ტანსაცმელიცო, და მჩუქნის და მჩუქნის სუ ნაირნაირებს ... სნორედ პაოლამ მიმასწავლაა სად უნდა მეყიდნა შენთვისა და ბალღებისთვის ტანისამოსიი ... როგორ მიხაროდა მე საცოდავსაა, სურვილი და ნატვრა აგისრულეე, ჩემო ვალიკოო, სუ რო ის იძახეე, მაშაოო, ერთი ჯინსი ვერ უნდა ვიღირსოვოო, რამოდენა ვარჩიე, რო კარგიცა ყოფილიყო და იაფიიც, რო შენთვის ყველაფერი კარგი და მოსანონი მეყიდნაა, ჩემი კოხტა ვალიკო კარგად მოვრთომეთქი ... რასაცა ნატრობდი, ყველაფრის ღირსი გაგხადე, ყველაფრისაა, ჯინსის შარვალ-კოსტუმისაცაა, ტყავის კურტკისაცაა, საუკეთესო ფეხსამოსებისაცაა ... თურმეე შავი მინისთვისა გრთავდი და გკაზმავდიი ... ტყეში მუშაობითა და ღორების მოვლითა ყველაფერი რო შემოგეფლითა, აღარაფერი გქონდაა, დაგინახავდი დაა გული მომეწურებოდაა, ნუთუ ეს ჩემი პენენიკი ვალიკოა-მეთქიი, ვაითუუ აღარაფრად მივაჩნივარ, ეგრე ჩაჩულიასავით რო დაიარება-მეთქი  თან სუუ ის მიხაროდა მე თვალდამდგაარს თურმე-მეთქი, ექნება და ექნება-მეთქი, და მართლა ეგრე კი გამოვიდაა ... მე კიი ყველაფერს გისრულებდი, რასაცა მთხოვდიი, შენ კიი, შე კარგო ადამიანოო, დაგავინყდა ჩემი მუდარაა, ერიდე სასმელსა-მეთქი, აკიი პირობაც ჩამოგართვი, მუცელიი შენს ქვევით არ არის-მეთქიი, ხო გეუბნებოდი ამოიფხვენი გულიდაან სმ-მეთქიი ... შენ კიდევა, მაშ რა ვქნაოო, იგრე გაძაღლდა ცხოვრება, ცოტა შვება არ მივცეე ჩემ თავსაოო ... მაშ, გული არ მოვიოხოვოო ... აგეე როგორ მოიოხე გულიი, შენ გულს ვენაცვალეე, ყვედრებით რო მავსებდიი გაიჭერა

ხაარო, რასაც გულში ამოიკვეთავ, ის უთუოდ უნდა შეასრულო-
ვო, აბა, ეხლა მანდ რო ვიყო, რის მაქნისი ვიქნებოდი, ჩემო ვა-
ლიკოო, რა უნდა მექნა ტირილისა და თავში ცემის მეტიი ... რა
გვეშველებოდაა ... ვიფართხალებდით თუ არა სიმშლიით... მერე
როგორ, რო იცოდეე, დაგვემშეოდნენ ბალღებიი ... დედა მოუკვ-
დეთ და დედა გაუთავდეთ მაგათაა ... ჩიტის რძე არ უნდა მო-
ვაკლო და იგრე მოვრთა და მოვკაზმო, სუ ის იძახონ ვისები არი-
ანოო, ვისებიოო ... არა, არა, ჩემო ობლებოო, თქვენი კვერი არც
როდის ნაცრიანი არ იქნება, არაა, ... არაფერს მოგაკლებთ დე-
დათქვენი, არაფერსა, სადაც სხვა იქნება, თქვენც იმათში იქნე-
ბიით, ცოტა მოიცადეთ, თქვენ შემოგევლეთ, მოუცადეთ დე-
დასა, ვინც მოითმენს, ის მოიგებს, ჩემო შვილებოო, და თუ ვერ
მოითმეენთ, წამოგიყვნთ აქა, გველის ტყავში გავძვრები და წა-
მოგიყვაანთ, იგეთი სახლი აქვს პაოლას, სასახლე გეგონებაათ,
ყველაფერი სავსეაა, ქვაცა აქვს და კაკალიც და თანაც კეთი-
ლიაა, მეუბნება კიდეც ჩამოიყვანე ბალღებიო, აქ სუ სხვანაი-
რად გაიზრდებიანოო, ცოდო ხარო, ცოდოვო და სუ სიყვარულს
მეფიცებაა ... კარგად ვუვლი და იმიტომა, ერთგულად და გუ-
ლიანად, აბა, მაშ, როგორ, ამაში ვიღებ ევროებსა, ამ ევროებითა
ვოცნებობდი სამაღაზიე ფართის შეძენასაა, ეხლა კიდევ გუ-
ნებაში სუ შენი საფლავი მიტრიალეებს, სუ შენ საფლავზე ვფი-
ქროობ, კარგი ქვა უნდა დაგადოონ ... ქალებოო, ჩემო ქალებოო,
არაფერი არ უნდა დაიშურონ ჩემი ვალიკოს საფლავისთვისა,
იმდენს გამოვგზავნი რო თავს გადაუვა კარგ მარმარილოსაა,
და რასაც გადააყოლე შენი სიცოცხლეე, იცოდე, ვალიკოო, ის
სურათი უნდა იყოს მარმარილოზედა, ფეხზე რო დგეხარ ყან-
ნით ხელში, სწორედ ისაა ... ბიჭები რო ქეიფობდით და ნოშრე-
ვანმა გადაგიღოოთ, ნეტა იმ დროს ვაიმეე, როდის მეღირსებაა
შენი საფლავის ნახვაა, როდის დავემხობი დაა შენს მაგივრადაა
საფლავის ლოდს ჩავეხუტებიი ... ვაიმე ... ვაიმე ... არ გაიხაროს
გაუხარელმაო, ჩვენზეა ნათქვამი, მაგრაამ, ქვას დავკოდავ, ვა-
ლიკოო, და ჩემ შვილებს კი გავახარებ ... ჩვენი დარდით სულს
ნუ დაიმძიმებ, შენი ჭირიმე, ცოლ-შვილის დარდს ნუ გაიყოლებ,
ნუუ  რასა გთხოვ, ოღონდ ვალიკო, თუ მართლა არსებობს
საიქიო და სულთა კრებულიი, გეხვენებიი, ჩვენ მამა-პაპას არ

უთხრა, არ გაუმხილოო, რო ლამის დაიცალოს ჩვენი ქვეყანაა ... ლამის გაუკაცრიელდეს აქაურობაა ქალებოო, ჩემო ქალებოო, მაყვაალ, ვარაავ, ეთეროო, აბა, თქვენ იციით, როგორ ლაზათსაც დაადევნებთ ჩემ ვალიკოოს ... ეხლა გამითავდა ბარათი და ყოველდღე დავრეკავ და ეგრე მაინც ვიტირებ ჩემ ვალიკოსა.

# მიწის მიმყრელები

ვუძღვნი ჩემი დროის პედაგოგთა ხსოვნას, რეპრესიებით დათრგუნულნი, ომითა და სიღარიბით შეიწრებულნი, უანგარო თავდადებით გვაზიარებდნენ ცოდნას, გვიფხიზლებდნენ სინდისს, გვინერგავდნენ მოყვასის სიყვარულსა და თანაგრძნობას და ღიმილიანი მადლობით ჩვენი ეზო-ბაღის ყვავილებს თუ მიიღებდნენ საჩუქრად. მხოლოდ და მხოლოდ. სხვას არაფერს და არასდროს!

ბოლოს ისე გამოვიდა, მიწის მიმყრელებიც ჩვენ უნდა ვყოფილიყავით, ეთერი, მე და ბ-ნი ირაკლი, ჩვენი ყოფილი ისტორიის მასწავლებელი. და აგრეთვე ბერდოც, ჩვენი სკოლის ამხანაგი, ბერდო, რომელმაც თავი ვეღარ დაგვანება ... წინასწარ იმდენ რამეს ვერ წარმოიდგენს ადამიანი, რაც შემდეგ აუცილებელი და ჩვეულებრივიც კი შეიძლება გახდეს. ჰოდა, მეტი რა გზა გვქონდა, მიცვალებული ხომ თავისას მოითხოვს, დაუმარხავს ხომ ვერ დავტოვებდით, მერე ისეთ გულსაკლავ და საპატივსაცემო ქალბატონს, როგორიც ჩვენი ყოფილი გეოგრაფიის მასწავლებელი, ქ-ნი ქეთევანი იყო.

ვიდექით გახსნილ სამარესთან და ზევითკენ გავიყურებოდით, სასაფლაოს თავში, იქვე გალავანთან ჩადგმულ მესაფლავის ქოხისკენ. თვითონ მესაფლავე ვითომ მთავარ ჭიშკართან უნდა დაგვხვედროდა დამხმარე ბიჭებთან ერთად, მაგრამ ბუზის ტოლადაც არ ჩანდა არავინ.

„ოოჰ, ის ყიბლა ისა!" შესძახა ბერდომ, „თუნდ სანაძლეო, მთვრალი ეგდება!"

„რა დროს სიმთვრალე აქვს, დღეს დასაფლავების დღეა ..." თქვა ეთერიმ.

„ჭირისუფლებს ხომ სასმელი მოაქვთ და გადაყლურწავდა ... მოდით საქმე წინ წავიგდოთ, ჩვენ თვითონ როგორმე ჩამოვასვენოთ მანქანიდან, სამარეც ხომ შორს არ არის, მივასვენოთ და ამასობაში ისინიც გამოჩნდებიან."

ოდესღაც, ცხადია, ვერც ამას წარმოიდგენდა ქ-ნი ქეთევანი,

რომ როცა გარდაიცვლებოდა, დანგი-დუნგით არ დაასაფლავებდნენ, სამგლოვიარო მიტინგს არ გაუმართავდნენ და გულისამაჩუყებელ სიტყვებს არ წარმოუთქვამდნენ. რადგან იმსახურებდა. მაგრამ მძიმე დრო ჩამოდგა, ძალიან მძიმე, სიცივე და უპოვრობა... სროლა... სროლა... და თავზეხელაღებული ყაჩაღობა... სახლში იყო შებუდებული ყველა... ერთი-ორი მეზობელი შემოვიდა გამოსვენებისას და ისინიც ჩქარ-ჩქარა წავიდნამოვიდნენ, სასაფლაოზე არავინ გამოჰყოლია.

„ეგრე ცეცხლი რო არ მეკიდოს, დღეს რაღა წამიყვანდა, მაგრამ თავზეით ძალა რო არა მაქვს?!" ამბობდა ბერდო და მართლა ისე ჩქარობდა, სასაფლაოსკენ ისე მიარბენინებდა მანქანას, ჩვენ ლამის გალოპით მივდევდით. მერე ეთერი გაიქცა წინ, ცოტა სიჩქარეს მოუკელიო, ხო იცი, ბ-ნ ირაკლის სირბილი არ შეუძლიაო. მაშინვე შეანელა სვლა და ცოტა ხანში მივედით კიდეც.

ბერდო ძარაზე ავარდა: "გვერდითა ბორტს ცერად გადმოვხსნი, კუბოს ნელა ჩამოვაცურებ და თქვენც მაქედან იმარჯვეთ, ხელი არ გაგეშვათ და მინაზე ზღართანი არ მოადინოს." ბ-ნი ირაკლი შუაში ჩადგა, მე და ეთერი აქეთ-იქიდან და კუბო რომ ჩამოაცურა ბერდომ, ჩვენ სახელურებს ვტაცეთ ხელი, ბ-მა ირაკლიმ ხელებს მუხლებიც მიაშველა, ბერდო გადმოხტა ძარადან, თავთან ჩაავლო ხელი სახელურებს და როგორც იყო ჩამოვასვენეთ. კუბო ძალიან მძიმე იყო. ქ-ნ ქეთევანს, გამომშრალსა და გამოფიტულს, რა წონა უნდა ჰქონოდა, მაგრამ კუბოს ნულარ იტყვით, ... თან ქარიც მაგრად უწუწუნებდა, სუდარას, ანუ თეთრი ტილოს ზეწარს, აფრიალებდა, საკვირველია, გაჭირვებისა და ხანდაზმულობის მიუხედავად, მძიმე შესახედი სულ არ იყო, პირიქით, ისიც კი გავიფიქრე, ალბათ ასეთი ფაქიზი და გადანათებული სახე, სანთლისაგან გამოძერწილივით, წმინდანობისთვის თავდადებულ მარტვილებს შეიძლება ჰქონოდათ-მეთქი, ისე, რომ ბუმბულივით იქნებოდა და ჯოხებივით ფეხებთან ამობურცული მომცრო გლობუსიც რა წონას მისცემდა?!

„არა, არა, წარმოუდგენელია, არასგზით არ შეიძლება ქ-ნი ქეთევანის დასაფლავება გლობუსის გარეშე." ამბობდა ეთერი და გლობუსს ფეხებთან უდებდა.

„ხომ იცით, ჩემო გოგოებო," გვეუბნებოდა ბ-ნი ირაკლი,

„სულ ბოლოს, ქეთევანს მეხსიერება რომ დაერღვა, გლობუსს გვერდიდან არ იშორებდა, თავისი მწირი ტრაპეზის დროსაც, თეფშის წინ ედგა და რაღაც უცნაურ, ნეტარ მზერას შეავლებდა ხოლმე."

„მე იმ აზრისა ვარ, ეგ გლობუსი სამარეში ჩასვენებისას თავთან გადმოვიტანოთ, დიდი არ არის და სახურავს ხელს არ შეუშლის."

მიუხედავად იმისა, რომ ბერდომ კუბოს სახურავი ძარაზე დატოვა, მერე ჩამოვიღებ და ჩასვენებისას დავხუროთო, კუბო ტყვიასავით იყო. სიღარიბისა და საჭირო მასალის უშოვნელობის გამო, ზოგჯერ მიცვალებულებს ცელოფანში გამოკრულს ასაფლავებდნენ. „არავითარ შემთხვევაში," თქვა ეთერიმ და თავისი მშვენიერი, მუქი თვალები და გრძელი, დაცრემლილი წამწამები დიდი ოთახის ერთ კუთხესთან მიდგმული უშველებელი ტახტ-სკივრისკენ მიმართა, „აგერ, საუცხოო კუბო გამოვა, ვიცი, წალოდ ჰქონდათ, ლოგინს ინახავდნენ, დავცალოთ და ბერდო წაიღებს სახელოსნოში." „უჰ, რამსიმძიმეა..." თქვა ბერდომ, სახურავი რომ ახადა, „რა სქელი ფიცრებისაგან არის შეკრული, თან რა სუფთად არის გარანდული, შიგ კი აღარაფერია, ისეთი კუბო გამოვა, თქვენი მოწონებული, ჩვენი კარგი მასაწავლებლის საკადრისი." მერე ძლივს-ძლივს გაახრიგინა სახელოსნოში წასაღებად.

მაინც რა ბედზე შეგვხვდა ბერდო, რა ბედზე, თელავის ავტობუსში. ეთერიმ დამირეკა, ასე და ასეო, დედაჩემმა შემატყობინა, ქეთევანი მომკვდარაო, თანაც ორი დღე ვერავის გაუგიაო. მერე ბ-ნი ირაკლი გვეუბნებოდა: „მე სწორედ სამი დღის წინ ვიყავი, შეშა მივუტანე, ავუნთე კიდეც ღუმელიო, მეორე დღეს მთელი ექვსი საათი ვიდექი ცომის რიგში (პური დიდი ხანია აღარ ცხვებოდა), იქ შემამცივნა და ეს ორი დღე ვეღარ მოვინახულეო, მაგრამ სიკვდილისა თითქოს არაფერი ეტყობოდაო."

მეც იმ დღეებში ვაპირებდი თელავში წასვლას. მამიდაჩემმა ტატანომ ჭკუა მოიხმარა, თელავის ჩვენს სახლში, ერთი ოთახი სტუდენტ გოგოებზე გვქონდა გაქირავებული და მოდი, ამ გაჭირვებაში ქირა პროდუქტით გამოვართვათო, ადგა და სია ჩამოწერა: თუ ლობიო, თუ კარტოფილი, თუ ფქვილი, ცხიმი და სხვა ასეთები. გოგოებს ძალიანაც გაუხარდათ, სოფლებიდან

იყვნენ, ლონიერი ოჯახებიდან, დეკემბრის ბოლოსათვის უნდა დაეხვედრებინათ სურსათის მორიგი ნაწილი და მე სწორედ ამის ჩამოსატანად ვაპირებდი თელავში წასვლას, თან სახლსაც დავხედავ-მეთქი. ჰოდა, ეთერი გიორგინების დიდი თაიგულით ხელში ნავთლულში, ავტობუსების გაჩერებასთან დამხვდა, და ის იყო, ავტობუსი უნდა დაძრულიყო, ბერდო მოვარდა, შოფერმა კარი გაუღო, სწრაფად ამოვიდა და იქვე შოფრის გვერდით, ტაბურეტზე მოწყვეტით დაჯდა. თავი რომ აიღო და სარკეში დაგვინახა, მაშინვე ჩვენსკენ შემობრუნდა. თურმე ცოლი ეწვა ნევროლოგიურში საოპერაციოდ, დისკის ოპერაცია უნდა გაუკეთოს მაღალაშვილმაო. ცნობებისთვის მივდივარ და მაშინვე უნდა გამოვბრუნდე უკანო. ქ-ნი ქეთევანის ამბავი რომ გაიგო, შეიცხადა და როგორ შეიცხადა: „ვინა, კაცო, ვინა, ქეთევანი გარდაიცვალაა, ქეთევანიი, აბა იმას უნდა ეთქვა მასწავლებელი ვიყავიო!? გახსოოვთ, გოგოებო, არც ერთი გაკვეთილი რომ არ მესწავლა, ქეთევანის საგანს უსწავლელს არ გავუშვებდი ... აი, თუ გინდათ მკითხეთ, ეკვატორი რამდენი კილომეტრია და გეტყვით, დედამიწის გრადუსის ქსელი, მერიდიანები და პარალელები, მთები, მდინარეები და ყველაფერი, მთელი დედამიწა, ჩაბეჭდილი მააქვს თავში! ოო, რა გაფრთხილება უნდა დედამიწას, რა გაფრთხილებაო, გეგონებათ თეატრალურ რეპლიკას ამბობსო, ისე იტყოდა და მზერას ჭერს მიაპყრობდა, რომ, როგორც დაიბადა მილიონი წლების წინ, ოდესმე ასევე არ გარდაიცვალოს, არ გაიბნეს სამყაროშიო...“

„მართალია, მართალია,“ გაიცინა ეთერიმ, „ძალიან არტისტული იყო და ლამაზიც...“

„მიკვირდა, მიკვირდა,“ განაგრძო ისევ ბერდომ, „თქვენც ხომ გეხსომებათ, შოლტივით ხელს მხარუკულმა გაპკრავდა და საჩვენებელ ჯოხს პირდაპირ მოახვედრებდა და დაარჭობდა საჭირო ადგილს, ქალაქი იქნებოდა, სრუტე, თუ კუნძული, მთაა თუ მდინარე... მართლა ნამდვილი არტისტი იყო, მიდი და ნუ დაუგდებდი ყურსა, გაკანკულები ვისხედით, ბუზის გაფრენას გაიგონებდით...“ მართლაც, ეს ასე იყო, ჩვენც მხარი ავუბით ბერდოს და მოვიგონეთ ქ-ნი ქეთევანის წარმტაცი გაკვეთილები. ის არ დაგიდევდათ ოფიციალურ სასწავლო გეგმას, მეტად მწირი და შეზღუდულიაო, თვითონ უნდა შეედგინა, რა და რო-

გორ ესწავლებინა და ყველამ იცოდა, მის სწავლებას წუნი არ დაედებოდა. „ოო, რომ იცოდეთ, გოგოებო," მოგონების ეშხში შევიდა ბერდო, „კაპიტალისტური ქვეყნების გეოგრაფიის სწავლებისას, მათ ლიდერებზეც ხომ გვიამბობდა ხოლმე და თქვენც ხომ გახსოვთ, დიდ ბრიტანეთზე და ჩერჩილზე რომ გვიამბო, ჩვენი დროის დიდი პოლიტიკოსი უწოდა. ჩვენთან სახლში სტალინს ნყევლა-კრულვას უთვლიდნენ, ის მეჯღანის შვილიო, ის სასტიკი და დაუნდობელიო, ის უპირველესი მტერი თავისი ხალხისაო, და მე გული მწყდებოდა, რატომ ჩვენც, მაგალითად, ინგლისისნაირ ქვეყნად არ ჩამოვყალიბდით-მეთქი და ლორდი უინსტონ ჩერჩილი არ არის ჩვენი ლიდერი-მეთქი, თავისი სიგარითა და ვისკით-მეთქი. საწყალი ქეთევანი კი გამოიძახეს განათლებაში და ერთი დღე აყარეს თურმე, როცა ჩვენ გვყავას უდიდესი ბელადი და ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორი, ჩერჩილს როგორ ახსენებთო. არ დაიხია თურმე უკან, ეს ჩემი მოვალეობაა. მაგარი ვინმე იყო. ან არადა დიდი მოგზაურებისა და კონტინენტების აღმომჩენთა შესახებ რომ გვასწავლიდა, უდიდესი მდინარეების, კუნძულებისა და კონცხების შესახებ, — აკი საკონტროლოებსაც გვანერინებდა და მახსოვს ტასმანის მოგზაურობაზე ისე დავწერე, ისე გავაჭრელე, ხუთი პლიუსით მივიღე, — ჰოდა, გული მწყდებოდა, რატომ ჩვენი წინაპრებიდან ერთი არავინ გამოჩნდა, ვინც გადალახავდა ზღვებსა და ოკეანეებს და რაიმეს აღმოაჩენდა-მეთქი, თუნდაც ოკეანეში ჩაკარგულ პატარა კუნძულს-მეთქი, ჩვენც ხომ ზღვისპირას ვიყავით ჩამომსხდარი, „ვეფხისტყაოსნის" წამკითხველი ხომ მაშინვე იგრძნობს, რა მჭიდროდ ვართ დაკავშირებული ზღვასთან, და თუ პატარაა ჩვენი ქვეყანა, განა დიდია პორტუგალია ან ჰოლანდია-მეთქი? და წარმოიდგინეთ, ქეთევანის გაკვეთილების შემდეგ სიზმარში ვხედავდი ხოლმე გროტ-მაჩტაზე აღმართულ საქართველოს დროშას, ქარიშხლებს რომ არ ეპუებოდა და ამაყად ფრიალებდა ოკეანეთა თავზე ..."

„მე ვფიქრობ," თქვა ეთერიმ, „ვაჟა-ფშაველასა და საერთოდ სიტყვაკაზმული მწერლობის დიდ გავლენას განიცდიდა, ისეთი დახვეწილი ქართულით გადმოსცემდა და ისეთი ემოციის აღმძვრელი იყო ქ-ნი ქეთევანის გაკვეთილები, მართლა სიტყვის მადლით იყო ცხებული." „აბა, რაა," თვალები დააჭყიტა

ბერდომ, „პრერიებსა და პამპასებზე როგორ ჰყვებოდა!? ასე მეგონა მესმოდა იმ გადამწვანებული ველების სურნელი და ცოცხლად ვხედავდი ჟირაფებსა და სპილოებს...“

„ჩვენები ხომ ოჯახურად იყვნენ დაახლოებულები, მშობლებიც და შვილებიც. თან ახლოსაც ცხოვრობდნენ. მამა ჰყავდა თურმე დიდად განათლებული და კარგი მჭერმეტყველი, ნაციონალ-დემოკრატი, ცენტრალური ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტი კახეთის ზონიდან, საჭირბოროტო და გონივრული წერილების ავტორი," განაგრძობდა ეთერი, „პაპაჩემის მეზობელი და მეგობარი, და აკი ერთადაც დახვრიტეს ოცდაოთხ წელს. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ ასპარეზი მოეშალა და მთელი გულისყური შვილებისკენ მიმართა, მათი აღზრდისკენ. განსაკუთრებით მეტყველების კულტურას აქცევდა ყურადღებას და საზოგადო ინტერესების გაღვივებასა და ჩანერგვას. ყულაბა ედგა თურმე მაგიდაზე და რამდენ შეცდომასაც დაუშვებდნენ ლაპარაკისა და ამბობის დროს, იმდენჯერ ყულაბაში თავისივე მიცემული წვრილი ხურდა უნდა ჩაეყარათ. ამბობდა თურმე: ის კაცი რა კაცია, ვინც მშობლიურ ენას ხეირიანად არ ფლობს და ვისაც საზოგადოებრივი ინტერესები არ ამოძრავებსო, ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვსო, თანაც დარწმუნებული იყო თურმე, რომ ყველაზე უფრო მიზანშეწონილი, გამომხატველი ქართველი კაცის ბუნებისა და სულისკვეთებისა ნაციონალ-დემოკრატობა იყო, ჩვენი მეფეებიც ხომ სწორედ ნაციონალ-დემოკრატები იყვნენო, და როგორიც ბერიო, ისეთიც ერიო, და განა ჩვენი მიმართულების სისწორეს, ჩვენი გზის სიმართლეს ჩვენი ისტორია და ჩვენი წარსული არ ადასტურებსო? ერთი სიტყვით, ისეთი კაცი იყო, ჭკუა ეკითხებოდაო, სულ ამას ამბობდა ბებიაჩემი. ოჯახიც სანიმუშო ჰქონდათ, ნამდვილი ძირძველი, თელავური ოჯახი., მშვენიერი ბავშვების ჟრიამულით სავსე, ბედნიერი და მხიარული ოჯახი... და რა გამოვიდა... ოთხი შვილიდან ქეთევანილა დარჩა და ყველა უშვილძიროდ გადაეგო, ვერავინ მოასწრო ბედს სწეოდა. უბედურება ფეხდაფეხ სდევდათ... 21 წელს რუსები რომ შემოვიდნენ, თელავის ყმაწვილკაცობა და შედარებით ახალგაზრდა მამაკაცები წავიდნენ ვითომ საომრად, გურჯაანთან ყოფილან

უკვე რუსები, შევებრძოლებით და გავაბრუნებთო. პაპაჩემიცა და ქეთევანის მამა, ნიკო, წინამძღოლთა შორის იყვნენ, მაგრამ, მოგეხსენებათ, რუსები როგორც გააბრუნეს, დაბრუნდნენ თელავში ხელში დაჭრილები და ამ შეტაკების სამახსოვროდ ბურჯთან სურათიც გადაიღეს. 24 წელს, არეულობის დროს ესეც მოსდეს შარად, ჯერ პაპაჩემი დაიჭირეს თურმე. ნიკო ქვემო ხოდაშენში ყოფილა ჩასული, ვენახი ჰქონდათ და იმის მისახედად, პატარა სახლაკიც ედგათ იქა, რთვლის დროს რამდენიმე დღით ჩადიოდნენ ხოლმე. ვენახიდან ამოსვლისთანავე ცოლს უთქვამს, კატოს, თუ ხათრი გაქვს, ახლავე უკან გაბრუნდიო, ხომ ხედავ, არეული დროა, აგერ ილიკო დაიჭირესო, გაერიდე აქაურობას, შენც ხელი არა გტაცონო. მტაცონ და მტაცონ, როგორცა მტაცებენ, ისევე გამანთავისუფლებენო, დავსხდებით მე და ილიკო და ყმაწვილკაცობას მოვიგონებთო...“

„ვაი, ვაი, ვაი,“ ჩაერთო ბერდო, „რა გულუბრყვილოები იყვნენ, რა გულუბრყვილოები, არ იცოდნენ, არა, ვისთანა ჰქონდათ საქმე ... აი, ეხლა, ჩვენ ხომ აქ სამნი ვართ და სამივეს რამდენი ხალხი გვყავს დაკარგული რამდენი...“

ჩვენი რა თქმა უნდა, მაშინვე დავეთანხმეთ ბერდოს.

„ჰოდა,“ განაგრძო ეთერიმ, „ისინი უკვე დახვრეტილები იყვნენ, ჯალათი გარეგინა რომ მოდიოდა ხოლმე და ბებო ნინოსა და ბებო კატოს თურმე ფულსა და სანოვაგესაც ართმევდა, ვითომ იმათთვის გადასაცემად...“

„ხო იცით, ჯალათი გარეგინა რა ტანჯვით მოკვდა, განგრენა ჰქონდა და ორივე ფეხი მოალპა და ყველა იმას ამბობდა თურმე ცოდვებმა უწიაო,“ თქვა ბერდომ.

„ოოჰ, მე არასდროს არ მამშვიდებს მაგათი ტანჯვა.“ ჩავურთე მე, „ჯანდაბამდისაც უვლიათ.“

„მაგრამ მე მინდა 24 წლის ამბავი დაგიმთავროთ, ...“ ეთერიმ დაეჭვებით გადმოგვხედა და ჩვენც მაშინვე შევძახეთ გვიამბე, გვიამბეო, ...“

„რა და სწორედ იმ წელს მათ ოჯახს სხვა უბედურებაც დაატყდა, უფროსი გოგო ანეტა, ცამეტი წლისა, მშვენიერი გოგო, ყელმოღერებულს ეძახდნენ თურმე. უშვილო, შეძლებული მამიდა ჰყავდა კატოს, ანა, რუისპირელ აზნაურზე გათხოვილი. ანეტაზე ჰქონდათ თვალი დადგმული ცოლსაც და ქმარსაც.

მოსახელეც იყო, ნათლიაც და თავის მემკვიდრედ აღიარებდნენ თურმე, არდადეგებზე ზამთარს და ზაფხულს გვერდიდან არ იშორებდნენ, საჩუქრებით ავსებდნენ. იმ ზაფხულსაც იქ იყო თურმე. თავადაზნაურობა რომ დაარბიეს და ნიფხავ-პერანგიანები გამოყარეს სოფლებიდან, კისრისტეხით მორბოდნენ და თურდოს რომ მოადგნენ, იძრეს ფეხსამოსები და გამოტოპეს. მაშინ ხომ ხიდი არ იყო, რიყე გაშლილი იყო, ზოგან წყალი, ზოგან ღორღი, ჰოდა, ანეტას ფეხი გასჭროდა წვეტიან ქვაზე. რა ქვა იყო ამისთანა და რა ეცხო ისეთი, ამბად გაუხდა, აბა ექიმები, აბა, წამლები, თბილისში წაიყვანეს, საუკეთესო პროფესორები დაახვიეს. ხომ გაგიგონიათ, ჭირს მოგცემ, ჭირს დაგავიწყებო, ბებო კატო ამბობდა თურმე: ნიკოს დახვრეტას არ ვიგლოვებ, ოღონდ ანეტა გადამირჩესო. მაგრამ ვერ გადაურჩათ, სისხლი ჰქონდა თურმე მოწამლული, ისეთი იწვა კუბოში, თვალს ვერ მოაშორებდითო. დეიდაჩემთან მეგობრობდა, ერთადაც სწავლობდნენ. თურმე ერთი წელიწადი ბებიაჩემმა შავები ვერ გაახდევინა, ანეტასა გლოვობდა. საწყალი ქეთევანი კი, მაშინ თერთმეტი წლისა, ისე დაიზაფრა, რამდენიმე ხანი ლოგინად ჩავარდა, მაღალ სიცხეებს აძლევდა თურმე. მაგრამ გარდა მძიმე გლოვისა, ამ უცნაურად თავდატეხილმა სისხლის მოწამვლით სიკვდილმა ის შედეგი გამოიღო, რომ ისედაც ყოველთვის ძალიან სუფთები, აკურატულები, მათ სახლში ყველაფერი კრიალებდა, მერე კი ქეთევანის დედა ნამდვილ მონად იქცა წმენდა-ხეხვისა. ონკანსაც უბრალოდ ხელით, სუფთა ტილოს გარეშე, არ მოუშვებდნენ, და ფილაქანის ბილიკს, ჭიშკრიდან აივნამდე, ლაპლაპი გაჰქონდა, გეგონებოდათ მათთან ჰაერიც კი სტერილურიაო. ერთხელ, ჩვენი მოწაფეობის დროს იყო, ალუბალი დავკრიფე და ბებიაჩემმა ბადიით გამატანა, კატოსა და ქეთევანს წაუღე, მურაბას მოხარშავენო. მათი ამბავი რომ ვიცოდი, ჭიშკართანავე ცხენის ძუის სქელ და განიერ ფეხების საწმენდს მაგრად გავუსვი ფეხები, ბებო კატომ ბადია ეზოშივე დამატოვებინა ონკანთან, თან მთხოვა: შედი ქეთევანთან, შენი შველაა საჭიროვო. შევედი და რასა ვხედავ, ჩაკუნტულია და იატაკზე რაღაცას ეძებს, ნემსს ვეძებო, მითხრა, ჩემი დის ნემსია, ქარგვა უყვარდა კანვით, პატარა გოგოს, აგერ ის ბალიშები ტახტზე ჩემი დის მოქარგულია იმ ნემსითო. მე მაშინვე ჩავიმუხლე, ვეძებე, ვეძებე

და ვუპოვე ძალზე გალეული ნემსი, ან როგორ დავინახე, ძლივს აჩნდა იატაკს. ისეთი დაწკრიალებული იატაკი ჰქონდათ, ერბო აიკრიფებოდა, მაგრამ მაშინვე დაასველა სპირტით ბამბა, მე ხელები გამინწმინდა, კიდევ აიღო ბამბა, კიდევ დაასველა, ნემსი წმინდა და წმინდა და ხელებიც გაიწმინდა. ამ ნემსის ამბავი იმიტომ გიამბეთ, რომ საშინელი ამბავი დაემართა ამ ორი-სამი წლის წინ. არავინ აღარ ჰყავდა, ერთი დეიდაშვილი ცხოვრობდა თბილისში, ზოგჯერ ჩამოდიოდა და ისიც მოუკვდა. არ ვიცი იმათებმა გადაწყვიტეს, თუ ვიღაც შორეულმა ნათესავებმა, დაარწმუნეს: მოხუცთა თავშესაფარში იქნება შენი წასვლა მიზანშეწონილიო და დათანხმდა. დასავლეთ საქართველოში წაიყვანეს სადღაც, რომელიღაც თავშესაფარში," ეთერი გაჩერდა, მოიღრუბლა, თავისი მშვენიერი თვალები სევდით აივსო, „ისე შევწუხდი, შენთვისაც კი არ მითქვამს, ისე შემძრა იმ ამბავმა." მომიბრუნდა მე და მერე განაგრძო: „ოთხი-ხუთი თვე იყო გასული და ჩვენი პატარა ჭიშკარი გაიღო, გაიხედა დედაჩემმა, მათხოვარი ეგონა, ჭიშკართანვე გაჩერდა ვიღაც მოხუცი ქალი, ფლასებით შემოსილი, და აპყრობილ ხელებს უწვდიდა დედაჩემს, თან მილეული ხმით ეძახის: სონია... სონია. ძლივს შევიცანი ქეთევანი და გაჩქარებული წამოვედი ჭიშკრისკენო. გაშალა თურმე დედაჩემმა ხელები, რომ მოეხვიოს და წაიყვანოს სახლში.

„არ მომეკარო, სონია, არ მომეკარო... საშინელება მჭირს... საშინელება... მიშველე რამე, გენაცვალე... მიშველე..." „რა იყო, ქეთევან, მითხარი, შენი ჭირიმე, გიშველი, მაშ, რას ვიზამ, მითხარი." „ტილები დამეხვიაააა... ტილებიიი... გამოვიპარე იმ საშინელი სახლიდან... მთელი ღამე ფეხით ვიარე, ხან სად მივეგდე... ხან სადა, მერე ვიღაცა მადლიანმა წამომიყვანა... თბილისში კიდევ ავტობუსში ჩამსვეს..." არაფრით არ შეჰყვა თურმე დედაჩემს, თქვენთან ვერაფერს გავაბინძურებო. გასაღები ჰქონია შენახული სამალავში ჭიშკრისაც და სახლისაც, შევიდნენ თურმე, იქაც ჭიშკართან გაჩერდა. გამოიტანა დედაჩემმა მაკრატელი, და ტანსაცმელი. სულ მთლად მოკლედ შეჭრა თმები, ნავთი წაუსვა, მერე გააცხელა ნყალი, გააბანა, თავი ჩამობანა, გააცალა ყველაფერი, გაასუფთავა. ხელებს უკოცნიდა თურმე, წარმოგიდგენიათ. ჩვენი თავმომწონე ქ-ნი ქეთევანი."

ეთერის ცრემლებით აევსო თვალები.

ჩვენზეც მძიმედ იმოქმედა ამ ამბავმა. ეთერი ნამოდგა, გეორგინების დიდი თაიგული ზედა თაროდან ჩამოვარდნაზე იყო და ხელი წაატანა გასასწორებლად. მე ფანჯარაში დავიწყე ყურება. მინდოდა სხვა, სხვა, სულ სხვა რაღაც მომეგონა. ამასობაში ჩვენ უკვე ბარჯისხევის დაღმართზე ვეშვებოდით. აი, სადაცაა კავკასიონი გამოჩნდება-მეთქი, გავიფიქრე... და არა მთავარემ, არამედ წარსულის ბურუსიდან სწორედ კავკასიონმა „ამოზიდა ლურჯი მოგონება:“ ქ-ნი ქეთევანი, ქეთევანმასწავლებელი, ახალგაზრდა და ლამაზი, მის დახვეწილ სახეს ყველა „კამეას“ ადარებს, მას ღია ლურჯი კრებდეშინის კაბა აცვია, გაფრიალებული მოკლე სახელოებით, დაბლა დაკეცილი, მაღლა კი მრგვლად ამოჭრილი, ყელზე მომდგარი მარგალიტის რამდენიმე ასხმულათი, იგი თავის გრძელ, შიშველ ხელს ინვდის ჩვენი კლასის ღია ფანჯრისკენ და შთაგონებული კილოთი მოგვიწოდებს: „ბავშვებო, შეხედეთ კავკასიონს! ეს ჩვენი მშობლიური მთებია... კავკასიონი! რა ტევადია ეს სიტყვა ჩვენთვის, როგორ ავსებს ჩვენს გულებს განცდით და როგორ აფხიზლებს ჩვენს გონებას გაგებისა და ჩაწვდომის ნყურვილით! როგორც გიგანტური ცოცხალი ორგანიზმი დაძარღვულია კავკასიონი მდინარეებით...“ და ჩვენ, მესამე კლასელებს ზარის რეკასავით ჩაგვესმის ქეთევან მასწავლებლის ხმა. კავკასიონს ჩვენ სულ ვხედავთ, მაგრამ აქამდე საგანგებოდ არ შეგვიხედავს... მერე გვიამბობს და გვიამბობს კავკასიონზე, იმაზე, რომ კავკასიონი ახალგაზრდა მთებია... რა საოცარია, მთებს თურმე შეიძლება ასაკი ჰქონდეთ, ... ადამიანივით.

ჩვენ გავიზარდეთ, მეცხრე კლასში ვართ, ქეთევან მასწავლებელი ისევ ახალგაზრდა და ისევ ლამაზია, ახლა მას ნაღებისფერი გიპიურის ფუშფუშა საყელოიანი კაბა აცვია შვინდისფერი ქიშმირისა, კოხტადა აქვს მოყვანილი და ძალიან შვენის. მაგრამ ნეტავ რას უმზერს თავისი გასხივოსნებული თვალებით დიდ რუკაზე, რას? თურმე ანდებს, ... ამჯერად ანდებს ... ოო, ანდები, ანდები ... ცადატყორცნილი მწვერვალებით... და მათ წარმტაც სახელებს ისე გამოთქვამს, ისეთი დახვეწილი კილოთი, ალბათ, ამ უებრო ქართულის ბრალიცაა, ლამის მშობლიური რომ გვგონია ეს შორეული მთები, და მათ წიაღში, ოთხი

ათას სამას მეტრზე მდებარე ენით უთქმელი სილამაზის ტბა ლაგო დე ლაურიკოჩა... როგორი სახელია, არა? თვალანთებული, ყურდაცქვეტილი ყმაწვილებისთვის, რომელთაც ოცნება ჰკლავს „დედამინის სიმღერით მოვლისა“, ჰგონიათ უპირველესად გაემართებიან ამ ლაგო დე ლაურიკოჩასკენ რათა იხილონ მდინარის დაბადება, არა რაღაც უმნიშვნელო და სასხვათაშორისო მდინარის, არამედ „მისი უდიდებულესობა“ ამაზონკასი, დაბადებისას გამჭვირვალე, მოზრდილი ნაკადული რომაა და მარინიონასი ჰქვია. და მე თვალწინ დამიდგა დედამიწის უდიდესი მდინარეები, ქეთევან მასწავლებლის მიერ ხატოვნად მონათხრობი, მათი მომაჯადოვებელი სახელების წარმომავლობა. მათი წყალუხვი მდინარების მაცოცხლებელი მადლი, წყალდიდობის დროს კი მათი ბორგვა, ბობოქრობა და მრისხანება. „ოო, ჩემო ყმაწვილებო,“ ამაღლებული კოლოთი წარმოთქვამს ქეთევან მასწავლებელი, „ცის გზავნილებს უწოდებს მდინარეებს ჰომეროსი.“

... მე და ეთერი წინ დავდექით, ფეხებთან, ბერდომა და ბ-მა ირაკლიმ თავთან ჩასჭიდეს კუბოს სახელურებს ხელი და ნელა დავიძარით სამარისკენ, რომელიც არც ისე ახლოს აღმოჩნდა, ან შეიძლება იმიტომაც მოგვეჩვენა ასე, რომ კუბოს ტარება თურმე ძნელი ყოფილა, მით უმეტეს, როცა ქარი სახეში გცემს და მოყინულ მიწაზე აქა-იქ ფეხიც გისხლტება. ამასთანავე, ზომა არავის აუღია და მეკუბოვეს ცხადია, დაეზარა ზედმეტი შრომა და სკივრის დაპატარავება, ისეთი ხალვათი, ისეთი სიგრძე-სიგანის კუბო შეეკრა, დევკაცი ჩაეტეოდა, და საწყალი ქ-ნი ქეთევანი მთლად რომ არ ჩაკარგულიყო, ცოტაოდენ ტანსაცმელთან ერთად, ერთი-ორი გეოგრაფიული ცნობარიც ჩავაყოლეთ. მე ნაბიჯებს ვითვლიდი, ვითომ შეღავათისათვის, და ზუსტად ცამეტი ნაბიჯი გვქონდა გავლილი, ბ-მა ირაკლიმ მობოდიშებით გვთხოვა, მოდით, ცოტა შევისვენოთო, და ჩვენც კუბო იქვე, გზის პირას, ძველთაძველი საფლავის ლოდზე დავდგით, და სიამოვნებითაც.

„ცემით გავხეთქავ მაგ მამაძაღლს მაგას!“ დაიძახა ბერდომ და ბ-ნ ირაკლის შეხედა.

„ალბათ, ვიღაცას ასაფლავებენ და იქ შეაგვიანდა ...“ თქვა ეთერიმ და ჩვენც აქეთ-იქით გავიხედ-გამოვიხედეთ, მაგრამ

გაძრცვნილ ცაცხვებსა და შიშველ ბუჩქებს შორის, და თუნდაც კვიპაროსებიანად, მთელი სასაფლაო მშვენივრად ჩანდა და არსად არავინ ჭაჭანებდა, არც ერთი სულიერი.

„რომ იცოდეთ, რაზე მწყდება გული", თქვა შეცვლილი კილოთი ბერდომ, „მექელეხეთა კოჰორტა რომ არსად ჩანს და გალავნიდან არა აქვთ თავები ამოყოფილი."

რაც გაჭირდა ცხოვრება, ქალაქში უცხო მექელეხეთა საკმაოდ დიდი ჯგუფი გაჩნდა, გაიხედავდით და პროცესიას ბოლოში ჭრელაჭრულა ძონძმანებში გამოხვეული ბომჟებისა და მათხოვრების ამალა მოსდევდა. გალავანს შემოეჯარებოდნენ და უთვალთვალებდნენ, პროცესიის ხალხს არც დაუცდიდნენ, სულ სირბილით დაეშვებოდნენ სასაფლაოდან პირდაპირ ქელეხისკენ, და ჭირისუფლები მათ ცალკე უშლიდნენ სუფრას.

„შეგნებული ხალხია, იციან სად გაჰკრავენ კბილს ხაშლამას." ცალყბად გაიცინა ბერდომ.

„ხაშლამისა რა მოგახსენოთ და", თქვა ეთერიმ, „რეჯიბმა ცოტაოდენი ცხვრის ხორცი გამომატანა, შილაფლავი მაინც გააკეთეთო, ორი ბოთლი თავკვერი, ავადმყოფს მიერთმია, გუშინაც ხომ გეუბნებოდით, აი, ზაირამაც მდგმურების ნობათიდან ლობიო და ხორბალი შემოაწია ქ-ნ ქეთევანს ... დედაჩემმა თქვა, როგორმე თავს მოვაბამო, შეუძლოდ არის ... ასეთი ახლობელია ქეთევანი და ვერც კი შემოიარა."

„მეც ერთი-ორ ბოთლ ღვინოს დავამატებ," თქვა ბერდომ. „მაგრამ აღსაწერი ამბავი კია..." ბოღმიანად დაუმატა, „ღმერთმანი, შენ რაღაცა უნდა დაწერო." მომიბრუნდა მე და ხელი გამომიწოდა, „Вашу честную руку".

„ყოველ შემთხვევაში, ვეცდები." და მეც ხელზე ხელი მოვკიდე.

„ეცდები კი არა, კარგად უნდა გააჭრელო და ყველაფერი ჩაწერო." მომიწოდა ეთერიმ.

„მე ჯერ თითქოს ცოცხალი ვარ," ბ-მა ირაკლიმ, გეგონებათ სწორედ სიცოცხლის ნიშნად, ბერეტი გაისწორა," მაგრამ ჩემს შემდეგ იქნებ მეც შემომაწიო ორიოდ სიტყვა, ჰაა, ქალბატონო, ხომ არ დამზარდები?!"

„მაშ, ვილას უნდა შეაწიოს, პატმასნ, თუ თქვენ არა?! ღირსმსახურებდით ჩვენს სწავლებას, რაი გადარდებთ? გასწიეთ იგი

ნეფერტიტიდან ფერდინანდამდე." პათეტურად წარმოთქვა ბერდომ და ალერსიანი მზერა შეავლო ბ-ნ ირაკლის.

„ოჰ, ღმერთო ჩემო, იმ დროს, როცა ჩვენი კარგი ქეთევანი დასასაფლავებელი გვყავს." თავი გაიქნია ბ-მა ირაკლიმ და ქარის მიერ ამოფუყულ სუდარას კიდეები ჩაუწია. ბერდო კი ისევ პათეტური კილოთი ცდილობდა სიტუაციის გაქარვებას.

„იმ დროს, როცა შვილიშვილები უნდა მიაფრიალებდნენ ბებიის კუბოს, მსუბუქად და მედგრად, შეხნიერებული ყოფილი მოსწავლეები და ენდარტერიტითა და როგორც ჩანს, გულითაც შეინრებული ხნიერი კოლეგა და მეგობარი, ცდილობენ გაუმკლავდნენ დეკემბრის ქარს, მოყინულ მიწას და ღირსეულად მიხანხალდნენ ფინიშამდე, ანუ სამარემდე, მაგრამ რას ვიზამთ? ასეთია ნაზი ბედი, ბედი რჩეულ ფერის."

„არა, მაინც რა გულსაკლავია ქეთევანის, და საერთოდ მათი ოჯახის გადაშენება, მე მახსოვს ერთხელ ეთერიმ დიდი ამბით, საიდუმლოდ გვითხრა, — ბავშვებს ხომ ძალიან უყვართ საიდუმლოებები, — თურმე ჩვენს მასწავლებელს საქმრო ჰყავდაო, ძალიანაც უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ რატომღაც სწორედ ქორწინების წინ დაშორებიან ერთმანეთსო და დაე, ამიერიდან ეს იყოს ჩვენი საიდუმლოვო". მე ბ-ნ ირაკლის გადავხედე, რადგან ეჭვი არ მეპარებოდა, მას ეცოდინებოდა ეს ამბავი. ბ-მა ირაკლიმ, საწყალმა, ეტყობა იფიქრა, ამით მაინც გამოვისყიდო ჩემი გამოისობით ასეთი შეფერხებაო, — თანაც ისიც სათქმელია, უფრო უკეთ დაასვენებდა ფეხებს და მოიკრებდა ძალას, — ლამის აიტაცა ქეთევანის ჩაფუშული გათხოვების ამბავი და ხალისიანად შესძახა: „შესანიშნავი საქმრო, ყოველმხრივ შემკული, თუ ოჯახიშვილობით, კისისხეველი თავადების ჩამომავალი, ბიძინა ჩიჯავაძე, თუ გარეგნობით, თუ სწავლა-განათლებით, მთელი ახალგაზრდობა ხელჩაკიდებული დადიოდნენ და ვერავინ იფიქრებდა მათ დაშორებას, მაგრამ, რომ იცოდეთ, რა მოხდა," ბ-ნი ირაკლი ერთი წამით გაჩერდა და გადმოგვხედა სათითაოდ, სწორედ ისე, მოწაფეობის დროს კლასს რომ გადახედავდა, აბა, ყურადღებით უგდებდნენ ყურს ბავშვები თუ არა, ჩვენ კი უკვე აბუზულები ვიდექით, სიცივემ მოუჭირა და დაინტერესების მიუხედავად, სრულიად შეუძლებელი იყო ამბის გაჭრელება... მაგრამ ერთბაშად არ გაიტეხა იხტიბარი და

მართლაც პედაგოგივით დაგვისვა კითხვა: „ეს ამბავი 37 წელს შეეხება და ვიცი, თქვენთვის ეს წელი კარგად არის ცნობილი."

„ამ წლის შესახებ, პატმასწ." მონაფესავით უპასუხა ბერდომ, „ჩვენ ყველას ძალიან კარგად მოგვეხსენება, ... მაგრამ, გთხოვთ ნუ დაივიწყებთ, წინ დიდი გზა გველის..." და ბერდომ ბ-ნ ირაკლის მხარზე მოხვია ხელი, ვითომ არ გეწყინოთ, რომ გაგანყვეტინეთო.

„მართალია, მართალია," გაიცინა ბ-მა ირაკლიმ," დრო გვექნება და კარგად გიამბობთ.

„აუცილებლად, დღესვე დაწვრილებით უნდა გვიამბოთ ბ-ნო ირაკლი" და ეთერიმ კუბოს სახელურს კვლავ ჩასჭიდა ხელი. ფართე ბილიკი ზევით, ეკლესიისკენ უხვევდა, და ჩვენ სწორედ იქითკენ ავიღეთ გეზი, ასე უფრო მარჯვედ მივალთ საფლავამდეო, ბ-მა ირაკლიმ გვითხრა. თავდახრილები, ჩუმად შევუდექით მცირე აღმართს, დაკვირვებით ჩავჩერებოდით მოყინულ მიწას, ზოგან მაინც ყინული სქლად იდო. მაგრამ ისევ იმდენივე გვქონდა გავლილი, ანუ ცამეტი ნაბიჯი, ბერდომ რომ მოგვიწოდა გავჩერდეთ, გავჩერდეთო ... უცებ დავდგით დაბლა კუბო. ბ-ნი ირაკლი ძლივს სუნთქავდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა და სულს ვერ იბრუნებდა, პირი მთლად გალურჯებოდა, სახეზე კი ფერი აღარ ედო, იქვე რკინის ჯებირი იყო რომელიღაც საფლავისა და იმას მიეყუდა, ნელა, ნელა ამოძრავებდა ტუჩებს: „ეხლავე... გამივლის... არაფერია..." ტყავის ხელთათმანიც ნელა წაიძრო, პალტოს ჯიბიდან აბების ფირფიტა ამოიღო, ბერდოს მიაწოდა, სწრაფად გამოაძრო ერთი აბი ბერდომ: „წყალს რა ვუყოთ, ბ-ნო ირაკლი!" მაგრამ თავი გაიქნია ბ-მა ირაკლიმ და აბი პირში ჩაიდო. ჩვენ გაშეშებულები ვიდექით და შევყურებდით. მერე ეთერიმ ხელი გაინოდა, პულსს გაგისინჯავთო, ვინ იცის, წნევამაც აგინიათო. მაგრამ ბ-მა ირკალიმ არ დაანება: „ცოტა...მომეშვა..." და საწყალმა დამნაშავესავით გადმოატრიალა თვალები, „ვგრძნობ... რომ... შევძლებ..."

„არც იფიქროთ!" ხმას აუწია ბერდომ, „მე ფეხები მეგონა, ენდარტენიტიო და თქვენ თურმე გულიც გაწუხებთ, რატომ არ თქვით, რატომ, ვინ იცის მალხაზსაც არ ატყობინებთ, რომ ამერიკიდან კარგი წამლები გამოგიგზავნოთ!"

„მიგზავნის... მიგზავნის..." ამოიკნავლა ბ-მა ირაკლიმ. „აი,

ეხლა კი... ნამდვილად შევძლებ... ერთი ნუთიც და..."

„კარგით რაა, ხომ ხედავთ, ისედაც ситуация не из легких, ჩვენ თვითონ მივასვენებთ თქვენი დახმარების გარეშე!" ლამის დაუტია ბერდომ.

„თქვენ საერთოდ აქ დარჩით, აი, აქ, საფლავის ლოდზე დაბრძანდით და დაგველოდეთ". თხოვნის კილოთი მიმართა ეთერიმ.

„აბა, რაა," ჩავერთე მეც, „ეთერი და მე თავისკენ გადავინაცვლებთ, ბერდო ჩვენს ადგილას დადგება და მშვენივრადაც შევძლებთ."

„როგორ..." ვითომ წამოყელყელავდა ბ-ნი ირაკლი, სამარემდეც არ მივაცილო ქეთევანიი? სულ რომ... სული გამძვრეს... ამას როგორ დავუშვებ?"

„თქვენ თუ მართლა მოგეშვათ, ნელი ნაბიჯით გამოგვყევით... ჭირისუფალივით... მართლაც და მართლაც ვინმე ნაბიჯითაც ხომ უნდა მოსდევდეს კუბოს." და ეთერიმ ალერსიანად, ჯოკონდას ღიმილით გაიღიმა.

„ოჰ, ღმერთო ჩემო..." ამოიოხრა ბ-მა ირაკლიმ. „მაგრამ... ვაუბატონო, შენ ხომ გეჩქარებოდა..."

„ეხლა ჩემი წასვლა იქნებაა?"" ხელები გაშალა ბერდომ, „თქვენ თავი დაგნებდებაათ? გუშინაც იძულებით მოგტეხეთ მხარი, ცნობებისთვის. თანაც არც აღარავინ არ წავა, აგერ გრემიდან თორმეტი ძროხა გამოურეკიათ მხედრიონელებს, პოლიციასთან ამ დილით ცოდვის ტირილი იდგა... იმ კვირას კიდევ ჩემი ქვისლი გადმოსვეს ახალთახალი ნოლ-ოცხდაოთხიდან, ... ისევ გათენებისას გავყვები რამეს". ბერდო თავის ადგილას დარჩა, თქვენოდენას კი როგორმე შევძლებო და ორივე ხელით ქვევიდან ასწია კუბო. ჩვენ მაშინვე ჩავჭიდეთ სახელურებს ხელი, ერთი ამოვიზმუკუნეთ, ჩაწვდილი ხელების სიმაღლეზე დავიჭირეთ და ტაატით გავუდექით გზას სამარისკენ... რა თქმა უნდა, ერთი-ორჯერ კიდევ შევჩერდით, რომ ადგილები შეგვენაცვლებინა მე და ეთერის, მაგრამ ხელები ჩამოგვწყდა, ჩვენი ქშენა კი, ალბათ მთელ სასაფლაოზე ისმოდა... და უცებ, მყისიერად, როცა გაყინულ მიწას ჩავჩერებოდი და ერთი სული მქონდა როდის მივაღწევდით სამარემდე, არ ვიცი, ხსოვნის რა მექანიზმი ამუშავდა, თვალწინ დამიდგა შორეული ზამთრის

მოყინულ ბილიკზე ჩვენი, ათი-თერთმეტი წლის ბავშვების მწკრივი ხელში დიდი გვირგვინებით, ქეთევან მასწავლებლის ძმის პროცესიას წინ რომ მივუძღვოდით, ჩვენს გვერდით წითელარმიელთა ოცეული მოაბიჯებდა მწყობრი ნაბიჯებით, გარემოს ავსებდა ლეგიონის დიდი სასულე ორკესტრის მწუხარე ჰანგები სამგლოვიარო მარშისა. ზოგჯერ მოვიხედავდით უკან, დავინახავდით ჩვენთან სულ ახლოს, ცინკის დალუქულ კუბოს, დროდადრო ჩვენს ყურთასმენას სწვდებოდა დედის მდუღარე მოთქმა „...ჩემო ბიჭო... ჩემო იმედო...“ და ჩვენც, ბავშვებს, გული გვიდუღდა. ქეთევან მასწავლებელი კი სულ ვერ ტიროდა, სულ ვერა, და ჩვენ ვიცოდით: ხმა აღარ ჰქონდა, ვიცოდით: ჩამოსასვენებლად რომ წავიდა ახალქალაქში, თუ ბოგდანოვკაში სწორედ მისმა ყოველდღიურმა, ხმამაღალმა მოთქმამ, გარიჟრაჟზე რომ იწყებოდა და აღარ თავდებოდა, გატეხა პოლკის უფროსის ნება, „ამ აუტანელი, კუდიანი ქალისთვის, დემორალიზაცია რომ უნდოდა გამოეწვია საბჭოთა მებრძოლებში თავისი გაუთავებელი და აუტანელი მოთქმით“, დაეთმო ძმის ცხედარი, საძმო საფლავიდან ამოეთხარათ და გამოეტანებინათ. მაგრამ მანამდე თურმე რამდენი იბობოქრა, თავზე კაკალი ამტვრია ქეთევანს: „არა! არა! არა!“ დასძახოდა თურმე, „ვერ დავარღვევთ საძმო საფლავს! უკვე შეეუკვეთეთ ობელისკი რუხი ქვისა ზედ ამოტვიფრული სახელებით, თქვენი ძმა ღირსეულად აღესრულა საზღვარზე სამხედრო დავალების შესრულების დროს! თქვენმა ძმამ გამოისყიდა თქვენი ოჯახის წევრების დანაშაული და ეხლა გინდათ შარში გახვიოთ თქვენი ამ ახირების გამოო!!“

„ჩვენს ოჯახს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის სახელმწიფოს წინაშე და ჩემს ძმას არ დავტოვებ! არავითარ შემთხვევაში!“

„მაშ, თქვენ გინდათ დამარწმუნოთ, რომ ტყუილად დახვრიტეს მამათქვენი 24 წელს? და თქვენი მეორე ძმა, ხალხის მტერი, ტყუილად დააპატიმრეს, და, რა თქმა უნდა, დახვრიტეს 37 წელს? მაგრამ მე ვიამაყებდი ისეთი ძმა მყოლოდა, როგორიც დათა გაგნიძე იყო, ვინც თავის დაღუპულ მეგობრებთან ერთად, დიდი პატივით დავკრძალეთ, სასულე ორკესტრით, ქვემეხის ზალპით, ამ ცივ ზამთარში დაფნის გვირგვინიც კი გავაკეთებინეთ, და თქვენ ახლა, მთელი ორი კვირის შემდეგ, საძმო

საფლავის დარღვევას მოითხოვთ? ეს შეუძლებელია! აგიღებთ ბილეთს და წაბრძანდით დღესვე!" „ვერსად ვერ წავალ ჩემი ძმის გარეშე. ჩვენ გვაქვს საძმო საფლავი გიგოს-გორაზე, სადაც მამაჩემი დახვრიტეს! და მეორე საძმო საფლავიც, სოღანლუღის ფერდობზე, ამბობენ 37 წელს იქ ხვრიტავდნენ, და მე ვამაყობ ჩემი ოჯახის წევრებით! ახლა კი ვერსად ვერ წავალ ჩემი ძმის გარეშე! დედასთან ხელცარიელი ვერ ჩავალ, ვერა! ჩემს გზას გამოჰყურებს, თავისი მკვდარი შვილის გზას!!"

„თქვენ იტყვით ამის შემდეგ, რომ თქვენი ქვეყანა გიყვართ? უცხოეთშია დასაფლავებული თუ რაა, რა ასეთი მნიშვნელობა აქვს, როცა უკვე დასაფლავებულია!!"

„გთხოვთ! მოგიწოდებთ! დამახმარეთ ჯარისკაცები, თუ არა გარწმუნებთ! ჩემი ხელით გავთხრი საფლავს და არავითარ შემთხვევაში დედასთან ხელცარიელი ვერ ჩავალ!!"

„სირცხვილი თქვენ! სირცხვილი! ველური ხართ? პედაგოგი ქალი! ვინა ხართ ამისთანა, ვინა, მაშ რაღა თქვან ფრონტზე დაღუპულთა მშობლებმა, რაა!! თქვენ შეურაცხყოფას აყენებთ საბჭოთა წითელარმიელებს და ვერა გრძნობთ!"

„რომ შეეძლოთ, ისინიც ასე მოიქცეოდნენ!!" და დილიდან იწყებდა საფლავზე გასვლას და მოთქმას. და სულისშემძვრელი იყო ეს დაუსრულებელი მოთქმა. მერე კი ვხედავდით, თავისი დის საფლავის მატურს იყო მიყრდნობილი, შავი ბერეტი ეხურა, თვალები ჰქონდა დახრილი, თითქოს ეხუჭა, და შვეული, გრძელი წამწამები თვალის უპეებს უფარავდა. თვალისმომჭრელად ლამაზი იყო. მაშინ პირველად ვიგრძენი, რომ გლოვამ შეიძლება ასეთი მშვენიერება შესძინოს ადამიანს. ზოგი ხატს ადარებდა, ზოგი კი ამბობდა გლოვის სიმბოლოსავით არისო.

როგორც იყო მივასვენეთ, მაგრამ, სიქა კი გაგვძვრა. კიდევ კარგი, მათი საფლავების რკინის ჯებირის კარი იმ ზომისა იყო, რომ კუბო შეეტია, თორემ ნამდვილად ველარ შევძლებდით ზევით ანევას და ჯებირზე გადატარებას. ჯებირს შიგნით სამი საფლავი იყო, ქ-ნი ქეთევანის ძმისა, დისა და დედისა, და აგრეთვე მარჯვნივ, დედის საფლავთან, მარმარილოს ოთხკუთხედი, არც თუ ძალიან მაღალი სვეტი პატარა ჯვრით, როგორც მერე შევიტყეთ, მამისა და უმცროსი ძმის, არჩილის, მოსაგონებლად აღმართული. საქმე ის არის, მამა 24-ში იყო დახვრეტილი, არჩი-

ლი კი 37-ში, მათ საფლავები არ ჰქონდათ და სამახსოვროდ ეს სვეტი აღუმართავთ.

იმის გამო, რომ მარმარილოს მატურები, საიდანაც თეთრ ფაიფურზე აღბეჭდილი ახალგაზრდა კაცისა და ნორჩი გოგონას გაღიმებული სახეები გადმოგვცქეროდნენ, საფლავების თავთან იდგა, აქეთ საკმაო ადგილი იყო დარჩენილი. სამარე შუაში იყო გაჭრილი, დის, ნორჩი გოგონას, ანეტა გაგნიძის საფლავზე. მინა დათას საფლავისკენ იყო გადაყრილი, ამიტომ კუბო მეორე მხარეს, დედის საფლავის გასწვრივ, სამარის პირას დავდგით და სული მოვითქვით. გუშინ, სასაფლაოდან რომ დაბრუნდა ბ-ნი ირაკლი, ამბობდა: წარმოგიგენიათო, ანეტას საფლავი რომ გათხარეს, არაფერი, სულ აღარაფერი არ იყო დარჩენილიო. 70 წელია მისი გარდაცვალებიდან და გაკვირვებას ვარ, ნუთუ რაღაც ნატამალი მაინც არ უნდა დარჩენილიყოვო, ამას ქვია, მინა ხარ და მინად იქეცო. ჩვენც დავრწმუნდით ამაში, სამარეში რომ ჩავიხედეთ, სუფთა, სუფთა, ღია ყავისფერი მინა იყო მხოლოდ.

ბერდო მაშინვე სახურავის მოსატანად გაიქცა, ბ-ნი ირაკლიც ორიოდე ნაბიჯის შემდეგ მოვიდა და ჯებირის რკინის გრეხილს გარედან მოეყუდა. მე და ეთერიმ ზევით გავიხედეთ, მოდის თუ არა მესაფლავე დამხმარეებთან ერთადო. მაგრამ ისევ არავინ ჩანდა. ბ-მა ირაკლიმ მწუხარე სახით შეავლო თვალი ფაიფურის პორტრეტებს: „საბჭოთა კავშირში, ჩვენისთანა ხალხს, ვის ულხინდა, მაგრამ უბედურებაც არის და უბედურებაც."

„აბა, აბა", დაუდასტურა ეთერიმ, „ეს დღეები სულ ქ-ნი ქეთევანის მოგონებაში არა ვართ?" ბ-ნი ირაკლი მოცოცხლებული ჩანდა. ჯებირს შიგნით შემოვიდა და სამარის პირას, მინაყრილზე ჩამოჯდა.

„თქვენ რა საინტერესოდ დაინყეთ წელან ამბის მოყოლა და აღარ დაგაცადეთ." ვუთხარი მე, „აი, ჩვენს ბედზე ქარიც ჩადგა და თითქოს კიდევაც ჩამოთბა."

„სათოვლე პირი უჩანს ამინდს, არ შეგცივდეთ ბ-ნო ირაკლი, სიცივე არ გარგებთ." თქვა ეთერიმ და ისევ გაიხედა ზევითკენ, „არც ვიცი რა გვეშველება, თუ არ მოვლენ."

„დაიხსომეთ ჩემგან, მაინც თქვენი მასწავლებელი ვიყავი," მოგვმართა ბ-მა ირაკლიმ. „წინასწარ არასოდეს არ ღირს ნერ-

ვიულობა, როგორც იქნება, ისე იქნება."

ბერდომ კუბოს სახურავი მოიტანა, ჩვენ ხელი შევაშველეთ. სახურავის გასწორებისას ბ-ნი ირაკლი ეუბნება: „სახურავი ... მაპატიეთ და, მე მინდოდა ჩასვენებისას ორიოდე სიტყვა მეთქვა."

„თქვენ მაპატიეთ, ბ-ნო ირაკლი," აიქოჩრა ბერდო და სახურავი კარგად მოარგო, „უნდა უთხრათ, აბა, რაა, მაგრამ მე მგონი დახურულ კუბოშიც ისევე გაიგონებს ქ-ნი ქეთევანი, როგორც თავახდილში, თქვენი სიტყვა ხომ ჩვენთვის იქნება."

„ვაიმე, ჩემი ყვავილები, როგორ, იქ არ იყო? მე ხომ სწორედ სახურავს დავადე." შეიცხადა ეთერიმ. საწყალი ბერდო უჩუმარი პირით გაიქცა და ასევე სულ სირბილით დაბრუნდა გეორგინების დიდი თაიგულით ხელში: „მანქანის ჯანჯღარში უკან გადავარდნილა თურმე." თაიგული ეთერის გადასცა, „მე ახლავე იმ მამაძაღლებთან უნდა გავიქცე და სულ კინწისკვრით ჩამოვიყვანო!" და ბერდო ისევ სირბილით შეუდგა აღმართს.

„ბ-ნო ირაკლი, თუ არსებობს სული, არა მსოფლიო, არამედ ინდივიდუალური, დარწმუნებული ვარ, ამ სულს ყველაზე უფრო სიყვარულის გახსენება ესიამოვნება, ბოლოს-ბოლოს, სიყვარული ხომ ყველაზე უფრო ფასეულია." მივმართე მე ბ-ნ ირაკლის, რამდენადაც შეიძლებოდა ამ ვითარებაში, ხალისიანად.

„რომ იცოდეთ, ჩემო გოგოებო, ქეთევანი ყოველწლიურად, ბრწყინვალე კვირეულის ბოლოს, ანუ კვირაცხოვლობას, თავისიანების, მამისა და და-ძმების მოგონებისა და ხსენების სუფრას გაშლიდა ხოლმე. დაკიდებდა მათ სურათებს სუფრის გასწვრივ, აანთებდა სანთლებს, მოიწვევდა მამა დავითს, პანაშვიდისათვის კი არა, მოკლე ქადაგების ჩასატარებლად, ხსოვნისადმი მიძღვნილი ქადაგების, და შემდეგ, მშვენიერ ტრაპეზს თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები ესწრებოდნენ. ერთხელ ამ თავყრილობის შემდეგ როგორღაც შემოვრჩი მათთან გვიანობამდე და სწორედ მაშინ მიამბო ქეთევანმა თავისი ჩაშლილი დაოჯახების ამბავი. წეღან ტყუილად არ გიხსენეთ 37 წელი, ეს ამბავი სწორედ იმ საბედისწერო, ტრაგიკულ წელს უკავშირდება, რადგან სწორედ იმ სავალალო წლის ბოლოს დააპატიმრეს ქეთევანის უმცროსი ძმა, ოცი წლის არჩილი, უნივერსიტეტის მესამე

კურსის სტუდენტი, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტისა. და დაიჭირეს ახლო ამხანაგის დაბეზღებით. ერთად მოდიოდნენ თურმე უნივერსიტეტიდან, ამხანაგს გაზეთი ეჭირა ხელში, სადაც ეგრეთწოდებული ხალხის მტრების ლანძღვა-გინება იყო ჩვეულებრივ დაბეჭდილი, თან თქვენც ხომ გახსოვთ, არ არსებობდა გაზეთი სტალინის ფოტოს გარეშე... ამ ამხანაგმა გაზეთი გაშალა თურმე, არჩილმა კი ხელი დაჰკრა თურმე გაზეთს, თან ბოლმიანად წამოეძახა: ოჰ, ყველგან ამას უნდა ვხედავდეთო, გაზეთი გაიხა სწორედ ფოტოს ადგილას და იმ ვითომ ახლო ამხანაგმა დააბეზღა, ასე და ასეო, სტალინი სძულსო. და დაიწყო ქეთევანის წამების გზა... ეს და-ძმა ორ-ორი წლით იყვნენ ერთმანეთზე უფროს-უმცროსი, ჯერ იყო საწყალი ანეტა, მერე ქეთევანი, მერე დათა და სულ ბოლოს, 17 წელს დაბადებული არჩილი. დათამაც იმ წელს დაამთავრა საინჟინრო, მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, ჩელიაბინსკში გაანაწილეს, და, ცხადია, წავიდა კიდეც და იქ იყო. მინიმუმ სამი წელი უნდა ემუშავა იქ და მხოლოდ მერე შეეძლო დაბრუნება. არჩილი რომ დაეპატიმრეს, ქეთევანი მთელი ოთხი თვის განმავლობაში, სანამ ამანათებს, ანუ „პერედაჩებს“ ღებულობდნენ და სანამ ეტყოდნენ გადაასახლეს „ბეზ პრავა პერეპისკიო“, და ეს დახვრეტას ნიშნავდა ... თუმცა მაშინ ამის შესახებ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, — ყოველ შაბათს, ღამის მატარებელს მიჰყვებოდა თბილისში, ხელში არჩილისთვის გადასაცემი მძიმე ფუთით, დილით ადრე ჩადიოდა, მაშინვე ჯდებოდა ორთაჭალისკენ მიმავალ ტრამვაიში და მერე მთელი დღე ციხის წინ, უზარმაზარ რიგში იდგა. თუ შეატყობდა, რიგი არ მოუწევს, ყველას სთხოვდა, რომ საგანგებოდ იყო ჩამოსული, აუცილებლად უნდა გაჰყოლოდა უკანვე ღამის მატარებელს და გაეშვათ წინ. დაღლილ-დაწყვეტილი, კვირა ღამესვე გამობრუნდებოდა, ცხადია, ხმელი ვაგონით, რადგან ამდენი წასვლა-მოსვლა და „პერედაჩები“ მეტ საშუალებას არ იძლეოდა, დილით დაბრუნდებოდა თელავში, შეციებული, ამოვიდოდა „ლინეიკით“ ქალაქში და სახლში მისვლას თუ ვერ მოასწრებდა, პირდაპირ სკოლისკენ გასწევდა გაკვეთილების ჩასატარებლად. და მაინც, მის გაკვეთილებს წუნს ვერავინ დასდებდა. ქეთევანის დედა კი, დეიდა ნატო, სულ თბილების ქსოვასა და კერვაში იყო, თუ დათასათვის ჩელიაბინსკში გასაგ-

ზავნად და თუ არჩილისათვის ვითომ საციმბიროდ."

„ვაიი... დაიძახა უცებ ეთერიმ, „შეხედეთ, ბერდო მორბის თოკითა და ნიჩბებით!"

„ხო ვამბობდი!" მოგვაძახა შორიდანვე ბერდომ, „რამოდენა ვაჯანჯღარე და ძლივს ჩავაგდე გულისხმაში, გინდ მომკალით, ხელ-ფეხი მაქვს დადამბლავებულიო, არ ვიცი რა დამალევინეს, მთლად მოვწყდიო... ბიჭებიც სუ მიიფანტ-მოიფანტნენო, გალეშილებიო... დღესაო სამი მკვდარი დავმარხეთო... რა უნდა მეთქვა, რაა, ერთი მაგარი გავულაწუნე და გამოვიქეცი."

„მერე რა უნდა ვქნათ!" ნამდვილად სასოწარკვეთით შევძახეთ მე და ეთერიმ.

„ვერაფერსაც ვერ ვიზამთ!" ბერდომ თოკი და ორი ნიჩაბი მიწაყრილთან დაყარა, „იმიტომ რომ, ყველა სიკეთესთან ერთად, მეორე თოკი და ერთი ნიჩაბი მესამე მკვდართან დარჩენია. სად იყო ის მესამე, სად დაასაფლავეთ-მეთქი და ხელს იშვერდა ტყისკენ. მერე რა რჩევა მომცა იმ ვირმა იმან, დატოვეთ და ხვალ დილით მე დავასაფლავებო, ეტყობა მაგ უნამუსოს იმედი ჰქონდა, რომ ჩვენ ასე უპატრონოდ დავტოვებთ მაგის იმედად! ხომ იცით, კუბოებზე რა ამბავია, ალბათ იფიქრა, გავყიდი და ხელს მოვითბობო, წარმოგიდგენიათ? რა დრო დადგა! არ მეგონა, არა, თუ ასეთი ადვილად ფუჭებადი იყო ადამიანი!" „მაშ რა ვქნათ, კაცო, რა ვქნათ!" ერთხმად შევძახეთ მე და ეთერიმ, ბ-ნი ირაკლი კი სულ თავის ქნევაში იყო.

„რა უნდა ვქნათ!" დაიძახა ბერდომ ბრაზიანად, „უნდა თავში ქვა ვიხალო, წავიდე იმ ვირის ხელის მიმართულებით და მოვძებნო თოკი და ნიჩაბი!"

"ჩვენც ხომ არ წამოვსულიყავით..." წამოიკნავლა ეთერიმ.

ბერდოს გულიანად გაეცინა, რაც მართალია, მართალი, კარგი ვინმე იყო. შესანიშნავი ტექნოლოგი, საკონსერვო ქარხანა დაუშალეს, გაუძარცვეს, იძულებით „დრანდულეტზე" გადასვეს, მაინც სითბოთი და ზრუნვით იყო სავსე და ხალისსაც არასდროს ჰკარგავდა. აკი სანამ მუშაობდა, ქ-ნ ქეთევანს, და არა მარტო მას, ვარდის მურაბასა და უგემრიელეს ატმის კონფიტიურს მიართმევდა ხოლმე. ახლაც უცებ მოლბა: „რას ამბობთ, ჩემო გოგოებო, რასა, თქვენ აი, ბ-ნ ირაკლის მიმიხედეთო," და გაიქცა. „კი მაგრამ," თქვა დაბნეულად ეთერიმ, „მერე, ესეიგი,

ჩვენ უნდა დავასაფლაოთ? ... ვერ წარმომიდგენია, ჩვენ როგორ შევძლებთ...“

მეც ერთი თალია კინაღამ უიმედობაში ჩავვარდი, მაგრამ ჩემი საყვარელი ოლა მამიდა გამახსენდა, ვინც შესანიშნავი აფორიზმი დამიტოვა: „შვილო, გენაცვალოს მამიდა, საქმე გასწავლისო“ და ჩვენ ხშირად ვიმეორებდით ამ აფორიზმს. „ეთერი“, შევძახე მე მაშინვე, „შენც ხომ გახსოვს ოლა მამიდას აფორიზმი?“ „რა თქმა უნდა, მახსოვს.“ „ჰოდა, მოდი ახლა ბ-მა ირაკლიმ დაგვიმთავროს ქ-ნი ქეთევანის გაცრუებული საქმროს ამბავი, არა, ბ-ნო ირაკლი? და ბერდომ თუ იპოვა მეორე თოკი და ნიჩაბი, საქმე გვასწავლის, როგორ მოვიქცეთ.“

„ჩემი ქეთევანი...“ ამოიკვნესა ბ-მა ირაკლიმ, „არ ეყოფოდა, რაც გადაიტანა, რომ მისი დასაფლავებაც ასე გაჯანჯლებულიყო...“

„გთხოვთ, ბ-ნო ირაკლი, შეუდექით თქვენს წმინდა საქმეს და სიტყვა გაგახალისებთ“, მოვუწოდე მე, რაზეც ბ-ნი ირაკლი თავის დაკანტურებით დამეთანხმა და შეწყვეტილი ამბავი განაგრძო: „ჰოდა, საქმროზე რომ გეუბნებოდით წელან, კარგი ყმანვილი იყო-მეთქი, როგორც თავადაზნაურობის წარმომადგენელი უმაღლეს სასწავლებელში არ მიიღეს, ურჩიეს ან ჯარი გიშველის, ან შინსახკომში მუშაობაო. რა თქმა უნდა, ჯარში წასვლა არჩია მთელი სამი წლით და მერეღა შესძლო სამედიცინოზე შესვლა, მანაც 37 წელს დაამთავრა და როგორც ჩანს, ძალიან იყო შეშინებული, ხელი არ ეტაცათ, მაშინ ხომ არ გაიგებოდა ვის იჭერენ და ვის არა. და გადაწყვიტა გარიდებოდა აქაურობას ქეთევანთან ერთად. იმ დროს იყო ასეთი რამ, მოხალისეებად მიდიოდნენ სამუშაოდ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში. ადგა და ქეთევანთან შეუთანხმებლად, ვითომ სიურპრიზს მოვუწყობო, გააფორმა მონღოლეთში სამუშაოდ წასვლა და გაბრწყინებული გამოეცხადა ქეთევანს, ასე და ასეო, წავალთო, გავერიდებით აქაურობასო, როგორც იქნება, ახდება ჩემი ოცნებაო, ჩვენი ერთად ყოფნისო, გახსოვს, უნივერსიტეტიდან ექსპედიაციაში რომ წაგიყვანეს შუა აზიაშიო და შენ აღფროვანებული იყავი ყარა-ყუმის უდაბნოთიო. სწორედ გაზაფხულზე იყავით და ამბობდი: საოცარი სანახავია აყვავებული უდაბნოვო, და აქლემები, ღმერთო ჩემო, რა მშვენივრები

არიანო, ჰოდა, მე ვოცნებობ შენ გობის უდაბნო გაჩვენოვო, ეს ხომ სწორედ იქ არისო, აქლემზე შეგსვა და სულ რწევა-რწევით შემოგატარო იქაურობაო... და რაც მეტად იტაცებდა მომავალი ბედნიერი ცხოვრების დახატვა, რაც მეტად აღაფრთოვანებდა მონღოლეთში მათი განმარტოებითი და ბედნიერი ცხოვრების წარმოდგენა, მით უფრო იღუშებოდა ქეთევანი, მით უფრო ეკვრებოდა შუბლი და ეკუმებოდა ტუჩები. ასე მეგონა რაღაც ზღაპარს მიყვებაო, მეუბნებოდა მაშინ, იმ მოგონების ტრაპეზის შემდეგ, რასაც ჩემთან, ჩვენს ოჯახთან, ჩვენს უბედურებასთან არავითარი კავშირი არ შეიძლება ჰქონოდაო, განსაკუთრებით მწარედ მაცინებდა აქლემზე ჩემი აღჯდომა და რწევა-რხევით უდაბნოში რონინიო.

„და არ იცოდი, რომ ჩემი ძმა დაპატიმრებულია, არ იცოდი, რომ ქვეყანაზე ტერორი მძვინვარებს და სიტყვა სიურპრიზი რაღაც სასაცილო და ყოვლად შეუსაბამოა?“

„სწორედ იმიტომ, რომ ვიცოდი, სწორედ იმიტომ, რომ უნდა წავიდეთ აქედან, ჩვენც ხომ გვინდა ჩვენი ცხოვრება გვქონდეს, განა არა გვაქვს ამისი უფლება., არა?“ მღელვარებისგან ხმაც კი ჩაეხშო, თან ისეთი ლამაზი იყო, ისეთი მშვენიერი, — ახალი ტუჟურკა ეცვა ყავისფერი ველვეტისა, შიგნით ჩალისფერი პერანგი, — ისე იყო შემართული წასასვლელად, შეიძლება ითქვას, გასაქცევად, აღარაფერი ცუდი და უამური, აღარ უნდოდა გაეგო, აქ რომ ყოველდღიურად, ყოველწუთიერად ესმოდა, და თავის ქეთევანთან ერთად, ლაღსა და ბედნიერ ცხოვრებას მისცემოდა.

„ღმერთო ჩემო...“ აღმოხდა ქეთევანს, „შეიძლება? პატარა ძმის მიტოვება... შინსახკომის ჯურღმულში გამომწყვდეულისა? ... ყოველ კვირა შენგან... ნიშანს რომ ელის ... მე პაპიროსის ერთი ბეწო ნაგლეჯზე დავწერ ხოლმე, ჩემო ბიჭო, გამაგრდიმეთქი და წინდის შიგნიდან, ქუსლის ნაოჭში ვაწებებ... ხომ შეიძლება ერთხელ მაინც მიიღოს ... აღმოაჩინოს... აღარ მივიდე... აღარ ვიკითხო? ... იმედი მოვუსპო? ... როგორ... და დედაც, ამ მდგომარეობაში უნუგეშოდ დავტოვო? რა ვქნა, რაა... ჩვენ... მძიმე ბედის ხალხი ვართ...“

ბიძინამ იფეთქა თურმე, ჩემს მიმართ არა გაქვს არავითარი მოვალეობა? ჩემზე აღარ უნდა იფიქროვო? გადასახვეწად რომ

მივდივარ და კაციშვილი ახლობელი არავინ მეყოლებაო? შენს ძმას კიდევ ჰყავს მეორე ძმა დათა, კეთილ ინებოს, ჩამოვიდეს ჩელიაბინსკიდან და მიხედოს დედასაც და პატიმარ ძმასაცო. ქეთევანსა და დეიდა ნატოს კი უხაროდათ, რომ დათა შორს იყო, ჩამოსვლა არასგზით არ შეეძლო და ეს სწორედ გადარჩენისა და უშიშრად ყოფნის გარანტიად მიაჩნდათ.

თურმე ბევრი იფიქრეს და ივალელეს, ბიძინას საცოლის საქციელი თავის ღალატად მიაჩნდა, საქმროს მიმართ უყურადღებობად, უპასუხისმგებლობად. ქეთევანს კი, ერთგულებისა და უბედურების ტყვეობაში მოქცეულს, უმალ სიკვდილი ერჩია, თუ ყოველკვირა არ იქნებოდა ორთაჭალის ციხესთან „პერედაჩის გადასაცემად", თავის პატარა ძმის სიახლოვეს, რომელიც რატომღაც სულ უმწეო წარმოედგინა,... და მერე გასავათებული არ დაბრუნდებოდა თელავში, თავის მეორე ოჯახში, სკოლაში, ბავშვებთან... ბოლოს ბიძინამ ასეთი რამ შესთავაზა თურმე: „კარგი, მაშინ ასე მოვილაპარაკოთო, მე ზუსტად დროზე უნდა ვიყო, ჩემთვის გაცდენა შეუძლებელია, და როცა გამოირკვევა არჩილის ამბავი, ან ასე, ან ისე, და შენ განთავისუფლდები ამ საშინელი კირთებისაგან, მაშინ წამოდი ჩემთანო. შევთანხმდებით სად დაგხვდე, ახალდაქორწინებულებს, როგორც ვიცი, შვებულებაც ეკუთვნით და შენ სადაც მოინდომებ, იქ გავატაროთ ჩვენი თაფლის თვეო."

თურმე აღარაფერი უთხრა, მაგრამ ამ „თაფლმაც" ისე გააღიზიანა, თავი ჩაღუნა და ჩუმად ჩაილაპარაკა: ვეცდებიო, თან დაამატა: **славны бубны за горами-ო**, მაგრამ არც ეცადა და არც წავიდა. ოთხი თვის მერე ორთაჭალაში აღარაფერი არ მიიღეს, გადაასახლესო. და მხოლოდ ოცი წლის შემდეგ გამოირკვა, რომ დახვრიტეს. ყველას სწყდებოდა გული ქეთევანისა და ბიძინას დაშორებაზე, ძალიან შვენოდნენ ერთმანეთსო, მაგრამ ქეთევანმა ასე ინება და მე დარწმუნებული ვარ, არჩილის შემდეგ უკვე თავისი მოწოდების გამო. ქეთევანისათვის ხომ კლასი და ბავშვები ყველაფერი იყო, სცენაც, კათედრაც და ასპარეზიც. მას არ შეეძლო ბავშვების სმენისა და ჟრიამულის გარეშე, სწავლების გარეშე. რა უნდა ეკეთებინა იმ მონღოლეთში, იქ ხომ ის თავის მოწოდებას იქნებოდა მოწყვეტილი, მისთვის ხომ არსებობას აზრი დაეკარგებოდა, განა ასე არ ფიქრობთ თქვენც,

ჩემო გოგოებო? მხოლოდ რაც შეეხება ოჯახურ ბედნიერებას, მერეც მას, ასე ვთქვათ, ბევრი მთხოვნელი ჰყავდა, ვის აღარ მოსწონდა, მაგრამ ერთი ის, რომ თვითონ სულ აღარ მიესწრაფოდა დაოჯახებას, და თანაც, ქეთევანის დედას საშინელი რამ დაემართა: სისუფთავის მონობაზე თქვენ უკვე იცით და მეორე უარესი საშინელება იყო ის, რომ ნამდვილი დამსმენომანია და შპიონომანია დაემართა. ძირითადად ლამის ყველა დამსმენი ეგონა. ჩემი შვილი მეგობარმა დაასმინა და სხვა რაღას იზამსო. ქეთევანის ყოველ მთხოვნელზე გადაჭრით ამბობდა: სწორედაც ვატყობ, რომ დამსმენი იქნებაო. შენ თუ არ დაგიშლია, გაჰყევი, მაგრამ ეგ ჩემს სახლში ფეხს ვერ შემოაწაწანებსო, და კინაღამ ბიძინაზეც ეჭვი ეპარებოდა.

„მე რა მაინტერესებს, ბ-ნო ირაკლი, მერე აღარასოდეს აღარ უნახავთ ერთმანეთი ქეთევანსა და ბიძინას?“ ვიკითხე მე.

„აგერ, უყურეთ, ბერდო მორბის, ... რაც შეეხება მათ შემდგომ უნაყოფო ნახვას, მე მგონი, სულ აღარ არის საინტერესო, უნახავთ ერთმანეთი 7 წლის შემდეგ, ომის შემდეგ, მაშინ ბიძინა გერმანიაში იყო, ჩვენს ჯარში ექიმად და ეხლა იქ სთხოვდა წასვლას, მაგრამ მათ ერთად ყოფნა არ ეწერათ. როგორც ჩანს, ქეთევანი თელავში უნდა მჯდარიყო და აქედან დამტკბარიყო პლანეტის მშვენიერებით.“

ბერდო მართლაც მოგელდა თოკითა და ერთი ნიჩბით: „აბა, გოგოებო, მოემზადეთ, ეხლა იწყება თავდავიწყება.“

ბ-მა ირაკლიმ აბების ფირფიტა ამოიღო, ერთი აბი კიდევ ჩაიდო პირში. „ბ-ნო ირაკლი, მე თქვენ გულს ვერ დაგწყვეტავთ.“ თქვა ბერდომ. კუბოს სახურავი გადმოაცურა, და ქ-ნ ქეთევანს სახეზე სუდარაც ახადა. „გთხოვთ ჩასვენების წინ, სიტყვა რომ გნებავდათ, გამოსათხოვარი, ბრძანოთ.“

ბ-ნი ირაკლი წამოდგა, პალტო ჩამოიბერტყა, ბერეტი მოიხადა, მარმარილოს სვეტს მიეყრდნო, რატომღაც ხელთათმანებიც გაიხადა, ჯიბეში ჩაიწყო და ხელები მოიფშვნიტა, მზერა მიაპყრო მიცვალებულის დალეულ სახეს და მკაფიო, მჟღერი ხმით, გეგონებათ ზღვა ხალხი უსმენსო, ისე დაიწყო: „ჩემო ქეთევან, საბოლოოდ დაინრიტა თქვენი საუკეთესო ოჯახი, გაქრა განაგისი თელავის ძირძველ მოსახლეთა, შვინდის ჯოხით გამოიჯარა თქვენი სახლის კარი. მაგრამ ყველა გრიგალისა და

მეხთატეხის მიუხედავად, შენ მაინც გერგო შენი ნილი ბედნიერება, საუკეთესო პედაგოგის ჭეშმარიტი ბედნიერება, რადგან შენ ძალგიძდა სიყვარული ჩაგენერგა ბავშვებისათვის, მთელი პლანეტის მშვენიერება და სიყვარული, და აი, შედეგიც: დღეს შენი მადლიერი მოწაფეები მოგაყრიან მიწას. მშვიდობით ქეთევან, მე ყოველთვის ვამაყობდი შენით." ბ-მა ირაკლიმ ბერეტი დაიხურა და მორცხვად გადმოგვხედა: „მაგრაამ მე ვინ მომაყრის მშობლიურ მიწას, საკითხავი აი, ეს არის..." და ბებრულად ჩაიქირქლა. „ოოჰ, ბ-ნო ირაკლი, აბა, მალხაზი ზევიდან დაგტოვებთ? მაშინ თქვენი შვილიშვილებიც დიდები იქნებიან, ისე გამოგაფრიალებენ, თქვენი მოწონებული." იხუმრა ბერდომ, და მაშინვე მოგვიწოდა: აბა, ეხლა საქმეს შევუდგეთო, კუბოს სახურავი დახურა და დააჭედა, სასწრაფოდ დაშალა თავისი თოკის ხვეული და თავთან კუბოს ქვევიდან ამოუტარა. მე და ეთერის ჩვენი თოკი გვეჭირა, თან დაკვირვებით ვუყურებდით ბერდოს. და უცებ მივხვდი, რომ სჯობდა თოკი ჯერ ერთ სახელურზე ამოგვედო, ზევიდან გადაგვეტარებინა, მერე მეორე სახელურს მოვდებდით და ასე უფრო არ გაგვიჭირდებოდა ჩასვენების შემდეგ თოკის სამარიდან ამოღება.

„უყურე შენ!" გადმომხედა ბერდომ, „მართალი ხარ და საიდან მიხვდი?"

„აბა რა გგონია, მე, გენაცვალე, ოლა მამიდას აფორიზმით ვარ შეიარაღებული, და აგერ, ჩემი ოლა მამიდაც აქვეა დასაფლავებული."

ბ-ნი ირაკლი ბერდოს თოკის ერთ ბოლოს წაეტანა, მერე მტკიცედ ჩაბღუჯა: „ჩემი ცოცხალი თავით არ დავუშვებ, რომ მეც არ ჩავასვენო ჩემი მეგობარი. აი, ახლა ისეთი წამალი დავლიე, ძალიან კარგად შევძლებ... მიწის მიყრისა რა მოგახსენოთ და თოკს ხელიდან ვერ გამაგდებინებთ!"

მე მიწაყრილისკენ დავდექი, ეთერი კი, როგორც წერწეტა, მეორე მხარეს, აქეთ-იქიდან ჩავჭიდეთ თოკს მაგრად ხელი და კუბოს ჩაშვება დავიწყეთ... ეთერი მტკიცედ იდგა თავის ნეროს ფეხებზე, ძვრა არ ჰქონდა, მე ცოტა შევინძერი, მაგრამ მეც გავიმაგრე თავი, კუბო ნელ-ნელა ეშვებოდა... და რა საოცარია, როგორც წელან, სწორედ ამ დაჭიმულობის დროს, ცოცხლად დავინახე მოხუცი ქეთევანი როგორ ანთებს ცეცხლს და ვერ

აუნთია, სცივა... სცივა... გული უჟრიალებს... წვალობს... ცდილობს აანთოს, ცხელ ჩაის დალევდა, სათბურშიც ჩაასხამდა ცხელ წყალს, იქნებ ჩაიყუჩებდა გულს. აკანკალებული ხელებით წკიმლებს ალაგებს, ნაფოტებიც შემოუწყო... ნავთი... სად არის ნავთი... ასანთს გაჰკრავს... წკიმლები აალდება და იქვე ქრება... ბოლო დროს ბავშვების ჟრიამული ესმოდა ხოლმე... ეხლა კი სიჩუმეა... სიჩუმე... თვალები დახუჭა... და მერე აღარაფერი გაუგია...

„მადლობა ღმერთს!" ბერდომ პირჯვარი გადაიწერა, „როგორა ხართ, ბ-ნო ირაკლი?"

„არა მიშავს, არა მიშავს." ღრმად ამოისუნთქა და მარმარილოს სვეტს მიეყრდნო.

ჩვენ ჯერ მუჭით მივაყარეთ მიწა, მერე კი ნიჩბები ავიღეთ, და ნამდვილად გაგვეხსნა მეორე სუნთქვა, ისე ვიქნევდით ნიჩბებს, თითქოს უსიტყვო შეჯიბრი გამოგვეცხადებინოს ერთმანეთისათვის. მე და ეთერის არ გვინდოდა ბერდოს ჩამოვრჩენოდით, და სულ მალე სამარე ამოვავსეთ კიდეც, და ბორცვიც ავამაღლეთ. ეთერიმ გეორგინების თაიგული გახსნა და ზევიდან თითო-თითო ლამაზად მოფინა. და მე არ ვიცი, როდის მიგრძვნია საფლავის ბორცვის დანახვაზე ასეთი შვება, როგორიც მაშინ ვიგრძენი, ერთი წუთით რომ შევჩერდით დ მდუმარედ დავყურებდით ქ-ნი ქეთევანის საფლავს.

# „ერთსა კაცსა ბლისკინელსა“

სახლში სიბნელე და სიცივე დახვდა... და სიჩუმე... „სამარისებურიო“, — გაიფიქრა, „ალბათ, საბოლოოდ დაიდეს ბინა სიჩუმემ, სიცივემა და სიბნელემო...“ და თუმცა სხვას არც არაფერს მოელოდა, თუმცა აღდგომის შემდეგ ზიზი ველარ ჩამოვიდა, შეიძლება ითქვას, აქეთ აღარ გამოუხედავს, ზაფხულიც მოსკოვთან, რეზოს აგარაკზე გაატარეს, მაგრამ იგულისხმებოდა, რომ დღეს არა, ხვალ, ან როცა იქნებოდა, როგორც ლიზიკო ამბობდა, როცა გადაივლიდა ეს „наваждение“, ჩამოვიდოდა და კვლავ ჩონგურს სიმებს გაუბავდნენ, — თურმე ვარაუდობდნენ ამაოდ, გუშინდელმა შეხლა-შემოხლამ, კარების გამოჯახუნებამ და საბოლოო გადაწყვეტილებამ, ზიზისკენ აღარ მიეხედა და თბილისისკენ პირი არ ექნა, ახლა „ამ ბნელი ღამით“ სახლში მობრუნებულს, ეს უტყვი კედლებიც, ეს გაუვალი სიჩუმეც განშორების მაცნედ და დასტურად მოეჩვენა.

„ნუუ ირაკლი, ნუუ, შენი ჭირიმე...“ ეველდრებოდა ქ-ნი ელენე.

„დედა! დედა! შენი ქომაგობა არ ჭირდება, არა, გესმიის!? ყვიროდა ზიზი.

„მე ბოლოს მომიღებს ეს გაუგონარი ამბავი...“ და ქ-ნი ელენე გულზე იკრავდა მომუშტულ მტევნებს, თითქოს ტახიკარდია უნდა შეაჩეროსო.

„ასე აჯობებს... ყველასთვის ასე აჯობებს...“ აშოშმინებდა ირაკლი, მხარზე ხელს ხვევდა, ცდილობდა დაერწმუნებინა: „ხომ არ შეიძლება ამ შეჯახებებს შევეწიროთ!“ მერე კი თავქუდმოგლეჯილი გამორბოდა, რომ თელავის ავტობუსისთვის მიესწრო.

შეურაცხყოფის, ბრაზისა და სასოწარკვეთის მიუხედავად ეცოდებოდა ქ-ნი ელენე, თანაუგრძნობდა, ყოველთვის კარგი დამოკიდებულება ჰქონდა თავის სიდედრთან, ამ ათი წლის მანძლზე კი, დედის სიკვდილის შემდეგ, განსაკუთრებით შეეთვისა, დედას აგონებდა ზრუნვითა და მოფერებით, ირაკლის დედას, მაიკოს, რომელსაც ყოველთვის ისე ახარებდა მათი ჩამოსვლა, ისე მოუთმენლად ელოდა; არადა ერთ შაბათ-კვირას რომ ირაკლი მიდიოდა თბილისში საყვარელ ცოლთან, მეორე კვირას ისინი ჩამოდიოდნენ, ხოლო არდადეგებისა და დღესასწაულე-

ბის დროს ხომ სულ თელავში იყვნენ, — მაიკო განსაკუთრებით ემზადებოდა ხოლმე, იცოდა ელენე დეტექტივებისთვის გიჟდებოდა და წინა დღეებშივე წავიდოდა წიგნებით გამოტენილ დიდ სახელგამში და აუცილებლდა მოიძიებდა ახალგამოცემულ დეტექტივებს, სიმენონისა იქნებოდა, აგატა კრისტის და თუ სხვა უცნობი ავტორებისა. „ჩემო მაიკო," ეტყოდა ელენე, „შენ რომ მასპინძლობა იცი, ტყუილია, რომელი ერთი ვთქვა, ნაირნაირი სასუსნავები, თუ ეს ნაირნაირი დეტექტივები. ბედი ჰქონია ჩემს ზიზის, ბედი, ირაკლის აღარ ვამბობ, შენისთანა დედამთილი რომ შეახვედრა ღმერთმა."

„ჩემს შვილსაც ჰქონია ბედი, ჩემო ელენე," ეტყოდა მაიკოც და ირაკლის და ზიზის შემხედვარეს გული სიამით ევსებოდა, რა ბედნიერებაა, რომ ასე უყვართ ერთმანეთიო, ამდენი წლების მანძილზე ასე შეინარჩუნეს მღელვარება და სინაზე ერთმანეთის მიმართო. „ჩვენი ცხოვრების წესია, დეიდა მაიკო, საფუძველი ჩვენი ურღვევი ბედნიერებისო". — ეუბნებოდა ხოლმე ზიზი სიცილით თავის დედამთილს და გულისხმობდა იმას, რომ მათ თავიდანვე ასე არჩიეს, ირაკლი თელავში დარჩენილიყო, სადაც სკოლასა და ინსტიტუტში ისტორიას ასწავლიდა, ზიზი კი, პროფესიით ფილოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, და ცხრილი გაენაწილებინათ ისე, რომ კვირის ბოლო ორივეს თავისუფალი ჰქონოდა. მაიკოს კიდევ რა ახარებდა და მალხაზიც ასე რომ შეეთვისა ზიზის, ნამდვილი დედასავით, ... პირველად კი, ირაკლიმ რომ ჩამოიყვანა თელავში, მალხაზი შვიდი წლის იყო მაშინ და როგორ ეჭვიანობდა, გამოიკრავდა კოპებს, გამობუშტავდა ტუჩებს და განზე გადგებოდა, აკი ბებიასაც შესტირა: რა კარგად ვიყავით, ბები, ჩვენ სამნი, რად უნდოდა მამას, რადა, ამ ზიზის ჩამოყვანაო, ალბათ, მე აღარ ვუყვარვარ და იმიტომო. არა, გენაცვალოს ბებია, ამშვიდებდა მაიკო, აი, ნახავ, თუ უკეთესად არ ვიქნებითო. და მართლაც, სულ მალე, როგორ შეუყვარდა მალხაზსაც, როგორ ელოდა ხოლმე ზიზის ჩამოსვლას: ჩამოვა და ტყეში წავალთო, ჩამოვა და კარგ წიგნებს ჩამომიტანსო, ჩამოვა და ინგლისურს მამეცადინებსო, ბეზეიან ტორტს გააკეთებსო, ნაძვის ხეს ერთად მოვრთავთ, ერთად ვითამაშებთ კიდეც და რა მხიარულად ვიქნებითო... ქ-ნ ელენესაც გამზრდელ ბებიაში ლამის აღარ არჩევდა. დიდი ზრუნვაც

გამოიჩინეს, განსაკუთრებით მალხაზის სტუდენტობის დროს, მართლა შვილივითა და შვილიშვილივით უვლიდნენ, არც არსად გაუშვეს თავისგან, არც საერთო საცხოვრებელში და არც ღვიძლ ბიძასთან, დედისძმასთან, როდამის, ირაკლის პირველი ცოლის ალალ ძმასთან. მერე ასპირანტურაშიც რომ სწავლობდა, მოსკოვში, იქაც ზიზის ძმასთან, როგორც ნამდვილ ბიძასთან, მოსიყვარულე და მზრუნველ ბიძასთან, ისე ცხოვრობდა. ზიზის ძმა რევაზი ბიოლოგი იყო, გენეტიკოსი, და სწორედ იმან მისცა გზა მალხაზს, მისი მეცადინეობითა და ხელშეწყობით გაგზავნეს მალხაზი ამერიკაში, ... და აგერ ახლაც, ისე არ დარეკავს ბოსტონიდან, პირველ რიგში ზიზი და ბებო ელენე არ მოიკითხოს, მამას სული არ ჩაბეროს, რა იქნება, ჩამოხვიდეთ, რამდენი ხნითაც გინდათო, ... და განა მალხაზის ზრუნვით არ არის, თავისიანებს რომ ამაგს უფასებს, და ამ სასტიკი გაჭირვების დროს, თვითონ სამ-სამი ბავშვის პატრონი, ამათაც ხელს ატანს და ასულდგმულებს. ღმერთო, რომ იცოდეს მალხაზმა... დედა რომ წამოახედა სამარიდან... არ დაიჯერებენ, არა... ამ საშინელებას... ან როგორ უნდა დაიჯერონ! გაგიუებულხართო, რაღაც სნება შეგყრიათო... ისედაც დარდი აქვს მალხაზს აქაურობის და უთხრას და დარდზე დარდი მოუმატოს? და სიყმაწვილიდან აკვიატებული კითხვა რატომ? რატომ? რატომ? სიბერემდე მოჰყვა და ახლაც, დარდითა და ბალღამით სავსე, ისევ ამ კითხვას იმეორებდა. რატომ ასეთი დაბნელება ტვინისა, გადაბრუნება გუნებისა! რატომ ასე აცრუება გულისა? ამდენი ხნის ერთობის შემდეგო...

ვეღარ, ვეღარ, ვეღარასდროს ზიზის იმ ამობნელებულ, სასტიკსა და გაბოროტებულ მზერას, ასპიტის გამყინავ მზერას, სულ ცოტა ხნის წინაც, უსაყვარლესი ქმრის, ახლა კი მტრად დასახული ქმრის დანახვა ვეღარ გააქარწყლებს და ვეღარ გაანათებს. რა ზუსტია ფრანგული ანდაზა, სიავე სილამაზის მტერიაო. რა სილამაზე, რის სილამაზე, ავად მოქცეული სახე და ასავსავებული, გაფარჩხული ხელები! ნამდვილად ქოქოლას აყრიდა! „დოცენტი ქალი“, ... მთელი სიცოცხლე რომ ეგონა, ულამაზესი თვალები ჰქონდა... და მთლიანადაც, თავით ფეხებამდე... ღმერთო, ეს რა ნახა, ეს რა განიცადა... შემზარავი თვალები... ლამის ამოუხტა ბუდეებიდან... და წყევლა... წყევლა...

ვერასდროს რომ ვერ წარმოიდგენდა, თუ ასეთი წყევლა შეეძ-ლო... გაშრა და გაშეშდა, სუნთქვა შეეკრა, გული მჩვარივით გაუხდა, თითქოს ერთი წუთიც და გაჭრიდა წყევლის ნესტარი... ვალიდოლი უნდოდა ამოეღო პიჟამის ჯიბიდან და გადასძლია თავს, არავითარი სურვილი არ ჰქონდა ყურადღების ნასახი გამოეჩინათ... არავითარი... თავისი ფანციფუნცების მოკრეფა დაიწყო და ჩანთაში ჩალაგება. ქ-ნი ელენე ხელებში ეტანებოდა, მე შემინდე, მე შემინდეო, ემუდარებოდა. ზიზი კი კარებების ჯახუნით გადი-გამოდიოდა აბაზანასა და საწოლ ოთახს შუა და ატკიებულ თეძოზე ხელს იბჯენდა. არც შეცოდებია, ირბინოს, ირბინოს ასე თავაღერილმა, მოუხდებაო, ბოლმიანად გაიფიქრა ირაკლიმ. მაგრამ ზიზისაც სიტყვა არ დასცდენია, დედამ რომ უთხრა ირაკლისთვის მანქანა წაურთმევიათო, ისე იყო გამეხებული წყევლა-კრულვით, იქნებ ხეირიანად ვერც გაიგო და ეგონა, ჩვეულებრივ, თავისი მანქანით უნდა გაბრუნებულიყო უკან. ოდესღაც ბავშვობაში გაგონილი სიტყვები ამოუტივტივდა, გაგანია კოლექტივიზაციის დროს, სოფლის ორღობეში, ჩამორთმეულ ხარ-ძროხას სახრით მოერეკებოდა კომკავშირელი ბიჭი და გააფთრებულ პატრონებს მხარუკულამა მოსძახოდა: „წყევლა მაწყევარსა, წყევლა მაწყევარსა..." ესე იგი წყევლის გამანეიტრალებელ ფორმულას მოსძახოდა. გაახსენდა ირაკლის და ცალყბად გაეცინა. თურმე ჩაპრესილია ადამიანში ყველაფერი... ცივილიზაციის საწყისებიდან მოყოლებული, პირველყოფილი ცრუ რწმენებიდან, პირველყოფილი რელიგიებიდან მოყოლებული, და კაცმა არ იცის, რა კატაკლიზმები, რა რყევები და მიწისძვრები გაარღვევს ნაპრალებს, ამოაფრქვევს საუკუნეების წინ ჩაქვესკნელებულ სიტყვებს... ასე ეგონა, შიგ გულში გაუყარეს შხამიანი ნესტარი, მონამლეს და საძრაობა დაუკარგეს...

რაც თავისუფლების ტალღა აგორდა, თუმცა თავიდან ორივე ერთნაირად იყო მოცული თავდატეხილი კატაკლიზმებით, სულ მალე ზიზიმ ისე იფეთქა, ისე აღელდა და სიამაყით აივსო, რაღაც უცნაური ამპარტავნებაც კი დაეუფლა, ერთი-ორჯერ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერ მიტინგზე სიტყვითაც გამოვიდა და ტრიბუნიდან გადმოიძახა, რომ „ახლა შინ ჯდომა და გულხელის დაკრეფა ღალატის ტოლფასია", და აღინთო

სურვილით თავისი საყვარელი ქმარიც აქტიური მომიტინგე და ტრიბუნი გაეხადა. „მე ხომ მომისმენია, იკაკუნა, შენი საჯარო ლექციები თელავში, და უფლება არა გაქვს, ჩემო ძვირფასო, აქაც არ დაიმკვიდრო ის სახელი, რასაც იმსახურებ და რისი ღირსიც ხარ.“ ირაკლი კი, თუმც თელავიდან ჩამოსვლისას, ამოუდგებოდა ხოლმე ზიზის მხარში და დაჰყვებოდა მიტინგებზე, აკი ხუმრობით დოლორეს იბარურსაც ეძახდა თავის ცოლს, ეს ვინ მყოლიხარ თურმე და არ ვიცოდიო, მაინც ეჭვებით იყო მოცული, რა იქნება და როგორ განვითარდება მოვლენებიო, ხოლო რაც შეეხება მიტინგებზე სიტყვით გამოსვლას, არც სურდა და ვერც წარმოედგინა. „რა მახსენდება, იცი? ბლოკს, პეეტრბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს, ამხანაგებმა ლამის ბოიკოტი გამოუცხადეს იმის გამო, რომ ყველა მიტინგზე წავიდა და მხოლოდ ის დარჩა აუდიტორიაში. ბოლოს კი ისე გამოვიდა, რომ ბლოკი იყო მაშინ მართალი, და სულ არ იყო საჭირო იმ მიტინგებზე სიარული, რამდენი სისხლი დაიღვარა... და იმ მიტინგებმა შეცვალეს ქვეყნის ისტორია...“

„არ გამაგიჟო, ირაკლი, რა შუაშია ახლა სისხლი! ეს ყოვლად მშვიდობიანი მიტინგებია...“

ირაკლი მოიღრუბლა: „სამწუხაროდ, სისხლი ყოველთვის შუაშია... და მე არ მინდა ერთი ახალგაზრდის სისხლიც კი დაიღვაროს...“

9 აპრილის შემდეგ კი ირაკლი კრიტიკულად განეწყო ნაციონალისტური, ურაპატრიოტული ორიენტაციის მომხრე ლიდერთა მიმართ, და მათი ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, თავისდა სამწუხაროდ, ირაკლი და ზიზი დაპირისპირებულთა შორის აღმოჩნდნენ, სხვადასხვა ნაპირებზე და თავთავიანთი ნაპირებიდან ყველაფერს სხვადასხვანაირად ხედავდნენ და სხვადასხვანაირად აფასებდნენ.

თანდათან მათი ურთიერთობა ჯერ კამათად, მერე კინკლაობად, ჩხუბად, და ბოლოს კი საშინელ შერკინებადაც კი იქცა. ირაკლის თბილისში წამოსვლა აღარ ახალისებდა, იშვიათადაც მოდიოდა. ზიზიც, რომელიც პრეზიდენტის, ხოლო შემდეგ ექსპრეზიდენტის თავგადაკლული მხარდამჭერი გახდა, უმალ სამუშაოს თავს გაანებებდა, ვიდრე მიტინგებს, შეკრებებს, მსვლელობებს უღალატებდა. და უნდა ითქვას, აღარც დრო ჰქონ-

და, აღარც სურვილი თელავისკენ პირი ექნა.

იმჯერადაც ირაკლის ფეხი უკან უდგებოდა, თითქოს გრძნობდა რა სკანდალური, წყევლა-კრულვიანი აპოთეოზით უნდა დამთავრებულიყო მათი შეხვედრა. მაგრამ წინა დღეებში ზიზიმ დაურეკა: „არ ფიქრობ, რომ ასეთი ძნელბედობის დროს ცოლქმარი ერთად უნდა იყოსო?! თანაც, ჩვენი ლექტორის რძალი ჩამოვიდა ბოსტონიდან, მალხაზს 150 დოლარი გამოუტანებიაო." ეჭვი არ ეპარებოდა, ფული რომ არა, არც დაურეკავდა. ცივი ხმა ჰქონდა. გამყინვარებაა ჩვენს შორის ჩამომდგარი და ალბათ, ვერავითარი დოლარები ვერ გაალღობს ამ ყინულსო, და შინაგანად მყისვე ყალყზე შედგა, დოლარები კი არა, „ძნელბედობა" ჩაეჭრა გულში, უნდოდა ეთქვა „გააჩნია ქვეყნის „ძნელბედობას" ვინ როგორ აფასებსო," მაგრამ ირაკლიმ თავი შეიკავა: „მანქანაა შესაკეთებელი, ვეცდები გავმართო და ჩამოვიდეო." ასე უთხრა. სტენოკარდიული შეტევის შესახებ კი, ცოტა ხნის წინ რომ დაემართა, სიტყვა არ დაუძრავს... უგუნებობა ჰქონდა მოძალებული, დიდი ხანია გული დაეხურა, აღარაფერი ახალისებდა, იმ კვირას კი, 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემამ გაუვალ უსასოობაში ჩააგდო. ეს სწორედ ის ლოდიაო, იმპერიის ნგრევიდან გადმოტყორცნილი, პირდაპირ თავში რომ მოხვდა ჩემს ქვეყანასო, ჩვენ ყველასო. ოო, როგორ გულჯავრიანად, როგორი გულისტკივილით იგონებდა ჩვენს უჭკვიანეს ფილოსოფოსს, ასე სავალალოდ დაღუპულს სამი წლის წინ, რომელიც დაუცხრომლად აფრთხილებდა თავის მსმენელებს, თავის მრავალათასიან აუდიტორიას: „ინგრევა იმპერია და ჩვენ თუ არ მოვუხმეთ ჭკუას, ჩვენ თუ არ დავადექით ძალისხმევის მძიმე გზას, საშიშია, საბედისწეროდ საშიშია! ნანგრევებში არ აღმოვჩნდეთო." მე როგორ შევედრები იმ სულმნათ ადამიანსო, ფიქრობდა ირაკლი, დარდითა და ჭმუნვით მოცული, მაგრამ სხვა სიტყვებით, ჩემებურად, განა იმასვე არ მოვუწოდებდი მიტინგების ტალღით ატაცებულ ჩემს სტუდენტებსო? იმასვე არ ვეჩიჩინებოდი ურაპატრიოტული ლოზუნგების ყვირილით გაყრუებულ ჩემს მონაფეებსო?! „დაიხსომეთ, ყმაწვილებო, თავისუფლების უღელი მონობის უღელზე მძიმეა, რადგან უდიდესი სულიერი ძალების კონცენტრაციას მოითხოვს. თავისუფლების გზა ნარეკლიანია და თუ გინდათ იაროთ თავისუფლების გზა-

ზე, არ უნდა დაიზაროთ საკუთარი ხელით ამ ნარის გლეჯა. თავისუფლება ჩვენისთანა პატარა, გზაზე გართხმული ქვეყნისთვის ათი თვალისა და ათი ყურის გამობმას ნიშნავს, ანუ წარმოუდგენელ ძალისხმევას, და თქვენ მზად უნდა იყოთ ამ ძალისხმევისათვის, თქვენ მზად უნდა იყოთ ნიადაგ ჭკუის მოხმობისათვის. ჩვენი ენის წიაღში, აბა, დააკვირდით, რამდენი რამ არის ნათქვამი ჭკუაზე: ჭკუა დაებნაო, ჭკუა დაეფანტაო, ჭკუა დაკარგაო, ჭკუა გამოეცალაო, ჭკუა დანაყაო, და მეორე მხრივ: ჭკუას მოუხმოო, ჭკუა მოიკრიბაო, ჭკუაში ჩავარდაო, ჭკუა მოემატაო, ჭკუით გაივსოო, ესე იგი, ჭკუა არ არის ისეთი რამ, რაც ერთი და ერთი უცვლელად არსებობს, შეიძლება ჩაიდო გულის ჯიბეში ტკბილი კვერივით, და როცა მოგინდება, ამოიღო და ჩაკბიჩო, მუდმივი გარჯაა საჭირო, ყმაწვილებო, თავისუფლად მოაზროვნე, „ჭკუაში ჩავარდნილ", „ჭკუამოკრებილ" ადამიანებად ჩამოყალიბდეთ, რომ ძალგიძდეთ თავისუფლების დაცვა და სამშობლოს გონივრული მსახურება."

მაგრამ რა!! იჯდა ახლა გულგასენილი თავიანთი ტირიფის ქვეშ, დარდისა და უგუნებობის დროს ამ ტირიფს შემოეფარებოდა ხოლმე, ... ოდესღაც, პატარა ბიჭობისას, მამასთან ერთად, სანერგედან მოიტანეს პაწია ნერგი ტირიფისა, რომელიც ამ წლების მანძილზე მგლოვიარე ქალივით თმაჩამოშლილ, ულამაზეს ხედ იქცა. და განსაკუთრებით უყვარდა ეს ხე, მით უმეტეს, უსამართლოდ დაღუპული მამის სახსოვრად თვლიდა, დარგვის შემდეგ მამამ გარშემო სარები ჩაუსვა, მაღალია და დაცული იყოსო, წყალი უყვარს და სანამ პატარაა, აუცილებლად უნდა მოვრწყათ, მეტადრე გვალვისასო. ფრონტიდან გამოგზავნილ, დეპეშასავით მცირესიტყვიან, სამკუთხა ბარათებშიც კი, ირაკლი აუცილებლად მოიკითხავდა, ჩვენი ტირიფი როგორ არისო. ჰოდა, იჯდა ახლა თავიანთი ტირიფის ქვეშ, გვერდით ცელოფანში გამოხვეული ცომის გუნდა დაეგდო, სახეზე ხელები აეფარებინა და ვერა და ვერ მშვიდდებოდა. იმ დღეს დილიდან ცომის რიგში იდგნენ. უშუქობის გამო პური ვეღარ ცხვებოდა და ცომს არიგებდნენ. როგორც ყოველთვის დიდი რიგი იყო. მასთან ახლოს მათი უბნელი, შინაური კაცი, შოთა ჩიტალაძე იდგა. როდამის კლასელი იყო, ამხანაგობდნენ კიდეც, მაშინაც, იმ უბედურების დროს პირველმა სწორედ შოთამ

მიირბინა მათთან და ირაკლის არასდროს ეს არ ავიწყდებოდა. ისინი ერთნაირად განიცდიდნენ ქვეყნის მდგომარეობას და ყოველთვის უზიარებდნენ ერთმანეთს ომის ამბებს. შოთა ნაკითხი და განათლებული კაცი იყო, ამავე დროს წესიერი და პატიოსანი და ირაკლის ყოველთვის სიამოვნებდა მასთან ურთიერთობა. დღეს კი დაღვრემილი მისალმების შემდეგ, შოთა განზე გადგა, პატარა ტრანზისტორი ჰქონდა წამოღებული და სულ იმას უჩხიკინებდა. ეს რიგები ყოველთვის შავი იუმორით იყო ხოლმე გახალისებული. იმ დღეს კი ყველას სახე ჩამოსტიროდა, ყველა მოქუფრული და მხერბჩამოყრილი იდგა, ხმას არავინ იღებდა, თითქოს რაღაც საშინელების მოლოდინში არიანო... მხოლოდ ახალგაზრდა ყმაწვილი, ასე თექვსმეტი წლისა, დროდადრო დაურბენდა გრძელ რიგს, გაიქცეოდა წინ და მაღაზიის შესავალთან ახლოს მდგომებს სთხოვდა: ცომი რომ მოვა, თუ შეიძლება ურიგოდ გამატარეთო,... როგორ გავბედავდი ამის თხოვნასო, მაგრამ ალავერდში მივდივარ, დღეს ხომ ალავერდობაა, ჩემი ძმაა, სოხუმში იბრძვისო. ძალიან მძიმე მდგომარეობაა, და უნდა ვილოცოთო, ალავერდის წმინდა გიორგის შეევედროთო, ჩვენები წუხელვე წავიდნენ, ... ცეცხლები ექნებათ დანთებული, ცომსაც იქ გამოვაცხობთო... მთავარია მოვიდეს ცომი და გაგატარებთ, მაშ, რას ვიზამთო, ეუბნებოდნენ. წინა რიგებიდან ვიღაცამ დაიძახა: შოთა, კაცო, რა ხდებაო?! შოთა ჩიტალაძემ ტრანზისტორი ასწია მაღლა, თითქოს ისე ვერ გაიგონებდნენ იმ საბედისწერო სიტყვებს, და თვითონვე დაუმატა: „ცუდი მაცნე ვარ ხალხნო, სოხუმი დაეცა!“

ერთბაშად ისეთმა ვაებამ მოიცვა, ბედუკულმართობის ისეთმა განცდამ, ეგონა არასდროს ასე არ გავმწარებულვარო, ... სუნთქვა შეეკრა, სული ვეღარ მოიბრუნა, მაღაზიიდან პატარა ჭიქით წყალი გამოურბენინეს... ამ დაცემამდეც სულ წუხდა, თავის გულს ასკდებოდა, დაუშვებელია ეს ომიო, შენს ძმებთანო, შენი მინაწყლის ხალხთანო... მიუხედავად იმისა, რომ პირველი სისხლი სწორედ ჩვენ კი არა, მათ დაღვარეს, ყველაფერი უნდა გვეღონა, წელებზე ფეხი დაგვედგა... გვეფიქრა... გვეფიქრა... გვეფიქრა... თავის გახეთქვამდე გვეფიქრა... და არასდიდებით! არამც და არამც! ფეხი არ ნაგვცდენოდა! არ ჩავბმულიყავითო! როგორც უნდა დაეყაჩაღებინათ მატარებლებიო, როგორც

უნდა წაეღოთ ფქვილი და სურსათიო... და აგონდებოდა ბისმარკის ანდერძი, თავის შემდგომ მესვეურებსა და თანამემამულეებს რომ უბარებდა: არავითარ შემთხვევაში რუსებთან ომი არ წამოიწყოთ და არ ანარმოოთო! და რა მართალი იყო, თუნდაც კავკასიის მაგალითზე! ახლა კი ნელმონწყვეტილი დაბრუნდა შინ, ზევითაც არ ასულა, ტირიფის ქვეშ ჩამოჯდა, ბაღის სკამზე, ცომის გუნდაც იქვე დააგდო, სახეზე ხელები აიფარა და ქვითინი ამოსკდა... ასეთი მიუსაფრობა მართლა არასდროს უგრძვნია, მალხაზი უნდოდა გვერდით ჰყოლოდა, თავისი ვაჟი, არა, ნუგეშისთვის კი არა, იმისთვის, რომ ერთად ევაგლახათ თავისი ქვეყნის უბედურება. ღვართქაფით მოაწყდა სიტყვები და სახეზე ხელებაფარებული, გულამოსკვნით სნორედ მალხაზს შესტიროდა ოკეანის გაღმა: „მალხაზ, ჩემო ბიჭო, შენ ხომ იცი, რამდენი ჭირი და უბედურება გადამხდენია, რომელი ერთი ჩამოვთვალო, 37 წლის დიდი ტერორით დაწყებული, რომელი ერთი გითხრა... მაგრამ დღეს... ალავერდობას... სოხუმი დაეცა! გესმიის, მალხაზ! დამიჯერე, ჩემო ბიჭო, შენი ქვეყნის უბედურებაზე უარესი სხვა არაფერი ყოფილა! თავზეც რომ გადაგდიოდეს ქონება და ცხოვრება, შეუძლებელია ბედნიერი და დალხენილი იყო... თუ შენი ქვეყანა ამ დღეშია... თუ შენს ქვეყანას ასე უჭირს...“ შესტიროდა და შესტიროდა თავის შვილს, და იქამდე ივაგლახა, გულმა ჩხვლეტა დაუწყო, ხალათის ჯიბიდან ვალიდოლის ფირფიტა ამოიღო და სახლში ავიდა, ნავთქურა აანთო, ჩაიდნით წყალი დადგა სათბურისთვის, ვალიდოლი ჩაიდო ენის ქვეშ და იქვე, სამზარეულოში, ვიწრო ტახტზე წამოწვა, მერე ბარემ ცომსაც დავაგდებ ტაფაზე და გამოვაცხობო. თან გულს მიუგდებდა ყურს, მიწყნარდება თუ არაო. ამერიკიდან მალახზის გამოგზავნილ გულის აბებს უფრთხილდებოდა, ვალიდოლი თუ არ უშველიდა, ჩხვლეტას არ მოუხსნიდა სათბურთან ერთად, მაშინ გაიმეტებდა ხოლმე. ამ ერთი თვის წინ კი, თბილისიდან ჩამოსვლისას, ზიზისთან შეხლა-შემოხლისა და უსიამოვნების შემდეგ ვალიდოლი და გულის აბები კი არა, პრომედოლიც კი გაუკეთა ეკამ, იცოდეთო, უთხრა, ასეთი შეტევის შემდეგ, სულ ცოტა, სამი დღე მაინც უნდა იწვეთო. ახლაც, თითქოს ფრჩხილში ჩაიხედაო, ეკა მოვიდა. არ ეგონა, თუ ამ ჩამობნელებულ გუნებაზე რაიმე ესიამოვნებოდა, არადა ეკას დანახვამ,

სამზარეულოს კარი რომ შემოაღო და „აბა, ბ-ნო ირაკლი, როგორ ხართო...“ წყნარად უთხრა და ფრთხილი ნაბიჯებით მისკენ წამოვიდა, ნამდვილად შვება და სიამე აგრძნობინა. მოსწონდა ეკა, სულ ახალგაზრდა კარდიოლოგი სასწრაფოსი, მაგრამ ისეთი დაფიქრებული და დაკვირვებული, თან ძალიან სანდომიანი, შეუძლებელია პაციენტი ნდობით არ გამსჭვალულიყო. „აი, დაგინახე, ჩემო ეკა, და სულ გამიარა ჩხვლეტამო“, უთხრა.

„აქ ვიყავით, ბ-ნო ირაკლი, თქვენს უბანში, და ვიფიქრე ერთი წუთით შევირბენ და დავხედავ-მეთქი, დღეს ისეთი დღეა და...“

„საშინელი... საშინელი... აქეთ ვისთან იყავი, მძიმე შემთხვევაა?“

„მძიმეა... ყველაფერი გავუკეთეთ, მაგრამ არ ვიცი... ისევ იქ უნდა გავბრუნდე. იცით თქვენ, შოთა ჩიტალაძე.“ „უჰ, რა კარგი კაცი, დღეს ერთად ვიდექით ცომის რიგში ჩამონყდომამდე...“ დანანებით თქვა ირაკლიმ და ეკას ნინასწარ მომზადებული სათბური მიაწოდა. ეკამ ჩაიდნიდან ცხელი წყალი ჩამოასხა, „ნავთქურა ჩავაქრო?“ „არა, არა, ბარემ ავდგები და ცომს დავდებ... განა არა; თქვა კიდეც, ვერ ვგრძნობ თავს კარგადო... მძიმე დღე გაგვითენდა, მძიმე...“ სათბური ჩაიდო გულთან და წამოინია ასადგომად. „კარგით რაა, ბ-ნო ირაკლი, ცომის დადებას რაღა უნდა!?“ თაროდან ღრმა ტაფა ჩამოიღო, ფქვილმოყრილი ცომი გადმოაგდო ცელოფნიდან, ხელი მიაშველა, მსუბუქად, თითქოს კლავიატურაზე ამოძრავებს თითებსო, გააბრტყელა და ხუფი დააფარა. ხელები დაიფერთხა და ჩანთა გახსნა, კოლოფი ამოიღო აბებისა. ირაკლიმ თვალი მიადევნა ეკას ხელების მოძრაობას, მშვენიერი ხელები ჰქონდა, მოვლილი, ფრჩხილები ვარდისფერი ლაქით დაფარული. რა მყუდროა ქალის ხელებიო, გაიფიქრა, და მაშინვე ისევ შოთაზე ჰკითხა, რა მოსვლიაო. „ელისომ გვითხრა, ცოლმა, დანა პირს არ უხსნიდაო, თან ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა თურმე, დადიოდა, დადიოდა, დადიოდა... ჩავიდოდა დაბლა ეზოში, შეუსვენებლად გადი-გამოდიოდა, მერე ამოვიდოდა და ადგილს ვერ პოულობდაო, ვერაფრით ვერ დავაწყნარე, ვერ დავამშვიდეო, დავდევდი კუდში და ხან წყალს ვაწვდიდი, ხან წამალს, ძლივს ვეწეოდი; ცეცხლწაკიდებული გეგონებოდათო, სანამ აი, ეს არ დაემართა და ტახტზე არ გადავარდაო...“

„ოჰ, ღმერთო ჩემო...“ ამოიოხრა ირაკლიმ, „ნადი ეხლა, ჩემო ეკა, ნადი... და დიდი მადლობა. მიხედე იმ კარგ კაცს...“

„ღმერთმანი, ნამდვილად არ მეპატიება ასე დაწვრილებით რომ გითხარით შოთას ამბავი, მაგრამ თქვენ ისეთი ხართ... გულშემატკივარი... ყოველთვის მინდა ხოლმე გაგიზიაროთ...“

„მადლობთ, მადლობთ, რომ გამიზიარებ ხოლმე და მოხედავ ბერიკაცს...“

„კარგით რაა, ბ-ნო ირაკლი, წლებმა ხომ გადაიწია, სიბერე ახლა ოთხმოცი წლის ზევით იწყება, და თქვენთვის არც მაშინ არ დაიწყება, მე მითქვამს, ენდეთ ექიმის აზრს!“ მომხიბლავად გაუღიმა და ალერსიანად გაუსვა ხელზე ხელი.

„იცი, ჩემო ეკა, რაც ჩემმა გულმა ცელქობა დაიწყო, გამახსენდება ხოლმე მადამ დე-რენალი... ჩვენ ხომ ლიტერატურაზე გაზრდილი ხალხი ვართ და...“

„წითელი და შავიდან? გიკრძალავთ, ბ-ნო ირაკლი, გთხოვთ იმაზე იფიქრეთ, რაც თქვენს ცხოვრებაში განსაკუთრებით გაგხარებიათ, კარგით? შავბნელ ფიქრებს ნუ მიეცემით, ძალიან გთხოვთ“.

„ეკა, ჩემო ეკა, რომ იცოდე, მე გარდასული დროის შეცდომებს მივამტკივნებ ხოლმე გულს, და ხშირად ისე მწვავედ, თითქოს ახლა ხდებოდეს... ვერ წარმოიდგენ, როგორ დამნანებიან ის სპილოებიც კი, ჰანიბალმა ალპების ბილიკებსა და კორნოხებს რომ გაუყენა, სანეკრე რომ ნახა და სახტომი ვერ მოუსინჯა... და შენ მეუბნები ჩემი ქვეყნის... ჩემი... როცა ამ დღეშია... შავბნელი ფიქრები არ შემომესიოს?!“ ირაკლის ხმა გაებზარა, ნიკაპი აუკანკალდა, ეკას შეეშინდა, ტირილი არ დაიწყოსო, და გამამხნევებელი, მტკიცე ხმით უთხრა: „დავიბრუნებთ, ბ-ნო ირაკლი, შეუძლებელია ჩვენ ამას შევეგუოთ, აი, ნახავთ, თუ არა! როგორ! რანაირად! ვისა აქვს უფლება, ვის!“

„ოოოჰ! მთელი ისტორია კაცობრიობისა ძლიერის უფლებას ღაღადებს! რომ დაიპყროს, დაიმორჩილოს, ჩანიხლოს და დაიმონოს!“ და მღელვარების ახალმა ტალღამ გადაუარა.

„ბ-ნო ირაკლი! ახლა უკვე გიბრძანებთ დამშვიდდეთ!“

ეკამ აბი გაუწოდა: „აბა ახლა, ეს აბი გადაყლაპეთ, დაგაწყნარებთ, დაგამშვიდებთ და კარგად დაგაძინებთ“. ეკას გაეცინა და ალერსიანი დაყვავებით განაგრძო: „ჩემი უფროსი დეიდა

მიამბობდა თქვენზე, ომიდან რომ დაბრუნდა, მთელი თელავის გოგოები შეყვარებულები იყვნენ ბ-ნ ირაკლიზეო, მერეც, ჩვენი სკოლის უფროსკლასელები ვგიჟდებოდით და რომ დაქორწილდა, ძალიანაც ვიეჭვიანეთო... ინსტიტუტში ხომ ლექსებს უწერდნენო, აი, ასე..." სურიდან წყალი ჩამოუსხა ჭიქაში, უწყლოდაც შეიძლებოდა, მაგრამ თუ გნებავთ დააყოლეთო. ირაკლიმ აბი გადაყლაპა, წყალი დააყოლა და ეკას გაუღიმა: „ოჰ, რა ეშმაკუნა ხარ, ჩემო ეკა."

„ხვალ აუცილებლად ამოვალ, კარდიოგრამა გადავიღოთ... ჩასვლისას დეიდა ლიზიკოს შევძახებ, ამოგხედოთ, კარგით?" ხელი დაუქნია და ის იყო უნდა გასულიყო, შემობრუნდა, ბარემ პურს გადმოგიბრუნებთო, ტაფას მიხედა, ცომი გადააბრუნა, სახურავი თაროზე შემოდო, ისევ დაუქნია ხელი, გაუღიმა და წავიდა. და თუმცა სოხუმის დაცემა ლურსმანივით ჰქონდა თავში ჩაჭედილი და გულს უკლავდა, თუმცა შოთას ამბავმაც ძალიან შეაწუხა, ეკას მოსვლამ, ეკას ნახვამ ამ ჩამოღამებულ ყოფაში შვება მოჰგვარა. ეკას ხმა ყურში ედგა, რა რბილი და სასიამოვნო ხმა აქვსო, ... კილოც, ხანდახან მოღუღუნე და მოკრძალებულიო... ასეთ კარგ გოგოს, ვინ იცის შეხვდება კი თავისი ტოლი და სწორიო? ბებია გაახსენდა, მოარაკებით რომ უყვარდა ლაპარაკი: ჩიტია შემომჯდარი ღობეზე და წივწივებსო; კარგს ცუდიო, ცუდს კარგიო, კარგს ცუდიო, ცუდს კარგიო, კარგს ცუდიო, ცუდს კარგიო, მერე ერთხელაც იქნება და დაიძახებს: კარგს კარგიო, მსგავსს მსგავსიო, და აი, მაშინ ორივე კარგი და მსგავსი შეხვდება ერთმანეთს, კარგადაც შეეწყობიან და თავის ნუთისოფელსაც ბედნიერად გალევენო. ბებია ყოველჯერზე დარწმუნებული იყო, რომ ჩიტმა საიმედო სიტყვა დასძახა თავის საყვარელ შვილიშვილს. აკი ზიზისთან ერთად რამდენჯერ სიცილით მოუგონიათ ბებიის ეს ნათქვამი, ჩვენ ნამდვილად ღობეზე შემომჯდარმა ჩიტმა „კარგს კარგიო" დაგვძახა და დაგვლოცაო. და რა გამოვიდა!? ახლა რომ წამოახედა ბებია და დაანახა ეს დამარტოებული სახლიო... ყველა რომ წავიდა ჩემს მეტიო... მე თუ შემხვდა ჩემი ტოლი და სწორი, მგონი იმიტომ არ დავრჩი მარტოო... და მიუხედავად იმისა, რომ ეკას მოსვლამაც, ეკას წამალმაც დაამშვიდა, გულიც ჩაუწყნარდა, თითქოს იმედიც ჩაუსახა: მართლა ჩალით ხომ არ არის დახურული ქვეყ-

ანაო, მარცხს გამარჯვება მოსდევს და ტანჯვას სიხარულიო, მაინც კი ეკას ნასვლის შემდეგ მარტოობის ჭმუნვა შემოაწვა, მწვავე სურვილი იგრძნო გვერდით ჰყოლოდა ხმის გამცემი და ჭმუნვის გამქარვებელი, მისი ხელი სჭეროდა, მისი სითბო ეგრძნო... სავაგლახოზე ერთად ევაგლახათ, ერთად ევაგლახათ ამ თავსდატეხილ უბედურებაზე და ალერსითა და სიყვარულით დაეცხროთ დარდი და ვარამი... სურვილი... სურვილი... სიცოცხლის თანმდევი, როგორც სუნთქვა... ადამიანთან ერთად რომ იბადება და ადამიანთან ერთად კვდება... მხოლოდ ფერს იცვლის დრო-ჟამის ცვლასთან ერთად... და ჭმუნვის გასაფანტად ნარსულზე დაიწყო ფიქრი, თავისი ახალგაზრდობა დაუდგა თვალწინ, ის ბობოქარი სურვილები, ის გზნება და გატაცება, ის ჟინი აღმა-დაღმა ქროლვისა და დროსტარების, ის შუშპარობა და დაუოკებელი ვნებები... როგორც მუქაფა, როგორც ჯილდო და საჩუქარი ომის შემდეგ, მთელი ოთხი წლის ჭექა-ქუხილისა და სისხლის ნიაღვრის შემდეგ, პირველი დღიდან ბოლო დღემდე, თვალისმომჭრელი პროჟექტორებით გაჭახჭახებულ, დანგრეულ ბერლინამდე. ომის ზათქით იყო გაყრუებული, სისხლისღვრით გახევებული და თავისი გადარჩენით გაოგნებული. თუნდაც ქერჩის ცეცხლსა და ქარიშხალს როგორ გამოაღწია, როგორ გამოეხსნა, რამდენი ხანი სულ ამას ჰყვებოდა, ის შთაბეჭდილება მთელი სიცოცხლე გაჰყვა, გაჟიებული შინელით, დამბალი ჩექმებით, დიდ ნავს მისეულ ჯარისკაცთა ჯგროში ჩაჭყლეტილმა, ყველა რომ იდაყვების გააფთრებული ქნევით ცდილობდა სრუტიდან თავის დაღწევას და როგორმე ნავში აბობღებას, როგორ მოახერხა ნავის ნაპირისთვის ხელი ჩაევლო და აღარ გაეშვა, არავითარ შემთხვევაში, არასდიდებით, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ჩაფრენოდა, როცა აქეთ-იქიდან ეჭიდებოდნენ და მაღლიდან კი გერმანელების მესერშმიტები ყუმბარებს აყრიდნენ... ეს იყო წარმოუდგენელი იღბალი, ენით აუწერელი და საარაკო, იმ ცეცხლიდან საღსალამათად გამოღწევა, ვინ მოთვლის რამდენმა ჰპოვა სამარე იქ, ქერჩში... მაგრამ ხდება თურმე ასეთი საოცრებაც, და ფონს გამოსული, სამშვიდობოს გამოღწეული, თავისი საველე ტომრიდან ამოღებულ, მლაშე სრუტეში დამბალ ორცხობილას რომ შეექცეოდა, ასე ეგონა თავის სიცოცხლეში ამაზე გემრიელი არაფერი ეჭამა. ალბათ,

მამა რომ დამიღუპეს 37-ში, ისე უღმრთოდ და უსამართლოდ, ღმერთს ჩემი დაღუპვა არ უნდოდაო, ალბათ, პაპასი და პაპას მრევლის ლოცვამაც გადამარჩინაო. პაპა მღვდელი იყო, დედის მამა, ეკლესია დაუხურეს, ასე ვთქვათ, გაკრიჭეს, მაგრამ მას ღვთისმსახურებისთვის, რა თქმა უნდა, ჩუმად, თავი არ დაუნებებია, ნათლობა იქნებოდა, აღსარება-ზიარება, თუ ანდერძის აგება, ჰოდა, მომენია, მომენია მათი ლოცვა-კურთხევაო... თან უბრალოდ კი არ გადავრჩი, თურმე არაფერი უნდა დამკლებოდაო, ხეიბრად დაბრუნებაც სჯობია სიკვდილს და ხეიბარიც კი არა ვარო, არც დავჭრილვარო, მაგრამ რა ჩემი ბრალიაო, თითქოს თავს იმართლებსო, მე ხომ არასდროს ბრძოლისთვის თავი არ ამირიდებიაო... სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი... ამდენმა სიკვდილმა ლამის გაახევა, მაგრამ ერთი პატარა ბიჭი კი, ოჰ, როგორ ებრალებოდა, მერე არასდროს არ დავიწყებია და ომისა და საშინელების სიმბოლოდ განიცდიდა. ჯერ ჩვიდმეტის არ იყო, სამი თვე მიკლია ჩვიდმეტსო, ნორჩი, სალუქი სახე ჰქონდა და მოკლედ შეკრეჭილი, ჯაგარივით ყალყზე მდგომი თმები, რა კარგი, რა სუფთა ბიჭი იყო, უკრაინის სოფელთან შეეკედლა მათ ათეულს,... გულდაწყვეტით ამბობდა ჯერ ქალთან არ ვყოფილვარო და კოცნითაც ჯერ არავისთვის მიკოცნიაო, უჰ, შეყვარებული რო მყავდეს, ისეთ წერილებს მივწერდიო. ყველაფერი წინა გაქვსო, ეუბნებოდნენ, მილიონი კოცნა, ლოყაწითელი გოგოები, გულისძგერა, ცას ქუდად რო არ მიიჩნევ და დედამინას ქალამნადო, ... რაღაცნაირად ეღიმებოდა ხოლმე, თითქოს საწყლად, თითქოს თან სჯერა, თან არაო. დედა ენატრებოდა, ... დედაო ისეთ „გალუშკებს“ აკეთებსო, თუ დავბრუნდები, მაშინვე გალუშკებს გამიკეთებსო. ვერ დაბრუნდა, ვერა, პატარა ბიჭი, მალევე დაიღუპა, ყუმბარის ნამსხვრევმა იმსხვერპლა. მეკავშირე გოგომ აკოცა, უკვე მოკლულს. თვითონ კი დაბრუნდა... დაბრუნდა... და პირველ ხანებში მაინც რეტდასხმულივით იყო, გრგვინვით და გრიალით გაყრუებული და სისხლის სუნით გაჟღენთილი... რა იყო შვილო, წარამარა თვალი რო გიშტერდებაო, გაიხარე, გენაცვალოს დედა, გაიხარე, რომ გადამირჩი და დამიბრუნდიო, შესძახებდა ხოლმე მაიკო თავის შვილს. შვილმა კი მერეღა იგრძნო სიხარული...თბილისში წამოვიდა, უნივერსიტეტში ამბის გასაგებად. ომი რომ დაიწყო, მაშინ აბ-

არებდა სახელმწიფო გამოცდებს და ვერ მოასწრო. რექტორის სახელზე განცხადებას შევიტან, რომ შემოდგომისთვის დამინიშნონ დარჩენილი გამოცდების ჩაბარება, მთელი ზაფხული წინა მაქვს, კარგად მოვემზადებიო, ჩავაბარებ და დიპლომსაც ავიღებო. მით უმეტეს, ომიდან დაბრუნებულებს, მას, როგორც ისტორიკოსს, გოგა მეხრიშვილსა და შალიკო მარკოზაშვილს, ფიზიკოსებს, მაშინვე შესთავაზეს სექტემბრიდან სკოლებში პედაგოგობა. და აი, თბილისში ყოფნის დროს ჭრელ აბანოში ნავიდა. დიდ სარკეში ვიღაცის შიშველი სხეული დაინახა, მოეწონა. იყო რაღაც რენესანსული ამ სხეულის უზადო აღნაგობასა და მოყვანილობაში, მკერდის კუნთებისა და მუცლის პრესის ბიჭურ სისფთავეში... ირაკლიმ ფეხი გადადგა და გამოსახულებაც მისკენ წამოვიდა, მაშინღა მიხვდა, რომ თვითონ იყო, თვითონ, და მის სხეულს ნაკაწრი არსად ემჩნეოდა, ყველაფერი ადგილზე ჰქონდა, გაოცებული მისჩერებოდა თავის გამოსახულებას, თითქოს პირველად ხედავსო... მექისე რომ ზელდა და ხეხავდა, წყლით სავსე სათლს თქაფუნით გადაავლებდა, ნეტარებით ხუჭავდა თვალებს, ღმერთო, რა ბედნიერებაა სიცოცხლეო... რა ფანტასტიკური სიხარული და ნეტარებაა, და ნამდვილად უფლის წყალობად მიიჩნია სიცოცხლე. და დაენაფა სიცოცხლის სიამეს... დროს არ აცდენდა. იმდენი ვიომე და ვიტანჯე, ნამდვილად მეკუთვნის თვალში გამოვიხედოო და სულ არ ფიქრობდა დაოჯახებაზე. „როდემდე, შვილო, როდემდე," შეაგონებდა პაპა, „დრო-დროთი, თორემ ჟამი ყოველთვის იქნებაო." „ხომ გაგიგონია, გენაცვალოს ბებია, სნორმა სნორს რითი აჯობა და ცოლითა და შვილითო," — წარამარა ჩაუნისკარტებდა ბებია. დედა ხომ: „სანამ შემიძლია და სანამ ჯანი მომდგავს, მინდა გიშველო და მოგეხმარო შვილების გაზრდაშიო." აქეთ-იქიდანაც, ვისაც ეკუთვნოდა და არ ეკუთვნოდა, ყველა ამას ეკითხებოდა და დასძახოდა: „არ დაქორწინებულხარ? ცოლი ჯერ არ მოგიყვანია? რაღას უცდი, ადამიანო, რაღას!" აკი სიცილით ეუბნებოდა ხოლმე თავისიანებს: „ალბათ, მარტო ამისთვის ღირს ცოლის შერთვა, რომ არავინ აღარაფერი არ მითხრასო." ხან ვის გააცნობდნენ, ხან ვის აჩვენებდნენ, ხან ვისზე ეუბნებოდნენ, ხან ვის ურჩევდნენ. არა და არა, მთელი შვიდი წელიწადი ძვრა ვერ უყვეს. დაოჯახებისთვის, თორემ ძვრა კი არა, შუშხუნა-

სავით იყო, მჩქეფარე და დაუდგრომელი. ლევან ზაუტაშვილს, მის უმცროს ამხანაგსა და ამფსონს, მამამ, ქალაქში ცნობილმა ექიმმა, ამერიკული მოტოციკლეტი „ხარლეი" უყიდა, ნავიანი. ჩაისვამდნენ ლეგიონის ქალებს და ჰერიი, დაჰქროდნენ აღმა-დაღმა, თუ ალაზანზე, თუ სვიანაზე, თუ ლოპოტაზე და ფიქალებზე, და სად აღარ...

კიდევ კარგი, თავისი საქმეც ასე უყვარსო, თავს ინუგეშებდა დედა, თორემ ნამდვილად ხელს გადაჰყვებოდაო. მაგრამ სულაც არ ფიქრობდა დროსტარების გულისთვის თავისი საქმისთვის ეღალატა, ნიჭიერი და ინტერესიანი იყო და ყველაფერს ასწრებდა, და ამ შვიდ წელიწადში სანამ როდამს შეხვდებოდა და დაქორწილდებოდა, საუცხოო პედაგოგისა და ლექტორის სახელიც დაიგდო და დისერტაციაც დაიცვა. ინსტიტუტიდან ერთი წლით გაგზავნეს რუსეთში, ... ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე მუშაობდა კახეთის მეფე ალექსანდრედან დაწყებული, მოსკოვისა და ლენინგრადის ბიბლიოთეკებში იძიებდა მასალებს, ... და საინტერესო მონოგრაფიაც დაწერა. მშვენიერი გადმოცემის უნარიც ჰქონდა და მის გაკვეთილებსა და ლექციებს არც არასდროს აცდენდნენ მოწაფეები და სტუდენტები. და აი, ერთ მშვენიერ დღესაც, ეს იყო 52 წელს, ივნისის დასაწყისში, კბილმა შეაწუხა (წლების გავლის შემდეგ ამბობდა ხოლმე, კბილი გახდა ჩემი ბედისწერაო), და სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში მივიდა ცნობილ სტომატოლოგთან, ვარია ლიჩელთან. როგორც ყოველთვის, ვარიასთან რიგი იყო, კაბინეტის შესასვლელში, გრძელ სკამზე ხალხი იყო ჩამწკრივებული, ფეხზეც იდგნენ და ისიც ფეხზე გაჩერდა. შემინული კარიდან ხედავდა: გვერდით, ახალგაზრდა ქალთან არავინ იჯდა. ქალს ქათქათა თეთრი ხალათი ეცვა, იჯდა ცარიელი სავარძლის გვერდით, მაღალ ტაბურეტზე, სევდით, თუ სულაც სასონარკვეთით მიეპყრო თვალები ვიტრინასავით დიდი მინისთვის, რომლის გადაწეული ფარდიდან ქუჩა მოჩანდა. ქალმა მოიხედა, შემოსასვლელს გამოხედა, ირაკლიმ დაინახა ფაქიზად მორკალული, შეჭმუხნული წარბები, და თითქოს ეცნო ეს ახალგაზრდა ქალი. შეეცოდა. ვინც მოდიოდა, ყველა ისევ რიგში დგებოდა, ამ ახალგაზრდა ქალთან კი არავინ ჭაჭანებდა. ირაკლის ისიც კი მოეჩვენა, რომ ქალმა ვედრებით გამოხედა. ვარიას მიმართ პროტესტი დაეუფლა, ნუთუ

არ შეუძლია, დამწყებ ექიმს გვერდში ამოუდგეს და მოუწოდოს თავის კლიენტებს, უანგარიშოდ რომ ჩარიგებულან შემოსასვლელში, ერთი მაინც დაჯდეს ამ ახალბედასთანო. რატომღაც ეჭვი არ შეეპარა, ვინმეს თუ წაუცდა ფეხი და ამ საწყალი გოგოს სავარძელში ჩაჯდა, ძალიანაც მოიწადინებს და კარგადაც გაუკეთებს ყველაფერსო. ქალმა თითქოს იგრძნოვო, ისევ მოიხედა, ... გამოხედა რიგს, მზერა შეაყოვნა და ისევ მოეჩვენა ირაკლის, რომ მეტად სევდიანი მზერა ჰქონდა. ირაკლიმ კარი შეაღო, ვარია თავის მანიპულაციებში იყო ჩართული, მაინც ღიმილით ახედა ირაკლის, პაციენტზე ანიშნა და გაკვირვებული დარჩა, რომ გვერდით სავარძელი ვიღაც უცხომა და უცნობმა კი არა, მისი კარგი ახლობლის, მაიკოს ვაჟმა დაიკავა. „არცკი გკითხეთ, ხომ შეიძლებოდა თქვენთან?“ ზრდილობისთვის ჰკითხა, თორემ შეიძლებოდა კი არა, ქალი შინაგანად თითქოს შეფრთხიალდა, ისე შეარხია მხრები და გაიღიმა: „ო, რა თქმა უნდა, აბა რაა.“

„და დავაღო პირი?“ ირაკლიმაც გაუღიმა ქალს, „კარგით აბა.“

„ოო, რა მშვენიერი ფასადი გაქვთ!“ თქვა ქალმა და ირაკლის ჩამოხედა, ალერსიანი კილო ჰქონდა და სულ პატარა გოგონას ჰგავდა.

„ფასადი?“

„დიახ, ჩვენ ასე ვამბობთ, კბილების წყობა და ხარისხი.“

„და თქვენ ფიქრობთ, რომ კარგი ფასადი მაქვს?“ შეუუუუნების გუნებაზე დადგა ირაკლი, გახალისდა.

„ფიქრი რა შუაშია, ეს ხომ ზედაპირზე ძევს, ყველას დასანახად.“ და ქალმა მოულოდნელად შუბლი შეიკრა, ვითომ სიანცისთვის არ მცალიაო, „მოდით საქმეს შევუდგეთ, აი, მეექვსე კბილი გაქვთ დასაბჟენი, დიდი კარიესი არ არის, მგონი პულპამდე არ მივა საქმე, ძალიან ვეცდები, არ გატკინოთ.“

მართლაც, ძალზე ფრთხილად უსუფთავებდა კბილს, ესიამოვნა კიდეც ვარდისფერი, ფუნჩულა ხელის ცაცუნი, თან თავის ფაქიზად მორკალულ, მშვენიერ წარბებს ისე ლამაზად ჭმუხნიდა, ირაკლიმ გაიფიქრა, სიამოვნებით ვაკოცებდიო. და გაუკვირდა, რომ სტომატოლოგიურ სავარძელში მჯდომი ინტერესითა და სიამოვნებით შეჰყურებდა ამ ახალგაზრდა ქალს, ... და უცებ მიხვდა საიდანაც ეცნობოდა, ნამდვილად ის იყო. ამ შვიდი წლის წინ, ომის დამთავრების შემდეგ რომ დაბრუნდნენ, 45 წლის

მაისის ბოლოს, მას, გოგა მეხრიშვილსა და შალიკო მარკოზაშვილს პედაგოგობა რომ შესთავაზეს, ეპატიჟებოდნენ დილებსა და საღამოებზე, უმართავდნენ შეხვედრებს. და აი, როგორც მომავალი პედაგოგი პირველი სკოლისა, გამოსაშვებ საღამოზე დაპატიჟეს. ეს ნამდვილად ის გოგონა იყო, მაშინ იმ საღამოზე რომ გამოვიდა, ახლად სკოლადამთავრებული. იყო სიტყვები, მისალმებები, ლექსები, სიმღერები. მაგრამ აი, სწორედ ეს გოგონა ჩაახსომდა და რაღაც ხანი გაჰყვა კიდეც ის შთაბეჭდილება. გოგონა აშკარად ამოვარდნილი იყო საზეიმო საღამოდან თავისი ჩაცმულობითაც და არასაზეიმო ლექსითაც. თავიანთი მწირი შესაძლებლობების მიუხედავად, ყველა შეეცადა თურმე საზეიმოდ გამოწყობილიყო. გახსნეს ბებიების სკივრები, გადაიკეთეს, გადმოიკეთეს, მარჯვედ მოირგეს და ყველა კოხტად გამოცქრიალდა სცენაზე. ამ გოგონას კი სრულიად უბრალო შავი სატინის კაბა ეცვა. შავი ფილდეკოსის წინდები და აგრეთვე შავი, ასევე უბრალო, მგონი მეჯღანის შეჯღანული, ჩუსტები. თუმცა კეთილაღნაგ მომცრო სხეულზე მოხდენილად ედგა კაბა, ანვდილ ყელზე კი, ვითომ მოსართავად გაზის პატარა შარფი ჰქონდა მოგდებული, გრძელი, მსხვილი ნაწნავი მხარზე გადმოეგდო, ბოლოში შებმული შავი აბრეშუმის დიდი ბანტით. რატომ აცვია ასე თავით ფეხამდე შავებიო, დაინტერესდა ირაკლი, და გვერდით მჯდომმა ნაცნობმა პედაგოგმა უთხრა: მარტის ბოლოს მოუვიდათ მამის დაღუპვის ცნობაო. არ უნდოდა აღლუმში მონაწილეობის მიღება, მაგრამ ძალიან სთხოვეს, კარგად იცის ლექსის თქმა, თან ფრიადოსანია და დაარწმუნეს, რომ ტოლებს არ უნდა ჩამორჩენოდა, უთუოდ უნდა გამოსულიყო და ან სიტყვა ეთქვა, ან ლექსი. ცხადია, სწორედ გლოვის გამო იყო, რომ საზეიმო და საალღუმო განწყობილებით გამსჭვალული ლექსის მაგივრად, გალაკტიონის სრულიად არამხიარული, არარიხიანი, მაგრამ გულში ჩამწვდომი ტაეპები გაისმა: „ამ ბნელი ღამით ვიღაც დადის საქართველოში, ამ ბნელი ღამით ვიღაცა კვნესის, ვახსენოთ ჩვენ ის უკანასკნელ სადღეგრძელოში, სადღეგრძელოში, ვახსენოთ ჩვენ ის...“ მღელვარედ გაისმა გოგონას ხმა, მოწოდებასავით, მართლაც ეს იყო მოწოდება, მორალური და ღრმად ადამიანური იმპერატივი, ყველას, ყველას, ბნელ ღამეში მოხეტიალე მკვნესავი მარტოსული გახსენებოდა, ვინც არ

უნდა ყოფილიყო ის, ვინ იცის, ეს იყო სული დაღუპული მამისა, გზა რომ ვერ გაუგნია და ვერსად დამკვიდრებულა... გოგონამ ლუფტ-პაუზა გააკეთა და შემდეგ უკვე მწუხარე ხმით განაგრძო: „ამ ბნელი ღამით სადღაც ისმის ხმა დაირისა, ... თვალი მევსება ცრემლების ნამით,... უკვე ცისკარმა შორი მთები დააირისა, ის კიი... კვლავ კვნესის ამ ბნელი ღამით." გოგონას მართლაც ცრემლით ჰქონდა თვალები „დანამული."

„იცით, მე თქვენ გამახსენდით," თქვა ირაკლიმ, „გამოსაშვებ საღამოზე გალაკტიონის ლექსი რომ თქვით... აი, დიდი ნაწნავი კი მოგიჭრიათ."

ქალმა დასაბუენი ფხვნილი გადმოყარა მინის პაწია ფილაზე, სითხე დაასხა და არევა დაიწყო. მერეღა აიღო თავი და ირაკლის შეხედა: „მე ის ლექსი მამის ხსოვნას მივუძღვენი... არც მივიღებდი საღამოში მონაწილეობას... იმ ლექსის გარეშე." მესმის თქვენი, ძალიან კარგად... მეც ჩვიდმეტი წლის ასაკში დავკარგე მამა... და, უნდა გითხრათ, მძიმედ განვიცადე."

„მეც, მეც," აღმოხდა ქალს, „სიცოცხლე აღარ მინდოდა, წარმოგიდგენიათ?" და თითქოს ამაზე საკვირველი არაფერი იყო, ისე განაგრძო: „თვენახევრით ადრე ომის დამთავრებამდე, კურსკთან არ დაიღუპა... სტალინგრადთან არ დაიღუპა..." „თქვენ ამბობთ კურსკი და სტალინგრადიო, ომის ბოლო დღეებში, აი სულ ბოლოს, იცით რამდენი დაიღუპა? რამდენი?!" „საშინელებაა! მე თმაც იმიტომ შევიჭერი, გავშმაგდებოდი ხოლმე და ერთხელაც შევუგდე მაკრატელი ოო, რა მძიმედ გადავიტანე..."

„და ნაწნავზე იყარეთ ჯავრი, არა?"

„დიახ." მოწაფესავით დაეთანხმა ქალი, ... თან ნიკელის პატარა ნიჩბით ზელდა და ზელდა დასაბუენ გუნდას. ირაკლი სიამოვნებით მისჩერებოდა ქალის საქმიანობას. მერე გაუმშრალა კბილის ღრუ რეზინის ბალონით, გუნდა ჩაუდო, დაუბუენა, მერე დაუტკეპნა და ნარჩენების განმენდას მოჰყვა... ირაკლი კი შეჰყურებდა ქალს და ფიქრობდა: თავისდღეში ვერ წარმოვიდგენდი, თუ სტომატოლოგს შეეძლო ჩემი ყურადღების მიპყრობაო, არადა, რა სისულელეა, წინასწარ იმისი დადგენა, ვინ შეიძლება მოგენონოს და ვინ არაო.

„რა არის, იცით," უთხრა ქალმა, „ეს მეექვსე კბილი, მთავარი

საღეჭი კბილია და ალბათ, სჯობს ოქრო გადაიკრათ, რომ კარგად შეგენახოთ, ... გექნებათ და გექნებათ."

„თუ თქვენ გადამაკრავდით?" ირაკლიმ გაულიმა, „მაშინ იქნებ კიდევაც გადამეკრა. მაგრამ მე უფრო ის მაინტერესებს, ცეკვა თუ გიყვართ?"

„ღმერთო ჩემო, რომელ ახალგაზრდას არ უყვარს ცეკვა?!" ლამის შეიცხადა ქალმა.

„მაშინ წავიდეთ საღამოს ნადიკვარზე და ვიცეკვოთ, კარგით?"

„ოო, რა თქმა უნდა..." სიამოვნებით დაეთანხმა ქალი.

„მართლა, რა გქვიათ? "

„როდამი".

„რა კარგი სახელი გქონიათ, ძველებური."

„მე გვარიც ძველებური მაქვს, სოლოლაშვილი. მამაჩემის ბებიას რქმევია როდამი და მამას უთხოვია დედაჩემისთვის, მართალია მოდაში აღარ არის ძველებური სახელები, მაგრამ არ მინდა ბებიაჩემის სახელი დაიკარგოსო. მე კიდევ პატარაობისას განვიცდიდი, რატომ ბელა ან ლეილა არ მქვია-მეთქი."

„როდამი სულხან-საბას მამიდას ერქვა, შაჰნავაზის მეუღლეს." თქვა ირაკლიმ და სავარძლიდან წამოდგა.

„გამახსენდა, გამახსენდა!" გაუხარდა როდამს, „რომ მეფის ძენი სულხან-საბას მამიდაშვილები იყვნენ, ... ასე კი არ არის საქმე, მეც რაღაც ვიცი..." და თაფლისფერი თვალები მომხიბლავად გააჟუჟუნა, თუმცა მაშინვე საქმიანად დაუმატა, „თუ აგტკივდებათ, არ შეგეშინდეთ, ახალმა დაბჟენილმა იცის ზოგჯერ და მალევე გაგივლით." „კარგით აბა, ნადიკვართან დაგიცდით შვიდი საათისთვის."

თვალი გააყოლა გაბრუნებულ პატარა ქალს და თავისდა მოულოდნელად გაიფიქრა: „ვინ იცის, შაჰნავაზივით ჩემს მეუღლესაც როდამი უნდა ერქვასო."

და მართლაც, ნადიკვარზე ცეკვებმა თავისი ნაყოფი გამოიღო და მალევე იქორწინეს. ძალიან ბედნიერებიც იყვნენ. მაშინ ირაკლი ვერ წარმოიდგენდა, რა საბედისწერო იქნებოდა ეს ქორწინება, რა მძიმე განცდებთან, ტრავმასა და სტრესთან იქნებოდა დაკავშირებული. მაგრამ ეს შემდეგ იყო. მაშინ კი, მათ სიყვარულსა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ირაკლის

განსაკუთრებით ხიბლავდა როდამი ლექსებს როგორ კითხულობდა. მართლაც შესანიშნავად, ყოველგვარი ეგზალტაციისა და პათოსის გარეშე, მაგრამ დიდი შინაგანი განცდით. მაშინ ხომ პოეზია მარად თანმდევი იყო, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა, თავის გულისთქმას, თავის სიხარულსა და სევდას, და სიყვარულს, სიყვარულს... სწორედ ლექსებით ამოთქვამდნენ, ბოლო დროს რამდენჯერ უფიქრია ირაკლის, ვინ იცის, ხალხი ასე რომ გაუხეშდა და გაუზრდელდა, მხოლოდ სიდუხჭირისა და სოციალური პირობების ბრალი კი არ არის, არამედ წიგნსა და პოეზიას ზურგი რომ შეაქციეს, ერთ-ერთი მიზეზი ესეც უნდა იყოსო. მაშინ კი არავითარი თავყრილობა, დაბადების დღე, თუ არიფანა პოეზიის გარეშე არ არსებობდა, ვინ მოთვლის, ვინ არ თხზავდა და ვინ არ ამბობდა ლექსებს, და აი, ერთხელაც, ღვთისმშობლობას, 8 სექტემბერს, შუამთაში წავიდნენ, მეგობარნაცნობების ჯგუფმა დიდი მანქანა, „პალტარატონკა“, იქირავეს, სანოვაგე წაიღეს და წავიდნენ. გვიან დაბრუნდნენ, და გამოსცდნენ თუ არა შუამთას, სოფელ მერეშიც არ იყვნენ ჩამოსულები, მანქანა გაუფუჭდათ. უკვე ბნელოდა. შოფერი ფარნის შუქზე ძრავას კარგა ხანი ჩაჰკირკიტებდა... ისინი კი მწვანეზე ჩამოსხდნენ, გზის პირას, რა ვქნათ, რა ვქნათო და ინსტიტუტის ლექტორმა ქალმა თქვა, ქართული ლიტერატურის მასწავლებელმა: მოდით, ლექსების თქმაში შევეჯიბროთ ერთმანეთს, ვინ მეტს იტყვის და ვინ ვის აჯობებსო, სახალისოც იქნება და დროც მალე გავაო. პირობა ასეთი იყო: შოთა რუსთაველით უნდა დაეწყოთ და ანა კალანდაძით დაემთავრებინათ. ღამის სიბნელეში, ფარნების ანარეკლზე  განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ლექსების კითხვა. და რა გგონიათ, როდამმა ყველას მოუგო, ხოლო „ოლე“ რომ თქვა, ტაშიც კი დაუკრეს. ირაკლის აქეთ-იქიდან შემოსძახეს ნამდვილი დეკლამატორი ცოლი გყოლიაო. აკი ეფერებოდა ხოლმე ირაკლი, შენ ჩემი პატარა მელექსე გოგო ხარო, აიყვანდა ხელში, მიიხუტებდა გულზე და ცეკვა-ცეკვით დაატარებდა. შენ არასდროს არ დაბერდებიო, ხომ გაგიგონია რუსული გამოთქმა: პატარა გოშია ყოველთვის ლეკვიაო, და ორივენი გულიანად იცინოდნენ. ხოლო როცა ირაკლიმა და დედამისმა უთხრეს კაბინეტი გვინდა მოგიწყოთ ნაპირა ოთახში, რომ ხანდახან სახლშიც შეგეძლოს პაციენტე-

ბის მიღებაო, ისეთი მადლიერებით აივსო როდამი, ყველას ამას უყვებოდა, ჩემისთანა ქმარი და დედამთილი არავისა ჰყავსო. მართლაც, მაიკო მათემატიკოსი იყო, კარგი პედაგოგი და კერძო მონაფეებიც ბუზებივით ეხვია, ირაკლიც — უკვე ინსტიტუტის დოცენტი და სკოლის პედაგოგიც — და იმ დროის კვალობაზე დიდი ხელფასი ჰქონდა, მაიკოს მამაც, რაც ამ ათი წლის წინ ეკლესია გაიხსნა და უკვე ლეგალურად მამა არჩილი გახდა, შემოსავალიც გაეზარდა, ... ისე რომ რიგიანი დანაზოგის პატრონები იყვნენ. წავიდნენ მოსკოვში ირაკლი და როდამი, ზოგი კერძოდ, ზოგი სამედიცინო ხელსაწყოების მაღაზიაში შეიძინეს ყველაფერი, სტომატოლოგიური კაბინეტისთვის საჭირო აღჭურვილობა და სულ მალე პატარა როდამს მშვენიერი კაბინეტიც მოუწყეს. თანდათან, ჯერ კანტიკუნტად, პაციენტებიც გამოჩნდნენ და როდამიც თავის თავს დაჰხაროდა, აჰაა თუ მეც სხვებივით ხალხი არ მომიმრავლდება და თავს არ გამოვიჩენო. ეს მართლაც ასე მოხდა, და ყოველმხრივ ბედნიერები იქნებოდნენ, როდამს დროდადრო, ხან სამ-ოთხ თვეში, ხან ნახევარ წელში ერთხელ, ხან უფრო ხშირად, ხან უფრო დიდი ინტერვალებით დეპრესია არ დამართნოდა ხოლმე, ეს უცნაური და გამოუცნობი რაღაც, როცა ადამიანი თითქოს საღსალამათია, არავითარი მიზეზი და საფუძველი არა აქვს მის სისუსტეს, ეჭვებს, სასოწარკვეთას, სულით დაცემასა და განწირულებას, და მას კი არ ძალუძს წინააღმდეგობა გაუწიოს თავის მდგომარეობას, ... და როგორც არ უნდა გაგებული და შეგნებული იყოთ, მაინც შეიძლება გეგონოთ, რომ ის არ ლამობს, არ ცდილობს თავი დააღწიოს ამ თითქოს ცამოწმენდილზე თავსდატეხილ, უაზრო უბედურებას, არის ჭაში ჩავარდნილივით, ყველაფერს მოწყვეტილი და გაბედითებული.

თურმე პირველად ჩვიდმეტი წლისას დაემართა, მამის დაღუპვის ცნობა რომ მიიღეს მაშინ, და ეს ყოვლად ჩვეულებრივ გლოვად ჩათვალეს. მაგრამ მერეც თურმე რამდენჯერმე დაემართა და ხან რა მიზეზს აბრალებდა, ხან რას, და დარწმუნებული იყო გათხოვება და სიყვარული მას სრულიად გაანთავისუფლებდა დეპრესიის შემოტევებისაგან. პირველ ხანებში, მთელი შვიდი თვე ასეც იყო. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, და ეს დღე 53 წლის 5 მარტი იყო, ანუ სტალინის გარდაცვა-

ლების დღე, ირაკლის სკოლაში, — იმ დღეს სწორედ სკოლაში ჰქონდა გაკვეთილები, — ტირილ-ღრიალით შემოეგებნენ მეექვსე კლასელები, ბიჭები ჯგუფად იყვნენ მიმდგარი ტალანის კუთხეში და მოგუდული ხმით ზლუქუნებდნენ, გოგონები კი გარს შემოეხვივნენ თავის საყვარელ მასწავლებელს, სახეზე ღვიარება ჩამოსდიოდათ და რა გვეშველებაა, პატ. მასწ, რა გვეშველებაა, დიდი სტალინიი, ძია სტალინიი, ჩვენი საყვარელი ბელადი აღარა გვყავსო. ეს ხომ წარმოუდგენელიაო, ეს ხომ დაუშვებელიაო, როგორ უნდა შევეგუოთ, როგორ უნდა გადავიტანოთოო... ღავღავებდნენ ეს მშვენიერი გოგონები, ირაკლის კინაღამ გაეცინა, რადგან თავი იმ კრუხად წარმოიდგინა, იხვის კვერცხები რომ შეულაგეს, იხვის ჭუკები გამოაჩეკინეს, ახლა ეს ჭუკები ყვიტყვიტით შეცურებულიყვნენ ტბორში, კრუხი კი ნაპირიდან შეჰყურებდა და თვითონ არაფრით არ შეეძლო მათ შეჰყოლოდა. მხოლოდ ერთმა მოზრდილმა, ფრიადოსანმა ჭუკმა იდო თავს ყველას დამშვიდება: „ჩვენ ხომ იქ ბერია გვყავს, არაა, პატ. მასწ. ხომ უნდა გვქონდეს ბერიას იმედი, ბერია ჩვენ დაგვიცავს! დაგვიცავს!“ ირაკლიმ ძალა მოიკრიბა და დასჭექა: „აბა, ახლავე შევიდეთ კლასში და კეისრის ბრძოლებს მივხედოთო! რა არის, რა ამბავია, რა თავში ცემა გაქვთ ატეხილი, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩავშალოთ გაკვეთილი! და თუ თქვენ მართლა განიცდით, თქვენი სიყვარული და პატივისცემა უნდა გამოიხატოს გაკვეთილის კარგად ჩატარებაში, გესმიით, გესმიიით!" და ბავშვები უკლებლივ შერეკა კლასში. თან მწარედ ფიქრობდა: ნუთუ არ დადგება დრო, როცა შეიგნებენ როგორ ურჩხულს დასტირიანო, იმის მაგივრად, გახარებულები დავლურს უვლიდნენო. და ერთი სული ჰქონდა სახლში მისულიყო და გულის ბუხარი ამოეყარა. და რა დახვდა, სანოლ ოთახში, დიდ სავარძელზე გადასვენებული როდამი, მგლოვიარე სახით და ჭერს მიბჯენილი თვალებით, და გამტკნარებული თავისიანები: როდამი რომ დაბრუნდა ასეთი შნოთი, სიხარული და სიცილი სახეზე შეგვაშრაო.

„როდამ, ჩემო გოგო, რა იყო, რა დაგემართა!“ სავარძელზე ჩამოჯდა, დაიხარა და აკოცა... გახევებული ინვა, ძლივს გასძრა ყბა: „განა საკითხავია?"

„შენ ხომ ჭკვიანი გოგო ხარ, როდამ, შეიძლება ტირანის სიკვ-

დილის გამო ასეთ დღეში ჩავარდე, ჩემი მეექვსე კლასელებივით, მოვდიოდი, რომ მეცინებინე, რა დღეში იყვნენ... აბა, ეხლა ადექი, გავიდეთ, ვისადილოთ."

„არაფრის პირში ჩადება არ შემიძლია, მეშინია, ჩვენზე შურს იძიებენ, სტალინი რომ აღარ გვეყოლება... ვინღა დაგვიცავს, ვინღა..." შიშით ჰქონდა სავსე თვალები დამრგვალებული და დაჭყეტილი.

„არ გამაგიჟო როდამ... რას ამბობ... ყველაზე დიდი მტერი ჩვენი საქართველოსი, ჩვენი ხალხისა, სწორედ სტალინი იყო! მას ხომ ქართველები და თავისი ქართველობა ჩარად არ მიაჩნდა, ... მიგდე ყური, ჩემო გოგო, ... სტალინი ხომ ზენაციონალური მოვლენაა, გენაცვალე, და ქართული აქცენტი მხოლოდ კოლორიტისთვის სჭირდებოდა, ლამის არავის ჩავუნიხლივართ ისეთი სისასტიკით და დაუნდობლობით, როგორც სტალინმა ჩაგვნიხლა და დაგვანელა... თუ 24-ში, თუ 37-ში, — მთელ საქართველოს რომ თავი მოსჭრა, თუ ომის დროს, პროცენტულად, ამოდენა ქართველების განადგურებითა და ზვარაკის შეწირვით! მთელი თავისი მეფობის მანძილზე ის ხომ იმპერიის მამად და წინამძღოლად სთვლიდა თავს და ასეც იყო. ჰოდა, ადექი ახლა, ჩემო გოგო, ადექი, სუფრა გაშლილია და ჩვენ გველოდებიან." და სულ ძალისძალით ააყენა, მაგრამ რა, ერთიორი კოვზი ჩიხირთმა შეხვრიპა და ეგ იყო, ხორცს კი, სხვა დროს ასე რომ უყვარდა, პირი არ დააკარა. სადილობის დროს ირაკლი სპეციალურად ლაპარაკობდა სტალინის კაიკაცობის შესახებ და საერთოდ ქართველების სავალალო გატაცებაზე მარქსის იდეებით, ... ასე რომ არ ყოფილიყო და ილიასთვის არ ეგანათ, ვინ იცის ჩვენც ფინეთივითა და პოლონეთივით გამოვეხსნებოდით რუსეთის კლანჭებსო. თან როდამს გადახედავდა ხოლმე, რომელიც თავდახრილი, განურჩევლად დაჰყურებდა ქათმის ფრთასა და თეძოს.

დეპრესიის ამ შემოტევების დროს უარყოფისა და უიმედობის შხამიანი ნესტარი მიმართული იყო საკუთარი თავისა და ირაკლის წინააღმდეგ. ჩემი მონოდება სულ სხვა იყო, მე სულ სხვა გზას დავადექი და გავიმრუდე ცხოვრებაო. მეო ბავშვობიდან ლიტერატურას არაფერი მერჩია, სულ ყოველთვის ჩაბმული ვიყავი ლიტერატურის წრეში და ჩემისთანა თემებს, ქარ-

თულშიც და რუსულშიც ვერავინ წერდა, და მარტო თემებს კი არა, ლექსებსაც, და ჩვენების ჩიჩინმა ამაცდინა სწორ გზასო. გული აეყრებოდა ხოლმე თავის პროფესიაზე, აღარც პოლიკლინიკაში უნდოდა წასვლა და არც სახლში, თავის კაბინეტში შესვლა, სხვა დროს გამოსვლა რომ არ უნდოდა. მოეძალებოდა საშინელი სისუსტე, აივსებოდა ეჭვებით და დანა პირს არ უხსნიდა. და ამ დროს საწყალი ირაკლი ხდებოდა მისი სამიზნე: ირაკლის გატაცება თავისი პროფესიით, ლექციებისა და გაკვეთილების მომზადება, საჯარო გამოსვლები, სტუდენტების მისვლა-მოსვლა, ახალგაზრდების ტკრციალი, ისტორიულ პირთა გასამართლება, რაც მაშინ მოდაში იყო, ყველას ძალიან იტაცებდა და სწორედ ირაკლის თაოსნობით ეწყობოდა დიდად დრამატული საღამოები, ყველაფერი ეს როდამს ძარღვებს უწენავდა, უსასოობაში აგდებდა, ეჩვენებოდა, რომ ირაკლი განსაკუთრებით გააქტიურდებოდა ხოლმე მისი დეპრესიების დროს. ჩემი ქმარი თავისი საქმიანობით ხარობს, მე კიდევ მთელი სიცოცხლე პირის ღრუს, კარიესიან კბილებსა და ჩირქოვან ღრძილებს უნდა ჩავჩერებოდეო, და ცხადია, არ ვეყვარებიო, ან რატომ უნდა ვუყვარდეო? და თავიანთი კატა ფუნჩა კალთაში რომ ჩაესვა ირაკლის, და მოჰფერებოდა, ისიც კი აუგემურებდა, კატაც ჩემზე მეტად უყვარსო, დაასკვნიდა თავისდა სავალალოდ. ერთი სიტყვით, თვითონვე ჭრიდა და კერავდა. ირაკლი კი ფიცი-მტკიცისა, ალერსისა და რწმუნებების შემდეგ უიმედოდ გადაიქნევდა კისერს: ყველა სიკეთესთან ერთად, რა ულოგიკო რამ არის ეს დეპრესიაო. ასე ეგონა ბოროტმა ავსულმა შეულოცა და სრულიად გამოუცვალა როდამს ბუნება. მაინც კი სიყვარულით და მოთმინებით იყო სავსე... ყველას უკვირდა: ვინ წარმოიდგენდა, რომ ირაკლიცა და ლევან ზაუტაშვილიც, იმ შუშპარობის შემდეგ, ასეთი სანიმუშო ქმრები და მეოჯახეები დადგებოდნენო, ეტყობა მოიკლეს ახალგაზრდული სრბოლისა და ჭიხვინის ჟინი და ახლა აღარსაით იყურებიან და შესცინინებენ თავის ცოლებსო. მართლაც ასე იყო, განთავისუფლდებოდა თუ არა, ირაკლი თავქუდმოგლეჯილი მოჰქროდა სახლისკენ, მით უმეტეს როდამის დეპრესიის დროს. ბულვარის წინ ჩამომსხდარი ქალაქის ინტელექტუალები დაინახავდნენ სახლისკენ გაჩქარებით მიმავალ ირაკლის და დაუძახებდნენ: „მოდი, კაცო, ან ავი

გვითხარი, ან კარგი, ხმა გაგვეცეიო!“ აბაა!? ხელს დაუქნევდა, სხვა დროს იყოსო, და გაიქცეოდა. მაგრამ დეპრესიის მოძალებისას როდამის გულის მოგება და გახალისება თითქმის შეუძლებელი იყო. ვითომ ათასი მიზეზი ჰქონდა ეჭვებისა და სასოწარკვეთის. ფსიქიატრმა უთხრა ირაკლის, სამწუხაროდ, როდამის დეპრესია ენდოგენურია და სტრესი შეიძლება მხოლოდ მაპროვოცირებელი იყოსო, ჩასვი ბროლის კოშკში, მაინც დაემართებაო, მაგრამ დროთა განმავლობაში შეიძლება კიდევაც გაუაროსო. და ამიტრიპტილინს უწერდა ხოლმე. მთელი ოთხი წელი არ დაორსულდა და ზოგჯერ ამასაც მოიმიზეზებდა თავისი უვარგისობის დასადასტურებლად და ცხადია, ზაფრა ახალი ძალით მოეძალებოდა. ირაკლი სანიმუშო მოთმინებასა და სიყვარულს იჩენდა, თუმცა არ იმჩნევდა, ითრგუნებოდა და ღიზიანდებოდა. მაგრამ აი, გადაუვლიდა როდამს ზაფრა და სასოწარკვეთა, ჩვეულებრივად წამოცქრიალდებოდა და ისევ მოსიყვარულე და ალერსიანი, მზრუნველი და მშრომელი, მიმზიდველი და საყვარელი როდამი იყო. და ირაკლიც ახალი ძალით ენაფებოდა სიყვარულსა და ბედნიერებას. ერთ მშვენიერ დღეს ახარა კიდეც ირაკლის, ორსულად ვარო. გაბრწყინებული სიხარულს აფრქვევდა, შვილი გვეყოლება და ნახავ, მთელი ჩემი არსებით ვგრძნობ, ყოველგვარი ზაფრა და მელანქოლია თავს დამანებებსო. ბიჭი თუ გაჩნდა, მალხაზი დავარქვათ და გოგოს კი მაიკოო, ჩემი დედამთილის სახელიო, მაგრამ რამდენადაც ორსულობა კარგი ჰქონდა, თუ არ ჩავთვლით ზოგჯერ კბილების ტკივილს, იმდენად მშობიარობა ძალიან მძიმე. მთელი სამი დღე იტანჯებოდა. და ბოლოს, რომ გააჩინა ეს ნანატრი ბავშვი, აღარავითარი ინტერესი არ გამოუჩენია და არც დაუხედავს. ბედად რძეც არ ჰქონდა და პაწია ბიჭს ხან რომელ მშობიარეს მიუსვამდნენ, ხან რომელს, ვისაც რძე საკმაოდ ჰქონდა. განა არა, სკოლის მეგობარმა, კარგმა გინეკოლოგმა, იათამზე შამანაურმა დასაწყისშივე ურჩია ირაკლის: ფსიქიატრს მოელაპარაკეთ, მშობიარობას როდამისთვის უკუმაჩვენებელი არ ჰქონდესო, ... ირაკლიმ, ცხადია, მაშინვე მოინადინა როდამთან ერთად თბილისში წასვლა საკონსულტაციოდ. მაგრამ როდამმა აჰკრა ქვა და შეუშვირა თავი: ასე კარგად ჩემ სიცოცხლეში არ ვყოფილვარ და არავითარი ფსიქიატრი მე აღარ დამჭირდებაო. ახლა კი

ჩვილი მალხაზი სამშობიაროში დატოვეს, სანამ ძიძას უშოვიდნენ, — როდამი კი მოიყვანეს სახლში, მაგრამ ძირითადად ინვა, საშინელი სისუსტისა და გაუვალი მელანქოლიის გამო. ზოგჯერ ადგებოდა, ლანდივით გადაივლიდა აივანს, ჩავიდოდა ეზოში, ტირიფის ქვეშ დაჯდებოდა და იჯდა ასე ერთხანს, დადუმებული და მწუხარე. ირაკლი სავსე იყო სიყვარულით და თანაგრძნობით, თან ჰყვებოდა, ყოველ თავისუფალ წუთს გვერდიდან არ შორდებოდა და იმედოვნებდა, როგორც სხვა დროსაც, ახლაც გადაივლიდა ეს შემოტევა, დღეს-ხვალ გამოიხედავდა, ძველებურად შეიფრთხიალებდა, მოიკითხავდა მალხაზსაც, რომელსაც შალაურში უშოვეს ძიძა, — მათი მერძევის ქალმა მოიმშობიარა იმ ხანებში და რძე ბლომად ჰქონდა, — და ისევ ბედნიერები იქნებოდნენ. მართლაც, ერთ დღესაც მოეხვია ირაკლის, აკოცა, გაუღიმა და უთხრა უკეთ ვარო, მხოლოდ კბილი მაწუხებს, დავლევ ანალგინს და გამიყუჩდებაო. მერე შუაღამისას გააღვიძა ირაკლი, ძალიან შემაწუხა კბილმა, დარიშხანს ჩავიდებ, საქმეს წინ წავწევ, ხვალ წავალ და ვარიას დავამუშავებინებო, და თუ ხათრი გაქვს, გამომიტანე კაბინეტიდან დარიშხანის მუცლიანი შუშაო. ირაკლი ადგა, გამოუტანა, მისცა, ... პატარა პინცეტიც უნდა მომიტანო, რომ დარიშხანი კბილში ჩავიდოო, ... და რომ მიბრუნდა, ვითომ პინცეტისთვის, შუშა მთლიანად მოიპირქვავა და მთელი დარიშხანი გადაყლაპა. საშინელი ტანჯვით კვდებოდა... გულმუცელი მეგლიჯება და მიშველეთო... აბა, სასწრაფო, აბა, ამორეცხვები, აბა, ეს, აბა, ის, აღარაფერმა აღარ უშველა. მორფი გაუკეთეს დიდი დოზა, მშვიდად წასულიყო. გამთენიისას გარდაიცვალა. ირაკლი ლამის თმებს იგლეჯდა და კედელს თავს ახლიდა, ვაებით იყო მოცული, ღამით ძილი აღარ ჰქონდა და დღისით ადგილს ვერ პოულობდა. თავისთავად ძნელია გლოვა და გოდება, მით უმეტეს, როცა მას დანაშაულის განცდა და სინდისის ქენჯნა ერთვის, ... ვერა და ვერ პატიობდა თავს, რომ საკუთარი ხელით მიანოდა დარიშხანიანი შუშა, რომ ვერ მიხვდა, ვერ მიხვდა, ვერ მიხვდა! ღმერთო ჩემოო, ვალალებდა, ნეტავ როგორ იტანდნენ ისტორიული პირები, ქვეყნის წინამძღოლები, ამდენ შეცდომებსო, მილიონობით ხალხი რომ ენირებოდა მათ დაუფიქრებლობასა და განუჭვრეტლობასო, სისხლით რომ ირწყვებოდა და გადაწითლდებოდა მთელი ქვეყანაო... და რამდენი

ფიქრი, რამდენი ოცნება, რამდენი გულისძგერა, რამდენი ნიჭი და ტალანტი, და რამდენი სიყვარული... სიყვარულიო... შენირვია მათ შეცდომას, უგონობას და უმეცრებასო... და მოკლულთა გორებს ხედავდა... მაგრამ არავისი შეცდომა და თავზეხელაღება არ ამშვიდებდა, დარწმუნებული იყო, მთელი სიცოცხლე ამ კირთებით უნდა ევლო და ამ ცოდვას, მძიმე ლოდად რომ დასწოლოდა, გამოსყიდვა და მონანიება არ ეწერა... მით უმეტეს ხშირად შავბნელი ეჭვები ანვალებდა და სტანჯავდა: ვინ იცის, იმიტომ ვერ მივხვდი, იმიტომ ვერ ვიგრძენი, იმიტომ ვერ ამოვიცანი როდამის საშინელი განზრახვის შესახებ, რომ ქვეშეცნეულად სწორედ მისი სიკვდილი მინდოდაო, გავთავისუფლებულიყავი მძიმე ზაფრისა და შავნაღვლიანობისაგან, გადამდები სენივით ზოგჯერ მეც რომ ჩამითრევდაო. ასეთი ეჭვები ხომ თავგზას უბნევდა და სიცოცხლეს კიდევ უფრო უმწარებდა.

ხან კი პირიქით, ბრაზითა და რისხვით ივსებოდა: რა დაგიშავე, რა ჯავრი გჭირდა ჩემი, რომ ასეთ სატანჯველში ჩამაგდეო, ისე მიმართავდა, ისე საყვედურობდა, თითქოს ცოცხალი ყოფილიყოს. და მაშინვე ტკივილი და შეცოდება აიტანდა, რომ მას შეუძლია ხან აღშფოთდეს, ხან განრისხდეს, ხან ივაგლახოს, ხან ეჭვებმა მოიცვას... ცოცხალი ადამიანი ცოცხალი განცდით აივსოს, ცოცხალი... ცოცხალი... თუნდაც საპირისპირო განცდების შხამიანი თაიგულით მოიშხამოს... ის კი აღარ არის ამ ქვეყნად, ახალგაზრდა და მშვენიერი, ის კი შავი მიწის მკვიდრია, ჯვარი დაესვა მისთვის ყოველგვარ განცდას, ... ეს იყო, ესა, მოუნელებელი და სავალალო. და მკვდარი როდამი უფრო მეტადაც შეიყვარა, ვიდრე ცოცხალი უყვარდა. ამ სიყვარულმა, ბრალეულობის ამ სიმწარემ — ამ უბედურებამ კი ის შედეგი გამოიღო, რომ ყოგველგვარი სურვილი სხვა ქალის, სხვა სიყვარულის, ოჯახის მოკიდების დაუწრიტა და გაუქრო, წყარო რომ დაწყვიტონ და დააშრონ, აი, ასე. მაგრამ ახალგაზრდა, ჯანსაღი კაცი, როგორც უნდა დათრგუნული და ჩაშეშებული იყოს მძიმე ტრავმით, როგორი ბრალეულობის განცდითაც არ უნდა იყოს მოცული, როგორი აღთქმაც უნდა ჰქონდეს დადებული საყვარელი ცოლის კუბოსთან, ხომ შეუძლებელია დროთა განმავლობაში თავი არ წამოყოს სურვილმა, ხომ შეუძლებელია არ იგრძნოს სისხლსავსე ცხოვრების წყურვილი, წყურვილი სიყვარულისა

და ბედნიერების. და ირაკლიც მადლიერებით იყო აღსავსე ქალაქის განათლების განყოფილების გამგის მიმართ, რომელმაც სულ ძალისძალით ააღებინა საგზური ახალი ათონისა, რადგან თვითონ ვეღარ მიდიოდა რაღაც სასწრაფო საქმეების გამო და საგზურის გაუქმება არ უნდოდა. ირაკლი კი მთელ ზაფხულებს დედასთანა და თავის პატარა ბიჭთან ატარებდა, თუ მიდიოდნენ, ბორჯომის ხეობა იქნებოდა, თუ თელავთან ახლოს მდებარე თეთრწყლები, ერთად მიდიოდნენ. როდამის სიკვდილის შემდეგ ის პირველი წასვლა იყო ზღვაზე, და წუხდა კიდეც რომ თავისიანების წაყვანა არ შეეძლო. მშვენიერი ერთადგილიანი ნომერიც მისცეს, ხედით ზღვისკენ. დაუყოვნებლივ გავიდა პლაჟზე, საუზმის წინ, ზღვას გადავხედავო. ყველა უკვე სასადილოსკენ მიდიოდა, პლაჟი ცარიელდებოდა, ... მაშინ, დაინახა ის ქალი, ზღვიდან ამოდიოდა... ირაკლის თვალი გაუშტერდა... მშვენიერი სხეული ჰქონდა, თხელი, მაგრამ სალუქი, ძალიან ვიწრო წელით და საკმაოდ მოზრდილი, წინ წამონეული მკერდით, „სექსუალური ენერგიით სავსეაო" თავისდა მოულოდნელად გაიფიქრა ირაკლიმ, „და ყველაფერი... ბარძაყებიც, გრძელი ფეხებიც... რა მიმზიდველი აქვსო..." როდამის შემდეგ შიშველი სხეული აღარც ენახა, აღარც მიელტვოდა და ეგონა კიდეც, რომ ვერასდროს ვეღარავინ ააღელვებდა. მთელი მსოფლიო სექსშია ჩაფლული და როგორმე გაუძლებს ერთი ბედკრული კაცის განზე დგომასო, გაიფიქრებდა ხოლმე.

მიბრუნდა და სასადილოსკენ წავიდა. ყველა უკვე საუზმობდა, კუთხეში, დიდ ფანჯარასთან იყო მიდგმული ორადგილიანი მაგიდა, და სწორედ იმ მაგიდისკენ მიუთითა სასადილოს მსახურმა. და ის ქალიც, მხრებზე უხვად მიმობნეული თმებით სწორედ მის მაგიდასთან მოიყვანა წეღანდელმა კაცმა. ქალს ღრმად ამოჭრილი ჭრელი სარაფანი ეცვა და ირაკლის მაშინვე თვალში მოხვდა მკერდის ღარი, თვალი მოარიდა, სახეზე შეხედა და მიესალმა.

„არაჩვეულებრივი ზღვაა... ცოდოობაა დროის გაცდენა." თქვა ქალმა და ფაფით სავსე თეფში განზე გასწია.

„წარმოიდგინეთ, გემრიელი ფაფაა." თქვა ირაკლიმ, „რა სასიამოვნო ხმაცა აქვსო," გაიფიქრა.

„არა, მე ფაფას არასოდეს არ ვჭამ." თქვა ქალმა.

„გავიცნოთ არა ერთმანეთი?“ ირაკლიმ გაუღიმა ქალს, „მე ირაკლი მქვია.“

„მე კი ზიზი.“ თქვა ქალმა, ფაიფურის ჩაიდნიდან ჩაი ჩამოისხა, და სალათიანი თეფშიც გადადგა ნაპირას.

„სალათზეც უარს ამბობთ? როგორც ჩანს, აქ გემრიელად ამზადებენ.“

„როგორც უნდა ამზადებდნენ, მხოლოდ ჩაი, პატარა ნაჭერი პური და ყველი.“ ქალმა არც კარაქი წაუსვა პურს, მხოლოდ ყველიანი ბუტერბროდი მცირე ლუკმებად დაჭრა. ირაკლიმ წარბები აწკიპა, ზღვაში ბანაობის შემდეგ რატომ უნდა იკიკნებოდეს ამხელა ქალიო. თქმით კი, ცხადია, არაფერი უთქვამს, ერთხანს ჩუმად განაგრძეს საუზმობა, მერე კი ქალმა სახეში შეხედა ირაკლის: „Мне мало надо, краюшку хлеба, и каплю молока. /Да это небо, /да эти облака“. ქართულად ეს ალბათ, ასე იქნება“ განაგრძო ქალმა და დაფიქრდა... „მე ცოტა მინდა, ... პურის ნატეხი, და წვეთი რძისა, ... და ეს ღრუბლები და ნაგლეჯი ცისა.“ ირაკლის გულმა რეჩხი უყო. შინაგანად გაფაციცდა, ასე ეგონა შეჯიბრში გამოიწვიეს: „მე ოდნავ შევცვლიდი ქართულ სტროფს. „მართლა? აბა, როგორ?!“ დაინტერესდა ქალი.

„მცირედი მინდა, პურის ყუა და ქოთანი რძისა, ... ქულა ღრუბლები... და... თავანი ცისა.“ „ბრავო,“ თქვა ქალმა და ხელი გამოუნოდა, „ქოთანი ტეხავს, თორემ დანარჩენი ჩემსაზე უკეთესია.“ ირაკლიმ ხელი ჩამოართვა და ესიამოვნა; „გეთანხმებით, იქნებ პეშვი აჯობებდა, მაგრამ „პეშვი წყალი“ შეიძლება და რძეს თითქოს არ უხდება.“

„გიყვართ პოეზია?“

„მე მგონი... ჩემი აზრით, ისტორიისა და პოეზიის მუზები დები არიან.“

„ესე იგი თქვენ ისტორიკოსი ხართ?“

„დიახ.“

„მე კი ფილოლოგი და გამოდის, რომ ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოდნავ მსგავსი.“ ქალმა გაიცინა, ქათქათა კბილები გააელვარა და ირაკლიმ გაიფიქრა, როდამი იტყოდა, რა დიდებული ფასადი აქვსო. „აბა უყურეთ, თქვა ირაკლიმ, „თქვენ უკვე ამთავრებთ თქვენს ჩაის და მე ჯერ სალათაც არ დამიმთავრებია.“

„რა არის, იცით, წლების წინ მე მძიმე ავარიაში მოვხვდი, თეძო

მქონდა ამოვარდნილი და ჩამოტეხილი, დიდხანს ვინექი საავადმყოფოში... სრულიად მოვრჩი, მაგრამ მკაცრად გამაფრთხილა ჩემმა ექიმმა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წონაში მომატება და აგრეთვე აუცილებელია და უებარი ცურვა, ცურვა და ცურვა, ამიტომ ცოტას კიდევ გავცურავ, სანამ ჩამოცხება... ცოტას ვივარჯიშებ კიდეც, ესეც ჩემთვის აუცილებელია."

„შეიძლება მეც შემოგიერთდეთ? აქ არავინ მყავს და არავის ვიცნობ..."

„სხვათა შორის, მეც მარტო ვარ..." თქვა ქალმა, „იცით, ალბათ, ცურვა, არა?"

„რა თქმა უნდა, ალაზანზე მაქვს ნასწავლი, ჯერ კიდევ პატარა ბიჭობაში."

„კარგით აბა, მე განაპირას ვიქნები, ევკალიპტებთან." თავი დაუკრა და წავიდა.

აშკარა იყო, ერთმანეთი თვალში მოუვიდათ. ირაკლიმ მღელვარება იგრძნო, თან შიშმა გაჰკრა: ვაითუ ამდენი მარხულობის შემდეგ ვეღარაფერი მოვახერხოვო. მაშინვე კი გაეცინა თავის თავზე: რა უცნაურად არის კაცი მოწყობილიო, ამდენი ხანი ვიყავი თოვლში ჩაჩუმქრულივით, აღარაფერზე ვფიქრობდი, და ახლა კი, ასე ერთბაშად და მოულოდნელად ისე წამოვყავი თავი, ვითომ ეს მშვენიერი ქალი ჩემს დაძახებას უცდიდესო. არადა, როგორც სულ მალე გამოირკვა, თურმე უცდიდა, სიყვარულს, ღირსეულ კაცთან შეხვედრას სულმოუთქმელად უცდიდა. ისინი ორივე დიდი და ხანგრძლივი მარხულობის შემდეგ შეხვდა ერთმანეთს, სულიერი ტრავმებით გამონვეული სასიყვარულო და სექსუალური მარხულობისა. იმავე საღამოს, მზის ჩასვლისას, ევკალიპტის ჩრდილში ჩამომსხდრებმა უამბეს ერთმანეთს თავისი ამბავი. ზიზის ქმარი ჰყავდა თურმე, დიდი სიყვარულით შერთული. მთელი სტუდენტობა ხელიხელჩაკიდებულები დადიოდნენ. ორი წლის გათხოვილი იყო, მარტვილში წავიდნენ ბებია-ბაბუასთან. „მერაბი, იცით, არაჩვეულებრივი ვინმე იყო, ისე უყვარდა თავისიანები..." ირაკლიმ იფიქრა, ისე წარმოთქვამს თავისი ქმრის სახელს, ეტყობა ახლაც ცოცხლობს ამ მშვენიერი ქალის გულშიო..." იყო ერთი გადაპატიჟება, ლხინი და დროსტარება, სწორედ ბებია-ბაბუამ უყიდეს მერაბს თავისი დანაზოგითსაქორწილო საჩუქრად „მოსკვიჩი". იქიდან რომ წა-

მოვედით, მთელი გზა კარგად ვიარეთ და გორის ჩამოსასვლელ-
თან ერთი წუთით, სულ ერთი წუთით ჩასთვლიმა მერაბს. ვერ
ვპატიობ ჩემს თავს, ვერ ვგრძნობდი თავს კარგად, ფეხმძიმედ
ვიყავი და ყურადღება მქონდა მოდუნებული. აი, ის ერთი წუთი
აღმოჩნდა საბედისწერო. იცით, კატასტროფა ერთ წამში ხდე-
ბა, სულ ერთ წამში... თვალის დახამხამების უმალ ჩაჩეხილები
აღმოვჩნდით. მერაბი გორის საავადმყოფოში გარდაიცვალა.
მე ისე მძიმედ ვიყავი, კომოციოც მქონდა, ჩემთვის არც უთქ-
ვამთ, მერეღა გავიგე და წარმოიდგინეთ რა დამემართებოდა,
სიცოცხლეც აღარ მინდოდა, მანქანაში უკან ბიძაშვილი იჯდა
თავისი ცოლით და კიდევ კარგი, განაკაწრიც არ ჰქონიათ, საღ-
სალამათად გადარჩნენ."

ირაკლიმ როცა გაიგო, რომ ეს ამბავი შვიდი წლის წინ მოხ-
და, მაშინ როცა როდამიც დაილუპა, იფიქრა: ნამდვილად გან-
გებას სურდა ჩვენ ერთმანეთს შევხვედროდითო. „მოდით,
წავიდეთ კურზალში და ვიცეკვოთო!" უთხრა ქალს, „ისე მო-
მინდა ჩვენი მწუხარე ამბების შემდეგ, ლამის ციბრუტივით
ვიტრიალოთ, ... განა თქვენ არაო?!" მაგრამ ცეკვის დროს ისე
აღელდა, ვერ ითმენდა, ზიზი მტკიცედ არ მიეხუტებინა გულ-
ზე, რომ მისი მკერდის შეხება ეგრძნო. თავის თავს ტუქსავდა
და უწყრებოდა, რა მომივიდა, ვითომ პატარა ბიჭი ვიყო, მოუთ-
მენელი და აზვირთებულიო. არადა ერთი სული ჰქონდა, გამო-
ეცადა თავი, აღმდგარიყო და აღორძინებულიყო. თან ეშინოდა,
ჩემი აბობოქრებით არ შევაკრთო და არ დავაფრთხოო. ეცადა
კიდეც ერთი-ორჯერ გარე-გარე ევლო, ბაზარი იქნებოდა თუ
ფოსტა, თუ ვესტიბულში დარჩენა და ჭადრაკის თამაში. მაგრამ
რა ექნა ერთად ცურაობისა და ცეკვის დროს, როცა ძლივს იკა-
ვებდა თავს გულში არ ჩაეკრა და ხელი აღარ გაეშვა. ერთხელ
კი თავი გაიმამაცურა, შეუძლოდ ყოფნა მოიმიზეზა და არ წა-
ვიდა კურზალში საცეკვაოდ. ავიდა თავის ოთახში, და ვითომ
კითხვით უნდოდა თავის შექცევა. ტაციტუსის ტომი ჰქონდა
წამოღებული, წარსულის ისტორიკოსებიდან განსაკუთრებით
აფასებდა ტაციტუცსა და თუკიდიდეს, მაგრამ ვერასგზით ვერ
აიძულა თავი რომის ამბებში ჩართულიყო. ღმერთო დიდებუ-
ლოო, ვალალებდა, ასე ხუთიოდე დღის წინ გაცნობილ ქალს რა
ვუთხრა ამ სერიოზულმა კაცმა, როგორ ვუთხრა, რომ ამდენი

წლების შემდეგ, როცა მეგონა, რომ ყველაფერი ჩამიკვდა და ჩამიშეშდა, იმ საშინელმა ტრავმამ, გლოვამა და ბრალეულობის აკვიატებულმა შეგნებამ, ყოველგვარი სურვილი მომისპო და იმასაც კი ვფიქრობდი ხოლმე, ჩემი ბოლო, ალბათ, მამათა მონასტერიაო, როგორ ვუთხრა, ისე აღმიტაცა შენთან შერწყმის სურვილმა, აღარაფერზე, სხვაზე არაფერზე ფიქრი აღარ ძალმიძსო. და წვალობდა და იტანჯებოდა... და გადაწყვიტა ერთიორი დღით სოხუმში წასულიყო, სტუდენტობის დროინდელი ამხანაგი ჰყავდა, ვისთან მიწერმოწერაც განაახლა ამ რამდენიმე წლის წინ, თბილიში კონფერენციაზე შეხვედრის შემდეგ. ცოლი კახელი ჰყავდა. სიღნაღელი ქალი და შარშანწინ, ზაფხულში თელავშიც ამოვიდნენ ირაკლის სანახავად. კარგი დროც გაატარეს, ირაკლიმ შემოატარა ალავერდი, გრემი და კვეტერა. ჰოდა, ახლა, ზიზის სურვილით ატანილმა, იფიქრა წავალ, გავივლ-გამოვივლი, შარმაზანსაც ვნახავ და ასე სულელურად, პატარა ბიჭივით აკვიატებულ სურვილსაც იქნებ გავფანტავო. მართლაც, გაუხარდათ ირაკლის სტუმრობა, მშვენიერი ღვინო ჰქონდა შარმაზანს, აფხაზურაც შეუბრანეს, კარგადაც მოილხინეს, ერთად ყოფნით გაიხარეს, გაიარ-გამოიარეს, კარგადაც მოასვენეს და მხოლოდ მეორე დღესღა, მზის ჩასვლისას დაბრუნდა ახალ ათონში. და მაშინვე დიდი ევკალიპტისკენ წავიდა. ზიზი მარტო იჯდა და ირაკლის მოსვლა შეიცხადა: სადა ხართ და როგორ ხართო. რაღა არ წარმოვიდგინე, გუშინწინ რომ ამბობდით შეუძლოდ ვარო, ამოვედი, ჩამოვედი და ვერსად გნახეთო. ისღა ვიფიქრე, ეტყობა მობეზრდა სულ ჩემს საზოგადოებაში ყოფნა და გამერიდაო.

„რას ამბობთ, ზიზი!“ აღმოხდა ირაკლის, ზღვას გახედა და შეყოვნდა, თითქოს რაღაც უნდა ეთქვა. მერე საყვედურით დაამატა: „ეგ რამ გაფიქრებინათ...“

ზიზიმ გაიცინა: „ესე იგი გული შიგნით მქონდეს?“

„ლექსად გითხრათ?“

„აბა, რაა!“

„მცირე ფიალა აივსება ჭვირვალე ღვინით, მწვანეზე ხალის შეგვეძლება გაშლა დროისად, არ მოხვალ განა – სიყვარულით განვლიოთ ღამე: მალე ხომ ნაპირს შემოდგომის სუსხი მოიცავს.“

„ბო-ძიუ-ი!" შესძახა ზიზიმ, „ჩემი უსაყვარლესი ბო-ძიუ-ი! მაგრამ მაპატიეთ, შეუძლებელია ბოს ეთქვა „სიყვარულით განვლიოთ ღამეო", ის ხომ მეტად თავაზიანი და თავშეკავებულია, ის ამბობს „მუსაიფითო, მუსაიფით განვლიოთ ღამეო."

„ვიცი, ვიცი, ბოდიშს გიხდით, თქვენს სიახლოვეს ასე წამომცდა, რა თქმა უნდა, ბოს ლექსებში მაღალი ჩინოვნიკის ეტიკეტიც იგრძნობა, კდემამოსილებაც, სრულიად არაქალური, და ისეთი თავაზიანობა, გამჭვირვალე სევდა, ის ისეთი ურისხველია და თვინიერი, შვებითა და სიამით გავსებს... უნდა გითხრათ, ჩემი დიდი წუხილის დროს ძალიან მშველოდა ბო-ძიუ-ი, სწორედ მაშინ გამოვიდა პატარა შავი წიგნაკი, ნარინჯისფერი შტოთი, თამაზ ჩხენკელის თარგმანი, გამუდმებით ვკითხულობდი ხოლმე, განსაკუთრებით უძილო ღამეებში და ვერ წარმოიდგენთ, რა მადლიერებით ვივსებოდი იმ შორეული, ზნეკეთილი ბოსა და თამაზ ჩხენკელის მიმართ..."

ზიზი აქამდე ზღვას გაჰყურებდა და ისე უსმენდა ირაკლის, ახლა კი მკვეთრად შემობრუნდა, შეხედა, შეიძლება ითქვას, „შეანათა" თავისი დიდი თვალები, ჩამავალი მზის შუქზე მუქმწვანედ უციმციმებდა, ირაკლის მოეჩვენა, რომ მომაჯადოებლად და მომნუსხავად, და ძლივს შეიკავა თავი არ მოხვეოდა და არ ეკოცნა.

„მიხარია თქვენგან ამის მოსმენა," ამბობდა მღელვარედ ზიზი, „თამაზ ჩხენკელი ხომ ჩემი დროის სტუდენტია, ორი-სამი წლით იყო წინ, და პირველად რომ გამოქვეყნდა ეს თარგმანები, ჩვენ პირველი მკითხველები ვიყავით, და მაშინვე ვიგრძენით, რომ ეს ნამდვილი მოვლენა იყო, ბო-ძიუ-ი ხომ სრულიად ბუნებრივად დამკვიდრდა ქართულ პოეზიაში და ალბათ, იმის წყალობითაც, რომ თვითონ თამაზია ნამდვილი პოეტი, და ამასთანავე მომხიბლავი პიროვნება". ისინი ისხდნენ დიდი ევკალიპტის ქვეშ. ჩამავალი მზის კვალი ნარინჯისფრად ლივლივებდა... ერთხანს ჩაჩუმებულები გაჰყურებდნენ ზღვას, მერე კი ზიზი წამოდგა: „ვახშმობამდე ცოტას გავცურავ... თქვენ რას აპირებთ?" „იცით, ზიზი, ისე დამტვირთეს სოხუმში, თან კარგადაც ვსვით, ახლა უცებ თავიც ამტკივდა და ავალ ჩემს ოთახში."

„გაქვთ ანალგინი რომ დალიოთ?"

„ვნახავ რამეს...“ წელათრევით ადგა და ის იყო სანატორიუმისკენ უნდა წასულიყო, იქვე შემობრუნდა: „იცით, ზიზი, მე მეგონა ყავისფერი თვალები გქონდათ, თურმე მუქი მწვანე გქონიათ... და ძალიან ლამაზი.“

ზიზიმ გაიცინა, ხელი დაუქნია, ზღვისკენ მიდიოდა, გზადაგზა სარაფანს იხდიდა, ირაკლი გაჰყურებდა მის გრძელ ფეხებს და ჭმუნვითა და სურვილით ივსებოდა. თან მაინც იმედი უჭიატებდა, ვახშმის შემდეგ იქნებ შემომიაროს და დამხედოსო. მართლაც ასე მოხდა, ბორჯომის ბოთლი ეჭირა ხელში, აფთიაქი კი დაკეტილი იყო და ჩემთანაც ვერაფერი ვნახეო. ირაკლი სავარძელში იჯდა, ზიზი კი შუა ოთახში იდგა და ირაკლის უყურებდა, თითქოს მის დაძახებას უცდისო.

„მოდით, ზიზი, ჩემთან,“ თქვა ირაკლიმ, „ბოთლი მაგიდაზე დადგით, მაპატიეთ, რაღაც ძალაგამოცლილი ვარ.“

„ტკივილის მოთმენა არ შეიძლება, ხომ იცით, თუ დამაყუჩებელი არ დაგილევიათ, მე მსუბუქი მასაჟი შემიძლია გაგიკეთოთ თავზე, უებარი რამ არის, აუცილებლად დაგიყუჩებთ.“ „ოო, რა თქმა უნდა... რა თქმა უნდა...“ ლამის ამოიკვნესა.

ზიზი სავარძლის უკან დადგა და ორივე ხელი თმებში შეუცურა...

„ოო, რა სქელი თმა გაქვთ, და კარგი ხარისხის... თუ არ გსიამოვნებთ, არ მოგერიდოთ, იცოდეთ!“ ზიზი ნელა ამოძრავებდა თითებს, წრიული მოძრაობით...

ირაკლის მღელვარებისაგან მთელი სხეული უფეთქავდა... „მეშინია... გული არ შემიწუხდეს...“ „მე კიდევ თმებს დაგანიწკნით და გამოგაფხიზლებთ...“

„თქვენთან მინდა, ზიზი, ვიტანჯები... მოდით აქ, სახელურზე დაჯექით...“ მუდარით ჰქონდა ხმა სავსე. „არა, არა, მანდ ხომ შეგავიწროვებთ...“ გაიცინა ზიზიმ.

ირაკლიმაც გაცინება სცადა: „შემავიწროვეთ მერე რაც შეიძლება შემავიწროვეთ...“

„ხელს ნუ მიშლით, ირაკლი, მე ხომ თავი უნდა დაგიამოთ! თქვენ კიდევ, ვგრძნობ, მავნე ფიქრები გიტრიალებთ...“

„არავითარი მავნე, მე მხოლოდ თქვენი სიახლოვე დამიამებს თავსაც და ყველაფერსაც, ზიზი, სხვა არაფერი...“ ირაკლიმ მაჯაში მოჰკიდა ზიზის ხელი, მოატრიალა და კალთაში ჩაისვა.

ზიზი მინდობილად დაჰყვა.

„რა უცნაურია“, თქვა და ირაკლის თავი გულზე მიიხუტა, „ ... ასე მგონია ჩემს ფიქრებში იყავით ჩაბუდებული... დიდი ხანია... და ჩემი ფიქრებიდან დაიბადეთ... ნამდვილად ამიტომ ვიგრძენი გაცნობისთანავე ასეთი სიახლოვე... მიკვირს კიდეც, რომ სულ არ მიჭირს და პირიქით, მინდა კაბაც გადავიძრო, ... თქვენს წინ გავშიშვლდე... ტანჯვაც დაგიამოთ... მაგრამ მაინც თქვენ გამხადეთ კაბა, კარგით?“

ირაკლი სურვილით თრთოდა და კანკალებდა, მაინც სახელდახელოდ გადააძრო კაბა, სულ გააშიშვლა, აიყვანა ხელში, დააწვინა საწოლზე, თვითონაც იძრო ყველაფერი და გვერდით მოუწვა. სანამ დაეუფლებოდა მის სხეულს, სურდა ჯერ ალერსით აევსო, ხელებით, ტუჩებით განეცადა ყოველი ნაკვთი, ყოველი ხვეული ამ სასურველი სხეულისა, ეგონა ველარ, ველარ, ველარასოდეს ვერ მოწყდებოდა ამ მკერდს, ამ ტუჩებს, ამ ჩასხეპილ მუცელს... ყველაფერს... ყველაფერს... უძვირფასესი განძივით რომ განიცდიდა...

„თურმე რა მელოდა აქ, ... რა ბედნიერება... ზიზი... ზიზი, ... როგორ მინდა ზუსტად გამოვთქვა... ზუსტი სიტყვა ვიპოვო, რას მაგრძნობინებს შენი სხეული... ასეთი ჰაეროვანი და თან ვნებით სავსე... ჩემი აღმდგენელი... ჩემი სიხარული...“

„ირაკლი... ჩემო ირაკლი... ეს ხომ ჩვეულებრივი რამ არ არის... ჩვენ ხომ რამდენი ვიტანჯეთ... რამდენი განვიცადეთ... სანამ აქ მოვიდოდით... სანამ შენ დაეუფლებოდი მთელ ჩემს არსებას...“

„ისეთი ნაღვერდალი ჩამივარდა გულში, ამას განელება და ჩაქრობა აღარ უწერია, ზიზი... ჩემო ზიზი... მინდა სულ ვიძახო შენი სახელი...“

„იცი ირაკლი, ჩვენ იმდენი ხანი ვიყავით უსიყვარულოდ, ახლა ყველაფერი უნდა აღვიდგინოთ, ყველაფერი... ხომ მეთანხმები...“

„რა თქმა უნდა... აბა რაა, მინდა სულ შენთან ვიყო და სულ შენში ვიყო... არასდროს, გეფიცები, ახალგაზრდობაშიაც კი არა, ასეთი რამ არ განმიცდია, არა... ჩემი საწყალი ცოლი ისეთი მორცხვი იყო, არც შიშველი უნახავარ და არც შიშველი დამნახვებია, წარმოგიდგენია?“ „საწყალი ქალი, მართლა წარმოუდგენელია, ქალიშვილობის სიმორცხვე ჰქონდა, ალბათ, გამო-

ყოლილი, ვნება ხომ მომნიფებული ადამიანის კუთვნილებაა... ისე მეც არ ვყოფილვარ მერაბთან ასეთი თავზეხელაღებული, როგორც შენთან ვარ, და რა ბედნიერებაა, რომ შენ ასეთი გამოდექი. ვშიშობდი, იცი? — ვაითუ პროფესორია, წიგნების ჩრჩილი და ქალის გაუპატიურებაში მარჯვე არ იყოს-მეთქი, და რა ბედნიერებაა, რომ შევცდი..." იცინოდა ზიზი, „რომ ასეთი მაღალკვალიფიციური დიდოსტატი შემრჩი ხელში." „იცი, ზიზი, შევძრწუნდები ხოლმე, რომ წარმოვიდგენ ალექსანდრესთვის უარი მეთქვა და ახალი ათონის საგზური არ ამეღო... და ჩვენ ვერ შევხვედროდით ერთმანეთს..." „ეგ წარმოუდგენელია," ამბობდა ზიზი, „ჩვენი შეხვედრა განგების მიერ იყო განსაზღვრული! მე მჯერა!" „მართლა იცი, ნამდვილად ასეა." შუაღამე გადასული იყო, ისინი კი ისევ დანთქმული იყვნენ ვნებასა და სიყვარულში. ვერცერთი ვერ იოკებდა ერთმანეთის სურვილს, ასე ერთბაშად, ასეთი ძალით ამოფრქვეულს. ათი დღე იყო დარჩენილი საგზურის დამთავრებამდე და ორივე აქ ყოფნას თაფლობის თვედ სთვლიდა. და ათი დღე რას ქვია, ეს უნდა გაგრძელდეს და არ დამთავრდესო. და მართლაც ასე მოხდა. თბილისში რომ დაბრუნდნენ, ზიზის დედა, ელენე წყალტუბოში დახვდათ ნასული, ირაკლის ბიჭუნა მალხაზი ბებიას ჰყავდა ნაყვანილი მთელი ზაფხულით თეთრწყლებში. და ირაკლიმ გადაწყვიტა დარჩენილი დრო ზიზისთან გაეტარებინა და თავისი ურთიერთობა დაეკანონებინათ. რაღას უნდა ვუცადოთ, ბარემ ხელიც მოვაწეროთო. „რა თქმა უნდა, ჩემო იკაკუნა (ირაკლი ამასობაში იკაკუნა გახდა), მაგრამ მაინტერესებს, როგორ წარმოგიდგენია ჩვენი შემდგომი ცხოვრება? შენ თელავში გაქვს ოჯახი, დედა და ბიჭუნა, პაპა და სახლი, და მშვენიერი სამუშაო, მე კი თბილისში მაქვს ჩემი მეორე ოჯახი, ანუ უნივერსიტეტი და დედა..."

„ძალიან კარგად, ჩემო სიცოცხლე, თვითმფრინავს ოცი წუთი ჭირდება თელავიდან თბილისამდე, მანქანას კი ორი საათი, ჩვენ ისე უნდა გავანაწილოთ ჩვენი ცხრილი, რომ კვირის ბოლო ყოველთვის თავისუფალი გვქონდეს, მერე არდადეგებზე სულ ერთად ვიქნებით თელავში, შენცა და ქ-ნი ელენეც, და ნირი ჩვენი ცხოვრებისა იქნება საფუძველი ჩვენი მუდმივი სურვილისა და სიყვარულისა... აი, ნახავ თუ არა. ახლა მთავარია ჩემი პატარა ბიჭუნა გაიმეგობრო, და მჯერა, შენ ეს არ გიგიჭირდება,

არადა ისეა ჩემზე მონებებული, მეშინია ძალიან არ იეჭვიანოს."

სულ მალე მშვენივრად აეწყო ყველაფერი: ერთმანეთსაც გაუმეგობრდნენ თუ დიდი, თუ პატარა, ერთმანეთიც შეიყვარეს და ყოველთვის სიხარულითაც ელოდნენ ერთმანეთთან შეხვედრას. ზიზის ხომ არ შეეძლო თავისი სურვილი და ვნებათაღელვა სიტყვიერად არ გაეფორმებინა და ჩამოსვლისას ენად გაიკრიფებოდა ხოლმე: „რა ბედნიერებაა, რა სიხარულია, რომ უნდა გადავლახო ეს მანძილი, გადმოვიარო გომბორის გადმოსასვლელი, იქ დავლიო კამკამა, ცივი წყალი, გემრიელზე გემრიელი, გადმოვხედო დიდებულ სანახაობას, დათოვლილ კავკასიონს, მერე, მერე ბიბინა ველობებით დავიტკბო მზერა, მერე ეს ტანკენარი წიფლის ტყეები თეთრწყლებთან... მერე შუამთა... და ეს ყველაფერი... ყველაფერი... ვნებით მავსებს... შეხვედრის სურვილით მიასკეცებს... და უკვე მოუთმენელი გულისთქმა მეუფლება... რომ დავიძინო... თუნდაც სამარადჟამოდ... შენს მკლავებში, ჩემო ირაკლი... ჩემო სიყვარულო..."

და ასე იყო სულ... სულ... თითქოს წლები იყო თავისთვის და მათი სიყვარული მათთვის...

... ახლა კი, ამ საშინელი ბედუკულმართობის დროს, როცა ირაკლი მკვდარსა და ცოცხალს სოხუმის დაცემას შესტიროდა, ზიზი მის გვერდით არ იყო. და რომც ყოფილიყო, ვინ იცის რა იქნებოდა, ისინი უკვე ისე სხვადასხვანაირად აფასებდნენ მოვლენებს. ამ სამი დღის წინ სასაფლაოზე, შოთა ჩიტალაძის ჩასვენებისას, ელისო, შოთას ცოლი, მოთქმით მოუწოდებდა თავის გარდაცვლილ ქმარს: „დალოცე, შოთა, ჩვენი საწყალი ქვეყანა, დალოცე, შენ ხომ სიკვდილის წინაც, სანამ პირში სული გედგა, გმინავდი, ეს რა დაგვემართაო..."

ირაკლისაც გულმა გასნია თავისიანების საფლავებისკენ, ელისოს ბოდიში მოუხადა: კარგა ხანია სასაფლაოზე არ ვყოფილვარ, ჩვენების საფლავზე მივალ, დიდხანს არ შევყოვნდები, მაშინვე გამოვბრუნდები და შემოგიერთდებითო. სხვა დროს არასდროს მიელტვოდა საფლავებზე სიარულს, — ჩემიანები სულ ჩემთან არიანო, — მაგრამ დღეს კი საგანგებოდ წამოიღო სანთლები, რომ შოთას დაკრძალვის შემდეგ თავისიანებთანაც მისულიყო... და მართლაც, მიუახლოვდა თუ არა რკინის გრეხილი ჯებირით შემორაგულ საფლავებს, დაინახა თუ არა ფაი-

ფურზე აღბეჭდილი მიმზიდველი სახეები თავისი პატარა დის, ექვსი წლის იამზესი, და პირველი ცოლის, როდამისა, თვალი გადააავლო ბებია-პაპისა და დედის საფლავის ლოდებს, მაშინვე კუთხეში მირჩილული პატარა ყუთიდან ჩვარი ამოიღო, საფლავების გაწმენდას მოჰყვა, თან დედას ებუტბუტებოდა, რომ იცოდე, დედა, ასე და ასეა ჩვენი ამბავიო, და რა შვებას მომგვრიდა, შენი წუხილის ხმა რომ მესმოდესო... მერე სანთლები ჩაარიგა და რკინის ჯებირთან გამართულ სკამზე ჩამოჯდა... რაღაც უცნაური განწყობა დაეუფლა, შინ მოსვლის... აქამდე ის ყოველთვის თავიდან იშორებდა სიკვდილზე ფიქრს, რაც ასეთი ბუნებრივია და ჩვეულებრივი მისი ასაკის კაცისთვის. პირიქით, ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი მწვავე სურვული, ლამის მოვალეობად ქცეული, აუცილებლად ენახა თავისი ქვეყნის სიკეთე, ენახა ამღვრეული კატაკლიზმებიდან მშვიდობიან ნაპირზე გასული, ... და თავისი შვილიც, და საკუთარი შვილიშვილებიც! მოვალე იყო მათ ცოცხალი დახვედროდა! ისინი უნდა დაბრუნებულიყვნენ! რას ქვია, არ დაბრუნდებოდნენ! ამერიკას მათ გარეშეც ჰყავდა დიდი მეცნიერები, მათ გარეშეც ჰქონდა ქვაცა და კაკალიც. ისინი კი აქ უნდა ყოფილიყვნენ, თავის ქვეყანას წასდგომოდნენ, თავისი სახლკარისთვის მიეხედათ... აი, მაშინ დახუჭავდა მშვიდად თვალებს! მანამდე კი უნდა გადაეტანა ყველაფერი... განა დედაც სულ არ წერდა ომის დროს, ფრონტზე, ჩემო ბიჭო, არა გაქვს უფლება არ დაბრუნდეო, ცოცხალი არ გადამირჩეო, შეუძლებელია მამაჩემის ლოცვა, გულმხურვალე ლოცვა არ მოგეწიოსო, ცოცხლებსაცა და მკვდრებსაც შენს თავს ვავედრებთო... ახლა დაჰყურებდა თავისიანების საფლავებს და ფიქრობდა, ჩემი სამარეც აქ გაითხრებაო, აი, სწორედ ამ ნაპირას, იამზეს საფლავის გვერდითო. როგორ უყვარდა, და როგორ განიცადა, სახლში შესვლა აღარ უნდოდა... პატარა იამზე აღარსად იყო. თერთმეტი წლით უფროსი იყო და ფეხი აიდგა თუ არა, კუდბაწარასავით სულ უკან დასდევდა, ფეხბურთის სათამაშოდ რომ მიდიოდა და გაეტირებოდა, აიყვანდა ხელში, წაიყვანდა და იამზესთან ერთად დასდევდა ბურთს. მამას ხომ, როცა სახლში იყო, ან კალთაში ეჯდა, წამონვებოდა და გულზე დაისვამდა და ისე უამბობდა ზღაპრებს. ჩემი პატარა ყვავილი ხარ და იმიტომაც დაგარქვი იამზეო. ერთხელ ბოშებმა ჩა-

მოიარეს, გულაბი მწიფდა და დაგვაკრეფინეთ ცოტაოდენიო. იამზე ეზოში თამაშობდა და რომ დაინახეს, თვალი გაუშტერდათ, ისეთი ლამაზია, ამან როგორ უნდა იცოცხლოსო, თავის ქნევით თქვა ერთმა ხნიერმა ბოშა ქალმა. გაბრაზდა, გაბრაზდა ირაკლი, აღარ დაგაკრეფინებთ გულაბს, ისეთი საშინელი სიტყვა თქვითო, დაიფრინა ეზოდან, რაც დაკრიფეთ, ეგ იკმარეთო. მამა რომ დააპატიმრეს, იამზე გაიტანდა თავის პატარა, მოწნულ სავარძელს, ტირიფის ქვეშ დადგამდა, მამას უცდიდა, აქ უნდა დავხვდეო. ძლივს ამოიყვანდნენ სახლში, და სულ აიმედებდნენ, აი, დღეს დაბრუნდება, აი ხვალო. მენინგიტით გარდაიცვალა პატარა იამზე. მკვდარიც ისეთი ლამაზი იყო, თვალს ვერ აშორებდნენ. ირაკლისაც სჯეროდა, რომ უდანაშაულო მამა აუცილებლად დაბრუნდებოდა და ამას რომ წარმოიდგენდა, იამზეს სიკვდილით დამგლოვიარებულს წუხილზე წუხილი ემატებოდა, რა პირით უნდა შევხვდეთ მამას, იამზეს რომ ვერ დავახვედრებთო. მოიკითხავს თუ არა, სად არის ჩემი იამზეო, ვერა, ვერა, ვერ გავუძლებ, ავდგები და გადავიკარგებიო... ახლა კი ისე ცოცხლად წარმოიდგინა როგორ დაასაფლავებდნენ აი, აქ, პატარა იამზეს გვერდით, ესიამოვნა კიდეც, ვითომ თავისი პატარა და იქ უნდა დახვედროდა...

წყნარი, მზიანი ამინდი იდგა და სანთლები ნელა, შეურხევლად იწვოდა... სანამ ჩაიწვება ვიქნებიო... უყურებდა სანთლებს და სასოება ეუფლებოდა... სასოება იპყრობდა... და უნდოდა ელოცა... ელოცა... როგოც ელისოს, მასაც თავისი ქვეყანა შეევედრებინა გარდაცვლილთა სულებისთვის... და პატარა იამზესთვისაც...

... შოთას ქელეხისკენ მიმავალი გზადაგზა ფიქრობდა: რა შორიდან მოვდივართ, რა შორიდანო, ... პირველყოფილი რელიგიები ხომ ადამიანის მოკვდავობის ღრმა განცდამაც წარმოშვაო, და სწორედ მიცვალებულის კულტთან იყო დაკავშირებულიო, მიცვალებულის სულს უკმევდნენ გუნდრუკს, სთხოვდნენ, ევედრებოდნენ... და სულებს ესმოდათ, გრძნობდნენ და ესმოდათ... დედაჩემიც კი, ყოვლად ცივილიზებული და განათლებული ადამიანიო, სულიერი შეჭირვების დროს როგორ მიმართავდა თავის გარდაცვლილ მამას, პაპაჩემს, საშველადო. ახსოვს, მალხაზის ავადმყოფობის დროს, ქუნთრუშა რომ ჰქონ-

და, გულმხურვალედ ევედრებოდა: „შენ ხომ იცი, მამა, ჩვენი პატარა იამზეა წასული, და ნუ დაუშვებ მალხაზის ცუდს, უნდა მოგვირჩეს, იცოდე, უნდა მოგვირჩეს, ჩემო კარგო მამავ!“ აგონდებოდა ახლა დედის ლოცვა და თავის თავზე იღიმებოდა, ჩემი თავისაგან კი არ მოველოდიო, მეც თუ ჩემი ქვეყნის ბედს შევავედრებდი წასულების სულსო. მაგრამ მართლაც რომ არსებობდეს გარდაცვლილთა „სულის ხმოვანება“, ეჭვი არ არის, ჩვენი ქვეყნისთვის ილოცებდნენო.

სწორედ იმ ღამეს, ერთი საათით რომ მოვიდა შუაღამისას სინათლე და ტელეფონი ჩაირთო, ზიზიმ დარეკა და მალხაზის გამოგზავნილი ფულის შესახებ უთხრა. მალხაზი ყოველთვიურად უგზავნიდა ასორმოცდაათ დოლარს, ამ ფულიდან 50-ს ზიზისა და ქ-ნ ელენეს უტოვებდა, 50-ს დასავით თანშეზრდილ დეიდაშვილს, ლიზიკოს აძლევდა, და 50-საც თავისთვის იმეტებდა, და ისე მომჭირნედ ხარჯავდა, წინა თვისა ცოტაოდენი გროშები კიდევ ჰქონდა მორჩენილი, ერთხანს თავისუფლად იმყოფინებდა და თბილისში წასასვლელად ფეხს ითრევდა. მაგრამ ლიზიკომ, რომელსაც ასტმაც აწუხებდა, და ზიზისა და ირაკლის ასეთი ამბავიც, გაიგო თუ არა ფულის შესახებ, ვითარცა შეჰფერის ყოფილ მსახიობს და ყოფილ ლამაზმანს, მოხდენილად გადააგდო კისერი და რეპლიკით შემოჰკნავლა: „სცივაა... სცივა თომასა.“

„ჯერ ხომ ოქტომბერი წინა გვაქვს, ლიზიკო!?“ ხელები გაშალა ირაკლიმ.

„ოოჰ, შეშას ხალხი ზაფხულიდან იმარაგებს, მე თუ ფეხებს გავჭიმავ და დასამარხი გაგიხდები, წარმოგიდგენია? რა მშვენიერი პერსპექტივაა შენთვის, ბოზბაშსა და ხაშლამას არ ვამბობ, მაგრამ საწყალ მსახიობებს შილაფლავი ხომ მაინც უნდა გაუკეთო, აბა, რით მომიგონებთ და შენდობას მეტყვით? ჰოდა, ოღონდ ნუ მომკლავ, და თუნდ განმდევნე!“ და ლიზიკომ მომხიბლავად გაიღიმა. არა, არა, ფარხმალს არ ჰყრიდა, თმებსაც ძველებურად იფუშფუშებდა და კოხტად ილაგებდა, ვარდისფერ პომადასაც მკრთალად გაიცხობდა ტუჩებზე, და წარბებიც ყოველთვის მოწესრიგებული ჰქონდა პინცეტითა და ყავისფერი ფანქრით. რაც ამ ხუთი წლის წინ ქმარი მოუკვდა, განსაკუთრებით მიეკედლა ირაკლის, აკი ხუმრობით ეტყოდა

ხოლმე: „თქვენ მოგყუდეთ მე თავი ჩემი, ასი რეპლიკა მხლებ-ლად მხოლოდ მე შევირჩინე." დაუცველი და მოსავლელი იყო, რადგან ქმარი მეტისმეტად ანებივრებდა, ცივ ნიავს არ აკარებ-და და შემწვარ-მოხრაკულებს არ აკლებდა. „შენისთანა ტოლ-მასა და ჩახოხბილს, ჩემო კოტიკო, ალბათ, სტუდენტ-ალექსაც (თელავში განთქმული მზარეული) ვერ დაიკვეხებდაო!" ყო-ველთვის დაუფასებდა ხოლმე, რა თქმა უნდა, სიტყვიერად, და კოტიკოც ხარობდა. სპექტაკლებზე კი უბნის ბავშვები მიჰყავდა კლაკერებად და ყვავილების გადასაცემად. მაგრამ მერე, როცა ცხოვრებაც აირია და თეატრიც დაიხურა და იდგა ახლა მოედან-ზე დაკეტილი და ჩაშავებული, ლიზიკოც დარჩა მარტოდმარ-ტო, ქმრისა და თეატრის გარეშე, ასთმისა და რეპლიკების ამა-რა. მაგრამ ირაკლის მუდმივი ზრუნვითა და თანადგომით. „განა ვინ შეიძლება იმსახურებდეს ისეთ თანაგრძნობას, როგორც მოხუცი მსახიობი", ახლაც ეს გაიფიქრა ირაკლიმ და მაშინვე დააიმედა ლიზიკო: „კარგი, კარგი, ჩავიყვან მანქანას პროფი-ლაქტიკაშიო". მარტო ფულსა და შეშაშიც არ იყო საქმე, თავის მხრივ ლიზიკოც ძალიან განიცდიდა ირაკლის მდგომარეობას. ერთადერთი ადამიანი იყო, რომელმაც ირაკლისა ყველაფერი იცოდა და არაფერი აფორიაქებდა ისე, როგორც ძმასავით მო-სიყვარულე დეიდაშვილის ბოლოდროინდელი ტანჯვა-წვალება, თუ სულიერი, თუ ფიზიკური... ცალკე ირაკლის ეჩიჩინებოდა, ცალკე ზიზის ემუდარებოდა, ახლა უკვე იშვიათი შეხვედრების დროს: ისეთი მოკლეა ჩვენი წუთისოფელი, არ გინდათ, არა ეს დავიდარაბა და შეხლაშემოხლაო. ამ ორიოდე დღის წინ კი რა ნახა, რა ნახა, მერე მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ის იყო უნდა ევახშმათ, იცოდა ირაკლი უნდა მოსულიყო და კარტოფი-ლის „პერაშკები" გააკეთა, — სრულიად მოულოდნელად სინათ-ლე მოვიდა, გაუხარდათ, გაუხარდათ და მაშინვე ტელევიზორი ჩართეს. ჩართეს და გულსაკლავი გადაცემა იხილეს: აფხაზეთი-დან ლტოლვილთა უმძიმესი გადმოსვლა და წამება ჭუბერის ბი-ლიკებზე, რა თქმა უნდა, საშინელება იყო, რა თქმა უნდა, შეუძ-ლებელი იყო მათ დანახვაზე არ შეძრულიყავით, მაგრამ რაც ირაკლის დაემართა... ასე გამოხატვა წუხილისა, ასეთი გლოვა და თავში ცემა მამაკაცის მიერ მეტისმეტი იყო, სახეზე ღვიარე-ბა ჩამოსდიოდა, ლუკმა აღარ ჩაუდვია პირში, ისინი იქ იმ დღეში

არიან და მე აქ ვივახშმოვო? გადირია ლიზიკოც, რა ძნელი იყო იცი, ჩემთვისაც „პერაშკების“ გაკეთებაო, ნავთქურის სუნზე კინაღამ დავიხრჩეო, ... რა ვქნა, ირაკლი, შენი მომვლელი არავინ არის ზიზის მეტიო, ჰოდა, იცოდე, არ გადადო თბილისში წასვლაო, არავითარ შემთხვევაშიო! „რატომ, რატომ!“ დასძახოდა მოუთმენლად, „რატომ უნდა ჩაიმწარო ეს ორი პარასკევი, ისედაც ასე დაგვიმძიმდა ცხოვრება, რატომ უნდა ჩაიშხამო დარჩენილი სიცოცხლე, განა სისულელე არ არის, ქალი, რომელიც ქვეყანას გერჩია, ვისზე მშვენიერიც არავინ გეგონა, ვისკენაც სულმოუთქმელად მიილტვოდი, ასე აითვალისწუნოთ ერთმანეთი, არც იქით იყოთ, არც აქეთ... რისთვის და რათა! შენ კაცი ხარ და კარგი რაა, კარგი, გეყოფა... ღმერთო ჩემო, რას მივცემდი, ახლა ჩემს გვერდით კოტიკო იყოს, მთავარი ხომ ის არის, რომ ცოცხლები ხართ, ცოცხლები, გაიგე, ადამიანო, უნდა წახვიდე და უმეტესი დრო ზიზის გვერდით გაატარო, არ უნდა გადადო, არა!“

იმ გადაცემის შემდეგ, ჭუბერის უმძიმესი ბილიკების შემდეგ, ირაკლი ცარიელ სახლში რომ დაბრუნდა, განსაკუთრებით შემოაწვა მარტოობის გაუვალი სასოწარკვეთა, ნუთუ წარმოსადგენია თუნდაც ამ წამებული ლტოლვილების ნახვის შემდეგ ზიზი ისევ იმ აზრის იყოს ექსპრეზიდენტზეო, რომელმაც იძულებული გახადა ამდენი ხალხი ჭუბერის წამების გზას დასდგომოდაო, და ლიზიკოს შეძახებასთან ერთად, ისევ იგრძნო როგორ მოენატრა ქალის ხელი, თბილი, ალერსიანი ხელი ... არავის და არაფერს რომ არ ძალუძს ისე დაგამშვიდოს და დაგიყვავოს, შთაგბეროს ძალა და ნუგეში... და მეორე დღესვე დაადგა გომბორის გზას.

განა არა, აფრთხილებდნენ, გომბორიდან მოგზაურობას ერიდეთო, დიდი მონაკვეთი ტყიანია და უკაცრიელიო, ... მოგეხსენებათ, ძალიან საშიშიცო. მაგრამ ვერა და ვერ ელეოდა გომბორიდან მგზავრობას, და მხოლოდ იმიტომ არა, რომ მთელი სამოცდაათი კილომეტრით მოკლე იყო გურჯაანის გზაზე, და ამ გაჭირვებაში ყველაფერს მნიშვნელობა ჰქონდა, ვერ ელეოდა უმთავრესად სწორედ „ტყიანობის“ გამო, ბუნების წიაღის გამო, მთაგორებისა და ტყეების გამო. მამა დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ... 37-ში დაღუპული, ამ ტყეებთან იგრძნობდა ხოლმე

მამის სიახლოვეს... გახედავდა თეთრწყლების მისადგომებთან წიფლის დიდებულ ტყეებს, სიხშირის მიუხედავად, ნათელსა და ტანკენარს, და ასე ეგონა აქ იყო დავანებული მამის სული. მეტყევე იყო და მთავარი მეთვალყურე და ინსპექტორი აქაური ტყეებისა, ცხენიდან არ ჩამოდიოდა და ლამის ყოველი ხე ზეპირად იცოდა, ... ირაკლიც ბავშვობიდან ხშირად თან დაჰყავდა, სანამ პატარა იყო, ან წინ დაისვამდა, ან უკან შემოისვამდა, რომ მოიზარდა, გამოიყვანდა პუნქტიდან სამარქაფო ცხენსა და ისე დაატარებდა. ცოლს ეუბნებოდა: რო მოვკვდები, ტყეში დამასაფლავეთო, განსაკუთრებით წიფელი მიყვარს და დიდი წიფლის ქვეშო, მაგრამ მე ხომ ტოლსტოი არა ვარ და არავითარი კვალი არ იყოსო, მხოლოდ იმ წიფელს ფოლადის პატარა ფირფიტა მიაკარით ჩემი გვარ-სახელითო. 37-ში მუხის კორომს შეენირა. ვიღაც „დიდი კაცი“ იყო ჩამოსული თურმე თბილისიდან და კონდოლის ბოლოს სანიმუშო მუხის კორომი იყო, არც თუ ისე დიდი, იქ წაიყვანეს საქეიფოდ, ალაზნის პირას, ... ამ მუხებს დაადგა თურმე თვალი, იატაკის გამოცვლას აპირებდა და პარკეტი უნდოდა ჰქონოდა აუცილებლად მუხისა. მოიკლა არჩილმა თავი, ირაკლის მამამ, მაგას კი არა, სტალინი რომ ჩამოსულიყო, იმას არ დავანებებდი ამ მუხების მოჭრასო, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება და არავითარი უფლება არა მაქვსო. ხომ იცით, მუხა რა ნელა იზრდება, ვითომ კაცი მოგიკლავს და ვითომ ეს ასწლოვანი დიდებული მუხებიო. „კაცო, ვერა ხედავ, რა დრო დადგა, ორი-სამი მუხისთვის თავს ნუ დაიღუპავო.“ აქეთ-იქიდან აფრთხილებდნენ. გაჯიქდა, „არა და არაო! აგერ ჩვენი საწყობები სავსეა ციმბირის ნაძვისა და ფიჭვის მასალით, დააგოს ფუჭვის პარკეტი, არ ეკადრებაო?“ ჰოდა, თავის თავს გამოუტანა განაჩენი. მაშინვე შარი მოსდეს, „ხალხის მტერი“ ხარო, დაიჭირეს და დახვრიტეს. მაგრამ იმ „დიდმა კაცმაც“, ირაკლის მამასავით ვერ გაითვალისწინა, რომ დიდი ტერორის დროს ყოველგვარი გაფხაკუნება საშიშია, რადგან ასეთ საყოველთაო ტერორს, სტიქიასავით, ჭკუა არ მოეკითხება, და მის მუხის პარკეტსა და დიდ ბინას ასევე დაადგეს თვალი, როგორც მან კორომის მუხებს.

მერე კი, ბევრი წლების შემდეგ, საბურთალოზე, ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთ საუწყებო შენობაში, სადაც დახვრეტილთა

რეაბილიტაციის ცნობებს ურიგებდნენ ოჯახის წევრებს, ირაკლიმა და იმ ყოფილი „დიდი კაცის" შვილმა ერთად აიღეს ეს ცნობები, „მემორიალში" წარსადგენად, პენსიისთვის. მაგრამ ტყის „უპრაგონო" ჭრა კი ამით არ დამთავრებულა, და პირიქით,

უკანასკნელ წლებში ხომ უბრალოდ გამძვინვარდა. „ოჰ, რა უკუღმა-ქვეყანაში მოგვიწია ცხოვრებამო, იმ თავით ამ თავამდეო," ფიქრობდა ხოლმე ირაკლი ხშირად, და განსაკუთრებული სიმწარით მაშინ, ყრუ გუგუნს რომ გაიგონებდა შორიდან, საგანგებოდ გაიხედავდა ან თავისი ფანჯრიდან, ან თუ ეზოში იყო ჩასული, ჭიშკრიდან, და დაინახავდა ზევიდან მომავალ ტრაილერს, უზარმაზარი მორებით დატვირთულს. გადაიქნევდა თავს, გამკითხავი არავინ არისო. „ვინ უნდა იყოს გამკითხავი, ძია ირაკლი?" ეუბნებოდა მათი უბნელი ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც მორებიანი ტრაილერის შემდეგ, ნარჩენი წვერ-ტოტით დატვირთული მანქანით ჩამოივლიდა და მსხვილ ტოტებს შეშად ჰყიდდა, „ერთი მანქანა მუხის ფრიზი ორასიდან ორასორმოცდაათი დოლარი ღირს, ... ახლა წიფლის მასალა თქვით? რა მაგრად გადის თურქეთში!? ყველაფერს თავისი ფასი აქვს, შპალებს, საპარკეტეს, ფიცარს, ჩინელები, მაგალითად, ქერქით თხოულობენ ხეს, თუ ქერქით ჩამოგვიტანთ, მეტს გადაგიხდითო... მერე შემოსავალი ნაწილდება მთავრობაში, სატყეოში, სახერხზე, შემსრულებლებში... მაღალი ეშელონებიდან დაწყებული სახერხის მხერხავამდე ყველა ჩაბმულია ტყის განადგურებაში. სადღა აქვს თელავს ტყე, სადა! არადა თქვენ ხომ არ გესწავლებათ, რა ტყე გვაკრავდა?! როგორ დაგყავდათ ხოლმე მალხაზთან ერთად უბნის ბავშვები! სასაფლაოს ზევით უკვე ტყე იწყებოდა და ტყიანი ყრუ ხევი გიგოსგორამდე ჩამოდიოდა... წაიქცნენ დიდი წიფლები, დაეცნენ მუხები, განადგურდნენ რცხილები, მურყანი და ვერხვი. „დრუჟბა" გრიალებს დილიდან საღამომდე... ასე მგონია, კაცებისა და „დრუჟბის" დანახვაზე ტყე ცახცახსა და თრთოლას იწყებს. ტყის მცველი კიდევ აქეთ-იქით დალაყუნობს და ყველაფერს თვალს არიდებს, და რომ არც აარიდოს, რას გახდება? ვერც ვერაფერს. იქ ერთი ხაშმელი კაცი მუშაობს და რა გვიამბო, რომ იცოდეთ, თავისი პაპის ნაამბობი: თადეოზ ჩოლოყაშვილი იყო, ხაშმელი თავადიო, ყველაზე მდიდარი ჩოლოყაშვილებშიო, მთელი ივ-

რის ხეობის ტყეები იმას ეკუთვნოდაო, დიდი ზვრებიცა ჰქონდა და განთქმული საფერავიცო. თბილისში რომ ჩამოვიდოდა, გალავინსკზე სამი ეტლით უნდა ჩამოეევლოო. პირველ ეტლში, მეეტლის გვერდით, კოფოზე მებრძოლი მამალი იჯდაო, მეორე ეტლში მედუდუკეთა დასტაო, მესამე ეტლში კი უკვე თვითონ იჯდა კახპებთან ერთადო. ქეიფსა და დროსტარებას დიდად აფასებდაო. ინგლისელები იყვნენ ჩამოსული, ივრის ტყეების ყიდვა უნდოდათ და დიდი თანხაც შეაძლიესო, და ამ დარდიმანდ თადეოზს უარით გაესტუმრებინა ეს ინგლისელები: ტყე განა ჩემიაო, განა მე მეკუთვნისო, მე ჩემმა მამაპ-პაპამ გადმომცა მოსავლელად და შესანახად, და მეც ასევე უნდა გადავცე ჩემს შთამომავალთო. აი, ძია ირაკლი, თუ ეს მართალია, რა შეგნებისა ყოფილა არაა, ის თავადი?! ახლა კიდევ ერთხელ უნდა წამომყვეთ, საკუთარი თვალითა ნახოთ, გული მოგიკვდებათ, მე ტყის სასაფლაოს ვეძახი, ნატყევარია, მიწიდან ამოშვერილი სხვადასხვა ზომის ხის ძირებით მოფენილი... რა ვქნათ, ძია ირაკლი, დაეკარგა თელავს ტყის მადლი..."

კიდევ ამიტომ ვერ ელეოდა გომბორის გზას, რომ ეს მადლი ტყისა ეგრძნო და განეცადა. ამ მადლს აზიარა თავისი საყვარელი შვილიშვილებიც. ისე არ წამოვიდოდა აქეთ, ცხოვლად არ გაეხსენებინა მათი ნავარდი შუამთის ტყეში, „პაპა, პაპა, შუამთაში ნაგვიყვანე, რაა, შუამთაში!" წარამარა სთხოვდნენ, პაპა თუ უარზე იყო, ზიზის შეუჩნდებოდნენ: „ზიზი, ზიზი, ჩვენ წავიდეთ, რაა, და პაპამ შორიდან გვიყუროს, კარგიი?!" ბოლოს შარშანწინ იყვნენ ჩამოსული, ... რა ბედნიერება იყო, რა სიხარული, ზიზისთანაც ჯერ არ ჰქონდა ურთიერთობა გაფუჭებული, მათი კამათი მაინც ყოველთვის მშვიდობიანად მთავრდებოდა, ერთხელ იყო, კინაღამ შემოსწყრა ზიზი, მაგრამ ქ-მა ელენემ მალე დააშოშმინა: თავის სახლში ადამიანმა რატომ უნდა გაიკრას იმისი სურათი, ვინც გულზე არ ეხატებაო." მკაცრად უთხრა თავის შვილს, და პრეზიდენტის გადიდებული ფოტო, შემინული და ჩარჩოში ჩასმული, უკან ჩაადებინა ჩემოდანში. არადა რა სასოებით უნდოდა გაეკრა თავიანთ საწოლ ოთახში, „თუ ხათრი გაქვს, ზიზი," უთხრა ირაკლიმ, „მე პოლიტიკოსების სურათებს, თუმცა ჩვენი პრეზიდენტი პოლიტიკოსად არ მიმაჩნია, ბავშვობიდან ვერ ვიტან, და არავითარი სურვილი არა

მაქვს ყოველ წუთს ვუყურო.“ ზიზიმ კი გამოიკრა კოპები, მაგრამ ამ ინცინდენტს გართულება არ მოჰყოლია. მალხაზი იყო ჩამოსული თავისი ცოლ-შვილით და ყველა ცდილობდა „ამერიკელებისთვის“ კარგი განწყობა შეექმნათ, მშვიდობიანი სიყვარულით ყოფილიყვნენ გარემოცულნი. აი, მაშინ დადიოდნენ შუამთის ტყეში, შუამთის ძეგლებზე. მაყვალი რომ მოინია, ხომ, — მერე შუამთაში რა მაყვალი იცის, — აუცილებლად წაიღებდნენ კალათას, ურიამულით, და გადაძახილებით მოედებოდნენ მაყვლის ბარდებს და შინ დაბრუნებისას ზიზი და ნინო, მალხაზის ცოლი, რაღას არ აკეთებდნენ, თუ მურაბას, კომპოტს თუ „ვარენიკებს“, თუ კისელს ... ბავშვებს ხომ ცხვირპირი ჰქონდათ მოთხუპნული მაყვლით, განსაკუთრებით უმცროსს, ანდროს. კარგი ბავშვები იყვნენ, კარგად გაზრდილები. ათი წლის ერეკლეს პაპა პლუტარქესა და სვეტონიუსს აკითხებდა, და ციცერონის ის ცნობილი სიტყვები ისტორიის შესახებ, ირაკლი თავის სტუდენტებსა და მონაფეებს ცოტა არ იყოს, პათოსით რომ შეაგონებდა ხოლმე, ერეკლემაც ზეპირად იცოდა: „ისტორია არის დროთა მოწმე, შუქი ჭეშმარიტებისა, უკვდავება ხსოვნისა, მოძღვარი ცხოვრებისა, მაცნე გარდასულ ჟამთა.“ ზიზი კი ანდროზე გიჟდებოდა, სულ უმცროსზე, ძალიან სანდომიანი იყო და უსაყვარლესი, გვიან ამოედგა ენა და მეტისმეტად უკიდებდა, და აი, ზიზი სულ იმის ცდაში იყო, სწორად ეთქმევინებინა ანდროსთვის ძნელად გამოსათქმელი ბგერები. ახლაც, თბილისში მიმავალმა. შუამთასთან სვლა შეანელა, გაიხედ-გამოიხედა, ზევით, ძეგლებისკენ ასასვლელ გზასა და გზისპირებზე მოდებულ მაყვლის ბარდებს გახედა და ასე ეგონა შემოესმა პატარა ანდროს ხმა: „ტაპიტი დატაპიტებულა, ტაპიტი დატაპიტებულა,“ იცინიან, ანდროს სიცილს დააყრიან, ზიზი კი ამხნევებს: „ყოჩაღ, ანდრო, ყოჩაღ, აბა, ახლა „ერთსა კაცსა ბლისკინელსა, ბლის კალათით ბლის ხიდზედა, ბალი გააქვს და გამოაქვს“. „ერთსა ტაცსა ბისტინელსა... ბის ტალათით,... ბის ხიდზედა, ...ბალი დაათს... და დამოათს“... იმეორებდა ანდრო მონდომებით და შემდეგი სიტყვების გახსენებაში ჩართული, თავის ლამაზ თვალებს ჩახუჭავდა და გაახელდა... სწორედ იმ დღეს, ის იყო უნდა გამობრუნებულიყვნენ, შუამთის წყაროსთან ირაკლის თავისი ყოფილი სტუდენტი შეხვდა, აქვე ასახვევთან პატარა დუქანი

გავხსენი, კარგი ხინკალი მაქვს და გეპატიჟებითო. ირაკლი ჯერ უარზე იყო, მოხუცი სიდედრი სადილების კეთებაშია ჩაფლული, გველოდება და ვერ დავაღალატებთო, მაგრამ, ბავშვებმა ხინკალი რომ გაიგეს, გვინდა, გვინდაო და დუქნისკენ იბრუნეს პირი. დუქნის ფირნიშზე დიდი ასოებით ეწერა „ოქროს ურდო“, და ირODიონი, ირაკლის ყოფილი სტუდენტი, ამბობდა: ჩემი ისტორიკოსობა დუქნის სახელის შერჩევით გამოვხატეო. ხინკალი კი მართლა უგემრიელესი ჰქონდათ, გემოზე შეზავებული, ნედლი, შერეული ხორცით, თხელი კანითა და სურნელოვანი წვნით... მაგრამ რით გაიხარეს განსაკუთრებით ირაკლიმა და ზიზიმ და... ეს ირODიონი დიდი უშნო რამ იყო, განზე გაწეული, ხალათში ამომჯდარი, დაკუთხული მხრებით, ქედურა კამეჩივით სქელკისერა, სახე-ჩაშავებული და ისეთი მოფლაშული პირით, გეგონებათ ბარი ჩაუციათო, არადა სულ ულიმოდა ბავშვებს და პირი ლამის ყურებამდე უშნოდ, გრძლად ეწელებოდა. ბიძომა და სულხანმა, შუათანა ბიჭმა, ერთხმად თქვეს ვაჟა-ფშაველას „იაში“ რომ ყუნჭია, სულ იმას გავს ეს ირODიონიო, და ზიზი რომ ესიამოვნებინა, ვინც სწორედ იმ ზაფხულს ვაჟას მოთხრობებს ასწავლიდა, სულხანმა ზეპირადაც გაიმეორა: „იმ დამპალ ყუნჭს თვალი სულ ჩემსკენ უჭირავს, მიცინის ხოლმე, გაილიმება, თუმცა უშნოდ, მაგრამ გულკეთილობა კი გადაეფინება სახეზეო.“

ჰოდა, გაიხარა ირაკლიმ, ზიზიმ კი სიამოვნებით გაიკისკისა კიდეც... ანდრომაც დაქადნებით თქვა: „მეც ტი ვიცი ვაჟა-ფშაველას მოთხრობებიო.“ უკანასკნელად რომ დაელაპარაკა ამ ერთი კვირის წინ, ანდრომ უთხრა: „იცი, პაპა, აქ მე ბავშვები ენდრიუს მეძახიანო.“ აი, ასეა...

ლიზიკო რომ ეუბნებოდა გზაში გახალისდებიო, სრულებითაც არ გახალისებულა, თუმცა შემოდგომის ტყე მართლაც მშვენიერი იყო და ნიავზეც საამოდ შრიალებდა... გზის პირებზე არაფერი იყო შეცვლილი, ტყე ისევ ახარებდა თვალს შუამთასთანაც, თეთრწყლების მისადგომებთანაც, მერეც, მერეც, გადასასვლელის იქითაც. გადასასვლელზე ყოველთვის გააჩერებდა მანქანას და წყაროს წყალს დალევდა. ბოთლსაც აავსებდა ხოლმე და თბილისში წაუღებდა ზიზისა და ქ-ნ ელენეს. ახლა კი არც მანქანა გაუჩერებია, არც წყალი დაულევია და არც თან წაუღია,

გზა და გზა უსიამოვნო ფიქრები მოეძალა, ვინ იცის, ზიზი რა გუნებაზე იქნება და როგორ შემხვდებაო, ბოლოს-ბოლოს, ხომ უნდა რაღაც გზას დავადგეთო. როგორც სხვა დროსაც აკეთებდა, დღესაც ჩავიდა ბაზარში, ცოტაოდენი რაღაც იყიდა თბილისში წასაღებად, ქისტებისაგან ერთი-ორი კილო მჭადის ფქვილი, სამი ჩურჩხელა და კომბოსტოს მწნილი, ჰუმანიტარული დახმარებიდან დარჩენილი ნახევარლიტრიანი ზეთიც ჩადგა, ლეღვის ჩირი რომ გაუკეთა ლიზიკომ და ღოღნოშოს ტყლაპი, ადრევე წაიღო თბილისში, თავისთვის ერთი აცმულა ჰქონდა დარჩენილი, ვითომ გულისთვის კარგიაო, მაგრამ ისიც ჩადო, უნაბი გაარხია, თითოოროლა მწიფე ჩამოვარდა, კარალიოკიც ჩამოკრიფა დაბლა ტოტებიდან ცოტაოდენი და მომცრო კალათაში მეტიც არაფერი ჩავიდა. რა იცოდა რა ჯახირითა და გაჭირვებით უნდა ემგზავრა, რა ქოშინითა და გულის ამოვარდნით. ის იყო ცივის გადასასვლელზე გადავიდა, ტყიან დაღმართზე დაეშვა, ცოტაოდენი მანძილი გაიარა და სამი ბიჭი გადაუდგა. ადრე არ დაუნახავს და თითქოს მიწიადან ამოიზარდნენო, სამივეს ავტომატები ეჭირათ ხელში და ერთ-ერთმა, რომელსაც თვალებამდე ჰქონდა ჩამოფხატული შინნაქსოვი „შლემი“, ოდნავ ჩანეული მინიდან ავტომატის ლულა შემოყო. მას კი ახალგაზრდების არასდროს არ ეშინოდა, პედაგოგებისათვის დამახასიათებელი დამოკიდებულებით, ყველა თავისი ნამონაფარი ეგონა, ამიტომ ამათაც ჩვეულებრივად, უბრალოდ მიმართა: „რაო, ბიჭებო, რატომ მიღერებთ მაგ თოფს?“

„პაპაშ! აბა, გადმობრძანდით თქვენი ჯართიდანა!“ უთხრა „შლემიანმა.“ ბიჭი მოჭუტულ თვალებს რაღაც უცნაურად ბლეტავდა. ირაკლი პირისპირ არ შეხვედროდა დაბოლილ ახალგაზრდას, ასეთი მზერა მისთვის ნაცნობი არ იყო და ნეტავ რა ჭირსო, გაიფიქრა. „რატომ უნდა გადმოვიდე, ბიჭო!?“ გულუბრყვილოდ იკითხა.

„ვაა! რატომ უნდა გადმოხვიდე და უნდა გადმოხვიდე!“ ხმას აუწია „შლემიანმა.“ „სიცოცხლე ტკბილია, პაპაშ!“ მეორე ბიჭმა, მიმზიდველი სახე რომ ჰქონდა, პონჩიკივით ლოყები ამომჯდარი და ისეთი მიამიტი გამომეტყველება, გეგონებოდათ მჭადში ნახშირს ვერ გამოარჩევსო, კაპოტს დაჰკრა ხელი, „ჩვენ კიდე ბევრი ლაპარაკი არ გვიყვარს!“ სანდომიანი პონჩიკასთვის

თითქოს სრულიად შეუსაბამო იყო ასეთი უდიერი და უზრდელი კილო. ირაკლიმ სინანულითა და თავის ქნევით შეხედა ბიჭებს: „თქვენ მგონი არა ხუმრობთ და მაშინ ცოტა იქით მაინც გადმოვალ, გომბორთან ახლოს, გული მაწუხებს და სიარული მიჭირს, ნაცნობი ოჯახი მყავს და თუ არაფერი შემხვდა, იქ მაინც მივალ...“

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. წყალობა მიიღეს. „კარგი,“ თქვა შლემიანმა, შენი ბედი, პაპაჩემს ჰგეხარ, გომბორის შემოსასვლელთან დასტოვებ მანქანას.“

„თუ ვგევარ და პაპაშენი ეგეთ ანდერძს არ დაგიტოვებდა, ხნიერი და გულატკიებული კაცი მანქანიდან გადმოსვითო.“ სცადა საწყალმა ირაკლიმ ბიჭების შემობრუნება.

„დრო შეიცვალა, პაპაშ, ეგრე კი არ არის, ყველა დროს თავისი პონტი აქვს...“ „ნივა“ ჰყოლოდათ გზის იქით, ხეებს შორის, მოფარებულში, გამოიყვანეს და უკან გაყვნენ შორიახლოს. ირაკლის გუნება მოეშხამა. და არანაკლებ ამ ბიჭების გამო. ქვეყნისთვის თავატკივებული კაცი იყო, მთელი სიცოცხლე ახალგაზრდებთან გაეტარებინა, მათი სწავლა-განათლებისა და აღზრდისათვის შეელია და ყოველთვის მტკივნეულად განიცდიდა მათ უსაქციელობას. მანქანიდან რომ გადმოვიდა, პონჩიკა კრეჭით ეუბნება „კალათას არ გართმევთ, პაპაშ, ვიცით უფროსის პატივისცემა, საჩვენკბილო მაინც არაფერი მიგაქვს და...“

რაღაც ისეთი უმწეობა იგრძნო, თითქოს თავისიანებს მიეყენებინათ შეურაცხყოფა, ლამის საკუთარ მოწაფეებს დაეყაჩაღებინოთ, ვითომ ერთი ბეჩავი და დაუცველი ყოფილიყოს. თაკილობდა სიბეჩავეს, არადა ასეა, ასეაო, როცა ახალგაზრდები ასეთი ცინიზმით შეიძლება იყვნენ მოწამლულებიო... ცინიზმითო... ცინიზმითო... გუნებაში ბოღმამორეული იმეორებდა, რადგან ცინიზმზე უარესი, მით უმეტეს ახალგაზრდებისთვის, არაფერი ეგონა, ჯანდაბას ჩემი ძველი მოსკვიჩი, ჯანდაბასო, თუ გავბედე და მალხაზს ვუთხარი, ისე იაფია ძველი მანქანები, გამომიგზავნის ცოტაოდენ ფულს და ვიყიდიო, მაგრამ ამ ბიჭებს რა ეშველებათ, რა დააყენებთ სწორე გზაზე, რა აუხელთ თვალებსო... აი, ასეთი გულჯავრიანი ფიქრებით იყო მოცული, იდგა მხრებჩამოყრილი თავისი კალათის გვერდით და თბილისისკენ მიმავალ მანქანას ელოდა. და კიდევ კარგი, დიდხანს ცდა

არ მოუხდა, გომბორელი კაცი ცოლთან ერთად სართიჭალაში მიდიოდა ნათლობაზე და იმათ წამოიყვანეს. ცოტაღა დაგრჩებათ თბილისამდე და იქიდანაც რაიმე შეგხვდებათო, დააიმედა გომბორელმა კაცმა. მაგრამ სართიჭალაში კარგა ხანს მოუხდა ყურყუტი, ძირითადად უკან მიმავალი მანქანები იყო და ერთი თალია ისიც კი იფიქრა, აქ რომ ჩამომიღამდეს რა ვქნაო, ხომ არ გავბრუნებულიყავი უკანო. იჯდა წყაროსთან გამართულ სკამზე და გული ელეოდა. ბედად აქეთ მომავალ შოფერს წყალი გასთავებოდა, მიდუღებსო, ასე თქვა გადმოსვლისას, ბოთლით წყალი აავსო და იქვე აბუზული, ხნიერი კაცი რომ დაინახა, წამოიყვანა. აქ უკვე ბედმა გაუღიმა, რადგან კაცს დილმის უბანში ეცხოვრა, ისე, რომ პეკინზე, სახლთან გაატარებდა და ფეხით ჩანჩალი, თან კალათით ხელში, აღარ მოუხდებოდა. „რა დრო დაგვიდგა, რა დროო, ჩემი პატარა ბიჭის დაბადების დღეა ხვალა, სახლში არაფერი გვქონდა და პატარძეულში წამოვედი ჩემიანებთან, იქნებ ცოტაოდენი ღვინო და რაღაცა მაინც წამოვიღო-მეთქი“, ამბობდა ახალგაზრდა კაცი. ირაკლიმაც თავისი ამბავი უთხრა, ცოტა გული გაიქარვა, ახალგაზრდამ სულ თავი იქნია, აბა, უყურეო, აღარც ხნიერი იციან და აღარც არაფერს დაგიდევენო, მაგრამ რა გიკვირთო, უკაცრიელ გზაზე კი არა, ჩემი ბიძაშვილი ჟორა, კინოსტუდიის მძღოლი, სტუდიის ახალთახალი ვოლგიდან მარჯანიშვილის თეატრთან გადმოსვესო. რო შეხედოთ, იტყვით მგელს გახეთქავსო, მაგრამ ვერაფერიც ვერ გააწყო და არცა ცდილაო, თოფსა და ავტომატს რა უნდა ელაპარაკოო?!“

თბილისთან მოახლოებისას ირაკლის თანდათან უმძიმდებოდა გუნება, სულ უფრო ეძალებოდა მოუსვენრობა, ზიზი რა გუნებაზე დამხვდებაო. პრეზიდენტის განდევნის შემდეგ ხომ საცნობი აღარ იყო, და ირაკლისაც ასე ეგონა, მეც გულში ეკალი შემრჭმიაო... ახალგაზრდამ ჩასვლა უშველა, კალათიც კარამდე მიუტანა, აიხედა ზევით და მეორე სართულის აივანზე, მათი ლოჯიის აივანზე ქ-ნი ელენე იდგა და ქვევით იყურებოდა. ირაკლიმ თავისი გასაღებით კარი რომ გააღო, ქ-ნი ელენე, აღელვებული მოქოშინდა კართან, თუმცა ირაკლის გაბადრული შემოეგება, განა არა, წუხელ სიზმარში გნახე და მოლოდინიც მქონდაო, ზიზი დილიდან არის წასული, ახლა სწორედ იმის

გზას გავყურებდი, დღეს მხოლოდ ორი ლექცია ჰქონდა და როგორი შეკრებაც არ უნდა ყოფილიყო, აქამდე უნდა მოსულიყოვო.

„კიდევ იკრიბებიან?“ ჩავარდნილი ხმით იკითხა ირაკლიმ.

„ნულარ იტყვი... არბევენ მიტინგებს და ყოველ ჯერზე რა ვქნა და რას ვეცე, აღარ ვიცი... შენ გემშვება, ჩემო ირაკლი, ნამგზავრი ხარ, ბარე სამჯერ გავაცხელე და გადმოვდგი სადილი. მოდი ერთად ვისადილოთ, ხომ იცი, ჭამა ამშვიდებს ადამიანს და ზიზიც გამოჩნდება, აბა, რა იქნება...“

კარგად იგრძნო თავი ქ-ნ ელენესთან, შინაურულად, ოჯახურად, არა, არა, ოჯახის გარეშე ბედნიერება არ არსებობსო, გაიფიქრა, სულ რომ პლინიუსი და თუკიდიდე იყოვო. მით უმეტეს ამ დაპირისპირების დროს სულ იმის ცდაში იყო ქ-ნი ელენე ზეთისხილის რტო ხელიდან არ გაეგდო, მშვიდობის მაცნედ მოვლენოდა სიძესაც და ქალიშვილსაც და მხოლოდ ზოგჯერ იყო, ძალიან იშვიათად (დღევანდელივით), მღელვარებას რომ ვერ დაფარავდა. კარგი სადილი გავაკეთეო, მაშინვე უთხრა, შენ რომ გიყვარს ბოსტნეულის ტოლმა და თელავური ნიგვზით ამოლესილი ლობიოო, შიოდა, დილიდან არაფერი ეჭამა. ქ-ნი ელენე მაშინვე სუფრის გაშლას შეუდგა. რა ბიჭი გვყავს, ჩემო ირაკლი, რა ბიჭი, მალხაზი რომ არა, ალბათ, თავით ფეხამდე ყველაფერი უნდა გაგვეყიდა, არადა ეს ორმოცდაათი დოლარი ზღვად გასკდება ხოლმე, რა ძალა აქვს მაინც ამ დოლარს, რა სანიმუშო... და ელენე იქვე მიბრუნდა, კარადის უჯრიდან კონვერტი ამოიღო და ირაკლის გადასცა: „აბა როგორ, ქ-ნო ელენე, ამაგს დაფასება უნდა, დიდი ოჯახი აქვს, თორემ კიდევაც მეტს უნდა გზავნიდეს.“ ფული ჯიბეში ჩაიდო და გადაწყვიტა არ ეთქვა თავისი ამბავი, არც მანქანისა და არც გულის გამწვავებისა, არ უნდოდა ქ-ნი ელენე აექოთქოთებინა და ზიზიმ კიდევ იაროს თავის მიტინგებზეო, არც არის საჭირო ძველებურად შევჩივლო თანაგრძნობის მოლოდინშიო, გაიფიქრა.

ქ-ნი ელენე კი, როგორც სხვა დროსაც, ისე შეაგონებდა: „გეფიცები იმის თავს, ჩემო ირაკლი, ისე არ ჩაიდებს ლუკმას, შენუხებულმა არ თქვას, როგორ არის ახლა ირაკლი, რას ჭამს და რას სვამსო, როდემდე, შენი ჭირიმე, როდემდე უნდა იყოთ ასე, ახლა შენ უმეტეს დროს აქ უნდა ატარებდე, ერთად უნდა ვიყ-

ოთ, ცოდო ხარ მარტო, შე კაი კაცო, ან შენი თავი შეიბრალე, ან შენი ცოლი, მარტოა ისიც და ღობე-ყორეს ედება." „არ გაგიგოთ, ქ-ნო ელენე, ღობე-ყორეს კი არა, პოლიტიკურ ცხოვრებაშია ჩართული..." ცალყბად გაიცინა ირაკლიმ, „ძალზე გემრიელი ტოლმაა, მეამა ცხელი საჭმელი..." „ოჰ, კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს," ელენემ ტოლმიანი ბადია მიუწია, გადაიღე კიდევო, „პოლიტიკურ ცხოვრებაში არა ისა, ცალკე ჩემი ზიზი მენანება და ცალკე შენზე მტკივა გული." „სწორედ ასე მეუბნება ლიზიკო, ქ-ნო ელენე." „ყველა ამას გეტყვით, ყველა კეთილის მოსურნე, ჰოდა, აღარ გაგიშვებ, იცოდე, აღარ, გამოვიზამთროთ ერთად და გაზაფხულზე იქნებ შეიცვალოს რაღაც..."

„კი წამოვედი ინსტიტუტიდან, იცით თქვენ ეს, მაგრამ სტუდენტები მაინც არ მტოვებენ, მოდიან ხოლმე საკურსოებით და სადიპლომოებით, კონსულტაციისთვის, თანაც ისეთი ქურდობაა, ქ-ნო ელენე, დაკეტილი სახლიდან პიანინოც კი მოიპარეს... დაბრუნდებიან მალხაზი და ბავშვები, ცარიელ სახლს ხომ არ დავახვედრებ, იქნებ მართლა გამოსწორდეს თანდათან მდგომარეობა, მე ძალიან მაქვს იმედი..." განსაკუთრებით ჩემი მანქანიდან გადმოსმის შემდეგო, გაიფიქრა, მაგრამ სადილმა, ქ-ნ ელენესთან ურთიერთობამ გული მოულბო, ოჯახური სითბო აგრძნობინა, მყუდრო ბინა იყო, კარგი ავეჯით განყობილი, თენგიზ მირზაშვილის თუშური პეიზაჟებითა და ჟიკჟიკა ყვავილებით, და აგრეთვე ვან-გოგის ვარსკვლავიანი ცის რეპროდუქციით, ზიზიმ ამ რამდენიმე წლის წინ პარიზის მოგზაურობიდან რომ ჩამოიტანა და ყველას იმას ეუბნებოდა, ისეთი ხარისხისაა, ლამის ორიგინალიდან ვერ გამოარჩევთო. სანოლ ოთახში გავიდა, მისი საშინაო ნაბდის ჩუსტები ისევე მოჩანდა სანოლის ბოლოდან, როგორც დატოვა. მაგრამ ფეხსაცმელების გამოცვლისაგან მაინც თავი შეიკავა. მერე ფიქრობდა, თითქოს გულმა მიგრძნო, რომ იმ სახლში საშინაო ფეხსაცმელები აღარ უნდა ჩამეცვაო. შირვანული ლურჯი ხალიჩაც, ირაკლის დედამ რომ აჩუქა ზიზის, ასევე იყო ზიზის სანოლთან გაკრული და თელავიდანვე წამოღებული ულამაზესი, ძვირფასი ლამფა, ვენეციური, სალათისფერი, გამჭვირვალე აბაჟურით, სანოლებს შორის ტუმბოზე იდგა.

აქეთ რომ გამოვიდა, ქ-ნი ელენე აივანზე გასული დახვდა,

შუბლზე ხელი მიეჩრდილა და ქუჩას გაჰყურებდა. მოიხედა, შეწუხებულმა შემოხედა ირაკლის: „უკვე ძალიან ვღელავ, ასე დაგვიანება მეტისმეტია... თან ჟინჟლავს კიდეც და ქოლგა არ ნაუღია... რომ იცოდე, თვითონ არ უთქვამს, ამას წინათ მეზობლებში გავიგე, თურმე უსვრიათ, წარმოგიდგენია? ცირკთან..."

„ოჰ, როგორ აირია ქვეყანა... რომ იცოდეთ, ქ-ნო ელენე, მეც დღეს მანქანიდან გადმომსვეს... ლაწირაკმა ბიჭებმა..."

„რას მელაპარაკები!" ის იყო შეიცხადა ქ-ნმა ელენემ და სწორედ ამ დროს ჰოლიდან თითქოს შემოსასვლელი კარის ხმა მოისმა, მიაყურადეს და გავიდნენ. ზიზი საკიდის გვერდით სკამზე ჩამომჯდარიყო, კისერგადაგდებული და შუბლზე თმებჩამოწეწილი, ქანცგაწყვეტილს ჰგავდა და სულს ძლივს იბრუნებდა. დასველებული პლაშჩიც არ გაეხადა, ფანქრით შეღებილი თვალის უპეებიც დადღაბნოდა. ირაკლიმ მაშინვე პლაშჩი გადააძრო, პირსახოცის გამოსატანად აბაზანაში შევიდა. ქ-ნი ელენე შეწუხებული ფათფათებდა თავის შვილთან, ხმა ამოიღე, გენაცვალოს დედა, რა დაგემართაო. ირაკლიმ თმების გამშრალება დაუწყო, ზიზი რამდენიმე წამი „სტუპორში" ჩავარდნილივით ხმას ვერ იღებდა, მხოლოდ უმწეოდ ჭუტავდა თვალებს. „ხმა გამეცი, გენაცვალოს დედა, ნუ გამაგიჟე, ხმა ამოიღე!" დასძახოდა ქ-ნი ელენე.

„თეძოც ამტკივდა..." უცებ ამოიძახა ზიზიმ და ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები.

„ჩემო გოგო, აბა უყურე... ცხელი წყალი მაქვს მთელი ქვაბი, ეხლავე მოგასულიერებ, ეხლავე... ამოდენა წანწალით მაშ რა დაგემართებოდა..." ვიშვიშებდა ქ-ნი ელენე.

„ნუ გეშინია, ზიზი, ფასთუნგელით დაგიზელავთ თეძოს, დაასვენებ და გაგივლის." ლამის ძველებურად შეეცოდა და შეწუხდა ირაკლი.

„უსინდისოები! საზიზღრები! ნამუსგარეცხილები!!" ამოხეთქა ზიზიმ, „დაგვარბიეს, ჩაგვსვეს ძალისძალით ავტობუსებში ქალაქგარეთ გაგვაქანეს! და იქ დაგვტოვეს!! წარმოგიდგენიათ?! წარმოგიდგენიათ?! წყნეთის გზაზე, ზევით, კაკლებთან! ნვიმაში!!"

„ღმერთო ჩემო," აღმოხდა ირაკლის, „და იქიდან ფეხით მოდიხარ?!"

„რატომ არ გამოიქეცი სახლში, რატომ, რო შეატყე გარბევდნენ! როდემდე, ჩემო შვილო, როდემდე, შენც იწვალო და მეც მაწვალო! ყველაფერს ხომ თავისი ბოლო აქვს!!" მოთქმის კილოზე დასძახოდა ქ-ნი ელენე და ხელებს ასავსავებდა.

„თავს ხომ არ შეაკლავ, ზიზი, ხომ ხედავ ყველაფერმა რა სახე მიიღო..." ეუბნებოდა ირაკლი და თან თმებს უმშრალებდა.

ქმრისა და დედის მოწოდებამ ზიზი უფრო აღაგზნო, თითქოს ახალი სული შთაბერესო, ისეთი ძალით დაიძახა: „არავითარ შემთხვევაში! ვერ დაგვაჩოქებენ, ვერა! ტყუილია, არ ჩავაგებთ ხმალს ქარქაშში!!"

ქ-ნმა ელენემ საწყლად გადააგდო კისერი:

„კი მაგრამ როდემდე, როდემდე! მე მომიდნობს შენი წანწალი, მომიდნობს!!"

„სანამ არ დავაბრუნებთ! სანამ არ გავიმარჯვებთ! ყველა მოღალატის ჯიბრზე!!" გააფთრებით დაიძახა ზიზიმ.

ირაკლიმ ვითომ გადაწყვიტა აღარაფერი ეთქვა, არ აჰყოლოდა კამათსა და პაექრობაში, მით უმეტეს დარბევისა და ფეხით ნოწიალის შემდეგ, როცა ქ-ნი ელენეც თავის სათქმელს ეუბნებოდა, მართლა შეწუხდა და შეეცოდა, მაგრამ ჩაესმა თუ არა ყურში დოლორეს იბარურის მოწოდებასავით „დავაბრუნებთო", თავისდა უნებურადაც იქედნურად წარმოთქვა და თან ზიზის თმების გამშრალება პირსახოცით გააძლიერა: „ზიზი, გენაცვა, ხომ დაბრუნდა... ჩვენს გადასარჩენად, ... სამტრედიამდეც მოვიდა, სოხუმიც დააცარიელა კრიტიკულ მომენტში, დაცემის წინ და ლტოლვილებსაც გზა გადაუკეტა და ტანჯვა-ნვალებისკენ უკრა თავი..."

ზიზიმ პირსახოცი გამოგლიჯა ირაკლის და მქისე ხმით დაიძახა: „ვინ დააცადა! ვინ დააცადა! ან ადრე, ან ახლა! ლტოლვილები კი არა, პრეზიდენტი გაწირეს საწამებლად! პრეზიდენტი!" ზიზიმ ერთბაშად მოწოლილი ცრემლები შეიმშრალა, წამოდგა და აბაზანისკენ წავიდა. ქ-ნი ელენე უკან გაჰყვა, თან ლამის მოთქმით ეუბნებოდა: „მე ხომ ყოველთვის შენს გვერდით ვიყავი, მეც განვიცდი იმ კაცის განდევნას, არ იყო საჭირო, წასასვლელი იყო და თვითონ წავიდოდა, მაგრამ ჩაიარა იმისმა წყალმა, გენაცვალე, ჩაიარა, შეიგნე, ჩემო გოგო, დედა გყავს, ქმარი გყავს, სამუშაო გაქვს, ხომ უნდა იფიქრო ან საკუთარ თავზე, ან სხვა-

ზე, სანამ მოხვიდოდი, კინალამ გავგიჟდი, კიდევ კარგი, ირაკლი ჩამოვიდა, მარტო არ ვიყავი, ამისთვისაც მანქანა წაურთმევიათ და ხომ წარმოგიდგენია გზაში როგორ გაწვალდებოდა... თან სავსე კალათით..."

„ეგ ჭკუას მაინც ვერ ისწავლის, ვერა! ფეხის შემოდგმას ვერ მოასწრებს, მაშინვე რაღაც ისეთი უნდა თქვას, განდევნილი პრეზიდენტის განმაქიქებელი, სადაური ადამიანობაა წაქცეულ კაცს ფეხით შედგე?!" ზიზიმ თავი მოატრიალა და ირაკლის მრისხანე მზერა ესროლა. „მე კი არ ვდგები ფეხით," ირაკლიმაც არ დააყოვნა პასუხი, „თავის თავს თვითონ შედგა გამოუსნორებელი შეცდომებით, რომელსაც ვიმკით და ჯერ კიდევ დიდხანს მოვიმკით! მერე კიდევ ეგ უბრალოდ წაქცეული კაცი კი არ არის, ხალხის მიერ დამხობილი პრეზიდენტია, მე მგონი საგრძნობი განსხვავებაა!!"

„ხუნტის მიერ! ხუნტის მიერ!! ხალხის კი არა ხუნტის მიერ!!" ლამის გასწივლა ზიზიმ.

„რა არის ხუნტა!" გადაირია ირაკლი, „კაჭკაჭივით აგიჩემებიათ „ხუნტა"! ვინ არის ეს ხუნტა! გახლიჩა ხალხი და სიძულვილისთვის მოიგონა ეს ხუნტა! რომ ყველა ერთმანეთს გადაეკიდოს! და ბოღმითა და ღვარძლით ლამის თვალები ამოკაწრონ!!"

ზიზი მყისვე შემობრუნდა, ირაკლის წინ დაუდგა და სრულიად მოულოდნელად მავედრებელი კილოთი ლამის შეღაღადა: „რატომ გინდა ყოველ ჯერზე გული მომიკლა, რატომ... გელოდებით, შენს გზას გამოვყურებთ, ჩამოხვალ და მაშინვე უნდა მომშხამო, ეს საქმეა? უშეცდომო ვინ არის, ვინა, მაგრამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავისუფლება დაგვიმკვიდრა, გველეშაპს გამოჰგლიჯა საქართველო, ასეთი ისტორიული მისია აღასრულა და გეკადრება განა ისტორისკოს კაცს ასეთ პატრიოტულ, ასეთ საშვილიშვილო აქტს არ აფასებდე, გეკადრება?!" ზიზის ახლა ლექტორის დაბეჯითებული კილო ჰქონდა და ირაკლი სულ მთლად გადარია ზიზის ნათქვამმა: „შენ მე გამაგიჟებ, ზიზი! მე კი არა, შენ არ გეკადრება ასეთი სიცრუე, თან ასე მაღალფარდოვნად ნათქვამი! სამარცხვინოა და მეტი არაფერი! თურქმენეთი ვინ გამოჰგლიჯა, გამაგებინე, ან უზბეკეთი, ან მთელი საბჭოთა რესპუბლიკები, ვინ? ეს გველეშაპი ხომ კუდსაც ვეღარ იქნევდა, იმისი დღეები ხომ დათვლილი იყო და დაიშალა კიდეც, და შენც

ხომ იცი, ჩვენც და ყველასაც ხონჩით მოგვერთვა თავისუფლება! რატომ გამოვდექით, რატომ ასეთი ჭკვიანები და ღია კარში დავიწყეთ მტვრევა, რატომ ვერ მოვუარეთ ამ თავისუფლებას! აღარ იყო საჭირო, აღარ „საქართველო, საქართველოს“ ყვირილი და ყურების გაყრუება... იმის მაგივრად ქვეყნის შენებას შევდგომოდით, ყველაფერი უდიერად ვანადგურეთ, მოვშალეთ და ჩავფუშეთ, და პირველ რიგში საუკუნოებით აქ მცხოვრებ უცხო ტომის ხალხს პრობლემები შევუქმენით და ვერ გავითავლისწინეთ, რომ ყველაფერი უკან შემოგვიბრუნდებოდა და ცხვირიდან ძმრად წამოგვივიდოდა! ხომ წამოგვივიდა ძმრად, ხომ წამოგვივიდა და ჯერ სადა ხარ!!“

„სამწუხაროდ! პატრიოტიზმზე წარმოდგენა არა გაქვს! ნაციონალურ საკითხზე წარმოდგენა არა გაქვს! ერთა შორის ურთიერთობებზე წარმოდგენა არა გაქვს!“

„აი, ახალი ამბავი! სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!“

„ტრივიალურ ფრაზებს დაანებე თავი! არ გისმენ! არ გისმენ! არ გისმენ!!“ და ზიზიმ ყურებზე ხელი აიფარა და სააბაზანოში შევიდა.

„არ მისმენ იმიტომ, რომ სიმართლე არ გინდა გაიგონო!!“ მიაძახა ირაკლიმ და ოთახში გამოტრიალდა. ქ-ნი ელენე ერთ წუთს გაოგნებულივით იდგა, თითქოს არ იცის რა თქვას და რა ქნასო, ბინდი იყო უკვე ჩამომდგარი და მოხუცი ქალი სილუეტივით ჩანდა, ირაკლი მივიდა, მაპატიეთ, ქ-ნო ელენეო, სთხოვა, „ჩვენს ხელში თქვენ სიმშვიდე არ გიწერიათ, ... ვინ იცის, არც უნდა ჩამოვსულიყავი, ქ-ნო ელენე...“ „არა, არა, უნდა ჩამოსულიყავი, აუცილებლად უნდა ჩამოსულიყავი, ოღონდ რა იქნება არ აჰყვეთ ერთმანეთს, ნუთუ ეს შეუძლებელია...“ ქ-ნმა ელენემ ხელები უმწეოდ გაშალა, მერე შებრუნდა: „მე დაბანას ვუშველი ზიზის და შენ სანთლები აანთე, შენი ჭირიმე, სამზარეულოში, კარადის უჯრაშია.“

ქ-ნი ელენეს ნათქვამმა ცოტა დაუცხრო გაღიზიანება... მშვენიერი მანდილოსანი იყო ქ-ნი ელენე, თავისი წლების მიუხედავად, თეთრი, აბრეშუმივით თმა დიადემასავით ადგა მის ჩამოქნილ, სპილოსძვლისფერ სახეს. შეეცოდა და მორიდებაც იგრძნო, მაგრამ ის მაინც ვერაფრით წარმოიდგინა, როგორ არ უნდა აჰყოლოდნენ ერთმანეთს, როცა ირაკლის აზრით, ზიზი სი-

ცრუის გზას იყო შემდგარი და შავი თეთრად ეჩვენებოდა, ახლაც კი, როცა სოხუმი დავკარგეთ და ირაკლის ლამის გული ეპობოდა ჭუბერის ბილიკებზე ლტოლვილების ტანჯვა-წვალების გახსენებისას. სამზარეულოში სანთლებს სქელ ბოლოებს უთლიდა, სასანთლეებში დგამდა საპირფარეშოსა და დიდი ოთახისთვის და თან გამალებული ფიქრობდა: იქნებ შეიძლებოდეს საკუთარი აზრი სხვას არ მოვახვიოთო, და არ ვცდილობდეთ ერთმანეთის გადარწმუნებასო. გამოდის, რომ მაშინ კრინტი არ უნდა დავძრათ იმაზე, რაც ორივეს ყველაზე მეტად გვაშფოთებსო, რაც ორივეს ასეთი ძალით გვაფორიაქებს და გვაწუხებსო, და სად არის გამოსავალი, სადაო, ნუთუ უნდა დავშორდეთ ერთმანეთსო. და მიუხედავად ყველაფრისა, სიტყვა „დაშორება" თავზარს სცემდა. სულ ცოტა ხნის წინ ხომ ორივეს ეგონა მათი გაყრა და დაშორება სიკვდილის მეტს არავის და არაფერს ძალუძდა. ნუთუ ჩამოდგა ჟამი მათი გათვისებისა და ჯვარი უნდა დაუსვან ერთმანეთს?! ხანგრძლივი ურთიერთობისას საბელის თრევა ხომ შეიძლება სრულიადაც არ იყოს ამაო და ყველაფერი სასიკეთოდ შემობრუნდეს... რამდენია ასეთი შემთხვევა, რამდენიც გინდათ... ხომ თქვა ზიზიმ შენს გზას გამოვყურებთო, ... რომ მოხდეს საოცრება, ძველებურად შემობრუნდეს ყველაფერი, და დამშრალ საგუბარში ისევაც ჩადგეს წყალი, ღმერთმანი, წავა ნეკრესში და კელაპტრებს დაანთებს... გაეცინა თავის თავზე, რატომ მაინცადამაინც ნეკრესიო, როცა მანქანაც აღარ ჰყავს და იმ აღმართებსა და კორწოხებზე კივკივს, თან როცა გულიც აწუხებს, ვერც ვერასოდეს ვეღარ შესძლებს... არადა, ნუთუ ყველა უნდა გავაცუროთო, ახლობლებიც და მოკეთეებიც, თან, ამ ასაკში, როცა ცალი ფეხი სამარეში უდგას, ... ყველა უნდა გავატრიზაოთო: რომ მყარი და მუდმივი არაფერია ამ ქვეყნად და ოცდაათი წლის თავგადაკლული სიყვარულისა და სიამტკბილობის შემდეგაც შეიძლება ყველაფერი გაქარწყლდეს და განიავდესო... მალხაზს ხომ ცოცხალი თავით ერთ სიტყვასაც ვერ ეტყვის, ერთ სიტყვასაც ვერ წამოაორთქლებს, რომ დასტაცოს ხელი და გააქანოს ამერიკაში, იმისათვის რომ თავისი ძვლები იქ ჩაყაროს, და არა თელავის მშობლიურ სასაფლაოზე, თავისიანების გვერდით, ან არადა ატლანტის ოკეანეზე გადმოაფრინონ მისი ცხედარი, კუბოში ჩაჭედილი და საბარგოში შებინავებული,

მალხაზის სახათაბალოდ. ნამდვილად ის უებარი ნამალი უნდა გადავყლაპო, მალხაზმა ამ ერთი კვირის წინ რომ გამომიგზავნა თელაველი მეათე კლასელი გოგონას ხელით, ბოსტონში ერთი წლით რომ იყო წასულიო, ... და აბაზანიდან გამოვიდნენ თუ არა ზიზი და ქ-ნი ელენე, ირაკლიმ მაშინვე მოგრძო აბებით მოფენილი ფირფიტა გაუწოდა: „მალხაზმა გამომიგზავნა, ზიზი, ძალიან კარგად მოქმედობს და კარგადაც დაიძინებ."

„ნარმოგიდგენია, ირაკლი, ისე ვიყავი, აღარაფერი გამეგებოდა, ჯერაც არ მოვსულვარ გონზე, ... როგორა ხარ?" ზიზიმ ფირფიტა გამოართვა, ერთი აბი გამოაძრო, ჯიბეში ჩაიდო და ფირფიტა უკან დაუბრუნა, „ვცდი, როგორ იმოქმედებს..." გამომცდელად შეხედა, მზერა დააყოვნა და ნაძალადევად გაუღიმა, „მაგრამ... შენ თუ კრიჭაში ჩამიდგები... ვერავითარი აბი ვერ დამაწყნარებს... სიტყვა ჰკლავს ადამიანს ირაკლი, სიტყვა." ეცადა ეს ყველაფერი მშვიდობიანად ეთქვა, ოღონდ თვალებში მაინც ავი ნაპერწკალი გაუკრთა.

„მე მგონი, ზიზი, მეც ადამიანი ვარ"... და სანამ ზიზი რაღაც საწინააღმდეგოს იტყოდა, სწრაფად დაუმატა: „მოდი, ივახშმე, მთლად ნუ გააცივებ საჭმელს, ძალზე გემრიელი ტოლმაა, მე კი სიამოვნებით დავლევდი ჩაის, ალბათ თერმოსში გაქვთ ცხელი წყალი, არა, ქ-ნო ელენე?..." „ახლავე, ჩემო ირაკლი, ახლავე..." დაფაცურდა ქ-ნი ელენე. „მე თვითონ, ქ-ნო ელენე, თქვენ ნუ შეწუხდებით..." მაგრამ ქ-მა ელენემ არ დაანება, სამზარეულოდან გამოუტანა დიდი, ლურჯი ფინჯნით ჩაი (როგორც ძველ დროსო, ჩემი ფინჯნითო, გაიფიქრა ირაკლიმ) და ლამბაქით ლეღვის ჩირი.

შეუდგა თუ არა ზიზი ვახშმობას, ირაკლიმაც თავისი ჩაი მოსვა და ნუთიერი სიჩუმე ჩამოვარდა, ვითარც ბრძოლის დროს მცირეხნიანი შესვენება, ქ-ნმა ელენემ, მშვიდობის დაუცხრომელმა მაძიებელმა, ერთი შეხედვით ყოვლად უვნებელი თემა ნამოსნია თელავის ბაღისა და ხეხილის შესახებ, და რას ნარმოიდგენდა, რომ არა ვაშლი, არამედ უიშვიათესი და უძვირფასესი ჯიშის მსხალი გამოიწვევდა ცეცხლის განახლებას, თუმცა, როცა ველი დანაღმულია, ფეხის ნაცდენას, ისიც მოხუცი ქალისაგან რა დიდი ამბავი უნდა. ჰოდა, მშვენიერმა მანდილოსანმა, ქ-ნმა ელენემ, ყოვლად საამური კილოთი ჰკითხა თავის საყვა-

რელ სიძეს: „ჩემო ირაკლი, ვერ მოვასწარი წელან მეკითხა, თამრო-მსხალს შერჩა რამე? ხომ არ გასცვივდა?“

„შერჩა კი არა, კარგად ასხია, მაგრამ ის ხომ გვიანაა და ჯერ არ დამიკრეფია...“

„რომ იცოდე, ამას წინად ჩემს ბიჭს ველაპარაკე მოსკოვში და ნერგი მთხოვა თავისი მეზობელი ცნობილი აკადემიკოსისათვის, გადარეულა რომ გაუსინჯავს, ასეთი არაფერი მიგემიაო. შენი გაგზავნილი ნერგი ამ შვიდი წლის წინ, მალხაზმა რომ წაულო, რეზიკომ ხომ ახარა თავის ნაკვეთში, აგარაკზე, სულ ფუთავდნენ ზამთრობით და დაჰკანკალებდნენ, სანიმუშო თამრო-მსხალი დადგა, იცი შენ, და მეც ასე მოვუვლიო, ნიკალაი პეტროვიჩს უთქვამს, ოღონდ კარგად დამაკვალიანეთო.“

„მაშინ, ქ-ნო ელენე, ალექსიმ ჩვენს მსხალს ააჭრა ნიმუშები და საგანგებოდ დაამყნო მგონი პანტის ნერგებს და თავის სანერგეში გამოიყვანა, ალექსი ხომ შესანიშნავი მებაღეა, მიზნადაც ჰქონდა დასახული იშვიათი ჯიშები გადაერჩინა და გაევრცელებინა. გოგო-ბიჭი ჰყავს აქ სტუდენტები, ხშირად ჩამოდის თბილისში და ვთხოვ მოვიდეს და ყველაფერი დაწვრილებით გითხრათ, რამდენი დრო დასჭირდება, იქნებ გაზაფხულამდე მოესწროს და გავუგზავნიდით სიამოვნებით...“

„ღმერთო ჩემო!“ აღმოხდა ერთბაშად ზიზის, „ალექსი აქ მოსული რომ დავინახო, მსხლის ნერგი კი არა, ნატვრის თვალი რომ ეჭიროს ხელში, კინნისკვრით გავაგდებ!“

„რატომ, ჩემო გოგო, რატომ, იმ კარგ კაცს რა სჭირს გასაგდები, ნერგიც რომ არა, ჩვენი თელაველი მეზობელი და მოკეთეა!!“ შეიცხადა ქ-ნმა ელენემ.

ირაკლიმ კი თვალები მონკურა და გამტკნარებული მიაჩერდა ზიზის.

„რატომ? რატომ?! დაგავიწყდათ არაა? დაგავიწყდათ! რა მოკლეა ადამიანის მახსოვრობა, რა მოკლე! ალექსი არ იყოო, თავის ლეილასთან ერთად პრეზიდენტის თელაველ მოწინააღმდეგეებს რომ ჩამოჰყვებოდა ხოლმე, მუშტებს იქნევდა და ძირს პრეზიდენტიო, გაჰყვიროდა! უსინდისოები, სამშობლოს მოღალატეები, ნითელი ინტელიგენტები!“

„ოჰ...“ ამოიოხრა ირაკლიმ და პირისკენ წაღებული ფინჯანი უკან დადგა.

ქ-ნი ელენე კი ეცადა ბაღური ზღმარტლით ჩაეხშო ზიზის აგრესიული შემართება:

„მაინტერესებს, ზიზი, ბაღის ამბავი," ხმას აუწია ელენემ და ჯიუტად განაგრძო: „ამდენი ხანია თელავში არ ვყოფილვარ და არ ვკითხო მაინც ირაკლის? მერე როგორ მიყვარს ბაღური ზღმარტლი, თან რა ლამაზი ხეა, რა ლამაზად გატოტილი, ხომ არ გასცდა ნელს ირაკლი, ასხია?"

„ვერ წარმოგიდგენთ, როგორ, მთელი ზამთარი არ მოგაკლდებათ, ქ-ნო ელენე..." თან გაიფიქრა: ზიზის ხელში ვინ იცის რა ზამთარი გვექნებაო.

„ალბათ, უკვე შეიმრიშა..." რაღაცნაირი უტრირებული ინტერესით წარმოთქვა ქ-ნმა ელენემ.

„არაა, ჯერ კენჭებივით არის, ხომ იცით, ნოემბრის ბოლომდე ძვრა არ ექნება??"

„ფერი, ფერი, რა მშვენიერი ფერისაა, ახალგაზრდობაში კაბა მქონდა შალისა, მწიფე ზღმარტლის ფერი, ძალიანაც მიხდებოდა..."

ზიზი კი ღრმად შეურაცხყოფილი, რომ მისი მაღალი გრძნობები, თუ პატრიოტული, თუ დამხობილი პრეზიდენტის მიმართ უქრობი ერთგულება, უნდოდათ თამრო-მსხლითა და ბაღური ზღმარტლით გაექარწყლებინათ, რევანშისთვის ძალას იკრებდა და თავის ისედაც დიდ თვალებს ავად აკვესებდა. სამწუხაროდ ქ-მა ელენემ შეცდომა დაუშვა, ზიზის ჩართვა რომ მოინდომა ყოვლად მშვიდობიან ოჯახურ ურთიერთობაში, ირაკლისაც ერიდებოდა, იქიდან აქ უვლია კაცს, თან მანქანაც წაურთმევიათ და იქნებ როგორმე ავიცილოთ უსიამოვნო პაექრობაო, — თელავის მშვენიერი ბაღის მოგონებითა და გულითადი მასლაათით, იმ დროს როცა ზიზიც, მძიმე დღის, ნოწიალის, დარბევისა და ალექსის მოგონების შემდეგ ამოწურულად სულ არ მიიჩნევდა ვიშვიშსა და ქოთქოთს და უკვე ჩახმახზე იყო შეყენებული. ქ-ნი ელენე კი კვლავ განაგრძობდა საამური კილოთი: „ჩემო ზიზი, გახსოვს, გენაცვალე, შენ ერთხელ, მაიკოს რეცეპტითა და კარნახით, ჩვენი კარგი მაიკო ცოცხალი იყო, მურაბაც რომ მოხარშე თამრო-მსხლისა და ყველა გაგიჟდა, ერთი ქილა მოსკოვშიც გავუგზავნეთ და ისინიც გადარეულიყვნენ..."

„კარგი რაა, დედა, კარგი რაა!!" იფეთქა ზიზიმ, „ჩვენ აქ ყო-

ველდღიურად კუდით ქვას უნდა გვასროლინებდნენ, თქვენ კიდევ მსხალი და ზღმარტლიო, რა არის ესა, რა, დამცინით? დამცინიიით?" „ვაიმე ზიზი!„ აღმოხდა ირაკლის კუშტად, „სოხუმი დავკარგეთ, თავზე ნაცარი გვაყრია, დათრგუნულები და დაზაფრულები ვართ! და რა ვქნათ, თავპირი ჩამოვაღადროთ ერთმანეთს? ნუთუ შეუძლებელია მშვიდობიანი ურთიერთობა!?"

„რა მშვიდობიანი! როცა საკუთარ სახლში ყველა შენს წინააღმდეგ არის მომართული, დედაც კი, და ლუკმას არ შეგარგებენ!" აღშფოთებით თქვა ზიზიმ და თეფში გასწია.

„დაფიქრდი, გენაცვალოს დედა, დაფიქრდი, ჩემო გოგო, იძულებულს ნუ გაგვხდი მე ჩემს რეზიკოსთან წავიდე და გადავიხვეწო მოსკოვში, და ირაკლიმაც საბოლოოდ ამოიკვეთოს ფეხი..." ვიშვიშითა და ღაღადისით მიმართა ქ-ნმა ელენემ.

„თუ ასე მომიშხამავთ არსებობას, წაბრძანდით! ოთხივ კუთხივ გზა ხსნილი გაქვთ! სადაც გენებოთ, იქ წაბრძანდით!!"

„ყოველ შემთხვევაში, მოსკოვში თუ არა, სამზარეულოში მაინც გავალ და პასიანსს გავშლი, ... შენ კი გთხოვ, დაამთავრე ეგ ვახშამი, დაამთავრე!" და ქ-ნი ელენე მუხლებატკივებული ადამიანის ნელი და ლახლახა ნაბიჯით სამზარეულოსკენ გაეშურა.

„მე კი, მე კი!" დაადევნა ზიზიმ, „ვივლი მხარდასაჭერ მიტინგებზე, შეკრებებზე, მსვლელობებზე, ვივლი, ვივლი, და ჩემს პრეზიდენტს დავუცდი, ტანჯულს, უსამართლოდ განდევნილს, საქართველოსთვის გულანთებულს, გაიგეთ, გაიგეთ, ჩემთვის პრეზიდენტი და სამშობლო ერთია, ერთია, არავის არ უყვარს საქართველო ისე, როგორც მას უყვარდა!!" ზიზი ლამის ისტერიულად იქნევდა თავს და შლიდა ხელებს, თვალებიც მომდგარი ცრემლებით უბრწყინავდა.

„ეს ინფანტილური, სავალალო არგუმენტი ვაი-პოლიტიკოსისთვის: უყვარდა საქართველო! მაგრამ ტყუილია! ტყუილია!" მწყრალად შესძახა ირაკლიმაც, „უყვარს და სოფონია პატრიარქი-წინასწარმეტყველივით ჩამოგვძახა ღრუბლებიდან: მე თუ არ ვიქნები, ერთმანეთს გაეთიშეთო, ერთმანეთს გადაეკიდეთო, უბანი უბანს, ქუჩა ქუჩას, მეზობელი მეზობელსო! ჰოო, მართლა, ცოლი და ქმარი დაავიწყდა, ... გაიხლიჩეთ ყველანი, გაიხლიჩეთ, ქრისტეს კვალს დაადექით, ძმებო და დებოო!!"

„კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა, გესმიის, გესმიის, გვაფრთხილებდა! იცოდა რაც მოხდებოდა და გვაფრთხილებდა! მაგრამ ვინ გაიგო! ტვინდაბნელებულმა წითელმა ინტელიგენციამ, თუ პირსისხლიანმა ხუნტამ? ვინ, ვინ იყო გამგები მომხრეების გარდა!"

„სწორედ ტვინდაბნელებული გინოდეს შენმა მეგობრებმა, რუსიკომა და ლეილამ, ამასწინად რომ შემხვდნენ," დამცინავი ჩაცინებით თქვა ირაკლიმ, „შენ ნუ გენყინებაო და ზიზის ნამდვილად ტვინი გადაუბრუნდაო, ჩვენ რას გვემართლებაო, უერთმანეთოდ რომ ვერ ვძლებდით, ჩვენსკენ მოხედვა არ უნდაო."

„ღალატის გზას დაადგნენ და იმიტომ! ხუნტას მიემხრნენ და იმიტომ! თავისი სოროებიდან შხამს აფრქვევენ და იმიტომ! პრეზიდენტს, ანუ საქართველოს, ზურგი აქციეს და იმიტომ! ასე მოახსენე, როცა შეგხვდებიან, ასე!!"

„ოჰ, ჩვენი საწყალი საქართველო!" თქვა ირაკლიმ გულადწყვეტით, თუ დანანებით, „ბედი გაუბრუნდა ჩვენს ქვეყანას, ბედი, ჯერ კიდევ ხუთი საუკუნის წინ, როცა დაიშალა, მერე კი ორასწლიანმა უმეფობამ, დამოუკიდებელი პოლიტიკის ჩაფუშვამ, შემდგომში საბჭოთა დროის ამდენმა რეპრესიებმა, ამდენმა ლოზუნგებმა, ამდენმა კერპთაყვანისმცემამ, ამდენი ხნით ჩაქვესკნელებამ, ამდენმა სიცრუემ დაგვცა და გაგვანადგურა... და ცხადია, უცებ და ერთბაშად თავს ვერ ვტკუცავთ თავისუფლების მოციალე ვარსკვლავებს, ამისათვის ოფლის ღვრაა საჭირო და წელებზე ფეხის დადგმა, და არა თავისუფლებად მონათლული აღვირახსნილი თვითნებობა, როცა შენიანი აღარ არის შენიანი, აღარ, აღარ, არამედ მძარცველია, საყოველთაო გამდაბიურების ადეპტი და ქვეყნის მაგინებელი! თქვენგან კი, თქვენგან, ეს ვითომ პატრიოტული წივილ-კივილი, ეს აღტყინება, სინამდვილეში გუნდრუკის კმევაა და ისევ და ისევ მონური სულისკვეთების ახლებურად აღორძინება! ეს უკადრისი, კულტურული ადამიანისთვის ყველაზე უფრო უკადრისი სულისკვეთება." ირაკლიმ სული მოითქვა, ღრმად ამოისუნთქა და სავარძლის საზურგეზე გადაწვა.

„სადაური ისტორიკოსი ხარ, გამაგებინე ერთი!!" დაიძახა ზიზიმ, „პატრიოტიზმი მონურ სულისკვეთებაში გეშლება და სიყვარული! ნამდვილი, თავანკარა სიყვარული ჩვენი განდევნილი

პრეზიდენტისა გუნდრუკის კმევაში! აფერუმ შენს ისტორიკოსობას, აფერუმ! მრცხვენია! სირცხვილია! სად გამომეყოფა თავი, რომ კაცი, რომელსაც ჩემი ქმარი ჰქვია, ასეთი შეხედულებისაა! ნამდვილი წითელი ინტელიგენტია!!"

„ჩვენ ყველა!" დაიძახა გაგულისებულმა ირაკლიმ, „ჩვენ ყველას გვერქვა საბჭოთა ხალხი, ზიზი!! გვინდოდა ეს თუ არ გვინდოდა! შენდა სამწუხაროდ, ყველა ვიყავით, ყველა, ყველა, გაიგე! ძირითადად, ფორმალურად, რა თქმა უნდა, წითელი ინტელიგენტები!! შენი პრეზიდენტის მამიდან დაწყებული! რომელმაც დიდ ჯალათს რომანი მიუძღვნა! შენ, როგორც ფილოლოგს, ალბათ გახსოვს, და თუ არ გახსოვს, თელავში მაქვს ალისფერყდიანი წიგნი, რომანი „ბელადი" და შემიძლია მოგართვა! ხოლო მეორე ჯალათთან, რომელმაც მთელი საქართველო დახვრიტა და გააციმბირა, მახლობლობდა და მეგობრობდა! 47-ში ჩემმა სტუდენტებმა თავი რომ გადაიკლეს, გაცნობა გვინდა და თელავში მონვევა დიდი მწერლისო, და წავედით მასთან სახლში, სახტად დავრჩი, თავის კაბინეტში, მაღალ დასადგარზე, ბერიას გადიდებული სურათი ჰქონდა, ჩარჩოში ჩასმული, რომბებიანი, დიდი სურათი, გესმიის, გესმიის?! და სხვებს უწოდებდა შენი პრეზიდენტი წითელ ინტელიგენციას, დასაპირისპირებლად და ბოღმის გასაღვივებლად!! მაგრამ შენ სიმართლის გაგება არ გინდა, არაა!!"

„პირი გამოირეცხე! პირი გამოირეცხე და დიდი კონსტანტინე ისე ახსენე! უყურე ვის გადასწვდა?! მადლობა მას! რომ თავისი ქმედებით 37-ში თავი გადაირჩინა! და შენ! შენ! ამას უკიჟინებ? ამას? ამას?"

„დემაგოგი ხარ, ზიზი, ნამდვილი დემაგოგი! მე ვუკიჟინებ, თუ მისი შვილი გვიკიჟინებდა! მე ძალიან კარგად ვიცი იმ კაცის ფასი! საკუთარ განდიდებასთან, პამპლაუქობასა და მოჩვენებითობასთან ერთად, გრაფ-მარკიზებისკენა და დიდგვაროვან არისტოკრატებისკენ მისწრაფებასთან ერთად, მას გააჩნდა ნამდვილი ღირსებები, თავისი ქვეყნის მოჭირნახულე კაცის, არტისტულობით დაღდასმული სულიერი არისტოკრატისა და ნამდვილი მწერლისა, და მე პირადად მას განვიცდი, როგორც ქართული ხასიათის, ქართველი კაცის სიმბოლოდ, მაგრამ არაფერ შუაშია მონური ქედმოხრა, გაიგე!! მთელი ჩემი არსებით

ამის წინააღმდეგი ვარ და ამას ვერასდროს ვერ შევეგუები, ვერა!!"

ზიზი, რომელსაც საკანდიდატო დისერტაცია სწორედ გამსახურდიას ნოველებზე ჰქონდა დაცული და თუ არა ღაღადისით, ჩვეულებრივი სიტყვით მისი ხსენება და შეფასება მკრეხელობად და ხელყოფად მიაჩნდა, მით უმეტეს მტრადქცეული ქმრისგან, განარდა, მაგრამ რა განარდა, ირაკლიმაც არ დაუთმო და ნამდვილი ხელჩართული ომი გაიმართა. ზიზის აგიჟებდა ირაკლის დამოუკიდებლობა და შეუწყნარებლობა, ირაკლის კი ზიზის ტენდენციურობა და სიმართლის იგნორირება, ზიზი სამოქალაქო დაპირისპირებაში ბრალს სდებდა ოპოზიციას, ეგრედწოდებულ ხუნტასა და წითელ ინტელიგენციას, ირაკლი კი ბრალს სდებდა ხელისუფლების განუჭვრეტელობას, პოლიტიკურ სიბეცესა და უუნარობას, ზიზი ირაკლის ადანაშაულებდა ინტერნაციონალიზმსა და პატრიოტიზმის დეფიციტში, ირაკლი კი განაქიქებდა ზიზის ნაციონალისტურ მიკერძოულობას და ამას ინფანტილურად და დრომოჭმულად სთელიდა... და ასე დაუსრულებლად, თავისი სიმართლისა და პრინციპულობის შეგნებით, და ამასთანავე თვალების ბრიალით, კბილთა ღრჭენით, აგრესიული ჟესტიკულაციითა და ხმის ჩაწყვეტამდე მისული დავითა და შეხლა-შემოხლით. ისე რომ ირაკლის უკვე ბეჭიც სტკიოდა, გულიც ჩხვლეტავდა, სულსაც ძლივს იბრუნებდა და თანდათან მოუმწიფდა აზრი, რომ აქაურობას უნდა გასცლოდა, საბოლოოდ და მოუბრუნებლად, ქ-ნი ელენეს სიყვარულისა და პატივისცემის მიუხედავად. და მართლაც, უკანასკნელი შერკინების დროს, ირაკლიმ, ვინ იცის მერამდენედ, ჯიბრით და ჯიქურად მრგვალი მაგიდის ლიდერთა შეცდომების ჩამოთვლა რომ დაიწყო 9 აპრილიდან მოყოლებული, როცა ყურად არ იღეს პატრიარქის შეგონება, არ დაშალეს მიტინგი და ამ ტრაგედიის დროს მას და მის ამალას განაკაწრი არ ჰქონიათ, საცოდავი ქალები კი, — როგორ არა, ერთი-ორი კაციც ერია, — ზვარაკად შეწირულები, დაჩეხილები და სისხლში მოსვრილები დაეცნენ რუსთაველზე...

ზიზიმ ყურებში თითები შეირჭო და მთე;ლი ხმით გასწივლა: „არავის, არავის, არავის არ ჰყვარებია საქართველო ისე, როგორც ჩემს პრეზიდენტს უყვარს!!"

ირაკლიმ კიდევ რომ გაიგონა, ვინ იცის მერამდენედ ეს „საქართველო უყვარდაო“ მიიჭრა ზიზისთან, ყურებიდან თითები გამოაცალა და ხაფი ხმით დასძახა: „საქართველო უყვარს! და სამტრედიამდე მოვიდა და თავის ხალხს წინ აღუდგა!! საქართველო უყვარს! და გზა გადაუკეტა ლტოლვილებს; ჭუბერის გადასასვლელზე გასწირა საწამებლად!! საქართველო უყვარს! და აფხაზეთ-სამეგრელოს სახელმწიფოს შევქმნიო!! საქართველო უყვარს! და საქართველოში მცხოვრებ სხვა ერის შვილებს მტრად მოევლინა!! აი, ეს არის მაგისი სიყვარული, მაგისი ჭკუაგონება და მაგისი პოლიტიკური ალღო! ეგ ფუყე, ფუყე, ცრუ პრეზიდენტი!!“

ზიზიმ ხელები დაიქნია, ირაკლის გაჰკრა, წამოიმართა, ქალქურუმივით აღმართა მარჯვენა და განწირული ხმით შესძახა: „თუ ჩემი პრეზიდენტი იყოს მართალი, შენ მოკვდი! მოკვდი! მოკვდი! და თუ შენ იყო მართალი მე მოვკვდე! აი, ახლავე გამძვრეს სული, გამძვრეს! გამძვრეს!“

საშინელი დასანახები იყვნენ და სამზარეულოდან გამოსულმა ქ-მა ელენემ ვაებით შესძახა: „სარკეში ჩაიხედეთ! გთხოვთ... გთხოვთ! სარკეში ჩაიხედეთ!!“

ზიზი, გაფითრებული და გასავათებული მოწყვეტით ჩაემხო სავარძელში და სახეზე ხელები აიფარა, ირაკლი, ხმაჩაწყვეტილი და გაშეშებული მიაჩერდა ზიზის, მერე კი სწრაფად ნამოკრიფა თავისი ფანციფუნცები და ქ-ნი ელენეს ვედრების მიუხედავად, ცეცხლმოკიდებულივით დატოვა ბრძოლის ველი. როგორც ამბობენ, გული ხელით ეჭირა, მაშინვე მალხაზის გამოგზავნილი აბი ჩაიდო ენის ქვეშ. ბნელოდა და ერთი ლამპიონიც არსად არ ენთო, აქა-იქ მანქანები თუ გაანათებდა იქაურობას. ქუჩაზე გამოვიდა და სახლის კედელს მიეყრდნო, უჭირდა ფეხზე დგომა. მამიდაშვილი ჰყავდა, ვისი ნახვა ძალიან უნდოდა, მაგრამ ავლაბარში ცხოვრობდა, სამას არაგველთან და რა წავა ახლა იქო, მანქანაც რომ შემხვდეს და დღევანდელი სიკეთის არ იყოს, წამართვან ეს ასი დოლარი, მე ჯანდაბას, ლიზიკოს ვერც დავენახვებიო. იდგა, იდგა, საწყლად და საცოდავად, მწარე ფიქრებით შემოჯარული: ამ ყველაფრის სარჩული ისიც არის, არ ენდომებოდა მის გვერდით საწოლ ოთახში გამეთია ღამეო, და ისედაც დაღლილსა და გასავათებულს, ცხადია, ესეც უწეწავდა

ნერვებსო... ერთი მე მკითხოს, ყინულის ლოდთან მომესურვებოდა წოლა და ძილიო? მე ვიცი, ძველებურად ჩავეხუტებოდით ერთმანეთსო!? ჩემი მამაკაცური ფაფხურიც — რა ვუყოთ, ხნიერი კაცისთვის ზოგჯერ ფაფხურიც ძალიან სასიამოვნოაო, — ამ ჩხუბებში საბოლოოდ დაინავლა და ჩაიფერფლაო... მოულოდნელი გაგულისებით უცებ ხმამაღლა შესძახა, გეგონებათ ბეჭედს ასვამს თავისი მამაკაცური ძალმოსილების ნამუსრევის გაქარწყლებასო: „გა-ცამ-ტვერ-და! გაცამტვერდა!“ საკუთარმა ხმამ შეაკრთო, მიიხედ-მოიხედა, ქუჩაზე არავინ ჭაჭანებდა, მხრები ჩამოყარა, რა ეღონა და რა გზას დასდგომოდა არ იცოდა... და რაღაც ხნის შემდეგ წარმოუდგენელი ბედი მოუვიდა, სწორედ მის წინ მანქანა გაჩერდა, მინა ჩასწიეს და მამაკაცის სასიამოვნო ხმამ — (უჰ, რა ანდამატივით ხმად მოეჩვენა) — მიმართა: საით მიბრძანდებითო, მე არამიანცის საავადმყოფოში მივდივარ სასწრაფო ოპერაციაზე და თუ იქით მოდიხართ, დაბრძანდითო. ლამის ყურებს არ დაუჯერა, ქირურგი გამოდგა ეს კარგი კაცი. ისე გაძნელდა ჩვენი ცხოვრება და განსაკუთრებით მიმოსვლა, თუ ადგილი მაქვს მანქანაში, დანაშაულად მიმაჩნია ვინმე გაჭირვებულს ხელი არ გავუწოდოო, ასე უთხრა. მის გვერდით ავადმყოფის პატრონი იჯდა, ის კი მათ უკან მოთავსდა.

ირაკლის თავისი მამიდაშვილი კოტე ზაფხულის შემდეგ აღარ ენახა და ფიქრობდა რა ვუთხრა ასეთი მოულოდნელი სტუმრობისთვის, რა მოვიგონოვო, იმას ხომ არ შევჩივლებ ცოლმა დამწყევლა და გულში შხამიანი ეკალი გამიყარაო. ერთადერთი ადამიანი, ვისთვისაც შეეძლო გაეზიარებინა თავისი ჭირის შესახებ, ლიზიკო იყო და წყევლის ამბავი ისე ეჩოთირებოდა, ან ლიზიკოს როგორ უნდა ვუთხრაო... თავის მამიდაშვილს კი შესჩივლა, ავტობუსმა გამასწროო, ველოდე, იქნებ გვიანაც რამე გამოჩენილიყო თელავისკენ მიმავალი, საბურთალოზე გამიჭირდა მიბრუნებაო, თან შენი ნახვა მინდოდაო და ხვალ დილით აქედან მარჯვედ წავალო. კოტე კი კარგადაც შეხვდა და კარგადაც მოასვენა, მაგრამ დაღლილ-დაწყვეტილს და ნიათგამოცლილს რული არ მიჰკარებია. თვითონ ვერც გრძნობდა და უნებურად კვნესოდა, შუაღამისას კოტე დაადგა თავს, რა მოგივიდა, ირაკლი, კაცო, ხო არაფერი გტკივა, გულმა ხომ

არ შემოგიტიაო. მაპატიე, კოტე, მაპატიეო, გადავიქანცე და კოშმარები ამეკვიატაო. მაშინვე კოქტეილი გაუკეთა ბარამბოსი, ვალერიანისა და კორვალოლისა და დაალევინა. ჩაყუჩდა და გათენებისას ჩაეძინა. ადრიანად არ ამდგარა, არ აჩქარებულა, გზაში ცუდად არ გავხდეო, მოდღევებულზე წავიდა. გზაში გაზის რიგში დგომაც მოუხდათ მთელი ორმოცი წუთი, ისე რომ თელავში ოთხის ნახევრისთვისღა ჩავიდნენ. ძალიან იყო დაღლილი და მომშეული, იფიქრა ჯერ ლიზიკოსთან გავივლიო, ბარემ გადავცემ ამ ორმოცდაათ დოლარს, რომ გული დაიარხეინოსო, თან ნამგზავრზე ვისადილებ კიდეც და ცხელ ჩაისაც დავლევო. შედგა თუ არა ფეხი, მაშინვე დაინახა ეზოს სილრმეში, თავისი კოხტა ბელეტაჟის აივანზე გადმომდგარი ლიზიკო, გაცისკროვნებული და მომღიმარი, ქარიან ამინდსაც არ შეჰპუებოდა თავისი ასთმის პატრონი, ლამაზად მოეგდო კინკრიხოზე ბერეტი, შინნაქსოვ გრძელ, ფოჩიან შალში გახვეულიყო და უქრობი ღიმილით გადმოსცქეროდა ახალგაზრდა, ჯანიან ბიჭს, რომელიც აივნის წინ, მცირე მოედანზე შეშას ჭრიდა და კუნძებს ხეთქავდა...

„ხედავ, ირაკლი, რა შეშაა, სუფთა რცხილა..." გადმოსძახა ლიზიკომ, „გუშინ მომიტანა აი, ამ კარგმა ბიჭმა, ჩვენი მერძევე ციალას შვილიშვილმა შალაურიდან, ნისიად, შვებით ამოვისუნთქე, ვერ აგინერ რა ბედნიერი ვარ..."

ირაკლის თვალი მოსტაცა ბიჭის მუშაობამ. ბიჭი დიდ კუნძში ურუოთი სოლს არჭობდა, ერთი დარტყმით შუაზე ხეთქავდა, მერე კი ნაჯახით მომცრო ნაჭრებად ხეჩავდა. ურუოს ძლიერი დარტყმის ხმა და ნაჯახის შხული ისმოდა. აქეთ-იქით ნაფოტები ცვიოდა. აივნის ქვეშ წყობისად იყო უკვე დალაგებული თეთრად გამომზირალი რცხილის შეშა. ბიჭი ეტყობოდა შრომას გემოს ატანდა, მარჯვედ იქნევდა ურუოსა და ნაჯახს. თვალში ჩასავარდნი ბიჭი იყო, ასე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისა, შინნაქსოვი, სქელი უსახელოებო ჟილეტიდან შიშველი, დაკუნთული მკლავები უჩანდა.

„ამოდით, ამოდით, უკვე სადილობის დროა, შეშა და შეშის ჭრა ხუმრობა საქმე არ არის, საუცხოო სადილიც გელოდებათ" და ლიზიკომ ანიშნა წამოდითო.

ბიჭმა დაჩეხილი შეშა ნაჯახით გადმოყარა ბრტყელი კუნძიდან და ლიზიკოს ამოხედა:

„დეიდა ლიზიკო, სავსე ტომარა ხომ ვერ მოიხრება?! იქნებ გავსულიყავი ბოლომდე?“

„არა, არა, ბევრი გაქვს დარჩენილი, ცარიელი ტომარა კიდევ ფეხზე ვერ დადგება, დაიბანე ხელები და ამოდით...“

„ირაკლი, კაცო,“ დაიძახა უცებ ლიზიკომ, თითქოს ირაკლი ახლაღა დაინახაო, „როგორ გადავგონდი ამ შეშის გამო, შენ აქ რა გინდა? არ წახვედი გუშინ თბილისში?!“

„სნორედ იქიდან მოვდივარ... ფულიც ჩამოგიტანე, დამშვიდდი.“

„ოჰ, შენ რა გითხარი!“ თავი გადაიქნია ლიზიკომ და ირაკლის საყვედურით ჩამოხედა, „გამაგებინე, რატომ გამოვარდი ასე ელვასავით, რატომ!?...“

„იმიტომ, იმიტომ, მერე გეტყვი“. ასძახა ირაკლიმაც. მას ერთი სული ჰქონდა ეთქვა თავისი ამბავი ლიზიკოსთვის, დაწვრილებით ეამბა, გული მოეოხებინა, ამისთანა თანამგრძნობელი ვინ ჰყავდა და თანაც, სულ რომ უკიჟინებდა ამ განხეთქილებისა და უთანხმოების გამო, სულ რომ ერთიანობისკენ მოუნოდებდა, ნეტავ ახლა რაღას მეტყვისო, გულში ფიქრობდა, ჩხუბისა და წყევლის ამბავს რომ გაიგებსო, ნეტავ ენა თუ მოუბრუნდება და ისევ შერიგებისკენ მომიწოდებსო,... და გადაწყვიტა სადილშემდეგ, ბიჭი შეშის ჭრას რომ გააგრძელებდა და ისინი კი სადილს ჩაით ან ყავით დააგვირგვინებდნენ, მაშინ გაექარვებინა „დატანჯული გული“.

სუფრა გაშლილი დახვდათ შესანიშნავი ფაიფურის ჭურჭლით, ბროლის ფუჟერებით, ღვინოც ვერცხლის ტუჩიან ლამაზ გრაფინში იყო ჩამოსხმული.

„ოჰ, რა ვინმე ხარ, ლიზიკო, ვინც არ გიცნობსო,“ სიცილით უთხრა ირაკლიმ, „ჩვეულებრივ სადილსაც საზეიმო ლაზათი გინდა დაადევნოო“. „აბა, როგორ, არ გვეყოფა გაჭირვება და უბედურება? თუ ჩვენც, თვითონვე ცხვირი ჩამოვუშვით და არ გავიხალისეთ თავიო?!“ და ირაკლის გამგებიანად გადახედა, მრავალმნიშვნელოვნად: „იცოდე, ვერ გადამირჩებიო“, ჩაულაპარაკა. სახლიც საამო სურნელით იყო სავსე, განსაკუთრებით მომშეული კაცისთვის. სოკოს წვნიანი გაეკეთებინა ლიზიკოს

და ცხვრის ბუღლამა, მეზობელმა თათარაც მომანოდაო და ჩემი ბალის ხილთან ერთად კარგ ჩაროზსაც მოგართმევთო. ბიჭმა ხალათი მოიცვა ჟილეტზე და ისე მოუჯდა სუფრას.

„აბა ჩემო ელიზბარაო, კარგად მოიქნიე ყბაო...“ მოუწოდა ლიზიკომ და წვნიანი ჩამოარიგა, „სალათაც მიირთვით, ხომ იცით, შემოდგომის პამიდორი რა გემრიელია.“

„გუშინ თათარობა და ჩურჩხლობა გვქონდა, დეიდა ლიზიკო, მინდოდა თქვენთვის წამომეღო გასასინჯად ერთი-ორი მაინც, მაგრამ ჯერ ლოფლოფია და...“ — თქვა ბიჭმა, „გაშრება თუ არა, რომ ამბობდით გასაგზავნად მინდაო, საუკეთესოებს აგირჩევთ.“

„მალხაზისთვის მინდა, ირაკლი, ბიჭით გვიდგას სული და ჩურჩხელა მაინც გავუგზავნო, მერე როგორ უყვართ ბავშვებს.“

„რა გემრიელი წვნიანია, დიდად მეამა ნამგზავრზე ცხელ-ცხელი, ლიზიკო.“ თქვა ირაკლიმ და ბიჭს მიუბრუნდა: „მეც ტყლაპები მინდა გასაგზავნად და ჩირები, განსაკუთრებით ატმისა, ბაზარში ვერსად ვნახე, იქნებ შალაურში ჰქონდეს ვინმეს გასაყიდად.“

„შეშა ხომ გინდა, კაცო, შეშას რომ ამოგიტანს, ამბავსაც გეტყვის.“ ჩაურთო ლიზიკომ.

„ატმისა არ ვიცი, გავიკითხავ, მაგრაამ ჩემ ნათლიაანთ, — კისისხევში ცხოვრობენ, ზევით უბანში, — ჭანჭურები უდგათ, ჭანჭურებიი, სანიმუშო, ჩირს აკეთებენ, ჩირს აკეთებენ, როო, ჩირის უნახავი გახდებით, ბადაგში ავლებენ და ვერცერთი კანფეტი ვერ შეედრება. კერკიც ძალიან კარგი აქვთ შვინდისა, ტყიდან ჩამოაქვთ ბლომად და გაშრობაც კარგი იციან.“ ამბობდა ბიჭი თავის ქნევით და თავის მომწვანო თვალებს აფოფინებდა. ირაკლი ახლაც სიამოვნებით ავლებდა ბიჭს თვალს და კერკიო, რომ გაიგონა, უჰ, უჰ, რა კარგ ფეხზე მივლიაო, თქვა, „ჩემ რძალ ნინოს, შვინდის შეჭამანდი მწვადს ურჩევნია, ჭანჭურის ჩირსაც აუცილებლად გავუგზავნიდი რამდენიმე აცმულასო“. „თქვენ თუ ჩამობრძანდებოდით შალაურში, მე გამოგყვებოდით კისისხევში და ყველაფერს გაყიდინებდით. თანაც თქვენვე აარჩევდით, თქვენი გუნებით.“ შესთავაზა ბიჭმა. „ჰო და ჰო, ირაკლი, იქ წასვლას რა უნდა? ჩავსხდებით შენს მანქანაში და უცებ ჩავირბენთ... აბა, კაცებო, ეხლა ბუღლამისთვის გაემზადეთ, ისე-

თი ხორცი იყო, უმად იჭმებოდა." ლიზიკომ დიდი ბადიით სავსე კერძი სალათის გვერდით დადგა.

„ტყუილია, ცხვარს მაინც არაფერი შეედრება." თქვა ბიჭმა

„ჰოდა, აბა, კარგად გადაიღე, შეშა გაქვს დასაჭრელი და მერე კაი სამაყრო გზა გასავლელი". მოუწოდა ლიზიკომ, „წესით ჩირები უკვე გამშრალიც უნდა იყოს, ჩვენც ნუ გადავდებთ, არა, ირაკლი?!" ირაკლიმ გულიანად გაიცინა:

„ცოტა ბუღლამას გეახლებით, ქალბატონო ლიზიკო, და მერე მოგახსენებთ, კარგით?" და ბუღლამა გადაიღო.

„ბუღლამასთან თითო ჭიქა ღვინოც დავლიოთ... ჩამოასხი ირაკლი, და სათქმელიც მოგვახსენე." პიესის რეპლიკასავით წარმოთქვა ლიზიკომ.

„მოდით, ამ კარგმა ბიჭმა გვითხრას რამე, აბა, ერთი რას გვეტყვის, მაინტერესებს." და ირაკლიმ ბიჭს გადახედა.

„უმძრახად ხო არ დავლევ ღვინოსა და მაშ, ჩვენ საწყალ მთაბარს გაუმარჯოს." ბიჭმა ასწია ფუჟერი მაღლა, მერე კი უცებ გადაჰკრა.

„აი, ყოჩაღ, ბიჭო ელიზბარაო, ყოჩაღ, გაუმარჯოს! მე კი ის უნდა მეთქვა, რომ ჩემმა მანქანამ ჩაილურის წყალი დალია და ამ მანძილზე, კისისხევამდე მე ფეხით სიარული გამიჭირდება." ირაკლიმ მორცხვად გაარაცრაცა თავი.

„რატომ, ადამიანო, რატომ! შესძახა ლიზიკომ.

„რატომ და აი, ელიზბარას ტოლმა ბიჭებმა თოფი მომიშვირეს და გადმომსვეს მანქანიდან, ... გომბორის გზაზე, თბილისში რომ მივდიოდი."

„ვაიი!" დაიძახა ბიჭმა და ბრაზით აენთო თვალები. უჰ, რა მწვანედ უხასხასებს თვალებიო, გაიფიქრა ირაკლიმ. „რატო იქ არ ვიყავი, მე იმათ ვუჩვენებდი სეირს. ოჰ, ის უმაქნისები ისინი!" გულმხურვალედ იძახდა ბიჭი.

„წარმოგიდგენია?!" შეიცხადა ლიზიკომაც, „ჩირები და ჩურჩხელები არაფერი, აი, ელიზბარა ამოგვიტანს, მაგრამ შენა, ირაკლი, შენა, როგორღა ივლი?"

„უცებ რო იქ გავჩენილიყავიი..." ბობოქრობდა ბიჭი, „დავანახვებდი იმათ ქალაქი საითაც არი, კუდით ქვას ვასროლინებდი."

„ვერაფერსაც ვერ ასროლინებდი! იარაღს შეებრძოლებოდი

ცარიელი ხელებით?“

„ვაიმეე, დეიდა ლიზიკო, თქვენ არ იცით, ამ ერთი კვირის წინ, ხიდი როა ჩვენსა და კისისხევს შორის, უკაცრიელი, ორი ბიჭი, კალაშნიკოვებით, რო გადამიდგნენ და ჯინსის შარვალ-კურტკაზე მომეტანნენ, გაიხადეო, თანაც ძლივს ნაყიდზე, გულში მქონდა ამოკვეთილი რამდენი ხანი, მოზვერი გაყიდეს ჩვენებმა ჩემი გაზრდილი, ცრემლები მცვიოდა, ბაზარში რო წაიყვანეს, მაგრამ ძალიან მინდოდა ჯინსის შარვალ-კურტკა. ჰოდა, მომეტანნენ, გაიხადეო, ისინი ორნი იყვნენ, ერთი დაბალი, ჯინგოდორა, მეორე კიდევ აწონილი, ჭყანტობში ამოსული გეგონებოდათ, ჰოდა ისინი ორნი იყვნენ და მე ათად ვიქეცი, დედა არ მომიკვდეეს, ტყუილს როგორ გეტყვით, კვეხნა და ტყუილები ძალიან მეჯავრება,...“ ბიჭი ბრაზითა და მრისხანებით დაჭყეტილ მოელვარე თვალებს აქეთ-იქით შეაფეთებდა ირაკლისა და ლიზიკოს, — „კალაშნიკოვები ხიდიდან გადავუყარე ხევში, ღონიერი კი ვარ, მაგრამ, ძალა მომეცა, ძალა მომეცა, თვითონვე მიკვირდა, იგეთისა დავტყლიჟე, ორივეს, უკაცრავად ამ სიტყვაზე და ტრაკით ნულიანი დავაწერინე ზედ ხიდზე, მერე ჭიტლაყებიც ვუჭირე, ჩვენაო სოხუმში ვიბრძოდითო, მომძახოდნენ! იმიტომაც წავიდა ჩვენი საქმე ეგრე კარგად, რომა თქვენისთანა ყაჩაღები იყვნენ იქა-მეთქი, მივაძახე. რაებსა ყვებოდა ჩემი ძმა, რაებსა, თმები ყალყზე დაგიდგებათ... ვაიმეე, ხო არ დაგღალეთ, ამდენს რო გიამბობთ, მაგრამ გული მიდუღს და თანაც სიტყვამ მოიტანა...“

„არა, რას ამბობ!“ შესძახა მოუთმენლად ირაკლიმ, „რაო, რას ჰყვებოდა შენი ძმა?“

„თან ჭამე, ელიზბარ ბიჭო, ჭამე, ნუ გააციებ ბუღლამას!“ ჩაურთო ლიზიკომაც.

„არადა რა გემრიელია?“ წარბები აწკიპა ელიზბარამ, ერთიორი ლუკმა უცებ გადაყლაპა და ამბობის ეშხში შესულმა განაგრძო. „რასა ჰყვებოდა და ქუთაისს რო კარგად გავცდით, მივდივართ და გზის პირას მსხმოიარე ხეივანი დავინახეო, თან პირი მიშრებოდა და მომინდა, მომინდა პირი გამესველებინაო, ღობესთან, ხეივნის ქვეშ ხნიერი ქალი იდგა და რო მივუახლოვდი, ვთხოვე: „ბებია, თუ შეიძლება, ერთი კუფხალი ყურძენი იქნებ მომიწყვიტოთ, პირი მიშრება-მეთქიო, ტირილი დაიწყო თურმე

იმ ბებიამ, ვისი ხარ შვილო ეგეთი ღვთისნიერიო, დაგვანელეს, აღარაფერი შეგვარჩინეს და შენ კუფხალს მთხოვო? დაკრიფე რამდენიც გინდაო. იფიცავდა ჩემი ძმა, ორ მტევანზე მეტი არაფრით არ გამოვართვიო. დედაჩემმა უთხრა: იქიდან თითზე გადახვევა ძაფი რომ ჩამოგეტანა. სახლში არ შემოგიშვებდიო." „ეტყოდა, ეტყოდა, ტყუილია ციალასთანა". თქვა ლიზიკომ. „ელიზბარ, გენაცვა," უთხრა გულაჩუყებულმა ირაკლიმ, „მეც ხომ ამომიტან შეშას და თან გთხოვ თქვენი სოფლის, მეზობელი სოფლების ამბებიც მოაყოლე... მინდა ჩვენი მხარისა და ჩვენი ქალაქის ქრონიკა დავუწერო ჩემს შვილიშვილებს... სინათლე არ არის, ტელეფონი იშვიათად და წამიერად, ჰოდა, მერე მაინც ხომ უნდა გაიგონ რა გვჭირს და რა დღეში ვართ, საიდან მოდის ჩვენი ვაივაგლახი!?" ისეთი შემართებით თქვა ირაკლიმ, თითქოს ვილაც უხილავ ოპონენტს ედავებაო.

„მერე, ძია ირაკლი, მთლად ძველ ამბებს რო თავი დავანებოთ, საიდან მოდის ჩვენი ეხლანდელი ვაივაგლახი? სუ ტყეში, სუ ტყეში, სუ მუშაობა და დამნატრულდა ხეირიანი სიტყვის გაგება, გაზაფხულის შემდეგ, რაც სკოლა გავათავე, წიგნი ხელში აღარა მჭერია, არადა მიყვარდა, სწავლაცა და წიგნიც, ეხლა, რაკი ჩემი ძმა დაბრუნდა, ამომიდგება მხარში და მეც რაღაცას მივენევი. ჰოდა, მაინტერესებს თქვენი აზრის გაგება, საიდან მოდის ჩვენი ეგეთი ვაივაგლახი?"

„საიდან?" ისე შესძახა ირაკლიმ, თითქოს სწორედ ამ კითხვას ელოდაო, „საიდანა და მარქსიზმის იდეებით გატაცებიდანა და გავრცელებიდან და ილიას მკვლელობიდან, ქვეყნის დამღუპველი რევოლუციიდან და რუსული ექსპანსიიდან, განა იმას დაუშვებდნენ რუსებთან ერთად ქართველი რევოლუციონერები თვითონ მოსკოვში მსხდარიყვნენ და საქართველოში ნაციონალ-დემოკრატებსა და ფედერალისტებს ეპარპაშათ? გვერდზე გადაედოთ სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის იდეები და პატრიოტიზმის ჭაობში ჩაძირულიყვნენ?! საკუთარ დედას გაჰყიდდნენ, სამშობლო ფეხებზე არ ეკიდათ? ვითომ იდეების სახელით სულაც წყალსა და მეწყერს რომ წაეღო... მაგრამ არა, მე ასე შორიდან არ დავიწყებ, ამას ყველაფერს ახალი ისტორიის სპეციალისტები დაწერენ... მე მინდა ჩემს ბიჭებს წერილების სახით დავუწერო... მშვენიერი რამ იყო ეპისტოლარული ჟან-

რი, დავუწერო ჩვენი მხარის, ჩვენი ქალაქის შესახებ, ცუდსაც დავუწერ და კარგსაც, აი, მაგალითად, შენ რომ შეგხვდი, ბიჭო ელიზბარაო," — ირაკლიმ ღიმილით გადახედა ბიჭს, „გავაცნობ შენს თავს, და იმასაც, რა სავალალო ამბები გადაგვხდა თავს და ახლაც რა დღეში ვართ." „მადლობა, ძია ირაკლი, კარგ თვალზე რო შემომხედეთ, მაგრამ მაპატიეთ, ჩვენი ამბები ძალიან მძიმე გამოგივათ, იქ კი არიან, მაგრამ რაც გინდ იყოს, მაინც ქართველები არიან და გული დაეჩაგრებათ, იგეთი ამბები ხდება, მხედრიონელები პარპაშებენ და სძარცვავენ აქაურობას, ქალები კიდევ დაიძრნენ და საბერძნეთი და იტალია შალაურად გაიხადეს."

„მითუმეტეს! მითუმეტეს! როგორ შეიძლება არ დავუწერო! ცომის რიგში რომ ვდგავარ, სულ ეგ მესმის, ვინ სად მიდის, ვინ სად მოდის, ვინ რამდენს სესხულობს ქრთამის მისაცემად: ვიზისთვის, საზღვარზე გადასაყვანად, სამუშაოს საშოვნელად... აქ რა პირობები აქვთ, ვის როგორ გაუმართლებს, ვის როგორი მოხუცი შეხვდება მოსავლელად. ჰყვებიან და ჰყვებიან დამარტოებული ქმრები, ზოგნი ყვერულებად ქცეულები და ზოგიც პირიქით, ცოლის ფულებით პენდაწმენდილი და გალაღებული!"

„კარგით! გთხოვთ გული დაიმშვიდეთ!" შესძახა ლიზიკომ და ტაში შემოსცხო, „მეც მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა: მძარცველებს მოუკუპრავენ, დღეს თუ არ იქნება ხვალ, ალაგმავენ, ქალებიც ამ გაჭირვებას გადაატანინებენ თავისიანებს, როგორც ჩვენ მალხაზი გვატანინებს და დაბრუნდებიან! ასეთები კი გადაუტანია ჩვენს ქვეყანას?! კურკას ნაყავდნენ ჩვენი წინაპრები შემოსევებისა და შიმშილობის დროს, იმას აცხობდნენ და იმითი იბრუნებდნენ სულს... მე კიდევ, ჩემი ასთმის პატრონმა, როგორი სადილი მოგართვით?! და გთხოვთ, ნუ ჩავიშხამებთ, აბა, ახლა ჩემი გაკეთებული ყავის ლიქიორითაც ჩაიკოკლოზინეთ პირი?! ჩამოასხი ირაკლი!" ლიზიკომ ვერცხლის პაწია სირჩები დაუდგა ირაკლისა და ბიჭს, მერე კი ლარნაკით ხილი და მეზობლის მოწვდილი თათარა მოიტანა, დესერტისთვისაც ჭრელჭრელი, გულმახარა, მომცრო თეფშები ჩამოარიგა.

„რამდენ რამეს ისწავლის თქვენგან ადამიანი!?" ღიმილით თქვა ბიჭმა და თავისი მწვანე შუქით სავსე თვალები შეანათა ირაკლისა და ლიზიკოს.

სადილშემდეგ ლიზიკომ ბუხარი შეანთებინა ელიზბარას, სახლში აგრილდა და მეშინიაო და ჭურჭლის ალაგება დაინყო, ბიჭიც თავის საქმეს შეუდგა და ირაკლიც გარეთ გავიდა, ჰაერს ჩავყლაპავო. ბიჭი მალე მორჩა ჩეხვას, შებინავებით ხვალ შეგიბინავებთო, უთხრა ლიზიკოს, ამოსასვლელი ვარ ისედაც და გასტუმრებითაც ხვალ გამისტუმრეთო. აბა რა�ო, თავმომწონედ გაიღიმა ლიზიკომ, დილითვე გადავახურდავებ დოლარებს და დაგახვედრებ ჩემს ვალსო. ბიჭი დიდი ამბით გამოეთხოვა ირაკლის, ამ დღეებში გავჩნდები თქვენთან, შეშასაც მოგართმევთ და ამბებსაცო.

ლიზიკო და ირაკლი ბუხარს მიუსხდნენ და ლიზიკომ მყისვე ის ჰკითხა: რატომ გამოვარდი ასე ელვასავით, რატომო! ამისი კითხვა იყო და ირაკლის ერთბაშად ჩაუქრა სადილიდან და ელიზბარასგან გამოყოლილი განწყობა, სულ გაუქარნყლდა ხალისი და შემართება, იჯდა ბუხართან სავარძელში მოღვენთილი და თავჩაქინდრული, უცებ ყბაც ვერ გასძრა, მდუმარედ იქნევდა თავს. ლიზიკოს მღელვარებისაგან ხველა აუვარდა, მაშინვე ასთმის საწინააღმდეგო წვეთები დალია და ტყლაპიც ჩაიდო პირში, გული რომ მოიბრუნა, ირაკლის საყვედურით გადახედა, „ბოდიში და ხომ გაგიგონია, თუ არა გქონდეს ჭირიო... ასეა შენი საქმე ირაკლი, აი, სწორედ ასე, იმის მაგივრად ყველაფერს ზემოდან შეხედო...“

„შენც ხომ გაგიგონია“, როგორც იყო ხმა ამოიღო ირაკლიმაც, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო“.

„როგორ! სულ წამოხვედი? სუუულ?“ შეშფოთდა ლიზიკო.

„აბა, რა მექნა... როდემდე მეთრია საბელი... როდემდე... როდემდე...“ ხმა გაებზარა ირაკლის.

„როდემდე და სანამ არ გადაივლიდა ეს... ეს... наваждение... მათი ეს შეყვარებულობა... ხომ ხედავ ეგენი გატაცებულები არიან, გატაცება და სიყვარული კიდევ ბრმაა, ბრმა!“ ირაკლიმ თავი აიღო და ლიზიკოს შეხედა, გული გაუკენწლა მისმა სიტყვებმა:

„მე კიდევ ვერ ვიტან, ვერა მონურ დამოკიდებულებას. მე ზიზი ლაღი და თავისუფალი ადამიანი მეგონა.“ „კარგი რაა, ირაკლი, კარგი! ვინ არის თავისუფალი, ვინა, ეს ხომ მითია, ადამიანის თავისუფლება, დაწყებული დაბადებიდან, ადამია-

ნი ხომ სულ რაღაცას ან ვიღაცას ექვემდებარება და ემონება, ხან ვნებებს, ხან ოქროს, ხან ძალაუფლებას, ხან ყველაფერს ერთად. განა შენ თვითონ არ ამბობდი თავისუფლებაზე ჩვენი ერთ-ერთი კამათის დროს: ქართველ კაცს ნებისყოფა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლისთვის ჰყოფნიდა, თორემ პიროვნული თავისუფლება მხოლოდ ერთეულთა ხვედრიაო, ჰოდა დაოკდი, გაიხსენე, ჰიტლერზე და სტალინზე აბნევდნენ სულს მილიონები და ჩირად არ სთვლიდნენ, აინუნშიც არ აგდებდნენ, რომ მიწა გაჟღენთილია ასევე მილიონობით უდანაშაულოთა სისხლით. აქ კიდევ ნაციონალური ლიდერი, ახალგაზრდა, ლამაზი კაცი, ჰუმანიტარი. ყოფილი დისიდენტი. არ ვიცი, გახსოვს თუ არა, ამ ოცი წლის წინ ოპერა რომ დაიწვა და მერე სამარცხვინო სასამართლო გაიმართა. ერთხელ, თბილისში ყოფნისას მეც დავესწარი იმ სასამართლოს, სრულიად უდანაშაულო ხალხს, რამდენიმე კაცს ასამართლებდნენ, იმ დროს როცა, ვითომ ხანძრის სულისჩამდგმელი, ვახტანგ ჭაბუკიანი, იაპონიაში ბალეტს დგამდა. დარბაზი დრტვინავდა ცილისწამებითა და უსამართლობით. და თუ იცი, ვის ელოდა ხოლმე ხალხი ცის მანანასავით, ვის გამოჩენას სასამართლო დარბაზში, ვისა და ზვიად გამსახურდიას, რომ მოვიდოდა და სიმართლეს მხარში ამოუდგებოდა... ჯერ ისედაც ძალაუფლება როგორ აღელვებს ადამიანებს, განსაკუთრებით ქალებს, როგორ მუხტავს სექსუალური ენერგიით, რა აღტაცებას, რა აღტყინებას ამოტყორცნიან, ატომივით! შარშანწინ, თბილისში რომ ჩამოვედი, იმელთან გოგო შემხვდა, სულ ახალგაზრდა, ყლორტივით გოგონა, გულზე მუყაოს ფირფიტა ეკიდა ზედწარწერით „მინდა შვილი გავაჩინო პრეზიდენტისაგანო," თვალებს არ დავუჯერე, ზიზიმ კი სულ არ გაიოცა: რატომაც არ ენდომება შვილის გაჩენა ასეთი წინამძღოლისგან, რომელსაც შარავანდედად ადგას საქართველოს თავისუფლებაო. და სწორედ ამ დროს, რუსთაველი ზიმზიმებდა კარვის ქალებით, პრეზიდენტის მომხრე და უმთავრესად პრეზიდენტის დამხობის მოსურნე ხალხით. და აკი დაამხეს კიდეც, განდევნეს კიდეც. და ვინ იცის, იქნებ ჩვენ თანაგრძნობით უნდა გავიმსჭვალოთ ზიზისა და ზიზისნაირთა მიმართ, იქნებ, სხვა თვალით უნდა შევხედოთ მათ თავდადებასა და ერთგულებას უკვე დამხობილი და განდევნილი პრეზიდენ-

ტისადმი, რომელიც აი, ახლა, კაცმა არ იცის სად დაძრნის, სად დაეხეტება და აყეფებული მეძებრებით გაყრუებული და აცახცახებული რომელ ჩირგვს აფარებს თავს... ჰოდა, იმისი ამბავი დამთავრებულია და ამათი ბობოქრობაც გადაივლის, გადაივლის, გეუბნები".

„ლიზიკო, გამაგებინე! შენ ვეფხვის დეიდაშვილი ხარ, თუ ჩემი „დაცაზე და უფრო დესი"? ამასობაში მეც გადავივლი, ადამიანო, მეც გავთავდები და ვეღარაფერს მოვასწრებ, რაც ჩაფიქრებული მაქვს, გული ხელით მიჭირავს, ცალი ფეხი სამარეში მიდგას და მეორესაც მალე ჩავდგავ და იქნებ სისულელეა, მაგრამ მინდა ჩემი ჩანაწერები მოვანესრიგო. ჩემს ბიჭებს რაღაც მოვაგონო, ვინ არიან და საიდან არიან, აბა, ამერიკისა იცოდნენ და თავისი არა?! ქართულ სკოლაში არ სწავლობენ, ირგვლივ ქართული არ ესმით, მალხაზი და ნინო მთელი დღე უნივერსიტეტში, ბიჭები მთელი დღე გახანგრძლივებულ სასწავლებლებში, საღამოთი კომპიუტერი, ტელევიზორი, ერთიორი საყველპურო ქართული მშობლებთან და გავარდა დღე... და ასე სულ, კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე და წლიდან წლამდე... აქ ნასწავლის დავიწყებას კიდევ რა უნდა?"

„მერე, ზიზის ეგ ესწავლება, რომ წერა ყოველთვის აქარვებს გულს, მით უმეტეს ახლა, შენს მდგომარეობაში, რატომ არ უნდა შეხედო თქვენს კინკლაობას, როგორც გარდამავალ, მოსანელებელ მომენტს, განა გატაცება გაუწევს მეტოქეობას ცხოვრება-გამოვლილ ნაწრთობ სიყვარულსა და მეგობრობას?! დამიჯერე გამოცდილ ქალს, დამიჯერე, ირაკლი! მითქვამს და გიმეორებ, მალხაზმა რომ გაიგოს, მეტი რომ არ შეიძლება, ისე შეწუხდება..."

„მალხაზს არაფერსაც არ ვეტყვი, არც მივწერ და ფულსაც ისევე გავანაწილებთ, როგორც აქამდე იყო... ჰოდა, ამაზე ნულარც ვილაპარაკებთ. ასე მეგონა ყველაფერს დაწვრილებით გეტყოდი, მაგრამ უცებ ისე დამიმძიმდა გუნება... ნიათი გამომეცალა... თავი არა მაქვს..."

„იქნებ დარჩენილიყავი ამაღამ..." ლიზიკოს ერთბაშად აუჩუყდა გული ფერწასული, სავრძლის საზურგეზე კისერგადადებული ირაკლის შემხედვარეს, გადაიწია, ხელზე ხელი მოუთათუნა, „ჩემო ძმობილო ჭიანჭველა, რა სამწუხაროა, რომ ვერ დავგრი-

ხე თოკი-ბაწარი?! ამაღამ მაინც აქ დარჩი, კოტიკოს ოთახში მოგასვენებდი კარგად...“

„აბა როგორ, ამ ყაჩაღობაში... მაგრამ იქნებ სათბური მოგეცა, აქვე ჩავიდებდი და ისე წავიდოდი, სახლშიც აღარაფერს ავანთებდი, პირდაპირ შევწვებოდი ლოგინში... ძალიან დავიქანცე... გუშინ წასვლა, დღეს ჩამოსვლა, ჩემთვის უკვე მეტისმეტია...“

„ოჰ, რა ჯიუტი ხარ...“ ლიზიკომ ჩაიდანი შემოიტანა და ბუხარში ნაკვერჩხლებზე დადგა.

ირაკლის ლიზიკოს სიტყვები უტრიალდება თავში ქალების გატაცების შესახებ და ეცნო კიდეც. გაახსენდა შარშანწინ პრეზიდენტის მხარდამჭერ მიტინგზე რომ მიდიოდნენ, მეგობარმა გამოუარა ზიზის, ასმათმა და ან ზიზი როგორ ემზადებოდა, რა ჩაეცვა და რა დაეხურა არ იცოდა, როგორ კეკლუცობდა სარკესთან, როგორ საგულდაგულოდ იხატავდა თვალის უპეებს, ზევიდან მწვანე ჩრდილებს ავლებდა ქუთუთოებს, ან ასმათი როგორ საზეიმოდ იყო გამოწყობილი, გეგონებოდათ თეატრში, თუ მეჯლისზე მიდიანო.

„ირაკლი, რა ლამაზია ჩვენი პრეზიდენტი, არაა, თვალს ვერ ვაცილებ ხოლმე.“ აღტაცებით ეუბნებოდა ასმათი. ირაკლიმ კი დაუქნია თავი ასმათს, -- არ იფიქროს ვეჭვიანობო — მაგრამ მთელი თავისი არსებით ვერ იტანდა ასეთ დამოკიდებულებას, ბავშვობიდან მოყოლებული, როცა ლენინ-სტალინიზე ამღერებდნენ და სახოტბო ლექსებს ათქმევინებდნენ დაუსრულებლად... არ გვეყოფოდა განა ათეული წლობით გართხმა და ქედის მოხრა, რომ ახლაც, როცა ვითომ გავთავისუფლდით, კისერი არ მოვიტეხოთ თავის ქნევითო, და რამდენჯერ უფიქრია: აღმდგარი დავით აღმაშენებელი რომ დამენახა, ღმერთმანი, მის მიმართაც არ მექნებოდა ასეთი ინფანტილური და მონური დამოკიდებულებაო. რა საკადრისია ჭკუადამჯდარი ადამიანისგანო. და ირაკლის, გამოპრანჭული ზიზისა და ასმათის დანახვაზე უცბად გაახსენდა თავისი ოდინდელი მონაფეები, მეცხრე კლასელი გოგონები, თოთხმეტ-თხუთმეტი წლის მშვენიერი და უსაყვარლესი გოგონები... ირაკლი დღის ბოლოს სახელგამიდან მოდიოდა, გამოწერილი წიგნები გამოიტანა და ის მოჰქონდა, ფხუკუნი გაიგონა, მიიხედა და დიდი სახლის გვერდით, ვინრო გასასვლელში გოგონები ჩასაფრებულიყვნენ და აღელვებული

და კისერწაწვდილები ქუჩას გაჰყურებდნენ, დაჭყეტილი თვალებიდან ნაპერწკლებს აფრქვევდნენ და აურაცხელ, ქათქათა კბილებს აელვარებდნენ, ერთი სიტყვით, დასანახები იყვნენ, ირაკლიმაც გახედა ქუჩას, და მოპირდაპირე ტროტუარზე ბიჭი დაინახა, ქვევითკენ მიდიოდა. ბიჭს ორნამენტებით აჭრელებული სქელი ჯემპრი ეცვა და მხარზეც კანვით ნაკერი ცალთვალა ხურჯინი ჰქონდა გადაკიდებული, ეტყობა სკოლის ჩანთად, წიგნებისა და რვეულების კიდეები მოუჩანდა ხურჯინიდან. ბიჭი ქოჩორა იყო, კოხტად აღნაგი და თვალში ჩასავარდნი, თავისი უცხო იერის გამოც. ეს ხომ მინდია�ა, გაიფიქრა ირაკლიმ, მაშინვე იცნო ბიჭი. თეთრწყლებში მალხაზის ყოველწლიური „ჰაერის გამოცვლისას“ სწორედ მათთან ქირაობდნენ ხოლმე ოთახს, ყოჩაღი, მორბედი ბიჭი იყო, დაუზარელი, დედის დამხმარე, მინდია წიკლაური, მალხაზიც სად აღარ დაჰყავდა, ტყესა და ღრეში, მალხაზი კუდბაწარასავით სულ უკან დასდევდა. მინდიას თეთრწყლების რვაწლიანი სკოლა დაემთავრებინა და ახლა უკვე თელავში სწავლობდა, ვაჟთა სკოლაში. არაფრით არ მოისურვა ორჯონიკიძეში წასვლა, სადაც ბებია ქართულ სკოლაში რუსულს ასწავლიდა, თელავში მინდა ვისწავლოვო.

„რაო, გოგონებო,“ ირაკლი შუკასთან გაჩერდა, გოგონებს გაუღიმა, „მოგწონთ მინდია?“ გოგონებმა სიცილი დაიწყეს, მერე ერთხმად შესძახეს, ბავშვებივით, მოგვწონსო. გუნდურად მოსწონდათ და გუნდურად იყვნენ გატაცებული, და ეს გუნდურობა კიდევ უფრო ახელებდა და აგულისებდა მათ გატაცებას.

„იცით, პატმასწ, აი ელიკომ გვითხრა, გამშორდებით თუ არა, მაშინვე შემხვდება ხოლმეო და ჩვენც ავდექით და დავიცადეთ...“

„იცით, პატმასწ, ვაჟთა სკოლაში ლიტერატურული საღამო რომ გამართეს, იცით როგორა თქვა „პესნ ო ვეშჩემ ოლეგე?“ იმხელა ლექსი, ერთი არსად შეშლია და თან რა გამოთქმით, ვერ იფიქრებდით რომ სოფლელია.“

„ე, სოფლელი კი არა, ხევსურია!“ გაუსწორა ამხანაგმა, და ამ „ხევსურობაში“ იგულისხმებოდა მთა და მთის რომანტიკა, ციცაბო ბილიკებზე ცხენების ჭენება, ხანჯლების ტრიალი და კეჭნაობა, სიჩაუქე და თავდადება, ათასი სიკეთე, და რა თქმა უნდა, პოეზიაც, და რა თქმა უნდა, ყველაფერი აღმატებული.

ჩაიდანი მალე აშიშინდა, ლიზიკომ სათბურში ჩაასხა ცხელი წყალი, თავი მაგრად დაუცვა. ირაკლიმაც უბეში ჩაიდო და ნამოდგა. მოუსვენრობა დაეუფლა და ლიზიკოს გამეორებული თხოვნის მიუხედავად, სად უნდა იარო ამ სიბნელეშიო, არ დარჩა. არადა, აღმართები ჰქონდა ამოსავლელი. ლიზიკო ბატონის წყლის ქვევით ცხოვრობდა, ყოფილ მახარაძის ქუჩაზე, ირაკლი კი ზევით, კორტებთან შორიახლოს. არადა ისე ბნელოდა, თვალში თითს ვერ მიიტანდით, სინათლე არსად ჭიატობდა, არც ქუჩაში, და სახლებიდანაც კი არ გამოკრთოდა. ნელა, სვენებსვენებით მიდიოდა, ფრთხილი ნაბიჯებით, ფეხი არაფერს ნამოვკრაო, თან გულიც არ უშვებდა, დასაწყისში მაინც უჭირდა სიარული. მალხაზის გამოგზავნილი აბების ფირფიტას, რომელსაც პიჯაკის ჯიბიდან არ იშორებდა, ერთი აბი გამოაძრო, სათბურმაც უშველა და თანდათან ნაბიჯი გაიმაგრა. კორტებს რომ მოუახლოვდა აგრეგატის დუგდუგი და ძროხის ზმუილი შემოესმა. დაგმანული, მაღალი ჭიშკრის თავზე მცირეოდენი შუქი ანათებდა არეს. სანამ გასცდებოდა ჭიშკარს და მაღალ გალავანს, ძროხამ შებღავლა და მაშინვე ახროტინდა. "ღმერთო ჩემო... შუა ქალაქშიო" ჩაიდუდუნა და ელიზბარას ნათქვამი გაახსენდა, ყაჩაღობენ და ღრეობენო, „რატომ? რატომ ამოტივტივდა ამდენი ლექი და დურდო? რატომ? აი, როგორ გაიგეს თავისუფლება... იყო აღვირახსნილი და ყველაფერი ფეხებზე გეკიდოს..."

სახლში მისულს, როგორც დასაწყისში ვთქვით, სიბნელე და სიჩუმე შემოეგება. ასე ეგონა მთელი სახლი სიბნელითა და სიჩუმით იყო გათანგული. ასანთს გაჰკრა და შემოსასვლელშივე ტუმბოზე შემოდგმულ შანდალში სანთელი აანთო, სათბურმა ძალიან უშველა, მაგრამ ხელ-ფეხი მაინც გაყინული ჰქონდა, სანოლ ოთახში გავიდა, პლედი და საბანი გადასწია, უბიდან სათბური ამოიღო, — ჯერ ისევაც კარგად თბილი, და საწოლის ბოლოში საბნის ქვეშ შედო. ზიზი დააუთავებდა ხოლმე ლოგინს, ცხელ უთოს გაუსვ-გამოუსვამდა ზეწრებსა და შალითებს. ო, რამდენი სიტკბო და ნეტარება ახსოვს ქიშმირის ამ საბნებში... სიხარული აურაცხელი და ცხოველმყოფელი. აღარ უნდა მოიგონოს, აღარ. რაც იყო, იყო. ის ყველაფერი, კარგიც და ავიც, წარსულს ჩაბარდა. თურმე შეიძლება მთელი ცხოვრება ერთბა-

შად იქცეს წარსულად. ახლა მთავარია განდევნოს მიუსაფრობა, ეს მძიმე მაჯლაჯუნა, ძალა მოიკრიბოს და თავისი კარგი ბიჭებისათვის გაისარჯოს. და მართლაც, მშვენიერი ახალგაზრდა კარდიოლოგის, ეკას ყურადღებითა და დახმარებით მოიკრიბა ძალა და სულ ცოტა ხანში შეუდგა თავის წმინდა საქმეს. დილიდანვე უწინდებურად მიუჯდებოდა ხოლმე საწერ მაგიდას. სასურველ რიტმში ჩავარდა. ისიც სათქმელია, ელიზბარამ, შეშა რომ ამოუტანა, სთხოვა: თქვენი არაფერი მინდა, ისტორიაში მომამზადეთ და ზაფხულში ინსტიტუტში ჩავაბარებ შესასვლელ გამოცდებსო. შეშა იყოსო, ირაკლიმ უთხრა, და დანარჩენს არაფერს გამოგართმევ, უსასყიდლოდ მოგამზადებო. ელიზბარას გარდა, ბიჭებმა მოაკითხეს, დიპლომანტებმა, ირაკლის დროს ისინი მეორე კურსელები იყვნენ, ახლა კი სთხოვეს სადიპლომოებზე გვიხელმძღვანელეთო. ორნი იყვნენ, ლიზიკოს თხოვნით მიიღო, და ესეც რომ არა, ახალგაზრდები ყოველთვის უყვარდა. შემეძლოს რაიმეში წავადგე და თავს როგორ დავზოგავო. მართლაც ხალისით, დაუზარებლად ამეცადინებდა. შეგირდებიც გულისყურიანები გამოადგა. შალაურელი ელიზბარა მწყურვალივით ეწაფებოდა ირაკლის გაკვეთილებს, დააჭყეტდა თავის მწვანე თვალებს და ლამის დაუხამხამებლად მიაჩერდებოდა თავის მასწავლებელს, და დიდადაც აფასებდა. ერთხელ უთხრა: „თქვენა, ძია ირაკლი, მთელი მსოფლიო ხელში გიჭირავთო!" ირაკლის გაეცინა, მერე კი მოიღრუბლა, ზიზი დაუდგა თვალწინ: „სიყვარულის ხელში დაჭერა უფრო ძნელი ყოფილაო", გაიფიქრა.

დიპლომანტებიც მუყაითი ბიჭები აღმოჩნდნენ. ერთი თელავის თეატრის პრემიერის, ზურა გაგნიძის შვილი, კახა, მეორე კი ქვევითუბნელი, ლიზიკოს კარგი ნაცნობების შვილი, გოგლიკა — „ტალიკ-ტალიკი ბიჭები და ორივენი უპოვრებიო", ლიზიკომ უთხრა და თქმა არც იყო საჭირო, ისედაც ირაკლიმ წესად დაიდო, რაკი მალხაზი უგზავნიდა ფულს, ამ გაჭირვებაში, ვისაც დაჭირდებოდა მისი დახმარება და მასთან მეცადინეობა, სასყიდელზე ლაპარაკი არასდროს არც იყო. სამაგიეროდ ბიჭებიც ხელს ატანდნენ: წყლის მოტანა იყო, — ხალხი დრტვინავდა უწყლობით, უსინათლობასა და უგზოობაზე ძნელი უწყლობაააო, ყველა ამას ამბობდა, — ნავთის მოტანა იყო, ცომის

რიგის დაკავება, — მერე კი ზოგჯერ თვითონ ირაკლი ჩადიოდა ხოლმე — თუ ბაზრიდან რაღაც სანოვაგის ამოტანა ისე რომ, ბიჭებთან მეცადინეობის მიუხედავად, წერილების საწერადაც კარგად მოეწყო ხელი. გამაგრდა თავის სახლში, როგორც ციხესიმაგრეში და სწერდა და სწერდა თავის შვილიშვილებს, გაღუღუნებული ბუხრის სიახლოვეს... წერა მისთვის, ცხადია, სულ არ იყო უცხო, მთელი სიცოცხლე საწერ მაგიდასთან გაეტარებინა, მაგრამ ვარიაციული ჟანრის ოპუსები არასდროს შეეთხზა, და როგორც კი დაიწყებდა მიმართვას „ჩემო ვაჟკაცებო...“ ან „ჩემო რაინდებო...“ ან „ჩემო ლომგულო ბიჭებოო, გწერთ თქვენი საწყალობელი პაპა თელავიდან და გთხოვთ მომიპყროთ სასმენელნი თქვენნიო,“ მაშინვე აივსებოდა სურვილით ისე ჩაეხუჭუჭებინა უსტარი, ისეთი მრავალფეროვანი ამბებით დაეტვირთა, რომ ბავშვებისთვის სახალისო და საინტერესო ყოფილიყო პაპის წერილების კითხვა. უნდა ითქვას, დიდი გატაცებითაც ერთვებოდა წერასა და თხზვაში, წერდა ცისასა და ბარისას, თუ ძველსა და თუ ახალს. „ჩემო ბიჭებო, ჩემო ვაჟკაცებო, რომ იცოდეთ დღეს რა დიდებული დღეა, შვიდი ნოემბერია, შვიდი ნოემბერი, ჩვენი დაუვიწყარი, ჩვენი სახელოვანი მეფე ერეკლეს დაბადების დღე. და ჩვენ, რა თქმა უნდა, მიწვეულთა შორისა ვართ. ერთი რომ, მოგეხსენებათ, ერეკლე დიდი დემოკრატია და ვინ აღარ ჰყავს მიწვეული და მეორეც, მე ხომ მისივე დაარსებული ფილოსოფიური სემინარიის მასწავლებელი ვარ, თქვენ კი, როგორც თვითონ ერეკლემ ბრძანა თქვენი წარდგენის დროს, „თითით საჩვენებელი შეგირდები“ — სწერდა ერთ-ერთ წერილში ირაკლი და მართლაც სახალისოდ აღწერდა თუ დიდებულთა ჩაცმულობას, თუ თავდაჭერას, ცეკვა-თამაშს ბუქნითა და მალაყებით, თუ ჩურჩხლობას, თუ მგალობელთა გუნდს შეგირდებისას (კიკუშა სულხანიშვილის ლოტბარობით), რომელთა შორის შვილიშვილებიც გალობდნენ ერეკლეს საყვარელ სიმღერებს, „ნინ წყაროს“, „მრავალჟამიერს“, კიკუშას „დაიგვიანეს“, „გუთნურს“, პატარა ანდრო კი, უკვე ენაგამართულად ამ დიდებულ გუნდს ილიას „გუთნის დედას“ აყოლებდა და ყველა ჰკვირობდა: ასეთი პატარა ბიჭი რა ჩაღრმავებითა და გამოთქმით წარმოთქვამს ლექსის ყოველ სიტყვასო. ერეკლე კი ანდროს აჯილდოვებდა ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნით“.

აღწერდა აგრეთვე ერეკლეს მწირ სუფრას, პურით, ყველითა და თითო ნაჭერი მწვადით, და, რა თქმა უნდა, სოლომონ ლიონიძის „ამ სიტყვა-გზიანი სწორუპოვარი მჭერმეტყველის“ დიდებულ თამადობას სამად-სამი სადღეგრძელოთი: უფლისა, ერისა და მეფისაო. და აი, ამ ბრწყინვალე პურობისა და გაზიდულობის დროს ბატონის ციხის ეზოში შემოვარდებოდა მაცნე, შალაურელი ელიზბარა, თელავს და კახეთს მტერი შემოესიაო, არა მონღოლები, არა სპარსები, არა თურქ-სელჩუკები, არა არაბები, არამედ... თვითონ კახელებივეო, ცოტა ხნის წინ ხალხის დამცველები ახლა ყაჩაღ-მრბეველებად იქცნენო, ... ჩვენს ქუჩაზე, კორტებზე დაბანაკდნენო და ხან ქალს იტაცებენ, ხან ცხვარ-ძროხას, ბაზარს არბევენ, კლავენ და ყაჩაღობენო... იმ დღესაც ძველგალავნელი თოთხმეტი წლის მშვენიერი გოგო გაიტაცა ერთმა მხედრიონელმაო. და დაწვრილებითა და ხატოვნად აღწერდა ამ ამბავს. და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მათ თარეშსა და პარპაშს ალაგმავდნენ, და ისინიც ინანებდნენ და მოინანიებდნენ თავის უსაქციელობას, ხოლო სისხლით მორწყული კორტები ძველებურად აღდგებოდა და გამობრწყინდებოდა, ისე რომ, ზაფხულში ჩამოვიდოდნენ თუ არა ამერიკიდან, „პაპას ბიჭები და პაპის გულისგამხარებლები“, კვლავინდებურად დაიჭერდნენ ხელში ჩოგანებს და გაჰკრავ-გამოჰკრავდნენ აღდგენილ კორტებზე... აღწერდა აგრეთვე ცომის ხანგრძლივი და გრძელი რიგების ტრაგი-კომიკურ ჟანრულ სცენებს, მიწევ-მოწევას, შეხლა-შემოხლას, მოსწრებულ თქმებსა და მწარე ხუმრობას ცომის გუნდის გამო... რა თქმა უნდა, არ ივიწყებდა თელავის შემოდგომურ ლანდშაფტს, თელავის უბნებს ძველთაძველი ტოპონიმებით — ზუზუმბო იქნებოდა, ყადორი, გორიჯვარი თუ ნადიკვარი, თეთრად ჩამოღანდრულ დიდებულ კავკასიონსა და დაბინდულ ქლიავისფერ ცივის კალთებს. ბოლოს კი ჩაანიკნიკებდა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ რომელიმე სტროფს, აფორიზმს, ზეპირად დასწავლის თხოვნითა და მოწოდებით. ესე იგი, ამ წერილებში იყო წარსული, აწმყოს ყოველდღიური ქრონიკა თავისი განშტოებებით და „ვეფხისტყაოსნის“ შერჩეული ადგილები. ვინ აღარ ხვდებოდა მის წერილებში, ვინ აღარ, ისტორიული გმირები, თუ უცხოეთისკენ საშოვრისთვის დაძრული თელავის მოქალაქენი და აგრეთვე ისინი, ვისაც იმჟამად განსაკუთრებით

მიამტკივნებდა გულს ირაკლი, ლტოლვილები, ლტოლვილები, მცირეოდენი ხნის წინ რომ დამკვიდრდნენ თელავში, სასტუმრო „კახეთსა“ და ტურბაზაში და ირაკლიმ მოვალეობად მიიჩნია მათ შესახებაც აუცილებლად მიეწერა თავისი შვილიშვილებისთვის. მაგრამ წერილები ყოველთვის იწყებოდა ჩვენი ისტორიის გამორჩეული პერსონაჟებით. ერთ-ერთ წერილში, რომ იცოდეთ რას წერდა, რასა და თავის შვილიშვილებთან ერთად როგორ გაემართა შირაზს. „ჩემო ლომგულებო, ჩემო სანატრელო ბიჭებო! მოგაგონეთ თუ არა, რომ ცოტა ხანში 370 წელი სრულდება ქეთევან დედოფლის წამებიდან, მყისვე აიტაცეთ ჩემი წინადადება: შევმსხდარიყავით ცხენებზე და გაგვექუსლა ირანისკენ, რათა წამების წინ ნუგეში გვეცა დედოფლისთვის და მასთან ერთად მთელი ღამე ლოცვაში გაგვეტარებინა.“ და აი, აღწერდა ამ სისხლით მორწყულ გზას თელავიდან შირაზამდე, ისტორიული რემინისცენციებით დატვირთულს და დამძიმებულს, გულსაკლავ შეხვედრას ფლასებით შემოსილ, ხატებთან გართხმულ დედოფალთან ბნელსა და ნესტიან საკანში. „ო, დედოფალო“, მიმართავდა ირაკლი, „მოვსულვართ შენი მშობლიური კახეთიდან მე და ჩემი შვილიშვილები. გულმდუღარენი ჩვენი ბედით და უბედობით, მოგვირთმევია შენთვის მიწა ალავერდის ტაძრის ეზოსი და აგრეთვე წმინდა სანთლები და კელაპტარები. დიდი მანძილი სივრცე-დროისა გვაშორებს შენგან, და ძალგვიძს უკვე მოგახსენოთ: შენი წამება სამუდამოდ გაიდგამს ფესვს ჩვენს გულებში, მსახვრალი დრო ვერას დააკლებს შენს წმინდა სახელს, და დედოფალო, მარტვილთა შორის ნათელმოსილო, მარადიული არდავიწყებით შეიმოსები.“ ირაკლი გადასცემს დედოფალს მიწით სავსე პატარა, ცალთვალა ხურჯინს. მადლიერებით სავსე დედოფალი ჩაიკრავს გულში ალავერდის მიწას.

სატუსაღოს მცველი თიხის ბადიით მუხუდოს შეჭამანდს შემოუტანს დედოფალს. „აღარაფერი მაბადია თქვენს სამასპინძლოდ, გთხოვთ თითო კოვზი მუხუდოს წვენი მაინც მიირთვათ.“ ეტყვის დედოფალი მოსულებს. მცველი ხის გამოჩორკნილ კოვზებს ჩამოურიგებს და ისინიც უარს ვერ შებედავენ... მერე კი, სანთლების დანთებისა და გულმხურვალე ლოცვის შემდეგ, დედოფალი დალოცავს პაპასა და შვილიშვილებს და სთხოვს:

„ჩემი სულის საოხად, გრემის მთავარანგელოზს სანთელი დაუნთეთო.“ ეს იყო და ეს დედოფლის საბოლოო სურვილი.

ირაკლის იმავე წერილში შემდეგი სიუჟეტი ეძღვნებოდა თელავის თეატრის წამყვან მსახიობს ელდინო გრემელაშვილს, და მის წასვლას იტალიაში საშოვარზე. მოკლე, სხარტად დაწერილი ესეებით წარმოადგენდა ირაკლი ამ „წრფელსა და გიჟმაჟ წინანდლელ ქალს, მის ალღოსა და ინტუიციას ჩასწვდომოდა პერსონაჟთა ბუნებას და დაუვიწყარი სახეები შეექმნა.

მერე კი აღწერდა გამოსათხოვარ არიფანას, მხიარულებითა და სევდით სავსეს, ვანო იანტბელიძის რიხიან თამადობას და ლიზიკოს გამოსათხოვარ სიტყვას, რომელიც ასე მთავრდებოდა: „ჩემო ელდინო, მე მჯერა გაიხსნება კვლავ ჩვენი თეატრი, რადგან არც მსახიობს, არც მაყურებელს თამაშის გარეშე გაძლება არ შეუძლია, კვლავ აუღერდება ქართული სიტყვა, და რა სამწუხაროა, რა სავალალო, რომ შენ, იმის მაგივრად შენებური ცეცხლი დაგენთო ჩვენს სცენაზე, კოცონი დაგეგზნო, იტალიის ქალაქ ბარის, მავანი მიხრწნილი ბერიქალის მილეულსა და დამჭკნარ საჯდომს, და უკანალს უნდა ელოლიავო.“ ლიზიკომ დიდად გაიხარა, ერთადერთი მსმენელი და მკითხველი ამ წერილებისა ხომ ლიზიკო იყო, და ირაკლის სასიამოვნოდ, ის ყოველთვის კმაყოფილი და ზოგჯერ აღტაცებულიც რჩებოდა: „ჩემო ძმობილო ჭიანჭველა!“ შესძახებდა ხოლმე, „გარწმუნებ, შენ ახალი იპოსტასით მომევლინე, ეპისტოლარული ჟანრის ახალი სახეობით, წარსულისა და აწმყოს მშვენიერი ნაზავით, ლირიკული წიაღსვლებით, ჩვენი ოჯახის მნიშვნელოვანი ამბებით, რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო, და ყველაფერი სიყვარულითაა, ინტიმური კილოთი გამთბარი... ნამდვილი ცქრიალა კოქტეილი... მე ხომ შენი ისტორიული მონოგრაფიები წაკითხული მაქვს, მაგრამ უნდა გითხრა, ამ სიბერეში სხვა სარქველი გაგხსნია და სხვა გზას დასდგომიხარ... მე, გენაცვა, შილერი და ჩეხოვი მითამაშია, სიტყვის ყადრი ვიცი, ჰოდა, მოგიწოდებ, კალამი ხელიდან არ გააგდო, ბავშვებსაც გაახარებ და ჩვენცო...“ და ლიზიკო აღინთო სურვილით თვითონაც ხელი გამოეღო და ირაკლისთვის ახალ-ახალი სიუჟეტები მიეწოდებინა თელავის ბედშავი აწმყოდან. განსაკუთრებით კი, — ელდინოს შემდეგ მაინც, — გაფაციცებული ადევნებდა თვალსა და ყურს

საზღვარგარეთ საშოვარზე წამსვლელებს: „აი, ირაკლი, ხომ არ შეიძლება მარიკა ჩივაძეც, ბედაურივით ქალი და შესანიშნავი სტომატოლოგი, — მით უმეტეს შენი ბიჭებიც ხომ შარშანწინ ზაფხულს მარიკასთან დადიოდნენ, — ვინმე ისტორიულ გმირს არ ამოუყენო გვერდში?! განა არა, მთელი წელი ვხედავდი აქვე, ჩემს გვერდით, ჯიმი ახმეტელთან გულმოდგინედ მოსიარულეს, — ჯიმი ხომ უსასყიდლოდ ამზადებს ინგლისურში თელავის ახალგაზრდებს. თურმე ნუ იტყვით, მარიკაც წასასვლელად ემზადებოდა. აბა, რა ვქნაო, ველარ ავუვედი ამდენ ვალებსო, და აგერ, აიღო კიდევ ვალი და მიდის ამერიკაში." და ლიზიკო, გაუთავებლად, ხან ვის წასვლას აუწყებდა, ხან ვისას... შალაურელი ელიზბარაც, მუყაითი გამოდგა, მეცადინეობაშიც და თელავსა თუ სოფლებში მოთარეშე მხედრიონელთა ამბების შეგროვებაში... ირაკლის კი რაზე სწყდებოდა გული, თუმცა სიტყვას არ ძრავდა და იხტიბარსაც არ იტეხდა, რაზე და ზიზის რომ ვერ უკითხავდა ამ თავის ოპუსებს, განსაკუთერბით ღამღამობით, მარტო რომ რჩებოდა, აეშლებოდა სევდიანი ფიქრები. ღმერთო ჩემოვო, თაგვს კუდი რომ მოექნია, ერთმანეთისთვის არ გაგვეზიარებინა, წარმოუდგენელი იყოვო: მოვქროდი რომ შენთვის მეთქვაო, ერთი სული მქონდა, შენთვის წამეკითხაო, სულ ამის თქმაში ვიყავითო და ეხლა... ეხლა... მალხაზიც და ბიჭებიც ზიზის თავისიანებად მიაჩნდაო, თავის შვილიშვილებადო, როგორ უყვარს და რამოდენა ამაგიცა აქვსო... და თუმცა ზიზის არასდროს არ ახსენებდა, წერილების წერაში, ბიჭებთან მეცადინეობასა და ურთიერთობაში როგორღაც გაიცრიცა ზიზის ის წყევლა, გაუნელდა ბრაზი და ცხოველმყოფელობა დაკარგა. თვალწინ დაუდგებოდა ბედნიერი წარსულის სურათები და ღრმად ამოიოხრებდა ხოლმე. მაგრამ, მოგეხსენებათ, ცოლთან შემომწყრალსა და მარტოდ დარჩენილ ხნიერ კაცს, მამულისა და შვილიშვილების სიყვარულით შთაგონებულსა და მოხიბლულს, წერის საღერღელი თუ აეშლება, იმას რაღა შეაჩერებს? გულსაც კი აღარ შეეპუება, მით უმეტეს, არც მალხაზსა და ბიჭებს უჩანდათ აქეთ დაბრუნების პირი, და არც ლტოლვილებს აქედან წასვლისა, წინაპრებმაც, მეფეებმა და გმირებმა, თევდორე მღვდელმაც და ასე გასინჯეთ, თელაველმა დიდვაჭარმა სადუნ მანკაბერდელმაც კი, წამოყვეს თავი და ხორც-

შესხმის მოლოდინში თვალებს უშტერებდნენ კალამმომარჯვებულ ირაკლის, საზღვარგარეთ საშოვარზე წამსვლელნიც მზად იყვნენ კუბოში ჩაწოლილიყვნენ და ისე გადაელახათ საზღვარი, ოღონდ კი გასცლოდნენ აქაურობას, „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებსა და აფორიზმებსაც რა გამოლევდა, „ჩამოღანდრული კავკასიონიც“ იდგა და ელოდა... ბიჭების დაბრუნებას... და ირაკლის გულშიც უქრობად ენთო შვილიშვილების მონატრებისა და დამოძღვრის პათოსი. და თუ დრო არ შემოეხარჯებოდა, საფანელი არ შემოაწყდებოდა, თუ იწიკნიკებდა მისი საათი, ვინ იცის, რა მიჯნებს მიაღწევდა, და რა მიჯნებს გადალახავდა. მაგრამ, როგორც სიყმაწვილეში ვამბობდით ხოლმე: საქმეც ტოროლაა.

თურმე რა განსაცდელი ელოდა, თურმე საქმე ფინალისკენ მიდიოდა, თანაც ჩქარი ნაბიჯებით. ერთხელაც, ნოემბრის ბოლო რიცხვები იყო, ლიზიკომ უთხრა, ლამის თავში ცემით, „ხედავ, ჩვენი მდგომარეობა სადამდე მივიდა, ჩვენი სიდუხჭირე და საცოდაობა, მე სხვებს ვჩიოდი, სხვებზე ვაგროვებდი ცნობებს, არავინ გამოგვრჩეს-მეთქი, და ზურა, ზურა, ზურა გაგნიძე, ჩვენი პრემიერი, შარშანნინ ბავშვებიც გაგიუდნენ ილიას საღამოზე ლელთ ღუნიას რომ თამაშობდა და ახლაც, რომ მისნერ, როგორ დასწყდებათ გული, ესპანეთში მიდის, ადამიანო, მშენებლობაზე სამუშაოდ, წარმოგიდგენია?!“

ირაკლიმ იცოდა უკვე, მისი ერთ-ერთი დიპლომანტი, კახა გაგნიძე, ზურას შვილი იყო და რამდენიმე დღის წინ უთხრა კიდეც და დაპატიჟა კიდეც გამოსათხოვარ საღამოზე. ლიზიკოც ცხადია, დაეპატიჟათ, არადა სიციველები დაიჭირა, ყოველდღე წვიმდა და თქორავდა, ირაკლი სთხოვდა და არწმუნებდა ლიზიკოს, სახლიდან ცხვირი არ უნდა გამოყოო. ისინი ხომ ძველ გალავანში ცხოვრობენ, მანქანაც აღარა მაქვს, რომ მანქანით წავსულიყავითო. ლიზიკომ აჰკრა ქვა და შეუშვირა თავი: როგორო, რამდენიც ჩვენ ერთად გვითამაშიაო, მე კრუჩინინა რომ ვიყავი, ზურა ხომ ნეზნამოვი იყო და ყველა იმას ამბობდა, დრუჟნიკოვი ახლოც ვერ მივა ზურასთანო, ან კიდევ მე ზეინაბს რომ ვთამაშობდი და ზურა ოთარბეგს, დაგავიწყდა? დაგავიწყდა? ღმერთო ჩემო, ზურას ფერდინანდზე ხომ, მის სილამაზესა და ესთეტიკაზე მთელი თაობები აღიზარდა. მე გადაწყვეტილი მა-

ქვს ლექსით გამოვეთხოვოო. არ დაიშალა ლიზიკომ, არა. დაუ-ვიწყარი სალამოც გამოვიდა, ცეკვა-თამაშით, სიცილ-კისკისით, ბოლოს კი გამოთხოვების სევდით სავსე. და რა თქმა უნდა, მწი-რი, მწირი, მწირი სუფრით, პიტნის ჩაითა და ტყემლის ხილფა-ფით, და ლიზიკოს მორთმეული ბურბუშელათი. ზურა ამბობდა სიცილით: ესპანეთიდან გამდიდრებული რომ დაგიბრუნდებით, მაშინ დაგიკლავთ თოხლსა და ხბოსაო. ყველა თავისი ნომერი ჰქონდა: კახამა და გოგლიკამ მთიულური „გლიჯეს," ზურამ შესანიშნავად წაიკითხა ლელთ ღუნიას მონოლოგი და ლადო ასათიანის „დაუკარით!" ბოლოს კი ლიზიკომ, — მერე ირაკლი ფიქრობდა ახალგაზრდობაშიც არ ყოფილა ლიზიკო ასეთი მშ-ვენიერიო, ხშირი, ჭაღარა თმები, ბიგუდებით დახვეული, აკუ-რატულად და ლამაზად ჰქონდა დალაგებული, მხრებზე ჭრელი ქიშმირის შალი მოეხვია, ზიზის ჩამოტანილი ინდოეთიდან, — გამოაცხადა საგანგებო ხაზგასმით: „ამ ლამაზ შალთან ერთად, ჩემმა საყვარელმა რძალმა ზიზიმ, ირაკლის მეუღლემ, მაჩუქა შესანიშნავი წიგნი, თამაზ ჩხენკელის თარგმნილი ლექსებისა, „მარიოტი," და აი, იქიდან მინდა გითხრათ უოლტ უიტმენის ლე-ქსი და ზურას მივუძღვნაო." სადად, ჩაღრმავებით კითხულობ-და, თითქოს გრძნობს ზურასთან საბოლოო გამოთხოვებასო...

„როგორ გგონიათ, რისთვისა ვწერ მე ამ სტრიქონებს?
მისთვის, რომ ზღვაში მოსრიალე საომარი გემები ვაქო?
ან ხოტბა ვასხა დიდ ქალაქთა ბრწყინვასა და
ყოყლოჩინა ამპარტავნებას,
მინურული დღის და მომდგარი ღამის მშვენებას?
არა! უბრალოდ იმისათვის,
რომ მე ვნახე ორი სათნო ადამიანი,
მდუმარედ იდგნენ ნავსადგურში
და ერთმანეთს ეთხოვებოდნენ.
ერთი, რომელიც იქ რჩებოდა,
გულმხურვალედ ჰკოცნიდა წამსვლელს,
ხოლო მეორე მაგრად, მაგრად ეხვეოდა თავის მეგობარს."

ცრემლმორეული ლიზიკო გადაეხვია ზურას და მართლაც „გულმხურვალედ" გამოეთხოვა. გვიან დაბრუნდნენ, ცივი, ქარიანი ამინდი იყო... ლიზიკო გაცივდა, ფილტვების ანთება დაემართა... ხველა ახრჩობდა... ეს გახდა მისი ბედისწერა. და

იმ აქლემმა, საბოლოოდ ყველას რომ მიადგება, ლიზიკოს წინაც დაიჩოქა და მიუშვირა კუზიანი ზურგი, შემაჯექი, უნდა წაგიყვანოო. იუარა ლიზიკომ, ირაკლის შემდეგი წერილები მაქვს წასაკითხი და რაც მთავარია, შეშა მაქვს დასაწვავიო, შეშაო... ასეც სთხოვდა სასწრაფოს ექიმს, მშვენიერ ეკას, ასთმის საშინელი შეტევის მიუხედავად: „არაფერს... გთხოვთ... შეშა... დამაწვევინეთო... შეშა დამაწვევინეთო..." ვერ დააწვევინეს შეშა, მორფი გაუკეთეს, რომ მშვიდად მომკდარიყო.

და ისე მოხდა, რომ დამწუხრებულმა ირაკლიმ ლიზიკოს დასაფლავების შემდეგ, სახლში გვიან დაბრუნებულმა, ქ-ნი ელენეს წერილი მიიღო. მეზობელმა ლეილამ მოუტანა: „ძია ირაკლი, ქ-ნმა ელენემ გადმომცა, ისანთან გამოსულიყო, მგზავრი ვინმე იქნება თელაველიო და მე კი შევრჩი, დავპირდი კიდეც, დღესვე გადავცემ-მეთქი." და დაბეჭდილი ცისფერი კონვერტი მიაწოდა. ირაკლი აღელდა „მარტო იყო ქ-ნი ელენეო?" მაშინვე ის ჰკითხა.

„წარმოიდგინეთ, მარტო იყო, თან ამ ამინდში, ძლივს მოაღწია თურმე ისნამდე, არ ვიცი როგორ გაბრუნდებოდა საბურთალოზე. მაპატიეთ, ძია ირაკლი, ჩამოსვლისას გავიგე ლიზიკოს ამბავი, ძალიან მეწყინა, არც დამავიწყდება „არშინ-მალალაში" ხალას როლს რომ ასრულებდა და ისე მღეროდა... კი მაგრამ რა დაემართა ასე უცებ იმ კარგ ქალს, მოგისამძიმრებთ, ძია ირაკლი."

„ფილტვების ანთება... და თავისი ასთმა... იყო მაინც ან მეტრო, ან სხვა რამ ტრანსპორტი?"

„შეიძლება ნახევარ საათში მოვიდეს სინათლეო, ამბობდნენ. არა, მეტროს გარეშე ვერც გაბრუნდებოდა, გადანათებულიღა იყო, სულს ძლივს ითქვამდა. თელავის მარშრუტკა უცებ შეივსო და რა მექნა, თან ბოლო რეისი იყო, თორემ ცოტა ხანს მაინც ვიქნებოდა მის გვერდით."

ლეილას დაწვრილებით უნდოდა ლიზიკოს ამბის გაგება, ირაკლის კი, თავისი მწუხარების მიუხედავად, ერთი სული ჰქონდა წაეკითხა და გაეგო რას წერდა ქ-ნი ელენე და რას ატყობინებდა. „ჩემო ირაკლიო," იწერებოდა ქ-ნი ელენე, „სანამ ჩემს სათქმელს გეტყოდე, პირველ რიგში მინდა გაგახარო, ორჯერაც დარეკა მალხაზმა, ჩვენ კარგად ვართო, მაგრამ ძალიან

ვწუხვარ, მამას ვერა და ვერ დაველაპარაკეო, თელავთან შეუძლებელია დაკავშირებაო და გამაგებინეთ, თბილისიდან მაინც რატომ არ ცდილობს დაგვირეკოსო. ზიზიმ უთხრა: კარგა ხანია არ ჩამოსულა, იმიტომ რომ სახლის ეშინიაო, საშინელი ყაჩაღობაა, მანქანაც წაართვეს, აღარა აქვს და უჭირს წასვლა-წამოსვლაო. მეტი რომ არ შეიძლება, ისე შეწუხდა. ორი კვირაც იქნება ფულიც მივიღეთ მალხაზისაგან. მაგას ხელს ნუღარ ვახლებთო, ზიზიმ მითხრა, მოიხმარონ ირაკლიმ და ლიზიკომო. რომ მცოდნოდა, სანდო მგზავრი შემხვდებოდა, კი გამოვატანდი ამ ფულსაც, მაგრამ რა ვიცი, ვის ვნახავ, ჩემს სიგლახეს ვამბობ, ფულია და შემეშინდა. ჩემმა ბიჭმა, რეზიკომ, მოგვაწოდა მოსკოვიდან რუსული რუბლები და იმითი გავდივართ იოლად. ზიზის ვუთხარი, თუ საბოლოოდ გაგვწირავს ირაკლი და აღარ ჩამოვა, მაშინ გავუგზავნოთ-მეთქი. მაგრამ ნუთუ ხაზს გადაუსვამ ამდენი წლის ჩვენს ერთობას, ნუუ, შენი ჭირიმე, ნუ მოგვაგორებ ქვასა და გუნდას, ნუ გვადრეკავ ზურგს, გთხოვ, გემუდარები, დედაშვილურად, დაძმურად, მეგობრულად, მუხლის ჩოქით გევედრები, ნუ მიგვატოვებ ამ გაუვალ სიცივესა და სიბნელეში... გეფიცები რაც მეფიცება, ხანჯალივითა მაქვს გულში გაყრილი თქვენი ამბავი, თქვენი კი არა, ჩვენი ამბავი, ჩვენი ოჯახის ამბავი, მალხაზი ხომ ჩემს შვილიშვილად მიმაჩნდა და მიმაჩნია ახლაც, რეზიკოს ნოდარიკოსა და მარიკაში ვერ ვარჩევ. და ზიზის ხომ, ნუღარ იტყვი... მალხაზმა რომ დარეკა, ზიზი ბავშვებსაც ელაპარაკა, სიხარულით ცა უწითლდებოდა, რამდენი ხანია ასეთი გახარებული არ მინახავს. ანდრომ უთხრა ენა სულ გავისწორე და აღარ ვუკიდებო. მეც იქვე ვიდექი და მესმოდა როგორ რიხით თქვა გ, კ, ქ. ზიზიმ თავის საგარეჯოელ სტუდენტს გაატანა ფული და კარგი ჩურჩხელა აყიდინა, ათი ცალი, საგარეჯოში. ვერ გაიმეტა ერთი მაინც ჩვენთვის გაეჭრა. ნინო გიჟდება ჩურჩხელისთვისო, ბორჯომის ბოთლშიც შვინდის მურაბა ჩაასხა მალხაზისთვის და გაუგზავნა, როცა მიიღებენ, მიიღებენო. იჯდა მერე ფანჯარასთან, ბინდი იყო ჩამომდგარი, შუქი არ გექონდა, სანთელს მაინც გვიან ვანთებ, სანამ კარგად არ ჩამობნელდება. იჯდა გაჩუმებული, ხმას არ იღებდა. რა იყო, რას ჩაჩუმდი-მეთქი, სულ ჩვენი ბაღი მიდგას თვალწინო, შემოდგომობით მაინც რა თვალწარმტაციაო. გულაბს სულ რომ გასცვი-

ვა ფოთოლი და შავი ტოტები იაპონური იეროგლიფებივით გამოიყურებაო, ლელვის დიდი ფოთლები კი ყვითლად ანათებსო. სათითაოდ ჩამოთვალა ზღმარტლიც, კარალიოკიც, თუთაც, ხეივანიც და განსაკუთრებით ტირიფი, ჩვენი მტირალა ტირიფიო... ყველაფერი. უნაბიც მოიწეოდა და ნეტავ თუ მოახერხებს ირაკლი ჩამოკრეფასო, გულისთვის თურმე კარგიაო. ნანობს, ნანობს, წყევლის სიტყვა რამ მათქმევინაო, თორემ ისე ირაკლიც განა ნაკლებს მეუბნებოდაო? ნაკლებს გეუბნებოდამეთქი, პრინციპული დავა სხვაა და წყევლა რა უბედურებაამეთქი. გამიბრაზდა, შენო ცეცხლზე ნავთს მისხამო, უნდა აპატიო, ირაკლი, უნდა შეუნდო, ჩემო კეთილო ადამიანო, ჩხუბის დროს გადამლაშება და უხეირო სიტყვის წამოცდენა იშვიათი რამ ხომ არ არის?! საითაც არ გაიხედავ, ყველგან ეს ამბავია, სიტყვა კი არა, პურის რიგებში, ტრანსპორტში გაუთავებელი შეხლა-შემოხლაა, თავპირს ალეწავენ ერთმანეთს, უშვერად იგინებიან, და სროლა კიდევ სხვაა, რამდენი გამოასალმეს უკვე სიცოცხლეს. ზიზი სახლიდან რომ გავა, სანამ დაბრუნდება, მე ჩემი მემართება. იმ დღეს საშინელი დარბევა მოხდა მათი მიტინგისა ცირკთან, სროლაც იყო და კაციც დაიჭრა, თუ სულაც მოკლესო. ღმერთო ჩემო, ძმის მკვლელებადაც ვიქეცით... როდის... როდის... როდის დაცხრება ეს დაპირისპირება... როდის დაშოშმინდება ქვეყანა... ამიტომაა ყველა გაძეძებული, ერთმანეთს გადაკიდებული... მაგრამ შენ, ჩემო ირაკლი, შენ არ უნდა გამიცრუო იმედი, შენს გზას გამოვყურებ გულის კანკალით. კაცი აღარავინა გვყავს, ჩემი ქმარიც, ჩემი ძმაც, იცი შენ, რეპრესიებმა შთანთქეს, ჩემი ბიჭიც მოსკოვში გადაიხვენა, შენ შემოგყურებდი, შენა, ჩემო ირაკლი, ორი პარასკევი მაქვს დარჩენილი და ნუუ, ნუ ჩამიშხამებ ისედაც გაბედითებულ ყოფას, შენი ჭირიმე, სულგრძელად აპატიეთ ერთმანეთს. შენი მოსიყვარულე სიდედრი და მეგობარი. ეჭვი არ მეპარება, შენი კარგი დედაც, ჩემი დაუვიწყარი მაიკო, ამასვე გეტყოდა. ნახვამდის, გულს გაუფრთხილდი, ისევ ელენე“.

დარდითა და მწუხარებით მოცულ ირაკლის, სწორედ ლიზიკოს დასაფლავების შემდეგ რომ მოუვიდა მოსიყვარულე სიდედრის წერილი, ამ ამბავმა არაჩვეულებრივად იმოქმედა, თითქოს ლიზიკოს მზრუნველი და კეთილი სულიც გაისარჯა

ქ-ნ ელენესთან ერთად, რომ საწყალ ირაკლის სულში ნათელი ჩასდგომოდა, თუ შვილისა და შვილიშვილების ამბის გაგებით, თუ ზიზის სინანულის გამოც, უნაბისა და ტირიფის მოგონებისთვის და მონატრებისთვის. სიკვდილის კაეშნიან შარავანდედში ყველაფერი სხვა მნიშვნელობითა და სხვა ფერებით იყო შემოსილი. მერეღა იფიქრა და ისევ შაწუხდა: როგორ მიაღწია ოთხმოცდარვა წლის მუხლებ ატკიებულმა ქალმა პეკინის ქუჩიდან ისნის მეტრომდეო, მადლიერებით იყო სავსე ქ-ნ ელენეს მიმართ. აკი ღამეებს ძილღვიძლში ატარებდა და წერილის მიღების შემდეგ მთელი კვირა სულ ერთსა და იმავე სიზმარსა თუ მოლანდებას ხედავდა: ქარი... ქარი... შიშველ ტოტებს ერთმანეთს ახლის... შორს, ტოტებშუა ვიღაც გამოკრთის... მოხუცი ქალი... გულზე კონვერტი მიუკრავს და მისკენ მოდის... ამ სიშორიდან მკაფიოდ ხედავს მოცისფრო კონვერტს... და გრძელფოჩიან, ჭრელ შალს... ღმერთო ჩემო, ეს შალი ხომ ზიზიმ აჩუქა ლიზიკოს, ირაკლიმ ლიზიკოს გადააფარა და გაატანა. უკვირს ირაკლის, საიდან მოუხვევია ქ-ნ ელენეს ლიზიკოს შალიო... ქარი გრიალებს, აფრიალებს შალის ბოლოებს... მოხუცი ქალი ცალი ხელით ტოტებს ეჭიდება... ქ-ნო ელენე! ქ-ნო ელენე! უნდა დაუყვიროს, ნუ მოდიხართ, ქარმა არ წაგაქციოთო... სადმე შეეფარეთო... და სიტყვა უწყდება... უნდა გაიქცეს, უშველოს მოხუც ქალს და გული არ უშვებს, ფეხები ებორკება... და ფხიზლდება... გული აქვს დაღლილი... ისეთი დაღლილი... თითქოს მძიმე ტვირთი ეზიდოს... იქვე ტუმბოზე წყალი უდგას ჭიქით, აბების ფირფიტაც, განუშორებლად, იქვეა... ხელები აქვს სეტყვასავით,. ... ავად რომ იყო ამ სამი წლის წინ, ზიზის გამუდმებით ეჭირა მისი ხელი თავის თბილ, თბილ ხელებში... ნუთუ შესაძლებელია ახლაც... ნუთუ? ლიზიკო უდგას სულ თვალწინ, თავისი დაუვიწყარი ლიზიკო, უახლოესი, ვის წასვლასაც, ასე ეგონა, ვერასდროს ვერ შეეგუებოდა, განა ლიზიკოც ამასვე არ სთხოვდა და ჩასჩიჩინებდა, რასაც ქ-ნი ელენე?! ლიზიკოს თხოვნამ და მოწოდებამ, სიკვდილის წინაც, სულის ხუთვის მიუხედავად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ რომ გაუმეორა შენს დარდს ნუ გამაყოლებო, სხვა ძალა და მნიშვნელობა შეიძინა. მით უმეტეს თუ ზიზიც ნანობს, თუ ზიზისაც ენატრება აქურობა, „ჩვენი ბაღიო“,... რამდენჯერ გავიდა აივანზე, იმდენჯერ ზიზის თვალით გახედა ბაღს, ... და-

საკრეფია ხეხილი, კარალიოკი თორემ, ზღმარტლსა და უნაბს ერთი ფეხი რომ დაჰკრან ბიჭებმა, ხრიალით ჩამოვა, კაკალიც რა ყოჩაღად ჩამოუბერტყეს ამ ერთი თვის წინაც... სწორედ მაშინ ჩამოვიდნენ ლტოლვილებიც, მოსახლეობა ხილით უმასპინძლ-დებოდა, ირაკლიმაც კაკალი გაუგზავნა ცომის რიგში გაცნო-ბილ გუდაუთელ ჭარმაგ კაცს, ვაუას, რომელიც თან მუზეუმის ეზო-ბაღის მომვლელადაც მოაწყო. ახლაც იმას ფიქრობდა, თუ წავედი თბილისში, ისე არ წავალ, კარალიოკი და ზღმარტ-ლი არ გავატანო ბიჭებს მადონასა და ლუიზასთანო, მშვენიერ ახალგაზრდა ლტოლვილ ქალებთან, ისინი ირაკლის ქუჩაზე, ახალგახსნილ მაღაზიაში გამყიდველებად აიყვანა მაღაზიის პატრონმა. ირაკლის მეზობლებმა, ალექსიმა და ლეილამაც კომში და ზამთრის მსხალი ჩამოაკრიფინეს მათ და ბლომადაც გაატანეს. გაჭირვების მიუხედავად. ცდილობდნენ მცირედით მაინც შესწეოდნენ ვაგლახში ჩავარდნილ მოძმეებს. ის კი არა, ირაკლის გადაწყვეტილიც ჰქონდა, თუ საჭირო გახდებოდა, თავის სახლშიც შემოესახლებინა ერთი ოჯახი. შემოსახლება კი არავის დასჭირდა, მაგრამ ირაკლის მაინც გული ეთანაღ-რებოდა. თუ გადავწყვეტავ და წავალ თბილისში, ვაუას ხომ არ ვთხოვო ჩემს ჩამოსვლამდე აქ გაათიოს ღამე, ამ ქურდობასა და ყაჩაღობაშისახლი უპატრონოდ რომ არ იყოსო. ეჭვებით და მღელვარებით იყო მოცული, როგორც უნდა მენატრებოდეს მალხაზთანა და ბიჭებთან დალაპარაკება, მათი ხმის გაგონება, მთავარი მაინც ამჯერად ის არის, რომ მე და ზიზი რა განაჩენს გამოვუტანთ ერთმანეთსო. მოვინდომებთ კიო?! შევძლებთო? ძალა მოვიკრიბოთ და ჩამკვდარსა და ჩაშეშებულ სიყვარულს, ვით მაცხოვარმა, ჩვენც შევძახოთო: „ტალითა კუმი!"

ბიჭებს დავალებები მისცა, დიპლომანტებსა და ელიზბარას მის არყოფნაში რა უნდა წაეკითხათ, რა დაეწერათ და რა მო-ემზადებინათ. მერე თავი მოიწესრიგა, თმებიც შეასწორებინა, მალხაზისეულ შოკოლადისფერ პლაშჩს, ამ სამი წლის წინ რომ გამოუგზავნა, ხელოვნური ბეწვის სარჩული გამოაკრა, მუქი მწვანე ბერეტიც კარგად გაწმინდა, გაახასხასა, ძველ, მომცრო საკვოიაჟში უნაბი და ზღმარტლი ჩაყარა, წერილები ჩადო. ბი-ჭებს ჰკითხა: აბა, როგორ გამოვიყურებიო. ბიჭებმა ერთხმად შესძახეს: ნამდვილი ფრანტი ხართ, ძია ირაკლიო. სარკეში

ჩაიხედა და თვითონაც კმაყოფილი დარჩა, ჩემი წლების კვალობაზე თითქოს არა მიშავსო, ღრმად ამოიოხრა: მთავარია რა თვალზე შევხედავთ ერთმანეთსო. ბიჭებმა გააცილეს მარშრუტკამდე. იცოდეთ, არ გაგიტკბეთ თბილისიო. აქაურობის დარდი კი ნუ გექნებათო. დღისით ჩვენ დავკრავთ თვალს, ღამე კიდევ ბ-ნი ვაჟა დაიძინებსო და ყველაფერს უცვლელად დაგახვედრებთო. ქუჩაში რომ გამოვიდნენ და ცოტა ჩამოცდნენ იქაურობას, ირაკლიმ უკან მიიხედა, და მიუხედავდ იმისა, ბოლო დროს მაინც ძალიან ხშირად ფიქრობდა სიკვდილზე, აზრად არ მოსვლია, რომ თავის ძველ სახლსა და ჭიშკართან მდგარ მტირალა ტირიფს, პატარა ბიჭობაში მამასთან ერთად დარგულს, ველარასდროს ვერ ნახავდა. ახლა კი ბედი მოუვიდა. თუმცა ციოდა, ქარიანი ამინდი იყო, ნამდვილი გვიანი შემოდგომის, ზამთრისპირის ჩამოქრუშული ამინდი, მაგრამ მგზავრები უკვე იყვნენ და მარშრუტკაც მალევე წავიდა. ერთადგილიანი წინა სავარძელი დაუთმეს. მძღოლიც კარგი გამოადგათ, გიჟურად არ მოაქროლებდა მანქანას, თან რადიო ჰქონდა ჩაწეულ ხმაზე ჩართული და ირაკლი ხან უსმენდა, ხან თვლემდა. გზადაგზა სოფლებიდან ემატებოდათ მგზავრები. ისინი სამგორისა და ისნის მეტროსთან ჩავიდნენ. ვინც დარჩნენ, შვიდი-რვა კაცი, სთხოვეს მძღოლს, ცოტას დაგიმატებთ ფულს და ცენტრში გაგვიყვანეთო. ირაკლიმ ერთდოლარიანი გაუწოდა, სხვებმა, ვის კუპონი ჰქონდა, ვის რუბლი. მაგრამ დოლარმა მძღოლზე მაგიურად იმოქმედა — „ვაჰ, ვააჰო! აი ფული, აი, ანტიკა! ამას რო ძალა აქვს, ტყუილია, ტყუილი! ამ დოლარის ხათრით მთლად ცენტრში მიგიყვანთო, რა გინდათ, ცენტრალურ ქუჩებზე უფლება არა მაქვს და ქვევითა ქუჩით ავალ და ზემელის ჩამოსასვლელი რომ არის ვერის დაღმართზე, იქ შეშასაც ყიდიან, მანქანებიც ჩერდება, იქამდე მიგაგრიალებთო.“ ირაკლის წუხანდელი თავისი სიზმარი გაახსენდა. დედა ნახა. იშვიათად ნახულობდა სიზმარში დედას და ყოველთვის კარგად ჰქონდა დაცდილი. ვითომ ხეივნის ქვეშ იდგა, ხელში ახალი შეჭრილი აკიდო ეჭირა, დამკვრახული ნიმრანგის მტევნებით და ირაკლის უნვდიდა. მოლანდებასავით იყო, უცებ გაქრა. მშვენივრად დაიწყო დღევანდელი დღეო, გაიფიქრა ირაკლიმ. ასეთი იღბლიანობის დროს ყოველთვის გაახსენდებოდა ხოლმე კეისრის სიტყვე-

ბი, ნიშნისმოგებით რომ უთხრა სენატში მიმავალმა მისანს: „აი, ესეც მარტის იდებიო...“ და მისნის პასუხი: „დადგა, მაგრამ ჯერ არ გასულაო.“

თაბუკაშვილის ქუჩიდან მოკლე გვირაბში გამოვიდნენ თუ არა, სანამ მანქანა ადგილზე მივიდოდა, ფანჯრიდან დაინახეს ხალხის დიდი ჯგუფი, დემონსტრანტებივით მწყობრად მიმავალი დაღმართზე,... ქარზე გაფრიალებული შვინდისფერი დროშა მიუძღოდათ...

„აგე, ზვიადისტები!“ დაიძახა მძღოლმა, „უყურე, ამინდსაც არ ეპუებიან...“

„კაცო, როდემდელა უნდა იარონ, როდემდელა...“ თავის ქნევით ამბობდა მძღოლის გვერდით ჭარმაგი კაცი. „როდემდე და, სანამ მიიჩნევენ საჭიროდ, აი, ასე!“ გადაბრჯნილი კილოთი თქვა ახალგაზრდა ბიჭმა. „გასაბრაზებლად კი არ ვამბობ,“ მოუბრუნდა ბიჭს ჭარმაგი კაცი, „მაგათთვისვეა ცუდი, თორე...“ ხალხი აყაყანდა, ვინ რისი თქმა მოასწრო იმ ორიოდე წუთში, სანამ მარშრუტკა გაჩერდებოდა და ჩავიდოდნენ, ვინ რისა.

ირაკლის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ვინ იცის, ზიზიც აქვეაო. მაშინვე ამოიღო ჯიბიდან ნიტროგლიცერინის ფირფიტა. შორს კარგად ხედავდა, მაინც გაიკეთა სათვალე და მარშრუტკიდან ჩასვლისას წინ წავიდა, რომ დაღმართზე ჩამავალი ხალხის ჯგუფი კარგად გაერჩია... და დაინახა... ის იყო... ბოლო რიგებში, ბოლოდან... ერთი... ორი...სამი... ნაპირა... რა თქმა უნდა, ზიზია, მუქი მწვანე პალტო, როგორ უხდებოდა... ჩქარი ნაბიჯით მიდიან... სხვა ვერც შეატყობს, ირაკლის კი როგორ შეიძლება გამოეპაროს, მარცხენა ფეხი... არა, არა, არ კოჭლობს, მაგრამ როგორღაც მძიმედ მიაქვს, ოდნავ გვერდულად... სტკივა ეტყობა... თავზე მოქსოვილი ბერეტი... ჩალისფერი... ირაკლიმ ფეხი ააჩქარა... კიდევ კარგი, გული ჩაუწყნარდა... თან ეს საკვოიაჟი... თხის ტყავი გზაზე თხად იქცაო, ჰო, დამძიმდა, არადა ოთხ კილოზე მეტი არც იქნება... არა უშავს...

ქარი ძალას იკრებდა, ძლიერდებოდა, ხეებს აცლიდა აქაიქ შერჩენილ ფოთლებს და ჰაერში ატრიალებდა. შიგადაშიგ გაისმოდა „სა-ქარ-თვე-ლო! სა-ქარ-თვე-ლოს“ სკანდირებული ძახილი. ირაკლის მახვილ ყურთასმენას ზოგჯერ დროშის ტკრციალის ხმაც წვდებოდა. თითქოს ქარი დაუნდობლად ფხ-

რენს დროშასო. ირაკლი თვალმოუცილებლად, მონუსხულივით გაჰყურებდა კოლონას... და ზიზის, რაც მთავარია, ზიზის, რომელიც ფეხს ინაცვლებდა, მაგრამ მაინც მხნედ მიაბიჯებდა. აგერ ზიზის წინა რიგში, მეორე ნაპირას, ჯოხიანი კაციც, კოჭლობას არ ეპუებოდა და ყოჩაღად მიკელანობდა... რა იყო ეს, რა... სად მიდიან, რისთვისო... ამ ქარსა და უამინდობაში, თვითონაც ქარს ადევნებულებიო... გამალებით ფიქრობდა ირაკლი... რას მისდევენ... ვის მისდევენ, ჰაერში ატივტივებულები და უნიადაგონიო... მომლოცველებივით რომ მიელტვიან კერპის აჩრდილს, გუნდრუკი უკმიონ სამშობლოსათვის განეული დიდი ღვაწლისთვის და სოხუმის დაცემის დაგვირგვინებისთვისო... ღმერთო დიდებულო, რაღაც ირაციონალურია და მისტიკურიც ამ სვლაშიო, ამ უნიადაგო, არსაითკენ სვლაშიო, „საქართველოს" სკანდირებული ძახილითა და ქარის გრიალითო. „ოო, ჩემო საწყალო ქვეყანა" ამოიდუდუნა ირაკლიმ, თვალები ცრემლმა დაუნამა, სასწრაფოდ მოიხსნა სათვალე და მიუხედავად იმისა, რომ უჭირდა აჩქარებული სიარული, ერთ წუთს საკვოიაჟი დადგა, შეიქაქანა, მერე კი სულ ახლოს მივიდა და ძალიან ხმადაბლა, ძლივს გასაგონად დაიძახა: „ზიზი... ზიზი"... ზიზიმ ისე უეცრად მოიხედა, თითქოს აი, ამ წუთს, ამ დაძახებას ელოდაო, ...ირაკლის დანახვაზე სახე გაეხსნა, აშკარად გაუხარდა, მაგრამ მაშინვე ისევ შეიკრა შუბლი, გეგონებათ ახლაღა გაახსენდა, რომ ნაჩხუბრები არიანო. ირაკლი გვერდში ამოუდგა. „შენ აქ საიდან გაჩნდი?" ზიზიმ დაეჭვებით გადახედა. „პირდაპირ სან-ფრანცისკოდან." ცალყბად გაიცინა ირაკლიმ, მაგრამ მაშინვე გულდაწყვეტით და გულისტკივილით მიმოიხედა ირგვლივ, რადგან ბევრი ვინმე ეცნო, ზოგი კონფერენციებიდან, ზოგი სიმპოზიუმებიდან, ზოგი სადისერტაციო სხდომებიდან. „ო, გული, გული, რანაირად მტკივა კვლავ გული, — თუ გახსოვს, ვისი ლექსიდანაა? როდამი ამბობდა ხოლმე და იმის შემდეგ აღარ გამხსენებია." — თქვა ირაკლიმ. „გალაკტიონის ლექსიდანაა... იცი, ძალიან გამხდარხარ."

„შენ კი ეტყობა თეძო გაწუხებს, არა?"

„ამას არა აქვს მნიშვნელობა..."

„მნიშვნელობა აქვს მხოლოდ და მხოლოდ ჯარისკაცის ერთგულებას."

„კარგი რაა, ირაკლი, კარგი... მალხაზმა ფული გამოგზავნა...“

„ფული ჩვენი არსობისა... ჩემი ბიჭი არ გვღალატობს...“

„ველაპარაკე ყველას, ბავშვებს, ბავშვებს... მთელი დღე ფრთაშესხმული დავდიოდი...“

„რაც მთავარია, ქ-ნი ელენე როგორ არის?“

„ახლა არა უშავს და ცოტა ხნის წინ კი ძალიან შემაშინა, ვაკეში წავედი მათიკოს სანახავადო, ასე თქვა... ფილტვების ანთებას გადავრჩით...“

„მადლობა ღმერთს...“ ცხადია, არ უთხრა წერილის შესახებო, გაიფიქრა, — „უნაბი და ზღმარტლი ჩამოვუტანე, ერთი-ორი კარალიოკიც... იქ იმდენია, მაგრამ აბა, როგორ წამოვიღებდი...“

„მე არ ჩამომიტანე?“ ვითომ თავისთვის, სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა ზიზიმ. ირაკლიმ არაფერი თქვა, ოდნავ დაიქნია თავი და ზიზი დაინტერესდა, აქ როგორ მოხვდიო.

„ძალიან უბრალოდ, მარშრუტკამ აქვე, ჩამოსასვლელთან მოგვიყვანა. ცხადია, სპეციალურად მე აქ არ მოვიდოდი, ახლაც არავითარი სურვილი არ მაქვს ამ მსვლელობაში მონაწილეობის მიღებისა.“ სწორედ ამ დროს შუა კოლონიდან ვიღაცამ მთელი ხმით გასწივლა: „სა-ქართ-ვე-ლო!, სა-ქართ-ვე-ლო! სა-ქართ-ვე-ლო!“

„მანქანა რომ იყოს წავიდოდი, მიჭირს ამისი მოსმენა!“ თქვა ირაკლიმ და ზიზის გამომცდელად შეხედა.

„აი, სადაცაა ხიდზე გადავალთ, ჩვენი მიტინგი მარჯანიშვილის მეტროსთანაა, ამ დროს იქნება შუქი და მეტროთი პირდაპირ სახლში წავალთ, კარგი?! დედა გაგიჟდება სიხარულით... განიცდიდა, ძალიან განიცდიდა ამდენი ხანი რომ აღარ გამოჩნდი, ეშინოდა, ვაითუ აღარ ჩამოვიდესო, მე კი არ შემეძლო ამაზე მეფიქრა... რომ ჩვენ საბოლოოდ უნდა დავშორდეთ“ „და ველარ ვიჩხუბოთ და ერთმანეთს თავ-პირი არ დავამტვრიოთ, და რაც ძალი და ღონე გვაქვს, არ გავამდაბიუროთ ჩვენი ურთიერთობა.“

„ნუ გამახსენებ, ირაკლი, გეხვეწები, ნუ გამახსენებ.“ გრიალმა იმატა, ბუქი ავარდა. ახალი ძალით დაჰქროლა ქარმა, დროშა ნახევრამდე ჩამოხია, ირაკლის ბერეტი მოაძრო, დაღმართისკენ გააქანა, ვიღაცეებს კაშნეები და მოსასხამები აუფრიალა. ქალი გაიქცა წინა მწკრივიდან, გამოეკიდა ბერეტს. ვინც დაინ-

ახა, ინტერესით უყურებდნენ, იმიტომ რომ გეგონებოდათ ქარმა თამაში გადაწყვიტაო, როგორც კი მიუახლოვდებოდა ქალი ქვაფენილზე გორი-გორით ჩაქანებულ ქუდს, ქარი იმ წამს შეუტევდა და ნინ გატყორცნიდა. ირაკლი შენუხდა, ღირს კი ჩემი ბერეტისთვის ამდენი სირბილიო. „რომ იცოდე, ეგ ჩვენი კეთილი ანგელოზია, მარინა ჰქვია, ჩემი ყოფილი სტუდენტია", თქვა ზიზიმ. ბოლოს მარინამ იმარჯვა, ჰაერშივე დაიჭირა ბერეტი, მყისიერად სტაცა ხელი, სანამ ისევ გააქროლებდა ქარი, ყოჩაღ, ყოჩაღო! გაისმა ხმები, მშვენიერი ქალი იყო, გახარებული მოარბენინებდა ბერეტს. ნაცრისფერი ველვეტის შარვალი ეცვა და ნაცრისფერივე მოკლე „დუბლიონკა", ბეწვშემოვლებული. პატარა, კოხტა თავზე კი მჭიდროდ მორგებული ნაქსოვი ქუდი ეხურა. ირაკლი ღიმილით უყურებდა ქალს, რა სანდომიანი და მოხდენილი ქალიაო. ბერეტი ჩამოართვა მადლობითა და ბოდიშებით, საკვოიაჟი დადგა, აწეწილი თმები გაისწორა და დაიხურა ბერეტი. ქალმა საკვოიაჟი აიღო. ირაკლის უნდოდა ჩამოერთმია, მაგრამ ქალმა არ დაანება: „ჩემთვის ეს არაფერია, წელანაც მინდოდა შემოგშველებოდით." „დაემორჩილე, ირაკლი, დაემორჩილე." მოუწოდა ზიზიმ, ირაკლიმ შვებით ამოისუნთქა. „იცი, ირაკლი," განაგრძო ზიზიმ, „თვალი რომ მიადევნო მარინას, დაინახავ, სულ ვიღაცას შევლის, ასეთია." „ოჰ, ქ-ნო ზიზი, ეს რა არის, თქვენ ისე გვასწავლიდით..." მერე ირაკლის შეხედა ღიმილით: „იცით როგორ გვიყვარდა ქ-ნი ზიზი? ყველანი შეყვარებულები ვიყავით." ირაკლიმ კი მწუხარედ გაიფიქრა: „ჩვენ ხომ ერთნი ვართ, ერთნი, ეს რა ეშმაკეული ჩანაფიქრია ჩვენი გათიშვაო" და მაშინვე პაპას ვედრება გაახსენდა, ლამის ყველა ლოცვის დროს რომ იმეორებდა ხოლმე: „უფალო, აღმოგვიყვანე სიგლახაკის მღვიმისაგან და სიმშვიდისკენ წარმართე ჩემი ქვეყნის სვლა."

„შენ, ალბათ, უკვე გშია კიდეც, დილით კარგად ისაუზმე?" მიუბრუნდა ზიზი. მარინა ტაქტიანად დაშორდა მათ და ნაპირას გადავიდა. უკვე ხიდთან იყვნენ. „შენ, როგორც მზრუნველ ცოლს, ძალიან გაინტერესებს არა?!" ირაკლიმ მტკვარს გახედა. „მაინტერესებს, იმიტომ რომ გამხდარი ხარ, წელან თმებს რომ ისწორებდი, გიყურებდი და ძალიან გამხდარი მომეჩვენე... ლიზიკო ისეთი მოსიყვარულე და მზრუნველია, დედა რამეს რომ

იტყოდა, მე მაშინვე ლიზიკოთი დავამშვიდებდი ხოლმე. მართლა, ამ მოგონებაზე, ხვალვე შეიძლება მარშრუტკაზე გასვლა და ლიზიკოს ფულის გაგზავნა."

ირაკლიმ თავი მიიბრუნა, ლიზიკოს ხსენებაზე ცრემლები მოაწვა. ნიკაპზე წაივლო ხელი, ქვითინი არ ამომსკდესო.

„რა იყო ირაკლი, თქვენც ხომ არ იჩხუბეთ?!"

და ირაკლიმ ცრემლიანი ხმით, ძლივს ამოთქვა: „სადღაა ლიზიკო..."

„როგორ!, როგორ!" შესძახა ზიზიმ, „მითხარი რა მოუვიდა ლიზიკოს!!"

„ათი დღის წინ დავასაფლავეთ..."

„ირაკლი! ღმერთო ჩემო, ირაკლი!" ზიზიმ ხელი მოხვია, მიეკრა, გადაიხარა, ლოყაზე აკოცა. „და შენ მარტო იყავი, რატომ არ შეგვატყობინე, რატომ, რატომ, ნუთუ მართლა აღარ აპირებდი ჩამოსვლას... როგორ იყავი, როგორ, ლიზიკო ხომ ასეთი უახლოესი... ასეთი საყვარელი... ირაკლი... ირაკლი... ვაიმე როგორ ვწუხვარ." წინ დაუდგა, ორივე ხელით მოეხვია. ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა, ირაკლიც მოეხვია. ზიზის სიახლოვემ, ცრემლებმა და წრფელმა განცდამ ააღელვა. თითქოს სიკვდილმა გაარღვია მათ შორის ჩამოწოლილი გაუვალი ჯანღი, ორივეს გადაულახავი რომ ეგონა. და თუმც მათ სიტყვებს ქარი ფანტავდა. ესმოდათ, კარგად ესმოდათ, რომ ისინი კვლავ ერთნი იყვნენ. „ოჰ, რა არის ეს, რა..." ნაღვლიანად გაიფიქრა ირაკლიმ, „გული ჩვარივით გამიხდა..." და მაინც ფეხი ააჩქარეს, ხიდზე მოგრიალე ქარს გასცლოდნენ, კოლონას არ ჩამორჩენოდნენ. მართლაც, უნივერმაღთან შედარებით ჩამცხრალი იყო ქარის თარეში. „სად დაასაფლავე ლიზიკო." „კოტიკოსთან, ისეთი ლამაზი იყო, შენი ნაჩუქარი ჭრელი შალი მოვახვიე..." „შესძელი რამე გაგეკეთებინა? რა ცივი ხელი გაქვს, ირაკლი. ჩამიყავი ჯიბეში, გაგითბობ, მერე იქით გადმოვალ... ან იყო ვინმე?" „ბედზე ისრაელში წამსვლელი ებრაელი იყო ჩამოსული, ხალიჩებს ეძებდა და ლიზიკოს ტეკინის ხალიჩა, შენც რომ გაქვს აქ, ის იყიდა. ძველი თეატრიდან გავასვენეთ, მსახიობებიც, ხალხიც, დღევანდელ კვალობაზე კარგად იყვნენ. ფიქრიამ შესანიშნავი სიტყვა უთხრა, არცერთი როლი არ დაუვიწყა, ნეკროლოგიც დაწერა. თამადად, რა თქმა უნდა, ვანო იყო, თავისი ღვინოც

მოიტანა, ლიზიკოს ჩემი ღვინით უნდა ვუთხრა შესანდობარიო. „შილაფლავიც ხომ გაუკეთეთ?“ „შილაფლავიც და ყველაფერიც. და საფლავიც შევუკვეთე, კოტიკოსნაირი, ლოპოტის მარმარილოსი, ორმოცისთვის მზად იქნებაო, ასე მითხრეს.“ „ვგიჟდები, რომ არ შეგვატყობინე. რამ გაფიქრებინა, რამ, წარმოგიდგენია, რომ ლიზიკოზე ჩვენ არ უნდა ვყოფილიყავით...?! ალბათ, ასთმამ მოულო ბოლო.“ „ხომ იცი, როგორი ქომაგი იყო შენი, სიკვდილის წინაც ანდერძად მიბარებდა...“ ირაკლის ისევ მოებჯინა ცრემლები. „და შენც ამიტომ ჩამოხვედი? ოჰ, ღმერთო, რა არეული დრო დაგვიდგა. ჩათვლებს მოვრჩები თუ არა, ჩამოვალთ მე და დედა. ლიზიკოს ორმოცზეც და ახალი წელიც ერთად უნდა გავატაროთ. როგორ მომენატრა იქაურობა. დეიდა მაიკოს რეცეპტით გავაკეთებ გოზინაყს. თელავში მაინც რა კარგი გოზინაყი იციან, არა? თან ბუხარს გავაგუზგუზებთ... და ლიზიკო კი ჩვენთან ვეღარ იქნება...“ ზიზიმ ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლი გაიმშრალა.

„იცი, ზიზი აქედან რომ წავედი, უკვე ვფიქრობდი, დავჯდები ტირიფის ქვეშ და დავუცდი ბოლო სტუმარს-მეთქი.“ „ვინ სტუმარს, ვინმე გაიჩინე?“ დაინტერესდა ზიზი.

„მე კი არ გავიჩინე, ის თავისით მოდის...“ „ქალია?“ „სიმართლე გიხრა, იმისი სქესი არ ვიცი, აქლემია და...“ „კარგი რაა, ირაკლი...“ „ჰო, ვფიქრობდი მოვა და წამიყვანს უდაბნოში-მეთქი, მერე კი, მაშინვე სამი ბიჭი მოვიდა სამეცადინოდ, ძალიან კარგი ბიჭები, მეც წერილების წერა დავიწყე ჩემს ბიჭებთან ამერიკაში, ქრონიკასავით, ჩვენი წარსული ისტორიების ჩართვით და აქლემის ლანდიც ჰაერში განიბნა. მაინტერესებს შენი აზრი, წამოვიღე რომ წაიკითხო...“ „ეჭვი არ მეპარება, მომეწონება...“ მხურვალედ წარმოთქვა ზიზიმ და ირაკლის ხელზე ხელი მოუჭირა.

„წარმოიდგინე, ლიზიკოსაც ძალიან მოსწონდა. სულ ვუკითხავდი ხოლმე.“ „ამ საღამოსვე, ამ საღამოსვე წავიკითხავ... დედასაც მოვასმენინოთ, კარგი?“

„რა ბედნიერებაა, არა ზიზი, რამდენი ხანია ასე მშვიდობიანად არ გვილაპარაკია...“ თქვა ირაკლიმ წყნარად და ზიზის გადახედა. ისევ ისეთი ლამაზიაო, ნეტავ ამაღამ გულმა სიახლოვე დამაცალოსო. გაიფიქრა და თავისი თავის მიმართ დამცინავად

გაეცინა.

წინა რიგებში კი ჩოჩქოლი ატყდა. უკვე მოედანზე გადიოდნენ და დაიძახეს ვორონცოვის მხრიდან ორი ავტობუსი მოდისო. „გავიქცეთ...“ „გავიქცეთ...“, „ავჩქარდეთ...“ „რა უნდათ ჩვენგან... რა“ ისმოდა აქეთ-იქიდან. კოლონა დაიშალა, ზოგი ზევით მირბოდა, ზოგი მარცხნივ, პლეხანოვისკენ... „მეტროში შევიდეთ... მეტროში...“ ირაკლიმ დაინახა რა ყოჩაღად გარბოდა, თუმცა კოჭლობით, ჯოხიანი კაცი ზევით, მარჯანიშვილის ქუჩისკენ... ირაკლიმ თვალი ჰკიდა დაბალ, ჩასხმულ ქალს, ნელან მათ წინ რომ მიდიოდა, სქელლანჩიანი ფეხსაცმელები ეცვა და შესიებული, ყავისფერწინდებიანი წვივები ჰქონდა, ირაკლის ეცნო და ვერ მოიგონა საიდან, აი, ახლა, უკანასკნელად რომ მოჰკრა თვალი, ეს ხომ თამილაია, რამდენიმე წლის წინ ჩვენს ინსტიტუტში მონწეული ლექტორი რომ იყო რუსული ლიტერატურის და სტუდენტები ცის მანანასავით ელოდნენ მის ჩამოსვლასო. ქალმა პლეხანოვისკენ გაუხვია, მოიხედა, ირაკლიმ ხელი დაუქნია, ისა და ზიზი სხვებთან ერთად მეტროსკენ მიიჩქაროდნენ. მარინა მხარში ამოუდგა მათ, საკვოიაჟს ბოლომდე წამოგიღებთო, არ დაანება ირაკლის.

დიდი ჯგუფი მეტროს ვესტიბიულში შევიდა და ორი მომცრო ავტობუსიც გაჩერდა მეტროს წინ. ოთხი-ხუთი კაცი გადმოვიდა ავტობუსებიდან და ვესტიბულისკენ გაემართნენ. წინ მიდიოდა თეთრპლაშჩიანი კაცი, ქამარი ჰქონდა წინ გამოკრული, დიდი, შავი სათვალეები ნახევარ სახეს უფარავდა, კეპი ჰქონდა ჩამოფხატული, მხარზე კი კალაშნიკოვი გადაკიდებული. „საშინელი კაცია, ნამდვილი მრბეველი“, გადაულაპარაკა ზიზიმ ირაკლის, „კუნა ოთიაშვილი, მხედრიონელთა ერთ-ერთი თავკაცია“. თეთრპლაშჩიანი კი არ შევიდა, შევარდა მეტროს ვესტიბიულში, მას ოთხნი მისდევდნენ უკან: „გეუბნებით გამოდით ეხლავე და ჩასხედით მანქანებში!“ დაიყვირა თეთრპლაშჩიანმა.

ხალხი შემჭიდროვდა, ერთმანეთს მიეკრა. „ვერ ჩავსხდებით, ვერა...“ „ხომ ხედავთ რა ამინდია...“ გაისმა შეძახილები. ერთმა კი საცოდავი ხმით დაიძახა, „რა გინდათ ჩვენგან... ვის რას ვუშლით...“

„გეუბნებით, ჩასხედით ეხლავე ავტობუსებში! ნაგიყვანთ და ეთრიეთ მერე ლილოდან!!! გესმით?! გესმიით!!“

„ღმერთო ჩემო!! ამას რას ვხედავ!!“ შესძახა თავის გულში ირაკლიმ. აქამდე ვერ წარმოიდგენდა, რომ ამ ხალხის მიმართ, დაპირისპირებისა და განქიქების გარდა, გულს შეუკუმშავდა ცოდოობის მტანჯველი გრძნობა და შესძრავდა სიბრალული, როგორც დაბნეული ფარის მიმართ პირდაღრენილი მგლების წინ.

თეთრპლაშჩიანმა კალაშნიკოვი მოიხსნა მხრიდან: „დაგხვრეტავთ, იცოდეთ! თუ არ ჩასხდებით, დაგხვრეტავთ! დაგხვრეტავთ!!"

ეს სიტყვა, ეს საშინელი სიტყვა, რომელიც ბავშვობიდან თან სდევდა ირაკლის, დახვრიტეს დედის ბიძა 24-ში, დახვრიტეს მამის ბიძაშვილები, დახვრიტეს მამა, დახვრიტეს მეზობლები, შორეულები და ახლობლები... ხშირად, ხშირად... თავისი სიცოცხლის მანძილზე ხშირად წარმოიდგენდა როგორ მიყავთ დასახვრეტად გიგოსგორაზე... სოღანლუღში... მეტეხში... ვაკეში... სად აღარ... სად აღარ... მთელ ქვეყანაზე... მერე როგორ ათხრევინებენ ორმოებს დახვრეტილთა ჩასაყრელად... არა, არა, არცერთი წუთით არ უფიქრია, რომ ეს მრბეველი ამათ დახვრიტეს, მაგრამ სიტყვამ, ამ საშინელმა სიტყვამ თავგზა აუბნია, წინ გამოაგდო, ამ კაცის წინ დააყენა და რასაც სულ, სულ, იმეორებდა ხოლმე, „რატომ! რატომ! რატომ!“ ახლაც სწორედ ეს შესძახა: „რატომ! რატომ! რა არის ეს! რა! რატომ გვემუქრებით! რატომ ამბობთ დაგხვრეტავთო! თქვენი არასდროს არავინ დაუხვრეტიათ? არა? არაა? ცოტა დახვრიტეს? ცოტა გამოასალმეს სიცოცხლეს რომ ასე უბრალოდ ამბობთ დახვრეტას და თოფს გვიღერებთ! როცა ვითომ თავისუფალია ჩვენი ქვეყანა! სირცხვილი თქვენ! სირცხვილი! თავხედო! თავხედო!“ ირაკლიმ წამიერად იგრძნო, როგორ შეიფრთხიალა გულმა და თვალის დახამხამების უმალ მოწყვეტით დაეცა მეტროს ვესტიბულის ფილაქანს.

„ირაკლი! ირაკლი! ირაკლი!" განწირული ხმით დაიძახა ზიზიმ, მაგრამ ირაკლის არც ზიზის ხმა და არც აღარავისი აღარ გაუგია.

P.S. და სწორედ ამ დროს, ამერიკაში, სისხამ დილით, შორეული ბოსტონის გარეუბანში, კრედიტით ახალნაყიდი სახლის ეზოში, ირაკლის შვილი მალხაზი ბალახის ფარდაგს აგებინებდა

მუშებს. თანდათან მწვანდებოდა მოზრდილი, აქა-იქ ხეხილით გაშენებული ეზო. პარმაღზე კი, ნინოსა და ბავშვებს ეს არის გაეთავებინათ საუზმობა და ქართულში მეცადინეობდნენ. „ანდრო, გენაცვა, ჩვენ გავიარეთ უკვე ასო „ბანი“, აბა, ახლა ენის სატეხი გვითხარი?!"

„ერთსა კაცსა ბლისკინელსა, ბლისკალათით, ბლის ხიდზედა, ბალი გააქვს და გამოაქვს.“ „ყოჩაღ, ანდრო ყოჩაღ, ერთი არსად შეგშლია!“ შეაქეს ძმებმა.

„მოდით, ბავშვებო, ახლა ანბანთქებას მივხედოთ და „ანზე სით მოხვალ“ ვითამაშოთ, აბა, რა ასოზე შევჩერდეთ?“ მიმართა ნინომ ბიჭებს. „ისევ ბანი იყოს და მე დავიწყებ კარგით?“ „მაშინ ბიძოს შეეკითხე, ანდრო ყურს დაგიგდებთ და დაიხსომებს, არა, ანდრო?!" „მაშ, რაა, მაშინვე დავიხსომებ.“

„ბანზე სით მოხვალ?“ დაიწყო ერეკლემ.

„ბ.ბ. ბოდბედან...“ უპასუხა ბიძომ.

„სახელი რა გაქვს?"

„ბიძო.“

„ბიძინა,“ გაუსწორა ნინომ.

„ვისი ყმა ხარ?“

„ბ.ბ. ბარათაშვილისა."

„მშვილდი რისა გაქვს?"

„რა თქმა უნდა, ბლისა."

„ისარი?“

„ბ.ბ. ბზისა.“

„რას ესროლე?“

„ბაჭიას."

„სად მოარტყი?“

„ბ.ბ. ბეჭში."

„ყოჩაღ, ბიძო, ყოჩაღ!“ თქვა ნინომ.

„ნეტა პაპა და ზიზიც აქ იყვნენ და გვისმენდნენ...“ დანანებით თქვა ანდრომ.

„ჩვენ ხომ კომპიუტერი უნდა ვუყიდოთ პაპას და ზიზის, ჰოდა, ანბანთქებას ბოლომდე რომ გავალთ და მთელ ანბანს ჩამოვათავებთ, ჩავწერთ და კომპიუტერთან ერთად გავუგზავნით.“ უთხრა ნინომ ბიჭებს.

„აუუ, როგორ გაუხარდებათ?!" თქვა ერეკლემ.

„მაგრად გაუხარდებათ.“ დაეთანხმა ბიძო.

„აბა, რაა, აბა, რაა, მე კიდევ ბლისკინელსაც ჩავწერ. სად არის ბლისკინი, დედაა?“ დაინტერესდა ანდრო.

„ენის სატეხშია, ჩემო ბიჭო, ენის სატეხში.“

# საკირეებთან

„მე ვარო მონა მეფისა მაღ-
ლისა, ქაჯთა მფლობლისა!"
**რუსთაველი**

გინახავთ საკირეები ღამით?

ანთებული ბორცვები.

ზევიდან გადალესილი თიხა სიმხურვალისაგან ფერს რომ დაინმენდავს და გათეთრდება, დაიშაშრება, დაიბზარება, დასკდება... და ამ ნაბზარებიდანა და ნახეთქებიდან ამოფრქვეული ცეცხლის ყლორტები ფეთქავენ და თრთიან...

რიყის სიო უბერავს, ცეცხლის თრთოლას კიდევ უფრო ახშირებს.

რატომ მოსმენა არ შეიძლება, თორემ ეს იქნებოდა, ალბათ, ზღვრამდე მისული ექსპრესიით, მწველი განცდით ათრთოლებული ხმა. ანთებული საკირეების ხმა.

მე ბევრჯერ მინახავს.

აი, მივდივართ ტყეში შვინდზე, წაბლზე, ზღმარტლზე, ნიფელზე.

გზა რიყეს მისდევს... რიყის მეორე მხარეს დიდი კლდეებია.

ისმის პატარა ღრიჭინის ჭრიალი და რკინადაჭედილი თვლების რიხინი. ჩვენ ნელი ნაბიჯით მივდევთ ღრიჭინას... ხშირად ვჩერდებით და ქვებს ვაგროვებთ... რიყეში თუ ალაგ-ალაგ შექუჩებული ქვები შეგხვდეთ, ფეხი არ გაჰკრათ და არ მიფანტ-მოფანტოთ. ეს ჩვენი შექუჩებული ქვებია. საკირეებისთვის ვაქუჩებთ...

სანამ რიყეს ავათავებთ, ღრიჭინაში რა ჩამსვამს. მეც პაპასა და ბებიას ვშველი. ჩვენი ცხენი თავისთვის მარტო წინ მიაბიჯებს. ამ ტყის გზაზე ჩამობერდა. რომ შეეძლოს, ღმერთმანი, თვითონ ჩამოჰკრეფდა შვინდსაც, წაბლსაც, ზღმარტლსაც, თვითონვე დაუდებდა ღრიჭინას და სახლში ისე მოვიდოდა, არსად გზა არ შეეშლებოდა.

— პაპა, აი, ეს ქვა ხომ კარგია? — მე ხელში ბურთივით მრგვალი, თეთრი ქვა მიჭირავს. ვიცი რომ კარგია, ვიცი რომ თეთრი კირისთვის გამოსადეგი ქვაა, მაგრამ მაინც ვეკითხები პაპას,

მინდა მომიწონოს.

— ძალიან კარგია, გოგუცუნა, ძალიან კარგია.

მე ქვას სხვა შექუჩებულ ქვებთან ვაგდებ.

— როდის ავანთებთ, პაპა, საკირეს?

— ერთი-ორი ღრიჭინა რომ გვაკლდეს, მეტიც აღარ დაგვჭირდება.

— შეშა?

— შეშა ხომ იცი რომ მზადა გვაქვს.

— მაშ როდის?

— ნეტა, გიო, ბარემ ჩამოგეზიდა ეს ქვა და აგვენთო საკირე. სანამ გოგოს წაიყვანდნენ მოგვესწრო.

— ქვები არსად გაიქცევა. შვინდს კი დროით უნდა დაკრეფა.

— ერთი სული აქვს, სანამ ანთებულ საკირეებს ნახავს.

— ვითომ ჯერ არც უნახავს.

— სწორედ მაგიტომ, პაპა, სწორედ მაგიტომ!

— გინდა ერთი ისეთი რამე გითხრა, შენი სულისა, რომ ანთებული საკირეები აღარც ისე მოგეწონოს და კარგადაც შეგეშინდეს?

— რაც გინდა მითხრა, მაინც მომეწონება!

— ვაი თუ?

— კარგი, გიო, ბალღს გულს ნუ გაუხეთქავ.

— არა, არა, პაპა, გამიხეთქე რა გული, მითხარი რაა!?

არაფერი ისე არ მიყვარს, როგორც ამბებითა და ზღაპრებით გულის ხეთქვა. მერე რამდენი რამე იცის პაპამ? ალალა ყიზილბაშის ყვავილის ზღაპარიც პაპამ მიამბო, გაქვავებული ქალაქისაც, საათი სათხათუნესიც... ჩვენი სახლის პირდაპირ, რიყის გადაღმა ამართულ კლდეებში ჭინკები რომ ცხოვრობენ, — ესეც პაპამ მითხრა.

შუადღისას გახურებულ კლდეებს აეკვრებიან ჭინკები და მზეს მიეფიცხებიან. არცა ცვივიან კლდეებიდან და არცა. ჩვენ იმიტომ ვერ ვხედავთ, რომ ზუსტად კლდისფერი, მონითალო ბალნითა აქვთ ტანი დაფარული. ზოგჯერ კლდეზე რომ რაღაც მწვანედ გაიელვებს — ეს ჭინკების ზურმუხტისფერი თვალებია.

უჰ, როგორ მინდა მეც შემეძლოს გახურებულ კლდეს ავეკრა

და არ ჩამოვვარდე.

— არ შეიძლება, პაპა, მეც მასწავლონ ჭინკებმა კლდეზე სიარული?

— არაა, შეგირდებს არ ღებულობენ.

— რატომ, რატომ, იქნებ მე მიმიღონ. აბა, შენ უთხარი.

— რა, რა და მასწავლებლობა არ ემარჯვებათ.

— მაშ რა ემარჯვებათ?

— ვინ მოსთვლის?! სკუპსკუპი, ასკინკილა, ყირამალა გადასვლა. ცეკვა და ბუქნა. თუნდა ცეცხლში იცეკვებენ და ერთი ბეწვი არ დაეწვებათ. მეტი რა გინდა?

— რა მინდა და მოცეკვავე ჭინკა მინდა ვნახო, ცეცხლში როგორ ცეკვავს.

— ნახავ, გოგუცანა, ნახავ, შენი სულისა, ყველაფერსა ნახავ. ვისაც რა უნდა, იმას უთუოდ ნახავს.

პაპა აივანზე, ფარდაგადაფარებულ ტახტზე წევს, თავი მაღლად უდევს ორ მუთაქაზე, ხელში გიშრის კრიალოსანი უჭირავს და იმას მარცვლავს.

— აგერ, გიო, ცხენი წასულა, ნაბიჯს ავუჩქაროთ.

— საკირეებისა რომ უნდა გეთქვა, პაპა?

— მაშ გითხრაა?

— მითხარი, მითხარი, მაშ!

— რა და წინად ანთებულ საკირეებში კაცებს აგდებდნენ.

— როგორ აგდებდნენ, ცოცხლად?

— მაშ, ცოცხლად, აიღებდნენ და ჩააგდებდნენ. ან არა და, საკირეებთან ახლოს ჯვარს დაასვამდნენ, ზედ კაცს მიაკრავდნენ და ნელ ცეცხლზე იწვოდა. ჯერ ბოლით გაიგუდებოდა... ხომ გახსოვს, ბოლი ბღუჯა-ბღუჯა რომ ამოდის საკირიდან?

— ეგ სანამ ცეცხლი ამოვა, როგორ არ ვიცი. მერე დიდხანს იწვოდა?

— რაებს ეუბნები ბალღსა, კაცო! არა, გენაცვალოს ბებია, საკირეებთან ჯვარზე მიკრულ კაცს რა უნდა!?

— უნდა, უნდა, რაკი პაპა ამბობს, ალბათ, უნდა!

თურმე მართლა უნდოდა საკირეებთან ჯვარზე გაკრულ კაცს. მე ჩემი თვალით ვნახე ამ რამდენიმე წლის წინ, შემოდგომის ერთ ღამეს. იქნებ მომეჩვენა? მაგრამ ხომ მომეჩვენა...

იმ ღამეს ჩვენს სახლში გახურებული ღვინის სმა და პურის ჭამა იყო.

პაპას ვიგონებდით.

ბიძაჩემმა თქვა: მოდით, მამაჩემის მოსაგონებლად ცხვარი დავკლათ და სული ვუხსენოთო. ჩემი საყვარელი ბებია მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ძალზე გაუხარდა. ოცი წელია ის კაცი წავიდა და მართლაც კარგი იქნებოდა მოგვეგონებინაო.

ცხვარს ანთებული სანთლები დააკრეს რქებზე, მარილი აალოკინეს.

სანთლები რომ ჩაინვა, წამოაქციეს მარანთან და დაკლეს.

ბიძაჩემმა იმ დღისათვის საგანგებოდ შენახულ საზედაშე ქვევრს თავი გადახადა. გრძლად გაშლილ სუფრას შემოვუსხედით. მაგიდაზე დაყრილ ხორცს ორთქლი ასდიოდა. ღვინისაგან სახე წამოჭარხლებული კაცები პაპაჩემის მოსაგონარს ამბობდნენ. ზოგი გულადობითა და კაცობით იგონებდა, ზოგი პურადობითა და სიმღერით. პაპაჩემის უფროსი ძმა სანდრო ამბობდა: ეჰ, გიოს წასვლის შემდეგ ჩემი სიმღერა სიმღერა აღარ არისო. ისე ველარავინ მემღერებაო. აბა, ის იყო, ჩვენ რომ ჩავსხდებოდით სუფრის თავში და წუთისოფლისას შემოვძახებდითო.

დეიდა მალუცა კი, პაპას ნათლული, იგონებდა როგორ დასხამდა ნათლია გიო თავის უამრავ ნათლულებს მამითადობის დროს, თვითონ როგორ მინვებოდა ტახტზე კრიალოსანით ხელში და ტკბილი, დაბალი ხმით ზღაპრებს უამბობდა... ისე ჩამოათავებდნენ მუშაობას, ისე დაჰგულავდნენ ლობიოს, ისე დაამტვრევდნენ საზამთროდ კაკალს, ისე დაწნავდნენ ნივრისა და ხახვის გალებს, ამ ზღაპრებში ვერაფერს გაიგებდნენ.

არავისთან მამითადები ისე არ გვიყვარდა, როგორც ნათლია გიოსთან. მეც რამდენი რამ მაგონდებოდა?!

რიყეში, კლდის ძირას ბავშვები წყალს აგუბებდნენ, ბანაობდნენ და წუნაობდნენ. მერე ფეხშველები, დაწუწულები გახურებულ ქვებზე დარბოდნენ.

მე აივანზე თოჯინებთან ვთამაშობდი, თან ხშირად გავხედავდი ხოლმე რიყეში მორბენალ ბავშვებს. თუ ამ დროს პაპა დაბრუნდებოდა ან ვენახიდან, ან ბაღიდან, ან ტყიდან და მე ჩვენს აივანზე დამინახავდა, ბებიას გაუწყრებოდა:

— ივლიტ, რას დაგისვია ე ბალღი და დედოფლობას ათამაშებ? წავიდეს, აგე გოგო-ბიჭები რა დღეში არიან!

— რა უნდა მზეში ბალღსა, გიო?! მაგისმა დედამ გაიგოს, აქეთ აღარც მოახედებს!

— მაშ, სად უნდა, დედაკაცო? გრილოში ნაზარდი ხე რა ხეა?

— დაიწყე ახლა შენებურადა!

— ჰო და ჰო!! პაპა მართალია!!

— მოდი, მოდი ჩემკენ, გოგუცუნა! — დამიძახებდა, — რო დამდგარხარ და ცოდვის კვერივით შეჰყურებ ფეხშველა გოგობიჭებსა, შენც გაიხადე ეს სანდლებია, თუ რასაც ეძახით მაგ ფეხსამოსებსა და გაიქეცი იმათთან!

— გავიხდი პაპა... ფეხები არ მეტკინება? დედამ მითხრა ფეხშველამ არ იაროვო.

— მეტი-მეტი ეკალი შეგერჭოს ფეხში, მეტი-მეტი ქვაზე გაიჭრა, — ეგეც რამე? ავიღებ და მაშინვე გამოგიღებ ეკალსა. იცი, რა კარგია ცხელ მინაზე ფეხშველა გარბენა?! მოდი, ერთი გავიხადოთ ეგ ფეხსამოსი?!

დაიხრებოდა, სანდლებს გამხდიდა, ჩემი ფეხების დანახვაზე თავს გაიქნევდა:

— ვაი, ვაი, ვაი, ჩემს შვილიშვილსა, ჩემს ჭრელ ხბოსა და ეგეთი ფეხები!? ხაჭოს პარკებივით თეთრი და უნდილი ფეხები. აბა, ახლა გაირბინე!

— დედას არ ვუთხრათ, პაპა, თორემ გამიჯავრდება.

— დედაშენი ვერაფერსაც ვერ გაიგებს... აბა, ერთი ჩაირბინე ეზოში, დაგინახო! თუ უცბად დაგენვას ფეხის გულები, აგერ ნარწყავი ბალახი და გაიგრილე, იცი, რა არის! მერე მთელი ზაფხული ფეხშველა დავრბოდი. დედაჩემის ჩამოსვლისთვის ჩავიცვამდი სანდლებს და ისე ვგრძნობდი თავს, გეგონებათ ოჩოფეხებზე შემაყენესო. ცხენზე ჯდომაც პაპამ მასწავლა... ღვინოსაც პაპა მაყლაპებდა ხოლმე ბებიას ჩუმად.

ამ მოგონებების დროს უცებ ისე მომინდა პაპას ნახვა, რომ გავიფიქრე: აი, ახლა, ამ წუთას თუ ავდგები ამ მაგიდიდან და გარედ გავალ, პაპას ვნახავ-მეთქი. გამოვედი და მართლა ვნახე! აივანზე, ფანჯრებთან მიდგმულ ფარდაგადაფარებულ ტახტზე იწვა. სასთუმალი მაღლად უყვარდა, ახლაც რამდენიმე

მუთაქაზე ედო თავი. ხელში გიშრის კრიალოსანი ეჭირა და იმას მარცვლავდა. ფანჯრიდან გამოსულ შუქზე კრიალოსანი შავად ბრწყინავდა.

— გიშრის კრიალოსანი? რა საკვირველია, პაპა, რომ გიშრის კრიალოსანი გიჭირავს ხელში! — მართლა, ყველაზე ძალიან ეს გამიკვირდა. მივედი, პაპას ტახტზე ჩამოვუჯექი და კრიალოსანს ხელი წავუვლე.

— შენ ისევ ისეთი ხარ, ბავშვობისას რომ იყავი, ჩემო გოგუცუნა??

— ისევ ისეთი როგორ ვიქნები, პაპა!

— ხარ და რა ვქნა?! სწორედ რომ არ გამოცვლილხარ. აი, ხომ ჩემს სანახავად გამოხვედი და მაშინვე გიშრის კრიალოსანი გაგიკვირდა. ბავშვობასაც ასე იცოდი. ძალზე მოინადინებდი ბალსა... მართლა, როგორ არის ჩვენს ვენახში ბლები?

— ისევ ისეა, პაპა, გოგორა ბალიცა და წითელი ბალიც...

— ჰოდა, მოგკიდებდი ხელსა და წაგიყვანდი ვენახში. მთელი გზა ბლებზე მელაპარაკებოდი: როგორ ახვიდოდი, როგორ დაჰკრეფავდი, მეც როგორ ჩამომიყრიდი, კუნწულებს როგორ შეჰკრავდი თაიგულად, ყურებზე საყურეებად როგორ აისხამდი, ბებიასაც როგორ წამოვუღებდით...

— რა ლამაზია, პაპა, მწიფე ბალი არა? თან თუ ნიავიც ქრის და მწვანე ფოთლებს აშრიალებს... რა ლამაზად ჩანს წითელი ბალი, არა, პაპა?

— ძალიან ლამაზია. აი, ახლაც სიტყვა გამანყვეტინე. ისევ ისეთი ხარ. ჰოდა, მივიდოდით ვენახში... შევიდოდით, დაინახავდი ბლის ტოტზე ჩამობმულ საქანელას და ვიღას ახსოვდა ბალი? შედგებოდი საქანელაზე და მოჰყვებოდი ქანაობას. იქანავებდი, იქანავებდი, იმდენს იქანავებდი, სანამ თავბრუ არ დაგეხვეოდა და გული არ აგერეოდა. აღარც ბალი გინდოდა და აღარცა...

ან სათიბში ყვავილებს დაინახავდი და ბალი სულ დაგავიწყდებოდა. სხვა უშენო შედგებოდა იმ საქანელაზე და ბალზე უფრო იოლად ავიდოდა.

— რა ვქნა, პაპა, როგორ არ გამკვირვებოდა ეს კრიალოსანი? ეს კრიალოსანი ხომ მე დავშალე...

— ჩემი ნახვა გინდოდა... მხოლოდ, როცა დამინახე, კრიალო-

სანმა უფრო მოგტაცა თვალი, არა? ჩემი გოგოცუნა, ჩემი ჭრელი ხბო...

— აი, ხედავ ამ ბეჭედს? — ბეჭდიანი ხელი ახლოს მივუტანე, ამ ბეჭედს შენი კრიალოსანის გიშერი უზის. აი, ეს გულსაბნევიც მაგ გიშრისაა, ჩემი საყურეებიც... ბებია დიდხანს ინახავდა. მე შევეხვეწე, აიღო და მომცა.

— კარგად უქნია... ან რად გახვენინა. ჩემი ვერცხლის ქამარი?

— შენი ვერცხლის ქამარი ბებიამ გიას აჩუქა, პაპა.

— გიას?

— მართლა, შენ ხომ არ იცნობ ჩვენს გიას! შენი მოსახელეა, პაპა. მხოლოდ გიოს არ ვეძახით, ახლებურად გიას ვეძახით. მე კი გიო უფრო მომწონს. ახლა კაცებში ჩამჯდარა და შენზე ამბებს ისმენს. ძალიან უყვარს შენი ამბების მოსმენა.

— მიგონებენ?

— შენს მოსაგონარს სვამენ, პაპა.

— შენც ხომ მომიგონე?

— აი, ისე მოგიგონე, რომ გნახე კიდეც. მე შენ ყოველთვის მახსოვხარ, პაპა, უზედაშოდა და უცხვროდ. შენს ჩონგურსა და სალამურს რა დამავიწყებს.

— ჰო, ჰო, ჩემი ჩონგური და სალამური.

— ბებიას სკივრში აქვს შენახული. გახსოვს, რომ მეუბნებოდი: მთათუშეთში ერთი მთა არ არის, მე არ ავსულიყავი და სალამური არ დამეკრაო.

— უყურე, როგორ დაგხსომებია?! ბავშვობაში მწყემსად რომ ვიყავი თუშებთან, მაშინ იყო.

— მეც ბევრჯერ ვიყავი მთათუშეთში, პაპა, და იმ მთების დანახვაზეც შენ მახსენდებოდი.

— ჩემი გოგოცუნა, ჩემი ჭრელი ხბო... ჩონგური და სალამური კი არ იცი, განა?

— არა, პაპა, არ ვიცი. მე ვიოლინოზე ვუკრავ. შენ რომ გარდაიცვალე, სწორედ იმ წელს მიმაბარეს ვიოლინოზე. კარგი საკრავია. რომ მოგესმინა, ღმერთმანი, მოგეწონებოდა აუცილებლად.

— მთავარი დაკვრაა, თორემ რა ბედენაა რაზე დაუკრავ. ზლაპრებიც თუ გახსოვს?

— მაშ! ზღაპრებს რა დამავიწყებს.

— აგერ, აგერ, გახედე იმ კლდეს! — პაპა მუთაქებზე წამოიწია და კრიალოსნიანი ხელი კლდეებისკენ გაიწოდა.

ჩაბნელებულ, შავ კლდეზე რაღაც გაკრთა და მაშინვე ჩაქრა, შემდეგ ისევ გაიელვა და ისევ გაქრა.

— ჭინკები!!!

— ხომ გეუბნებოდი ნახავ-მეთქი.

— შენ მეუბნებოდი ცეცხლში მოცეკვავე ჭინკას ნახავო.

პაპა ისევ წამოიწია მუთაქებზე, გადმოიხარა ჩემსკენ, სახე სულ ახლოს მომიტანა და ჩუმად, ძალიან ჩუმად მითხრა:

— წადი ახლა საკირეებთან და ნახავ. წადი და ნახავ.

მე მაშინვე წამოვდექი.

— აგრილდა, რიყიდან სიომ წამოუბერა.

— გცივა? გინდა, ნაბადი დაგხურო?

— დამხურე, თავზეც გადამახურე. — პაპამ თვალები დახუჭა.

მე ხელები დავუკრიფე, გიშრის კრიალოსანი გულზე დავადე, იქვე დაგდებული ნაბადი ავიღე, პაპას გრძლად დავხურე, თავთან, ფეხებთან ამოვუკეცე. მერე კიბეები ჩამოვიარე და ეზოში ჩამოვედი. ბნელოდა. წინ, მარჯვნივ მკრთალი შუქი შევნიშნე. მარანს რომ მივუახლოვდი, მაშინ დავინახე, რომ მარნის მუხის ბოძზე ანთებული სანთლებისა იყო ის შუქი. ეტყობა ბებიას აენთო სანთლები, ბევრი სანთლები. ზოგი ჩამწვარიყო, ზოგიც ისევ ენთო. იქვე, სანთლების გვერდით ცხვრის ტყავი ეკიდა.

სანთლების ყურებაში რაღაცას ფეხი წამოვკარი და წავიქეცი.

გუბეში აღმოვჩნდი, სისხლის გუბეში. დაკლული ცხვირს სისხლი იყო. სწრაფად წამოვდექი და ხელფეხზე დავიხედე. გასისხლიანებული მქონდა. იქვე ცხვრის თავ-ფეხი ეყარა. კიდევაც ამას წამოვკარი ფეხი. ცხვრის გამოციებული, გამოთეთრებული თვალები და დაკრეჭილი კბილები მომხვდა თვალში. თვალი ავარიდე. დავიხარე და სისხლიანი ხელები ბალახს გავუსვი. მერე იქვე მარანთან მდგარ კომშთან მივედი, ფოთლები ჩამოვკრიფე და გასისხლიანებულ ფეხსაცმელებს წმენდა დავუწყე. ამ კომშს რამდენჯერ ვესროდით გეკოს, პაპა მასროლინებდა ხოლმე. ერთს არ ვაცდენდი. გეკოს ტყვიების კვალი ემჩნეოდა ხოლმე დიდ კომშებს...

ეზო გავიარე, ხის ჭიშკარში გავედი და რიყეს დავადექი.
შორიდანვე შევნიშნე ანთებული ბორცვი.
საკირე ენთო.
ცეცხლის ყლორტები ფეთქავდნენ და თრთოდნენ.
ამოფრქვეული ალი წითლად, ყვითლად, ლურჯად, იისფრად ვარვარებდა.
რიყის სიო უბერავდა. ცეცხლს კიდევ უფრო ათრთოლებდა.
მაგრამ ეს რა მოჩანდა ანთებულ საკირესთან?
რა იყო? რა?
მივუახლოვდი და შეშინებული გავჩერდი.
საკირესთან დიდი ჯვარი დაესვათ. ჯვარზე კაცი იყო გაკრული.
საშინელი და საზიზღარი დასანახი იყო. თავი ჩამოვარდნოდა, ნიკაპი ლამის მხრისთვის დაებჯინა. ნახევრად ღია, წამებისაგან დაელმებული თვალებით, ალბათ, ვეღარაფერს ხედავდა. არც ვიცი ცოცხალი იყო თუ არა. ვინ იცის, როდის გაეკრათ ჯვარზე. თოკებით გაეკრათ. თოკის გრეხილებს შუა მოუჩანდა დაწყლულებული წვივები. მაჯებზეც თოკები დაეხვიათ. გასიებული მტევნები უსიცოცხლოდ დაჰკიდავდა ჯვრის გარდიგარდმო ხარიხის კიდეებს. გაძვალტყავებული, ამოყრილი ნეკნები რომელიღაც საკრავის კლავიშები გეგონებოდათ. შევხედე თუ არა, ქსილოფონი გამახსენდა... მთელი სხეული წყლულებითა და ბეებერებით ჰქონდა დაფარული. წყლულები აქაიქ დახეთქოდა და მყრალი წუთხი მოჟონავდა.
ჯვარცმის დანახვამ ისე შემაძრწუნა, რომ აღარ მომინდა აღარც საკირე, აღარც ფერდაწმენდილი, სიმხურვალისაგან გათეთრებული, დახეთქილი თიხა, აღარც ცეცხლის ატეხილი ყლორტები. აღარაფერი.
გამოვტრიალდი, მინდოდა გამოვქცეულიყავი, რომ რიყეში ქვების ჩხრიალი მომესმა. ჩემსკენ ხან სკუპ-სკუპით, ხან ასკინკილით ვიღაც მოხტოდა...
ცეცხლის რკალში რომ შემოვიდა, დავინახე და მაშინვე ვიცანი:
ჭინკა იყო, კლდის ჭინკა. ზურმუხტისფრად ენთო ჭინკას თვალები. ვინ იცის, იქნებ ზურმუხტებიც ესხდა. პატარა, მოძრავი,

ჭორფლიანი სახე ჰქონდა და დიდი გადმოფურჩქნული ყურები. ყურებს გამუდმებით აბარტყუნებდა: ხან ერთს, ხან მეორეს, ხან ორივეს ერთად. ტანი წითური ბალნით ჰქონდა დაფარული, წელზე წითელი ბალნის დაწნული ქამარი ჰქონდა შემორტყმული. ეს თურმე კუდი იყო. რომ დავერწმუნებინე, შემოიხსნა და გაიქნია და გამოიქნია. მერე ისევ ქამარივით შემოირტყა, ბოლოგაბუებული ქამარივით. ჭინკას ხელში გრძელტარა კოვზები ეწირა. ასეთი გრძელტარა კოვზები არ მენახა. გეგონებათ დოლის ჯოხებიაო.

იდგა ცეცხლის რკალში და მიყურებდა თავისი ზურმუხტის თვალებით.

— რა არის ეგა, რა გიჭირავს ხელში, ჭინკა?

— გამარჯობის თქმასაც აღარ მაცდი? ჯერ ერთი, მე ჭინკების წინამძღოლი ვარ.

— კოვზებია თუ დოლის ჯოხები?

— რაც გაგიკვირდება ასე უცბად იტყვი ხოლმე იმ კრიალოსანივით?

— ჰო, ჰო, ერთბაშად წამომვარდება ხოლმე პირიდან. რა, რა და გაკვირვებას ვერასდროს ვერ ვფარავ.

— კაცმა რომ თქვას, ან რა არის დასაფარი?

— კრიალოსანი შენ რა იცი, ჭინკა?

— ტყუილადა მაქვს ამოდენა ყურები? გავიგონე. — და ჭინკამ ყურები ისევ გააბარტყუნა.

— ჰოო... მაინც რად გინდა ეგ კოვზები, ჭინკა, ჰაა?

— შენ წამოგიღე.

— მეე? მართლა მე წამომიღე?

— აი, ნახე, თხის რქებისაგან არის გამოთლილი!

ჭინკა ერთი სკუპით ჩემს გვერდით გაჩნდა და კოვზები ხელში შემომაჩეჩა. კოვზებს გრძელი, შავი, პრიალა ტარები ჰქონდა და ერთი ბეწვა, პაწაწინა ჯამფილებივით თავები.

— სახსოვრად გინდა მომცე?

— უნდა გაჩუქო... ბებიაჩემის გამოთლილია.

— უყურე, ბებიაც რომ გყოლია?!

— ბებია და რა ბებია! კლდის სულია ბებიაჩემი. ისეთი გრძელი, წითელი დალალ-კავები აქვს, ნახვად ღირს. ზის ახლა კლ-

დის გულში, ცეცხლი უნთია. თხის რქები უყრია ცეცხლის პირას. სთლის და სთლის გრძელტარა კოვზებს. მერე აიღებს და ტყავებით გააპრიალებს.

— მადლობის მეტი რა მეთქმის, წავიღებ და კედელზე დავკიდებ.

— არაა!! კედელზე კი არა და ახლავე დაგჭირდება.

— ახლავე? რაში უნდა დამჭირდეს, ჭინკა, ახლავე?

— ნახავ, ნახავ, რაშიც...

ჭინკა აცქმუტდა, გეგონებათ უჭირს ერთ ადგილას გაჩერებაო. პატარა, ჭორფლიანი ხელებით მოჰყვა ფეხების ფხანას. ბალნით დაფარული ბარძაყებიდან დაიწყებდა, იფხანდა წვივებს, კანჭებს, ფეხის გულებსაც კი.

— უჰ, როგორ მეფხანება ფეხები... ცეკვა მინდა...

— რა კარგია, ჭინკავ, რა კარგია! მე ხომ მინდოდა შენი ცეკვა მენახა!

— მაგიტომაც მოვედი რომ იცოდე.

— რაზე გავიქცეოდი?! ეს კაცი რომ დავინახე, გაქცევა დავაპირე. ახლაღა გამახსენდა ჯვარცმული კაცი. ჩემდაუნებურად ავხედე და ნახევრად ღია, დაელმებული თვალები რომ დავინახე, მაშინვე თვალი ისევ ავარიდე.

— ჩემი ნახვა გინდოდა და მაგ კაცმა შეგაშინა? — ჭინკამ გაიცინა, წვრილი, მეჩხერი კბილები გამოაჩინა.

— თუ ღმერთი გწამს, ნუ იცინი!

— ღმერთი მართლა რომ ძალიან მწამს! — კიდევ უფრო გულიანად გაიცინა.

— ვინ გააკრა ჯვარზე ეს კაცი, ჭინკა?

— შენთვის გააკრეს.

— გაგიჟდი?

— მართლა, მართლა, აი, ნახავ!

თვალი თვალში გამიყარა, ერთხანს თითქოს გამომცდელად მიყურებდა, მერე კი ონავრულად ჩამიკრა თავისი ზურმუხტისფერი თვალი. და თვალის ჩაკვრის დროს ისე სასაცილოდ ჩაპრანჭა პაჭუა ცხვირი, რომ უნებურად გამეცინა:

— აი, შე საძაგელო შენა, თვალსაც რომ მიკრავ?!

— ბიჭოს! მეფერები? რა კარგია რომ მეფერები!? — სკუპს-

კუპით შემოუარა ანთებულ საკირეს, მოვიდა და წინ დამიდგა.

— მეტი დარდი არა მაქვს, შენ მოგეფერო.

— ნუ უარობ, ღიმილით ნათქვამი „საძაგელო" ჩვენში მოფერებას ნიშნავს და...

— კარგი, კარგი, დაანებე მაგ ლაპარაკს თავი. — გავაწყვეტინე სიტყვა, — ცეკვა თუ გინდა მაჩვენო, მაჩვენე!

— მე მინდა! — შესძახა მოუთმენლად ჭინკამ, — მე მინდა იმიტომ, რომ შენც გინდა!!

— ჰოდა, მიდი, მიდი, რაღას უცდი?

— შენ გიცდი! დაუკარი და ვიცეკვებ! ძმობილებსაც გავძახებ, ყველანი გამოვლენ კლდიდან და ისეთ ცეკვას გავაჩაღებთ საკირის ცეცხლში, როოომ... — და ჭინკა ისევ აცქმუტდა, თავით ფეხებამდე დაიძაგრა, წითური ბალანი აეშალა და თითების ტკაცუნით შემომძახა:

— აბა, ჰა, რაღას უცდი!

— კი მაგრამ... — ცოტა არ იყოს დავიბენი და თან ვიგრძენი, რომ რაღაც უსიამოვნო გრძნობა მეუფლებოდა, — რა უნდა დავუკრა...

— ხედავ, ხედავ!! აბა, ეგ კოვზები ტყუილად იჩუქე?

— კი არ ვიჩუქე, შენ მაჩუქე!

— მე იმიტომ გაჩუქე, რომ ჩემი ცეკვის ნახვა გინდოდა!

— უყურე ერთი?! — მე თანდათან მოუსვენრობა მიპყრობდა, ვგრძნობდი უკვე საითაც მიბიძგებდა და მიმიზნებდა, და იმის მაგივრად გამოვტრიალებულიყავი და წამოვსულიყავი, ვიდექი მონუსხულივით და ჭინკას შევყურებდი.

— ნეტავი კი რას თვალთმაქცობ! — ბრაზიანად შემომჭყივლა ჭინკამ და ზურმუხტებივით თვალები შემომაკვესა, — ვითომ არ გაგიგონია, ვისაც თევზი უნდაო! შენ ხომ! შენ თვითონ ხომ ამ ნეკნების დანახვაზე ქსილაფონი გაგახსენდა! ჰოდა, დაუკარი!!

კოვზები ცეცხლში ვისროლე. მივედი და ჯვარცმას შემოვეხვიე დამწვარ, დახეთქილ, დაწყლულებულ წვივებზე. და რა თქმა უნდა, ჭინკა რომ არა, მე ერთ წამსაც ვერ გავუძლებდი ჯვარცმულის მჭახე სიმყრალეს.

— გეყოფა, გეყოფა! ვიცი რომ ჩვილი გული გაქვს! მოიხედე აქეთ! აქეთ მოიხედე!

ჭინკა შუაგულ ცეცხლში იდგა. წითურ ბალანზე ცეცხლი ეკიდა. ცეცხლის ატეხილ ყლორტებში ზურმუხტისფერი თვალები საოცრად უელავდა. ხელში გრძელტარა კოვზები ეჭირა. თხის რქისაგან ნათალი კოვზები შავად ბრწყინავდნენ.

— აკი თუ ბალანი არ გეწვოდა, ჭინკა?

— აი, ყოჩაღ! საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ გაკვირვების უნარს არასდროს არ ჰკარგავ! არც მეწვება! მიყურე?!

ისკუპა შუაგულ ცეცხლიდან და პირდაპირ ჩემს წინ დახტა. მწითური ბალანი შეტრუსულიც არ ჰქონდა.

— არა, გამოტეხილად თქვი, შენ ხომ ყველაზე მეტად საკრავები გაინტერესებს და გაკვირვებს, არა? ხომ მართალს გეუბნები?!

— რაც მართალია, მართალია, საკრავი ყველაზე ძალიან მაინტერესებს...

— ამ ნეკნების დანახვაზე ხომ საკრავი გაგახსენდა, არა?

— მერე ადამიანი საკრავია, შე სულელო, თანაც ჯვარზე გაკრული ადამიანი?

— მაშ! აი, ნახავ! დაიჭი, დაიჭი ეს კოვზები!? — ძალად ჩამიდო ხელში კოვზები. მაჯაზე მარნუხივით თითები შემომაჭდო, აიღო და ჯვარცმულ კაცს ნეკნზე დაჰკრა.

— რაკ! — გაირაკუნა ნეკნმა. მაგრამ ეს არ იყო უბრალო გარაკუნება! ეს იყო მუსიკალური ბგერა! ეს იყო საკრავის ხმა! ბგერას სიმაღლე ჰქონდა, გრძლიობაც, ტემბრიც! ბგერა ყურში მედგა და მოსვენებას არ მაძლევდა. მინდოდა გამომეცნო რომელი საკრავის ხმას მაგონებდა... რომელიღაც ხის თუ ლითონის საკრავის ხმას...

— გინდა გამოიცნო არა, რომელი საკრავის ხმას გაგონებს? — თანაგრძნობით შემეკითხა ჭინკა.

— ჰო, ჰა, საკრავის ხმაა...

— აი, ხომ გეუბნებოდი საკრავია-მეთქი! — ჭინკას კილოში თავმოწონება იგრძნობოდა.

შევყურებდი ჯვარცმას და ვფიქრობდი: ნეტავ რა ბგერა იყო-მეთქი.

ჭინკა მიმიხვდა:

— აბა, თუ გამოიცნობ რა ბგერა იყო! შენ ხომ კარგი სმენა

გაქვს!

ჩემდაუნებურად მესიამოვნა ჭინკამ სმენა რომ შემიქო.

— აბა... ერთხელაც... დავკრათ და... გამოვიცნობ... ჩუმად ჩავილაპარაკე.

— რაკ! — ისევ გაირაკუნა ნეკნზე რქის კოვზმა.

— დოა, დო, პირველი ოქტავის დო...

გაოგნებულმა შევხედე ჯვარცმას. კოვზის პაწია ჯამივით თავი აღების დროს ეტყობა ორ ქვედა ნეკნს შუა დიდ ბებერას მოხვდა. ბებერა გასკდა და ბალღამივით სითხე გადმოიჟონა.

— თუ ღმერთი გწამს, მგლოვიარედ ნუ ჭმუხნი სახეს! — და ჭინკამ მხარზე ხელი დამკრა, — თან გულში ცნობისმოყვარეობით კვდები მეორე ბგერა რა იქნება! აბა, ჰა!!

მართლაც ვგრძნობდი როგორ მიხმობდნენ ეს ამოყრილი ნეკნები. დამეკრა კიდევ ერთხელ და გამეგო მეორე ბგერა რა იქნებოდა. მართლაც, ძალიან მაინტერესებდა გამეგო, როგორ იყო აწყობილი ეს ნეკნები.

— რაკ! — ისევ გაირაკუნა ნეკნზე რქის კოვზმა.

— თქვი რა ბგერაა?

— ნახევარი ტონით ამაღლდა, დო დიეზია, ან... ან რე ბემოლი.

და სწორედ ამ დროს, ბგერა ჯერ არც ჩამქრალიყო, რომ ყრუ ხველა გავიგონე, დაფეთებულმა შევხედე ჯვარცმულის ჩამოვარდნილ თავს.

— ახველებს? ახველებს? ჰა, ჭინკა! ახველებს! ახველებს!

მაგრამ თავი უმოძრაოდ ეკიდა, უმოძრაოდ ეკიდნენ გასიებული, დაჯირჯვებული მტევნები ხელისა. დახეთქილი, დაშაშრული ტუჩები ოდნავ ჰქონდა ღია. წინა ორი დიდი კბილი უჩანდა. დავაკვირდი. უმოძრაო, ოდნავ ღია პირიდან ბოლი ამოვიდა.

— ბოლი! ბოლი! ცოცხალია! ნამდვილად ცოცხალია!

— ცოცხალი კი არა, ისა! კარგად უყლაპია ბოლი! კოვზი რომ დავკარით, იმიტომ ამოსდის...

ისევ გაისმა ყრუ ხველა.

— ცოცხალია, ჭინკა! ახველებს, გესმის, ახველებს!

— ახველებს კი არა, მოძახილია, სხეულის მოძახილი!

— უჰ, უჰ, უჰ, დამანებე თავი!! — დავიძახე მე და კოვზები მიწაზე დავყარე.

— შენი დაძახებით მოვედი, რას ქვია თავი დაგანებო!!
— აღარ გეძახი, აღარ მინდა! არ მინდა! არა!
— გინდა! გინდა! შენც გინდა და მეც მინდა!! ორივეს გვინდა!!
— არა! არა-მეთქი! ნეტავ პაპაჩემს სულ არაფერი არ ეთქვა!
— ვინძლო პაპაშენს გადააბრალო ყველაფერი!
— არავის არ ვაბრალებ, დამანებე თავი!
— ვინც ანი თქვა, იმან ბანიც უნდა თქვასო! აიღე კოვზები!
კოვზებს ფეხით შევდექი.

ჭინკამ ზურმუხტისფერი თვალები შემომაკვესა, თვალებში ნაპერწკლები ჩამაყარა, ხელები მარწუხებივით შემომხვია და ბალნით დაფარული, გახურებული ტანით მომეკრა.

— დაუკარი, გეხვეწები, დაუკარი! არ გინდა ჩემი ცეკვა ნახო? იცი, როგორი ცეკვა ვიცი. შენთვის ვიცეკვებ! ცოდოა ეს ცეცხლი დაკვრისა და ცეკვის გარეშე, ცოდოა, ცოდოა! რა არის ცარიელი ცეცხლი! აბა, რა არის ცარიელი ცეცხლი! ხომ მაგიტომ მოხვედი! ხომ მაგიტომ მომიყვანე! ისე ვერ წახვალ აქედან. ისე აქედან ვერ გაგიშვებ! აი, ნახავ! აი, ნახავ!

მეჩურჩულებოდა, მეხვეოდა, მეფერებოდა.

ცეცხლმა იძალა. ატეხილი ყლორტები თრთოდნენ და ფეთქავდნენ.

და ჭინკაც, ამ ცეცხლივით გახურებული, მეტმასნებოდა, მეკვროდა თავისი ბალნიანი ტანით და ცხელი ტუჩებით მიკოცნიდა სახეს, კისერს, ხელებს, სხეულს. ჩემს ტუჩებზე ვგრძნობდი მის ცხელ ტუჩებს და პატარა, ბასრ კბილებს.

სურვილმა ამიტანა, ხტომის, ცეკვის, დაკვრის... ჭინკასთან ყოფნის სურვილმა. იქნებ მეც მასწავლოს ცეცხლში ცეკვა! იქნებ კლდეც მაჩვენოს! იქნებ კლდის გულიც ვნახო! ვნახო ნითელთმიანი სული კლდისა, როგორ ზის ცეცხლთან ფეხმორთხმული და როგორ სთლის კოვზებს! იქნებ კლდესაც გავეკრა, გახურებულ კლდეს და ჩამოვვარდე! ღამღამობით საკირის ცეცხლში ვიცეკვო და არ დავინვა!

— კლდესაც მაჩვენებ, ჭინკა? კლდის გულსაც ვნახავ?
— ყველაფერს გაჩვენებ, ყველაფერს, ოღონდ დაუკარი!
— კლდის სულსაც ვნახავ?
— ბებიაჩემსაც ნახავ, თუნდ კოვზების გამოთლასაც გასნავ-

ლის, ოღონდ დაუკარი!

— კლდესაც ავეკვრები?

— კლდესაც ავეკვრებით!

— აკი პაპა მეუბნებოდა შეგირდებს არ ღებულობენო?!

— შენ სხვა ხარ! შენ კარგი შეგირდი იქნები! შენ ძალიან კარგი შეგირდი იქნები! აი, ნახე, ამ ნეკნებზეც როგორ დაუკრავ?! აი, ნახე, ამ ნეკნებს რა ხმას გამოაღებინებ?! რა საჭიროა ეს თვალთმაქცური ჯიუტობა, გამაგებინე, ხომ კვდები, ისე გინდა!

მართლაც, ვკვდებოდი ისე მინდოდა. მომძალებოდა სურვილი და ცნობის წადილი: მომესმინა რანაირად იყო აწყობილი ეს გაძვალტყავებული ნეკნები. მომძალებოდა სურვილი: მენახა ჭინკების ცეკვა.

კოვზებს დავწვდი. მოვიმარჯვე და ნეკნებს დავკარი.

ჭინკამ კლდისკენ გაიხედა და ძმობილებს გასჭყივლა.

რიყეში ქვები აჩხრიალდა...

ჭინკების ხროვა სკუპსკუპითა და ასკინკილით მოხტოდა ანთებული საკირისკენ.

ჭინკების წინამძღოლმა ისკუპა და შუაგულ ცეცხლში შევარდა.

ჭინკების ხროვა ჯერ გაიშალა, საკირეს რკალი დაარტყა, ერთი წრე შემოუარა, მერე კი ყველა შუა ცეცხლში აცეკვებულ წინამძღოლს მიჰყვა.

ცეცხლის ყლორტებში მწვანე ვარსკვლავებივით ელავდნენ, ციმციმებდნენ ჭინკების ზურმუხტისფერი თვალები. ჭორფლიანი, პატარა სახეები გავარვარებული სპილენძის ტაფებივით გასწითლებოდათ. ბალანზე ცეცხლი ეკიდათ. გრძელ კუდებს ცეცხლის მათრახებივით ექნევდნენ.

ცეკვავდნენ ჭინკები. კამარას ჰკრავდნენ ანთებულ ბორცვზე, ფერხულს უვლიდნენ. მე ვუკრავდი ჯვარცმულის ნეკნებზე, ყურს ვუგდებდი ამ საოცარი საკრავის ხმებს, ვხედავდი ნახევრად ღია, უმოძრაო პირიდან ამოსულ ბოლს და არ ვიცი ყრუ ხველა მესმოდა, თუ მართლა მოძახილი იყო, ჯვარცმული, გაძვალტყავებული სხეულის მოძახილი.

**1967 წელი, ოქტომბერი, თბილისი.**

# შაჰაბაზა

საკვირველია, ვინც კი ნახავდა ჩვენს დიდ წითელ მამალს, ბაღისა და ეზოს მშვენებას, ქათამთა და ვარიკათა სიამაყეს, ჩვენს შეკითხვაზე: „აბა, დაფიქრდით, ვის გაგონებთ, რომელ გვირგვინოსანს?“ თითქმის ყველა ერთსა და იმავეს ამბობდა:

— დაიცადეთ. დაიცადეთ... ჰო, შაჰაბაზს!

— აღმოსავლეთის რომელიღაც მპყრობელს... რაღა რომელიღაცას, შაჰაბაზს!

— რა თქმა უნდა, შაჰაბაზს!

დიდი იყო ჩემი და ზურიას სიხარული, ნათლიები ხომ ჩვენ ვიყავით! და ესეც რომ არა, განა ჩვენს უბანში, ან გვირაბის უბანში, ან გორიჯვარზე და თუნდ მთელ ჩვენს პატარა ქალაქში შაჰაბაზასთანა მამალი მოიძევებოდა?

ვერ გეტყვით, რად დავარქვით მაინცადმაინც შაჰაბაზა.

იქნებ იმიტომ, რომ სისხლისფერი ჯიღა ნიადაგ შემართული ჰქონდა, როგორც ნიშანი ძლევამოსილებისა, როგორც სიმბოლო მეფური ღირსებისა და მამაკაცური დაუცხრომლობისა. ან იქნებ იმიტომაც, რომ აღმოსავლეთის მპყრობელთა მსგავსად, ჩვენს მამალსაც ფარჩა-ძოწეული ემოსა და დიდი შავი ბოლო სადაფში ამოვლებულს უგავდა.

ერთხელ სიზმარში ვნახე შაჰაბაზა. უსაზღვრო იყო ჩემი სიხარული და გაოცება. ფარხმალი აესხა, ფაფარმოკლე კვიცზე გადამჯდარიყო და მოაგელვებდა. თან დეზებს გაჰკრავ-გამოჰკრავდა ხოლმე კვიცს ფერდებზე.

მე და ჩემი ძმა ზურია ხომ შაჰაბაზათი გატაცებულნი ვიყავით, სიზმარსა და სინამდვილეს ჩვენთვის ერთი ფასი ჰქონდა. ერთნაირად გვიხარებდა გულს; ამიტომაც ამის შემდეგ შაჰაბაზა მხედართმთავრად შევრაცხეთ და მისი დეზები, ისევე როგორც გვირგვინი და მეფური სამოსი, დიდ მოწონებას აღგვიძრავდა.

შაჰაბაზას სამფლობელო ჩვენი ეზო და ბაღი იყო. მას ეკუთვნოდა მწვანე ბალახი, ძირზე ნაცარნაყრილი ლეღვები, რხეული ალუბლები და ნაირ-ნაირი ჯიშის ვაშლები. მას ეკუთვნოდა აგრეთვე ზამთარგამოვლილი, დამპალი თივის ზვინი ეზოს ბოლოში და, რაც მთავარია, რაც შნოსა და ლაზათს სდებდა მის არ-

სებობას და ურომლისოდაც შაჰაბაზა აღარ იქნებოდა შაჰაბაზა — საკუთარი მრევლი და ჰარამხანა: შვიდი რჩეული დედალი.

იქნებ იცოტაოთ, იქნებ თქვათ, რომ ჩვენი მამლის დიდი სეხნა ოცჯერ და ორმოცჯერ დიდ ჰარამხანას ფლობდა და მისი უზარმაზარი სახელმწიფოს საზღვრები შორს იყო გატყორცნილი. შაჰაბაზას ვრცელი და ხალვათი მამაკაცური გული ჰქონდა და სიყვარულის ხელოვნებასაც ზედმიწევნით ფლობდა (სიყვარული მართლაც ძალიან ჰგავს ხელოვნებას, სიყვარულიც უსაზღვროა, განუყოფელი, მრავალწახნაგოვანი და უშუალო — ხელოვნებასავით).

უყვარდა შაჰაბაზას ჩოლოყაც, ნაცარაც, ჭრელაც, ქოჩორაქოჩიაც, ფიფქია და ღაბუა, შარშანდელი ვარიკები ხომ... ყველა ისინი ხომ მშვენიერი ქალები იყვნენ, სიცოცხლითა და ჯანღონით სავსენი; ყველა ისინი ხომ უშურველი სატრფონი და უერთგულესი მეუღლენი იყვნენ შაჰაბაზასი; მათ ყველას ჰქონდათ უნარი დღისით, მზისით უსაზღვროდ ინტიმურნი ყოფილიყვნენ, და ყველა ისინი უყვარდა შაჰაბაზას გაუნელებელი, მამაკაცური სიყვარულით.

საკვირველი ის იყო, რომ შაჰაბაზას უკვე ხანში შესული ნარგიზაც უყვარდა. შაჰაბაზამ იცოდა, რომ ნარგიზა უკვე სამი თვეა, საბოლოოდ მოილია, ისიც, რომ თავი უცანცარებდა და ერთხელ ჩაკენკვით თავის დღეში სიმინდს ვერ გადაყლაპავდა. მაგრამ შაჰაბაზას მაინც არ შეუწყვეტია ნარგიზასთან ურთიერთობა და თავიც ისე ეჭირა, თითქოს ნარგიზა ძველებურად სასურველი და მიმზიდველი ყოფილიყო მისთვის. ამ იშვიათი სასიყვარულო ექსცესების შემდეგ ნარგიზა თავს უმშვენიერეს ქალად დაისახავდა ხოლმე და ცანცარის მაგივრად თავს ოდნავ, სულ ოდნავ არხევდა, თითქოს ისევ მომხიბლავი ქალწული ყოფილიყო. ეს კი მას დიდად შველოდა სიმინდის აკენკვაში ერთი ორი დღით მაინც.

აი, რა კეთილ საქმეს აკეთებდა შაჰაბაზა. აი, როგორი რაინდი იყო!

სიტყვამ მოიტანა და იმიტომ ვთქვი ნარგიზაზე, თორემ პირველ რიგში, რა თქმა უნა, ჩოლოყა უნდა დასახელებულიყო. ჩოლოყა — ჯიშიანი ნითელი დედალი, ყოველდღე კვერცხის მდებელი, სიდარბაისლითა და სიბრძნით აღსავსე მანდილოსანი.

არ მახსოვს, კვერცხის დადების შემდეგ ქოჩორა-ქოჩიასავით ისტერიკული კაკანი აეტეხოს, მაგრამ მის ქათმურ სახეზე ისეთი ღირსება აღიბეჭდებოდა, მისი ზვიადი მიხრა-მოხრა ისე აშკარად მიუთითებდა მაღლით დაკისრებული მოვალეობის პირნათლად მოხდაზე, რომ მოჰკრავდა თუ არა ბებია თვალს ლეღვის ქვეშ ნაცარში განცხრომით ჩაყუჩებულ ჩოლოყას, გამოგვძახებდა: — სად ხართ, ბავშვებო, რას აკეთებთ, წადით, ჩოლოყამ კვერცხი დადო და მოიტანეთო.

ნეტავი ოდნავ მაინც ჰგვანებოდა სიდარბაისლითა და სერიოზულობით ჩოლოყას ქოჩორა-ქოჩია. მისი კვერცხის დადება ქვეყანას უნდა გაეგო.

ქოჩორა-ქოჩიასათვის ბუნებას თვალებამდე ჩამოფხატული ქოჩორი მიემადლებინა. შავგვრემანი იყო ქოჩია, ქოჩორიც შავად უბზინავდა. ეს დედალი ბებიამ სოფლიდან გადმოიყვანა და ქათმები სანამ მიეჩვეოდნენ, სულ ქოჩორში სცემდნენ და უნისკარტებდნენ. დიდ შურსა და ბრაზს აღუძრავდათ ქოჩიას შავი ქოჩორი.

ეს დედალი კარგა ხანი იყო, ჩვენთან ცხოვრობდა, მაგრამ სოფლიდან ჩამოყვანილი — სოფლელივე დარჩა. მას ბუნების ყველაზე დიდ საკვირველებად კვერცხის დადება მიაჩნდა. მიაჩნდა, მიაჩნდა, არც არავინ ცდილობდა მის გადარწმუნებას, მაგრამ ეს გამაყრუებელი, ისტერიკული კაკანი რაღა იყო!

შაჰაბაზა მაშინვე გაენთებოდა საქათმისკენ და ყოველთვის ერთსა და იმავე სურათს წააწყდებოდა: ურბენდა გარშემო საბუდარს ქოჩია და გადაბრჯნილი კაკანებდა. ზოგჯერ რაღაც ძალა შეაჩერებდა: ჩაჰყოფდა საბუდარში ნისკარტს და კვერცხს გაუსვ-გამოუსვამდა:

— საოცრება, საკვირველება!!! კვერცხი, უყურეთ კვერცხი! ეს მე დავდე, გეფიცებით, ნამდვილად მე! მოინდომეთ და ყოველი კვერცხი ქულა ნიწილას გამოჩეკავს! ამაზე საოცარი კიდევ შეიძლება რამე იყოს?!

შაჰაბაზა ფრთებს გაშლიდა, მოხვევდა ქოჩიას და ძლივს დააცოვებინებდა საბუდარს. მაინც კი ეს სოფლელი, აღტაცებული ქალბატონი მხარუკულმა ისევ საქათმეს გაჰყურებდა.

ჭრელა და ნაცარა ერთმანეთს გადახედავდნენ.

— რა მოხდა ბოლოს-ბოლოს! ეგეთ კვერცხებს კი ვდებთ,

რომ ქვეყანას არ ჩამოვიცვამთ ხოლმე! აი, უმშვენიერესი ღაბუა და უნაზესი ფიფქია, ისე ჩუმად დადეს პირველი კვერცხი, პირველი! ეს ხუმრობა საქმე ნამდვილად არ არის, მაგრამ ხმა კი არ ამოუღიათ?!

რა იცოდნენ ჭრელამ და ნაცარამ, რომ ფიფქია და ღაბუა თანამედროვე ქალები იყვნენ და ბუნების საოცრებათა წინაშე ასე იოლად წარბს არ შეიხრიდნენ.

ჭრელას იმიტომაც არ მოსწონდა ეს გამაყრუებელი კაკანი კვერცხისა და წიწილების გამო, რომ თავის წარსულს აგონებდა. ჭრელამ ხომ ერთ ზაფხულს დედობა მოინდომა და თავიც გადაიკლა. რაღას არ აკეთებდა ბებია: დღეში ორჯერ მაინც ცივ წყალში აბანავებდა, რომ დედობისადმი მხურვალე მისწრაფება გაენელებინა. გოდორქვეშაც, ვინ იცის, რამდენჯერ ამოსვა, მაგრამ არაფერმა არ გაჭრა. ძალს ბებია იყო, ძალს — ჭრელა, და საბოლოოდ მაინც გამარჯვება სიცოცხლისა და გამრავლების ცხოველმყოფელ ძალას დარჩა: ჩვენმა ჭრელამ ფუნჩულა ქულა წიწილები დაჩეკა. მაგრამ, ალბათ, იმიტომ, რომ ძნელად მიაღწია დედობას, დიდი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა და დიდი ენერგიაც წინასწარვე დაეხარჯა, — ჩვენს კრუხს საფანელი ბოლომდე არ ეყო და წიწილებზე მალე აიყარა გული. ახალფრთაშესხმულებს გაანება თავი. საცოდავად დანივწივებდნენ პაწიები. ბებია, რაღა თქმა უნდა, საქმეში ენერგიულად ჩაერია. პალოც მოიშველია, შეგონებაც, მაგრამ, როგორც დასაწყისში, ახლაც არაფერმა გაჭრა. ბებიას ავიწყდებოდა, რომ როგორც ყველა ცოცხალ არსებას, ჭრელასაც ვნებები ამოძრავებდა და მორალის კითხვა და უდაბნოსა შინა ღაღადი ერთი იყო.

იმ დროს შაჰაბაზამ ნამდვილი ადამიანობა გამოიჩინა, წიწილები უპატრონოდ არ დაყარა და თვითონ დაუდიოდა, სანამ ბებიდას სოფელში არ გავუგზავნეთ.

აი, ამის გამო იყო, ქოჩიას კაკანზე ჭრელა რომ აიმრიზებოდა ხოლმე.

მაგრამ მაინც კი ქოჩიას კაკანი ყველაზე მეტად გულს უკლავდა და შეურაცხყოფდა ნარგიზას. ნარგიზა მოუხშირებდა სკლეროზიანი თავის ცანცარს.

— ღმერთო ჩემო, ათასი კვერცხი მაქვს დადებული, ათასი! თუ ოდესმე ჩემი კვერცხის დებით ვინმე შემიწუხებია! ეჰ, რა

ვუთხრა ბუნების უკულმართობას!

ღვაწლმოსილ ნარგიზას ასეთი მოკრძალება ჩვენ, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დაგვრჩენია.

ამის გამო ზურიამ ბრძანება დაწერა. ბრძანებაში ნათქვამი იყო: „ნარგიზამ მოგვცა ხუთი ნლის განმავლობაში ათასი კვერცხი. რადგანაც: 1) მან გეგმა შეასრულა უსაზღვრო გადაჭარბებით, 2) ჩვენ, პატრონებმა, მეტი კვერცხის დადებით დაინტერესებულებმა, ნარგიზას ჩავუხშეთ დედობრივი გრძნობები და ის არც ერთხელ კრუხად არ დაგვისვამს — დავუნიშნოთ პენსია: დღეში სამი მუჭა სიმინდის რაოდენობით და მივცეთ უფლება ბუნებრივი სიკვდილით აღსრულებისა, რომ მის ბებერ კისერს არ შეეხოს არც დანა, არც ნაჯახი და არც სხვა რამ იარაღი".

ზურიამ საშლელზე ჯიბის დანით რაღაც სიტყვები ამოჭრა, მელანი წაუსვა და ბრძანებას ბეჭედივით დაასვა. მერე სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა მინისტრს — ბებიას ხელი მოანერინა და საქათმის კარზე ჩამოკიდა. ყველაფერი ცხადი იყო.

საქათმე ეზოს ბოლოს ფარდულში იყო წნელით მოღობილი და ყავარგადახურული.

დიდი ფარდული მაღალი სვეტებით სამად იყოფოდა. შუაში სათონე გვქონდა. სათონის ერთ მხარეს საქათმე იყო და დანარჩენი დიდი ადგილი შეშის საწყობს ეკავა, მარჯვნივ ვინ იცის როდის მოტანილი კოჭები ელაგა, კედლებზე კი გამხმარ მცენარეთა ასხმულები ეკიდა და სხვა ათასი ხარახურა.

დილდილობით უნდა გენახათ, როცა ქათმები გაიღვიძებდნენ და ჩამოხტებოდნენ ქანდარიდან, შაჰაბაზა უკან მიდგებოდა, ჯერ ქათმებს გამოატარებდა, მერე თვითონ გამოვიდოდა საქათმიდან. ქათმები იქვე უცდიდნენ, შაჰაბაზაც გამოუძღვებოდა სამზარეულოსაკენ სასაუზმოდ. რა ამბით მოუდიოდა ქათმები შაჰაბაზას. გზადაგზა თან სულ ყიოდა და ყიოდა, მოვდივარ და განიო! საკენკს ბებია ჩვეულებრივად წინა ღამითვე დაყრიდა ხოლმე, სამზარეულოს წინ, აუზთან, პატარა მოედანზე. ერთი-ორჯერ მოხდა, ბებია შეუძლოდ იყო და ჩვენც წინასწარ საკენკის მომზადება დაგვაეიწყდა. საკვები რომ არ დახვდათ, შაჰაბაზა დარბაისლურად გამოემართა აივნისკენ, ამოვიდა და სასადილოს კარზე მოგვიკაკუნა. მე და ზურია ფანჯრიდან

ვუყურებდით. შაჰაბაზას სწორედ გაფიცულთა ბელადის შეუპოვრობა აღბეჭდოდა სახეზე.

ჭამის დროს შაჰაბაზა არც ერთს არ ტოვებდა უყურადღებოდ. ყველას სათითაოდ უმარჯვებდა სიმინდსა და პურის ნამცეცებს. ყველამ სხვადასხვანაირი ჭამა იცოდა. ჩოლოყა დინჯად, აუჩქარებლად და საფუძვლიანად ჭამდა. ჭრელა ჭამდა და გაჩერდებოდა, უნაზესი ფიფქია და უმშვენიერესი ღაბუა ძლივს იკიკნებოდნენ, დიდი ხვეწნა-მუდარა სჭირდებოდა შაჰაბაზას. სამაგიეროდ, ნაცარა საოცარი ღორმუცელა იყო. ვერ იქნა და ვერ ამოიყორა იმისი მუცელი. სიმინდი უკანვე სცვიოდა ნისკარტიდან და მაინც ვერ ელეოდა. არავინ კი არ იტყოდა მის ასეთ ღორმუცელობას — ძალზე გამხდარი იყო. ბებია ამბობდა, ჭამისაგან არის გალახულიო.

ჯერ საერთოდაც, შაჰაბაზა ეზოში გარეშეს არავის აჭაჭანებდა და მით უმეტეს ჭამის დროს. ვაი ხესა და ქვას, თუ ამ დროს მათ ვინმე შეეცილებოდა. არა, შეცილება რა საკადრისია, თუ ან ბებია სოფიოს, ან შამანაურიანთ ეზოდან რომელიმე თავზეხელაღებული ყვინჩილა გადმოეხეტებოდა, შაჰაბაზა სულ კუდით ქვას ასროლინებდა. ჭამის შემდეგ ზოგი მწვანე ბალახს მიაშურებდა, ზოგი დამპალ თივას, ზოგიც ნაცარწაყრილ ლეღვების ძირებს. ალბათ მათაც ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი „ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი“ და მთელი დღე იღვწოდნენ, მთელი დღე ქექავდნენ. შაჰაბაზა ხან ერთს მიაშურებდა, ხან მეორეს, თავისი ღონიერი ფეხებით გაქექ-გამოქექავდა და ხშირად, ძალიან ხშირად, ჭიაყელასაც კი ამოათრევდა ხოლმე მიწიდან.

შაჰაბაზას ვრცელი მამაკაცური გული დიდ ზრუნვასა და სიყვარულს იტევდა. მის ხელში ამ დედალთა ყოველი დღე მშვიდი და მზესავით ნათელი იყო.

ზამთრობით, როცა ქათმების უჭირდათ თოვლში სიარული, შაჰაბაზა გაშლიდა ფრთებს და ისე უკვალავდა გზას. უნდოდა შაჰაბაზას, ძალიან უნდოდა, ძალიან ერჩოდა გული, თვითეული მათგანი მხრებზე შეესვა და დაეტარებინა მთელი ბაღი, მაგრამ დიდად ტრადიციული იყო და ადათებს იოლად ვერ გადაუხვევდა.

მთელ ჩვენს პატარა ქალაქში, ურიცხვ მამალთა შორის, ჯერ

არ გამოჩენილიყო შაჰაბაზას დამმარცხებელი ფალავანი. ბებია სოფიოს პაპუნა, ოთარაანთ დიდი ყვითელი ზაალი, შამანაურიანთ შავი ოტელო, ვინ მოთვლის რამდენჯერ დასცა და შეარცხვინა. ყველა იმ უსახელო ნაცარებს, ჭრელებსა და ყელტიტველებს ხომ არ ვთვლიდით მე და ზურია.

შაჰაბაზას გარდა ყველაზე ღონიერი ფალავანი პაპუნა იყო. კაცმა რომ თქვას, იქნებ ღონით შაჰაბაზას არც ჩამოუვარდებოდა, მაგრამ მას აკლდა შაჰაბაზას მეფური ღირსება და სიდარბაისლე. ძალინ იცოდა განიწმატება და ამიტომაც ბრძოლას ყოველთვის აგებდა. შაჰაბაზა და პაპუნა ჩვეულებრივ ან აუზთან იბრძოდნენ, ან ბებია სოფიოს ეზოში ჭასთან. პაპუნა ჯერ ერთი რამდენჯერმე კალოს შემოურბენდა, მერე შორიდანვე დიდი ძალით გამოექანებოდა შაჰაბაზასკენ, რომელიც გაბოტილი, ურყევი სვეტივით იდგა და ელოდა პირველ დარტყმას. მერე გაიმართებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა: აქოჩრილები, ნისკარტმოღერებულები დაუნდობლად ეძგერებოდნენ ერთმანეთს.

ზურია ხელებს მუხლებზე დაიბჯენდა, მოიხრებოდა და შაჰაბაზას ყიჟინით ამხნევებდა. შაჰაბაზა ბრძოლაში გამძლე იყო და მოუღლელი. მაგრამ რაკი შეატყობდა პაპუნას დაღლასა და უკან დახევას, არასოდეს არ განაგრძობდა ბრძოლას. კეთილშობილი ვაჟკაცობით აღსავსე ხშირად, ძალიან ხშირად ტოვებდა ველს და მიაშურებდა თავის სამწყსოს.

მაგრამ იყო ერთი მამალი, ერთადერთი ჩვენს უბანში და მთელს ქალაქშიაც, რომელთანაც შაჰაბაზას არასოდეს არ ებრძოლა. მე და ზურიას ეს ამბავი მოსვენებას გვიკარგავდა.

ბების სოფიოს მეზობელი პატარა ეზო მოხუც ცოლ-ქმარს ეკუთვნოდა. ქმარი ძველი ოფიცერი იყო. პირველ მსოფლიო ომში ფეხი დაკარგოდა, სამხედრო სამსახურისთვის თავი დაენებებინა და სკოლაში გერმანულის მასწავლებლობა დაეწყო. ახლა უკვე პენსიაშიც გასულიყო და სახლში დაჩალიჩობდა, ცოლი კი ფორტეპიანოს გაკვეთილებს აძლევდა მეზობლის ბავშვებს. უშვილოდ გადაგდებულიყვნენ, ამიტომაც მზე და მთვარე ძაღლზე, კატაზე, ორ დედალსა და ერთ მამალზე ამოსდიოდათ. ძაღლი გახლდათ ქათქათა თეთრი შპიცი მარკიზა, აბაზანებს მიჩვეული ნებიერი არსება; კატა უზარმაზარი, ციმბირუ-

ლი იყო, სახელი კი მაინცდამაინც ფრანგული ჰქონდა, შიშეტას ეძახდნენ; მამალს კი, ჩვენი შაჰაბაზას უარმყოფელ მამალს, პეტრუჩიო ერქვა, ანუ როგორც დედობილ-მამობილი უბრტყელებდნენ, პეტუხ-პეტრუჩიო. ახოვანი მამალი იყო პეტრუჩიო. ბუმბული ვერცხლისფრად უბზინავდა, სტაფილოსფერი ჯიღა ედგა პეტრუჩიოს და ისეთი ყვითელი ფეხები ჰქონდა, თითქოს გამაშები აცვიაო. თვალები მომწვანო ჰქონდა და ასეთივე ფერის დიდი ბოლო. ჯიშიანიაო — ამბობდნენ.

მთელი ჩვენი უბანი მოხუცი ცოლ-ქმრის შპიც მარკიზას, კატა შიშეტას და პეტუხ-პეტრუჩიოს არისტოკრატებად თვლიდა. შეიძლება იმიტომ, რომ დედობილ-მამობილი არასოდეს ქართულად არ ლაპარაკობდნენ და შვილობილებიც ასე ჰყავდათ განვრთნილი. პეტუხ-პეტრუჩიოზე ოთარი ყოველთვის ამბობდა: „სისხლისღვრისადმი სწორედ არისტოკრატული ზიზღი აქვს და ამიტომაც არასოდეს არ იბრძვისო". მე მათ აზრს არ ვიზიარებდი უბრალოდ იმიტომ, რომ ჩვენს დროში სიტყვა არისტოკრატი სასაცილოდ მეჩვენება. თორემ ისე, რა თქმა უნდა, ის უაღრესი სისადავე და უაღრესი მანერულობა, რაც ყველა მათგანს გააჩნდა. და იმ საძაგელ პეტრუჩიოსაც, სწორედ მათს ნამდვილ არისტოკრატობაზე მიუთითებდა.

პეტრუჩიოს ისე ეჭირა თავი, ვერავინ ვერაფერს გაუბედავდა.

— განა არ ვიცი, რომ ერთი ხელის დაკვრით დასცემს ჩვენი შაჰაბაზა, მაგრამ ვინმეს რად უნდა ეგონოს, ეშინია და უკან იხევსო? არადა შაჰაბაზა ისეთი ვაჟკაცია, მარტო მოგების გულისთვის პირველი ბრძოლას არასდროს არ დაიწყებს! — ცხარობდა ზურია.

ერთხელ ბებიამ პეტუხ-პეტრუჩიოს დედობილთან სამურაბე ვარდის ფურცელი გამატანა. მათ პატარა მშვენიერ ბაღში სამოთახიანი კოტეჯი ედგათ. დედობილი ვერანდაზე შეზლონგში იწვა. ცალი ხელით დიდთავა კატას ეფერებოდა, მეორე მუჭიდან კი სწორედ იმ საძაგელ პეტრუჩიოს აჭმევდა, თან უყვავებდა: „ტი მოი ზოლოტოიო", — ეუბნებოდა. ვერცხლისფერი მამალი ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით კენკავდა. თითქოს სიმინდს ჭაშნიკს უსინჯავსო. მის თავის დახრაში, სიმინდის აკენკვაში ნამდვილად იგრძნობოდა არისტოკრატული გრაცია და სინატიფე. ჩემს დანახვაზე სრულიადაც არ შემკრთალა. ჩემისთანა

სტუმრები კი ენახა პეტრუჩიოს!?

მამალი ჭამას რომ მორჩა, დედობილმა კატა ფრთხილად დასვა, ვარდის ფურცლებით სავსე ფაიფურის თასი ჩამომართვა და სამზარეულოსკენ გასწია. დავიმარტოხელე პეტრუჩიო თუ არა, ერთი კარგად ვიოხე გული:

— შენ, ეე, დეგენერატო, არისტოკრატო, რატომ არ გნებავს, ჩვენ შაჰაბაზას შეება, ჰა? პირადპირ შერკინება თუ შენი ღირსებისათვის შეუფერებლად მიგაჩნია, ერთ ვერცხლისფერ ბუმბულს ვეღარ შეელევი, რომ ბებია სოფიოს რომელიმე ყვინჩილას ნისკარტით აახლო შაჰაბაზას? მაშინ ვნახავთ, რა დარჩება შენი ნატიფი მიხრა-მოხრიდან.

პეტრუჩიომ მხოლოდ ერთხელ გადმომხედა, ამოიყივლა: „как?“, მერე ბოლო მომიბრუნა, ლამაზი მწვანე ბოლო და მშვიდად გასწია დედობილისაკენ, რომელსაც თასი უკვე დაეცალა და სამზარეულოდან გამოდიოდა. ზურიას ეს რომ ვუამბე, დარდზე დარდი მოემატა. მაგრამ ტყუილად დარდობდა ზურია. ერთ მშვენიერ დღეს გავიგეთ, რაშიც იყო საქმე.

ეს ამბავი სწორედ 2 ივნისს, ზურიას დაბადების დღეს მოხდა.

შაჰაბაზა და პაპუნა ბებია სოფიოს ეზოში ჭასთან იბრძოდნენ, მთელი ჩვენი უბანი იქ იყო. შუა ბრძოლის დროს შემთხვევით თვალი მეზობელი ეზოს ღობეს გავაყოლე და რას ვხედავ: გამოუყვია პეტრუჩიოს ღობეში თავი, მწვანე თვალები უელავს, ნისკარტი მთლად დაუღია, ვერცხლისფერი ბუმბული აშლია, გაფაციცებული თვალს ადევნებს ბრძოლას, ლამის თვალებით შეჭამოს პაპუნა და შაჰაბაზა. ერთი სიტყვით, დედობილს რომ დაენახა პეტრუჩიო ასეთ არაარისტოკრატულ პოზაში, ნამდვილად გული შეუწუხდებოდა.

ზურიას ვანიშნე პეტრუჩიოზე, მაგრამ შემამჩნია, მაშინვე თავი გაყო, ისევ გულგრილი და ზვიადი სახე მიიღო, გატრიალდა და წავიდა. მაგრამ უკვე გვიან იყო. ამიერიდან ვიცოდით, რომ გული ძალიანაც ერჩოდა პეტრუჩიოს, მაგრამ საკუთარი თავის იმედი არ ჰქონდა და არისტოკრატობას ეფარებოდა.

უსაზღვრო იყო ზურიას სიხარული. შინ მივედით თუ არა, ზურიამ შაურიანი აიღო, კარგად გააბრტყელა, მერე ლურსმნით გახვრიტა, გაუყარა წვრილი მავთული და შაჰაბაზას კისერზე სწორედ მკერდთან ჩამოჰკიდა.

— ამ დიდი ოქროს მედლით გაჯილდოვებს შენ, როგორც ჭეშმარიტ გვირგვინოსანს და დაუცხრომელ ფალავანს, არა მარტო ჩვენი ნადიკვრის უბანი, არამედ გვირაბი და გორიჯვარიც, დაბახნებით და ძველი გალავანიც! — ესა და მრავალი სხვა აღზევებული სიტყვა უთხრა ზურიამ შაჰაბაზას.

საღამოს კიდევ სხვა სიხარული გველოდა. დაბადების დღის მოსალოცად სოფლიდან საჩუქრებით დატვირთული ბებიდა გადმოვიდა. მკლავზე ბებიდას ხავერდის მოქარგული მომცრო ხურჯინი გადაეკიდა, მეორე ხელში კი თეთრი ყვინჩილა ეჭირა.

— მინდოდა, დაკლული წამომელო სატაბაკედ, მაგრამ თითქოს იგრძნოო, მთელი დღე სათოფედ აღარ მომეკარა. მერე რის ტყუებით ძლივს დავიჭირე, დაკვლაც კი ვერ მოვასწარი. არა უშავს, ხელად გააგდებინე თავი და შეგიბრანავთ, გენაცვალოთ ბებიდა.

ზურიამ ყვინჩილა ჩამოართვა ბებიდას. გზაში დაღლილი ყვინჩილა ისეთი დაოსებული და საცოდავი ჩანდა, თანაც ისეთი ლამაზი იყო, გადავწყვიტეთ, ამ დიდებულ დღეს სისხლი არ დაგვეღვარა. ზურიამ ფეხები გაუხსნა, წაიყვანა და დაბუდებულ ქათმებთან და შაჰაბაზასთან ქანდარაზე შესვა.

დილით რომ გაიღვიძეს, ქათმებმა და ქანდარაზე აბუზული პატარა ყვინჩილა შენიშნეს, მაშინვე აიბუეს, ნისკარტზე დაისვეს და დაცინვა დაუწყეს. შაჰაბაზა შეხვდა მხოლოდ რიგითა და წესით, როგორც მასპინძელს ეკადრება. მაშინვე მიხვდა, რომ ეს ყვინჩილა „უცხო“ არ იყო. ბებია სოფიოსი, შამანაურების, ოთარაანთი და მთელი ჩვენი უბნის ყვინჩილები შაჰაბაზას არ ესწავლებოდა, და რადგანაც ეს პატარა ყვინჩილა შინაური სტუმარი უნდა ყოფილიყო, მასპინძლობაც კარგი გამოიჩინა შაჰაბაზამ. ჭამის დროს საკენკს უმარჯვებდა, მფარველობდა, ქათამთა შემოტევისაგან იცავდა.

ასე დაიწყო თეთრი ყვინჩილას ცხოვრება ჩვენს ეზოში. ძალიან კარგი თვისებებიც აღმოაჩნდა: მოკრძალებული, მორიდებული, ყველას თვალწარბში შემყურე. შაჰაბაზას ხომ განსაკუთრებით შეეთვისა. შვილობილივით სულ უკან დასდევდა. ლუკმას თვითონ არ შეჭამდა და შაჰაბაზას მიურბენინებდა. შაჰაბაზაც ასწავლიდა ცხოვრების რიგსა და წესს. ბრძოლებში სულ თან დაჰყავდა, რომ ყვინჩილას სცოდნოდა, რა და როგორ ხდება.

მაგრამ საკვირველი ის იყო, იზრდებოდა ყვინჩილა, აი, უკვე ლამის მშვენიერი თეთრი მამალი დადგა, ჯიღა დაიყენა, ბუმბული დაიწმინდა, დეზები მოუშვა და ხმას კი არ იღებდა, არ ყიოდა. ჯერ არავის არ გაგვეგონა მისი ყივილი. ჩვენ ამას შაჰბაზასადმი დიდი სიყვარულით ვხსნიდით არ უნდა, მეგობარს მეტოქეობა გაუწიოსო.

ასე გავიდა ზამთარი და მოვიდა გაზაფხული.

სასიამოვნო დღე იდგა. ყველანი აივანზე გამოვიშალეთ. ბებია სამზარეულოს კედელთან მყუდროზე მზეს მიეფიცხა და ქაღალდის გაშლა დაიწყო, დედა ჩალის მონწულ სავარძელში ჩაჯდა და ნიგნი გადაშალა, ზურია კიბის საფეხურზე ჩამომჯდარიყო და ჩილიკა ჯოხს თლიდა, მე კი, მოაჯირზე დაყრდნობილი, ბაღს გავყურებდი. ქათმები არ ჩანდნენ, ალბათ შაჰბაზამ სადმე მყუდროზე დააბუდა. მაგრამ შორს, ბაღში, თეთრად რაღაც მოძრაობდა. ჰო, ეს თეთრი მამალი იყო. არ ვიცი რატომ და დღეს მთელი დღე ქათმებსაცა და შაჰბაზასაც გაუნაპირდა. გუშინაც კი შევნიშნე ამრეზა და გულის აცრუებასავით რაღაც. მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. ახლა კი თეთრი მამალი მოუსვენრად გადი-გამოდიოდა ხეივნის ქვეშ, თან თვალები ჩვენკენ აწყდებოდა, თითქოს რაღაც ჰქონდა გადასაწყვეტი და ვერ გადაეწყვიტა. მერე, როგორც იყო, გაბედა და პირდაპირ ჩვენკენ გამოიხედა, შეფრინდა აუზზე და დიდებული ხავერდოვანი ბარიტონით ყიყლიყოო, დაიყივლა. ბებიამ ქაღალდს თავი დაანება, დედამ წიგნი გადადო, ზურიას ჩილიკა ჯოხი ხელიდან გაუვარდა.

დიახ, ეს სწორედ თეთრი მამალი იყო. რომ უფრო მეტად დავერწმუნებინეთ, აუზიდან ჩამოფრინდა, აივნისაკენ გამოსწია, სწორედ ჩვენს ცხვირწინ მოაჯირზე შეფრინდა და სამჯერ ზედიზედ დაიყივლა, თან უკანასკნელ ყიყლიყოზე ისეთი ფერ-მატო გაჭიმა, ოპერის ბევრ მომღერალს შეშურდებოდა.

— ეს მამალი სხვანაირად მოყივის, — დაიწყო ბებიამ, — ეს უეცარი გამხსნილება, იცოდეთ, უბრალოდ არ ჩათვალოთ. ამას გულში სხვა უდევს.

დედა ბებიას არ დაეთანხმა: ეს მხოლოდ თეთრი მამლის უზომო სიამაყესა და თავმოყვარეობაზე მიუთითებს. სანამ არ დარწმუნდა, რომ უხრინწოდ დაიყივლებდა, არ მოისურვაო.

მაგრამ თეთრმა მამალმა რაკი მოისურვა და გაიხსნილა, ნერტილი ველარ დასვა. მოაჯირიდან ჩამოხტა, გაიქცა და ლელვზე შეფრინდა, ლელვიდან ხეივანზე გადავიდა. თან ყიოდა. მინაზე ჩამოხტებოდა — ხმას არ იღებდა, შეფრინდებოდა რამეზე და დაიწყებდა ყივილს.

— სახელი უნდა გამოვუძებნოთ; მისი მშვენიერი ხავერდოვანი ბარიტონი ნამდვილად იმსახურებს კარგ სახელს, — და დედამ წიგნი საბოლოოდ დაკეცა.

— ორი ჯამბაზი ერთ თოკზე ვერ ითამაშებს, — და ბებიამ ქაღალდი მოკრიფა, აურია და ბუდეში ჩაალაგა.

— მაშ რა ვიღონოთ?

— ან უნდა დავკლათ, ან გავაჩუქოთ!

— დავკლათო?! როგორ თუ დავკლათ! — და ზურიამ კინაღამ ტირილი დაიწყო. — არც გავაჩუქოთ, არც დავკლათ.

— კარგი, გენაცვალოს ბებია, ოღონდ შენს თვალებზე ნუ ვნახავ კურცხალს და მთელი ქვეყნის მამლებსაც დასდგომიათ თვალი: თუ გინდა, მე თვითონ შევურჩევ სახელსაც და გვარსაც.

გადავწყვიტეთ, ყველას ჩვენ-ჩვენი კანდიდატურა წამოგვეყენებინა.

ზურიამ „ჩინგიზ-ხანი" დაასახელა.

მე — როსტომი, მაგრამ ბებიამ ისე გადმომიბრიალა თავალები, რომ მაშინვე ენაზე ვიკბინე; სულ დამავიწყდა, ბებიას ბავშვობაში შვიდი წლის ძმა რომ მოუკვდა, სწორედ როსტომი რქმეოდა.

დედას კანდიდატურა ბათუ იყო.

ჯერი ბებიაზე მოდგა. მან ჩაახველა, ძლევამოსილად გადმოგვხედა და: — მე მამუჩას ვარქმევო!

მამალი მამუჩა! ყველას მოგვეწონა. ზურია ეზოში ჩავიდა, განგებ არ გაუხედია თეთრი მამლისკენ, ისე დაიძახა „მამუჩა". თეთრი მამალი მაშინვე მიხვდა, რომ ეს დიდებული სახელი მას ეკუთვნოდა და ზურიასაკენ გამოფარფატდა. ამ მშვენიერი სახელის ასე სწრაფად შეფერება სრულებითაც არ მომეწონა. ამ შეფერებაში გამოჩნდა თეთრი მამლის მდარე გემოვნება, ყოყლოჩინობა და აგრეთვე მეტიჩრობაც.

აივანზე დიდხანს აღარ გავჩერებულვართ. დედა თავის ავადმყოფებთან წავიდა, ზურია — ჩილიკაობის სათამაშოდ, მე და

ბებია კი ქალალდს მივუსხედით.

მეორე დილით ადრე ზურიამ დამაფეთიანა. ფარდულიდან დედა გვეძახის, ჩქარა ადექითო — და თვითონ აღარ მოუცდია, ისე გავარდა. ფიცხლად წამოვხტი, ღამის პერანგზე ხალათი მოვიცვი და ფარდულისაკენ გავქანდი. დედა საქათმის კართან იდგა. შორიდან დავუძახე, რა ამბავია-მეთქი.

— საქათმეში სრული გადატრიალება! — და დედამ კარი კირთამდე გამოაღო.

გულით ვისურვებდი, ასეთი რამ აღარასოდეს მენახა.

ჯილაჩამოხეული, ბოლოდაგლეჯილი, დამარცხებული შაჰაბაზა ბნელ კუთხეში, საქათმის ყველაზე ბნელ კუთხეში მიყუჟულიყო და აღარ იცოდა, სად დაემალა გასისხლიანებული თავ-კისერი, სად დაემალა ბოლოში დარჩენილი ერთადერთი ბუმბული, რომელიც ისე სასაცილოდ და საცოდავად გამოიყურებოდა, თითქოს განგებ ჩაურჭვია ვილასაცო. აღარ იცოდა, სად წაელო ოქროს მედალი, შერცხვენილ მკერდს რომ უწვავდა.

ეს რა უბედურება მოსვლოდა, ეს რა ღვთის რისხვა დასტყდომოდა. დარწმუნებული ვარ, შაჰაბაზა სიზმარში პაპუნას ხედავდა: ვითომ პაპუნას ბებია სოფიოსთვის მახათი მოეპარა, ნისკარტში გაერჭო, მოხტომოდა შაჰაბაზას და უწყალოდ ჩხვლეტდა. კვნესის შაჰაბაზა, უნდა ფრთა გაიქნიოს და ვერ მოუხერხებია. და როცა გამოფხიზლდა, გვიან იყო! სამეფო პატივი უკვე აყრილი ჰქონდა: ჯილა ჩამოხეული და ბოლო დაგლეჯილი.

მაგრამ დედლები, დედლები ერთი ხელისდაკვრით ამოსდგომოდნენ მამუჩას, ერთი ხელის დაკვრით ედრიკათ ზურგი შაჰაბაზასათვის.

ჩვენ განზე დავდექით. მამუჩამ თავისი ამალით დატოვა საქათმე.

მე და ზურია ჭირისუფალსაც მივუსამძიმრებდით, დავრდომილსაც ვანუგეშებდით, მაგრამ დამარცხებულ და შეურაცხყოფილ კაცს თვალს ვერ გავუსწორებდით. ამიტომაც უჩუმარი პირით გამოვტრიალდით და წამოვედით. გულზე კი ორივეს ცეცხლი გვეკიდებოდა.

იმ საზარელი დილის შემდეგ შაჰაბაზა გაუჩინარდა. მთელი სამი-ოთხი დღე აღარ გამოჩენილა. სად არ ვძებნეთ, მთელი ეზოები დავიარეთ, მაგრამ მის კვალს ვერ მივაგენით. ბოლოს

ისევ ზურიამ იპოვა. ფარდულში, სადაც ხის მასალა და ხარახურა ელაგა, სწორედ იქ დამალულიყო. კოჭებქვეშ შემძვრალიყო. ბოლოში დარჩენილმა ერთადერთმა ბუმბულმა გასცა.

ზურიამ იქვე კოჭებთან სიმინდი დაუყარა. იმავე საღამოს საკენკი აკენკილი დაგვხვდა. ფარდულის კუთხეში ზურიამ ქანდარა მოუწყო შაჰაბაზას. ის უკვე ქანდარაზე ჯდებოდა და ფარდულიდანაც ნელ-ნელა დაიწყო ბაღში გამოსვლა. თუმც რა ბაღში, მხოლოდ გალავნის ძირს ჩაუყვებოდა ხოლმე. დავინახავდი თავჩაქინდრულ, ბოლოდაგლეჯილ, ოქროსმედლიან შაჰაბაზას და გული შემეკუმშებოდა; მივუახლოვდებოდი, დავუყვავებდი:

— გამაგრდი, ამათ გულისად ნუ გახდები. დამერნმუნე, მეფობის გარდა ქვეყნად ბევრი სიხარულია. ნუ გეშინია, შაჰაბაზა, ჩვენო შაჰაბაზა!

თავის სახელს რომ გაიგონებდა, შაჰაბაზა ისე გადმომხედავდა, თითქოს ამბობსო: „ყოფილ შაჰაბაზას თუ კითხულობთ, აი, აქა ვარო“.

არ გასულა დიდი ხანი. ერთ მზიან დღეს გამოვიდა შაჰაბაზა თავის გალავანთან. ჩაყოლებაზე ნამყენი ხეხილი იდგა: ალუბლები, ორი ძირი ვაშლი და ერთიც ვაზი. ალუბლებსა და ვაშლებს საყვავილე კვირტები გამოეტანა. ვაზი კი, ახლად გასხლული ვაზი ტიროდა. საკვირველია, წინათ არასოდეს არ შეუმჩნევია შაჰაბაზას ვაზის ტირილი. ახლა კი უყურა, უყურა და თვითონაც თვალები ცრემლით აევსო; მერე იქვე გალავნის ძირას მყუდროზე ჩაიკეცა, ალუბლებსა და ვაშლებს გახედა და შვება იგრძნო. რა ლამაზი ბაღი ყოფილაო, გაიფიქრა.

ახლა შაჰაბაზას ბევრი დრო ჰქონდა. მოვალეობათაგან სრულიად თავისუფალი იყო. მიწასაც კი აღარ ქექავდა. უყურებდა, როგორ იქექებოდნენ ქათმები მთელი დღე ჩვენს ეზოში, ბებია სოფიოს ეზოში, შამანაურიანთ ეზოში და ყველგან, ალბათ, მთელი დედამიწის ზურგზე. უკვირდა შაჰაბაზას. — სხვები არ ვიციო, — ფიქრობდა, — და ჩვენი პატრონები გულუხვნი არიან, მათ ჩვენთვის ნაირ-ნაირი საკენკი არ მოუკლიათ, მაშ რად ვიქექებოდი მთელი დღე, რად იქექებიან მთელი დღე ეს დედლები, ნამდვილად მათ სხვა არაფერი აინტერესებთო!

როგორც წინათ შაჰაბაზა, ახლა მათ მამუჩა დაჰკურკურებდა და უმარჯვებდა ჭიაღუასა და დამპალ მარცვლებს. მამუ-

ჩას იმ დილის შემდეგ შაჰაბაზაზე აღარ გაუნევია. პირიქით, გალავნისაკენ არც თვითონ მიდიოდა არც ქათმები მიჰყავდა. დიდი ბედი ეწვია მამუჩას: დამარცხებული მეტოქის თვალწინ ლაღობდა, ამ დიდ სიხარულსა და სიამოვნებას არც არასოდეს მოიკლებდა. ქათამთა ხასიათში კი არაფერი შეცვლილა. ისევე იყვნენ სავსენი სიყვარულითა და ვნებით, ისეთივე მოწიწებასა და ერთგულებას იჩენდნენ, როგორც შაჰაბაზას დროს. შეიძლება მეტად აღინთნენ ტრფობით, რადგან, ჯერ ერთი, მამუჩა ახალი ხილი იყო და, მეორეც, ეს ვაჟბატონი ნარგიზას ჩირადაც არ აგდებდა, რითაც დიდად აამებდა თავის ქალბატონებს. ნარგიზა არ დაბნეულა, მან თავი კრუხად დაისახა (ახალგაზრდობის ოცნება სიბერეში განიხორციელა), მთელი დღეები თავის ცანცარით უკან დასდევდა დედლებსა და მამუჩას და კუტკუტით გულს უსიებდა. მაინც ჭკვიანი იყო ნარგიზა: ახალ-ახალ უბედურებას გასანთლული ისარივით აისხლეტავდა ხოლმე.

ხედავდა შაჰაბაზა ქათამთა საქციელს, ხედავდა აგრეთვე მამუჩასაც: შემთხვევით თუ უცხო ქათამი გადმოვიდოდა, როგორც წინათ შაჰაბაზა, ახლა მამუჩა კეთილს არ დააყრიდა, სანამ არ განდევნიდა თავისი სამფლობელოდან.

ღრმად შეურაცხყოფდა შაჰაბაზას მამუჩას ასეთი საქციელი, თვითონაც ხომ სწორედ ასე იქცეოდა ხოლმე.

„რა შავ დღეს ვაყრიდი მეც მეზობლის ქათმებს, როცა ისინი შემთხვევით გადმოვიდოდნენ ჩვენკენ და მიეტანებოდნენ ჩვენს საკენკს. რას მიშლიდნენ, საკენკი ხომ ყოველთვის სამყოფი იყო, ეკენკათ და ეკენკათ. ეს ალბათ, უფლებამოყვარეობით მომდიოდა. რაკი მეფე ვიყავი, უნდა მცოდნოდა, უთუოდ უნდა მცოდნოდა უცხო და შინაური".

ახლა კი, ახლა რა სასაცილოდ ეჩვენებოდა შაჰაბაზას ყოველივე ეს. ახლა გახსნილიყო მისთვის ხელმოცარულთა ჭეშმარიტი თავშესაფარი: სიბრძნე და მარტოობა.

ახლა მთელ დღეებს გალავნის ძირას მყუდროზე ატარებდა. შეჰყურებდა რჩეულ ალუბლებს და ვაშლებს და ტკბებოდა მათი სიახლოვით. მაინც კი შაჰაბაზასთვის ყველაზე საოცარი მზე იყო, დიდი ოქროს მამალი. მზეს მიჰქონდა მასთან სიბრძნე და სინათლე. თვალები უნითლდებოდა სირცხვილით შაჰაბაზას, როცა წარმოიდგენდა, რომ თავი ყველაზე მშვენიერი ეგონა.

— შენ მომიტევე მე, დიდო მეუფევ, — მიმართავდა მზეს შაჰაბაზა, — შენ ყოფილხარ თურმე ულამაზესი მამალთა შორის, უძლიერესი ჯიღოსანთა და დეზებიანთა შორის, უუხვესი მეფეთა შორის! მე მესმის შენი ძალუმი ყიჟინა და მოძახილი, დიდო ოქროს მამალო!

მაგრამ როცა დაიბუდებდა ოქროს მამალი და ბინდი შემოადგებოდა რჩეულ ალუბლებს, გაპენტილ ვაშლებს, როცა ბაღში ღამე ჩამოწვებოდა და ფარდულსაც სიბნელე მიებჯინებოდა, მაშინ აბორგდებოდა შაჰაბაზა თავის ქანდარაზე, მაშინ აგიზგიზდებოდა მის გულში შურისძიების ცეცხლი და გუგუნი გაჰქონდა დაცემული მეფისა და მიტოვებული მიჯნურის დაუოკებელ ვნებებს. ზოგჯერ ვეღარ გაუძლებდა ბორგვას, ჩამოხტებოდა ქანდარიდან და საქათმისკენ გასწევდა. ნაბიჯებს ფრთხილად დგამდა, თან აქეთ-იქით იყურებოდა, რომ არავის დაენახა და არავის გაეგო.

წარმოიდგენდა განა ოდესმე, რომ საკუთარ სასახლესა და სამყოფლოს, სადაც ახლა უნეტარესი ძილით ეძინათ მის ყოფილ მეუღლეთ, საცოდავად გამიჯნურებულ ყვინჩილას მოკრძალებითა და სიფრთხილით მიეახლებოდა, ნისკარტს ჩუმად მიაბჯენდა კარს, გახურებულ ფრთებს გაშლიდა და მოწნულ კედლებს შემოხვევდა? განა წარმოიდგენდა ოდესმე, რომ მის ამაყ მეფურ თვალთაგან ჩამონადენი ცრემლი საკუთარი სასახლის გადაკეტილი კარის წინ გუბეს დააყენებდა?

შაჰაბაზას შეეძლო, ნამდვილად შეეძლო, თავს დასხმოდა მამუჩას ღამით და კუდით ქვა ესროლინებინა. მაშინ დედლები სწორედ ისევე გადმოვიდოდნენ მის მხარეზე, როგორც იმ საზარელ დილას მამუჩასაკენ, მაგრამ შორს იყო შაჰაბაზა მუხანათობისაგან, ძალიან შორს; თანაც იცოდა, რომ გატეხილი პური არ გამთელდებოდა. ხვდებოდა შაჰაბაზა (მარტოობამ ბევრი რამ ასწავლა), რომ ეს ღამის გრძნობები იყო — უპერსპექტივო, მოსანელებელი გრძნობები, მაგრამ მაინც მთავარი ის არის, რომ იყო ქვეყნად დიდი ოქროს მამალი, რომელიც, აი, სულ ცოტა ხნის შემდეგ ამობრძანდებოდა. მდელოს მწვანედ ააფერადებდა, ვაშლს თეთრად გადაპენტავდა, სიბრძნესა და სილამაზეს მოუტანდა შაჰაბაზას. ხვდებოდა შაჰაბაზა, გუმანით ხვდებოდა, რომ მეფობას ვეღარასოდეს შეძლებდა... ფრთებს

კეცავდა და უბრუნდებოდა თავის ქანდარას.

თანდათან სულ უფრო მეტად და მეტად დამშვიდდა შაჰაბაზა. ღამღამობით საქათმესთან აღარ მიდიოდა და თუ მის თვალებს კვლავინდებურად ძილი არ ეკარებოდა, და თუ კვლავ წარსული აგონდებოდა, ამას თავის მშვენიერ მახსოვრობას აბრალებდა და ფიქრობდა, რომ ყოფილ მიჯნურთა მიმართ გული გაუყუჩდა.

მოუთმენლად ელოდა გათენებას. ირიჟრაჟებდა თუ არა, მაშინვე ჩამოხტებოდა ქანდარიდან, იქვე დაყრილ სიმინდს აკენკავდა და გალავნის გასწვრივ მდელოს მიაშურებდა.

ვაზის კვირტები ფარჩასავით ნაზ ფოთლებად გაიხსნა, ბებია სოფიოს ეზოში ხავერდის ვარდები გაიშალა. შეფრინდებოდა გალავანზე შაჰაბაზა და შორიდან უჭვრეტდა ვარდებს. დიდი სურვილი ჰქონდა, გადასულიყო და ახლოს ენახა, მაგრამ ფიქრობდა, პაპუნა ამას სხვაგვარად ჩამომართმევსო. ეჰ, რა იცოდა თავის ვნებებში გართულმა პაპუნამ, რომ შაჰაბაზას გულს საკუთარი დედლებიც აღარ ეხილებოდა, რომ შაჰაბაზას მხოლოდ ვარდების, ხასხასა წითელი ვარდების ნახვა სურდა.

ასევე შორიდან უყურებდა შაჰაბაზა შამანაურიანთ ეზოში გაშლილი თეთრი იასამნის დიდ ბუჩქებს.

— ნეტავი დამატარა მთელი ეზო-ბაღები და მაჩვენა, სად რა ყვავილი და ხე ხარობსო, — ნატრობდა შაჰაბაზა.

ერთხელ და ორჯერ არ ყოფილიყო შაჰაბაზა იმ ეზოებში, მაგრამ მაშინ ის მეფე და ფალავანი იყო და ბრძოლის მეტი არაფერი აინტერესებდა. ახლა კი, ახლა სხვა იყო. ახლა გახსნილიყო მის წინ სიბრძნისა და სილამაზის კარი და უნდოდა, მთელი ქვეყანა თავის გულში მოექცია.

კარგი იქნებოდა, ყველაფერი ამქვეყნად სიბრძნით ყოფილიყო გარიგებული, მაგრამ ვაი, რომ ასე არ არის და ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი უკულმა დატრიალდა, და მოხდა ის, რაც ადრე თუ გვიან, ალბათ უნდა მომხდარიყო.

იმ დილით ადრე ადგა შაჰაბაზა. სურდა, მზის ამოსვლას შეჰგებებოდა. ღამე ტკბილად ეძინა (რამდენიმე ღამე იყო, რაც ჰპოვა ძილი და მოსვენება) და მშვენიერ გუნებაზე ადგა. კარგად დანაყრდა და ეზოს მიაშურა. ჯერ ვაზებს დაუარა. ვაზის ნორჩი, უნაზესი ფოთლები გულს უჩუყებდა შაჰაბაზას. მივიდა

და ფრთხილად, ძალიან ფრთხილად, რამდენიმე ფოთოლს ნისკარტი შეახო. მერე დაიხარა, მდელოდან ცვარი შესვა და ცას ახედა. მოკამკამებული ცა დაჰყურებდა შაჰაბაზას: ეტყობოდა, კაშკაშა დღე გამოვიდოდა.

მდელო აშრიალდა, ვაზის ფოთლებმა თრთოლა იწყეს, ალუბლის დაზნექილი შტოები შეირხნენ. გახედა შაჰაბაზამ ცაცხვებს, თანდათან გაუნათდა ცაცხვებს ქოჩრები და მათ გადაღმიდან ამობრძანდა ოქროს მამალი. აღტაცებული შეჰყურებდა შაჰაბაზა მის დიად, დარბაისლურ სვლას და მისი უსაზღვრო უშურველობისა და თვალისმომჭრელი სინათლის პირდაპირ საკუთარი მარცხი და გავლილი ვნებები სასაცილოდაც კი ეჩვენა. თვალზე სიხარულის ცრემლი მოადგა, თავი გაიქნია შაჰაბაზამ და იგრძნო ვაშლის ყვავილის ნაზი სურნელი. აყვავებული, მზის სხივებში გახვეული ვაშლის ხე ისე მსუბუქად იდგა, ისეთი ქათქათი გაჰქონდა, თითქოს ხე კი არა, ზღაპრული თეთრი ფრთოსანი ყოფილიყო.

— ვაშლის ყვავილები ყვავილთა შორის ყველაზე ლამაზი, ყველაზე სათუთი და წმინდა ყვავილებია. მათი ნაზი სურნელი უცნაურ ბურუსში ხვევს... — და სიტყვა გაუწყდა შაჰაბაზას, იგრძნო, რომ სხეული თითქოს შეერყა, თავიდან ფეხებამდე ძლიერმა ჟრჟოლამ დაუარა და ვაშლის ხე რომ არა, დაეცემოდა.

შაჰაბაზას გვერდით, სულ ახლოს, ფიფქია იდგა და თვალმოუშორებლად გამომწვევად უყურებდა შაჰაბაზას. სწორედ მან შეახო თავისი ქათქათა, ხავერდოვანი ფრთა და ერთ წამში დაავიწყა მზეცა და ყვავილებიც. ერთ წამში იყო, რომ თავგზააბნეული დაბარბაცდა შაჰაბაზა, რათა თვალისდახამხამების უმალ სიყვარულისა და ვნების გარდაუვალ ცხოველმყოფელ ძალას შეეპყრო და ფიფქიას გამოჰკიდებოდა.

ფიფქია ფარდულისაკენ გაიქცა. დღისით იქ ქათმები არასოდეს არ იყვნენ. ყველაფერი ცხადი იყო. ფიფქიას წინასწარ მოესაზრა ყოველივე.

შაჰაბაზაც ფარდულისაკენ გაენთო, მაგრამ ლეღვამდე რომ მიაღწია, თითქოს რაღაც საწინააღმდეგო ძალამ შეაჩერაო, ფიცხლივ გამოტრიალდა, ბაღისაკენ გამოქანდა და მამუჩას დაუწყო ძებნა.

მამუჩა სამზარეულოს წინ, აუზთან მზით განათებულ მო-

ედანზე იდგა. ყველაფერს ხედავდა, მაგრამ საკუთარ ძალაში დარწმუნებულს წარბიც არ შეუხრია. მხოლოდ ფეხები განზე გაბოტა, როგორც შაჰაბაზამ იცოდა ხოლმე წინათ, დადგა ურყევი სვეტივით და დაელოდა პირველ დარტყმას.

დაუნდობელი ბრძოლა გაიმართა აუზთან. მკერდით ეძგერნენ ერთმანეთს. ბასრი ნისკარტებით კორტნიდნენ, ფეხებით სამოსს აგლეჯდნენ. ბლუჯა-ბლუჯა სისხლიანი ბუმბული ცვიოდა აუზთან.

ბოლოს ისევ მამუჩამ იძალა. და დაუნდობლად ჩამოჰკრა შაჰაბაზას მკერდზე თავისი ალმასივით ჭანგი. თქრიალით მოსდიოდა სისხლი შაჰაბაზას.

ჯიღამოხეული, გულმკერდგამოღადრული ძლივს წაბარბაცდა ლეღვამდე და იქ ნაცარში წაიქცა.

შაჰაბაზას სისხლმა წითლად შეღება ნაცარი.

ნისკარტს აღებდა შაჰაბაზა, ეტყობოდა, პირი უშრებოდა.

ზურიამ ჩაის კოვზით ჩაასხა წყალი. ჭრილობის შეხვევაზე და მოვლაზე კი აღარც გვიზრუნია — ეს უკვე მისი ზედმეტი წვალება იქნებოდა. ისედაც მომაკვდავი შაჰაბაზა ხრიალით სუნთქავდა და სიმწრისაგან ისე უსვამდა ნაცარში ფეხებს, რომ გადაქლეშილი კანჭებიდან სისხლი სდიოდა.

მერე კისერი გადააგდო, თვალები დახუჭა, უკანასკნელად გაიზმორა და შაჰაბაზა აღარ იყო.

მე და ზურია კი, შაჰაბაზას უერთგულესი მეგობრები, მისი ჭირისა და ლხინის მოზიარენი, მისი დიდებისა და დაცემის მომსწრენი, ვხედავდით, როგორ ამაყად მიაბიჯებდა სიკვდილის მინდვრებზე ჩვენი მრავალტანჯული შაჰაბაზა.

# ნათელი ხსოვნა

## გამოსათხოვარი

## ანა კალანდაძეს

დიდება მოჰყვა ანას პოეზიის ასპარეზზე და ეს ქვეყანაც დიდებით დატოვა. უპირველესი ტაძრიდან გამოსვენებით, გალობითა და ზარების რეკვით, და მთაწმინდაზე განსვენებით. ერი და ბერი ჭირისუფლობდა ანას, მთა და ბარი, ყველა ასაკისა და სოციალური ფენის ადამიანები,... მართლაც, როგორც დიდ პოეტს, ჭეშმარიტად სახალხო პოეტს შეჰფერის და ეკადრება. სამების ტაძარი სავსე იყო ბავშვებითაც, ისინიც ამკობდნენ იქაურობას გაზაფხულის ყვავილებით, ერთი პატარა ბიჭუნა კი მიცვალებულთან ახლოს მივიდა და ლექსი უთხრა „მოდიოდა ნინო მთებით". ანას პოეზია ხომ, სიღრმისა და სიმაღლის მიუხედავად, ყველასათვის მისაწვდომი და გულშიჩამწვდომია თავისი უზადო სისადავის წყალობით, ანას ლექსი ხშირად არქაულ ფორმებთან შერწყმული, დროთა კავშირის უწყვეტობისა და მთლიანობის შეგრძნებით, განუმეორებელ მშვენიერებას ქმნის, ... ანა ხომ მოყვასის სიყვარულით, სწორუპოვარი დემოკრატიზმით გამორჩეული პოეტია. ანას პოეზიის ვრცელ სამყაროში, ანას პოეზიის მადლი „სწორად მოეფინების" მაღალთაც და დაბალთაც, ჩინებულთაც და უჩინოთაც, დიდ მზექალაისაც და რატომღაც შემკრთალ მუაველასაც... და ჩვენს ღირსეულ ნინაპართა, მეფეთა და წმინდანთა, მამულისთვის სისხლდათხეულთა გვერდით ცოცხლობენ და სათუთი თანალმობით გვავსებენ თათრის გოგონაც და კდემით მოსილი, შავთვალა იეზიდიც, ლუდით შემთვრალი ხევსურიც და ვინ მოთვლის კიდევ ვინ არა... ანას ყოვლისმომცველი, სიყვარულით გამთბარი მზერა სწვდება არა მხოლოდ სამშობლოს მთა-ბარს, დათვისსა და მოწმაოს, არაგვსა და ალაზანს, ალავერდსა და იყალთოს, არამედ ნილოსს, ალექსანდრიის კატაკომბებს თავისი ოზირისით და იზიდათი, ბრწყინვალე ვერსალსა და მშვენიერ კუნძულებს,

როდოსსა და ხიოსს... მართლაც ვრცელია და განძით ულევი ანას სამეფო, მარად ბრწყინავს ანას ვარსკვლავი, აკი თვითონ ამბობს:

„ვარსკვლავი იგი სიხარულისა
ჩემს წინ მარადის
აღავლენს ციალს,
რაც უფრო ღამე
ჩამოდის ბნელი,
იგი უფრორე
ელავს და ბრწყინავს."

და მე არ ვიცი, რომელ ქართველ პოეტს რგებია სიცოცხლეშივე ასეთი საყოველთაო აღიარება და სიყვარული, რომელი ქართველი პოეტი ყოფილა გარემოცული ასეთი პატივით, რიდითა და კრძალვით. რაღაც წილი, ალბათ იმაზეც მოდის, რომ ანა იდენტურობით აღბეჭდილი შემოქმედია, მაღალ პოეზიასთან ერთად ის პიროვნული მომხიბლაობა სწორედ ამ იდენტურობით არის ნიშანდებული.

სამწუხაროდ, განა ცოტაა სიტყვის მსახურთა შორისაც პიროვნული რღვევა, წრფელად რომ ქადაგებენ ჰუმანურ იდეალებს და ასევე წრფელად ამოძრავებთ სრულიად არაჰუმანური მისწრაფებები, ანას ენით თუ ვიტყვით, არიან „მონა ყოველთა ამქვეყნიურთა". ანა კი რაც იყო შიგნით, ის იყო გარეთაც, ეს იყო მისი ფარი და ხმალი, ეს იყო მისი ძალმოსილება. მერე როგორი თავმდაბალი და მოკრძალებული იყო. ერთხელ, ბიძაჩემმა თელავში სტუმრად წაგვიყვანა, და მაშინვე მიხვდა, რომ ანა ვერ იცნეს, როგორო — ითაკილა, ახლავე უნდა გამოვაცხადო, ანა, შენ ვინა ხარო. ეხვეწებოდა ანა, გთხოვთ, ბატონო ლონგო, ძალიან გთხოვთ, არ თქვათო. ბიძაჩემმა, რა თქმა უნდა, გამოაცხადა და ყველამ სათანადოდ შეაფასა ანას სტუმრობა. თუმცა ისიც სათქმელია, ანა სამაგალითო გემოვნების ადამიანი იყო, მან თავიდანვე იგრძნო, რომ დიდი მისიითაა მოვლენილი ამ ქვეყნად და სრულიად არ საჭიროებდა თავგამოდებასა და ზედმეტ მტკიცებას, და მისი თავმდაბლობაც სწორედ „მაღალთა თავმდაბლობაა", ასეთ რიდსა და თაყვანისცემას რომ იწვევდა,

ასეთ სწრაფვას მასთან შეხვედრის, მისი დაფასების, მისი ლექსების თქმის... და ვინ მოთვლის იმ ლიტერატურულ დილებსა და საღამოებს, იმ აურაცხელ შეხვედრებს, მთელ საქართველოში ანასთვის რომ მოუწყვიათ, სკოლებში, ბიბლიოთეკებში, კულტურის სახლებში, სად აღარ... ხშირად იღლებოდა და წუხდებოდა, მაგრამ თავისი მოხათრებულობის გამო არ შეეძლო მთხოვნელები უარით გაესტუმრებინა. ანას დაბადების დღეს, — 15 დეკემბერსა და დღეობას, — 3 თებერვალს, ყოველთვის ესწრებოდნენ ხოლმე ქობულეთიდან საგანგებოდ ჩამოსული ქალები, ერთ-ერთი მათ შორის ქართული ლიტერატურის პედაგოგია, ყოველი ჩემი გაკვეთილიო, გვეუბნებოდა, პოეზიის ხუთი წუთით ინყება, ანუ ანას რომელიმე ლექსითო, და ჩემმა მოსწავლეებმა ზეპირად იციან ანას პოეზიაო. შარშან გაზაფხულზე, სწორედ ამ დროს, ჩემმა ახლობელმა ბიჭუნამ, მეექვსეკლასელმა ზუკა არსენიშვილმა (ის მე შვილიშვილად მერგება), მთხოვა ანა კალანდაძესთან წამიყვანეო, სკოლაში დავალება მოგვცეს, ვინმე დიდ ადამიანს შევხვდეთ, პატარა ინტერვიუ ჩამოვართვათ და ჩვენი შთაბეჭდილებაც დავწეროთო, ჰოდა, მე ანა კალანდაძე ავირჩიეო. და აი, ჩვენი ანასთან ყოფნის დროს უცნობმა გოგონებმა დარეკეს, თუ შეიძლება თქვენთან სულ ცოტა ხნით მოვალთო. მართლაც მცირე ხნის შემდეგ გაიღო კარი და... რა ნახა ჩვენმა თვალებმაა... ვარდების ტყე... ალბათ, რაც თბილისის ბაზრებზე საუცხოო ვარდი იყო, წითელი, თუ ვარდისფერი, თუ თეთრი, თუ ყვითელი, საოცარი სპექტრი გრძელღეროიანი, უბრწყინვალესი ვარდებისა, აქეთ-იქით ჩადგომოდნენ გოგონები და ძლივს მოჰქონდათ. ჩვენ მოხიბლული მივაჩერდით ამ გრანდიოზულ სილამაზესა და მაშინვე ის ვთქვით, რა ძვირი ეღირებოდა ასეთი მშვენიერება. სტუდენტები აღმოჩნდნენ ეს კარგი გოგონები, ანას პოეზიის დამფასებლები. მთელმა ჯგუფმა შევაგროვეთ ფული, რომ ჩვენი საყვარელი ქალბატონი ანასთვის გაზაფხული მოგველოცაო, ასე გვითხრეს. ანას დიდი ოთახი ვარდების წალკოტად იქცა, რა თქმა უნდა, ანამ ჩვენც დაგვასაჩუქრა შესანიშნავი თაიგულით. მე ვეუბნებოდი ზუკას, ხედავ როგორ გაგიღიმა ბედმა-მეთქი, ანას პოეზიის რა დიდე-

ბული სამადლობელის შესახებ შეგიძლია დაწერო-მეთქი. ჩვენ ორივეს გაგვიღიმაო, მიპასუხა ზუკამ, რომ ანა კალანდაძე შენი ასეთი მახლობელიაო. და მართლაც, ძალიანაც გამიღიმა ბედმა, რომ ანა, ვისი პოეზიაც ჩემი ცხოვრების თანამგზავრია, ნახევარ საუკუნეზე მეტი ჩემი ახლობელი და გულშემატკივარი იყო.

მე ბევრჯერ მიფიქრია, სრულიად განსაკუთრებული და თავისებური იყო ჩემთვის ანასთან მახლობლობა, მე არასდროს, არც ერთი წუთი არ მავიწყდებოდა, რომ ის იყო დიდი პოეტი და ჩვენს შორის მისი მაღალი პოეზია ექოს გამოსცემდა. სამწუხაროდ, ოჰ, რა სამწუხაროდ, მე ეს აღარ მიგრძვნია ანას უკანასკნელი ნახვისას, სიკვდილამდე ოთხი დღით ადრე. ჩემს წინ ენანართმეული, მარჯვენა-დადუმებული, — ამ მარჯვენით ხომ ის ველარასოდეს ველარაფერს დაწერდა, — მომაკვდავი ადამიანი ინვა... და მაინც მიღიმოდა... სულ მიღიმოდა... რაღაც ჩუმი ბგერებით მანიშნა, რომ გაუხარდა ჩემი ნახვაც, ჩემი ბოლო წიგნიც... და მე არასდროს მყვარებია ანა ისე, როგორც იმ წუთებში, ტანჯული, სიკვდილის კარზე მდგომი ანა მიყვარდა... და არც არასდროს გამიბედავს ისე მოვფერებოდი, ისე ჩამეკრა გულში იმისი დადუმებული მარჯვენა, როგორც მაშინ, უკანასკნელი ნახვისას. მას თავს დასტრიალებდნენ თინა და ქეთი, რა თავდადებით, როგორი სიყვარულითა და ერთგულებით. ჯერ მთელი სიცოცხლე და ბოლოს ის სამოცდარვა უმძიმესი დღე. მადლობა მათ, ყველა ჩვენგანის დიდი მადლობა.

ანასგან წამოსულს კვლავ მისი გრძნეული სიტყვები ჩამესმა:

„ის ისე ჩუმად
წავიდა ჩემგან,
ო, ისე უხმოდ,
როგორც მიდიან
ყვავილებიდან
მთვარის სხივები."

მაგრამ შვება და ნუგეში იყო ის, რომ ანას საუნჯე, „ძონი და ბივრილი," დიდი ხანია უკვე ბრწყინავდა და მარად იბრწყინებდა ქართული პოეზიის საგანძურში.

საბოლოოდ, რაც ჩვენ ყველამ გავიგონეთ მთაწმინდაზე,

ფშავიდან ჩამოსული ფშაველი ქალის დატირება იყო. და დატირებაც ხომ ცრემლიანი სამადლობელია.

19 მარტი, 2008 წ.

# ჩემი დაუვიწყარი ბ-ნი გრიშა

გრიგოლ კიკნაძე მეტაფიზიკური გაგებით ბედნიერი ადამიანი იყო: ვერც სულისშემხუთავი ტირანიის ვითარებაში რჩეული ფილოლოგის მძიმე ხვედრმა, ვერც პირადი ცხოვრების ქარტეხილებმა, ვერც სასტიკმა და ულმობელმა სენმა ვერ შემუსრა მისი პიროვნება, ვერ გაბზარა და ვერ შებღალა მისი მთლიანობა, ვერ გატეხა მისი სული და თვალის დახუჭვამდე და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ნირი მისი ცხოვრებისა, შინაარსი მისი ქცევისა, მიმართება საკუთარ თავთან და გარე სამყაროსთან აღძრავდა ფიქრს ადამიანის მაღალი დანიშნულების შესახებ, ფიქრს ადამიანის ადამიანური ვალის გამო. როცა დავფიქრებულვარ იმაზე, თუ როდის ყოფილა განგება ჩემს მიმართ მოწყალე და როდის გაუღიმია ჩემთვის ბედს, იმ შორეული თებერვლის ნაშუადღევიც გამხსნებია, აუდიტორიის კარი რომ გაიღო და ჩვენთან დიდწარბებიანი, თხელი კაცი შემოვიდა, მერხზე კი სამნი ვისხედით. კაცმა თვალი მოავლო ცარიელ აუდიტორიას, მოგვესალმა, კათედრიდან სკამი ჩამოიღო, ჩვენი მერხის წინ დაიდგა და გვითხრა -- მოდით ერთმანეთს გავეცნოთო. კაცს სხივიანი და ძალზე გამჭრიახი თვალები ჰქონდა, ოდნავ იღიმებოდა, შეიძლება ცარიელ აუდიტორიაზეც ეღიმებოდა. ჩვენ მაშინვე ვიგრძენით, რომ რაღაც მოხდა, იგი არ ჰგავდა არავის, მანამდე ჩვენთან შემოსულს. მონუსხული მივაჩერდით, გავიგონეთ მისი სიტყვა და ვიგრძენით, რომ ჩვენი ახალი ლექტორი, რომელიც მე-19 საუკუნის ლიტერატურაში სპეცკურსს გვიტარებდა და გრიგოლ კიკნაძე ერქვა, შორს იყო რიტორიკისა და ფუყე პათოსისაგან, შორს იყო პოზისა და თეატრალობისაგან, რომ იგი დარბაისელი, სადა და თავისთავადი კაცი იყო და მისი სიტყვაც ჩაღრმავებული ფიქრის, ფაქიზი ინტელექტუალური განსჯისა და მოქალაქეობრივი გაბედულების ნაყოფს წარმოადგენდა; რომ მას მნვავე სოციალური აღქმა ახასიათებდა და ჰუმანური იდეალები და ღრმა ერუდიცია მისი პიროვნების საყრდენად, მისი პიროვნების ორგანულ თვისებად განიცდებოდა. ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ იგი კულტურასთან იყო წილნაყარი და მასწავლებლისა და მოძღვრის ჭეშმარიტი ნიჭითა და

მოწოდებით მირონცხებული. იგი ღრმა თანაგრძნობით ეკიდებოდა ჩვენს სიბეჩავეს, იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მოქცეული ჰუმანიტარების შელახულ ღირსებას და ყოველ ღონეს ხმარობდა ჩვენს ბუნებაში მიყურსებული სიწრფელე გამოეფხიზლებინა, მკაფიო სოციალური განცდით დაემუხტა, ზნეობრივი საყრდენები განემტკიცებინა და ჩაენერგა რწმენა ეთიკური პრინციპისა. მას ჰყოფნიდა სიმამაცე დაენახვებინა ჩვენთვის ისტორიულ დროში მიმავალი ძაფები და გაეთვალსაჩინოებინა ის აბსურდული სამყარო, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით, რომელიც არ ეთანხმებოდა აზრის მიმოქცევას და რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო გადაბრუნებული სოციალური მიმართებები. მას ჰქონდა დიდი შინაგანი ძალღონე თავისი მოწაფე მოქალაქედ მოექცია და გზა გაეკაფა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის. ჩვენ დიდი ხანია გვწყუროდა ასეთი მოძღვარი და, რა თქმა უნდა, გამიღიმა ბედმა, ბ-ნი გრიშა ჩემი მასწავლებელი და უახლოესი მეგობარი გახდა, ჩვენს მეგობრობას წინ გრძელი, ოცწლიანი გზა უნდა გაევლო... ამ გზის დასასრულს, ჩემთვის დაუვიწყარ ჯილდოდ გაისმა იმ ბედკრული საავადმყოფოს მეკარის სიტყვები, ბ-ნი გრიშას უკანასკნელი, ხანმოკლე გამომჯობინებით გახარებულმა რომ მითხრა: „მომილოცავს მამათქვენის გამობრუნება, ღმერთმა გიცოცხლოთო!“ მე გულში ჩამეჭრა ეს სიტყვები და განსაკუთრებული სიცხადით ვიგრძენი, რომ ბ-ნ გრიშას წარმმართველი ძალა, მამოძრავებელი ძალა, ქვაკუთხედი მისი უმდიდრესი პიროვნებისა სიყვარული იყო, ფხიზელი და გამჭრიახი, ზრუნვით, გარჯითა და ფიქრით სავსე სიყვარული, „სარწმუნოებაზეც და სასოებაზეც უპირველესი“ ადამიანის სიყვარული და მეც სწორედ სიყვარულის ნიშნით მინდა მოვიგონო დღეს ბ-ნი გრიშა, თორემ 1972 წლის 30 ნოემბერს ვაჟა-ფშაველას კაბინეტის დაარსების ათი წლისთავი რომ აღინიშნა, კაბინეტის მაღალკვალიფიციური ფილოლოგიური კვლევის რეზულტატი დიდი ინსტიტუტის მუშაობას შეადარეს. ახლა ვერც ერთი მკვლევარი ქართული ლიტერატურისა გვერდს ვერ აუხვევს გრიგოლ კიკნაძის ფუნდამენტურ მონოგრაფიებს და მაღალნიჭიერ წიგნებს, გვერდს ვერ აუვლის გრ. კიკნაძის ნააზრევს, მაგრამ მას თავისი სამუშაო,

რომელიც ასე უყვარდა, რომლის გარეშეც სიცოცხლე მისთვის აზრს კარგავდა, უპირატესობის წაყროდ არ გაუხდია. ცოცხალი ადამიანი თავისი ჭირ-ვარამით ბ-ნი გრიშასათვის უპირველესი საზრუნავი იყო. მისი სახლის კარი ყოველთვის ღია იყო მათთვის, ვისაც მასთან მიესვლებოდა. და აი, მე ვხედავ, როგორ მიჰქრიან იაკობ ნიკოლაძის ქუჩაზე მეგობრები, მახლობლები, მონაფეები... მიჰქრიან მაშინ, როცა უჭირთ და როცა ულხინთ, ყოველთვის, როცა მოსწყურდებათ მასთან ურთიერთობა, დილიდან დაღამებამდე, ზურა მიქელაძე კი — შუაღამისასაც. ბატონი გრიშა უშინაგანესი ძაფებით იყო დაკავშირებული ადამიანებთან, მისთვის არ არსებობდა სარიტუალო სიტყვები: „როგორა ხარ და რას აკეთებ“, გზად შეხვედრისას ნათქვამიც კი მყისვე იტვირთებოდა ნამდვილი ურთიერთობით. ამიტომ იყო, რომ ბ-ნ გრიშასთან ადამიანები მიდიოდნენ თავისი სანუკვარი ფიქრების გასანდობად, დაფარული ტკივილების დასაამებლად, შეჭირვებული სულის მოსათქმელად... და რჩევისათვის! ბ-ნი გრიშა ხომ ნამდვილი მრჩეველი იყო! მოწოდებით მრჩეველი! მან ყოველთვის იცოდა, ვისთვის როგორ უნდა ეშველა. არასდროს დამავიწყდება: საყვარელი მეუღლის სიკვდილის შემდეგ ბ-ნი გრიშას უახლოესი მეგობარი ქეთო დადიანი ღრმა მწუხარებაში იყო ჩავარდნილი, დეპრესიული განწყობილება ჰქონდა მოძალებული და მუშაობა უჭირდა. და აი, ბ-ნმა გრიშამ დაარწმუნა ქეთო, რომ ჩვენ ყველას სასწრაფოდ და გადაუდებლად გვჭირდებოდა ეკონომიკის პრობლემებში გარკვევა და რომ ქეთო არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვზარდეს და ლექციები ჩაგვიტაროს. მართლაც, ქეთომ ვერ უთხრა უარი ბ-ნ გრიშას. დავდიოდით ქეთოსთან მხარდამჭერების ჯგუფი და მე ახლაც უდიდესი სიამოვნებით ვიგონებ ქეთოს წარმტაც ლექციებს. მაშინ ბევრი რამ ისეთი გაგვაგებინა ქეთომ ჩვენი ეკონომიკის შესახებ, რასაც ახლა აშკარად წერენ. ბ-ნი გრიშას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ქეთოს თავის საყვარელ საქმეში ჩართულს და გახალისებულს რომ ხედავდა. ქეთო გამონაკლისი არ იყო. ყოველთვის, ყველასთან ასე იყო. ამის გამოა სწორედ, რომ ყველა ჩვენგანი დარწმუნებული იყო, რომ ბ-ნ გრიშას სწორედ ის უყვარდა გამორჩეულად, სწორედ მის საქმიანობასა და მის

ბედ-იღბალს მიამტკივნებდა განსაკუთრებით გულს. ჩვენ არ ვცდებოდით: ადამიანურ მიმართებებშიც ბ-ნი გრიშა სულით-ხორცამდე ჰუმანიტარი იყო: ინდივიდუალობა მისთვის სამყაროს ხატს წარმოადგენდა. მისთვის ყოველი ადამიანი ერთ-ადერთი და გამორჩეული იყო და გამორჩეულად აინტერესებდა და ყურადღებით იყო აღსავსე ადამიანთა მიმართ. ამიტომაც ბ-ნ გრიშასთან ურთიერთობა შთაგონების ძალას იძენდა, მას ძალუძდა ადამიანი საუკეთესო თვისებით შემოებრუნებინა. კიდევ რისთვის მიყვარს ბ-ნი გრიშას გახსენება და იმისთვის, რომ ასე მგონია, ჩვენ ყველა მის გვერდით უფრო უკეთესები ვიყავით. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა ბ-ნი გრიშას ავადმყოფობის დროს. ხშირად მახსენდება ხოლმე ის საავადმყოფო, ნამდვილი ტანჯვის ბუდე, ის ექიმები, ის ექთნები და მომვლელები. ასე მგონია, იქ ყველას რკინის პერანგი აცვია და ხმალამოწვდილი იბრძვის... სიკეთე მათ და სულის მხნეობა... მახსენდება, ჩვენც როგორი დარაზმულები ვდგავართ იმ საავადმყოფოს ჰოლში, სადაც ბ-ნი გრიშა წევს. ჩვენს შორის თავგანწირულებიც არიან, ჩვენი წასული მეგობრები, ელისო აბრამიშვილი და ვახტანგ ჭელიძე, სტენოკარდიული შეტევების მიუხედავად ბ-ნი გრიშასათვის წამლებზე რომ დარბის, მერე კი ფერწასული ჩვენთან ერთად ჰოლში დგება.

საბჭოთა ჰუმანიტარის ჭირ-ვარამით აღსავსე ცხოვრებით იცხოვრა ბ-ნმა გრიშამ. ბევრი სიმწარე აგემეს, ამ აუდიტორიაში ჩვენ სხვები გვიკითხავდნენ ლიტერატურის ისტორიებს... უინტერესოდ და უფერულად... დაშტამპული კლიშეებით. ბ-ნი გრიშა კი დათხოვნილი იყო აქედანაც, იქიდანაც...

ბ-ნი გრიშას უახლოესი მეგობარი რუსუდან გაგუა იხსენებდა: „ზოგჯერ მართლაც ვფიქრობ, რომ ვიმსახურებ პატივისცემასო, — მითხრა ერთხელ ბატონმა გრიშამ და იცი რატომ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს საქმიანობას მთლიანად მე თვითონ წარვმართავო...“

ჩვენი ხანგრძლივი მეგობრობის მანძილზე მრავალგვარ სიტუაციაში მინახავს ბ-ნი გრიშა, მინახავს მთაში და ბარში, შინ და გარეთ, აუდიტორიაში და სუფრასთან, ვინ ჩამოთვლის, მაგრამ ახლა ერთი ამბავი მინდა გავიხსენო: ხევსურეთში ექსპე-

დიციის დროს, მაშინ ბ-ნი გრიშა ვაჟა-ფშაველას ადგილების ალბომს ამზადებდა, ბარისახოდან შატილში წავედით, ბ-ნ გრიშას კი ენდარტერიტი აწუხებდა, გზა მაშინ არ იყო, ფეხით მივდიოდით და ბ-ნი გრიშა ბარისახოში დარჩა...

შატილში ბიჭებმა გადაიღეს, რაც გადასაღები ჰქონდათ, ჯარეგოშიც გადავედით... მაგრამ თენგიზ აბულაძე იღებდა მაშინ „ვედრებას", სწორედ ალუდას და მუცალის ეპიზოდს და შეგვაგვიანდა დაბრუნება. გამოვედით და გზაში წვიმამაც მოგვისწრო. ვახტანგ გოგუაძე ბაძავდა კარგად ბ-ნ გრიშას და ვთხოვდით: გასცინე ერთი როგორ ბრაზობს ახლა ჩვენი ხევისბერი, ასე რომ დავიგვიანეთ. ზის ახლა ინტერნატის ეზოში ხის ქვეშ და გამოჰყურებს ჩვენს გზასო. ბ-ნი გრიშა კი ჩვენს შემოსაგებებლად წამოსულიყო, ლაბადებით დატვირთული, დათვისჯვართან შემოგვეგება. ცის ფონზე გამოჩნდა გორაზე გადმომდგარი და ჩვენსკენ მომავალი. ისე ჩამეჭრა ის სურათი, ხშირად მაგონდება ხოლმე, ასე მგონია, ხატოვანი დადასტურებაა იასპერსის სიტყვებისა, რომ „ჭეშმარიტი ადამიანი ყოველგვარ პირობებში (ადამიანური მოდგმის პროგრესული გადაგვარებისა და თვით ტოტალიტარული რეჟიმის დროსაც) დარჩება ერთგული თავისი მრწამსისა და არ დაეშვება უპრინციპობის ჭაობში, მოიქცევა ისე, თითქოს მის მრწამსს მომავალში უცილობელი გამარჯვება ეწეროს და თავისი ქცევის განცდისას იგი მიმართული იქნება მარადისობისაკენ, რეალური ისტორიული მომავლის გაქრობის მიუხედავად".

ჩვენს ხელში დალია სული ბ-ნმა გრიშამ. ინესასთან, რამაზთან, დარეჯანთან ერთად ჩვენც იქ ვიყავით, ჩვენც დავიხარეთ მის სასიკვდილო სარეცელთან, აღდგომის კვირაში გარდაიცვალა, 16 აპრილს... გარეთ ჩუმი და თბილი ღამე იდგა. ერთსულოვანი იყო ჩვენი გლოვა და რწმენა იმისა, რომ ბ-ნი გრიშას სული ჩვენ არასოდეს მიგვატოვებდა.

# „კაცი არ ყველა ერთია“

## მერაბ მამარდაშვილი

60-იან, 70-იან წლებში მერაბს ვიცნობდი, როგორც იზა მამარდაშვილის ძმას. იზა ჩემი მეგობრების, ლელა და ნანა სულხანიშვილების მეგობარია და შემოდგომობით (ზოგჯერ სხვა დროსაც), როცა დადგებოდა ის ერთი მშვენიერი დღე და მერაბი თბილისში ჩამოვიდოდა, სულხანიშვილები აუცილებლად მიიწვევდნენ ხოლმე მას და ჩვენც, ახლობლებს, მიგვიპატიჟებდნენ. წლიდან წლამდე „იზას ძმის“ ჩამოსვლა, მეგობრების თავშეყრა სასიამოვნო ტრადიციად იქცა, ხინკლით, ტანგოთი, მერაბთან ურთიერთობით, საერთო მხიარულებით... და ბოლოს მაინც გულდაწყვეტით: ჯერ არ ჩამოსულა, უკვე მიდის, ვინ იცის როდის დაბრუნდება, „ასეთი ჭკვიანი“ მერაბი რატომ არ უნდა იყოს აქ, ჩვენთან. მაგრამ დაჰკრა ჟამმა და მერაბი დაგვიბრუნდა, დაბრუნდა ფილოსოფიის ინსტიტუტში ნიკო ჭავჭავაძის გარჯით და დახმარებით, და ბოლო წლების მანძილზე ლექციების რამდენიმე ციკლი წაიკითხა, პირველად თეატრალურ ინსტუტუტში (ჩვენი დაუვიწყარი მეგობრის, ვახტანგ ჭელიძის ხელშეწყობით), შემდეგ უნივერსიტეტში. ჩვენ კი მერაბის მეინახენი, მის ამქრად ვიქეცით, ზრდაგადასულ მსმენელთა მოხალისე ამქრად, ერთმანეთთან რეკვით, ცხრილების დაზუსტებით და შეტყობინებით, ლექციების შემდეგ კი მსუბუქი ვახშმებისა და ნამცხვრიანი ჩაის თადარიგებით. დაუვიწყარია ჩემთვის ის ლექციები, მერაბის ფილოსოფოსობა და მასში სულგანაბული აუდიტორიის ჩართვა. ეს იყო რთული, დაძაბული, დრამატიზმით სავსე წარმტაცი პროცესი. მერაბის ლექციები მოიცავდა საკითხთა ფართო სპექტრს ფილოსოფიაზე, აზროვნების ფენომენზე, წარმოდგენებზე, რომელნიც უკავშირდებიან რელიგიურ გამოცდილებას, პლატონისა და სახარების დებულებებზე, სიყვარულსა და სიკეთეზე. მტრობასა და სიძულვილზე, სინდისზე და თავისუფლებაზე. დიდი იყო მერაბის, ფილოსოფოსი ანტროპოლოგის სოციალური პათოსი, რაზედაც არ უნდა ელაპარაკა, — ყველაფერი უკავშირდებოდა თანამედროვე ადამიანის ხდო-

მილებებს. ეს იყო ჩვენი ამბავი: ამბავი ჩვენი დაცემის, კირთებების, სასოწარკვეთის, ჩვენი აბსურდულობის და ჩვენი ბედისწერისა. დიახ, ამ ლექციების მიზანი თანამედროვე ადამიანის პრობლემათა გლობალური გააზრება იყო და ამ გააზრებასთან ერთად ძალისხმევა უფსკრულიდან თავის დაღწევისა. და რადგან ეს პრობლემები ამოზრდილი და ამოხეთქილია მეოცე საუკუნის ყველაზე უფრო უნივერსალური ბოროტების, ექსპტრემისტულ-ტოტალიტარული რეჟიმების უდაბურ ველზე, ანტისამყაროში, მერაბი სწორედ ამ ბოროტების, ამ ანტისამყაროს დამღუპველ მექანიზმებს ათვალსაჩინოებდა და აანალიზებდა. როგორ მოვხვდით ანტისამყაროში, სადაც ვერ სცნობ საკუთარ თავს შენს ნამოქმედარში, ანუ ისეთი მიმართება გაქვს რეალობასთან, როცა არ ძალგიძს საკუთარ თავს პატივი სცე, არ ძალგიძს გაიაზრო რეალობა, თვითონ ხარ ჩართული ამ მაცდურ უტოპიაში. ანტისამყაროსთვის დამახასიათებელია აგრეთვე პარასაზოგადოებრიობა, იქნება ის გამოხატული ბოლშევიკური პარტიის, ფაშისტური პარტიის, თუ მაფიოზური სტრუქტურების სახით; ყველა შემთხვევაში იგი იძენს ქურდების ბანდის თვისებებს, საკუთარი მორალით, რომელიც წარმოადგენს „ღია საზოგადოებრივი მორალის იმიტაციას". ესე იგი ჩნდება სოციალურად მკვდარი ადამიანი, მიძინებული სინდისით, ჩამკვდარი ნებით, გაცამტვერებული თავისუფლებით, ადამიანი, რომელიც „ანგარიშს უსწორებს სამყაროს, რომ თავის თავს დაუმტკიცოს ადამიანობა". ამიტომაც ყოველ წუთს გვემუქრება მეორედ მოსვლა, უფსკრულში ჩაჩეხვა, „მოვალს ჟამი და აწვე არს".

ჩვენი სოციალური ცხოვრება სიმბოლოების გაშიფრვა და გაგებაა, და მერაბის ფილოსოფოსობაც ნაცნობ სისტემათა სიმბოლოების გახსნას ეფუძნებოდა, იქნებოდა ეს ლიტერატურისა და ხელოვნების, თუ რელიგიური სიმბოლოები. „დამაგვირგვინებელი სიმბოლო", ამბობდა მერაბი, სიმბოლო ჭეშმარიტებისა და იმისა, რასაც ჰქვია „გზა", — არის ქრისტე". მერაბის ღრმა და ფართე ერუდიცია, ხატოვანი აზროვნების ნიჭი და უნარი მას უზარმაზარ შესაძლებლობას აძლევდა მიემართა ჩვენი ხსოვნისათვის, გამოეფხიზლებინა, გაეაქტიურებინა იგი, ყოველივე

ეს ხომ ჩვენს ხსოვნაში იყო ჩაძირული. მერაბის ძალისხმევით ჩვენც ძალგვიძდა მოსმენილი საკუთარ ასოციაციურ ველში გადაგვეტანა და დაგვენახა, რომ ეს ფანტომები და ქიმერები ანტისამყაროსი ჩვენს შიგნითვე არიან დაბუდებული, და რომ აუცილებელია მათგან განთავისუფლება, თუ გვსურს ადამიანები გვერქვას. მერაბი თავისი მოწოდებით, თავისი ხვედრით ფილოსოფოსი იყო და მის ოპტიმიზმსაც მის აზროვნებაში, და ამასთანავე მის ქართულ ბუნებაში ჰქონდა ფესვები გადგმული. მერაბს კლასიკური სული ჰქონდა: „მე ძალმიძს, რაც უნდა მოხდეს და როგორც არ უნდა მოხდეს!" ამიტომ მისი სიტყვები, მისი მაგალითი უდიდეს ძალას იძენდა: თავისუფლება ნიშნავს არ იყო სოციალურად მკვდარი ადამიანი, ნიშნავს შეიძინო ისტორიული სუნთქვა, ებრძოლო კოლექტიურ ცნობიერებას. განყენებული აზროვნება და რელიგიური, გინდა ფილოსოფიური აზროვნების აქტები საკუთარი ცხოვრების მიმართ განახორციელო. მაშინ არ გახდები უმწეო მსხვერპლი განგებისა და უცნობი ძალების. „სიკეთე და სიყვარული ჩვენს ურთიერთობაში", ეუბნებოდა მერაბი ახალგაზრდებს, „სიკეთისა და სიყვარულის უბრალო ფსიქოლოგიური ნადილი არ არის, ეს სიყვარულისა და სიკეთის ხელოვნებაა. ბოროტებას ჩვენს გარშემო და ჩვენს საკუთარ თავში მორალისტური ქადაგებით ვერ გავფანტავთ. ეს მხოლოდ გონიერი ძალისხმევით და მოთმინებითაა შესაძლებელი. ჩემი ხმა ჩართულია მსოფლიო ხმების გუნდში, თუ მე შემიძლია ჩავატარო აი, ეს აზროვნების აქტებით გაშუალებული პროცედურა. ჩვენ ვარსებობთ, თუ ჩვენი სული დაიბადა და იგი მარადიულია". და მე ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს მართლაც ამ აუდიტორიებში, მერაბის ფილოსოფოსობით დამუხტულ დრამატულ სივრცეში, ამ სულგანაბულ, მონუსხულ ახალგაზრდებში იბადებოდა სული და ეს სული იქნებოდა უკვდავი, რადგან იგი დაიბადებოდა არაერთგზის და ყოველთვის, როცა მერაბი ავიდოდა კათედრაზე, დაიწყებდა ფილოსოფოსობას და მაშინვე მოაზროვნესა და აუდიტორიას შორის გაკრთებოდა ნაპერწკალი. ეს იყო ზნეობისა და სიმამაცის გაკვეთილები, მერაბისებურად თუ ვიტყვით — აქტები. და ეს იყო ბედნიერებასთან მიახლოების ჟამი.

ჩაქრა სინათლე მერაბის პატარა ლოჯიაში, სადაც მას ეძინა, სადაც მუშაობდა... მახსოვს ერთ-ერთ ბოლო ლექციაზე მივდიოდი საშინლად დათრგუნული, შექმნილი სიტუაციისა და ლიტერატურულ გაზეთში გამოქვეყნებული წერილის გამოც. ლელა სულხანიშვილმა დაწერა მრისხანებით სავსე პასუხი, რომელზეც რამდენიმე ადამიანს ხელი უნდა მოგვეწერა, მაგრამ აქეთ-იქიდან გვითხრეს — არ ღირსო, მერაბი ყოველივე ამაზე მაღლა დგასო. მივედი უნივერსიტეტთან და ვხედავ: ჩემს წინ მერაბი მიირწევა თავისი დამახასიათებელი სიარულით. — „ჰერ პროფესორ!" — ხუმრობით დავუძახე, მოიხედა და გამიღიმა. გამიხარდა, რადგან მეც გულუბრყვილოდ წარმოვიდგინე, რომ აქაოდა ფილოსოფოსია, ყოვლად უხამს განქიქებასაც „ფილოსოფიურად" უნდა შეხედოს. ვუთხარი: ხომ წარმოუდგენელია, რომ ის შეთითხნილი სისაძაგლე ჩირად ჩააგდო-მეთქი. რა თქმა უნდაო, დამეთანხმა. მე საშინელ გუნებაზე ვარ და აი, მოვდივარ, რომ შენი აზროვნების აქტებით სიცხადეში ჩამაგდო და ძალა შთამბერო-მეთქი. ერთი ლექციაღა მექნება და მივდივარო, ორ კვირაში ჩამოვალ და განვაგრძობო. მე გამახსენდა ჩვენი მახლობლის, მერაბის მეგობრისა და მისივე ექიმის მაია ძიძიშვილის ნათქვამი: მერაბთან ბრძოლა არ შეიძლებაო; ისეთ მდგომარეობაში აქვს გული, ამდენი ფრენები ნარმოუდგენელიაო, მაგრამ მერაბს არ შეუძლია სრულფასოვანი ცხოვრებით არ იცხოვროსო. ლექცია პირველ კორპუსში გვქონდა, დიდ 93-ე აუდიტორიაში. კათედრაზე რომ ადიოდა, თვალი გავაყოლე და რატომღაც, სრულიად მოულოდნელად ვესპასიანეს სიტყვები გამახსენდა, მოწაფეობის შემდეგ რომ არ გამხსენებია: იმპერატორი ფეხზე მდგომი უნდა მოკვდესო. გავიფიქრე: ფილოსოფოსსაც, როგორც თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის მეწინავეს, აზროვნების საჭეთმპყრობელს, ნამდვილად შეჰფერის ფეხზე შეეგებოს სიკვდილს-მეთქი. მაგრამ არცერთი წამით არ მომჩვენებია, რომ ეს წინათგრძნობაა, პირიქით გამიხარდა, წარმოვიდგინე, რომ ეს მოხდებოდა ოდესმე, ასი წლის შემდეგ, როცა მერაბი კვლავაც ავიდოდა კათედრაზე და გაჰკრავდა კვესსა და აბედს. მაშინ, როცა ჩვენ აღარავინ ცოცხლები აღარ ვიქნებით.

მეზობლები მოვიდნენ მერაბის პანაშვიდზე, ამბობდნენ ლოჯიაში სინათლე არასოდეს არ ქრებოდაო, ნეტავ როდის ეძინა, როცა არ უნდა გამოგეხედათ, — ღამე, შუაღამისას, უფრო გვიან, — ყოველთვის სინათლე ენთოო. ფილოსოფია მარტოობის ხილიაო, ამბობდა მერაბი და მისი ფილოსოფოსობა, ლაღი, თავისუფალი, განუმეორებელი და მომხიბლაობითა და არტისტიზმით სავსე, თავგანწირული შრომისა და ღვანლის შედეგი იყო. დასტიროდნენ ახალგაზრდები თავის მოძღვარს. მე მათ დანახვაზე კიდევ უფრო ვერ ვიკავებდი თავს, ცრემლები მახრჩობდა, არც ვიცი, ვინ უფრო მიკლავდა გულს, მერაბი თუ მერაბის სტუდენტები, რომელნიც ვეღარ გაიგონებდნენ მერაბის სიტყვას, ესე იგი ვეღარ იცოცხლებდნენ სიცოცხლის იმ წილით, იმ აქტიური მედგარი წილით, მერაბთან ერთად რომ ცოცხლობდნენ. ჩაქრა სინათლე მერაბის პატარა ლოჯიაში, მერაბის ყალიონიც ჩაინავლა. მაგრამ ანთია შუქი მათ სახლში, სადაც მერაბის და იზა, ღირსებითა და სიმამაცით სავსე პატარა იზიკო, როგორც მერაბი ეძახდა, ზის დილიდან საღამომდე მერაბის ფირებთან და იღწვის, მერაბის მემკვიდრეობაზე თავაუღებლად მუშაობს, რომ მერაბის ნააზრევის არც ერთი სიტყვა შთამომავლობას არ დაუკარგოს.

ვუსურვოთ მას სულის მხნეობა და ნაპირზე გასვლა.

# ლადოს გახსენება

## ლადო მესხიშვილის

„Есть ценностей незыблемая скала
Над скучными ошибками веков".
**Осип Мандельштам**

დაუჯერებელია, რომ ამდენი დრო გვაშორებს ლადოსთან, რომ უკვე ოცდაერთი წელია ის ჩვენთან აღარ არის. ცხადია ლადოს განუმეორებლობის, მჩქეფარე სიცოცხლის, ნიჭიერებისა და მშვენიერების გამო, იმ ღრმა შთაბეჭდილებისა და განცდის გამო, რასაც ის ჩვენში აღძრავდა. ახლაც ყურში მიდგას ლადოს ხმა, ობერტონებით სავსე უმდიდრესი ხმა, მისი დახვეწილი ინტონაცია, თბილისური კილო, მეტყველების მანერა, ღრმა კულტურასა და ახალგაზრდულ დაუდგრომლობას რომ ამჟღავნებდა. როცა მინდა ჩავწვდე ლადოს განუმეორებლობისა და მშვენიერების არსს, ცნობილი ეთნოგრაფი ბიერე მახსენდება ხოლმე, მან დიდხანს იცხოვრა პირველყოფილ ტომებთან, დაწერა წიგნები, სადაც წერს, რომ ცივილიზაციის გზაზე ადამიანი თუმც ბევრ სიკეთეს ეწია, მაგრამ ბევრი რამაც დაკარგა, დაკარგა სისწრაფე, სიჩაუქე, ალღო, ინტუიცია, ბუნებასთან შერწყმისა და შენივთების უნარი...

და ჩემში სწორედ ასეთ განცდას აღძრავდა ლადო: თითქოს ის წარმოადგენდა არქაულისა, პირველქმნილის და არაჩვეულებრივად თანამედროვე, კულტურული და ცივილიზებული ადამიანის ერთობას და თითქოს სწორედ ეს შერწყმა ანიჭებდა მის პიროვნებას მთლიანობის, მონოლითიურობის, ქანდაკებასავით გასრულებულობისა და აღვსილობის ორეულს, ანიჭებდა განუმეორებელ მომხიბლაობას და მამაკაცურ თილისმას.

აგერ, თელავში, ლადო მუშაობს ჩვენს ბაღში, ფოცხავს, გვის, ნმენდს, სარეველა ბალახს გლეჯს, სწრაფად, სწრაფად, სწრაფად, ვერც ერთი გამოცდილი მინის მუშაკი მას ვერ გაასწრებს და ვერ შეედრება... აი, ლადო სამზარეულოში პამიდვრიან ერბოკვერცხს იკეთებს, ჭრის ხახვს და მწვანილს, თხლაშა-

თხლუშით ტეხს კვერცხებს, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა, ასევე ურევს და თვალის დახამხამებაში საუზმე მზად არის... მის ყოველ მოძრაობაში სისხარტე და გზნებაა, ასე რეცხავს თავის წინდებსა და მაისურებს, ასე ალაგებს აბაზანას... გზნების გარეშე არაფრის კეთება არ შეუძლია, გზნება მისი ფეთქებადი ბუნების თვისებაა, ის თავად ლადოა... და მე აღარაფერს ვამბობ სპორტზე, ეს ხომ საქვეყნოდაა ცნობილი, როგორ ეშვება ლადო კოხტის წვერიდან, რამდენჯერ, რა მოულლელად, რა სიჩაუქით... როგორ დაჰქრის მთასა და ზღვაზე... დაუდგრომლობა ხომ მისი ძირეული თვისებაა: აი, ვსხედვართ ლოჯიაში ლანა და მე და ვმუშაობთ, ლადოც სამუშაოდ მიდის სახელოსნოში, მივდივარო — ამბობს, ჩვენ კი ყურადღებას არ ვაქცევთ, რადგან ვიცით: სანამ საბოლოოდ მართლა წავა, ათასჯერ უნდა შემობრუნდეს, და ისევ ვითომ წავიდეს, რაღაც დარჩა, რაღაც უნდა თქვას, ბავშვებს უნდა გადასძახოს ან დახედოს, საათი უნდა ნახოს, უბრალოდ უნდა იბოდიალოს და მხოლოდ უთვალავი მიმოსვლის შემდეგ საბოლოოდ წავიდეს. მაშინაც კი, როცა მუშაობს და გაჩუმებულია, მაშინაც კი, როცა კითხულობს და ჩაძირულია კითხვაში, ისეთი ინტენსივობით მუშაობს, ისეა ჩაღრმავებული, ისე ორგანულად შერწყმული სამუშაოსთან თუ კითხვასთან, ისე უელავს თვალები, ისეა აღვსილი ინტერესითა და გულისთქმით, ასე მგონია, ეს სიჩუმე რაღაცნაირი მჟღერი სიჩუმეა. ხოლო როცა ლადო უგუნებოდაა და ჩამოქრუშული, მაშინ ხომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს ხატოვანი მდუმარება ნამდვილი ხმაურიანი მდუმარებაა. ლადო, თვითონ ბუნების უსაზღვროდ მოყვარული, შესისხლხორცებული ბუნებასთან, იწვევდა, გიბიძგებდა ბუნების მოვლენებისთვის შეგედარებინა, და მე, ამ მდუმარე რისხვის დროს წარმომიდგებოდა ჯანღით შემოჯარული მთა, გულში ლავა რომ უდუღს. მისი ჩამოქრუშვის უმთავრესი მიზეზი კი ის იყო, ვერაფრით ვერ ეგუებოდა საბჭოთა სისტემის დროს არქიტექტორთა უდიერ ჩაგვრას. განსაკუთრებით არქიტექტორთა, რადგან დანარჩენი შემოქმედებითი კავშირების ნარმომადგენლები თავის შრომაში ასე თუ ისე ჰონორარს ღებულობდნენ, არქიტექტორებს კი დაბალი ხელფასის ანგარიშში (ბევრ ცინგლიან კანდიდატს უფრო მაღა-

ლი ხელფასი ჰქონდა) პროექტები უნდა შეექმნათ. მე ზოგჯერ ვცდილობდი ხოლმე, ასე ვთქვათ ცხოველმყოფელი არგუმენტებით გამექარწყლებინა ლადოს უგუნებობა და დამემტკიცებინა, რომ საამისოდ მას საკმარისი საფუძველი არ გააჩნია: ლამაზი და მშვენიერი შენ ხარ-მეთქი, ნიჭითა და ტალანტით აღსავსე შენ ხარ-მეთქი, ალღო და ინტუიცია გაქვს ისეთი, უცებ შეგიძლია ჩაწვდე ადამიანის ბუნებას თუ მოვლენის არსს-მეთქი, გადასარევი შვილები შენ გყავს-მეთქი, და მშვენიერი ქალებიც შენთვის აბნევენ სულს-მეთქი, ასე რომ, ობიექტურად და მეტაფიზიკურად შენისთანა ბედნიერი კაცი არ დადის ქვეყანაზე-მეთქი. შემომიღრენდა: შენი ფილოსოფია შენთვის შეინახეო და განაგრძობდა ხმაურიან, მრისხანე მდუმარებას. პასუხისმგებლობით იყო აღსავსე და იმიტომ, და ამას არა მხოლოდ სახელი, მენტალიტეტი, პროფესია და შვილები ავალებდნენ, არამედ თავისი სახელოვანი წინაპრები, მათი ხსოვნა და მათი სული. ბარათაშვილიცა და ილია ჭავჭავაძეც თავის წერილებში იხსენიებენ ლადოს წინაპრებს. ლადოს წინაპრებზე დაწერილია წიგნები და მონოგრაფიები. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ქვეყნის მესვეურებთან ერთად ხელს აწერს შალვა მესხიშვილიც, ცნობილი ადვოკატი, ბრწყინვალე პიროვნება — ლადოს მამა. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდს ამშვენებს ლადოს წინაპართა, განთქმულ მხატვარ-კალიგრაფთა მიერ გადაწერილი და დამშვენებული ხელნაწერები, ლადო ამაყობდა ტარასი არქიმანდრიტის, დავით რექტორის, თავისი მნიგნობარი წინაპრების სახელებით. ლადოს პიროვნების ორ უმნიშვნელოვან ასპექტს, მის ნამდვილ ხალხურობას და მის ელიტარულობას, არისტოკრატიზმს, ღრმა ფესვები აქვს, შორიდან, ძალიან შორიდან მომდინარეობს, ამიტომაც არაფერი მდაბიო და მდარე მასში ვერ ხარობდა, ამიტომაც ჰქონდა ძლიერი იმპულსები და ფართე თვალსაწიერი, ამიტომაც იყო, რომ უზადო გარეგნობამ ის ვერ დათრგუნა და ვერ მოაქცია თავის ტყვეობაში (რაც ხშირად ხდება ხოლმე), ვერ აქცია ზერელე კოხტაპრუწად და ნარცისად.

მისი ახალგაზრდული ძალმოსილებაც, ვფიქრობ ამ ასპექტებთან არის გადაჯაჭვული. თუმცა სამოცს გადააბიჯა, სიბერე შორს იყო მისგან, თმა კვლავ ხშირი ჰქონდა, ნაბიჯი მსუბუ-

ქი და ჩქარი, პლასტიკა ჭაბუკივით მოქნილი, მზერა გამჭოლი — ერთბაშად რომ ისრუტავდა გარემოს, და განცდაც გზნებით სავსე, როცა გუნებაზე იყო, კვლავ ყიჟინით წარმოთქვამდა ლექსებს, — უნდა ითქვას, ლადომ ლამის პროფესიონალივით იცოდა პოეზია და ლიტერატურა, წარმოუდგენლად ნაკითხი იყო და ყოველივე ამის გამო თავშეყრის დროს, ლადოს იქ ყოფნა და იქ არყოფნა დასწრებისა და დაუსწრებლობის ეფექტს იწვევდა. მაგრამ როცა ვფიქრობ ლადოზე, როცა მას ვიხსენებ, და მე შინაგანად მას არც დავშორებივარ, და მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ჩვენი მიცვალებულები ყოველთვის ჩვენთან არიან, იმიტომ რომ არის ლანა, ვის გარეშე ლადოს წარმოდგენა არ შემიძლია, ჩემთვის ისინი განუშორებელნი არიან, ყველა თაობაში არიან, ალბათ, ასეთი გახმაურებული წყვილები, ასეთი მოგიზგიზე სიყვარული, ასეთი ძალმოსილი მშვენიერება, — სიყვარულის ნიშანსვეტად რომ აღიმართებიან ხოლმე და თანამედროვეთა ხსოვნაში ლეგენდად თუ სიმბოლოდ იქცევიან. მე ვაჟას ხატი მახსენდებოდა, კლდისა და პირიმზის წყვილის მოდულაცია: ლადო — ატყორცნილი და ყელმოღერებული და ცამეტი წლით უმცროსი და ტანმომცრო ლანა, მართლაც კლდის გულმკერდზე ამოსული პირიმზესავით, ბავშვურად მიმზიდველი და მომხიბლავი. ლანას არასდროს უთქვამს ლადოზე „ჩემი ქმარიო", ლადო მისთვის ყოველთვის ლადო იყო. ხანგრძლივი იყო მათი კავშირი, მათი მხარდამხარ სიარული ცხოვრების გზაზე. მრავალ გამოცდას გაუძლო ამ კავშირმა. ორი გამორჩეული პიროვნების ურთიერთობა ხომ, სიყვარულთან ერთად დიდ ძალისხმევასთან, წინააღმდეგობასთან, პერიპეტიებთან, მოქცევასა და უკუქცევასთან არის დაკავშირებული, სცილასა და ხარიბდასთან. და მათ ყველაფერს გაუძლეს, ერთად გაიტანეს ალო, და ერთად გალეწეს ცხოვრების კალო, ერთად ითხილამურეს, ერთად იცურეს ზღვაში, ერთად იარეს მთის ბილიკებზე, ერთად გაზარდეს შვილები, და როცა ლადო გარდაიცვალა... ჯერ ისევ თავის საწოლზე ესვენა... მე და შვილი ლადო ვიყავით იქ... ოთახის კარი მიხურული იყო... და აი, შემოგვესმა ლანას ხმით ტირილი, ლადოს დატირება... ლანა მოთქმით წარმოთქვამდა სიტყვებს „ვაიმე ლადო... ჩემო ლადო..." დიდხანს... დიდ-

ხანს... მე გათანგული მივუგდებდი ყურს და ვფიქრობდი, ალბათ ანდრომაქემ დაიტირა ასე თავისი ჰექტორი-მეთქი. ეს არაჩვეულებრივი იყო, ცოცხალ, მფეთქავ განცდას აღძრავდა ჩემში, ეს ხომ ნამდვილი რიტუალური დატირება იყო უძველეს კულტურასთან ნილნაყარი.

# ბ-ნი ლეო რჩეულიშვილის მოგონებისთვის ნათქვამი

სიყვარულითა და გულდაწყვეტით მოსაგონარია ჩემთვის ბ-ნი ლეო, „ყოველმხრივ შემკული" პიროვნება, შესანიშნავი ხელოვნებათმცოდნე, მრავალი თაობის აღმზრდელი სამხატვრო აკადემიაში, ჩვენი მშობლიური თელავის ქომაგი და მოჭირნახულე, აკი მონოგრაფიაც დაწერა თელავზე, პირადად ჩემთვის კი მრავალი წლის მახლობელი და მეზობელი. რამდენი ხანია წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ მე ახლაც მენატრება მასთან ერთად „ძეგლზე წასვლა." ზოგჯერ, სადარბაზოსთან რომ გავალ, ისე ავიხედავ ზევით, ნადიკვარისკენ, ჩაციებით გავხედავ რჩეულიშვილების სახლსა და ჩამოსასვლელს, თითქოს უწინდებურად უნდა დავინახო ჩქარი, მსუბუქი ნაბიჯებით მომავალი ბ-ნი ლეო. თანაც რა მოსაწონი იყო, როგორი დახვეწილი გარეგნობის... ჩამოივლიდა და შემომძახებდა, აბა მზადა ხარო? მუზეუმის მანქანა გველოდება, ძეგლზე მივდივართო! მე ბედნიერება მხვდა წილად მთელი კახეთის ძეგლები, და თან არაერთხელ, ბ-ნ ლეოსთან ერთად მენახა, დამეთვალიერებინა და განმეცადა: გაღმა და გამოღმა, ზევით და ქვევით, თუ გრემი და ნეკრესი, თუ მამა დავითი და ვაჩნაძიანის ყველაწმინდა, თუ ალავერდი და კვეტერა, იყალთოსა და კისისხევის ეკლესიები, ან ფშავლის „კოხტა ღვთიმშობელი", და რომელი ერთი ჩამოვთვალო! ო, რა წარმტაცი იყო ბ-ნი ლეოს „მაღალი შტილით" აღწერილი ესა თუ ის ძეგლი. განსაკუთრებით გამახსენდება ხოლმე „ძეგლზე წასვლის" ერთი ამბავი: მძიმე ავარიისა და ტრავმატოლოგიურში ხანგრძლივი წოლის შემდეგ, — სადაც ბ-ნი ლეო მომინახულებდა ხოლმე, — ახლად ვიდგამდი ფეხს, ორი ყავარჯნით ჩავედი თელავში, მაშინვე ჩავჩლახუნდი ეზოში და თუთის ქვეშ სავარძელში ჩავჯექი. ბ-ნ ლეოს დაენახა თუ არა გაღებული ფანჯრები, მაშინვე თავი დაგვიკრა. გავიხედე და ჩვენი ეზოს შემოსასვლელში ჯოხზე დაყრდნობილი მოკელანობს, შორიდანვე მომესალმა და „მადლობა ღმერთს, დაგინახეთ! სადა ხართ ამდენი ხანი," შემომძახა, „ხომ იცი, უშენოდ თელავი თელავი არ არის!" „მადლობთ ბ-ნო ლეო, მაგრამ რა არის ეგ

ჯოხი?" „აი, ხომ ხედავ, მეც ფეხი ვიღრძე, მაგრამ ეს არაფერი", და მოახლოებისთანავე მეუბნება: „უთხარი ზურიას ხვალვე გამოიყვანოს მანქანა და გურჯაანის ყველაწმინდაზე წავიდეთო." „რას ამბობ. ლეო, შეიცხადა ტატანომ, ვერა ხედავ, რა შნოთია?!" „ყავარჯნებით რომ ვარ?" ცოტა არ იყო, შევკრთი.

„რაა მერე! ჩემი ბიძაშვილი ნათელა, ახლა ჩემთან არის ჩამოსული (დათო ჯავახიშვილის დედა), ორ ჯოხზეა დაბჯენილი და ისიც აუცილებლად უნდა წამოვიყვანოთ. რა გგონია, მე სულ იმას ვფიქრობდი, ამ ავარიის დროს რამე რომ მოგსვლოდა, და ისე წასულიყავი ამ ქვეყნიდან გურჯაანის ორგუმბათიანი ყველაწმინდა უნახავი დაგრჩენოდა, მე ჩემი ღმერთი ამას არ მაპატიებდა," იცინის ბ-ნი ლეო. „ოჰ, ლეო, რა დაუცხრომელი ხარ!" შესძახებს ტატანო, „ნეტა არ მინდა, ბენვი ჩამოვარდეს თავიდან!" „ნუ გეშინიან, ქალო, და ნუ აზვიადებ!" იცინის ბ-ნი ლეო. „რა თქმა უნდა, ხვალვე უნდა წავიდეთ!" მეც სიცილით ვეთანხმები.

„რა გინდა, ისე მოვიქარგავ ენას, შენ სიცოცხლეში აღარ დაგავიწყდება გურჯაანის ყველაწმინდა." მპირდება ბ-ნი ლეო.

მართლაც, ძეგლებთან სიახლოვისას და მათი „გაცოცხლების" დროს ბ-ნ ლეოს ისეთი შთაგონება ეუფლებოდა, ისე იყო გაცისკროვნებული, ისე მოეძალებოდა ზეაწეული სიტყვების ნაკადი და ისე „მოიქარგავდა ენას", ეჭვი არ შეგეპარებოდათ, რომ მისთვის ამაზე ორგანული, ბუნებრივი და საინტერესო სხვა არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო.

„აბა, ერთი შენც რამე თქვიო," გურჯაანის ყველაწმინდასთან მეუბნება. მე გალაქტიონის ლექსის ნაწყვეტი გამახსენდა: „ვინ იყო ქვათა მკვეთი, იგი არ კვდება გულდამშვიდებით, სურო და ხავსი ღალღით, გვრიტებით, ვამჩნევ თაღებზე ღრუბელთა რონინს, გაშლილან ნისლთა პირამიდები, ვაჰ, დრონი, დრონი!"

„ოჰ, რა თავმდაბლები იყვნენ ჩვენი ხუროთმოძღვრები, აბა, თუ ერთ ძეგლს მაინც ეწეროს ვისი აშენებულია, "ვინ არის ქვათა ამათა მკვეთი," არადა ეს ხომ ერთი შემოქმედის ნებას ემორჩილება, ჩვენი მრავალჟამიერისა არ იყოს..."

იმ დროიდან შემომრჩა ფოტო, გურჯაანის ყველაწმინდასთან გადაღებული: ქ-ნი ნათელა, ორი ჯოხით, მე — ორი ყავარჯნით,

და ბ-ნი ლეოც ჯოხზე დაყრდნობილი.

ერთხელ კიდევ ფრანგი ქალი გვყავდა სტუმრად, ლანამ ჩამოიყვანა თავისი მახლობელი, განათლებული, კულტურული ქალი, რომელსაც ძეგლებიც ძალიან აინტერესებდა, ელენ ლაროში. მშვენიერი სახელი და გვარი ჰქონდა, მაგრამ გარეგნობით კი უბრალო და უშნო იყო. მე გავიქეცვი ბ-ნ ლეოსთან, ნადიკვარზე ცაცხვის ქვეშ იჯდა, დღეს რაღაც შეუძლოდ ვარო. ვაი, რა სამწუხაროა-მეთქი, რადგან ასე და ასე, ფრანგი სტუმარი გვყავს-მეთქი. რა დაუზარელი იყო და თავდადებული, არა უშავს, დავლევ კიდევ წამალს და წავიდეთო. „რისა მერიდება, იცით, ბ-ნო ლეო? ძალიან უშნო ქალია." მამა, სამაგიეროდ პარიჟანკაა, ესეც ხომ რამეა?! ამბობს სიცილით ლალი, „უნდა წახვიდე." „პარიჟანკა კია, მაგრამ, რა ვქნა, ძალიან უშნოა..." — მობოდიშებით გავიმეორე მე.

„რა ღმერთი გასწყრომია," — გაიცინებს ბ-ნი ლეო, ... ელეგანტურიც არ არის?" „ელეგანტური ნამდვილად არის და მიხრა-მოხრასაც არა უშავს," „ესე იგი, წნევა არ ამინევს", — განაგრძობს ბ-ნი ლეო ღიმილით, — „წავიდეთ, წავიდეთ, მე წამალს დავლევ და ნამოვიღებ კიდეც... თუ რამ დამემართება, ეს იქნება ყოვლად ბუნებრივი რამ, ისეთ ძეგლთან აღვესრულები, როგორიც კვეტერაა... სამაგიეროდ კვეტერაა კოხტა და მშვენიერი." ამბობს ბ-ნი ლეო.

„და სამაგიეროდ თქვენა ხართ მოსაწონი და საინტერესო." დავუმატებ მეც.

„აი, უკვე მოვმჯობინდი. მაშ, მივდივართ კვეტერაზე!" ჩვეული ხალისით შესძახებს ბ-ნი ლეო. კიდევ კარგი, ის ელენ ლაროში კარგი დამფასებელი აღმოჩნდა ძეგლისაც და იქნებ ძეგლზე უმეტესადაც მომხიბლავი ბ-ნი ლეოსი.

ერთ რამედ ღირდა ბ-ნ ლეოსთან ერთად ქალაქში გავლა, არაფერი გამორჩებოდა საყურადღებო და აღსანიშნავი, აუცილებლად მიგაქცევინებდათ ყურადღებას ძველი სახლი იქნებოდა, ჭიშკარი, თუ აივანი, სვეტები თუ აგურის წყობა. აი, ეს კახური ამპირიაო, მიმითითებდა რომელიმე შენობაზე, ასე მოიხსენიებდა გიორგი ჩუბინაშვილიო. ნამდვილი მოჭირნახულე იყო ჩვენი მშობლიური თელავისა, მახსოვს, როგორ იცავდა ყოველ

ძეგლს, ყოველ მნიშვნელოვან სიძველეს. „დამპატიჟეს მწვადებზე“ — მიამბობს ერთხელ ბ-ნი ლეო, „თურმე ნუ იტყვი, უნდათ ხელი მომაწერინონ რაღაც არანესიერ რაღაცაზე, უკანონოდ ძველი სახლის გადაკეთებაზე, მე სპეციალურად მივირთმევდი გემრიელად მწვადსა და ხინკალს, დაე, იცოდნენ, რომ მწვადებს და ხელის მოწერას ერთმანეთში არავითარი კავშირი არა აქვთ-მეთქი.“

„წარმომიდგენია, როგორ გაბრაზდნენ,“ ვეუბნები მე.

„წყალი დალიონ, ბატონისა და გული გაიგრილონ.“ — ამბობს ბ-ნი ლეო — „არ ესმით არა, როცა ვანგრევთ ნარსულს, საკუთარ ფესვებს ვიჭრით, არ ესმით, რომ ეს მათი კი არა, ჩვენი ყველასია, ყველას გვეკუთვნის“... როგორ გავიხარეთ, ძველი გალავნის ერთი შესანიშნავი სახლი, უკვე სანახევროდ სახურავგადახდილი, ბ-მა ლეომ გადაარჩინა და ახალ მეპატრონეებს არ დაანგრევინა, უკან დაახურინა სახურავი. ოჰ, რამდენი იბობოქრა, რამდენი იბრძოლა, რომ თელავში, ჩვენი უბნის გორაზე ცხრასართულიანი სასტუმრო არ აეშენებინათ, მოშხამული დაიარებოდა: „არ ესმით არა, რომ თელავში დომინანტური ბატონის ციხეა, ამოდენა სასტუმრომ ყველაფერს ხელი უნდა ჰკრას, სრულიად უნდა დაამახინჯოს ქალაქის კოლორიტი, ერეკლეს ცხენს კუდზე უნდა მოეჭიდოს და გაათრიოს, აბა, ეს საქმეა? იმ დროს როცა თელავი უნდა მოფენილიყო შვეიცარიის პროვინციებივით პატარ-პატარა სასტუმროებით.“

თელავის ერთ-ერთი საუკეთესო ოჯახიდან იყო ბ-ნი ლეო, განათლებული, პატიოსანი და კულტურული ოჯახიდან. დედა საშა, ჩემი ბავშვობის ამხანაგების, შალიკოსა და ლამარას ბებო საშა, ჩემთვისაც ტკბილად მოსაგონარი, ივანე ჯავახიშვილის და იყო. ერთ-ერთ ქვემო სოფელში მასწავლებლობდა, ფრანგულს ასწავლიდა თურმე და იქ შეხვედროდა თავის მომავალ მეუღლეს ტიტო რჩეულიშვილს, გზების ინჟინერს. უყვარდა ბ-ნ ლეოს თავისი წინაპრების მოგონება, მათი ამბების მოყოლა, შესანიშნავი მთხრობელიც იყო, განსაკუთრებული ხალისით ბებიას მოიგონებდა ხოლმე, მამის დედას. ლომიძის ქალი იყო თურმე, აზნაური, დიდი შუშპარა ვინმე, ის რომ თავის ვაჟიშვილ გიორგისთან ერთად ხელებს გაშლიდა და ლეკურს დაუვლიდა,

უნდა დამდგარიყავი და გეყურებინაო, უიმათოდ დღეობასა და მეჯლისს შნო ეკარგებოდაო. მაგრამ ვაჟიშვილი ტიტოს რუსეთში, საინჟინროზე სწავლის დროს დედამ ყველაფერი გაყიდა თურმე, ეტლიც, ცხენებიცა და შუბლის ქინძისთავებიც, და აბა, სადღა წავიდოდა თავდაუხურავიო. მაგრმ ტიტო ინჟინერი რომ გამხდარა, არადა მაშინ ინჟინერთა კასტა ფრიად პრივილეგირებული და მაღალანაზღაურებადი იყო, ერთხანს ციმბირის გზის გაყვანაზე მუშაობდა თურმე და კარგა შეძლებული დაბრუნდა, ბლომა ოქროებით, დედას ეტლიც უყიდა, შუბლის ქინძისთავებიც და ყველაფერიც, თავის ახლად შერთულ ცოლს კი ნადიკვარის სახლი, რომელიც ადრე ვახვახიშვილებისა იყო. ჰოდა, ლომიძის ქალი წელში გაიმართა, დაიბრუნა შუშპარობა, გადაიფრიალებდა თურმე ლეჩაქს, ჩიხტიკოპს გააბრწყინებდა ალმასებითა და ბრილიანტებით, ჩაჯდებოდა ეტლში გიორგისთან ერთად და აღმა-დაღმა დაჰქროდა ქეიფებსა და მეჯლისებში. და... ცეკვავდა და ცეკვავდა.

ბ-ნი ლეო და მამიდაჩემი ტატანო დიდი გულის მიმტკივნებით იგონებდნენ ხოლმე ბ-ნი ლეოს ბიძაშვილს, თელავში სახელგანთქმულ ვაჟკაცს შალიკო რჩეულიშვილს. მისი სახელი დაარქვეს შემდგომში ბ-ნი ლეოს ძმის ვახტანგ რჩეულიშვილის შვილს, შალიკოს. როგოც ამბობდნენ, შალიკო „კალმით ნახატი“ იყოო, ულამაზესი, სიჩაუქითა და ძალღონით გამორჩეული. ჭიდაობაში ვერავინ ამარცხებდა თურმე. ყველას პირზე შალიკოს სახელი ეკერაო. და მისგან დამარცხებულმა მოწინააღმდეგემ, შურითა და ბოღმით სავსემ, მიპარვით ზურგში დანა ჩასცხო და მოკლა. მთელი თელავი გლოვობდა თურმე შალიკოს, ვინ აღარ მოდიოდა, ვინ აღარ დასტიროდაო. ლექსიც გამოუთქვეს თურმე და ტატანო დიდი გულისთქმით ამბობდა ხოლმე. დიდხანს, დიდხანს იგონებდნენ შალიკოსო. მართლაც რომ „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანიო.“

ყოველთვის საინტერესო იყო ბ-ნ ლეოსთან ურთიერთობა, მეტად სასიამოვნო, თუ მითუმეტეს მათ აივანზე ვისხედით, საიდანაც დიდებული პანორამა იშლება კავკასიონისა და ალაზნის ველისა. რა საოცარიაო, მეუბნებოდა, თუნდ ყოველ წუთს გაიხედო, ერთი და იგივე სურათს ვერ დაინახავო, სულ იცვ-

ლება შუქ-ჩრდილი, ნისლის, ღრუბლებისა და მზის სხივების მოძრაობაო, სულ სხვადასხვანაირად ჩანს მთები და ველი, და ისეთი წარმტაცია, მუდმივობისა და ცვალებადობის საოცარი შერწყმაო. ხშირად იგონებდა თავის ბიჭობისდროინდელ თელავს, ისტორიულ კატაკლიზმებს, განსაკუთრებით 24 წლის ტრაგიკულ ამბებს, გიგოსგორაზე დახვრეტებს. გიგოსგორა ხომ ნადიკვარის გადაღმაა, იქვეა და „თოფების ზალპი ისე ისმოდა, ვითომ ჩვენს ეზოში ისროდნენო. მაშინ დახვრიტეს ჩემი მეგობრის, გოგია ჯაფარიძის მამა, ძია საჩინო, მეორე დღესვე ჩავირბინეთ ნადიკვრის ფერდა, მივირბინეთ გიგოსგორის თხრილებთან და მე ვიპოვე ძია საჩინო, მიწა თხლად ჰქონდათ მიყრილი წინაღამის დახვრეტილებს, ერთ ადგილას მიწიდან ამოშვერილი ულვაში დავინახე, დიდი ულვაშები ჰქონდა ძია საჩინოს და გოგიას დავუძახე, გადავყარეთ მიწა და მართლაც ის იყო, სულ დაგვავიწყდა სიფრთხილე, ისე ვღრიალებდითო.“ „ნება მომეცით-მეთქი, ბ-ნო ლეო, ჩემს რომანში ჩავრთო ეგ ამბავი.“ — ვუთხარი ბ-ნ ლეოს. რა თქმა უნდა, ჩართე სადაც გინდაო. და მართლაც ჩავრთე.

შეშინებულმა გოგის დედა ვარომ, შვილიც არ წამართვანო, თექვსმეტი წლის გოგია დუშეთში, ნათესავებთან გახიზნა თურმე. და აი, ერთ კვირა დღესაც ბ-ნი ლეო წასულა გოგიას სანახავად. გოგიას რომ გაუგია თელავიდან არიან და გკითხულობენო, დამალულა, ჰგონებია ჩემს დასაჭერად მოვიდნენო.

„გახსოვს, რომ მემალებოდი და ძლივს მოგაკვლიეო...“ ვითომ საყვედურობდა ბ-ნი ლეო. შალიკოსი არ იყოს, გოგიაც სანიმუშო გარეგნობის კაცი იყო. ინგლისელი კინემატოგრაფისტი ქალი იყო ჩამოსული, თელავის წარსული აინტერესებდა, გოგიასთან წავიყვანე და რომ დაინახა ახოვანი, ზვიადი, ხშირი ჭაღარით დამშვენებული 85 წლის კაცი, თავისი ბურჯიანი სახლის წინ, თვალი გაუშტერდა: ნამდვილი ლორდიაო, ამბობდა. ბ-ნ ლეოს კი თავისი მგობარი ძველ ქართველს აგონებდა, მინდა წარმოვიდგინო, რომ ალავერდის ამშენებელი ასეთი იყოო, ასეთი ჭირთამთმენი და ასეთი მშვენიერიო. მართლაც, გოგიას სამი ვაჟი ჰყავდა და სამივეს სიკვდილს შეესწრო, და თავის დარდსა და ვარამს ღირსეულად ატარებდა. შემოდგომაზე, თელავიდან

წამოსვლის წინაც მივიდოდა ხოლმე ბ-ნი ლეო გოგიასთან გამოსამშვიდობებლად. სულ ახლოს ცხოვრობდნენ, ჯაფარიძეებიც ჩვენუბნელები იყვნენ.

„მოვედი, გოგი, მოვედი, უნდა გამოგეთხოვო, რა ვიცი, ზაფხულამდე რა ხდება, კიდევ ვნახავთ ერთმანეთს? ეტყოდა ბ-ნი ლეო.

„მე არაფერი არ ვიცი," უპასუხებდა გოგია, „ჩვენ ერთად მოვედით და აქედანაც ერთად უნდა წავიდეთ." მაგრამ სამწუხაროდ, ერთად ვერ წავიდნენ, და ბ-ნი ლეო ბევრად ადრე წავიდა გოგიაზე. „აბა, ეს რა გამოვიდა..." მეტყოდა შეხვედრისას დაღონებული გოგია, „წავიდა ჩემი ლეო, წავიდა, მხარი ჩამომტეხა." ბ-ნ ლეოს თავის სიკვდილამდე თითქის ათი წლით ადრე საყვარელი მეუღლე მოუკვდა, რუსუდან ჩუბინაშვილი, გიორგი ჩუბინაშვილის ქალიშვილი. იჯდა ხოლმე თელავში, ფორტეპიანოსთან და მუსიცირებდა, ბეთჰოვენის სონატების ნელ ნანილებს უკრავდა. „რეზოსთან და ლალისთან რა გამაბედინებსო," მეუბნებოდა (რეზო თავაძე, ბ-ნი ლეოს სიძე, შესანიშნავი პიანისტი, ჩვენი კონსერვატორიის პროფესორი) და იმათ რომ გავისტუმრებ, ბეთჰოვენი ძალიან მამშვიდებსო."

რუსუდანი რომ გარდაიცვალა მუხათგვერდის სასაფლაო თითქმის ცარიელი იყო, აქა-იქ იყო საფლავები, „აი, ნახეო," მითხრა ბ-მა ლეომ, „საგანგებოდ შევარჩიე ეს ადგილი, აქედან მცხეთის ჯვარი ჩანს, მეც ხომ აქ მოვალ და თუმცა ხორციელად ვერ დავინახავ, მაგრამ ჩემი სული იგრძნობსო."

ჩემო ძვირფასო, დაუვიწყარო ბ-ნო ლეო, არა მხოლოდ მცხეთის ჯვარს იგრძნობთ, უკვე უთქვენოდ როცა ვარ ალავერდში, გრემსა, თუ ნეკრესზე, ასე მგონია მესმის ამ კედლებთან შერწყმული თქვენი „სულის ხმოვანება."

# ჩემი მეგობარი ზურაბ ცხაკაია

„ავთანდილის მაქებელად ათასიმცა ენა უნდა“
**რუსთაველი**

წარმტაცი იყო ჩვენი მეგობრობა, სიხარულით და სილაღით აღბეჭდილი, ჩვენ შეგვეძლო დაოსებამდე გვეცინა, ხმის ჩახლეჩამდე გვეთქვა ლექსები, გვეცეკვა და გვეცეკვა დაუსრულებლად. ყველაფერი გვიტაცებდა: სწავლის პროცესი, ტანგოს ილეთები, ნაპოლეონის ომები, ბეთჰოვენის სონატები, კოლუმბის, მაგელანისა და სხვათა მოგზაურობანი, — გეოგრაფიულ სახელთა მომაჯადოებელი ხმოვანება, მეფე ერეკლე და გალაკტიონი... და კიდევ ვინ მოთვლის ვინ და რა, ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა. და თუმცა ჩვენი კახური კილო, წამღერებული მეტყველება, შორისდებულებით, შეძახილებითა და შეცხადებებით სავსე, იქნებ ცოტა გაგრიულიც იყო, ჩვენ კულტურისკენ მიდრეკილი ბავშვები ვიყავით, სიცოცხლით მოხიბლული, აღტაცებული, ცნობისწადილით აღსავსე ბავშვები. ტელევიზორი მაშინ არ იყო, მითუმეტეს კომპიუტერი, ტელეფონები არ გვქონდა, რადიოს ჩვენ არ ვუსმენდით, ჩვენი ინტერესის საგანი და წყარო იყო წიგნი და მუსიკა და აგრეთვე კინო და თეატრი... და ერთმანეთთან ცოცხალი და ინტენსიური ურთიერთობა. ვკითხულობდით... ვკითხულობდით... ვკითხულობდით...

„მარტინ იდენი ნაიკითხე?“

„აბა რა, და ძალიან მომეწონა“.

„ცეცხლითა და მახვილითა?“

„ოჰ, ბოგუნი, ბოგუნი, ისე იმოქმედა“.

„93 წელი? ლანტენაკი რა მაგარია, არა?“

„წითელი და შავი?“ „ეუენი გრანდე?“ სხვა რომანები? აურაცხელი და დაუთვლელი. ჩვენი საუბრების ერთ-ერთი ძირითადი თემა სწორედ წიგნების გაცვლა-გამოცვლასა და წაკითხულ წიგნებზე შთაბეჭდილებების გაზიარებას ეხებოდა, ხოლო რაც შეეხება შექსპირსა და პოეზიას, ჩვენ მათ გარეშე არ ვარსებობდით, და ძალიან ხშირად ლექსებითა და შექსპირის რეპლიკებით ვურთიერთობდით.

წარსულიდან ასეთი სურათი ამომიტივტივდა: თოვლით არის დაფარული ნადიკვარი, მზეზე ბრწყინავს გარემო. მე და ზურაბი მივაბიჯებთ გაუკვალავ თოვლში, ზურაბს მაიაკოვსკი გადაუშლია (ჩვენ მაშინ სწორედ მაიაკოვსკით ვიყავით გატაცებული) და დიდი გულისთქმით კითხულობს „Облако в штанах“. იმ ზაფხულს დედაჩემმა მოსკოვში წამიყვანა და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ბუკინისტებთან არბატზე მაიაკოვსკის რჩეულის დიდი ტომი რომ ვუყიდე ზურაბს. წიგნების ჩუქებაც ხომ ჩვენთვის, როგორც ახლა ამბობენ, პრიორიტეტული იყო. ერთი პირობა ისეთი თამაში მოვიგონეთ, კამათისა და ცოდნის გამომჟღავნების დიდ შესაძლებლობას რომ იძლეოდა, ჩვენ ხომ ნამდვილი ჟინი გვჭირდა შეჯიბრისა და პაექრობის, ჰოდა, ერთმანეთს შევეკითხებოდით „უკულმა მოსიარულე ცხენი რომ გეშოვნა, სად წახვიდოდიო?“ თან გამომწვევად ჩავაცქერდებოდით თვალებში. „რა თქმა უნდა, მყისვე ძველი ეგვიპტისკენ გავქუსლავდიო!“ იტყოდა ზურაბი, „და შენო?“ „განა საკითხავია?“ მივუგებდი ამაყად, „მხოლოდ და მხოლოდ ანტიკური საბერძნეთისკენ!“ და თან გამომწვევად დავუმატებდი: „ძველი ეგვიპტე უბრალოდ მაძრწუნებს მკვდართა ქალაქითა და სარკოფაგებით“. „სად ერთი და სად მეორე, შეადარე ვაშლი პანტას!“ შესძახებდა ახლა ზურაბი და ჩვენ უნდა შეგვედარებინა, გადმოგვეფარჩავებინა მთელი ჩვენი ცოდნა და ნაკითხობა. ამ „უკულმა მოსიარულე ცხენის თამაშით“ ხან არაბებს, მონღოლებსა და სპარსებს ვებრძოდით, და კუდით ქვას ვასროლინებდით, ხან ოკეანის ტალღებს მივაპობდით მარკო პოლოსა და ჯეიმს კუკთან ერთად, ხან კი, ო, ხან კი კეისარს მივდევდით სენატში, უკანასკნელ გზაზე, და მასთან ერთად გვაოცებდა ბრუტუსის ულმობლობა. ჩვენი უკულმა მოსიარულე ცხენი კი, ვითომც აქ არაფერიო, იდგა განგმირული კეისრის შორიახლოს და ქერს მიირთმევდა.

თელავში კარგი სკოლები იყო, კვალიფიციური, თავდადებული მასწავლებლებით. მადლობა მათ, დიდია მათი დამსახურება ჩვენი ცოდნისა და ინტერესების გაღვივებაში, მათი უანგარობა სანიმუშო იყო, ისინი მართლაც რომ აღმზრდელები იყვნენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი მუსიკის

მასწავლებლის, ეკატერინე შიუკაშვილის როლი; იგი ფართე განათლების, დახვეწილი გემოვნების, თავისუფლად მოაზროვნე პიროვნება იყო. ჟენევის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, სოციოლოგიის ფაკულტეტი და ევროპაში ცნობილი ფილოსოფოსები, ეკონომისტები და პოლიტოლოგები ასწავლიდნენ. ემიგრაციაში მყოფი რევოლუციონერების გამოსვლები და დებატებიც ხშირად მოესმინა და ლენინს მანიაკად თვლიდა, რევოლუციონერებს კი ხულიგნებად. სხვათა შორის, ჩვენი მასწავლებელი პიესებსაც წერდა, ორმოციან წლებში უნდა დადგმულიყო კიდეც რუსთაველის თეატრში მისი ორი პიესა. ამ პიესების თავგამოდებული მკითხველები ჩვენ ვიყავით და ანსამბლებისა და კონცერტების დამთავრებისას, ჩვენი მასწავლებლის ძველი ხალიჩებით მოფენილ დარბაზში, ნიგნების, ნოტების, სამი კატის გარემოცვაში განხილვებს ვაწყობდით. ჩავსხდებოდით ზამბარამორყეულ ძველთაძველ სავარძლებში და ჩვენი ყიჟინით იქაურობას ვიკლებდით, მუსიკის გაკვეთილებსა და კონცერტებსაც ვარჩევდით და ჩვენი მასწავლებლის პიესებსაც. ზურაბის შეფასებები და შენიშვნები განსაკუთრებული სიმახვილითა და სიზუსტით გამოირჩეოდა.

„ოჰ, ზურაბ, ოჰ, ზურაბ! შენს მოგვარე მიხა ცხაკაიას შენი ნახევარი ჭკუა რომ ჰქონოდა, იქნება ჩვენი საქმე უკეთ წავიდოდა!" შესძახებდა სიცილით ჩვენი მასწავლებელი, და ამ შეძახილში, რა თქმა უნდა, იგულისხმებოდა ზურაბის შესანიშნავი მუსიკალობა, ფრაზის განცდა და არტისტიზმი. იმ ხანებში ზურაბმა ფეხბურთის თამაშის დროს თითი მოიტეხა, მარცხენა ხელის არათითი, გიპსში ჩაუსვეს. ჩვენ ხომ მაშინ ყველაფერს ვაზვიადებდით და ჰაიჰუითი განვიცდიდით, და ზურაბის თითის ამბავიც ისე შემოვიფრინე თავში, ვითომ იან კუბელიკს, თუ იაშა ხეიფეცს მოსტეხოდათ თითი და მსოფლიო კონცერტები ჩაფუშვოდათ. მე თან ის მადარდებდა, ჩვენი მუსიკის მასწავლებელი ზუსტად ჩვენს გვერდით ცხოვრობდა, სამშაბათსა და პარასკევს, ყოველი გაკვეთილის შემდეგ, ზურაბი ჩემთან შემოდიოდა, დავსხდებოდით, ვიქაქანებდით, მერე კი ან მე შევეკითხებოდი, ან ზურაბი: „პატეფონი ხომ არ დაგვექოქაო?" ეს იმას ნიშნავდა, რომ უნდა გვეცეკვა. „რომელი ფირფიტა?" „ნვიმა

მოდის?" თუ „შამპანურის შხეფები?" თუ „რუმბა კარიოკა?" თუ „ცისფერი დუნაი" ან „გოგონა უკრავს მანდოლინაზე" და „რიორიტა?" და მყისვე ჩვენი დარბაზი საცეკვაო ჰანგებითა და მგზნებარე ბაკაბუკით აივსებოდა. მეორე დღეს კი ჩვენი მოსამსახურე შესჩიოდა დედაჩემს: „შეხედეთ, ლიდია გრიგორევნა, რას ცეკვავენ ამდენს, რომ იატაკს სულ გადააძრეს საღებავი..." „არა უშავს, მარფა, არა უშავს." უპასუხებდა დედაჩემი, „სულ რომ გადაძვრება, ახლიდან შევღებავთ და ის იქნება".

ჩვენი მოწაფეობის დროს ყოველწლიურად იმართებოდა ოლიმპიადები — მოსწავლეთა თვითმოქმედების დათვალიერება-კონცერტები; ჯერ რაიონებში, შემდეგ კი, გარკვეული ინტერვალებით — თბილისში. და აი, ჩვენც მოგვინია ერთ ასეთ ოლიმპიადაში მონაწილეობამ. დიდი ამბავი იყო, დიდი მღელვარება და დიდი მზადება. ჩვენმა ძვირფასმა მუსიკის მასწავლებელმა, ვისაც, როგორც მოგახსენეთ, კალამიც უჭრიდა, დანერა საოლიმპიადე, ეგრედწოდებული მონტაჟი, პატრიოტულ-ისტორიული რემინისცენციებით, მშვენიერი ლექსების, საგუნდო სიმღერებისა და ხალხური ცეკვების ჩართვით, და აგრეთვე, ვიოლინოთა ანსამბლის აკომპანიმენტითა და ცალკეული ნომრების შესრულებით. და აი, ჩვენი მასწავლებლის ექვსი მოსწავლე გუნდის წინ ვიყავით ჩამწკრივებული. ჯერ იყოდა რეპეტიციებით ვიყავით გატაცებული, ანტრაქტებში ცეკვა-თამაშითა და სიცილ-კისკისით, მერე საოლიმპიადედ შეგვიკერეს „საკონცერტო" ტანსაცმელი, ანუ ბიჭებს მიტკლის „საროჩკები" და შავი შარვლები, გოგონებს კი ყავისფერი სატინის ფორმის კაბები და შავი აბრეშუმის წინსაფრები, ხოლო შემდეგ... წარმოგიდგენიათ? თბილისში მოგზაურობა, ოპერის თეატრში გამოსვლა და... გამარჯვება, დაგვირგვინებული ფუნიკულიორზე ბანკეტით. ჩვენს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, და ზურაბის დიდ სიამაყეს, უმთავრესად, რომ იცოდეთ, რის გამო: „ეგონათ არაა? ჩამოვლენ კახეთიდან და ჩონგურებს ააფხაკუნებენო!? ნურას უკაცრავად, ჩვენ ვიოლინოებით წარვდექით ოპერის სცენაზეო."

ზურაბი ხატავდა კიდეც. უყვარდა კარიკატურების ხატვა, მეც ბევრჯერ დავუხატივარ, ხან ვირზე ამხედრებული, ხელში

გრაგნილებით, იყალთოსკენ „გათოხარიკებული“, ხან აკადემიის ნანგრევებზე წამოსკუპებული, ხან როგორ და ხან როგორ. ზურაბი ლექსებსაც წერდა, ნამდვილ ლექსებს, ბევრ ვითომ პოეტზე თანამედროვესა და განცდით დამუხტულს... ფეხბურთის გუნდშიც, როგორც წელანაც ვახსენე, თამაშობდა... ცივის მთიდან თხილამურებითაც ეშვებოდა, ადგილობრივ გაზეთშიც დაიწერა ამ სათხილამურო შეჯიბრების შესახებ და ესეც ჩვენთვის აღსანიშნავი ამბავი იყო. ბავშვობაში კი რამდენიმე კილომეტრზე, რკინიგზის სადგურამდე რკინის კაუჭით რკინის რგოლს მიარბენინებდა. ყველაზე უჩვეულო მაშინდელ ჩვენს ყოფაში იყო ის, რომ ზურაბი-მონაფე, ინტელიგენტი მშობლების შვილი, რომელსაც არც შიოდა და არც სწყუროდა, რაღაც ხნის განმავლობაში ჩვენი თეატრის ორკესტრში მუშაობდა, ვიოლინოზე უკრავდა.

პირველი ბედი ხომ ძალღონე და ენერგიაა და ზურაბი გამოირჩეოდა მგზნებარებითა და დაუცხრომელობით, ნამდვილი ნიჭიერების სისწრაფითა და სიჩაუქით. ადრიდანვე აჩნდა მას სამამულე რქა. ის არადროს იქნებოდა მათ რიგში, ვინც ცხოვრების მდინარებას მისდევს, რადგან თვითონვე უნდა ყოფილიყო ცხოვრების შემოქმედი და მესვეური, ინიციატივის მფლობელი ყოველ ასაკში, მას მომავალი უნდა ჰქონოდა და ამას ყველა გრძნობდა, ის ყველას მოსწონდა და უყვარდა. მასწავლებლებს უყვარდათ, ბიჭებს უყვარდათ, ბებიაჩემიც კი, რომელიც ფრიად კრიტიკულად იყო განწყობილი ბიჭების მიმართ, ზურაბის დანახვაზე სახე გაეხსნებოდა და მაშინვე მიულექსავდა: „ზურაბაო, ზურაბაო, შეგაჭამე მურაბაო“, და კაკლისა და საზამთროს მურაბებით უმასპინძლდებოდა. ხშირად ისმოდა ზურაბის სახელი, ცნობილი ბიჭი იყო „პაჭუს ბიჭი“.

აი, ძია პაჭუ და დეიდა ნუცა კი, ზურაბის მშობლები, კახურად არ უქცევდნენ. მათ ქალაქური, ოდნავ დასავლური კილო ჰქონდათ და თვითონაც გამოირჩეოდნენ დასავლური კოლორიტითა და დინამიზმით, არათელაური მომხიბლაობით. ეს იყო ჩვენს ქალაქში ცნობილი წყვილი, ერთმანეთთან შეხუმრებული, მოსიყვარულე და მიმზიდველი. ძია პაჭუ ოდესღაც თელავის აფთიაქის გამგედ და საერთოდ კახეთის მხარის აფთიაქების მმართვე-

ლად თუ მეთვალყურედ დაენიშნათ. საცხოვრებლად თელავის აფთიაქში დამკვიდრებულიყვნენ, ქალაქის შუა ნერტილში, მოედანზე, თეატრის გვერდით და ასე მეგონა მათნაირად არავინ იყო შესისხლხორცებული თელავის ყოფას, ისინი მყარად იყვნენ ჩანერილი ქალაქის ჭირსა და ლხინში.

მოხდენილი, თავმომწონე ძია პაჭუ ხშირად იდგა ხოლმე აფთიაქის საფეხურზე, ან იქვე, ძველი ბაღის სკამზე თავის მეგობრებთან ერთად იჯდა და, სადაც ის იყო, არ ცხრებოდა ხუმრობა და ხალისი. იგი ხომ გამოირჩეოდა გონებამახვილობითა და იუმორის გრძნობით. დეიდა ნუცას კი, გვარად ერქომაიშვილს, სასიამოვნო ხმა ჰქონდა და დაბადების დღეების, ზეიმებისა და არიფანების დროს მშვენივრად მღეროდა. აფთიაქის ნამდვილი დიასახლისი დეიდა ნუცა იყო. ქერა, სანდომიანი, მომღიმარი და ალერსიანი, აქტიურად ჩართული წამლებისა და სადილების დამზდებაში, შვილებისა და მათი მეგობრების ამბებში, მარად აღსავსე ინტერესითა და ცნობისმოყვარეობით. ალბათ, არ მეჩვენებოდა, აფთიაქის მიქსტურების, ფხვნილებისა და მალამოების სუნს ყოველთვის ერთვოდა კედლის იქით დეიდა ნუცას შედგმული ლობიოსა თუ დაწენილი ბადრიჯნის სურნელი, ოჯახური სითბოთი, სიმყუდროვითა და იმედითაც რომ ავსებდა აქაურობას. ჩვენს ძველისძველ, ყავისფერი ხით მოპირკეთებულ კოხტა აფთიაქში მეგობრული, შინაური ატმოსფერო სუფევდა. შარშან ზურაბი თავის საავადმყოფოს რომ მათვალიერებინებდა, აბა, სად ეს ბრწყინვალე დაწესებულება და სად ჩვენი იმდროინდელი აფთიაქი, მაგრამ მე, განწყობილებითა და ადამიანთა ერთმანეთთან დამოკიდებულებით გამახსენდა ჩვენი აფთიაქი და ზურაბის მშობლები, ზურაბი ხომ იმ აფთიაქში იყო გაზრდილი, და ის აფთიაქი „ჩვენი" იყო უმთავრესად ზურაბის გამო.

დიდ ოთახში ბუხარი ჰქონდათ. შესანიშნავი რამ იყო იმ ბუხართან ჯდომა. ეს უმყუდროესი ბუხარი.

მას თავიანთ ბინაში სულ ბოლო, სენაკივით პაწაწინა ოთახი ჰქონდა და მე მომაჯადოებელი მეჩვენებოდა ეს ერთი ციცქნა ოთახი. ჩვენთვის მაშინ ნივთიერი ღირებულებები არ არსებობდა და განა რა მნიშვნელობა ჰქონდა, რომ იქ ძლივს ეტეოდა

ზურაბის საწოლი, ერთი ციდა მაგიდა და ვოლინო, ეს ხომ ზურაბის სამყოფელი იყო, ანუ მთელი სამყარო, სადაც ჰაერი თრთოდა ზურაბის ინტენსიური არსებობით, მისი გულისთქმით. აფთიაქის ერთი მტკაველი ეზო კი სულ არ გვაინტერესებდა, ჩვენ მთელ ქალაქს ვიყავით მოდებულები, ჩვენ გვეკუთვნოდა ძველი ბაღი, ჩვენი იყო ერეკლეს ბურჯების წინ, მოზრდილი მოედანი, სადაც დავრბოდით და ვთამაშობდით და, რაც მთავარია, ჩვენი სამფლობელო იყო ნადიკვარი, სამყაროს ცენტრი, მზის წერტილი, თავისი დიდი ცაცხვით და იქვე, საცეკვაო მოედნით. ზამთარში, თოვლით გაბრწყინებულ ნადიკვარზე ლექსებს ვკითხულობდით, ზაფხულში კი ვცეკვავდით და ვცეკვავდით. ჩვენი ბავშვობა და სიჭაბუკე იქ დარჩა, ნადიკვარზეო, მეუბნებოდა ერთხელ ზურაბი და მე ახლა, როცა ნადიკვარზე, ცაცხვის ქვეშ ვზივარ და იქვე, სკოლიდან გამოშლილ ახალგაზრდებს დავინახავ, ისე ჩავაცქერდები ხოლმე, თითქოს მათ შორის ჩვენც უნდა გამოვჩნდეთ, ჩვენც უნდა გავიელვოთ.

ადამიანი ხომ ლხინშიც გამოიცდება და ჭირშიც, და ზურაბის ოჯახს მართლაც მეხი რომ დაატყდა თავს, უმძიმესი უბედურება, მშვენიერი ბიჭი, დათუნი, გამოეცალათ ხელიდან, იმ ტრაგედიის დროს, როცა ქვაც კი ატირდებოდა, როცა „ნუგეში არა არნ", თვითონ ზურაბს, გლოვით მოცულს, რა ვაუკაცურად ეჭირა თავი, რა ღირსეულად. ალბათ, ეს იყო მიზეზი, ორმოცი დღე რომ გავიდა, მე თელავში ვიყავი, ნადიკვარზე ცაცხვის ქვეშ ვიჯექი და სულ დათუნიზე და ზურაბზე ვფიქრობდი, და იმ ღამეს სიზმარი ვნახე, დაუვიწყარია ის სიზმარი ჩემთვის, თავისი არაჩვეულებრივი „სიცხადით". დათუნის წითელი მაისური ეცვა, ლამის თვალისმომჭრელად იყო მზით განათებული და ძალიან ლამაზი. ბატონის წყლის კიბეებზე ამოდიოდა, ხელში წყლით სავსე სურა ეჭირა, მე კიბის თავში ვიდექი, თვალს ვერ ვაცილებდი. ჩემკენ მოდიოდა, სურას მიწვდიდა, ეს მამას გადაეცითო, მთხოვდა. გამეღვიძა და ტირილი დავინყე, საოცარი განცდა მქონდა, რომ იმ ქვეყნიდან თავისი კარგი მამა უნდოდა ენუგეშებინა.

მაგრამ მე მაინც მინდა მაჟორულად დავამთავრო ჩემი დაუვიწყარი მეგობრის მოგონება, ბედნიერებაა გყავდეს ზურაბის-

ნაირი მეგობარი, ერთგულებითა და სიყვარულით სავსე. ასეთი მეგობარი გვამდიდრებს და გვზრდის, სიხარულით აჩირაღდნებს ჩვენს არსებობას, ჩვენი ცხოვრების გზას.

# დღეს თენგიზის დაბადების დღეა

## (თენგიზ მაღალაშვილის მოგონებისთვის)

დილიდან, ჩვეულებრივ, ვიჯექი, ვმუშაობდი და ქვეშეცნეულად ვგრძნობდი, რაღაც უნდა გამხსენებოდა, აუცილებლად უნდა გამხსენებოდა,... თავი ავიღე, მოპირდაპირე კედელზე თვალში მომხვდა ნატურმორტი, ჩვენი ღრმა ტაფა სპილენძისა, ოდესღაც თენგიზის მიერ დახატული მუყაოზე, ბებიაჩემის ჭრელი ჯეჯიმის ფონზე, და თვალწინ დამიდგა თენგიზი, ჩვენი ლელვის ქვეშ, მოლბერტთან... ჰო, რა თქმა უნდა, დღეს ხომ პირველი აგვისტოა, თენგიზის დაბადების დღე, და ჩვენს დაუვიწყარ თენგულის დღეს 80 წელი შეუსრულდებოდა. მიდიან მეგობრები, იძარცვება ჩვენი ცხოვრება, ჩვენ გვრჩება ხსოვნა სევდითა და სიხარულით სავსე, რომელიც თანდათან აქარვებს განშორების წუხილს. მე ვდგები, კიდევ კარგი, მაქვს წმინდა სანთელი, ვანთებ ივერიის ღვთიმშობლის პატარა რეპროდუქციის წინ და ვიგონებ თენგიზს... დიდი ხანია ის ჩვენს შორის აღარ არის, უეცრად გარდაიცვალა. გულით. 57 წლისა. სამწუხაროდ, მაშინ ჯერ არ იყო დანერგილი კარდიოლოგიაში შუნტირება და კორონაროგრაფია, ნამდვილად უშველიდა მის სტენოკარდიას. და ჩვენც თავზრს არ დაგვცემდა მისი ასე ერთბაშად წასვლა. თვითონ სულ აოცებდა თავისი გულის ამბავი, ვერაფრით ვერ აეხსნა, რატომ უნდა „შეეწუხებინა“ საკუთარ გულს. „წარმოგიდგენია!“ მეუბნებოდა და თავის ისედაც დიდ თვალებს გაოცებისა და რაღაც შეუსაბამობის ნიშნად კიდევ უფრო ფართედ აღებდა, „მივდიოდით შენაქოში, (მთათუშეთში ყოფნის დროს), ბოსლები ხომ იცი, შენაქოში შესვლამდე, ფერდობზე შეფენილი რაღაც მომაჯადოებლად, სიმწვანეში გახელილი თვალებივით,... ჰოდა, ისე მიმიზიდა, ისე მოვჯადოვდი, ავირბინე, ბოლომდე ავედი, ბოსლებს სათითაოდ შემოვურბინე, ჩამოვირბინე, დავეწიე ჩვენს ჯგუფს და ვითომ არაფერი, არც დავღლილვარ, არც არაფერს შევუწუხებივარ, და რა მოხდა მერე, არ ვიცი, მაკვირვებს ჩემი გულის ამბავიო.“

თენგიზმა ბოლომდე შეინარჩუნა ნამდვილი ხელოვანის გაო-

ცებისა და აღტაცების უნარი. მოხიბლული სული იყო, შეჰხაროდა სიცოცხლეს, შეჰხაროდა თავის სპექტაკლებსა და ფილმებს, შეჰხაროდა ნანასა და ეკას, თავის მეგობრებს, ბუნებას და აგრეთვე ... გემრიელ საჭმელსა და დროსტარებას.

„როგორ, „жареный окорок"-ი არ გიჭამია? არ გიჭამია?" მეუბნება, როგორც რაღაც გასაოცარ რამეს, „არაა, ეს ახლავე უნდა გამოვასწოროთ."

ჩვენ ოსტანკინოში ვიყავით, თენგიზის ფილმთან დაკავშირებით, ტელევიზიაში, და სწორედ იქიდან მოვდიოდით. „ვიჩინა როგორ არ მიჭამია," ვეუბენები თენგიზს თავის მართლებით, "მაგრამ ჟარენი ოკოროკი კი არა."

„რას ამბობ, ეს სულ სხვა რამეა, თეატრალურ კაფეში ამზადებენ შემწვარ კარტოფილთან ერთად, ამისთანა გემრიელი არაფერია, თევზიც ძალიან კარგი აქვთ და ჩვენ ახლა იქ უნდა წავიდეთ."

„ღირს კი ამსიშორეზე წასვლა რაღაც ჟარენი ოკოროკის გულისთვის?" განგებ ვუარობ. „რაღაც? რაღაც? აბა, შენა ხარ დაა?!" შეიცხდებს თენგიზი.

მეორე ადამიანი არ ვიცი, რომელსაც ასე ესადაგებოდეს დიდი რუსი პოეტის სიტყვები: „Да будем мы к друзьям своим пристрастны, Да будем думать, что они прекрасны..."

მეორე ადამიანი არ ვიცი, რომელიც ასე იყოს მოკლებული შურსა და ბოღმას, ასე ახარებდეს სხვათა წარმატება. კეთილშობილი ადამიანი იყო და კიდევ იმიტომ, რომ მეტად ვრცელი იყო მისი ინტერესებისა და გატაცებების საწიერი. თენგიზის უმთავრესი საქმიანობიდან რომ დავიწყოთ, რა თქმა უნდა, ყველა რეჟისორს იტაცებს მსახიობებიც, კარგი ნატურაც, დეკორაციებიც, მხატვრული „რასკადროვკებიც"... მაგრამ თენგიზი, ალბათ, ბავშვობიდან გამოყოლილი, რაღაც მომხიბლავი გულუბრყვილობის გამო, ამას ყველაფერს დაუცხრომელი გზნებით გამოხატავდა. „გაგიჟდებით, რა გოგო ვნახე სიონში!? უბრალოდ ლამაზი კი არა, ლამაზი ბევრია, მკვეთრი ხასიათი ჩანს მის სილამაზეში და ეს არის საქმე." და თენგიზი აღტაცებითა და სიამით ნაბავს თვალებს, „პატარა გოგოა, მეშვიდე კლასელი და აუცილებლად უნდა ავიყვანო ფილმზე." ეს გოგო-

ნა ია ფარულავა იყო, რომელიც კიდევაც აიყვანა თავისი ფილმისთვის. ეს ფილმი სრულმეტრაჟიანი „ძნელი დასაწყისი" იყო, საინტერესო, დამაფიქრებელი, ადამიანობით სავსე ფილმი. ან როგორ შეეხაროდა თავის „მიგნებას," რომ ფილმში „მგლის ლეკვები" (რეზო ინანიშვილის მოთხრობის მიხედვით) ანკა ნიჟარაძე, მაშინ შვიდი-რვა წლის მშვენიერი გოგონა და კახელი ბიჭუნები სოფელ ახშნიდან უნდა გადაეღო. „ხომ გესმით," მოგვმართავდა ჩვენ, „ეს არის ბრწყინვალე დაპირისპირება, და ამავე დროს ერთობლიობა, კონტრაპუნქტივით, ანკა, ქალაქელი გოგონა, განსახიერება დახვეწილი მშვენიერებისა, განზოგადოებულად რომ ვთქვათ, **как гений чистой красоты**, და ეს ბიჭები, ჯერ სახელები თქვით, გოჩა და ხვიჩა, ბუნების შვილები, შერწყმულები ტყე-ღრესთან, ცხვარ-ძროხასთან, სოფლის ყოფასთან, და მათი ურთიერთობა, გოგონას ნამდვილი ზიარება პირველქმნილ ბუნებასთან."

დაუვიწყარია ის გადაღებები, თენგიზს შეეძლო ზეიმად ექცია მუშაობის ყოველდღიურობა. მე და ციცინოც, მე, როგორც რედაქტორი და ციცინო, როგორც „ანკას მშობელი" ჩართულები ვიყავით გადაღების პროცესში და ხან ახშანში ამოვყოფდით თავს, გოჩასი და ხვიჩას სახლში, სუფრაზე, ხან ალავერდში, ან არადა, საგარეჯოსა და ხაშმის საუცხოო სანახებში. გადაღებები თენგიზის დაბადების დღით, 50 წლისთავით დამთავრდა, და ეს იყო ნამდვილი აპოთეოზი, დაუვიწყარია სასმისით ხელში აივნის მოაჯირზე შემომდგარი თენგიზის ათასგრადუსიანი სიხარული...

„გაგიუდებით, როგორ გაგვიღიმა ბედმა," და ახლაც თვალებიდან სიხარულს აფრქვევს თენგიზი, „ირაკლი ფარჯიანი იმუშავებს „არსენაზე" მხატვრად!"

ირაკლი ფარჯიანი, ჩვენი სახელოვანი მხატვარი, გულსაკლავად ადრე წასული ამ ქვეყნიდან, ვინც მართლა მაღალმხატვრული ნახატები და „რასკადროვკები" შექმნა „არსენას ლექსისთვის". ფილმს, რომელსაც ნანა და თენგიზი იღებდნენ და რომელმაც შემდგომში დიდი მოწონება დაიმსახურა ფლორენციის ფესტივალზე, ნანამ ფულადი ჯილდოც მიიღო. თენგიზი კი ფილმის გადაღების დროს გარდაიცვალა. თენგიზის ორმოცზე,

ჩვენ უკვე სუფრასთან ვისხედით, ირაკლი ფარჯიანი მოვიდა, ხელში თავისი დიდი ნამუშევარი ეჭირა, შემინული, შესანიშნავი ნამუშევარი. კარებთან მიაყუდა, ყველა მონუსხულივით მივაჩერდით სურათს. წუხელ სიზმარში ვნახეო, ადრე დავპირდი თენგიზს და რას ვიფიქრებდი თუ ასე მოულოდნელად წავიდოდაო. წარმომიდგენია, როგორ გაიხარებდა თენგიზი, ის ხომ ფერწერის მართლა არაჩვეულებრივი დამფასებელი იყო. მისი მთავარი ჰობი ხომ სწორედ ხატვა იყო, პროფესიონალივით ხატავდა. აკი გამოფენაც მოაწყო ნანამ კინო-სახლის ფოიეში უკვე თენგიზის გარდაცვალების შემდეგ... განსაკუთრებით პორტრეტები იტაცებდა, ვისაც დაითანხმებდა „დასაჯდომად", მაშინვე ხატვას იწყებდა. ანა კალანდაძესთან ისე არ მივსულვარ, სიამოვნებით არ შემევლო თვალი ანას თენგიზისეული პორტრეტისთვის. ხატვა ხატვაა და თენგიზისთვის მუდმივი და შეუცვლელი რამ იყო, მაგრამ ღმერთმანი, არ დაიჯერებთ, ერთი ხანობა კიდევ რა იტაცებდა... პერპეტუუმ მობილეს შექმნა. უნდა გენახათ, რა გულდაგულ ჩაჰკირკიტებდა რაღაც შვერილებიან ბორბალს... როგორც ჩანს, არაერთი გამომგონებლის მარცხი ამ მოლიპულ გზაზე, მას უფრო ახელებდა, სიჯიუტეს მატებდა, რომ დამდგარიყო ერთი მშვენიერი დღე, ახლობელთა აშკარა თუ დაფარული სიცილი გაქარწყლებულიყო და ყველას გასაკვირად მისი ძრავა ამოძრავებულიყო, სამუდამოდ და სამარადჟამოდ.

კინაღამ დამავიწყდა, როგორი კოლექციონერის ვნებით აგროვებდა ზარებს. სადაც წავიდოდით მისი მეგობრები, საბჭოთა რესპუბლიკები იქნებოდა, თუ საზღვარგარეთი, აუცილებლად უნდა ჩამოგვეტანა ან ასეთი, ან ისეთი, ან მოზრდილი, ან პატარა ზარი. ერთხელ მე პარიზიდან ზარი ვერა, ვერ ვნახე და ზანგებთან ნაყიდი ტამტამები ჩამოვუტანე, „განსხვავებულ სასმისად" მიიღე-მეთქი, ნეტა როგორ გაიხარა, ჩაამწკრივა ზარებთან ერთად და ნეტარ მზერას ავლებდა. ერთხელ კი, ნანა და ეკა ბიჭვინთაში იყვნენ და რაღაც ხნის შემდეგ მეც უნდა წავსულიყავი. და აი, თენგიზს ბრწყინვალე იდეა დაებადა, ნანასთვის და ეკასთვის სქურპრიზად ესპადრილები გაეგზავნა... თავისი შეკერილი ესპადრილები. მასალა მოიმარაგა, წითელ-ყვითელი

ტილოს ნაჭრები, სადგისი და გასანთლული ძაფი, სხვა ყველაფერიც და თავისებური გატაცებით შეუდგა კერვას. მიუხედავად იმისა, რომ მენაღეობასთან არასდროს არაფერი აკავშირებდა, მშვენიერი ესპადრილები „გამოაცხო." „აი, მითხარი, მითხარი, გამოარჩევ მალაზიაში ნაყიდი ესპადრილებისაგან? მენაღის შეკერილებისაგან?" „რა თქმა უნდა, ვერა!" მეც ხალისით ვეთანხმებოდი.

მაგრამ თენგიზს განმარტოება და „თავისთვის ყოფნაც" უყვარდა. ჩვენი შეკრებების, არიფანების, მხიარულებისა და ჟრიამულის დროს თენგიზი შორიახლოს, სავარძელში ჩაჯდებოდა, „ჩამყუდროვდებოდა", პატარა ტაბურეტზე გაიწვდიდა ფეხებს, იჯდა ჩუმად, თავის ფიქრებს მიცემული. შეიძლება კანტიკუნტად ჩვენთვის სიტყვა მოეშველებინა... გაიოზ შარაშენიძე, თენგიზის ახლო ნათესავი და მეგობარი, სიცილით იგონებდა: „ერთად რომ მივსეირნობდით, არადა ჩვენ ძალიან ხშირად ვიყავით ერთად, ბავშვობიდან შეზრდილებიო, თენგიზი უცებ მეტყოდა: რაღაც საფიქრალი მაქვს და ცოტა ხნით მეორე ტროტუარზე გადავალო, გადავიდოდა და რაღაც ხანი ასე პარალელურად მივსეირნობდით და თენგიზი თავის ფიქრებში იყო წასულიო." საინტერესოა ის ამბავი, რომ ლანამ „ინტერვიუს" გადაღების დროს გია ბადრიძისა და მისი ძმაკაცების ეპიზოდში, თენგიზი ასევე გადაიღო, არა სუფრასთან, არამედ „განზე მჯდომი", ისეთი დამახასიათებელი იყო თენგიზისთვის „თავისთვის ყოფნა."

თენგიზმა, როგორც მისი თაობის ძალიან ბევრმა ბავშვმა, იწვნია 37 წლის დიდი ტერორის სიმწარე, როცა დაუპატიმრეს და დაუხვრიტეს მამა, შესანიშნავი არქიტექტორი, ლამაზი და მომხიბლავი კაცი, და უზრუნველი ბავშვობიდან „ხალხის მტრის " შვილად იქცა, იწვნია მშობლიური სახლის დატოვება და მერე სულ უარესსა და უარეს ბინებში გადასვლა, ნახევარსარდაფის ნესტიანსა და ბნელ ბინამდე. დედა ჩაბმული იყო ოჯახის რჩენის ჭაპანწყვეტაში, ორ-ორი ბიჭი ჰყავდა ფეხზე დასაყენებელი, ედიშერი და თენგიზი. და ჩვენი თენგო, უმამოდ დარჩენილი ბიჭი, თავის ნებაზე იყო მიშვებული, ხშირად ქუჩას მინებებული. წავიდა თურმე ლენინგრადში გაიოზთან, — ის მაშინ იქ სწავლობდა, — და აღმა-დაღმა დაქროდა, ქეიფებსა და

თავგადასავლებს გადაყოლილი. და აი, რომ დაბრუნდა, ერთ მშვენიერ დღესაც, დეიდა სოფო, თენგიზის დედა, დაუჯდა თურმე ლოგინთან და ელაპარაკა მთელი საათი, მწუხარედა და გულში ჩამწვდომად... „თავი ცოცხალი არ მინდა, მამაშენის შვილი, ჩვენი ოჯახის პატრონი, თუ არ მოეშვები ამ ძველბიჭობასაო. განა ეს ეკადრება ასე ულმრთოდ დაღუპულ მამაშენსო. ჩვენს გვარში არავინ გამიგია უმეცარი და უსაქმური, ბებიაშენი კიდევ ბაგრატიონი იყო და მოგეხსენება მათი დამსახურება ჩვენი ქვეყნის წინაშეო. და ნუთუ შენ ეს არაფერს გავალებსო. ვერა, ვერა, ვერ ავიტან და ვერ შევეგუები იმას, ერთი შვილი სწორე გზაზე იდგეს (ანუ ედიშერი), მეორე კი უსაქმურად დალაყუნობდეს და ძველბიჭობდესო. და თუ შენ გონებას არ მოუხმობ, წავალ და გადავიკარგებიო.“ დიდხანს ელაპარაკა თურმე. ის დღე იყო და ის დღეო, ამბობდა თენგიზი, ისე იმოქმედა დედაჩემის შეგონებებმა, მეორე დღიდანვე ჩავუჯექი წიგნებსა და მეცადინეობას და ჩავაბარე კიდეც სარეჟისოროზეო. რას ნიშნავს, რომ საღ დვრიტაზე იყო მისი ბუნება გაღვივებული. ჩვენ ძალიან გვიყვარდა თენგიზის ონავრული ამბების გახსენება. და ჩვენი თენგო იქცა იმად, რადაც იქცა. შესანიშნავ რეჟისორად. ჯერ კიდევ თეატრალურზე სწავლისას გამოიჩინეს მან და ნანამ თავი, როცა დადგეს მჯუსეს „სიყვარულთან არ ხუმრობენ“, შემდეგ იყო თელავის თეატრში საჩვენებელი სპექტაკლი გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი“... რუსთაველის თეატრში საეტაპო სპექტაკლი „სიბრძნე სიცრუისა“... მოზარდ მაყურებელთა თეატრის აღსანიშნავი სპექტაკლები... და რომელი ერთი ჩამოვთვალო... მაგრამ მიუხედავად დაუცხრომელი მუშაობისა, ვინროდ ცხოვრობდნენ, ოროთახიან ბინაში, თენგიზი, ნანა, ეკა, დეიდა სოფო, და აგრეთვე შემდგომში ნანას დედა, რომელსაც ჰქონდა ცალკე ერთოთახიანი ბინა, მაგრამ ასაკისა და ავადმყოფობის გამო მარტო ცხოვრება აღარ შეეძლო. მერე თენგიზსაც მისცეს გაფართოების მიზნით ერთოთახიანი ბინა. და აი, გადაწყვიტეს ეს ბინები გადაეცვალათ, გაფართოებულიყვნენ და ამოესუნთქათ. რა დრო იყო, რა საოცარი დრო, გაყიდვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, მხოლოდ და მხოლოდ გადაცვლა. და აი, დაიწყო ნამდვილი ეპოპეა ბინების გადაცვლისა. თენ-

გიზის სიარული, სიარული, სიარული, აღმა-დაღმა, ზევით და ქვევით. ერთხელ მეც გადავწყვიტე მხარში ამოვდგომოდი და რადგან ნანას რეპეტიცია ჰქონდა, მე კი იმ დღეს თავისუფლი ვიყავი, გავყევი ვაშლიჯვარში, სადაც გადაცვლის პუნქტი იყო, ერთ-ერთი პუნქტი, და გაფუყულ წიგნებად ჰქონდათ აკინძული აურაცხელი განცხადებები და ცნობები, ასობით ვარიანტი ნაირ-ნაირი გადაცვლებისა. და თქვენ უნდა ჩაძირულიყავით ამ „გროსბუხებში“, იქნებ გაეღიმა ბედს და შესაფერისი ვარიანტისათვის მიგეკვლიათ. ერთი სიტყვით, ეს იყო ნამდვილი აბსურდის თეატრი, ესე იგი, ორი თითოოთახიანი ბინა და ერთი ოროთახიანი რომ გადაგეცვალათ ოთხოთახიანზე, სადაც გინდოდათ იმ უბანში, რომელ სართულზედაც გაწყობდათ, იმ სართულზე, და თან სველი წერტილებიც მოწესრიგებული ჰქონოდა. ვაშრიალეთ და ვაშრიალეთ გაფუებული საქაღალდეების ფურცლები, ვეძებეთ და ვეძებეთ, ოთხოთახიანი ბინები თუ იშლებოდა ორ და თითოოთახიანებ.ზე. ჩვენი დიდი მცდელობიდან რომ არაფერი გამოვიდა, მე ვუთხარი თენგიზს; ალბათ, ჯერ ოროთახიანი და ერთოთახიანი უნდა გადაცვალოთ სამოთახიანზე და მერე უკვე სამოთახიანი და ერთოთახიანი ოთხოთახიანზე-მეთქი. „რა მეტი გზააო“ — თავი გადაიქნია თენგიზმა — „მოდი, მაშინო, ჩვენ დავიწყოთ ძებნა თითოოთახიანების ორ ოთახიანზე გადაცვლის ვარიანტზე და სამოთახიანის დაშლის ვარიანტზეო...“ მე „ბრწყინვალე აზრი დამებადა: „თენგული, იქნებ პირველ რიგში თითოოთახიანი უნდა გადაცვალოთ ოროთახიანზე, მერე თქვენი კედლის ოროთახიან მეზობელს მოელაპარაკოთ და ის დაითანხმოთ, რა თქმა უნდა, გარკვეული საფასურით, თავისი ბინა გადაგიცვალოთ? არც არსად ნასვლა მოგიხდებათ და არაფერი. მერე გააერთიანებთ თქვენს ოროთახიანს და მეზობლის ბინას და გადასარევი ბინა გამოგივათ, „აბა რას ამბობ!“ თვალები დაჭყიტა თენგიზმა, „ჩვენი მეზობელი რად წავა სხვაგან? პეტრიაშვილის ქუჩიდან? თავისი ბუდიდან? ამას ვერც წამოვაორთქლებ! დიდი თანხაც კი რომ მედოს ჯიბეში, ეგ გამორიცხულია! ისევ სამოთახიანის დაშლა უნდა ვეძებოთ ორ და ერთოთახიანებზე, ან თითოოთახიანების გაერთიანება ოროთახიანზე.“ და მთელი ჩვენი ყურადღება ახლა აქეთკენ

მივმართეთ. შლიდნენ სამოთახიანებს, შლიდნენ, ყველაზე ხშირად სწორედ ეს ვარიანტები გვხვდებოდა, ოროთახიანებზე და ერთოთახიანებზე, შლიდნენ საბურთალოს ბოლოს, დიდუბეში და დილომში, თემქაზე...

„აფსუს, რა სახლი გვქონდა ვაკეში!? მამაჩემის აშენებული! მოვიდოდა გაიოზი და ჩვენს აივანზე ველოსიპედით დავქროდით! ჩემი ოცნებაა ოდესმე იმ სახლისნაირი შევიძინო..." ამბობდა თენგიზი დანანებით.

„დაიცადე, დაიცადე, სანამ ოცნების სახლს შეიძენ, აი, უყურე რა განცხადებაა, ვეძისში, საკუთარი პატარა სახლი, თავისივე პატარა ეზოთი, მანქანას თუ იყიდი, დასაყენებელი ადგილიც გექნება, თან ბუნებასთან ახლოს იქნებით, ხუთი ძირი ხეხილი უდგათ თურმე." ვეუბნები მე გახარებული და განცხადებაზე ვუთითებ. „რას ამბობ! ვენახიც რომ ჰქონდეთ, ვეძისში როგორ ნავალთ, ჩვენ ხომ ცენტრთან ვართ დაკავშირებული, თანაც აგერ, შენ ვერ შენიშნე, ფულის დამატება უნდათ! გამორიცხულია!"

მერე იყო ბინა აბაკელიაზე, დიდი ვერანდითა და მიშენების პერსპექტივით, იყო ზემელზე, მაგრამ ძალიან სარემონტო და ლამის თავიდან გასაკეთებელი... მერე ათონელის ქუჩაზე ძველთაძველ სახლში, იქაც სამოთახიანი, მიშენების პერსპექტივით... მერე იქ, მერე აქ, მერე ზევით, მერე ქვევით... ბოლოს კი თენგიზი ამ ბინების ძებნისა და ცვლის გზაზე გარდაიცვალა. ჩვენს ყოფილ ერთოთახიან ბინაში, ჩვენი „გაფართოების შემდეგ, სტუდიამ სწორედ თენგიზს მისცა „გაფართოებისთვის". მივიდა, დაწვა ტახტზე, რომელიც ჩვენ დავუტოვეთ თენგიზს და გარდაიცვალა. ზამთარი იყო, 1985 წლისა, 22 იანვარი. კონცერტიდან დავბრუნდი და ტატანო თავზრდაცემული დამხვდა, თენგიზი გარდაიცვალაო. და ის ერთოთახიანი ბინაც დაიკარგა, რადგან იქ მხოლოდ თენგიზი იყო ჩაწერილი. და ახლა, ეკა თავისი გოგონა მარადიათი, ისევ იმ ძველ, ოროთახიან ბინაში ცხოვრობენ.

... ივერიის ღვთისმშობლის პატარა რეპროდუქციასთან სანთელი ანთია. მე ვიგონებ თენგიზს, მაგრამ არ მინდა, არა, გარდაცვალებით დავამთავრო ეს მოგონება, მინდა გავიხსენო ის

შორეული დღე, პირველი აგვისტოსი, მზითა და სიხარულით სავსე დღე, თელავში თენგიზის დაბადების დღისთვის დილიდანვე რომ ვემზადებოდით. თენგიზს ჩვენს აივანზე ეძინა, დილის ძილს „აცხობდა." ჩვენ მივდიოდით, მოვდიოდით, ვყაყანებდით, ვბჭობდით, ვინ რას გააკეთებდა, ვინ რას მოამზადებდა.

„მე გადავწყვიტე ჩანახი გავაკეთოო." ამბობდა ნანა.

„მე კახურ ჩახოხბილს გავაკეთებ-მეთქი." ვამბობდი მე.

„მე ინგილოურ ფლავს," თქვა ლანამ, „მართალია წაბლი ჯერ არ არის, მაგრამ ნიგვზით, ქიშმიშითა და ატმით გავაკეთებო."

„მე კიდევ თენგიზს სალათას გავუკეთებ, ნიგვზის წვენითო" გადაწყვიტა ტატანომ. იყო ერთი გაზიდულობა ჩვენს აივანსა და სამზარეულოში. მთელი ეზო-ყურე შემწვარ-მოხრაკულების სურნელით აივსო. სუფრის გაშლისას ზურია და ცირა მოვიდნენ, ზურიას ხელში სამლიტრიანი „შტოფი" ეჭირა წითელი ღვინით სავსე.

„აფსუსი არ არის?" თავის ქნევით ამბობს თენგიზი, „ასეთი სუფრაა და ერთი უცხო სტუმარი არა გვყავს, ნუთუ ღმერთი არავის მოგვივლენს?!"

და საოცარი რამ მოხდა. გეგონებათ თენგიზის შეძახება უმაღლეს სფეროებს მისწვდა. სწორედ ამ დროს ზარი დაირეკა...

სადარბაზოსთან კოკა იგნატოვი იდგა, „სტუმარი ღვთისაა... სტუმარი ღვთისაა..." შევძახეთ ჩვენ, გაოცებულებმა და გახარებულებმა. „წინანდალში ვიყავი საქმეზეო, თქვა კოკამ. როგორ გავბრუნებულიყავი ისე, თქვენ არ მენახეთო."

სანთელი ავანთეთ და შემოვუსხედით სუფრას.

...ახლა კი აღარც თენგიზია... აღარც ნანა... აღარც „სტუმარი ღვთისა" კოკა, აღარც ჩემი ტატანო... გოეთეს დაუვიწყარი სიტყვები მახსენდება: „ბინდი ჩამოწვა ჩემს ირგვლივ, მაგრამ სინათლე ჩემში ჯერ კვლავ ანთია."

ზურიამ თელიანი ჩამოასხა და ჭიქა ასწია: „ჩვენს თენგიზს გაუმარჯოს, ერთგულ მეგობარს, ნიჭითა და სიყვარულით სავსეს, წრფელსა და ხალასს, გულმართალსა და მიამიტს, ერთადერთსა და განუმეორებელს, და თვითონაც ყველასთვის საყვარელს!!"

„გაუმარჯოს, გაუმარჯოს!" შევძახეთ ჩვენ, „აბა, ერთად! გა-

უ-მარ-ჯოს!!"

და თენგიზმაც რეფრენივით შემოგვძახა: „რა კარგად ვცხოვრობთ, არა!!" მას უყვარდა ჩვენი თავყრილობების დროს ამ სიტყვების გამეორება.

## სარჩევი

როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა..... 4
ქმნა მართლისა სამართლისა ..... 126
ბაბუცას ნაამბობი ..... 147
სიყვარულო ძალსა შენსა ..... 160
არა კაც ჰკლა? ..... 173
„მოგონება შორისა“ ..... 190
"მოგონებანი გარდასულ დღეთა“ ..... 221
ნუციას სიხარული ..... 229
არ სიძვისა დასადარი..... 237
ცოლმა ქმარი დაიტირა..... 244
მინის მიმყრელები ..... 252
„ერთსა კაცსა ბლისკინელსა“ ..... 279
საკირეებთან ..... 383
შაჰაბაზა..... 399
ნათელი ხსოვნა..... 418
ჩემი დაუვიწყარი ბ-ნი გრიშა..... 423
„კაცი არ ყველა ერთია“ ..... 428
ლადოს გახსენება ..... 433
ბ-ნი ლეო რჩეულიშვილის
მოგონებისთვის ნათქვამი..... 438
ჩემი მეგობარი ზურაბ ცხაკაია..... 445
დღეს თენგიზის დაბადების დღეა ..... 453

დაიბეჭდა „ეროვნული მწერლობის“

სტამბაში. მხატვრის ქ. 4

ტელ: 31-70- 47

32-73- 62

E-maile

litandart@yahoo.com

vaja.otarashvili@yahoo.com